

644
1973/3

2-3.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

2

1973

ნოღარ გუგუნიძე

ენგურჰენის კომკავშირლები

ვისაც კაცური უღელავს სისხლი
და გული სახლში ვერ დაეცია,
ვისთვის მამული,

დიდება მისი

სიცოცხლეზედაც უფრო მეტია;
ვინაც სიხარულს შრომაში ეძებს
და ფიქრით ცაში უნავარდია,
ვინაც ოცნების გარეშე ვერ ძლებს,
ვისაც ჭაბუკურს ვარქმევთ გვარდიას;

ვისაც მომავლის ეკუთვნის დღენი,
მზის ორბიტაზე არის გასული, —
განსჯის და გარჯის,
აზრის და რწმენის
მათ კომკავშირმა ანდო საგზური.

კომკავშირლებო,
თქვენ გემგვანებით,
გზნებით და ღელვით როცა ვივსებო,
კომკავშირლებო,

თქვენ გევალებათ

ცხადად ახდენა ნათელ მიზნების.

კომკავშირლებო,

თქვენ აშენებდით

პესებს და თქვენვე ტეხავდით ყამირს,

კომკავშირლებო, თქვენი ხელები

არ ისვენებენ არც ერთი წამით.

თქვენი ვარსკვლავი არასდროს ქრება,
ცაში დაჰქრისხართ არწივის ფრთებით,

სად არა სწვდება,

რას არა სწვდება,

მაძიებელი გონება თქვენი.

ხართ დიად ხვედრის და ბედის

ღირსნი,

ერთი ფიცით და ძმობით შეკრულნი,
თქვენს გმირულ ძახილს,
თქვენს ყიჟინს ისმენს
ღნებრი, ანგარა, ვოლგა, ენგური.

ღიმილით ხედებით ყოველ ალიონს.
თქვენი საქმენიც ჰქუხან ყოველდღე,
გზა სიარულით უნდა გალიოთ,
ეძიებდეთ და უნდა ჰპოვებდეთ.

კახეთია თუ იმერეთია,
სვანეთია თუ ხევსურეთია,
ეგ სულერთია,
ეგ სულერთია, —
ჩვენი სამშობლო ჩვენი ღმერთია.

ეგ სულერთია,
ბრატსკის კაშხალთან
შრომობთ თუ ჯიქურ ლაშქრავთ
ყამირეთს,

ეგ სულერთია
სად დამაშვრალხართ, —
მამული ყველგან ააყვავილეთ.

ეგ სულერთია,
ოღონდ მოვფინოთ
სიკეთე, სითბო, რწმენა, სიმართლე,
ჩვენი კაცობით ნახოს მსოფლიომ,
ენგურზეც როგორ ბრდღვინავს
სინათლე.

ხედავთ? ის ზვირთი შუქად იღვრება
თქვენს გმირულ გარჯას რომ

შეეთვისა,
ქარიშხალს ჰგავდეს თქვენი სიმღერა,
კომკავშირლებო ენგურჰენისა!

სსსრ

188

გამოცემის მენეჯმენტის წელი

2

თეზაურუსი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

12423

შ ი ნ ე ა რ ს ი

პროზა, პოეზია

3. არჩილ სულაბაური. ლუბა. მოთხრობა. დასასრული
50. ვახტანგ ჯავახიშვილი. ლექსები
52. დილარ ივანოვა. ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი. ლექსი
55. ხუბა ბაბუა. ლექსები
58. გივი ალხაიშვილი. ლექსები
60. ბაბუა ბალაჩიშვილი. ლექსები
62. აბაძი ქინძიშვილი. ლექსები
64. დავით ხუროშა. ლექსები

სატირა და იუმორი

65. ნოდარ წულუკისკირი. მოთხრობები

დოკუმენტური პროზა

82. სულიკო გოგია. დამანებელი წიგნი
87. ვაჟა გიგაშვილი. ნადირი ჩონტაშვილი. დასაწყისი
108. ედიშერ ყიფიანი

წერილები

109. ზალბა ამისულაშვილი. პოეტი მუღანის მთებში
114. გულნარა ბერიშვილი. ოღღოს ჰაზლის მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურის გაგებისათვის
121. ჯემალ ზარაფიანი, კარლო თოფური. ჟამები და მათი კულტურა

ჩვენი კელენდარი

132. ზვიად გამსახურდია. პირი ბივი ზელის ლირიკა

ხელოვნება

142. ნოდარ გურაბაშვილი. მუსიკის კლასიკა
149. აკაკი დიმიტრი. ძველი კლასიკური ლირიკა და კინოხელოვნება
158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აბაძი ბაბუაშვილი,
გივი გიგაშვილი,
გურამ გვარამაძე,
მერაბ ელიოზოვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
მთიანე კახიკიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ წულუკისკირი,
ნოდარ წულუკისკირი,
ტარიელ ზანდუკია,
სერგი ზილიანი,
თამაზ ზილიანი,
ლუბა ჯანაშვილი.

ერეკლ სულაკაური

၁၆၃၆

თა30 მებათა

დათიკო ბერიშვილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა დეიდა ნატოს ბინის გაცვლა. ამჯერად ემა გამოუგზავნა შუამავლად, ჯუჯა რუბენას და. ემა შავგვრემანი, ეშხიანი ქალი იყო, პირმრგვალი და ტანსრული. თავის დროზე უბნის ბიჭებს თვალი ზედ რჩებოდათ, მიუხედავად ასეთი დაჟინებული ყურადღებისა, მაინც გაუთხოვარი დარჩა და ახლა თავის ჯუჯა ძმასთან ერთად ცხოვრობდა, დათიკო ბერიშვილის ოთახის გვერდით, პირველ სართულზე.

დღედა ნატომ, რა თქმა უნდა, ემაც უარით გაისტუმრა, თან დააბარა: სანამ პირში სული მიდგას, ამ ბინას არ დავტოვებ და ეგ უსინდისო მეტს ნულარ შემეწუხებსო. ემა, ძველი დაბადისაგან განსხვავებით, მაინც ცდილობდა დედაბრის დაყოლიებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდა უკან. ემას წასვლის შემდეგ დღედა ნატოს ნერვები დაეწეწა. მთელი დღე ჰირვეულობდა, წყევლიდა დათიკო ბერიშვილსა და იმათ, ვინც ქვეყნად ომი მოიგონა და ასეთი უსა-

შველო ტანჯვა-წამება მოუტანა ადამიანებს.

— ფრთხილად უნდა ვიყოთ, ლუკა, ფრთხილად! იმის ნაცვლად, გაჰიზვე ბულებს ხელი გამოგვიწოდონ, ხედავ, რა დღეში გვაგდებენ?! — მიმართა დეიდა ნატომ დისშვილს, თვალები ჭერს მიაპყრო და პირჯვარი გადაიწერა, — ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე ჩემი და და სიძე, მერმე მე ვიცი, არავის არ ვაპატიებთ ჩვენი ოჯახის აბუჩად აგდებას!

ლუკა მეორე ოთახში გაიპარა, დედა-ბრის ხმა რომ აღარ გაეგონა და გულ-აჩუყებულმა ფარულად მოიწმინდა ცრემლი. მარტოდ დარჩენილი დიდხანს ფიქრობდა და ოცნებობდა მშობლების დაბრუნებაზე. ცხადადაც კი წარმოიდგინა ის დღე, როცა ფრონტიდან დაბრუნებული მამა სამაგიეროს ღირსეულად მიუზღავდა დათიკო ბერიშვილს, თუმცა ბოლომდე ვერ გაეგო, რაში გამოიხატებოდა მათი ოჯახური ღირსების აბუჩად აგდება.

იმავე საღამოს, ანდუყაფარმა ლუკას-
გან რომ შეიტყო, დათიკო ბერიშვილმა
ბინების გაცვლის თაობაზე ისევ მოგვი-

გზავნა კაციო, ნაღვლიანად გაიღიმა და პარკების კეთება განაგრძო. ლუკა ორივე მკლავით დაყრდნობოდა მაგიდას და თვალს ადევნებდა ანდრუყაფარის თხელი თითების მოძრაობას. თითები გასაოცარი სისწრაფით და სიმარჯვით კეცავდნენ და აწებებდნენ ქაღალდის კიდეებს. ასეთივე სისწრაფით იზრდებოდა ანდრუყაფარის ხელმარჯვნივ მაგიდის კუთხეში დაწყობილი პარკების დასტა.

მაგიდაზე ნავთის პატარა ლამპა ბეუტავდა.

— ადამიანები საჭიროების მძიმე ბოროტებითა ვართ ერთმანეთს გადამბეულნი, — თქვა ანდრუყაფარმა, — საჭიროების მძიმე ბოროტებით... სამწუხაროდ ასეა... ადამიანთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ხარისხი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად გვირდებით ერთმანეთს. ხედავ, რა ხდება? მე შენ მეგობრად მიმაჩნისარ და ამავე დროს კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მაქვს იმ კაცთან, ვისაც თქვენი ოჯახისათვის ცუდი რამ განუზრახავს. წესით, მე უნდა მივაფურთხო და ეს ქაღალდებიც სახეში უნდა მივაყარო დათიკო ბერიშვილს. ეს კი არადა, ახლა აქ რომ შემოვიდეს, გავუღიმებ კიდეც და ხელსაც ჩამოვართმევ. თანაც კმაყოფილი დავრჩები, რადგან კეთილინება და მესტუმრა. რატომ? იმიტომ რომ ჩემი არსებობა იმ კაცზეა დამოკიდებული. ასეა... დათიკო ბერიშვილიც ვილაცაზეა დამოკიდებული და მიჯაჭვული, ის ვილაცა კიდეც სხვა ვილაცაზე და ასე გრძელდება ეს მძიმე ბოროტკილები.

ანდრუყაფარი ცოტა ხანს გაჩუმდა, ხელები დაასვენა. მერმე თქვა:

— თუმცა ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას არავითარი ღირებულება არა აქვს: ქრება საჭიროება, უმტკივნეულოდ წყდება ურთიერთობის ჯაჭვიც. ფასეულია მხოლოდ ნაღდი სიყვარული და მეგობრობა, ნაღდი, უანგარო, აი ისეთი, როგორი სიყვარულითაც მე შენ მიყვარხარ, ანდა როგორი მეგობრობითაც

შენ მე მმეგობრობ. შენ ხომ ჩემგან არაფერს გამოელი? ანდა რას უნდა შენ ოღე ჩემგან — ნახევარი კაცისაგან?!

ლუკას ახლაც აუჩუყდა გული და წასვლა დააპირა. მაგრამ როგორღაც შეიკავა თავი და არ აცრემლდა. ძალზე შეეცოდა მეგობარი, ამაზე არასოდეს არ უფიქრია, მხოლოდ ახლა უთხრეს და მიახვედრეს, რომ ანდრუყაფარი ნახევარი კაცია. რატომღაც დარცხვენილი შესცქეროდა ველოსიპედის ბორბლებიან სავარძელში უღონოდ მიწოლილს, რომელიც თავის მხრივ ნაღვლიანი ღიმილით დაპყურებდა საპარკე ქაღალდებზე უმოძრაოდ დაფენილ საკუთარ ხელებს.

— გაიგე, რაც გითხარი?

— რა ვიცი...

— თუ გინდა, უფრო გასაგებად გეტყვი.

— არა, არ მინდა, გავიგე. — რა თქმა უნდა, ლუკამ კარგად ვერ გაიგო, რაც ანდრუყაფარმა უთხრა.

— საჭიროება მძიმე ბოროტებით აკავშირებს ადამიანებს, მეგობრობა — უხილავი ძაფებით. მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს ამ უხილავ ძაფებს: ეს უხილავი ძაფი. შეიძლება, ისე გაწყდეს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ შენიშნო. — ანდრუყაფარი ერთხანს გაჩუმდა, მერმე თქვა: — ოო, ეს შემზარავია!

ისევ ჩამოვარდა ღუმილი. ღუმილი ახლა ლუკამ დაარღვია:

— ანდრუყაფარ, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერება?!

— რატომ მეკითხები?... საიდან დაგებადა ასეთი აზრი? — გაიცინა ანდრუყაფარმა.

— რა ვიცი...

— მაინც?

— ისე, მაინტერესებს.

— ეგ შეკითხვა ისე ძველია, ცოტა არ იყოს, ბანალურობის სუნიც ადის. ამ შეკითხვას ყოველთვის შეკითხვით პასუხობენ: ჯერ უნდა გავარკვიოთ, — რა არის ბედნიერებაო? ის რაც შენთვის ბედნიერებაა, შეიძლება სხვისთვის უბ-

ედურება აღმოჩნდესო. ბედნიერება სხვანაირი ცნებაა და ამიტომ გვაწვდის საუკუნეების მანძილზე...

ამ დროს ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა კარზე და ანდუყაფარს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— შემოდი! — დაუძახა ანდუყაფარმა.

კარი გაიღო და ოთახში ჯუჯა რუბენა შემოვიდა, ქოსა, დამჭკნარი სახე სიცვისგან მთლად გალურჯებოდა.

— გამარჯობათ!...— მიესალმა ოთახში მყოფთ, უზარმაზარი კეპი მოიხადა და ისევ დაიხურა. — უნდა წავიღო... იმუშავე?

— კი. — უპასუხა ანდუყაფარმა.

— სულ ეს არის? — იკითხა ჯუჯამ და მაგიდაზე დაწყობილ პარკების დასტას შეხედა.

— არა, მაგიდის ქვეშაა.

ლუკა მაგიდის ქვეშ შეძვრა და პარკების ორი დიდი შეკრულა გამოათრია.

— კარგად გიმუშავია! — შეაქო ჯუჯამ.

— ისე, რა.

— რამდენია?

— არ ვიცი, არ დამითვლია.

— მე დავთვლი, ხომ მენდობი?

ანდუყაფარმა გაიღიმა და ხელები გაშალა, ვითომ ეგ რა სათქმელიაო.

— გაიგეთ ახალი ამბავი? — ცბიერი ღიმოლით იკითხა ჯუჯამ.

— არა, რა მოხდა? — უცებ დაინტერესდა ანდუყაფარი.

— იზა დაიკარგა.

— იზა?

— ჰო! წუხელ არ მოსულა და დღესაც არ გამოჩენილა.

ანდუყაფარმა რატომღაც ლუკას შეხედა და მერმე ისევ ჯუჯა რუბენას მიაშტერდა.

— ძია ლადო გაგიყვებულობა. წუხელ არ სძინებია, დღესაც მთელი დღე ქუჩაში დაძრწის. — განაგრძო ჯუჯამ.

— იქნებ დედასთან წავიდა? — ეჭვი გამოთქვა ანდუყაფარმა.

— ეგ ძია ლადომაც თქვა. მაგრამ ავინ არ იცის, სად ცხოვრობს დედასთან.

— მილიციისათვის უნდა შეეტყობინებინა.

— შეატყობინა. ისინიც ეძებენ.

— რამე ხიფათი არ შეემთხვეს. ცოდვაა. კარგი გოგოა.

— კარგია, მაგრამ... ძნელი მოსავლეა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თვალი სულ გაქცევაზე უჭირავს.

— სად გარბის ეგ დალოცვილი?!

— ლუკა აქ არ იყოს, გეტყობი...

— ლუკა შენ პატარა ხომ არ გგონია, მაგან ჩვენზე მეტი იცის.

— ეგ გოგო, გინდაც დააბა არ გაჩერდება, — თქვა გამოცდილი კაცივით ჯუჯამ, — მე რას მომატყუებ, ტანზე ცეცხლი ეკიდება.

— ეგ მართალია! — დაუდასტურა ანდუყაფარმა.

— ვიცი და იმიტომ ვამბობ. მაგას ჩვენი ბიჭები მოუვლიდნენ, მაგრამ სად არიან? — ცოტახნით შეყოვნდა ჯუჯა და მერმე თქვა, — პეტოს დაღუპვის ამბავი მოვიდა.

— რას მეუბნები!

— პეტოც დაღუპულა და ჩოლახას ჯიბოც.

— პეტოცა და ჯიბოც?!

— ჰო!

— ამის დედა ვატირე! ნახე, რა ბიჭები წავიდნენ?!

— ეჰ! — ამოიოხრა ჯუჯამ. ორივე შეკრულას დაავლო ხელები და კარისკენ წაათრია.

— მოგეხმარები, — უთხრა ლუკამ.

— არ მინდა, მარტოც მოვერევი.

ჯუჯა წავიდა. ლუკამ კარი მიიხურა და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. ანდუყაფარი თავის სავარძელში მისვენებულიყო, თვალებდახუჭული, გამხდარი და ფერმკრთალი ლამპის შუქზე მიცვალებული.

არჩილ სულაპაშვილი
ლუკა

ბუღს ჰგავდა. ლუკამ ვეღარ გაუძლო სიჩუმეს და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ.

აივანზე ბნელოდა და ციოდა. სწრაფად შევარდა შუშაბანდში.

— რომელი ხარ? — იკითხა ოთახიდან დეიდა ნატომ.

— მე ვარ, ლუკა!

შუშაბანდშიც და ოთახშიც ისევე ბნელოდა და ციოდა, როგორც გარეთ. დეიდა ნატო უკვე ლოგინში იწვა, თუმცა ჯერ რვა საათიც კი არ იყო.

— ცივა, არა?

— კი, ძალიან.

— შენც დაწექი და ჩათბები.

— ლოგინში რა გამაჩერებს.

— გაიყინები.

— ანდუყაფართან უფრო თბილა.

— ყოფილიყავი იქ, რა გეჩქარებოდა?

— რა ვიცი. — ლუკამ ხელის ფათურით მიავნო საკიდს და პალტო ჩამოიღო.

— რას ბუჯურობ?

— არაფერს. ისევ გავალ ანდუყაფართან.

— კარგი. ოღონდ ნუ დაიგვიანებ.

ლუკამ პალტოში გაუყარა ხელები და აივანზე გავიდა. ანდუყაფართან დაბრუნება არც უფიქრია, მოაჯირთან მისულმა ეზოს გადახედა. ეზო, ისევე, როგორც მთელი ქალაქი, ცივსა და მღუმა-რე წყვდიადს მოეცვა. ეს სიბნელე ძალიან ახლო იყო ლუკასთანაც, იმდენად ახლოს, რომ სხეულზე ცივი ბეწვითაც ეხებოდა და თვალებზე თავის ფაფუკ, მაგრამ გაყინულ თათებს აფარებდა. ლუკას მოუსვენრობის გაურკვეველი გრძნობა აფორიაქებდა, აწრიალებული ადგილს ვერ პოულობდა. ხელის ფათურით ჩაათავა კიბეები და ეზოში ჩავიდა. სიბნელე და უკაცრიელი სიჩუმე აშინებდა და ამავე დროს თავისკენ ექაჩებოდა და იზიდავდა, როგორც ჭაობი. სიბნელე თითქმის რაღაცას ჰპირდებოდა, გაურკვეველის გარკვევას, შეუცნობელის შეცნობას. მაგრამ გული მაინც შიშით უფართხალებდა და სიბნელეში ნაცრისფერხალათიანი მამაკაცე-

ბი ელანდებოდა. ისინი წყვილ-წყვილად დადიოდნენ ეზოში. დინჯად საუბრობდნენ და საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს სიარულითაც, ხელების ქნევითაც და ნიფხვების თეთრი ტოტებითაც, რომლებიც ხალათის კალთებს ქვემოთ მოუჩანდათ.

ხელის ფათურით მიადწია რუბენას სამტრედიმდე. სამტრედისთვის ხელი არ გაუშვია, ისე გახედა ძია ლადოს შუშაბანდს. ფანჯრები ძალზე მკრთალად იყო განათებული, ეტყობა ოთახში ლამაზ ბუჯუტავდა და მისი სუსტი შუქი შუშაბანდშიც ჟონავდა. დამბული ცნობის-მოყვარეობისაგან გული გამალებით უცემდა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო რა ხდებოდა იქ, ძია ლადოს ოთახში. თუმცა ამ გაყინული, მკრთალი შუქის მიხედვით, ეტყობა, მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. ალბათ იზა ვერ მონახეს ანდა ძია ლადო ჯერ არ იყო დაბრუნებული.

— პატარა ბიჭო, ერთი წუთით მოდი აქ. — დაუძახა ვიდაცამ სულ ახლოდან ლუკას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები წყნარად, თითქმის ჩურჩულით იყო ნათქვამი, ლუკას შიშისგან გული გადაუქანდა და მუხლები მოეკვეთა. უცებ ცახცახმა აიტანა და ძლივძლივობით შეიკავა თავი, კინაღამ იქვე ჩაიკეცა. მართალია, ლუკას ამჟამად რუსულად მიმართა ვიდაც ქალმა, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, თითქმის მთვარისა ეძახდა.

— ნუ გეშინია, პატარა ბიჭო...

— ვინა ხარ? — ჰკითხა შემინებულმა ლუკამ, თან გაიფიქრა: ამ სიბნელეში რას ხედავს, რა იცის ახლა ამან, პატარა ვარ, თუ დიდო.

— გეტყვი ვინცა ვარ... ოღონდ ნუ ყვირი. — როგორც ჩანს, უცნობი ქალი ცაცხვის ქვეშ, სკამზე იჯდა ანდა შესაძლებელია იდგა კიდევ. ხმამაღლა ლაპარაკს აშკარად ერიდებოდა, ჩურჩულით მიმართავდა ლუკას.

სიბნელეში ფოსფორისფრად ორი წერტილი აინთო კატის თვალებივით და

მაშინვე ჩაქრა. ლუკას ეგონა, რომ იქვე მაგიდაზე კატაც მოკალათებულიყო და ლუკას მისჩერებოდა თავის მრგვალი თვალებით.

— კარგი, — თქვა ქალმა. — თუ გეშინია ნუ მოხვალ. ჩემთვის სულერთია, მანდ იდგები, თუ აქ მოხვალ, ეს ერთი სიკეთე მომანიჭა ღმერთმა, მე დღეცა და ღამეც ერთნაირად ვხედავ, ერთნაირად ვარჩევ საგნებს. მე ახლა ვხედავრა შეშინებული შემომტყეპი. შენ გეშინია ჩემი, მაგრამ მე გეუბნები, ნუ გეშინია-მეთქი. მე კეთილი ადამიანი ვარ, შეიძლება ყველაზე კეთილიც მთელს ქვეყანაზე, ჩემს გულში ნამცეციც არ არის სიავისა და ბოროტებისა. მე ეს-ესა მოვიყვანე თქვენი მეზობელი იზა, რომელსაც ორი მთვრალი მამაკაცი ჯანდაბაში მიათრევდა. თვითონაც მთვრალი იყო და არაფრის თავი აღარა ჰქონდა. მთვრალ კაცებს გამოვგლიჯე ხელიდან იზა და შინ მივიყვანე. იმდენად იყო გონებადაკარგული, ძლივს მიაგნო საკუთარ სახლს. მაგრამ სიკეთე ვის დაუფასეს, ჩემთვის რომ დაეფასებინათ. მათ ქალიშვილს მოეუარე და შინ ხელუხლებელი მოგვყარე. მაგრამ მადლობის ნაცვლად მოხუცებმა გამომაძევეს, როგორც ქუჩის მაწანწალა, ისე გამომაგდეს. სიტყვა არ მათქმევინეს. ალბათ იზას მეგობრად მიმიღეს და ეგონათ, ეს დღეები მასთან ერთად გავატარე. მე სულაც არ ვიცნობ იზას, დღეს სრულიად შემთხვევით წავაწყდი... — ქალი გაჩუმდა და სიბნელეში კიდევ ერთხელ გაიღვია კატის თვალებმა.

ლუკა ოდნავ დაამშვიდა ქალის საუბარმა, მაგრამ ახლოს მისვლას მაინც ვერა ბედავდა.

— ერთი რამ უნდა გთხოვო, პატარა ბიჭო. მე ღამის გასათევია არა მაქვს და იქნებ ვინმემ გამათევინოს ერთი ღამე. ძალიან ცივა და გარეთ რომ დავრჩე, გავიყინები. ხვალ დილით კი ჩემს გზას მოვნახავ და წავალ. მეგონა, ისინი მადლობის სანაცვლოდ ერთი ღამით შემეფარებდნენ მაინც, მაგრამ ცხვირწინ

მომიხურეს კარი. არც ვამტყუნებ, რადენად იყვნენ ადელგებულები და რაზებულები ზედაც არ შემომხედდეს... ნუთუ ამხელა სახლში ჩემთვის არავის არ ექნება პატარა კუთხე? მე ლტოლვილი ვარ, მთელი უკრაინა თითქმის ფეხით გამოვიარე... — ქალი ისე გაჩუმდა, თითქოს უცებ ხმა დაკარგა.

— კარგი. — უთხრა ლუკამ, — ახლავე წავალ და ვეტყვი დეიდაჩემს, თუ დამთანხმდა, დაგიძახებ. ცოტახანს მომიცადე.

— მოგიცდი, აბა, რას ვიზამ?! მე აქედან ფეხის გამდგმელი არა ვარ. ქუჩაში გასვლა უკვე აღარ შეიძლება.

— თუმცა, თუ დეიდამ არა ქნა, ჩემს მეგობარს ვეტყვი. წამომყვები?

— რატომაც არა?! სხვა რა გზა მაქვს?!

— წამოდი.

ლუკამ ფეხის ხმით იგრძნო ქალის მოახლოვება.

— მომეცი ხელი, — უთხრა ქალმა, — შენ ალბათ სიბნელეში სიარული გიჭირს.

ლუკამ პალტოს ჯიბიდან ხელი ამოიღო და გაუწოდა.

— აქეთ წავიდეთ.

— საით, კიბისკენ?

— ხო, კიბისკენ.

ლუკას რატომღაც ეგონა ქალს ცივი, გაყინული ხელი ექნებოდა. იგი ბრმასავით მიენდო ქალის დიდსა და თბილ ხელს. კიბესთან მისულმა ხელი გაითავისუფლა და სირბილით აჰყვა კიბეს. პირველ სართულზე ოდნავ შეყოვნდა. უკან მიხედა სიბნელეს და მეორე სართულის კიბეც აირბინა. ანდუყაფარის ოთახში ისევ ბუტბავდა ღამა. კარის წინ შეჩერდა და უცნობ ქალს დაელოდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, სულ მალე კიბიდან აივანზე ამოიზარდა ქალის მაღალი სილუეტი. ლუკა გაოცდა, ვერც კი წარმოედგინა თუ ის ქალი

არჩილ სულაბაური
ლუკა

ამსიმაღლე იყო ანდა ამსიმაღლე ქალს
თუ ასეთი წყნარი და დამამშვიდებელი
ხმა ექნებოდა.

ქალი კიბესთან გაჩერდა და სვეტს მი-
ეყუდა.

— ახლავე გამოვალ. — უთხრა ლუ-
კამ და ოთახის კარი ფრთხილად შეაღო.

ანდუყაფარმა ირიბად გამოხედა და
გაუღიმა. მაგიდა მიელაგებინა, ლამპის
შუქზე წიგნს კითხულობდა.

— შენა ხარ ლუკა, მე მეგონა, დასა-
ძინებლად წახვედი.

— არა. ეზოში ვიყავი.

— ეზოში? რა გინდოდა ეზოში?

— რა ვიცი...

— ო, რა ტურა ხარ! რას დაეხეტები
ამ ღამით?

— ანდუყაფარ, გარეთ ერთი ქალია,
ღამისგათევას თხოულობს.

— ქალი? — გაუკვირდა ანდუყაფ-
არს. მარჯვენა ბორბალს ხელი წაავლო
და სავარძელი კარისკენ შეაბრუნა.

— რა ვიცი, იზა მოუყვანია თურმე,
შემთხვევით შეხვედრია ქუჩაში. ვიღაც
კაცებს მთვრალი მიჰყავდათ თურმე და
არ გაუყოლებია.

— ეს კაცი გამაგიჟებს! ეგეც მთვრა-
ლია?!

— არა. თუ შენ არ შეგიძლია, დეიდა
ნატოს გავაღვიძებ.

— აბა, შემოიყვანე, ერთი ვნახო ვინ
არის?

ლუკამ კარი გამოაღო, ქალი იქვე იდ-
გა მოაჯირის სვეტს მიყრდნობილი.

— შემოდით! — დაუძახა ლუკამ და
თვითონ განზე გადაგა.

უცნობი ქალი შემოვიდა.

— გამარჯობათ! — შემოსვლისთანავე
მიესალმა ანდუყაფარს და კარი მიიხუ-
რა.

მას ძველი, გაცვეთილი ჩექმები ეც-
ვა და ასევე ძველი, დაბამბული ხაკის
მოკლე ქურთუკი. თეთრი ხილაბანდით
თავი ისე ჰქონდა წაყრული, კაცს თმ-
გადაკრეჭილი ეგონებოდა. ახლადშემო-
სულმა ოთახი მიმოათვალიერა, მერმე
ლუკას გადახედა და გაიღიმა.

— სამწუხაროდ მამაკაცების საზოგადოებაში მოვხვდი. ალბათ უხერხულად
იქნება თქვენთვისაც და ჩემთვისაც, აქ
რომ გავათიო ღამე.

— დაბრძანდით. თუ თქვენ მართლა
არა გაქვთ ღამის გასათევი, რაღაცას
მოვიფიქრებთ.

— გმადლობთ.

— ქურთუკი გაიხადეთ. მე მეგონი ამ
ოთახში არც ისე ცივა.

— რა თქმა უნდა... ოღონდ...

— ნუ გერიდებათ, გაიხადეთ... მოში-
ნაურდით...

— გმადლობთ.

— ლუკა, გამოართვი.

ლუკამ ქურთუკი გამოართვა და იქვე
კართან, ლითონის საკიდზე დაკიდა. რო-
დესაც მობრუნდა, დაინახა: უცნობი ქა-
ლი ოთახის კუთხეში მარმარილოს პირ-
საბანის ოვალურ სარკეში იხედებოდა.
თეთრი ხილაბანდი თავიდან გადაიძრო
და ხშირი, კუპრივით შავი თმა მხრებ-
ზე ჩამოაწვა. მერმე მაგიდისკენ უხერ-
ხულად გაემართა, სკამი გამოაჩოჩა და
დაჯდა. ხილაბანდი მუხლებზე დაიფინა
და ზედ ხელები დააწყო. ლუკამ ისიც
შენიშნა, ანდუყაფარი გაოცებულ მზე-
რას არ აშორებდა, ერთავად სტუმარს
მისჩერებოდა და ენაჩავარდნილივით
ხმას ვეღარ იღებდა.

— მე წავალ. — თქვა ლუკამ.

— სად წახვალ? — მოუბრუნდა ან-
დუყაფარი. — ნავთქურაზე ჩაიდანე და-
დგი. რაღაცით ხომ უნდა გავუმასპინ-
ძლდეთ სტუმარს? შენც გაიხადე პალ-
ტო!

ლუკამ პალტო გაიხადა და დაფაცურ-
და. ნავთქურა აანთო და ზედ ჩაიდანე
შედგა.

ანდუყაფარმა, როგორც იქნა, თვალი
მოსწყვიტა სტუმარს. ჩაფიქრდა, მერ-
მე თავისი სავარძლით რატომღაც გაი-
სეირნ-გამოისეირნა ოთახში და ისევ
მაგიდასთან მოაგორა.

— მართლა, უხერხული ხომ არ არის,
ჩემი აქ ყოფნა? — იკითხა სტუმარმა.



— არა... არა... — უბასუხა ანდუყაფა-
მა.

— იცით, რა... თუ...

— მე მგონია, დროა, გავიცნოთ ერთ-
მანეთი. ეს ლუკაა, მე — ანდუყაფარი.
თქვენ რა გქვიათ?

— ბოგდანა... ბოგდანა ვაიდა.

— სახელისა და გვარის მიხედვით
უკრაინელი უნდა იყოთ?

— დიახ! ბორისლავში დავიბადე და
გავიზარდე.

— ლტოლვილი ხართ, ალბათ?

— დიახ!

— თბილისში დასახლდით?

— არა, მცხეთაში.

— ალბათ მცხეთაშივე მუშაობთ სა-
დმე?

— როგორ გითხრათ... ჩვენს დროში
ამის თქმა ცოტა უხერხულად მოგჩვენ-
ება კაცს... რას იზამ... მე მოლოზანი
ვარ.

— მოლოზანი?

— დიახ.

— განა მცხეთაში არსებობს მოქმედი
მონასტერი?

— რა თქმა უნდა.

— ეგ კი არ ვიცოდი. სად არის, რო-
მელ ადგილას?

— ზედ სადგურის თავზე. რკინისგზის
გადაღმა. აქედან რომ მიდიხართ, ხელ-
მარცხნივ. მთების უბეშია მიმალული
და ქვემოდან არა ჩანს.

— ბორისლავშიც მოლოზანი იყავით?

— არა. ტექნიკუმი დავამთავრე და
მოანგარიშედ ვმუშაობდი, საფეიქრო
არტელში.

— მერე აქ რამ გაიძულათ მოლოზანი
გამხდარიყავით?

— იცით რა, მამიდაჩემს წამოვყევა
ზურგში, მამიდაჩემსა და მის მეგობ-
რებს... ისინი ყველანი მოლოზნები არ-
იან. ტანჯვითა და წვალებით მოვალწი-
ეთ საქართველოს... საშინელი დღეები
გდავიტანეთ. დავრდომილები ჩამოვე-
დით. ცოტა რომ მოვკობინდი, მაშინვე
მოლოზნად აღმკვეცეს.

— რატომ დათანხმდით?

— იმიტომ რომ ქვეყნად სხვა საშ-
ველს ვერ ვხედავდი. ერთადერთი
სულის ხსნისათვის ღმერთი მიმაჩნდა...
თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, მე რა
გადავიტანე.

— რა თქმა უნდა, ვერ გაგიგებ, მაგ-
რამ წარმოდგენით მაინც შემიძლია წა-
რმოვიდგინო.

— ძნელია.

— ძნელია, ვიცი.

— ზვალ დილამდე რომ არ დაბრუნ-
დებით, თქვენები ალბათ იღარდებენ?

— ალბათ... მაგრამ საქმე ისაა, რომ მე
არც ზვალ და არც ზეგ არ ვაპირებ დაბ-
რუნებას.

— მაშ როდის დაბრუნდებით?

— არასოდეს!

— არასოდეს?

— არასოდეს!

— რატომ?

— აღარ შემიძლია იქ ცხოვრება...

— აკი სულის ერთადერთ ხსნად ღმე-
რთი მიგაჩნდათ?

— ახლაც მიმაჩნია, მაგრამ ამისათვის
სრულებით არ არის საჭირო მონასტე-
რში გაატარო შენი დღე და მოსწრება.
გარდა ამისა, მე ვერ ვეგუები ზოგიერთ
ქრისტიანულ დოგმას. მე ისინი არ შე-
მიმომწმებია ცხოვრებაში, შეუმომწმებ-
ლად ვცადე მათი მიღება, მაგრამ ყოვე-
ლთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ
მათდამი შინაგან წინააღმდეგობას, რაც
სულს მიბზარავს.

— მაშ, რას აპირებთ?

— ალბათ ვიშოვი სადმე სამუშაოს.
ოღონდ მცხეთაში არა. იქ ჩვენები მომ-
ნახავენ და უკან დამაბრუნებენ.

— წყალი აღუღდა! — განაცხადა
ხმადბლა ლუკამ.

— აბა, კარგად ყოფილა საქმე! გავა-
წყოთ სუფრა და დავბატიყოთ ღვთით
მოვლენილი ჩვენი სტუმარი. — გაიღმა
ანდუყაფარმა და თავის სავარძელი
სწრაფად მიაგორა კარადასთან.

არჩილ სულაბაური
ლუკა

— მეც მოგეხმარებით. — წამოდგა ბოგდანა.

— იმდენი არაფერი გვაქვს, თქვენი დახმარება რომ დაგვჭირდეს.

— მაშინ ხელებს მაინც დავიბან, დილიდან არ დამიბანია.

— ლუკა, არის წყალი პირსაბანში?

— კი, წელიდან ჩავასხი.

ბოგდანა მარმარილოს პირსაბანისკენ გაემართა. ვიდრე ხელებს დაიბანდა, სარკეში ჩაიხედა და თმა შეისწორა. მერმე ნაღვეს სარკეცხი საპონი აიღო და ხელების ბანას შეუდგა. ანდუყაფარმა და ლუკამ ამასობაში სუფრა გააწყვეს, მაგიდაზე სამი თეფში, სამი ფინჯანი, სამი კოვზი და ერთი საშაქრე დაალაგეს. ბოგდანამ ხელები პირსახოცზე შეიმშრალა და მაგიდას დაუბრუნდა.

— ჩაი დაგვიწყებია. — თქვა ანდუყაფარმა, როცა მაგიდას გადახედა.

ლუკამ ფაიფურის ჩაიდანი მოიტანა და ჩაის ნაყენი ჩამოასხა ფინჯნებში.

— აბა, საშაქრეში ჩაიხედე, ლუკა, დაგვრჩა რამე.

ლუკამ საშაქრეს ხუფი მოხადა და ჩაიხედა:

— სამი „ბალიშილაა“.

— ხედავ რა სამართლიანია ღმერთი. — გაიღიმა ანდუყაფარმა და ბოგდანას გადახედა, მერმე ლუკას მოუბრუნდა, — მე და შენ ხომ ვერაფრით ვერ გავიყოფდით სამი „ბალიშს“. შეიძლება, ჩხუბიც მოგვსვლოდა. ახლა კი უმტკივნეულოდ შეგვიძლია გავინაწილოთ.

ლუკამ ჩაიდანი გადმოდგა და ნავთქურას სული შეუბერა, ჩააქრო. ნავთქურიდან კვამლი ამოვარდა და ოთახში წამსვე გაიჟლინა ნავთის მძაფრი სუნით.

— რა საზოხდარი ნავთია! — თქვა ანდუყაფარმა.

სამივენი ჩაის სმას შეუდგნენ. სამივენი ფრთხილად კვნეტდნენ კანფეტს და ცხელ, სურნელოვან სითხეს აყოლებდნენ.

ის ღამე ანდუყაფარმა ლუკასთან გაათია.

როდესაც ანდუყაფარი ლუკას ოთახში შესრიალდა თავისი სავარძლიანად, დეიდა ნატოს გაეღვიძა და დაფეთებულმა წამოიძახა: რა ამბავია, რა ხდებაო? ლუკამ და ანდუყაფარმა დაამშვიდეს. — ისეთი არაფერიო და უთხრეს, რაც მოხდა. დედაბერი სწრაფად წამოიჭრა ლოგინიდან და ლამპის ანთება მოითხოვა.

ლამპა ლუკამ აანთო.

— იცით, რა ჩაიდინეთ ახლა, თქვე სულელებო?! — მიმართა დეიდა ნატომ ორივეს. — როგორ შეიძლება უცხო ადამიანის ოჯახში მარტო დატოვება? ვითომ არ იცით, რა უკუღმართი დროა, არათუ უცხოში, ძმა ძმას აღარ ენდობა ახლა...

დეიდა ნატომ დიდხანს ილაპარაკა უკუღმართ დროსა და გულუბრყვილო ადამიანთა ნდობაზე. რამდენიმე დამაჯერებელი მაგალითიც გაიხსენა, თუ რა ბოროტად გამოიყენეს ვიღაც გარეწრებმა კეთილი და გულუბრყვილო ადამიანთა ნდობა, მაგრამ ანდუყაფარს მაინც ვერ ააღებინა განზრახვაზე ხელი. მირჩევნია გამქურდოს. ვიდრე ახლა სახლიდან გავაქევო, თქვა ანდუყაფარმა. აღდგომა და ხვალეო! — მიუგო დეიდა ნატომ.

ლუკას ეგონა, ანდუყაფარი შუშაბანდში დაწვებოდა ტახტზე, მაგრამ ანდუყაფარმა თავის სავარძლიდან გადმოსვლა არ მოინდომა. — ასევე დავიძინებ, ოღონდ ჩემი საბანი დამაფარე და კარგად შემომიკეცეო.

ლამპა კამოდის თავზე შემოდგა ლუკამ. წინა ოთახში დეიდა ნატო ისევ ბუზღუნებდა უკმაყოფილოდ. ბუზღუნი კარის მიხურვისთანავე შეწყვიტა, ყოველ შემთხვევაში არც ლუკას და არც ანდუყაფარს აღარ გაუგონიათ.

— დავიძინოთ. — თქვა ანდუყაფარმა.

— ახლავე ჩავაქრობ ლამპას. — ლუ

კა კარადისკენ წავიდა ლამპის ჩასაქრობად.

— ჯერ საბანი შემომიკეცე. აი აქ, ბეჭებთან ცოტას მიბერავს.

ლუკამ საბანში კარგად შეფუთნა ანდუყაფარი და ლამპა ჩააქრო. სიბნელეში თავის საწოლს მიაგნო და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. მერმე შეწვა გაყინულ ლოგინში და კარგა ხანს იწრიალა, სანამ ბალიში და საბანი მოირგო. იგი გახარებული და აღვზნებული იყო. ოვდაბირველად თვითონაც არ იცოდა, რატომ იყო ასერიგად გახარებული და ავზნებული. შემდეგ კი ფიქრებში თანდათან გამოიკვეთა ამ სიხარულისა და ავზნების მიზეზი. ძილი არ ეკარებოდა; თანაც ერთი სული ჰქონდა ანდუყაფარს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ სავარძლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა და ახლად მიძინებულს გაღვიძება ვერ გაუბედა.

ლუკას უკვე იმედის ნაპერწკალი უღვივოდა გულში. თუკი ბოგდანამ მთელი უკრაინა გამოიარა და გადარჩა, რატომ არ შეიძლებოდა დედამისიც ასევე გადარჩენილიყო? მას ანდუყაფარისგან გაგონილი ჰქონდა, რომ ლტოლვილთა უმრავლესობა ყველა სახის ტრანსპორტით სხვადასხვა მხარეს დაიძრა ემელონებად წინა ხაზიდან ზურგისაკენ. ამ იმედიანი აზრის შემოწმება უნდოდა ანდუყაფართან საუბრით, მაგრამ ანდუყაფარს სამწუხაროდ, ეძინა.

კარგა ხანს იწრიალა და იბორგა ლოგინში, ეტყობა, რამდენიმე სიტყვაც წამოსცდა ხმამაღლა, რადგან ანდუყაფარი შეიშმუშნა და გამოელაპარაკა:

— რა მოგივიდა, ლუკა, რატომ არ გძინავს?

— რა ვიცი, არ მეძინება, ხომ არ გაგაღვიძე?

— არა, არც მე მეძინება. ამ ბოლო დროს რაღაც მეშარებდა. ლუკა, შენს წინაშე დამნაშავესავით ვგრძნობ თავს. მაშინ ხომ გახსოვს, მთვარისაზე ფიქრი რომ ავიკრძალე? მერმე მე თვითონ ვფიქრობდი ჩუმ-ჩუმად. ახლა ისე მეჩ-

ვენება, თითქოს შენს სამყაროში შემოვიკერი დაუკითხავად და რაღაც წაგართვიო.

ლუკამ არაფერი უპასუხა, რადგან ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „შენს სამყაროში შემოვიკერი დაუკითხავად და რაღაც წაგართვიო“.

— ასე გითხრა, არა, სხეული თოთხმეტ ნაწილად მერღვევა და თვითეული ნაწილი განსხვავებული ტკივილით მტკივაო?

ლუკა ჯერ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ანდუყაფარი. მერმე უცებ მთვარისა გაახსენდა.

— კი, ასე მითხრა.

— ეს ტკივილები მერმე მთვარეს დაუკავშირა — მთვარეც თოთხმეტ ნაწილად ირღვევაო?

— კი, ეგრე თქვა. თუმცა ეგ არ მახსოვს, თქვა თუ არა.

— რა საოცარია? შენ იცი, რომ ეს მართლაც არის დაკავშირებული მთვარის კლება-მატებასთან. მთვარე ხომ ზუსტად თოთხმეტ დღეს ანდომებს დამკლევებას და თოთხმეტ დღეს გავსებას?!

ანდუყაფარი გაჩუმდა. კარგახანს სდუმდა, თითქოს მოელოდა, რას ეტყოდა ლუკა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნათქვამმაო. მაგრამ ლუკას ხმა არ გაუღია, რადგან შინაგანად არ დაუჯერა ანდუყაფარს. მისმა გონებამ ვერ გაიაზრა, ადამიანის ტკივილები როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული მთვარესთან.

— ხშირად ვფიქრობდი მთვარისაზე, ისე ხშირად, რომ... ზოგჯერ ცოცხლადაც კი წარმოვიდგენდი ხოლმე... დარწმუნებული ვარ, მთვარისა მისი ნამდვილი სახელი არ არის. ეგ სახელი თვითონვე დაირქვა. იცი...

— არ არსებობს მთვარისა! — შეაწყვეტინა ლუკამ თითქოსდა ხმამაღალი ფიქრი ანდუყაფარს. იგი მოულოდნელად გაღიზიანდა.

არჩილ სულაპაური
ლუკა

— როგორ თუ არ არსებობს?! —
გაოცდა ანდუყაფარი.

— ამასწინათაც ვიყავი იქ.

— სად?

— სადა და საგიჟეში.

— მერმე?

— არ არსებობს მთვარისა!

— იქნებ იმ დღეს ვერ ნახე?..

— არა! მოხუცმა დარაჯმა მითხრა, —
აქ არავითარი მთვარისა არ ცხოვრობსო.

— იქნებ შეცდა?! აჩვენე ის ფანჯარა?

— კი. ეს სამრეცხაოს ფანჯარააო,
ასე თქვა.

— ალბათ დაგიმალა?

— ასე მითხრა: აქ ყველას ვიცნობო,
აქ ოცდაათი წელი ვმუშაობ და არავი-
თარი მთვარისა არ გამიგონიაო.

— შენ ხომ ნამდვილად ნახე მთვარი-
სა?

— რა ვიცი.

— ეს ბიჭი გამაგიჟებს! შენ ხომ მთვა-
რისას ვერ მოიგონებდი?! ნამდვილად
ვერ მოიგონებდი!

— რა ვიცი.

— რას ჰქვია, რა ვიცი! შენ ხომ ნამ-
დვილად ნახე მთვარისა?!

— მე მგონია, ვნახე.

— ლუკა, იქნებ ფანჯარა შეგეშალა?

— შეიძლება, შემეშალა.

— აბა, კარგად დაფიქრდი!

— არა, არ შემშლია.

— კარგად დაფიქრდი-მეთქი!

ლუკა დაფიქრდა, მაგრამ მთვარისას
ნაცვლად თვალწინ ის ორი ნაცრის-
ფერხალათიანი მამაკაცი დაუდგა, ნახე-
ვრადბნელ ღერეფანში დინჯად რომ და-
სეირნობდნენ. მოდი, ამათ შესახებაც
ვუამბო ანდუყაფარსო, — გადაწყვიტა,
მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, — არ ღი-
რსო. ლუკა არ მოელოდა, თუ ანდუყა-
ფარს ეს ახალი ცნობა მთვარისაზე ასე-
თნაირად შეაშფოთებდა. ანდუყაფარის
შეშფოთება მისთვის აუხსნელი რჩებო-
და და გრძნობდა, ამის გამო უფრო მე-
ტად ღიზიანდებოდა.

— არ არსებობს მთვარისა!

ანდუყაფარი ხმას აღარ იღებდა. შე-
საძლებელია, ძილს თავი ველაშტავდაო.
თვა და ჩასთვლიმა.

ლუკა დარწმუნებული იყო, მთელი
ღამე ბოგდანაზე ილაპარაკებდნენ, რა-
დგან მისმა გამოჩენამ ძალზე უცნაური
შთაბეჭდილება დაუტოვა. მაშინ ყურა-
დღება არ მიუქცევია, მხოლოდ ახალა
აღნუსხა მეხსიერებაში, ბოგდანას გამო-
ჩენისთანავე როგორ გადასხვაფერდა
ანდუყაფარი, შეეცვალა ხმაც, სახეც,
ლიმილიც. ხელები უთრთოდა, რამდენ-
ჯერმე ჩაიკ კი დაღვარა. ცდილობდა,
მხიარული ყოფილიყო და როგორღაც
არ გამოუდიოდა...

მერმე უცებ სინდისის ქენჯნაც იგრძ-
ნო: მაიკო უკვე მეორე კვირაა, ავად არ-
ის და ერთხელაც არ მივედი სანახავე-
დო. ისიც კი არ იცოდა, რა სჭირდა, რი-
თი იყო ავად. ხვალვე წავალ და ვინახუ-
ლებო, — გაიღიმა კმაყოფილმა იმით,
მაიკო რომ მოაგონდა. მერმე გაიხსენა,
როგორ აკოცა სასაფლაოზე და როგორ
მოდრიდნენ სვანეთის უბანში ხელი-
ხელჩაკიდებულები. როცა გავიზრდები,
უსათუოდ ცოლად მოვიყვანო, ამ
მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ იმ-
დენად გააოცა, რომ კინაღამ დაუსტივი-
ნა კიდეც. მერმე თვალნათლივ დაინახა:
მაიკო თავის საყვარელ ტახტზე გულა-
ლმა იწვა ჰერს მიშტერებულთ. ამ ხი-
ლვამ ისევ ნეტარი ღიმილი მოჰგვარა და
სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა
მთელს სხეულს. ის დღე ხშირად აგო-
ნდებოდა ლუკას და ყოველთვის სხვადა-
სხვა გუნებაზე აყენებდა, ზოგჯერ აღე-
ლევებდა, ზოგჯერ ამშვიდებდა, ზოგჯერ
თრგუნავდა. ამჯერად გამაბრუებელი
ნეტარება იგრძნო...

ღილით დეიდა ნატოს კივილმა გამო-
აღვიძა. დაფეთებულმა გაახილა თვალები
და ირგვლივ მიმოიხედა: ანდუყაფა-
რი ოთახში აღარ დახვდა, უჩუმრად წა-
სულიყო. დეიდა ნატო გულშემშარავად
კიოდა. ვაითუ, ბოგდანამ გაძარცვა ან-
დუყაფარიო. — გაიფიქრა ლუკამ და მა-
შინვე წამოხტა, საბანი მოიხურა და ოთ-
ახში გამოვარდა.

დეიდა ნატო ტანტზე იჯდა, ხელებს თავში იცემდა და სახეს იკაწრავდა: ანდუყაფარი და ბოგდანა თავზე ადგნენ, ლუკა უცებ მიხვდა, ბოგდანა არაფერ შუაში იყო. რაღაც ახალი უბედურება დასტყდომოდათ თავს.

ანდუყაფარი და ბოგდანა დეიდა ნატოს ამოდ ამშვიდებდნენ. დეიდა ნატო ტანტზე დამხო. ხმამაღლა ტიროდა და სუსტი, გამხდარი მხრები საცოდავად უტანცარებდა.

— რა მოხდა?! — იკითხა შეძრწუნებული ლუკამ.

ლუკას არც ერთმა არ მიაქცია ყურადღება. არც ანდუყაფარმა, არც ბოგდანამ, ისინი დეიდა ნატოს დამშვიდებას ცდილობდნენ და, შესაძლოა, ლუკას ხმა არც გაუგონიათ. მაგრამ ლუკა ისეთი ბიჭი არ გახლდათ, რომ მათი წაყრუება დაეჯერებინა. აშკარა იყო, ერთმაც და მეორემაც პასუხს თავი აარიდა. ლუკას გულში წედან შეპარულმა პატარა ექვმა ახლა უკვე მთელი ძალით იფეთქა და სულითხორცამდე შეარყია, ერთხანს სმენაც, ხმაცა და მხედველობაც დაუკარგა. მერმე გონს მოეგო, თავის ოთახში შებრუნდა და ასევე საბან-მოხურული საკუთარ საწოლზე ჩამოჯდა. „ეტყობა ცუდი ამბავი გაიგო. — ფიქრობდა ლუკა, — ალბად დედა... დეიდა ნატო მამაზე ასე არ მოიკლავდა თავს... თუმცა არა... დეიდა ნატო ახლა“... ფიქრის დასრულება არ დასცალდა, ოთახში ბოგდანა შემოვიდა. იგი ლუკას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და მის წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ლუკა, ცუდი ამბავი მოვიდა... ძალზე სამწუხარო... ჯერ ვიფიქრეთ, არ გაუუმხილოთ-თქო, მაგრამ შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ... — დაიწყო ბოგდანამ.

— დედა? — შეაწყვეტინა ლუკამ.

— არა! — მოკლე შეკითხვას მოკლედვე უპასუხა ბოგდანამ და გაჩუმდა. მერმე, წამოდგა, გულხელდაკრეფილი ერთხანს ბოლოს სცემდა.

წინა ოთახში მიწყდა დეიდა ხმა, ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა.

— ლუკა, ძალზე ცუდი ცნობაა, მაგრამ გონიერმა კაცმა ასეთ ქაღალდებს ბოლომდე არ უნდა დაუჯეროს... იცი, რას გეტყვი ლუკა, მე ჩემი თვალით ვნახე, რაც იქ ხდება და პირდაპირ გეტყვი: არ არსებობს ქვეყანაზე ძალა თუ საშუალება, რომელსაც ჯერჯერობით ზუსტად შეეძლოს იმ ჯოჯოხეთში დატრი-ალებულ უბედურებათა აღნუსხვა. მიდი და გაიგე, ვინ გადარჩა, ვინ დაიღუპა და ვინ ტყვედ ჩავარდა...

კარი შეშფოთებულმა ანდუყაფარმა შემოაღო.

— ბოგდანა, მოდი, მომეხმარეთ! ლუკა, სწრაფად ჩაიცი და მეზობლებს დაუძახე, დეიდაშენი ცუდად გახდა!

ბოგდანა სწრაფად გავიდა. ლუკამ ხელდახელ ჩაიცვა და ისიც სირბილით გაიქრა წინა ოთახში. დეიდა ნატო ტანტზე გულაღმა იწვა, მძიმედ სუნთქავდა, სახეზე აღარ ედო სააქაო ფერი.

ლუკამ ორიოდ წუთში შეჰყარა მეზობლები. ტანტზე უღონოდ მისვენებულს ნიშადურის სპირტი აყნოსეს, საფეთქლები დაუზილეს. ემა, ჯუჯა რუბენას და, მაღი-მაღ უცვლიდა ცივი ტილოს და შუბლზე აფენდა.

„რა მეშველება?“ ფიქრობდა თავგზადაბნეული ლუკა. იგი მეორე ოთახში გამოსულიყო და მარტო დაბოდიხობდა.

ფანჯარას მიადგა და ქუჩაში გაიხედა. ვეტერინარული კლინიკის რკინის ჭიშკართან ფორანში შებმული ჯაგლაგა ცხენი მოწყენილი იდგა. გამოიარა მოხუცმა კაცმა: ცხენს მოხედა, ერთხანს უყურა და წავიდა. ფორანზე ორი ბელურა დაფრინდა. ბელურებმა რაღაც აკენკეს და ისევ აფრინდნენ, იქვე ორსართულიანი სახლის პარაპეტზე შემოსხდნენ. მეორე სართული ფანჯრები შიგნიდან დარაბებით იყო დაგმანული. ჯაგლაგა ცხენთან ახლა ორი სამხედრო პა-

არჩილ სულაპაური
ლუკა

ტრული შეჩერდა, ორივემ კარგახანს ათვალიერა ცხენი, ერთმა გავაზეც კი დაჰკრა ხელი. ცხენი არ განძრეულა. მერმე პატრულებიც წავიდნენ. ვეტერინარული კლინიკის ეზოდან გამოვიდა ქალი, წყლით სავსე ვედრო გამოიტანა. ქალი ორსართულიანი სახლის ხის ჭიშკარში შეიმაღა. ხმაურით ჩაიქროლეს ტრამვაის ცარიელმა ვაგონებმა...

„რა მეშველება?!“

ორსართულიანი სახლის ეზოდან პატარა გოგონა გამოვიდა. გოგონას ხელში ბოთლი ეჭირა. გოგონაც შეჩერდა ცხენთან და დააკვირდა. მერმე ისევ გაიქცა. რაღაცას წამოჰკრა ფეხი, შეტოტმანდა, ბოთლი ხელიდან გაუვარდა და ნამსხვრევები ქვაფენილზე გაიფანტა. ბოთლი ცარიელი იყო. გოგონა უკანვე გაბრუნდა და ორსართულიანი სახლის ჭიშკარში გაუჩინარდა. დაბალ-დაბალმა, მსუქანმა ქალმა ბოთლის ნამსხვრევები ტროტუარიდან ქვაფენილზე ფეხით გადაყარა. ფორანთან ახლა სასწრაფო დახმარება გაჩერდა. შოფერმა რაღაც ჰკითხა მსუქანსა და დაბალ ქალს. ქალმა მხრები აიჩეჩა და თავისი გზა განაგრძო...

„რა მეშველება?!“ — გაიფიქრა ისევ ლუკამ და ფანჯარას მოშორდა. მერმე უცებ გაახსენდა, წელან მეზობლებმა სასწრაფო დახმარება რომ გამოიძახეს. იქნებ ეს ის მანქანაა, რომელსაც ელოდებიან? ლუკა ისევ მიიჭრა ფანჯარასთან და ქუჩაში გადაიხედა. მანქანა უკვე იქ აღარ იდგა.

ლუკამ თითქმის სირბილით გაიარა წინა ოთახი. შუშაბანდში ემამ შეაჩერა და ჰკითხა:

— სად მიდისარ?

— სასწრაფო დახმარება მოვიდა! — მიუგო ლუკამ.

ქუჩაში გასულს სასწრაფო დახმარება ჭიშკართან დახვდა. მანქანის ფანჯრიდან შოფერმა გადმოჰყო თავი.

— ავადმყოფი აქ ცხოვრობს? — იკითხა.

— დიახ! — უპასუხა ლუკამ და მან-

ქანას მიაჩერდა, როგორც მხსნელს. მანქანიდან ორი თეთრხალათიანი ქალი გამოვიდა. მეორემ მანქანის კარში ძლივს გამოატია ხის მძიმე ყუთი.

— სად ცხოვრობს? — იკითხა პირველმა თეთრხალათიანმა.

— იქ... მესამე სართულზე.... მარჯვნივ უნდა წახვიდეთ.

თეთრხალათიანები ეზოში შევიდნენ. შოფერი მაშინვე მიწვა გვერდზე და თვალები მილულა, დასაძინებლად მოემზადა. ლუკამ ერთი კი გაიფიქრა, ექიმებს შევეყვებიო, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა. არ დაემორჩილა მის ფიქრებს, რაღაც შინაგანი ძალა უწყევლა წინაღმდეგობას.

ხელები და ყურები გაეყინა. ხელები ჩაიწყო ჯიბეში, ყურებს კი ვერაფერი მოუხერხა. სიცვიისაგან აბუზული ქუჩას გაჰყვა. ვეტერინარული კლინიკის წინ ფორანი აღარ იდგა. ჯაგლაგა ცხენი ან სამკურნალო აღრიცხვაზე აიყვანეს ანდა ხელი ჩაიქნიეს, — არაფერი ეშველებათ.

ქვაფენილი გადმოჰრა ძველმა დაბალმა, თან აქეთ-იქით იხედებოდა შეშინებული, რამე არ დამეჩახოსო. მაგრამ ქუჩაზე არც აღმა და არც დაღმა არაფერი ჩანდა ისეთი, რაც შეიძლებოდა ძველ დაბალს დასჩახებოდა. მიხუტს თავისი წილი ოთხასი გრამი პური მოჰქონდა. ტროტუარზე ამოსული ისევ ათვალიერებდა პურს თითქმის ძვირფასი ნივთი ეჭირა ხელში და საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, — ვიყიდო თუ არ ვიყიდო.

ქუჩის გადაღმა პურის მაღაზიასთან უზარმაზარი რიგი იდგა, ვილა-ვილა-ცეებს ურიგოდ უნდოდათ მაღაზიაში შესვლა და იყო ერთი ყაყანი და აურზაური. სხვა დროს ლუკა სიამოვნებით შეჩერდებოდა სეირის საცქერლად, მაგრამ ამჟერად სულაც არ დაინტერესებულა პურის რიგით, თანაც უპალტოოდ და უქულოდ გამოსულს ძალზე სციოდა.

წყალსაწევის ქუჩის კუთხიდან გაუ-

ქმებული ეკლესიის გუმბათი გამოჩნდა, მოშავო-მონაცრისფერო, დაძენძილ ღრუბელს ცა დაედაბლებინა და ეს ცივი და ნოტიო სიმძიმე ქალაქს დამთრგუნველად დასწოლოდა ზემოდან. ლუკამ წყალსაწვევის ქუჩა გადაიბინა, პატარ-პატარა ფარდულების რიგი გაიარა და ეკლესიის ეზოსთან შეჩერდა. რიყის ქვით მოკირწყვლილი ეზო ახლად დაგვილსა ჰგავდა.

ლუკა ქიშკარში შევიდა. ეკლესიას შემოუარა და ნაცნობი შუშაბანდის წინ შეჩერდა. ფრთხილად დააკაკუნა ფანჯრის მინაზე. ხმა არავის გაუცია. კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ახლა უფრო გაბედულად.

— ვინ არის? — ეს მაიკოს ხმაა.

— მე ვარ, ლუკა!

— ვინა?

— ლუკა!

— შემოდი, შემოდი! კარი ღიაა! — შეიპატიჟა მაიკომ.

ლუკა კარს მიაწვა. შეაღო და შევიდა. შუშაბანდი გაიარა და შინდისფერი ფარდა გადასწია, ნახევრადბნელ ოთახში შეიხედა. მაიკოს საყვარელ ტახტზე ლოგინი იყო გაშლილი. რბილ ლოგინსა და ბალიშებში ჩაფლული მაიკო ძლივს ჩანდა.

ლუკამ ოთახში შეაბიჯა და შეჩერდა.

— გამარჯობა, მაიკო!... როგორა ხარ?

— ახლა არა მიშავს.

— გაცივდი?

— ხო, გავცივდი. გრიპი დამემართა.

ლუკამ კიდევ ორიოდ ნაბიჯი გადადგა.

— ახლოს არ მოხვიდე, — უთხრა მაიკომ, — ჯერ მთლად არა ვარ მორჩენილი.

— სიცხე გაქვს?

— კი. დაჯექი.

— მარტო ხარ?

— კი, დედაჩემი პურზე წავიდა. დაჯექი.

— რა თბილა თქვენთან.

— კი, თბილა, რატომ არ ჯდები?

— რა ვიცი... უნდა წავიდე.

— დღეს არ ყოფილხარ სკოლაში?

— არა.

— რატომ?

— ისე... არ მინდოდა.

— მე კი მომენატრა... თითქმის ორი კვირაა ასე ვწევარ.

— ათი დღეა!

— ხო, ათი დღეა.

— რა ვიცი... მე ოცი დღეც რომ არ მივიდე სკოლაში, არ მომენატრება.

— დაჯექი, რა!

— ძლივს გავთბი... ყურები გამიხურდა.

— ქუდი არ გახურავს?

— არა.

— გაცივდები.

— გავცივდე, თუ გავცივდები!

— ეუღ გუნებაზე ხარ?

ლუკამ მხრები აიჩეჩა.

— გაწყენინა ვინმემ?

ლუკამ ისევ აიჩეჩა მხრები.

— აბა, რატომ მოხვედი, თუ არ დაჯდები?

— იცი, რა, მაიკო?

— რა?

ოთახში დღმილი ჩამოდგა. როდის-როდის ლუკამ თქვა:

— მამაჩემი დაიღუპა!

— დაიღუპა?! — მაიკო ლოგინზე წამოჯდა.

— დღეს მივიღეთ ცნობა... — ლუკას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და თვალები ცრემლით აევსო. სივრცე აიმღვრა, კედელზე ჩამოკიდებულმა ჭრელმა სპარსულმა ნოხმა ფერები დაჰკარგა და ნაცრისფერ სივრცეში განხავდა.

ლუკამ გაპირვებით გადაყლაპა ნერწყვი და მუტით თვალები მოიწმინდა ლოგინზე წამომჯდარ მაიკოს დაპა-ღუპით ცვიოდა ცრემლი. შეძრწუნებულა გამოსცქეროდა ლუკას.

— წავალ! — თქვა ლუკამ.

— გინდა, ავდგები? — მტირალა ხმით ჰკითხა მაიკომ.

არჩილ სულაბაური
ლუკა



— არა, არა!

— შენ შუშაბანდში გადი, მე ახლავე ჩავიცვამ! — მაიკომაც მუჭით მოიწმინდა ცრემლი.

— იცი, რა, მაიკო?

— რა?

— კიდევ რაღაც უნდა მეთქვა... სხვა დროს გეტყვი, კარგი? — ლუკა შუშაბანდში გავიდა, — ნახვამდის!

— ლუკა!

— რა გინდა? — შუშაბანდიდან გა-
მოსაძახა ლუკამ.

— ახლა მითხარი, რა!

— სხვა დროს გეტყვი.

— არა, ახლა მითხარი, გეზვეწები!

— იცი, რა, მაიკო?... მე შენს მეტი მე-
გობარი არა მყავს! — ლუკამ შუშაბან-
დის კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და
ვიდრე გამოაღებდა, ერთი წუთით ჩა-
ფიქრდა. მერმე ხმამაღლა, მაიკოს გასა-
გონად თქვა, — ანდუყაფარი და შენ!..

რაღაცნაირად უფრო მეტად გულდამ-
ძიმებული გამოვიდა მაიკოსაგან. რა
დროს მაიკოსთან მისვლა იყო, —
ფიქრობდა გზადაგზა, თან ისეთი გრძნო-
ბა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მოატყუა,
მოატყუა არა მარტო ვიღაც სხვა, საკუ-
თარი თავიც.

გარეთ გამოსულს ისევ შესცივდა და
ხელები შარვლის ჯიბეებისკენ გააქანა.
ცუდ გუნებაზე აყენებდა ისიც. მაიკო-
სთან თავი რომ ვერ შეიკავა და იტირა.
„მივედი, ვიტირე და წამოვედი“... წყა-
ლსაწვეის ქუჩაზე ჩაუხვია, სამღებრო
ფარდულებს წინ ჩაუარა და მდინარის
კბოღესთან გავიდა. იქ დიდხანს არ გა-
ჩერებულა რადგან მტკვარმა სუსხიანი
ქარი შეაგება და ნოტიო სიცივემ ძვალ-
სა და რბილში გაატანა.

რიყის ქუჩაზე ამოსულმა ავტოსკო-
ლის გარაჟის გასწვრივ ქვაფენილს გა-
ხედა, — სასწრაფო დახმარება იქვე
თუ დგასო. სასწრაფო დახმარება მისი
სახლის წინ აღარ იდგა. „წავალ, —
თქვა გუნებაში, — დეიდა ნატო ალბათ
გამოკეთდა და გაგიძღება, შინ რომ ვერ
დამინახავს“.

პურის მაღაზიასთან ისევ ავიწყლო
რიგი იდგა, ოღონდ რიგი ახლა უკვე და-
მშვიდებულიყო და წყნარად მიდიოდა.
ლუკამ თბილი ხელებით ყურები დაის-
რისა და შინისკენ გასწია. გვერდით ვი-
დაცამ ჩაუქროლა სტვენა-სტვენი. მა-
შინვე იცნო ჭორფლიანი ალბერტი.

— ეი, ალბერტ!

ბიჭი შეჩერდა და ლუკას მოხედა. ჭო-
რფლიანმა ალბერტმაც, ეტყობა, იცნო
ლუკა, უნებურად სახე დაემანჭა, ალბათ
გალიმება უნდოდა.

— მოდი აქ! — უთხრა ლუკამ.

— რა გინდა? — ჭორფლიანის მზე-
რას ოღნავი შიში შეეპარა.

— გეუბნები, მოდი აქ-მეთქი!

— რა გინდა, ვა?!

— რაც მინდა?

— აჰა, მოვედი!

— უფრო ახლოს!

— შენ გგონია, მე არ ვიყავი?! მე ის-
ეთი ბიჭი არა ვარ, ლუკაჯან, სხვისი ხა-
რახურა წავიღო.

— მე არაფერი არა მგონია! — ლუ-
კამ უცებ ხელი წაავლო პალტოს საყე-
ლოში, ჭორფლიანი ალბერტი კედელზე
მიაყუდა, ჯერ ერთი მუშტი მოუქნია,
მერე — მეორე.

ალბერტმა ორივე ხელი სახეზე აიფა-
რა და ჩაიჩოქა. ლუკამ მთელი ძალით
ჰკრა ხელი და ჭორფლიანი ფილაქანზე
გაშხლართა. არც ახლა მოეშვა ლუკა,
ზემოდან დააჯდა და გამეტებით დასც-
ხო სახეში მუშტები.

ჭორფლიანი ალბერტი ყვიროდა და
მშველელს უხმობდა.

ლუკა არ ცხრებოდა.

— დახოცეს ერთმანეთი!

— მოკლა მაგ საძაგელმა!

— გააშველეთ!.

ესმოდა ლუკას შეძახილები. მერმე
ვიდაცამ ღონიერი ხელი წაავლო ქერო-
ში და ჭორფლიან ალბერტს ააგლიჯა.
როდესაც აიხედა, თავზე ორი მამაკაცი
იდგა. ერთერთმა ლაზათიანად წამოჰკ-
რა კისერში.

— მოერიე, არა, შე მაიმუნო?!

ლუკას კიდევ ერთხელ უთავაზეს.

— დაიკარგე აქედან, შე ხულიგანო, შენა! — ეს კაცი მერმე დაიხარა და ფილაქანზე გაშხლართული ჭორფლიანი ალბერტი წამოაყენა, — აღეჭი, აღეჭი, ნუ გეშინია!

ქუჩის გადაღმა პურის რიგი აღელდა, აყაყანდა. ლუკამ შიშით გახედა განრიხებულ ხალხს, ისინი მუშტებს იჭნევდნენ, ყვიროდნენ, იმუჭრებოდნენ... პურის რიგის დაკარგვისა რომ არ შინებოდათ, ალბათ ქუჩაზეც გადმოცვივდებოდნენ და, ვინ იცის, რა დღეს დააყენებდნენ ლუკას.

— ერთი ამას უყურეთ, რომ არც მიდის!?! — თქვა იმან, ვინც ჭორფლიანი ალბერტი წამოაყენა და დაუყვავა, თან პურის რიგს გახედა აღშფოთებულმა.

პურის რიგი სულ გადაირია:

— დაიჭირეთ, არ გაუშვით!

— მილიციას დაუძახეთ!

— სად არის მილიცია?

— აქ არ იყო ახლა ის ახმახი?!

ლუკა გატრიალდა და შინისაკენ გამართა, მიდიოდა ნაცემი და დათრგუნული, დამცირებული და შეურაცხყოფილი. მიმავალმა ერთხელ კიდევ გახედა მალევით პურის რიგს, გული ამოუჯდა, გაბოროტებული ბრბო რომ დაინახა. იქვე ავტოსკოლის კედელს მიეყუთა, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

თავი მეთორმედი

დღედა ნატოს იმავე საღამოს მარცხენა მხარის დამბლა დაეცა და ლოგინად ჩავარდა. „ვინ მოუვლის ახლა ამ დედაბერსო“, — თავი სინანულით გაიქნეის მეზობლებმა, ერთი ამოიოხრეს და წაეიდ-წამოვიდნენ. სასწრაფო დახმარებამ კიდევ ერთხელ მოაკითხა ავადმყოფს. ანდუყაფარმა ექიმს ფრთხილად უთხრა, — აქ მომვლელი არავინა ჰყავს და იქნებ სჯობდეს საავადმყოფოში გადავიყვანოთო. ექიმმა უარის ნიშნად საწყალობლად გაიღიმა. — ჩვენ საერთოდ ეგეთი ავადმყოფები არ მიგვყავს, მით უმეტეს ახლა, როცა თითქმის

ყველა საავადმყოფო ჰოსპიტალად გარდაკეთებული და გასამხედროებულიაო.

— მაშ, რა ექნათ? — იკითხა ანდუყაფარმა.

— არ ვიცი. — უპასუხა ექიმმა, ბოდიში მოიხადა და ოთახიდან გავიდა.

ანდუყაფარმა და ლუკამ კიბემდე მიაცილეს.

— თქვენ უნდა გაგვიგოთ, ქალბატონო, — ანდუყაფარმა ლუკას მკლავზე შეავლო ხელი, — მოხუცს ამ ბავშვის მეტი არავინ არა ჰყავს. განა ეს ბავშვი შესძლებს ასეთი მძიმე ავადმყოფის მოვლას?

— როგორ არ გესმით, ბატონო! რა აზრი აქვს ახლა მაგ ქალის საავადმყოფოში გადაყვანას? გინდაც ჰქონდეს აზრი, დამიჯერეთ, უკანვე დაგვაბრუნებენ. დასაწოლი აღგილი არა გვაქვს. — ექიმი წავიდა.

ანდუყაფარი და ლუკა ოთახში შებრუნდნენ. ბოგდანა დეიდა ნატოს ადგა თავზე. დეიდა ნატო საცოდავად იწვა თავის საწოლში სახემოქცეული, ყბაჩამოვარდნილი, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და ერთავად ლუკას უმზერდა, თითქოს რაღაცის თქმაც უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ღროღადრო თვალები ცრემლით ევსებოდა და ისევ ეშრიტებოდა. დამჰქნარ, სველ ლოყებს ბოგდანა უმშრალებდა ცხვირსახოცით.

— ახლა ხომ ცოტა უკეთა ხართ, დეიდა ნატო? — ჰკითხა ანდუყაფარმა.

დეიდა ნატო ხმას არ იღებდა. ფართოდ გახელილი თვალები, რომელშიც შიში და ძრწოლა ჩაიდგომოდა, მხოლოდ ლუკასთვის მიეპყრო. თვალები ღროღადრო ცრემლებით ევსებოდა და ეშრიტებოდა.

ლუკამ დეიდა ნატოს დაქინებულ მზერას ველარ გაუძლო და საწოლს მოშორდა.

— დეიდა ნატო, დამიგდეთ ყური, — ეუბნებოდა ანდუყაფარი, — ნუ გეში-

არჩილ სულააკური
ლუკა

ნიათ, დეიდა ნატო... ბოგდანა ამბობს, ლუკასაც და დეიდა ნატოსაც მე მოვუვლიო... აქ, შუშაბანდში დაწვება და იცხოვრებს, რა თქმა უნდა, თუ თქვენ თანახმა იქნებით. თუმცა სხვა რა გზა გაქვთ, ვინ მოუვლის ლუკას, თქვენც ხომ გკირდებათ მოვლა...

ლუკა ისევ მივიდა საწოლთან და ავადმყოფ დეიდას დახედა, აინტერესებდა, რას იტყოდა, ბოგდანას დარჩენაზე დათანხმდებოდა თუ არა. დეიდა ნატოს არც ახლა ამოუღია ხმა. გაშტერებული მისჩერებოდა ლუკას.

უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა დეიდა ნატოს თანხმობას და იმავე საღამოს გადაწყდა, ბოგდანა ლუკასთან რჩებოდა.

დარჩა კიდეც.

ერთი კვირაც არ იყო გასული, ბოგდანა სამკერვალო ფაბრიკაში მიიყვანა მეზობლის ქალმა. იქ ერთ-ერთ სააშქროში მოეწყო ოსტატის შეგირდად და პურისა და სურსათის ბარათებიც მიიღო. კერვა სულ მალე ისწავლა და საკერავე—ჯარისკაცული გიმნასტურები და შარვლები — შინაც მოჰქონდა. შინაურ საქმეს რომ მოათავებდა, შუშაბანდში დეიდა ნატოს საკერავ მანქანას მიუჯდებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა.

ძალიან ძნელი იყო ავადმყოფი დედაბრისა და ლუკას მოვლა, თანაც ფაბრიკაში სიარული, მაგრამ ბოგდანა ყველაფერს ასწრებდა და ახერხებდა. ეს კი არადა თავისუფალი დროც კი რჩებოდა. ამ თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ ლუკა, ბოგდანა და ანდუყაფარი. შეიყრებოდნენ და საუბრობდნენ ან ლოტოს თამაშობდნენ.

მაგრამ ლუკა ზოგჯერ ალლოთი გრძნობდა, ზოგჯერ კი ატყობდა კიდეც, რომ ანდუყაფარსა და ბოგდანას მართო უნდოდათ ყოფნა. ასეთ დროს ტოვებდა მათ და ან სამეცადინოდ მიდიოდა ანდა სკოლის ამხანაგებთან — გასართობად.

ერთ კვირა დილას ანდუყაფარმა უთ-

ხრა — თუ ძმა ხარ ბოგდანას წააყვრი/საბურთალოს ბაზარში თავისთვის იყიდოსო. აც-რალაცეები უნდა იყიდოსო. დეიდაშენს თუ რამე დასჭირდა, მე მივხედავო. ლუკა სიამოვნებით წაჰყვა ბოგდანას ბაზარში.

ბოგდანამ პალტო, კაბა და ფეხსაცმელები იყიდა.

ბოლოსდაბოლოს გაიხადა თავისი დაბამებული ქურთუკი და ძველი ჩექმები და ახლადნაყიდი ტანსაცმელით გამოეწყო. ლუკამ თვალებს არ დაუჯერა, არაფრით არ ეგონა, თუ ტანსაცმელს ასე შეეძლო ადამიანის გამოცვლა. ანდუყაფარი და ლუკა მაგიდას უსხდნენ და აღტაცებულები შესცქეროდნენ ბოგდანას. იგი ეს-ეს არის შემოვიდა ოთახში, ახლადნაყიდი, თუმცა საკმაოდ ნახშირი მაუდის პალტო აცვია, საყელოზე კურდღლის ბეწვმოვლებული და კმაყოფილი წინ და უკან დადის, ბიჭებს თავს აწონებს, ცოტას იპრანჭება კიდეც. მერმე პალტოს იხდის და ფრთხილად ჰკიდებს საკიდზე. ბოგდანა ახლა უკვე უხეში შალის საღად შეკერილი ნაცრისფერი კაბით წარსდგა ბიჭების წინაშე. სახეგაბადრული, ბედნიერი, ხელებგაშლილი დგას და უღიმის, — შემომხედეთ, როგორი გოგო ვარო...

ანდუყაფარმა და ლუკამ ტაში დასცხეს, ბოგდანამ მოწიწებით დაუკრა თავი ორივეს, მერმე ისევ გაიარ-გამოიარა, მაღალ თეძოებს განგებ გაზვიადებულად მიარხევდა, თან უკან იხედებოდა — კაბა როგორ მადგასო...

შაბათ საღამოს მმაჩის ბიუროს წარმომადგენელი მოვიდა თავისი დავთრით და ანდუყაფარისა და ბოგდანას ქორწინება გაათვრმა. მოწმეებად ჯუჯა რუბენა და იზა დაისწრეს. ლუკაც, რა თქმა უნდა, იქვე იყო, მაგრამ მოწმედ არ გადიოდა.

ქორწილი იმავე საღამოს „გადაიხადეს“. მაგიდას ხუთნი უსხდნენ: ბოგდანა, ანდუყაფარი, რუბენა, იზა და ლუკა. პირველი სადღეგრძელო რუბენ ნალბანდიშვილმა შესვა. ახალდაქორწინებუ-

ლები ადღეგრძელა. უსურვა ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება. მერმე, არ დამჯდარა, ბოღნი მოიხადა, — არა მცალიაო, — თავისი უზარმაზარი კეპი დაიხურა და ყველას დაემშვიდობა. ბოგდანამ და ანდუყაფარმა დიდი მადლობა გადაუხადეს — მმაჩის ბიუროს წარმომადგენლის შინ მოყვანა ჯუჯა რუბენას შნო და მარიფათი იყო.

ბოგდანა და ანდუყაფარი სუფრის თავში ისხდნენ. ერთიცა და მეორეც ძალზე კმაყოფილნი და გახარებულნი ჩანდნენ. ანდუყაფარს თეთრი გაქათმებული პერანგი და თავისი ძველი კოსტუმი ეცვა. პირი გაეპარსა, თმა კოხტად გადაეყარცხნა. ბოგდანა ისევ ლამაზი იყო. ოღონდ იზას გვერდით მისი სილამაზე ცოტათი მკრთალდებოდა და ხუნდებოდა. ლუკა იზას პირისპირ იჯდა და პირდაღებული მისჩერებოდა, თვალს ვერ აშორებდა, როგორც ბუხარში დანთებულ ცეცხს. იზა გამუდმებით მოძრაობდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, თანაც ბევრს ლაპარაკობდა და ერთვად ისწორებდა ჩამოშლილ ოქროს თმას, რომელიც თითქმის ნახევარ სახეს უფარავდა. „შეღებილი აქვს, — ფიქრობდა ლუკა, — ასეთი ფერის თმა არ არსებობს“. მაგრამ იზას ნამდვილად ჰქონდა ასეთი ფერის თმა, მბზინავი, ჰაეროვანი და ამავე დროს მძიმე, როგორც თვით ოქრო. წაბლისფერ წამწამებიდან მიბნედილ იისფერ შუქს ღვრიდა.

— თამადად ლუკას ვნიშნავ! — თქვა ანდუყაფარმა და ეს წინადადება ბოგდანამაც და იზამაც სიხარულით აიტაცეს.

ლუკა უხერხულად აიწურა. იუარა.

— ასეც უნდა ყოფილიყო, ჩემო ლუკა, ჩემს ქორწილში სხვა ვინ იქნება თამადა, თუ არა შენ. შენა ხარ ჩემი ერთადერთი მეგობარი და, თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი. — უთხრა სიცილით ანდუყაფარმა.

— მე არ ვიცი თამადაბა!

— როგორც იცი, როგორც გინახავს, როგორც გაგიგონია, ისე ითამადე!

მაგიდაზე ორი ბოთლი ღვინო იდგა. სალდათის ბაზარში გლეხისაგან ნაყიდი. სუფრას თუშური ყველი, კარტოფილისა და ჭარხლის ვინეგრეტი და ანდუყაფარის შეკმაზული ლობიო ამშვენებდა. ვინეგრეტი ბოგდანას ნახელავი იყო.

— ბოგდანას გაუმარჯოს! — თქვა ლუკამ და ჭიქა ასწია.

— ოო! — წამოიძახა იზამ და ჭიქა იმწამსვე დაცალა.

— გასოვს, ლუკა, — უთხრა ანდუყაფარმა, — შენ მკითხე, არსებობს თუ არ არსებობს ბედნიერებაო? მაშინ ვერაფერი გიპასუხე და ახლა გეუბნები: ღმერთმა ჩემთვისაც გაიმეტა ბედნიერება და ამ ბედნიერებას სახელად ბოგდანა ჰქვია!..

ანდუყაფარი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ეს ახალა შენიშნა ლუკამ, მაგრამ ამაზე ყურადღება ვერ გაამახვილა, რადგან ანდუყაფარის ნათქვამმა უცებ გაახსენა ორი ნაცრისფერხალათიანი კაცი, საგიყის ეზოში რომ დასეირნობდნენ და საუბრობდნენ.

იზამ ჭიქაში დაისხა ღვინო და უსიტყვოდ დალია. მერმე თევშზე ლობიო გადმოიღო და პურს მისწვდა.

ბოგდანამ ჭიქა ასწია და სუფრას მიმართა:

— მე რა უნდა ვქნა?

— შენ სამადლობელო უნდა შესვა! უთხრა ანდუყაფარმა.

— გამდლობთ! — გაიღიმა ბოგდანამ და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

— მე არ დამიმთავრებია საღვებრძოლო! — თქვა ლუკამ, — ბოგდანასთან ერთად. ანდუყაფარსაც გაუმარჯოს!

— ოო! — კიდევ წამოიძახა იზამ, გაივსო ჭიქა და ისიც გამოწრუპა.

ლუკამაც შესვა, უსიამოვნოდ დაიმანჯა და ანდუყაფარს შეხედა. — მეგობრის გულისათვის თორემ ამას რა დამა-

არჩილ სულაპაური
ლუკა

ლევინებდაო. ანდუყაფარი ალტაცებით უმზერდა ბოგდანას. ახლაც და მთელი ეს დღე მისთვის არ არსებობდა სხვა ვინმე ბოგდანას გარდა. დილიდან მთელი არსებით ბოგდანათი იყო დაკავებული. ყოველთვის გულისხმიერი, გულისყურიანი დღეს შენს ლაპარაკს აღარ უსმენდა; არ აინტერესებდი. ზოგჯერ გაყუჩდებოდა, თითქოს ყური მოგიგდოო, მაგრამ უაზრო, ან გულსგარე პასუხიდან ჩანდა, რომ მისი ფიქრი და გონება სულ სხვანაირად ჰქოდა.

— ახლა სიამოვნებით ვიცეკვებდი! თქვა იზამ, — არც მუსიკა... არც კავალერი...

ლუკას სასიამოვნო სიტბომ დაუბრინა სხეულში ჟრუანტელივით და ძარღვები მოუღუნა. ოდნავ თავბრუც დაეხსა. სულელივით უმიზეზოდ გაიღიმა და კეფა მოიფხანა. მერმე ბოთლი აიღო და ყველას შეუვსო ჭიქა.

— რუბენა რომ არ წასულიყო, იმას ვეცეკებოდი... უმუსიკოდ... სულაც არ სჭირდება მუსიკა ცეკვას. არა, რა თქმა უნდა, სჯობია, თუ მუსიკაც უკრავს... გინდა, ლუკა, ვიცეკვოთ?

— მე არ ვიცი ცეკვა.

— სკოლა რომ დავამთავრეთ, ერთი ჩემი მეგობრის ოჯახში ვიქეიფეთ. გამოსაშვები საღამო იყო. მთელი ღამე ვიცეკვეთ... იმდენი, იმდენი, იმდენი... ფეხზე ველარ ვდგებოდი.... თანაც დავთვეარი... — იზამ გაიცინა... — შემდეგ გამომაგდეს.

— რატომ? — შეშფოთდა ბოგდანა.

— ჩემი მეგობრის მამა არ მომეშვა. ჯერ ერთი ორჯერ, მაცეკვა, მერმე გვერდით მომიჯდა და ხელებს მიფათურებდა. ბოლოს მეხვეწებოდა, აივანზე გამოდიო, — აქ იზამ ისევ გაიცინა, ოღონდ ახლა უფრო ხმამაღლა, — მე ავიღე და მთელი ჭიქა ღვინო დავასხი თავზე. ძალიან გაბრაზდა მისი მსუქანი მეუღლე და მიბრძანა, — ახლავე დასტოვე აქაურობაო! მე, რა თქმა უნდა, დავტოვე იქაურობა, მაგრამ ქეიფიც ჩაიშალა. ისე კი ღამეში მამაკაცი იყო

საწყალი... ამბობენ ომში დაიღუპა.

— ომში დაღუპულთა სსოვნა...
— თქვა ანდუყაფარმა. — ლუკა, იცოდე მამაშენს დაღუპულთა შორის არ ვგულისხმობ. გოგი ცოცხალია! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები! დაღუპულთა სსოვნისა იყოს!

— ოო! — ეს ისევ იზამ.

სხვებთან ერთად ლუკამაც გამოცალა ჭიქა. მან კარგად იცოდა, რომ ანდუყაფარი ახლა ნუგეშსა სცემდა. იმიტომ უთხრა, — მამაშენს არ ვგულისხმობო და ცოტა არ იყოს, ეწყინა, — რატომ ცდილობს მანუგეშოსო, როცა მამაჩემი ნამდვილად ცოცხალიაო. საქმე ისაა, რომ ლუკამ შინაგანად არ დაიჯერა მამის სიკვდილი, გულთან არ გაიკარა. შესაძლოა, ეს რწმენა ბოგდანამაც გამოუმუშავა. ისინი ზშირად ღამ-ღამობით მარტო რჩებოდნენ შუშაბანდში, საკერავ მანქანასთან და ბოგდანა უყვებოდა ათასნაირ ამბებს იმ მეომრებზე, რომლებიც თურმე დაღუპული ეგონათ, მაგრამ მერმე ქვეყანასაც და ოჯახსაც მკვდრებით აღმდგრებივით მოევლინენ.

— ცეკვა მინდა, ცეკვა! — წამოიძახა იზამ.

— ერთი რუსული ანდაზაა: „ჩამოხრჩობილის ოჯახში, თოქს არ ახსენებენო“, — უთხრა ანდუყაფარმა ღიმილით, — მაგრამ შენ ისეთი ჩამოხრჩობილის ოჯახში ხარ, სადაც თოქზე ლაპარაკი არ სწყინთ.

— რა ვქნა, თუკი მინდა?!

— ეგ უკვე აღარ ვიცი! ისე კი ვწუხვარ, რუბენა რომ წავიდა.

— მეც! — იზამ ისევ დაისხა ღვინო, — ეტყობა, ამ ეზოში ერთადერთი მამაკაცი ეგ არის, ვისთანაც შეიძლება ცეკვა!

— იზა! — ხელი მოჰკიდა მკლავზე ბოგდანამ, — როგორ არა გრცხვენია, იზა!

იზამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ბოგდანას.

— ვისაც ცეკვა შეეძლო, ახლა ფრონტზეა, სამშობლოსათვის იბრძვის!

— ეგ რა სათქმელია, იზა?!
— მე არ მინდა ომი! მე ცხოვრება მინდა! მე ცხოვრებისათვისა ვარ გაჩენილი, ფუფუნებისა და ნებივრობისათვის. შენა გგონია, ბოგდანა, მე არ ვიცი ჩემი ფასი. ვისა აქვს ასეთი თმა, ასეთი თვალები, ასეთი ტუჩები, — იზა წამოდგა, — ანდა ასეთი მკერდი, ასეთი წელი, ასეთი ფეხები, — მარჯვენა ფეხი გვერდზე გადგა და კაბის კალთა თეძომდე აიწია.

— დამშვიდდი, — უთხრა ბოგდანამ, — იშვიათი ფეხები გაქვს.
— ვიცი!.. მერმე რად მინდა?!
— ყველაფერი იქნება... ყველაფერს მოესწრებით...

— როდის?
— მალე.
იზას სახეზე უკვე ღვინისმიერი ცეცხლი წაჰკიდებოდა, ერთვად გაწითლებულიყო.

— მოდი, ლუკა, ვიცეკვოთ!
ლუკამ რატომღაც გაიცინა.
— რას იცინი?
— რა ვიცი, მეციწება. — ლუკა ღვინომ გააბრუნა და მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

— მართლა!.. — რაღაც გაახსენდა იზას და ჩაფიქრდა, მერმე იკითხა, — რა კაცია დათიკო ბერიშვილი?

— ვინა? — ანდუყაფარმა, რომელიც ბოგდანას ხელზე ჰკოცნიდა, უცებ თავი წამოსწია.

— დათიკო ბერიშვილი.
— რატომ იკითხე?
— ისე.
— მაინც?
სულფრა დაიძაბა.

— ბედნიერ ცხოვრებას მპირდება.
— იმას ხომ ცოლი ჰყავს?
— მიუხედავად ამისა, მპირდება!
— შენ თვითონ რას ფიქრობ, როგორი კაცი უნდა იყოს ეგ დათიკო ბერიშვილი?

— მე არაფერს არ ვფიქრობ.
— იზა! — ბოგდანაც წამოდგა და მხარზე მოხვია ხელი, ოთახის სიღრმეში

წაიყვანა. — ბავშვს მაინც მოეჭრება სირცხვილია!

— მე განა ბავშვი არ ვიყავი?! ვინ მომერიდა?

— მერმე კარგია, ეგრე რომ მოხდა?!
— თავი დამანებე, მე უნდა ვიცეკვო!
— იზა გაუსხლტა ბოგდანას და შუა ოთახში დაიწყო ცეკვა. — გაუმარჯოს მხიარულებას!... მცხელა! კაბა უნდა გავიხადო!

— იზა!
კარზე ვილაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის?
— მე ვარ, ძია ლადო!
— შემობრძანდით, ძია ლადო! — შემოიპატიჟა ანდუყაფარმა.

— ბაბუაშენი მოვიდა, — შეაჩერა თავისთვის მოცეკვავე იზა ბოგდანამ.

კარი გაიღო და ოთახში ძია ლადო შემოვიდა, გაიღიმა და ქუდი მოიხადა. მოუხეშავ, დიდ ხელში კორჩიოტების რამდენიმე კონა ეჭირა. მძიმე, ცოტა უხერხული ნაბიჯით გაემართა ბოგდანასაკენ და ყვავილები მიართვა. აკოცა. ანდუყაფარსაც გადაეხვია.

— მოგილოცავთ, შვილებო, გაბედნიერებას, — თქვა ძია ლადომ, — აი გაზაფხულის ყვავილებიც მოგიტანეთ!

— ლუკა, ღვინო დაუსხი ძია ლადოს!
ლუკა უკვე ფეხზე იდგა. კარადიდან ჩაის ჰქია გადმოიღო და შიგ ბოთლი ჩაწრიტა. ძია ლადოს, ის იყო, ჰქვისთვის ხელი უნდა წაეგლო, მაგრამ იზა ყველა სთვის მოულოდნელად მივარდა, მოეხვია და ხვეწნა დაუწყო:

— წავიდეთ, რა პაპა, წავიდეთ!.. აღარ შემიძლია!

— დამაცა, შვილო... ეს ბედნიერი ხალხი დამალოცვინე!

— არა, წავიდეთ! ახლავე!.. — იზამ უცნაური მოუთმენლობა გაამყვანა. ტიროდა, იტაკზე ფეხებს აბაკუნებდა, ძია ლადოს აჩქარებდა, თითქმის ყოველ

არჩილ სულააკაური
ლუკა

წამს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— კარგი, — მიუგო მშვიდად ძია ლადომ, — რახან ერგება, წავიდეთ.

წავიდნენ კიდევ.

ოთახში დარჩენილებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს. მერმე ანდუყაფარმა ბოგდანას გაუღიმა და ანიშნა, — მოდი, ჩემს გვერდით დაჯექიო. ოთახში სხვანაირი დუმილი ჩამოდგა — დამთრგუნველი, გამთიშველი და ლუკა მიხვდა, რომ მისი წასვლის ქამიც დამდგარიყო.

— მე წავალ. — თქვა ლუკამ.

— ჯერ ვისხედეთ... ზვალ ხომ კვირაა. — ბოგდანამ მხარზე მოხვია ხელი, რომელშიც ისევ ძია ლადოს კორჩიოტები ეჭირა.

— არა, წავალ, დავიძინებ.

შუშაბანდს წინა ოთახიდან გამონაჟონი მკრთალი შუქი ანათებდა. მაგიდაზე დეიდა ნატოს საკერავი მანქანა იდგა, იქვე უწყესრიგოდ ეყარა ჯარისკაცური გიმნასტურები. ჯერ კიდევ წუხელ ბოგდანა აქ იჯდა და შუალამემდე კერავდა. ლუკა გულისტკივილით მიხვდა: ზვალ ამ მანქანასაც ისევე გაიტანდა ბოგდანა ანდუყაფარის ოთახში, როგორც დღეს, ლოგინი გაიტანა.

სიცარიელის სევდა შემოაწვა. ფრთხილად გავიდა წინა ოთახში, სადაც დეიდა ნატოს ეძინა. მერმე ლამპა აიღო და თავისი ოთახის კარი შეაღო. თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. ლამპა კომოდზე შემოდგა და თვითონ იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ბოგდანა იმედივით ცხოვრობდა შუშაბანდში და ლუკას მოეჩვენა, რომ ეს იმედი ისევე დაკარგა, როგორც იმ დღეს მტკვრის ნაპირზე უკანასკნელი ხელი ტანსაცმელი. გაძარცვულებით იჯდა თავის ოთახში, შიშით შეპყრობილი. ეს შიში მარტოობისა იყო, სიცარიელისა და უკაცრიელობისა... უდაბურებისაც.

ლუკა ტანსაცმელს არ იხდიდა და არ წვებოდა დასაძინებლად, რადგან ეშინოდა... რისი? თვითონაც არ იცოდა.



— ვერ მიდებე, ბიჭო?! გამბედა, კაცის ასე აბუჩად აგდება, — ეს ბატონი პოლიკარპე გახლავთ. საიდანაც შეუტყვია დეიდა ნატოს ავადმყოფობის ამბავი და სასწრაფოდ ჩამობრძანებულა, რათა მახლობელ ნათესავს გაჭირვების ქამს მხარში ამოუდგეს, ხელი გაუმართოს. — მაშინდამდე თუ ამ დღეში იყო, ვერ გამაგებინე, შე თავგასიებული?!

დატუქსული ლუკა კუთხეში აიტუხა. არაფერი ქვეყანაზე ისე არ სწყენია, როგორც ბატონი პოლიკარპეს დამტუქსევი სიტყვები. ლუკას მთელი დღე ეჩვენებოდა, რომ მართლაც უზარმაზარი, გასიებული თავი ჰქონდა და ვერ იმაგრებდა, მხარზე უფარდებოდა. ყველა გამვლელი და გამომვლელი გაოცებული აშტერდებოდა, — ამას რას ვხედავო!

ლუკას ბატონი პოლიკარპე არ გახსენებია, არც დასჭირვებია მისი თავი. გინდაც გახსენებოდა, სად უნდა გაეგზავნა დეპეშა, ვისთან? მისი არც ასავალი იცოდა და არც დასავალი. დეიდა ნატოს, რომელიც ერთმანეთზე ორ სიტყვას ვეღარ აბამდა, ხომ ვერ შეეკითხებოდა, — როგორ მოვიძიო ბატონი პოლიკარპეო!..

ბატონმა პოლიკარპემ ორ დღეში აიწყო და მოიგვარა საქმეები: ლუკა შუშაბანდში გამოისტუმრა და თვითონ მერე ოთახში ჩასახლდა. როგორც ჩანს, სამუდამოდ. იმ ოთახში დაუკითხავად შესვლა ახლა უკვე აღარავის შეეძლო.

დეიდა ნატო თავის საწოლზე გაუნძრევლად იწვა. მეტყველებაწართმეული უაზროდ მისჩერებოდა სივრცეში ამოჩემებულ წერტილს. დრო და დრო თვლები ცრემლით ევსებოდა და მერმე ისევ ეშრიტებოდა დიდი ხნით.

ბოგდანა ჩვეულებისამებრ უვლიდა, არც ერთი წუთით არ დაუკლია ზრუნვა.

— ვინაა ეს ქალი? — იკითხა ბატონმა პოლიკარპემ, როდესაც ბოგდანა დაინახა პირველად.

— ანდუყაფარის ცოლია, — უპასუ-
ხა ლუკამ.

— აუჰ, რა ღონიერ ფეხებზე დგას!
— აღტაცება ვერ დამალა ბატონმა პო-
ლიკარპემ. თან შემაზრუნენი, გულისამ-
რევი ღიმილი გაუქრთა ტუჩებზე, — ბი-
ჭო, ანდუყაფარი მოუვლის მაგ ქალს?!
აუჰ! აუჰ!

კვირაობით რაღაც-რაღაცეები გაჰქო-
ნდა სახლიდან საბურთალოს ბაზარში
გასაყიდად, ლუკა ვერაფერს ეუბნებო-
და, თქმას ვერ უბედავდა. ისე კი ანდუ-
ყაფარსა და ბოგდანას გაუმხილა, ბა-
ტონი პოლიკარპე ასე იქცევო, მაგრამ
იმათ რა შეეძლოთ? ბატონი პოლიკარპე
მახლობელი ნათესავი და ჭირისუფალი
იყო ამ ოჯახისა და ახლაც მფარველად
და შემწედ მოვლენოდა. ვინ შეჰბედავ-
და სიტყვას?!

ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა და-
თიკო ბერიშვილს და ყოველდღე ჭუჭა
რუბენას სამტრედიესთან ჩალიჩობდა,
იქ იყო ქაღალდის პარკების საწყობი.

ერთ დღეს ლუკას უთხრა.

— სხვა გზა არა გვაქვს, უნდა გაუც-
ვალთ დათიკო ბერიშვილს ბინა, დიდ
ფულს იძლევა.

— დეიდა ნატო არ იზამს მაგას.

— ვინ კითხავს დეიდა ნატოს? რა
იციის დეიდა ნატომ?! დღეს თუ არა,
ხვალ წაიღებს წერილს ნუცასთან... იცი,
რა ჯდება ახლა კაცის დამარხვა? ნამე-
ტანი ძვირია, ჩემო ლუკა, და დაუმარხა-
ვი არ დაგვრჩეს დეიდაშენი.

— ჯერ ხომ ცოცხალია?!

— ეგ სიცოცხლეა, ჩემო ლუკა?! ოთ-
ხმოცდაათი პროცენტით სამარეში აქვს
ფეხი ჩადგმული, თუ მეტი არა! კარგი,
ვთქვათ ცოცხალია, პირში სული უდგას.
რომ მოკვდება, რას შვრები მერე? სად
შოულობ ფულს?

— რა ვიცი?

— ოო! არც მე ვიცი! ამიტომ ახლავე
უნდა დავიჭიროთ თადარიგი.

— ეგ საქმე არ გამოვა. უყურე, ახ-
ლა ამას!

— დეიდა ნატო არ იზამს.

— ბიჭოს! არ ვეკითხები დეიდაშენს!

— მე არ გადავალ.

— არ გადახვალ?!

— არა!

— აბა, წავალ მე ჩემი გზით და შენ
დამარხე ეს მიხრწნილი დედაბერი!

— ჯერ ცოცხალია და არ უნდა დამა-
რხვა.

— ვაი, შენს პატრონს!

ლუკა მოშხამული წავიდა სკოლაში.
ნეტავი რა უნდა ჩვენგან, რას გადაგვე-
კიდა ეს კაციო, — ფიქრობდა გზადაგზა.
— ასეთი ნათესაობაც არ გამოვიანო! გუ-
ნებაში მკაცრად გადაწყვიტა არაფერი
არ დაეთმო ბატონი პოლიკარპესთვის.
თანაც წარმოდგენილი არ ჰქონდა, რო-
გორ უნდა გადაბარებულყვნენ დათი-
კო ბერიშვილის ბინაში, როგორ უნდა
გადაეყვანათ დეიდა ნატო. დარწმუნე-
ბული იყო, პირველ სართულამდე ვერც
ჩააღწევდა ავადმყოფი, სული არ ჩაჰ-
ყვებოდა.

სკოლასთან ირაკლი დახვდა, შენობის
კედელს ზურგით მიჰყუდებოდა და პა-
პიროსს აბოლებდა. დღეს სკოლის გუ-
ნებაზე არა ვარ, წამო გავიაროთო, თუ
ხეტიალი მოგვწყინდა, მეორე ან მესამე
გაკვეთილზე მოვბრუნდეთო. ეტყობა,
არც ლუკა იყო სკოლის გუნებაზე, მა-
შინვე დათანხმდა და ტაატი დაჰყვნენ
ქუჩას და პროსპექტზე გავიდნენ. ერთ-
ხანს უმიზნოდ იხეტიალეს, კინოს შესა-
სვლელთანაც იწრიალეს, მაგრამ არც
ერთსა და არც მეორეს ჯიბეში ფული
არ აღმოაჩნდათ და უკანვე დაბრუნდ-
ნენ.

სკოლაში დიდ დასვენებაზე მივიდნენ.
დერეფანში ლუკა ზაქარია ინწყირ-
ველმა შეაჩერა. კლასის დამრიგებელმა.

— დღესაც დაიგვიანე, არა?

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელ-
ო.

— როგორ არის დეიდაშენი?

— ცუდად.

არჩილ სულაპაური
ლუკა

— ერთი ვერ მოვიცალე, ვერ მოვიწა-
ხულე.

— ძალიან ცუდადაა.

— არ ღირს ნახვა?

— რა ვიცი.

— ლუკა, მოდი აქ, ბიჭო, ერთი ეს მი-
თხარი... — ზაქარია ინწყირველმა მკლა-
ვში ხელი მოჰკიდა და დერეფნის კუთ-
ხეში მიამწყვდია ლუკა, — გავიგე თით-
ქოს რამდენიმე ბიჭი მთელი კლასის
პურს იყოფთ თურმე... რა, დანარჩენე-
ბმა უარი თქვეს, არ უნდათ პური, თუ
როგორ ხდება?

— არ ვიცი, პატივცემულო მასწავლე-
ბელო.

— არა, შენ ნურაფრის გერიდება,
მითხარი.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებე-
ლო.

— რამდენი იყოფთ?

— სამნი. ირაკლი დევდარიანი, მე და
მიტო ჩანტლაძე.

— სამნი?

— დიახ!

— ერთ პურს?

— დიახ, პატივცემულო მასწავლებე-
ლო.

— მერმე მთელი კლასი რას ამბობს?

— არაფერს... რა ვიცი... მე ირაკლი
დევდარიანმა მითხრა, ასე და ასეო.
ჩვენ გავიყოთ... მთელი კლასი თანახ-
მააო.

— იქნებ დააშინა?

— არ ვიცი, პატივცემულო მასწავლე-
ბელო.

— არა, იქნებ შეაშინა კლასი?... გა-
მიგე, თუ ღმერთი გწამს!

— რა ვიცი...

— მე, რა თქმა უნდა, მორალური
უფლება არა მაქვს, მაგრამ ახლა ისე-
თი ცუდი დროა... თუ კლასი წინააღმდე-
გი არ არის, თუ ეს ყველას თანხმობით
ხდება. მაშინ იქნებ... ჰა?... ოთხად გავ-
ყოთ... მაგრამ თუ კლასი წინააღმდეგია.
იმ შემთხვევაში ჩვენ უსინდისო, სამარ-
ცხვინო საქმეს ჩავიდენთ.

— იცით, რა, პატივცემულო მასწავ-

ლებელო, მე ის პური სულაც არ მჭირ-
დება. — ლუკას უცებ გაახსენდა, რომ
შინ მიტანილ პურს მთლიანად ბატონი
პოლიკარპე ნთქავდა. — ჩემ წილს
თქვენ დაგიმთმობთ.

— არა, არა, როგორ გეკადრება! რას
ჰქვია, პური არ გჭირდება. შენ მხოლოდ
ის დამიზუსტე, კლასი რას ამბობს, უკ-
მაყოფილა, თუ არა, ამ ვითარებით.

ლუკამ გაკვეთილების დამთავრების
შემდეგ თავისი წილი პური მიუტანა ზა-
ქარია ინწყირველს. ზაქარია ინწყირვე-
ლმა პური გამოართვა და დიდი მადლო-
ბაც გადაუხადა. მერმე ჩუმად ჩატენა
თავის უზარმაზარ ჩანთაში და შინისა-
კენ კმაყოფილმა გასწია.

ლუკაც გახარებული და კმაყოფილი
გამობრუნდა. ჯერ ერთი დიდად ასიამო-
ვნა კლასის დამრიგებელს, რომელსაც
ოჯახში ოთხი დამშეული შვილიშვილი
ელოდებოდა და მეორეც — ამ პურს
დღეს ველარ მიირთმევდა ბატონი პო-
ლიკარპე.

სკოლის სადარბაზოდან გამოსულს მა-
იკო დახვდა და უთხრა, შენობის კუთ-
ხესთან ირაკლი და მიტო გელოდები-
ნო. ირაკლი და მიტო მართლაც ელოდე-
ბოდნენ ლუკას. ირაკლი პაპიროსს ქაჩა-
ვდა ზედიზედ. ეტყობოდა, გაბრაზებუ-
ლი იყო. მიტო ოდნავ განზე იდგა, დამ-
ნაშავესავით აცეცებდა თვალებს.

— სად არის შენი პური, რა უყავი?

— მისეღლისთანავე ჰკითხა ირაკლიმ.

ლუკა ასეთ შეკითხვას არ ელოდა და
უცებ ვერაფერი უპასუხა დაბნეულმა.

— რა უყავი-მეთქი, გეკითხები?

— ზაქარია მასწავლებელს მივეცი.

— რატომ?

— რა ვიცი... მთხოვა და...

— გთხოვა, არა?! საიდან გაიგო, რომ
ჩვენ სამნი ვიყოფდით პურს?

— რა ვიცი.

— არ იცი, არა? ახლავე გაგაგებინებ
ყველაფერს! — ირაკლიმ მთელი ძალით
მოუქნია ხელი და სახეში სილა გააწნა.

ლუკას თვალები დაუბნელდა, დაბარ-
ბაცდა, ჩანთა ხელიდან გაუვარდა. რო-

დესაც მეორეჯერ მოხვდა ძლიერი ხელი, მიწზე გულადმა დაეცა და უცებ თავის ტკივილი იგრძნო. ალბათ ძლიერად დაჰკრა კეფა გაყინულ მიწას, თვალები გაახილა. თავზე განრისხებული ირაკლი დასდგომოდა, უშვერად აგინებდა. მერმე ირაკლი დაიხარა, პალტოს საყელოში წაავლო ხელი და წამოდგომა დაუპირა. ლუკამ უნებურად გაუზარებლად მოხარა მარჯვენა ფეხი და ფეხსაცმლის ჰერმეტიკი ნიკაპში ამოჰკრა. ირაკლიმ ერთი შეჰყვირა და იქვე ჩაიკეცა. ვიდრე ლუკა წამოდგებოდა, მაიკო გიჟივით მივარდა ირაკლის და ჩანთა დასცხო თავში.

ლუკამ იგრძნო, რომ მეტის გაკეთება აღარ შეეძლო, ისე იყო დამტვრეული და დაღეწილი, ფეხზე ძლივს იდგა. ამასობაში ირაკლი წამოიმართა, მაიკოს წაატანა ხელი, მოიქნია და ლუკას მიახეთქა. ორივენი შუბლით მიასკდნენ ერთმანეთს და იქვე ჩაიკეცნენ. ირაკლიმ ეს არ აკმარა არც მაიკოსა და არც ლუკას, ორივენი წამოაყენა და ლაზათიანად მიბეგვა. მერმე გინებ-გინებით გაჰყვა ქუჩას, უფრო სწორად გაიქცა.

ნაცემები შენობის კუთხესთან მიყუჟულიყვნენ და ტიროდნენ. როდესაც ტირილით გული იჯერეს, ერთმანეთს ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოაბერტყეს და ნელი, დაღლილი ნაბიჯით გაეშურნენ შინისაკენ. ლუკას ეგონა, მითო იქვე დახვდებოდა ატუშული, მაგრამ მითო არსად არ ჩანდა. ეტყობოდა, გაბარულიყო ანდა ირაკლის გაჰყოლოდა.

ლუკა ხედავდა, მაიკოს შუბლზე კოპი აჯდა და მარჯვენა თვალის უბეც ჩაღურებოდა. ალბათ მე უარესი დღე მდგასო. — გაიფიქრა, მაგრამ ახლა თვითონ რომ ნაცემი იყო, სულაც არ აწუხებდა, — ამაზე მეტიც მომხვედრიაო. მართალია, მაიკომ ჩანთა დასცხო ირაკლის, მაგრამ მაინც არაფრით არ ეგონა, თუ ირაკლი ასეთ უმწეო გოგონაზე ხელს აღმართავდა და გაარტყამდა. გარტყმა იქით იყოს, ლაზათიანად მიბეგვა კიდევ. ლუკას ისევ მოაწვა თვალე-

ბზე ცრემლი და ნებისყოფა რომ დაეძაბა, ალბათ ერთხელაც ატირდებოდა.

ისინი ჩუმად, უსიტყვოდ მიდიოდნენ, მოწყენილები და ჩაფიქრებულები. ლუკას მითო გაახსენდა და, — ეგეც კარგი ვინმე ყოფილაო, — გაივლო გუნებაში, — ეგ რომ წამოგვშველებოდა, იქნებ სამივე როგორმე მოვრეოდითო.

ლუკა სამაგიეროს მიზღვაზე, შურისძიებაზე არა ფიქრობდა, რადგან იცოდა, ვერასოდეს ვერ გადაუხდიდა სამაგიეროს. ანდა თუ ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, როცა შესძლებდა შურისძიებას, დარწმუნებული იყო, ამას უკვე ფასი აღარ ექნებოდა, მანამდე ბევრი წყალი ჩაივლიდა. ამიტომ ასკდებოდა საკუთარ გულს, დაბოლმილი, გულგასიებული მიდოდა, კი არ მიდიოდა, ჩვარივით მიათრევდა უღონო ფეხებს.

მაიკო და ლუკა თავიანთ ქუჩაზე გავიდნენ. იქ, სადაც ომამდე საკონდიტრო მაღაზია იყო, მაიკო შეჩერდა და ლუკას უთხრა:

— იცი, რა, ლუკა?.. მიკადო მომენატრა.

— მიკადო?

— გახსოვს, აქ რომ ერთი ქალი მიკადოს ჰყიდდა?

— კი.

— გემრიელი იყო, არა?

— კი.

— შენც გიყვარდა?

— ძალიან.

— მე ყოველთვის ვინახავდი ფულს, სკოლიდან დაბრუნებისას ერთი ცალი მიკადო მაინც რომ მეყიდა. ყველა ნამცხვარზე უფრო მიყვარდა... გახსოვს ისეთი მსუბუქი იყო... სამკუთხედი...

— კი, მახსოვს.

— ომი რომ დამთავრდება, ალბათ ისევ გაჰყიდოდა?

— რა თქმა უნდა. მაგრამ... მე სულ სხვა რამე მომენატრა, მაიკო.

არჩილ სულაბაშვილი
ლუკა

— ნუგა?

— არა... თუმცა, როგორ არა... ნუგაც ძალიან მენატრება.

— მაშ, რა? ნაყინი?

— ნაყინიც... მაგრამ ყველაზე უფრო ფეხბურთი მომენტარა... იცი, ყველაზე მეტად ახლა რა მახსენდება? შარშან მა-
მაჩემმა ჩამოგვაკითხა უკრაინაში ჩვენს წასაყვანად და ერთ დღეს ფეხბურთზე წავედით. რუბენამ მტრედიც კი გამატა-
ნა. პაიჭაძემ ბურთი შეაგდო და მთელი სტადიონი ფეხზე ადგა. მე მტრედი გა-
ვაფრინე... ისეთი კარგი იყო! მერმე მა-
მაჩემმა მიკალოც მიყიდა, ნუგაც, ნაყი-
ნიც...

მაიკო და ლუკა ეკლესიის ეზოსთან შეჩერდნენ, დიდხანს იდგნენ ხმისამო-
ულგბლად.

— რას ეტყვი სახლში?

მაიკო ჩაფიქრდა. მერმე თქვა.

— რაღაცას მოვიგონებ.

— ეჰ, რაც იყო, იყო! — ლუკამ ხელი ჩაიჭნია, უცებ გატრიალდა და გაიქცა.

ჭიშკარში შესვლამდე ეზოში შეიხე-
და და იქაურობა გულისყურით მიმოათ-
ვალიერა, მერე ქურღივით შეიპარა, —
არავინ დამინახოსო და კიბე სირბილით
აიარა. ჩანთა შუშაბანდში მიაგდო და
თვითონ ტახტზე ჩამოჯდა. წელან, რო-
გორც კი მაიკოს გაშორდა. ჯერგანუც-
დელმა სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. პა-
ტარა მაიკო, ეს ერთი ციციქნა გოგო ჩე-
მი გულისთვის როგორ სცემო. ლუკა
ბევრჯერ უცემიათ და თვითონაც ბევრი
გაუღახავს. ასე ვთქვათ, ბრძოლა ზოგ-
ჯერ წაუგია და ზოგჯერ მოუგია კიდევ,
მაგრამ ასეთი უსამართლობა პირველად
ნახა საკუთარი თვალით: ეს აყლაყულა
დაუზოგავად ურტყამდა პატარასა და
სუსტ გოგონას, რომლისთვის სულის
შებერვაც კი საკმარისი აღმოჩნდებო-
და, რომ წაქეუთყო.

„არა, ამის პატიება არ შეიძლება, უს-
ათუოდ სამაგიერო უნდა გადაუხადო“, —
ფიქრობდა ლუკა, მაგრამ საქმეც ეს
იყო, როგორ უნდა გადაეხადა სამაგიე-
რო? ათასნაირი გეგმა მოიფიქრა და

დააწყო; ეს კი არადა, მოკვლაც კი გა-
დაწყვიტა, მაგრამ ფიქრში წასუთნს მზარავი გადაწყვეტილებანი ბოგდანამ
არ დაასრულებინა. შუშაბანდის კარი
შემოაღო და თავზარდაცემულმა სახეზე
შემოირტყა ხელი:

— რას ჰგავხარ, ლუკა, რა დაგემარ-
თა?! — შეიცხადა.

— რა ვიცი, მცემეს.

— ვინა?

— სკოლის ამხანაგმა.

— რატომ?

— რა ვიცი.

— წამოდი ახლავე, პირი მოგბანო.
დეიდაშენმა ასე დასისხლიანებული რომ
დაგინახოს, მაშინვე ამოხდება სული. —
ბოგდანამ ხელი მოჰკიდა ლუკას, ნაცე-
მი და ნაბეგვი ანდუყაფარს წარუდგინა.

ლუკამ დაწვრილებით უამბო ანდუ-
ყაფარს, რაც მოხდა. ანდუყაფარმა თა-
ვისი ველოსიპედისთვლიანი სავარძე-
ლი ოთახში უხმოდ გაატარა-გამოატარა.
მერმე მოაგორა პირსაბანთან, სადაც
ბოგდანა ლუკას პირსა ბანდა.

— ვინ არის ეგ ირაკლი დევდარიანი,
რატომ აქამდე არ გამიგია?

— წელს გადმოიყვანეს ჩვენს კლას-
ში, ორჯერ არის, თუ სამჯერ დარჩენი-
ლი.

— დიდი მატრებაში ყოფილა!

ლუკამ პირველად გაიგონა ანდუყა-
ფარისაგან უხამსი სიტყვა და ცოტა არ
იყოს, გაუკვირდა, მაგრამ იმასაც მიხე-
და, რამ ათქმევინა. ანდუყაფარი იმდე-
ნად იყო გაბრაზებული, რომ გაფითრე-
ბულს ხელები უკანკალებდა.

ყველასთვის მოულოდნელად ოთახის
კარი ბატონმა პოლიკარპემ შემოაღო.
უაზრო ღიმილით მიმოათვალიერა იქა-
ურობა და დამხედურებს ისე მიესალმა,
თითქოს ამ ოთახში სრულიად შემთხ-
ვევით წააწყდა მათ.

— ჰო, გამარჯობა თქვენნი!

ბატონ პოლიკარპეს არავინ მისალმე-
ბია, მიუხედავად ამისა, ოთახში მაინც
შემოვიდა და კარი ზურგსუკან ხელის
ფათურით მიხურა. შეეჩინებოდა სა-



ხესა და დაელმებულ თვალეზე ეტყო-
ბოდა, კარგად იყო შეზარხოშებული,
თუმცა ცდილობდა საკუთარი ღირსების
გრძნობა თავდაჭერილობით შეენარჩუ-
ნებინა — არ ებარბაცა.

— როგორ ხართ, მეზობლებო! ესაა,
ბიჭო, მეზობლობა?! ამდენი ხანია, ერ-
თად ვცხოვრობთ და ერთმანეთს წესი-
ერად არ მივსალმებივართ... ბატონმა
პოლიკარპემ ისევ გაიღიმა და აუუუუნე-
ბული თვალეზით ბოგდანას მიაჩერდა.
— ამ მშვენიერი ქალბატონისათვის მა-
ინც სულ არ ვარსებობ ქვეყანაზე, გინ-
დაც მე ვყოფილვარ და გინდაც... ვილ-
აც... ვიგინდარა.

— რა გნებავთ, ბატონო პოლიკარპე?
— მშვიდად ჰკითხა ანდრუყაფარმა.

— თქვენი სიკეთე, ბატონო! — ბა-
ტონმა პოლიკარპემ უცებ ლუკას მიაქ-
ცია ყურადღება და შეიცხადა, — აუჰ!
დედა! დედა! დედა! გაზიარეს, ბიჭო?!
რას გავხარ, შე უპატრონო?! ცოცხლად
მარხავ ხომ დეიდაშენს?! შემობრძანდი
სახლში და, რაც იმით დაგაკლეს, მე მო-
გითავებ ახლავე. წამოეთრიე სახლში,
შე უბედურო!

ბატონმა პოლიკარპემ ისევ გაუღიმა
ბოგდანას და თვალეზი აუუუუნდა.

ლუკამ უცებ შენიშნა, როგორ წამო-
ენტო სახე ანდრუყაფარს მთლად აილე-
წა. ბატონი პოლიკარპე კი არავის არ
აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ ბოგდა-
ნას მისჩერებოდა მთვრალის უაზრო ღი-
მილით. ბოგდანა უხერხულად შეიშმუ-
შნა, შებრუნდა პირსაბანისკენ და რა-
ტომღაც ხელები დაიბანა.

— ბატონო პოლიკარპე, თქვენ შეგი-
ძლიათ ახლავე მიბრძანდეთ და გამოი-
ძინოთ! — უთხრა ანდრუყაფარმა ოდ-
ნავ შეცვლილი ათრთოლებული ხმით.

— რა მჭირს ახლა მე გამოსაძინებე-
ლი?! — გაოცდა ბატონი პოლიკარპე.

— ის გჭირთ, რომ გალეწილი მთვრა-
ლი ხართ!

— მე ვარ მთვრალი?! — აღშფოთდა
ბატონი პოლიკარპე.

— კი.

— უყურე ამას შენ! ბიჭო, სტუმარი
ვინ ხვდება ასე საქართველოში?! მტე-
რიც რომ ვიყო, ასე არ უნდა მომმა-
რთო მე — პოლიკარპე გირკელიძეს! —
დააწვა პატრიოტულ გრძნობას ბატონი
პოლიკარპე.

ანდრუყაფარმა ოთახის სიღრმისკენ გა-
აგორა თავისი სავარძელი.

— წამოეთრიე, ბიჭო, სახლში! — ახ-
ლა ლუკას მიუბრუნდა ბატონი პოლიკა-
რპე, — შენი ფეხი არ ვნახო აქ!

— მაგას თქვენ არავინ გეკითხებათ,
ბატონო, ლუკა შემოადგამს თუ არ შე-
მოადგამს ფეხს ჩემს ოჯახში.

— რას ჰქვია, არავინ გეკითხება?!
— კიდევ ერთხელ გთხოვთ, მიბრძა-
ნდით აქედან!

— პოლიკარპე გირკელიძეს ეუბნე-
ბი მაგას, ბიჭო?!
— არა, ბატონო, უინსტონ ჩერჩილს!

— უყურე ახლა! ხედავ, ვის შემოადა-
რა?! ამას კი ვერ გაპატიებ! — გადაი-
რია პოლიკარპე გირკელიძე.

თავისი სავარძლით ანდრუყაფარი ელ-
ვის უსწრაფესად გამოქანდა ბატონი პო-
ლიკარპესკენ, უცებ წაავლო მაჯაზე ხე-
ლი და თავისკენ მოქაჩა. როგორც ჩანს,
საშინელი ძალით მოუჭირა, რადგან ბა-
ტონ პოლიკარპეს სახე მოეღრიცა, დაგ-
მანჭა, გამწარებული ჯერ ცალ ფეხზე
აიწია, უკან გადაიხარა, თითქოს გულა-
ღმა ვარდებო, მერმე დაიგრისა და სა-
ვარძლის წინ მუხლებზე დაეცა, თან გა-
მწარებული ბლავილი აღმოხდა ყელი-
დან:

— მკლავ, შე უღმერთო!

— გაეთრევი, თუ არა, აქედან?!
— მივდივარ, ბატონო... ვინ ოხერი!..

ოღონდ გამიშვი ხელი!

ანდრუყაფარი შეეშვა. სწრაფად მოატ-
რიალა თავისი სავარძელი და ფანჯარას
მიაყენა. ბატონი პოლიკარპე ერთხანს
იდგა ასე მუხლზე დაცემული. გამწარე-
ბული იმანჭებოდა და ნატკენ მაჯას მე-

აჩჩილ სულაპური
ლუბა

ორე ხელით ისრესდა. მერმე ზღაზვნით წამოიმართა და კარისკენ გალასლასდა. კარი გამოაღო. არ მობრუნებულა, ისე ჩაილაპარაკა. — ასეთ მასპინძლობას პირველად ვხედავო — და გაიძურწა.

— არც მე მინახავს ასეთი აბუჩი, უხ-ამსი კაცი! — თქვა ანდუყაფარმა.

ბოგდანა ანდუყაფართან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, დაიხარა და აკოცა.

— განა ღირდა ამ ვიგინდარას გამო ასე აღელვება? — ბოგდანა დაიხარა, ორივე ხელი შემოხვია ანდუყაფარს, ლოყით სახეზე მიეკრო. ორივენი გაყუჩდნენ და გაიტრუნენ.

ლუკა აივანზე გამოვიდა.

გამოვიდა კმაყოფილი და ბედნიერი, აივნის მოაჯირს ორივე მკლავით დაეყრდნო და მარტის მზით აელვარებულ მტკვარს დახედა. რიყეზე ორი თეთრი ლეკვი ებლარძუნებოდა ერთმანეთს, ერთმანეთს ახტებოდნენ, უწყებოდნენ, ყურებზე კებდნენ... ნაპირზე დაბმული ბრტყელძირიანი ცარიელი ნავი ტორტმანებდა. ნავის აშიაზე ბოლოქანქარა იჯდა და ცქმუტავდა.

ლუკას უხაროდა, ლუკას არ ეგონა, თუ ანდუყაფარი ასეთი ღონიერი იყო, თუ ანდუყაფარს ამდენი ძალა ჰქონდა ხელებში. სულ მუდამ ახსენდებოდა პოლიკარზე გირკელიძის სიტყვები: „ბიჭო, ანდუყაფარი მოუვლის მაგ ქალს?! აუჰ! აუჰ!“ მას ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მაინც აწვალებდა და არ ასვენებდა ბატონი პოლიკარპეს ნათქვამი. განსაკუთრებით კი მისი სახის შემაზრხენი გამომეტყველება, როცა ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა.

ახლა კი საკუთარი თვალით ნახა, როგორ დააჩოქა ანდუყაფარმა პოლიკარზე გირკელიძე, ეს აბუჩი, უხამსი კაცი, რომელიც ალბათ იმისთვის შემოვიდა ანდუყაფარის ოჯახში, რომ დაენახა ანდა დარწმუნებულიყო, უვლიდა, თუ ვერ უვლიდა ხეიბარი ღონიერ ფეხებზე შემდგარ თავის მეუღლეს.

ლუკას უცებ თვითონაც მოუნდა ასე-თივე ხეიბარი ყოფილიყო, ოღონდ — მინიმუმ კო ზურგიდან მოსდგომოდა, ბოგდანასავით დახრილიყო, ხელები ყელზე შემოეჭდო და ლოყით სახეზე მოჰკრობოდა...

თავი მეთოთხეტი

მაიკო მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა სკოლაში. ჩალურჯებული თვალი და სცხრომოდა. თვალის უბეზე ოდნავ ემჩნეოდა სიყვითლეში განზავებული იისფერი ზოლი.

მიტო გაურბოდა, თვალს არიდებდა ლუკას. ირაკლი დევდარიანს აეტორღილა, შესვენებებზე ერთად დაძრწოდნენ დერეფნებში. ლუკამ თავისი წილი პური დაჰკარგა. აღარ იცოდა, უკვე ორად ჰყოფდნენ პურს, თუ სამად. შესაძლებელია სამადაც ჰყოფდნენ. მესამედს თვითონვე აძლევდნენ ზაქარია ინწყირველს.

ლუკას ჩალურჯებულმა თვალებმა დიდად დააინტერესა მთელი კლასი მაგრამ მათი ცნობისმოყვარეობა გულგრილად დააცხრო ლუკამ, ცივად უთხრა, — მცემესო, — და თავიდან მოიშორა აბეზარი თანაკლასელები.

მაიკოს გამოჩენა გაუხარდა, მაგრამ მისვლა ვერ გაბედა, რატომღაც თავს დამნაშავედ თვლიდა, მითუმეტეს მას შემდეგ, როცა საკუთარი თვალით იხილა, როგორ გაუსწორდა ავადმყოფი კაცი ჯანღონით საცეს მამაკაცს.

მაგრამ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მაიკო და ლუკა მაინც შეხვდნენ ერთმანეთს დერეფანში. მხარდამხარ უსიტყვოდ გაჰყვნენ დერეფანს და კიბეზე დაეშვნენ. გარეთ გამოსულუბმა სადარბაზოსთან მდგარი ბოგდანა დაინახეს. ლუკას გაუკვირდა და შეშფოთდა კიდეც, — რამე ცუდი ამბავი ხომ არ შეგვემთხვაო. მაგრამ ბოგდანამ კეთილად გაუღიმა, სახეზე ხელი მოუსვა და მეკრღზე მიიკრა. მერმე ჰკითხა:

— ერთი მაჩვენე, რომელია ის ირაკლი დევდარიანი?



ირაკლი და მიტო სკოლის შენობის კუთხესთან იდგნენ. ირაკლი კედელს მიჰყრდნობოდა და პაპიროსს აბოლებდა.

ლუკას გული შეეკუმშა, ტანმა ცუდი უაზრა. ამიტომაც დააყოვნა პასუხი, მაგრამ მაიკომ დაასწრო:

— აი ეგ არის, პაპიროსს რომ აბოლებს.

ბოგდანა მაშინვე გაემართა ირაკლი დევდარიანისკენ. მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაარტყა და ანიშნა წამომყევით. ირაკლი კედელს მოსცილდა და ოდნავ დაბნეული გაჰყვა ბოგდანას. ისინი თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ჩიხის სიღრმეში შეჩერდნენ. მიტო ადგილზევე დარჩა, ხოლო მაიკომ და ლუკამ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი წადგეს.

ირაკლი დევდარიანი, ეტყობა, უცებ მოეგო გონს, უკვე გამომწვევად იდგა ბოგდანას წინ, პაპიროსის ბოლიც კი შეაფუტა სახეში.

— შენ სცემე ამათ? — ჰკითხა ირაკლის ბოგდანამ და მაიკოსა და ლუკას მოხელა!

— რა შენი საქმეა, მე ვცემე თუ სხვამ?! თუ დამჭირდა, კიდევ ვაქოთაქებ ერთსაც და მეორესაც!

ლუკამ თვალი ვერ მოჰკრა, როდის მოუქნია ხელი ბოგდანამ. მხოლოდ ლაწანი გაიგონა და მიწაზე გაშხლართული ირაკლი დაინახა. ირაკლი გიჟივით წამოხტა და ისევ ბოგდანასაკენ გამოქანდა. ლუკამ მეორედაც გაიგონა ლაწანი, ირაკლი ახლა შენობის კედელს მიაწყდა, თავი ველარ შეიმაგრა და იქვე ჩაიკეცა.

— მეორედ არ ახლო ამ ბავშვებს ხელი, თორემ უარეს დღეს დაგაყრი! — ბოგდანა ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, მაიკოსა და ლუკას შუაში ჩაუდგა, ორივეს მხრებზე მოხვია ხელები და წამოიყვანა.

ყველაფერი ისე უცებ დატრიალდა, რომ ლუკამ ვერც კი გაიაზრა, რა მოხდა. ეს კი იყო, გულში თანდათან ჟონავდა შიში, ეშინოდა, ირაკლი ჩუმად არ წამოჰპარვოდა უკნიდან და ბოგდა-

ნასთვის რამე არ დაერტყა, ქვა ან ჭოხი, ირაკლისაგან ახლა უკვე ყველაფერი მოელოდა. თან უკან მიხედვასაც ველარ ბედავდა, რაღაც საშინელის მოლოდინით შეჰყრობილი, დაძაბული მიჰყვებოდა ბოგდანას.

— სანამ მე თქვენთან ვარ, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ. ხვალ მშვიდად მიდით სკოლაში, დარწმუნებული ვარ, თითსაც ვერ დაგაკარბთ.

სამივენი პროსპექტზე გავიდნენ და მარცხნივ გაუხვიეს. ვიდრე გაუხვევდნენ, ლუკამ მოასწრო და თვალი გააპარა სკოლის შენობისაკენ, სადაც ირაკლი და მიტო ეგულეებოდა. არც ირაკლი და არც მიტო იქ აღარ იდგნენ, ქუჩა ცარიელი იყო.

ბოგდანამ ეტლი გააჩერა. ჯერ ლუკა და მაიკო ჩასხა, მერმე თვითონ ავიდა და მათ შორის მოთავსდა.

— საით? — იკითხა მეეტლემ.

— ჩულურეთში. — უპასუხა ბოგდანამ.

ეტლი დაიძრა.

ასეთ ფუფუნებას ლუკა არ ელოდა. იმ შიშისა და დაძაბულობის შემდეგ, უეცარმა სიამოვნებამ მოთენთა და მოაღუნა. სიამოვნებას გვრიდა ეტლის ნელი რწევა ცხენების ფლოქვთა თანაბრადზომიერი თქარათქური, მეეტლის ვეებერთელა ტანი, წელზე მოჭერილი წითელი ნაჭრის ქამარი...

სახლები სწრაფად გარბოდნენ უკან, სახლები და ტროტუარზე მოსიარულე ადამიანები.

— ეი, ლუკა! — დაუძახა უცებ ვილაკამ.

ლუკა გადაიხარა და თანაკლასელი დაინახა, უჩა შავდია. უჩა გამწარებული მოსდევდა ეტლს, თან ჩანთას მოიქნევდა. საოცრად გახარებული იყო, ლუკას ეძახდა, ხელს უქნევდა. ლუკამაც დაუქნია ხელი...

ეტლი კიდევ ერთ ლუკას თანაკლა-

არჩილ სულაბაშვილი
ლუკა



სელს დაეწია, მერმე — მეორეს. ახლა უკვე სამნი მოსდევდნენ ეტლს — გახარებულები, სახეგაბრწყინებულები... გზაზე მათ კიდევ რამდენიმე შინ მიმავალი ბიჭი შეუერთდა, ისინიც ლუკას ამხანაგები იყვნენ. ეტლს ადევნებულთა ჯგუფი გაიზარდა. ყოყინით მორბოდნენ, ეხეთქებოდნენ ერთმანეთსაც და გამვლელებსაც, მაინც მოიწვედნენ წინ, ცდილობდნენ ეტლთან ახლოს ერბინათ. რაღაც გაურკვეველს ეუბნებოდნენ ლუკას, თვალეზანთებულები და აგზნებულები შესტყეოდნენ სახეში. ლუკასაც უხაროდა... რა უხაროდა? უცებ მოეჩვენა, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ და სხვა რითი უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა ეტლით?!

ბავშვებმა მოედნამდე სდიეს. მერმე ეტლმა მოედანს შემოუარა და ვიწრო ქუჩაზე გავიდა. აქედან ქვაფენილი იწყებოდა და მეეტლემ აღვირი მოზიდა, ოდნავ შეანელა სვლა. ლუკას ახლდა გაახსენდა მაიკო, — ნეტავი რა გუნებაზეაო.

მაიკოს ორივე ხელი შემოეხვია ბოგდანას მკლავისათვის და ზედ მთელი ტანით მიჰკვროდა ტკიპასავით. მკლავზე მისვენებულს თვალები დაეხუჭა — ვითომ მიძინავსო. თითქოს ყურადღება იგრძნო, მაიკომ ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა და ბოგდანას ისე ახედა, როგორც იმედს. მერმე ჰკითხა:

— ხომ არ გაწუხებთ, ქალბატონო?

ბოგდანამ გაიღიმა, სახეზე მოუთათუენა და თმა გაუსწორა. მაიკო ნებივრად შეიშმუშნა, ისევ მისვენა თავი ბოგდანას მკლავზე და თვალები მილულა. კაცი იფიქრებდა — საცაა კატასავით კრუტუნს დაიწყებსო.

ლუკას მთელი გზა ეგონა ან უფრო ზუსტად, შინაგანად შეუმოწმებლად დარწმუნებული იყო, რომ მაიკო იმასვე განიცდიდა, რასაც თვითონ, რატომღაც უსიამოვნოდ გაუკვირდა, როდესაც ასე საეჭვოდ გალურსული დინახა. მისთვის უცხო აღამიანს რომ მიტმასნოდა.

იგი ალღოთი მიხვდა რაღაცას, მაგრამ ეს რაღაც ბოლომდე არ იყო მკაფიო. გამოკვეთილი. გაახსენდა, იმ დღეს რა უწყალოდ სცემა ერთიცა და მეორეც ირაკლი დევდარიანმა. რა თავგანწირვით ეკვეთა ლუკას გულისთვის მაიკო იმ ახმასს, თვითონ კი თითიც არ გაუნძრევია, როცა ირაკლი მაიკოს ურტყამდა. შეშინებული იდგა და უკანასკნელი ლაჩარივით უყურებდა, როგორ სცემდა გოგოს... რაღაც ეტკინა, რაღაც გაებზარა გულის სიღრმეში ლუკას...

რა თქმა უნდა, მაიკო დღეს დარწმუნდა, ლუკამ ის არ გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო, მითუმეტეს არც ისეთი ვაჟკაცი ყოფილა ის შენი ირაკლი დევდარიანი, არა, ირაკლის, რომ ვერ მოერევა ეს ნაღდია, მაგრამ მორევაც არის და მორევაც... შეიძლება, კაცი ღირსეულად დამარცხდეს...

ეტლი ეკლესიის ეზოს წინ გაჩერდა. მაიკომ ბოგდანას აკოცა, დაემშვიდობა და ფრთხილად ჩავიდა. მერმე ფეხარეული ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისკენ. ლუკამ თვალი გააყოლა ეზოს სიღრმეში მიმავალს, დარწმუნებული იყო, მაიკო, ვიდრე ეკლესიას მიეფარებოდა, ერთხელ მაინც მოიხედავდა. მაგრამ შეცდა, მაიკოს არ მოუხედავს, უხერხული ნაბიჯებით მიდიოდა ეკლესიის გასწვრივ.

მეეტლემ ცხენებს შეუძახა და ეტლი ისე დაიძრა...

როდესაც ბოგდანა და ლუკა ანდუყაფარს გამოეცხადნენ, ბოგდანამ თავის მეუღლეს როგორღაც დამნაშავესავით გაუღიმა:

— აკი ერთხელ გითხარი, ვერ ვეგუები-მეთქი ზოგიერთ ქრისტიანულ დოგმას. დღეს შევამოწმე ჩემი თავი და მართალი აღმოვჩნდი.

— რა ჩაიდინე, ბოგდანა? — დაიბნა ანდუყაფარი.

— ისეთი არაფერი... ის ბიჭი შემომეღალახა.

— რას ჰქვია, შემოგელახა?

— კი, ნამდვილად.

— მაგას ვერ დავიჯერებ.
— ეგეთი თავხედი ბავშვი მეორე არ შემხვედრია.
— ხელი გაართუნი?
— ორჯერ.
— ბოგდანა!
— რას იზამ, ხდება ხოლმე... ნუ გეშინია, მე ვილოცებ ჩვენი სულის ხსნისათვის!

მეორე დღეს ლუკა გულის ფანცქალით მიდიოდა სკოლისკენ. ჯერ ერთი ირაკლი დევდარიანისა მაინც ეშინოდა. ღრმად სჯეროდა, რომ ირაკლი ასე ადვილად არ დაშოშმინდებოდა და ამ შეურაცხყოფას არც ლუკასა და არც მაიკოს არ აპატიებდა. თანაც უკვე თვითონვე რცხვენოდა, დამცველად ქალი რომ მოიყვანა. ბოგდანა ვაჟი ყოფილიყო, მაშინ სხვა იქნებოდა. ახლა კი რა გამოვიდა, შეიძლებოდა, მთელ კლასს მასხარადაც აეგდო. ლუკას მაიკოსთან შეხვედრაც აფიქრებდა. მისთვის გაუგებარი იყო მაიკოს გუშინდელი უცნაური გადასხვაფერება, მოულოდნელი ცვლილება, რომელიც ეტლში ჯდომისას შენიშნა.

მაგრამ მაიკოს ქუჩაშივე შეეფეთა სკოლისაკენ მიმავალი. მაიკო ძალზე კმაყოფილი ჩანდა გუშინდელი დღის გამო. განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა ეტლით გამოსეირნებას.

— კარგი იყო, არა?
— კი, ძალიან.
— კარგი ქალი ყოფილა ბოგდანა.
— კი, ძალიან... შენ კიდევ არ იცო. მაიკო, როგორ უვლის დეიდაჩემს. ბოგდანა რომ არ გამოჩენილიყო, ალბათ დავიღუპებოდი.

— ანდუყაფარს უყვარს?
— კი, ძალიან...
— მე პირველად ვიჯექი ეტლში.
— მართლა? — გაუკვირდა ლუკას.
— დაინახე, როგორ მოგვდევდნენ ბავშვები!

— როგორ არა! მე კი მეგონა, მაიკო ვერ ხედავს-მეთქი... მთელი გზა გეძინა.
— მე მეძინა?! ისე მსიამოვნებდა

ეტლში ჯდომა, თანაც ისეთი თბილი იყო ბოგდანა...

— დღეს ნახე, როგორ შეგვხვდებიან ბავშვები!

— ვიცი! რომ იცოდე, ცოტას გავიპრანჭები კიდევ. მაგრამ...

— რა, მაგრამ? — ჰკითხა ლუკამ.

— ცოტათი ირაკლის მეშინია.

— ნუ გეშინია! — დაამშვიდა ლუკამ. — ბოლოსდაბოლოს თავს შევაკლავ!

— თუ კიდევ გავგლახა?

— ნუ გეშინია, მაიკო!

ირაკლი დევდარიანი მეორე დღეს სკოლაში არ გამოცხადებულა. არათუ მეორე დღეს, საერთოდ, აღარ გამოჩენილა.

რაც შეეხება თანაკლასელებს, რომლებიც წინა დღეს ყიფინითა და აურზაურით მისდევდნენ ეტლს, არავითარი განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ გუშინდელი ტრიუმფატორებისათვის. პირიქით, არც კი უკითხავთ, რა მიზეზის გამო ისხდნენ ეტლში.

ეს კი იყო, პური იმ დღეს მთელმა კლასმა თანაბრად გაინაწილა.

თავი მეთხუთმეტი

გზაფხული მეტად ავბედითი აღმოჩნდა ანდუყაფარისათვის, მოულოდნელად, უცებ დაიწყო გასუქება, უფრო სწორედ, იგი თვალდათვალ სივდებოდა. ექიმებმა ვერაფერი თქვეს სანუგეშო. მედიცინა უძლური აღმოჩნდა, თუნდაც რამდენიმე ხნით შეეჩერებინა ეს თავზარდამცემი პროცესი.

ბოგდანა შეძრწუნებული იყო. აი, რა ილაპარაკეს მან და ლუკამ ერთ მაისის დილას, ნავთის რიგში:
ლუკა — როგორ ეძინა წუხელ?
ბოგდანა — ცუდად.
ლუკა — არაფერი ეშველება?

არჩილ სულაბაური
ლუკა

ბოგდანა — ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის.

ლუკა — ექიმმა რა თქვა? გუშინ ხომ იყო ექიმი?

ბოგდანა — არც კი გაუსინჯავს, მხოლოდ დახედა და მხრები აიჩეჩა. მე ვკითხე მიზეზი, — რატომ სივდება მეთქი? ეგ რომ ვიცოდეთ, ქალბატონო, მაშინ ხომ მოვარჩენდით კიდეცო, — მიპასუხა.

ლუკა — იქნებ გაუაროს.

ბოგდანა — სხვათაშორის, ეგვეც ვკითხე, — იქნებ გაუაროს-მეთქი? იქნებ გაზაფხულის ბრაღია-მეთქი. შეიძლება გაუაროსო, — თქვა, — თუმცა ამის გარანტიას ვერავენ მოგცემთო. მაგრამ, იცი, რა ლუკა, მე არა მგონია, რომ ეს დროებითი მოვლენა იყოს. ცუდად არის საქმე, ძალიან ცუდად!.. ანდუყაფარს რომ რაიმე შეემთხვეს, ალბათ თავს მოვიკლავ... შენ ხომ იცი, რა კაციც არის ანდუყაფარი?!

ლუკა — ვიცი.

ბოგდანა — გუშინ ქაშუეთში წავედი და ვილოცე.

ლუკა — არაფერი ეშველება?

ბოგდანა — ძალიან დაუძლურდა, ლუკა, სულმთლად გამოეცალა ღონე, შენ ხომ გახსოვს, ლუკა, რა ღონიერი იყო, როგორი ძალა ჰქონდა? ახლა კი ფინჯანის აწევაც უჭირს, ჩაის ძლივსა სვამს. მაინც რა უცებ მოხდა, ღმერთო ყველაფერი... თვენახევარში... ლამის გული გამისკდეს.

ლუკა — (ბოგდანას თვალს არიდებს, გული ყელში ებჯინება ცოტაც და იტირებს)

ბოგდანა — ანდუყაფარს რას გამოაპარებ, ანდუყაფარს სხვაზე უკეთ ესმის, რაც სჭირს. იცის, ჯანმრთელობა საბოლოოდ შეერყა და, რაც დაჰკარგა, იმის აღდგენა უკვე შეუძლებელია. (ღუმლის შემდეგ). შენ ძალიან უყვარხარ, ლუკა, შენ ერთადერთი მეგობარი ხარ ანდუყაფარისა. ამასწინათ თქვა: ღმერთო, ისე მომკალი, ღმერთო, ისე წამიყვანე ამქვეყნი-

დან ლუკას ჩემს სიკვდილს ნუ დანახებო.
გებო.

ლუკა — (ბოგდანასაკენ ზურგშექცევითა დგას. ფრთხილად გააპარებს ხელს შარვლის ჯიბისაკენ და ცხვირსახოცს ამოიღებს. ვითომ ცხვირის მოხოცვა უნდა. ჩუმად, ბოგდანასაგან დამალულად იწმენდს ცრემლს).

ბოგდანა — რა უსამართლოა ცხოვრება! რატომ უნდა დაიღუპოს. ეს სიკეთით სავსე კაცი, როცა ამდენი ბოროტი დათარეშობს ქვეყანაზე? მას ხომ არაფერი დაუშავებია გარდა იმისა, რომ გარშემო შადრევანივით აფრქვევდა სიყვარულს, ნდობას, კეთილშობილებას! შენ არ გაგიგონია, ლუკა, როგორ დამტუქსა იმ დღეს, შენთან სკოლაში რომ მოვედი იმ ბიჭის საცემად. მართალი გითხრა, ახლა მეც ვნანობ, ასე რომ მოვიქციე... მიუღმეტენ იმ ბიჭს სწავლისთვის სულაც მიუწებებია თავი... (ისევ ღუმლი. ღუმლის შემდეგ) ლუკა, გეთაყვა, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინაა მთვარისა?

ლუკა — (დაიბნა) მთვარისა?

ბოგდანა — შენ ხომ იცი, ვინ არის მთვარისა?

ლუკა — რატომ მეკითხები?

ბოგდანა — იცი, თუ არა?

ლუკა — ვიცი.

ბოგდანა — მერმე?

ლუკა — რატომ მეკითხები?

ბოგდანა — ცუდად არ გამიგო, ლუკა. ამ ბოლო დროს ზშირად ახსენებს ხოლმე მთვარისას და მე ანდუყაფარის ნალაპარაკებიდან მივხვდი, იგი რაღაცით შენ გიკავშირდება.

ლუკა — მე ერთხელ ვნახე მთვარისა საგიჟეში, მაგრამ მეორედ რომ მივედი იქ, მითხრეს, არავითარი მთვარისა არ არსებობსო.

ბოგდანა — ვინ გითხრა?

ლუკა — დარაჯმა... ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, არსებობს თუ არ არსებობს...

ბოგდანა — ლუკა, შენ შეგიძლია

ერთხელ კიდევ მიხვიდე იქ?... მთვარი-
სას სანახავად.

ლუკა — რატომ უნდა მივიდე?

ბოგდანა — მე რომ გთხოვო, წა-
ვალ?

ლუკა — რა თქმა უნდა!

ბოგდანა — ლუკა, ანდუყაფარს
მთვარისა აწუხებს. მე ვერ გეტყვი,
რა წუხილია ეს, მაგრამ დაბეჯითებით
გეუბნები, — ანდუყაფარს მთვარისა
აწუხებს. ანდუყაფარი ბოლომდე არ
არის დარწმუნებული, არ იცის, არსე-
ბობს თუ არ არსებობს მთვარისა. ლუ-
კა, გენაცვალე, თუ ჩემი ხათრი გაქვს,
წადი, რა!

ლუკა — კი, წავალ. ხომ გითხარი,
წავალ-მეთქი!

ბოგდანა — ოღონდ...

ლუკა — რა, ოღონდ?

ბოგდანა — ოღონდ... როგორმე უნ-
და გაიგო, ნამდვილად არსებობს თუ
არ არსებობს მთვარისა.

ლუკა — თუ არ არსებობს?

ბოგდანა — უნდა არსებობდეს! ან-
დუყაფარს ასე სურს... ამიტომ მთვა-
რისა უსათუოდ უნდა არსებობდეს.

ლუკა — იქნებ არ არსებობს?

ბოგდანა — ამიტომაც გეგეჟები,
ლუკა, წადი-მეთქი. მართლაც, ხომ არ
შეიძლება, შენ თვითონ მოგვეგონა
მთვარისა ანდა მოგჩვენებოდა... ან-
და... იქნებ სიზმარში ნახე და მერმე
ისე ნათლად წარმოიდგინე, რომ ცხადი
გეგონა?

ლუკა — არა, არა!.. მე ნამდვილად
ვნახე... მერმე მესიზმრებოდა კიდევ...

ბოგდანა — მაშ რატომ ამბობ, მთვა-
რისა არ არსებობსო?

ლუკა — რა ვიცი... ასე მითხრეს, აქ
არავითარი მთვარისა არ ცხოვრობსო,
არც არასოდეს უცხოვრიაო! ეს საა-
ვადყოფნის სამრეცხაოა და სხვა არა-
ფერიაო!

ბოგდანა — იქნებ შეცდა დარაჯი?!!

ლუკა — (მბრებს იჩეჩავს)

ბოგდანა — გინდა ერთად წავიდეთ?

ლუკა: — ჩემთვის სულერთია. თუ

ასეა, ახლავე წავალ, ნავთი მაინც არ
მოაქვთ.

ბოგდანა — ასეა, ასე! მეც მინდა,
მთვარისა არსებობდეს, რადგან ასე
სურს ანდუყაფარს. მე არ ვიცი, რა
მნიშვნელობა ან რა აზრი აქვს მის არ-
სებობას, მაგრამ თუკი ეს ანდუყაფარს
აწუხებს, თუკი ტკივილით განიცდის
მის ყოფნა-არყოფნას, უსათუოდ უნდა
დაგუშუსტოთ, სიმართლე ვუთხრათ.

ლუკა — თუ კიდევ თქვა იმ დარაჯ-
მა — არ არსებობსო?

ბოგდანა — მაშინ მე და შენ ერთად
წავიდეთ, მე შევალ საავადმყოფოში
და ზუსტად გავიგებ ყველაფერს.

ლუკა — კარგი, წავალ!

ბოგდანა — ნუ დამზარდები, ლუკა
შენი კირიმე!

ლუკა წავიდა.

იგი მიხვდა, რომ ბოგდანამ უფრო
მეტი იცოდა მთვარისას შესახებ, ვიდ-
რე აქ გაამჟღავნა. როგორც ჩანს, ან-
დუყაფარმა მას ყველაფერი უთხრა,
უთხრა ისიც, თუ რატომ წუხდა ანდა
რატომ აწუხებდა ასერიგად მთვარისა.
მაგრამ ლუკასთვის გაუგებარი და გა-
ურკვეველი რჩებოდა მიზეზი ამ წუხი-
ლისა, რატომ უნდა მიეყენებინა ანდუ-
ყაფარისათვის მთვარისას არსებობა-
არარსებობის ასეთნაირი ტკივილი?

ლუკას გაახსენდა ის ღამე, როდესაც
პირველად უთხრა, — მთვარისა არ არ-
სებობსო. მაშინ საშინლად აღელდა ან-
დუყაფარი, ხოლო ლუკა გაოცებული
და გაოგნებული დარჩა ამ აღელვების
გამო. მას შემდეგ მართლაც, აღარ
უფიქრია მთვარისაზე, არც დასიზმრე-
ბია. ახლა კი უკვე ნანობდა, ოდესღაც
რომ ნახა გალიაში გამომწყვდეული
შიშველი ქალიშვილი, რომელმაც თა-
ვისი ტკივილები გაუშხილა; ნანობდა
იმასაც, — ნანახი და განცდილი ანდუ-
ყაფარს რად გავანდო.

მეჭოთნეთა ქუჩით რიყის ქუჩაზე
დაეშვა და მერმე მოედინიდან ტროლეი-

არჩილ სულაბაური

ლუკა

ბუის გაჰყვა ძველ კირხემდე. ლუკას იმედი არ ჰქონდა, რომ საგიჟის კარი ღია იქნებოდა. ასეც მოხდა, ალაყაფის რკინის კარი უნუგვმოდ ჩაკეტილი დახვდა. ამოდ იბოლიალა წინ და უკან გალავნის გასწვრივ, მერმე იმედგაცრუებული და გულგატეხილი უკან დაბრუნდა, ღრმად დარწმუნებული, რომ ვერასოდეს, ვერაფერ ვერ დაადგენდა; არსებობდა, თუ არ არსებობდა მთავარისა.

მეჭოთნეთა ქუჩა აათავა და დაინახა: ნავთის წერტთან არავითარი რიგი აღარ იდგა. ნავთის წერტიც დაკეტილი იყო. შინ მისულს ანდუყაფარი და ბოგდანა აივანზე დახვდნენ. ბოგდანას ბორბლებიანი სავარძლის საზურგესთვის ორივე ხელი ჩაევლო და ანდუყაფარს სუფთა ჰაერზე დაასერიებდა. ლუკა დაინახა თუ არა, თვალით ანიშნა, — ახლა არაფერი მითხრაო. სახედს იღებულო, ფერგამკრთალი ანდუყაფარი უღონოდ ესვენა სავარძელში. უმწეო, დაბერილი ხელები მუცელზე დაეკრიფა. ლუკას ძლივს შესამჩნევად გაუღიმა. მერმე თვალები დახუჭა და მის ფერფლისფერ სახეს ისევ ცივი სიმშვიდე დაეუფლა.

— ნავთი არ მოუტანიათ. — თქვა ბოგდანამ.

— მივხვდი.

— ხვალ იქნებაო.

— ხვალ რომ სკოლაში მივდივარ?

— თქვენსასაც და ჩვენსასაც მე მოვიტან. ხვალ საღამოს ცვლაში ვმუშაობ.

ლუკა მოაჯირს გადაეყუდა და მტკვარს ჩახედა. მტკვარი უკვე იმდენად მოდიდებულიყო, რიყე გადმოელახა და ეზოს კიდეს მოსდგომოდა. მიდიოდა გახელებული, ამღვრეული, აქაფებული, მდინარეში შეჭრილ აგურის კედელს აწყდებოდა და ხმაურით აბრუნებდა წყალს, ტალღას ტალღაში აწნავდა, უზარმაზარ ძაბრულებს აჩენდა ურჩხულის ხახსავით.

ლუკამ ბოგდანას მოხედა და ანიშ-

ნა, — კარი დაკეტილი დამხვდაო. ბოგდანამ თავი დაუქნია, — მივხვდი, მერმე უთხრა:

— დეიდა ნატოს ჩაი დავალევინე წადი, შენც დალიე სანამ ცხელია.

— ჯერ არ მინდა.

— მერმე ვერ გააცხელებ, ნავთი აღარ არის.

— სულაც არ დავლევ, არ მინდა.

ანდუყაფარმა თვალები გაახილა და ლუკას მიაჩერდა. ლუკა მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს გამოხედვა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— წადი, ისაუბმე... ბოგდანას დაუჯერე ხოლმე, ლუკა.

ლუკა უსიტყვოდ მოშორდა ხის მოაჯირს, აივანი გაიარა და შუშაბანდის კარი შეაღო. დეიდა ნატომ, ეტყობა, კარის ხმაური გაიგონა, ოთახიდან გამოხედა ლუკას შუშაბანდში და ჯანსაღი ხელით, რომელიც საბანზე ესვენა, ანიშნა, — მომიხლოვდიო.

ლუკა საწოლთან მივიდა, დაიჩოქა.

— როგორ ხარ, დეიდა ნატო?

დეიდა ნატომ ტუჩები შეარხია და სახეზე საწყალობელი ღიმილი გამოეხატა. მერმე ჯანსაღი ხელი ლუკას ხელს დააფარა და მოესიყვარულა.

— ჩაი დალიე? — ჰკითხა ლუკამ.

დეიდა ნატოს ორივე ლოყაზე ცრემლი დაუგორდა, ლუკამ საბნიდან ცხვირსახოცი აიღო და შეუშრალა.

უცებ მეორე ოთახის კარი ხმაურით გაიღო და პოლიკარზე გირკელიძე გამობრძანდა. კარი ისევ ჩაკეტა გასაღებით და ავადმყოფს მიესალმა:

— გამარჯობა, დეიდაჩემო! დღეს რაღაც უკეთესად გამოიყურები! — არც დაუხედავს დეიდა ნატოსთვის, ისე გაიარა ოთახი; არც ლუკას მისალმებია.

— ჩაის მეც დავლევ. — უთხრა ლუკამ დეიდა ნატოს და წამოდგა.

ჩაიდანში წყალი, რა თქმა უნდა, უკვე საკმაოდ შეგრილებულიყო. ამიტომ მხოლოდ თავისი წილი ხმელა პურს შეჭამა და ისევ აივანზე გამოვიდა.

— ლუკა, მოდი აქ! — დაუძახა ბოგ-
დანამ, — ბერიშვილებთან რაღაცა ხდე-
ბა...

ლუკამ მოაჯირთან მიიბრინა და ეზოს
გადახედა. პირველ სართულზე მართ-
ლაც რაღაც ხდებოდა, უამრავი ხალხი
ირეოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელო-
ვანი მაინც ის იყო, რომ ამ ხალხში ბა-
ტონი პოლიკარბეც ერია. ბერიშვილე-
ბის კარი ღია იყო, ვიღაცეებს ოთახი-
დან ბარგი აივანზე გამოჰქონდა და
რასაკვირველია, ამ მოძრაობას პოლი-
კარბე გირკელიძე სარდლობდა. თვი-
თონ დათიკო ბერიშვილი არსად ჩანდა.

— ეტყობა, ლუკა, გასახლებენ. —
თქვა ანდუყაფარმა.

— გვასახლებენ?! — გაოცდა ლუკა.

— კი, ეგ უკვე ცაშია გადაწყვეტილი.

— ვინ გადაწყვიტა?

— პოლიკარბე გირკელიძემ, შენმა
საყვარელმა ნათესავმა. ვიცოდი, ასე
მოხდებოდა... ვაი, რომ დავუძლურდი
და ჯანი აღარა მაქვს, თორემ მაგ შენს
ნათესავს კუდიტ ქვას ვასროლინებდი.

— მე არ დავუშვებ ასეთ უსამართ-
ლობას! — აღუფოთდა ბოგდანა.

— შენ არავინ არაფერს დაგეკითხე-
ბა, ჩემო ბოგდანა... ვინა ხარ შენ,
ბოგდანა ვაიდა, ჩემო ცოლო, ჩემო კე-
თილო მეგობარო?! შენც ისეთივე უძ-
ლური ხარ, როგორც მე, როგორც
ლუკა, როგორც დეიდა ნატო! ამ ბო-
როტებას ახლა კეთილი გულით ვერ
შეაჩერებ, იგი გაგთელავს, გაგათახ-
სირებს, მიწასთან გაგასწორებს! ამ
ბოროტებას ახლა მხოლოდ ძალა თუ
უშველის, დიდი, დამორგუნველი ძალა,
რომელიც ჩვენ არ გავაჩნია.

— შენ მეუბნები მაგას, ანდუყა-
ფარ?! შენ?! მაშ სიკეთე რისთვისაა
გაჩენილი, თუ ბოროტებას წინ არ
აღუდგება?!

— ამჯერად სხვანაირად არის საქმე.

— განა ქვეყნად არ არსებობს სა-
მართალი, კანონი?! კანონი ხომ სიკე-
თის ერთგვარი გამოხატულებაა?!

— ბოგდანა, ეგენი ახლა კანონის

სახელით მოქმედებენ, უფრო ზუსტად,
მოქმედებენ ვითომცდა კანონიერად,
ფარგლებში. დათიკო ბერიშვილმა ყვე-
ლა საკითხი, დარწმუნებული ვარ, უკვე
შეთანხმა სადაც ჯერ არს. ამასთანავე
მას ხელზე აქვს ყველა საბუთი, რომე-
ლიც ბინების გაცვლის უფლებას ანი-
ჭებს.

ფუსფუსი და ორომტრიალი პირველ
სართულზე არ შენელებულა. ვიღაც
მამაკაცები ოთახიდან ეზიდებოდნენ
ავეჯს, ჭურჭლეულს; ლეიბები და საბ-
ნები აივნის მოაჯირზე იყო უხვად
გადმოფენილი. ლუკა დაბნეული დას-
ჩერებოდა პირველ სართულს, ღონი-
ერ მამაკაცებს, ჯანღონის დაუზოგავად
აივანზე რომ მოათრევდნენ მძიმე კა-
რადებს. აივნებზე სხვა მეზობლებიც
გამოსულიყვნენ, ოღონდ ისინი არავი-
თარ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ
ფუსფუსში. გულხელდაკრფილნი მკა-
ცრი მდუმარებით გამოხატავდნენ გუ-
ლის წყრომასა, თუ აღუფოთებას, ხან-
დახან ლუკას გამოხედავდნენ ხოლმე
და თავს სინანულით გააქნევდნენ: ეს
რა ხდება, რა უსამართლობას შევეს-
წართო. ერთი-ორჯერ ძია ლადომაც
ამოხედა ლუკას და მკერდზე მუშტი
დაიბაგუნა. იგი იზასთან ერთად ახლად
შეფოთილილ ცაცხვის ქვეშ იდგა.

ბატონმა პოლიკარბემ ოთხი კაცი შე-
არჩია და წინ გამოუძღვა. ხუთივენი
სწრაფი ნაბიჯით მოდიოდნენ პირველი
სართულის აივანზე.

— ახლა ეგენი აქ ამოვლენ და დეო-
დაშენს წაიყვანენ... თავის საწოლია-
ნად, — თქვა ანდუყაფარმა.

ლუკა უცებ მოსწყდა მოაჯირს და
შუშაბანდში შევარდა, კარი შიგნიდან
ჩაკეტა. იგი ფანჯრიდან ხედავდა კიბის-
თავს და რაღაც გაურკვეველისა და შე-
მაძრწუნებელი ამბის მოლოდინში გუ-
ლი გასკდომამდე უცემდა. არაფერზე
არ ფიქრობდა. ერთადერთი მიზნით

არჩილ სულაპაური
ლუკა

იყო აღმშრელი, არავისთვის არ გა-
ლო კარი, თუნდაც ეს სიკვდილის ფა-
სად დასჯდომოდა. შიშით გააპარა თვა-
ლი დეიდა ნატოსკენ. დეიდა ნატოს
თავის საწოლში მშვიდად ეძინა.

მაღე კიბიდან ამოიზარდა ბატონი
პოლიკარპეს მელოტი თავი. კიბე ამო-
თავა და საქმიანი ნაბიჯით გამოეშურა
შუშაბანდისკენ. უკან ოთხი ახმახი მოს-
დევდა.

ბატონი პოლიკარპე შუშაბანდს მო-
ადგა, კარის სახელური გადასწია და
კარს მოაწვა. ფრიალ გაოცდა, კარი
რომ არ დაემორჩილა. კიდევ ერთხელ
მოაწვა და გაოცებულმა ფანჯარაში
შემოიხედა. შუშაბანდში ლუკას თვა-
ლებს წააწყდა; მაშინ კი აღშფოთდა
ბატონი პოლიკარპე, — რას ჰგავსო
ეს! მერმე თავი დაიციხრო, აივნის მშვი-
დად გადახედა და თითქოს ვილაცას
მიმართავდა, ისე თქვა:

— უყურე ამ ციგანს, — გაიცინა
ნაძალადევად, — შიგნიდან არ ჩაუყე-
ტია კარი?! გააღე, ბიჭო, ეს ოხერი კა-
რი!

— არ გავაღებ!

— რას ჰქვია, არ გააღებ?!

— იმას ჰქვია, რომ არ გავაღებ!

ბატონმა პოლიკარპემ ისევ გაიცინა
და კარის სახელურს დაეჯაჯგურა.

— როდემდე იქნები მანდ ჩაყეტი-
ლი, იმასაც ვნახავ!

ლუკა შუშაბანდის ფანჯრიდან ხედავ-
და ბატონი პოლიკარპეს სიმწრისაგან
აღეწილ სახეს. დანარჩენები მშვიდად
იდგნენ მის ზურგს უკან და მოთმინე-
ბით ელოდნენ მოვლენების შემდგომ
განვითარებას. მერმე აივნის იმ მონაკ-
ვეთში, რომელსაც ლუკას თვალი წვდე-
ბოდა, ნელა შემოსრილდა ანდუყაფა-
რის სავარძელი, იქვე გამოჩნდა ბოგ-
დანაც, ორივე ხელით სავარძლის სა-
ზურგეს დაყრდნობილი.

— ცოტა ნაადრევად ხომ არ მოგი-
ვიდათ, ბატონო პოლიკარპე, ბინების
გაცვლა? — ჰკითხა ანდუყაფარმა.

— მაგას არავინ არ გეკითხება შენ,

ჩემო ანდუყაფარ! — უპასუხა ბატონ-
მა პოლიკარპემ, მერმე ვითომ თავის
თავის ჩაილაპარაკა, — მაინც რა უზ-
ნეობაა ეს სხვის საქმეში ჩარევა!

— მე მგონი, თქვენს მეტი აქ არავინ
ერევა სხვის საქმეში! ისე კი, რაც შეე-
ხება უზნეობას, თქვენზე უზნეო და
უხამსი კაცი ჯერ არ შემხვედრია.

ბატონ პოლიკარპეს არავითარი ყუ-
რადღება არ მიუტყვევია ანდუყაფარის
ნათქვამისათვის, თითქოს არც გაუგო-
ნია. ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნე-
ლად აღუდდა, კარს დაეჯაჯგურა და
ლუკას უღრიალა:

— კარი გააღე, შე უპატრონო, თო-
რემ ახლავე შემოვამტკრე!

— არ გავაღებ! — მშვიდად უპასუ-
ხა ლუკამ. იგი მართლაც დამშვიდდა
ცოტათი, ანდუყაფარი და ბოგდანა
რომ დაინახა.

— მილიციას გამოვუძახოთ! — თქვა
ბოგდანამ.

— მილიცია კი არა, პოლიცია მომ-
თხოვე ახლა! აგერ მაქვს ქალბატონ
ნატოს მიერ ხელმოწერილი საბუთი!
— შეუღრინა ბატონმა პოლიკარპემ
ბოგდანას და ისევ ლუკას მიუბრუნ-
და. — მე შენ გეუბნები, ახლავე გამი-
ღე კარი!

ლუკამ, რა თქმა უნდა, კარი არ გა-
უღო. მაშინ პოლიკარპე გირკელიძემ
ანიშნა იქვე მოწმეებივით მდგარ მამა-
კაცებს, — მომეშველეთო. ისინიც მი-
ეშველნენ და ახლა უკვე ხუთივე ერ-
თად დაეჯაჯგურა კარს. მოაწვნენ მთე-
ლი ძალით. კარი შუშაბანდში შემო-
იზნიქა. ლუკა იქაურობას გაეცალა,
რადგან ხედავდა, რომ ხუთი მამაკაცის
ძალა დიდად აღემატებოდა კარის
მდგრადობას.

კარი ხმაურით შემოანაგრიეს და ხუ-
თივენი კისრისტეხით შემოცვივდნენ
შუშაბანდში.

მერმე ხუთივე ერთად დეიდა ნატოს
საწოლს მიაღგნენ.

— ფრთხილად! ახლა კი ფრთხილად!
— თქვა ბატონმა პოლიკარპემ.



მათ დიდი სიფრთხილით გამოაჩინეს საწოლი, მერმე ასევე სიფრთხილით ასწიეს მალლა. ლუკას უცებ გაახსენდა, როგორ გამოასვენეს ამ ოთახიდან დეიდა ნუცა და ერთი წუთით თვალთ დაუბნელდა. გონს მოსულმა საწოლის ფეხს ხელი ჩაავლო და იყვირა, — არ გაგატანთო, — მაგრამ ვერაფერს გახდა.

დეიდა ნატოც გაასვენეს შუშაბანდიდან, ოღონდ დეიდა ნუცასავით კუბოთი კი არა, თავისი რკინის საწოლით. ლუკა უკან გაჰყვა. კიბისთავთან მისულბმა საწოლი უცებ დაუშვეს დაბლა, იატაკზე დადგეს. ბატონი პოლიკარზე აიღეწა, აწრიალდა, მოულოდნელი მოუთმენლობა და შიში დაეუფლა, გეგონებოდა გაქცევა უნდოდა და ვერ ახერხებდა. ლუკას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ვიღაც ამოდიოდა კიბეზე, ვიღაც შიშისმგვრელი, თუ თავზარდამცემი.

სიჩუმე ჩამოვარდა და ლუკამ გაიგონა მძიმე ნაბიჯების ხმა.

მალე აივანზე შემოჩნდა ხელჯოხიანი მალალი მამაკაცი, მას ოფიცრის ფორმა ეცვა და მეორე ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

— გამაგებინეთ რა ხდება?! სად მიგყავს ეს ქალი?! — იკითხა ოფიცერმა.

ეს იყო გოგი ჯორჯაძე — ლუკას მამა.

ლუკას ხმა არ გაუღია, გონება დაჰკარგა და იქვე ჩაიკეცა.

თავი მეთექვსმეტი

ლუკა ორიოდ წუთში გონს მოიყვანეს, მამას პატარა ბავშვივით ატატიბული დაჰყავდა აივანზე.

მღელვარება და დაძაბულობა ჩაინავლა, ეზო დაშოშმინდა. მეზობლები, რომლებიც ფეხდაფეხ ამოჰყვნენ გოგი ჯორჯაძეს მეორე სართული აივანზე და აღშფოთებასა და გულსწყრომას ვეღარ იოკებდნენ, ფრიალ კმაყოფილნი გაბრუნდნენ უკან. იმ ალიაქოთში ბატონი პოლიკარზე გირკელიძე უცებ

აორთქლდა, სადღაც გაძვრა თვალსა და ხელს შუა, მის ასავალ-დასავალს მერმეც ველარავინ მიაკვლია.

დეიდა ნატო თავის საწოლიანად ისევ შეაბრუნეს საკუთარ ოთახში. მეორე ოთახი, საიდანაც ლუკა ამ რამრენი თვის წინათ გამოასახლა პოლიკარზე გირკელიძემ, დიდი წვალების შემდეგ გააღეს. მაგიდაზე, გარდა ერთი მთლიანი ძეხვისა და პურისა, გოგი ჯორჯაძის მიერ ჰოსპიტლიდან გამოგზავნილი ოთხი წერილი აღმოჩნდა. ფოსტალიონი ამ წერილებს პირადად პოლიკარზე გირკელიძეს აბარებდა. თურმე სამაგიეროდ ბატონი პოლიკარზე ყოველი წერილის მიღებისას ხუთი მანეთით ასაჩუქრებდა ფოსტალიონს. ფოსტალიონს ეს ამბავი არც დაუმალავს, გულწრფელად თქვა ყველაფერი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ წერილს დანიშნულებისამებრ ააწვებდა ადრესატს, ოჯახის ერთ-ერთ წევრს.

ბატონმა პოლიკარზემ, რაღა თქმა უნდა, იცოდა, გოგი ჯორჯაძე რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში რომ გამოცხადდებოდა. ამიტომაც ცდილობდა; დეიდა ნატო, რაც შეიძლება, მალე გადაეყვანა. მაგრამ ვარაუდმა მაინც არ გაუმართლა, გოგი ჯორჯაძე აჩქარდა და ნავარაუდევზე ადრე ჩამოვიდა. იგი აჩქარდა, რადგან თავის ოთხ გამოგზავნილ წერილზე ერთხელაც ვერ მიიღო პასუხი.

დეიდა ნატო მთელი დღე ტირიდა და იცინოდა, მთელი დღე ცდილობდა რაღაც ეთქვა თავისი სიძისათვის. წვალობდა და იტანჯებოდა, თქმას მაინც ვერ ახერხებდა. ამას კი აგებინებდა, ჩემთან ახლოს იყავი, ნუ მომშორდებიო. გოგი ჯორჯაძე სასთუმალთან ეჯდა და ამშვიდებდა. პირობა მისცა, რომ მთელ ქვეყანას გადააბრუნებდა და მაინც მონახავდა თავის მეუღლეს, ლუკას დედას. გოგი ჯორჯაძე შეძრწუნე-

არჩილ სულაბაშვი

ლუბა

ბული იყო მეუღლის ასე უაზროდ დაქარგვის გამო, — რატომ, რატომ წამოვიდა, მე ხომ შემოვუთვალე თბილისიდან ფეხი არ მოიცვალოო?!

გოგი ჯორჯაძემ ფული მისცა ბოგდანას. ბოგდანა და ლუკა ერთად წავიდნენ ბაზარში სანოვავის საყიდლად. ლუკამ თვითონვე მოითხოვა, — ბაზარში მეც წავალო. უცნაური გრძნობა დაეუფლა, შინ, მამასთან ახლო ყოფნა უჭირდა, ალბათ ნამეტანი სიხარულისა და მღელვარებისაგან, ამიტომ თუ ამჯობინა, ცოტა ხნით გასცლოდა აქაურობას, ბაზრის ღრიანცელსა და აურზაურში იქნებ ოდნავ მაინც მოებრუნებინა სული.

მაგიდა მეორე ოთახიდან გამოიტანეს და დეიდა ნატოს საწოლთან დადგეს. ყველამ ერთად ისადილა: მამამ, ლუკამ, დეიდა ნატომ, ანდუყაფარმა და ბოგდანამ. კაცმა რომ თქვას, დეიდა ნატოს არაფერი არ უჭამია, ბოგდანამ შეახვრებინა სამიოდე კოვზი უკრაინული ბორში, რომელიც თვითონ დაამზადა.

მერმე ანდუყაფარმა და გოგი ჯორჯაძემ დიდხანს ისაუბრეს. ლუკამ ამ საუბრიდან გაიგო, რომ ფრონტებზე მდგომარეობა ოდნავ შეიცვალა, თუმცა არც იმდენად, კაცი დამშვიდებულიყო და გული საგულეში ჰქონოდა.

პოლიკარპე გირკელიძის ვინაობა და პიროვნება მაინც ვერ დაადგინეს. დეიდა ნატო ვერაფერს ამბობდა, ხოლო ლუკას მამას შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო, სადაური ან რა ნათესაობა აკავშირებდა ამ ოჯახთან. როცა დეიდა ნატოს ჰკითხეს, — მოაწერე თუ არა რაიმე ქაღალდზე ხელიო? დეიდა ნატომ ანიშნა, — კი, მოვაწერეო. მაგრამ მან არ იცოდა, რაზე მოაწერინა ხელი ბატონმა პოლიკარპე გირკელიძემ.

ლუკას მთელი დღის მანძილზე ხმა არ ამოუღია. ჩუმად შესცქეროდა მამამის ფარული სიამაყის გრძნობით. იგი უკვე დარწმუნებული იყო, დღეიდან ყვე-

ლაფერი კარგად აეწყობოდა. დადგენილი მოინახებოდა და დაბრუნდებოდა ისევ, როგორც მამა დაბრუნდა. მაგრამ მერმე შეშფოთდა, როცა გაიგო, მამამისი ორ თვეში უკანვე უნდა წასულიყო ფრონტზე. ამ ორი თვის განმავლობაში როგორმე მოიშუშებდა ნატყვიარებს ბეჰსა და მარჯვენა ფეხზე.

მშვიდი საუბარი გოგი ჯორჯაძესა და ანდუყაფარს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა, სალამოს დეიდა ნატოს ხრიალი დააწყებინა და სულ მალე, სულ რაღაც ორმოცსა თუ ორმოცდაათ წუთში გათავდა. ექიმის მოყვანაც კი ვერ მოასწრეს. საწყალი დეიდა ნატო! სიძის ჩამოსვლის დღესვე გარდაიცვალა.

დეიდა ნატო დეიდა ნუცას გვერდით დაასაფლავეს კუკიაზე. პანაშვიდებზე მთელი კლასი დადიოდა. ერთხელ მიტოც მოვიდა და ლუკას პატიება სთხოვა. ლუკამ უთხრა, — შენ რა შუაში ხარ, მე და მაიკო ირაკლი დევდარიანმა გვცემათ. მიტომ ამაზე არაფერი უბასუხა, სინანულით ხელი ჩაიქნია და გაშორდა.

მაიკო ყოველ სალამოს მოდიოდა, ოღონდ მოდიოდა ძალიან ცოტა ხნით. თითქმის სადღაც აგვიანდებოდა. ლუკა უკვე გრძნობდა, მაიკო რომ გადასხვაფერდა. თუმცა ცდილობდა, გარეგნულად ძველი იერი შეენარჩუნებინა. უკვე ისე აღარ ხედებოდნენ, როგორც წინათ, თვითონ ლუკაც რაღაცნაირად მოკრძალებული იყო მაიკოს მიმართ. შეხვედრისას ძველებურად ველარ გამოხატავდა სიხარულს, რაღაცის რცხვენოდა, რაღაცის ერიდებოდა.

დეიდა ნუცას დაკრძალვიდან მესამე დღეს დათიკო ბერიშვილი ამოვიდა გოგი ჯორჯაძესთან.

— გამარჯობა, გოგი! — მიესალმა თავაზიანად.

— გაგიმარჯოს!

— კარგია, უვნებელი რომ დაბრუნდი!

— არც ისე უვნებელი, შენ რომ გგონია.



— რას ამბობ, ცოტას ნიშნავს, ცოცხალი ხარ კაცი!

— იცი რას გეტყვი, ღათიკო, მე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს და, თუ ღმერთი გწამს, პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— შენი სიკეთე და კარგად ყოფნა!

— მაინც?

— ჩვენ უნდა გავუგოთ ერთმანეთს.

— მითხარი, რა გინდა და თუ გასაგებია იქნება, გაიგებ კიდეც!

— სხვანაირად არ გამოვა.

— რა არ გამოვა სხვანაირად?

— ჩვენი ბინები უკვე გაცვლილია, მხოლოდ ფორმალური მხარეა შესასრულებელი.

— რომელია ეგ ფორმალური მხარე?

— შენ უნდა გადახვიდე ჩემს ბინაში, მე კი აქ გადმოვალ.

— ვითომ რაღაო?

— ეგრეა გადაწყვეტილი.

— ვინ გადაწყვიტა?

— ამ ბინის ძირითადი დამკვირავებელი დეიდა ნატია და მისი თანხმობა რომ იცოდე, ჯიბეში მიდევს.

— აბა, მაჩვენე.

დათიკო ბერიშვილმა ფიჯაკის უბის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ლუკას მამას გაუწოდა. ლუკას მამას ქაღალდი არც გაუხსნია, დახია დაკმუშნა და გვერდზე მოისროლა. ეს რა ჰქენიო! — წამოიძახა დათიკო ბერიშვილმა, გაგიჟებული დასწვდა იატაკზე მიმოფანტულ ქაღალდის ნაგლეჯებს.

— ახლავე მომწყდი თავიდან! — უთხრა გოგი ჯორჯაძემ, — ახლა შენი თაღლითობისთვის სადა მცხელა, დრო არა მაქვს.

— მაშ, ეგრე ხომ?!

— იქნებ მემუქრები, ბიჭო, კიდეც?!

— ვითომ რომ დაგემუქრო, რა იქნება?

— შენი ნებაა, დამემუქრე! ისე კი

უნდა მოგახსენო, შენი კი არა, ტანისა არ შემშინებია.

— მე სხვა ვარ, ჩემო გოგი! დაიმახსოვრე, სხვა ვარ-მეთქი!

— ვინც გინდა ის იყავი, ახლა კი თავიდან მომწყდი!

— იფ, რა იოლად მიშორებ თავიდან?!

— რა გინდა. ბიჭო, რას გადამეკიდე?!

— დაფიქრდი, ჩემო გოგი, კარგად დაფიქრდი! ორი ღლის ვადას გაძლე!

— დათიკო ბერიშვილი მარცხენა ხელისგულზე აუთოვებდა დაკმუშნული ქაღალდის ნაფლეთებს მეორე ხელით.

— მე დასაფიქრებელი არაფერი მაქვს. თუ ეგ ოხერი თავი რამედ გიღირს, ახლავე გამშორდი და ნულარასოდეს მოხვალ ჩემთან.

დათიკო ბერიშვილს აღარაფერი უთქვამს, გესლიანად გაიღიმა და მაშინვე დატოვა ოთახი.

არც გოგი ჯორჯაძეს ამოუღია ხმა, დაფიქრებული იჯდა ერთხანს. ლუკა ამ დროს შუშაბანდში იყო და გაკვეთილებს ამზადებდა. მან ყველაფერი ნახა და მოისმინა. რატომღაც ეგონა, მამამისი გამოვიდოდა და რაღაცას ეტყოდა დათიკო ბერიშვილზე, მაგრამ მოტყუვდა, მამა არა თუ გამოვიდა, შუშაბანდისკენ არც გამოუხედავს, როგორც იჯდა, ორივე ხელით მაგიდას დაყრდნობილი, ისე დარჩა.

მამა მარტო დღეს კი არა, ჩამოსვლის დღიდანვე დაფიქრებული და შეწუხებული ჩანდა. ლუკა ამას გრძნობდა, მითუმეტეს, როცა ეს დაფიქრება და წუხილი, ტკივილი თუ დარდი წამდწამდ შესამჩნევად ხდებოდა. ლუკა იმასაც გრძნობდა, რომ მათ შორის მოულოდნელად აღიმართა გადაულახავი, თუ დაუძლეველი ზღუდე. შეიძლება ითქვას, ლუკას პირველად მიეცა მამამისთან ასე ახლო ყოფნის შესაძლებლობა და მაინც ვერ მიუახლოვდა სა-

არჩილ სულაბაური
ლუკა



სურველად, როგორც მას ფიქრებში წარმოედგინა. იქნებ ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მამამისმა ერთგვარად დაჰკარგა ძველი სილალე და სიმხიარულე. და თუ დაჰკარგა, რა მიზეზის გამო? მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ლუკას ერთი მათგანი უკარგავდა მოსვენებას: ვაითუ, მამამ იცოდა დედის ამბავი და არ ამხელდა...

— ლუკა, მოდი აქ! — უცებ დაუძახა მამამ.

ლუკა სწრაფად წამოდგა და ოთახში შევიდა.

— როგორა ხარ, ლუკა?

— კარგად.

— შენ ხომ არ გეშინია დათიკო ბერიშვილისა?

— არა!.

— შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ ლუკა... შენ არაფრის აღარ უნდა გეშინოდეს! ამ ორ თვეში მე ალბათ ისევ დაგბრუნდები ფრონტზე. ორი თვე დიდი დროა, ყველაფერს მოვაგვარებ და მოვაწესრიგებ. შეიძლება, ეს ბინა დავკეტო და თელავში წაგიყვანო ბიძაჩემთან. შეიძლება სხვანაირადაც მოვიქცე. არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია. ასე თუ ისე, რაღაცას მოვახერხებ. შენ ნუარაფრის შეგეშინდება... მით უმეტეს დათიკო ბერიშვილის, მაგ ლაჩარი თაღლითისა. დათიკო ბერიშვილს დათქმული ვადისთვის არ გადაუცილებია, ორი დღის შემდეგ ისევ მოვიდა გოგი ჯორჯაძესთან.

— გამარჯობა, გოგი!

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— კარგად, თავად როგორ გიკითხო?

— მეც კარგადა ვარ, არ მიშავს რა.

— მაღლობა ღმერთს!

— თუ ეს საქმე არ გამოვა...

— აქი გითხარი, არ გამოვა-მეთქი! — შეაწყვეტინა გოგი ჯორჯაძემ.

— ისე კი შენთვის აჯობებდა, გამოსულიყო.

— რატომ აჯობებდა?

— როგორც გავიგე, ორ თვეშივე ბრუნდები, ფრონტზე.

— მერმე რა, რომ ვბრუნდები?!

— ამ ბიჭის მოვლა-მეურვეობას მე ვიკისრებდი... ვის უტოვებ ამ პატარა ბავშვს?

— ეგ შენ არ გეკითხება.

— შენ ხომ იცი, მე რომ სიტყვის პატრონი კაცი ვარ.

— მე არაფერი არ ვიცი.

— გოგი, რატომ მაღიზიანებ?

— მე გაღიზიანებ?!

— კარგი, მაშინ ის გაიძვერა გირკელიძე მონახე და ჩემი ფული დამიბრუნე.

— აბა, გირკელიძე?

— თქვენი ნათესავი, ბატონო!

— ეგეთი ნათესავი მე არა მყავს.

— ჩემთვის, ხომ იცი, სულერთია ეგ ნათესავი შენია თუ შენი ცოლისა.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი... დამიბრუნეთ ჩემი ფული.

— მაინც რამდენი გემართებს?

— ასი ათასი მანეთი.

— ამდენი ფული როგორ ანდე. შე კაი კაცო, იმ გირკელიძესა, თუკი იცოდი, გაიძვერა იყო.

— გეუბნები, მონახე ის კაცი და ჩემი ფული დამიბრუნეთ.

— ერთხელ კიდე გაფრთხილებ, დათიკო, ნუ მემუქრები!

— მე ჩემი გითხარი. გოგი... ახლა შენ იცი!..

— კარგი, ჰო, დამანებე თავი!

— გეტყობა, ისე არ მიცნობ, როგორც საჭიროა.

— გაგიცნობ, დრო კიდე მაქვს დარჩენილი.

— არ ინანო-მეთქი, იმას გეუბნები.

— რაღა უნდა ვინანო, — ლუკას მამა წამოდგა და ოთახში კოჭლობით გაიარ-გამოიარა. — ამ ქალის სიკვდილი ხომ გაპატიე?! მეტი რაღა გინდა, შე ოხერო?! გამშორდი, რაღა!

— ეგ ქალი შენს ჩამოსვლამდე ცოცხალი იყო... მერმე რა მოხდა, მე რა



ვიცი! — დათიკო ბერიშვილი სწრაფად გამოტრიალდა და წავიდა.

ლუკას დეიდა ნატო გაახსენდა. გაახსენდა, რა საოცრად ჰგავდა კუბოში მწოლიარე თავის ადრეგარდაცვლილ დას — დეიდა ნუცას. ლუკას გულის სიღრმეში რაღაც შესჯდომოდა და დაუნდობლად ღრღნიდა, აწვალებდა. მერმე მიხვდა, რომ დეიდამისის ცარიელი საწოლი ტანჯავდა, რკინის საწოლი, რომელშიც უკვე აღარავინ იწვნა, რომელშიც აღარავინ ჩაწევბოდა...

— ლუკა! — დაუძახა მამამ.

ლუკა შუშბანდიდან ოთახში შევიდა.

— როგორა ხარ, ლუკა?! — ჰკითხა მამამ და გაუღიმა.

— კარგად!

— შენ ხომ არაფრის გეშინია, შეილო?

— რისი უნდა მეშინოდეს.

— ჰო, შეილო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ!

ეტყობა, არც ისე დიდი ბიჭი ვარ, რადგან ყოველთვის მარწმუნებენ, დიდი ხარო, — დაეჭვდა ლუკა. მერმე გაიფიქრა, — მაინც რის უნდა მეშინოდესო? მართლაც, რისი უნდა შეშინებოდა ლუკას? იგი გარშემო ვერ ამჩნევდა ისეთ რამეს, რისიც შეიძლებოდა შეშინებოდა, მითუმეტეს, როცა მამა გვერდით ედგა. არცა გრძნობდა, არც გული ეუბნებოდა, თუ საშიშროება მის შორიახლო ბოგინობდა.

მაგრამ ერთ ღამეს შუშბანდის კარს უცნობი მამაკაცი მოადგა და გოგი ჯორჯაძე იკითხა. მე ვარო, — უთხრა ლუკას მამამ. თუ შეიძლება, ერთი წუთით ეზოში ჩამობრძანდითო, თავაზიანად მიმართა უცნობმა მამაკაცმა. რადიო? — გაოცდა ლუკას მამა. თქვენი ძველი მეგობრები გთხოვენო. — უცნობ მამაკაცს ამის მეტი არაფერი უთქვამს, წავიდა და ღამის სიბნელეში ჩაინთქა.

ლუკამ დაინახა, როგორ შეფიქრიანდა მამამისი. მერმე დაფიქრებულ სა-

ხეზე ეპყმა გამოჟონა. ლუკას გული შეუქანდა, საკუთარი გულის ცემამ დაბაგ-ბუგმა ერთი წამით თითქმის დააყრუა კიდეც.

გოგი ჯორჯაძემ სწრაფად ჩაიცვა კიბეები და წელზე ბრტყელი ქამარი შემოიჭირა, თითქოს საბრძოლო განგაში გამოცხადებულყო. მერმე მეორე ოთახიდან რევოლვერი გამოიტანა, შემოწმდა და ჯიბეში ჩაიღო. ხელჯოხზე დაყრნობილი შუშბანდში გამოვიდამა ძალზე აღელვებული ეჩვენა ლუკას.

— ნუ ჩახვალ! — შეეხვეწა ლუკა.

— რატომ? — ლუკასთვის მოულოდნელად იკითხა მამამ.

— ნუ ჩახვალ, რა!.. მეშინია!..

— ნუ გეშინია, არაფერი არ მოხდება!

შუშბანდის კარი ღია იყო. გარეთ ბნელოდა, ისე ბნელოდა, თითქოს თვალთან ვერ მიიტანდი. ლუკას მამამ გასვლა დააბირა, სიბნელეს გახედა და რატომღაც შეჩერდა.

— შენ არ გამოხვიდე, აქ დარჩი! გესმის?

— ბატონო გოგი, ქვევით გელოდებიან. — კიბის მხრიდან მოისმა უცნობის ხმა.

— ვინ გელოდებან? — იკითხა გოგი ჯორჯაძემ.

— არ ვიცი, ალბათ თქვენი მეგობრები. მე მხოლოდ თქვენს დასაძახებლად გამომგზავნეს.

— უთხარი, ახლავე ჩამოვალ.

ლუკას მამა გარეთ გასვლას აყოვნებდა. პაპიროს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. ლუკას მიხედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო. ამ დროს შუშბანდის ღია კარს ბოგდანა მოადგა.

— არ ჩახვიდე, გოგი... — თქვა ბოგდანამ. — მე წელან გამოვიარე ეზო. — სამტრედესთან ხუთი კაცია — და-

არჩილ სულაიაშვილი
ლუკა

თიკო ბერიშვილი, რუბენა, დანარჩენი
სამი ვერ ვიცანი. მე მგონი, ისინი უნდა
იყვნენ, დეიდა ნატოს წასაყვანად რომ
მოვიდნენ. ნუ ჩახვალთ, ძალიან ბნელა
და თქვენ ვერაფერს დაინახავთ...

— გოგი, დაუჯერე ბოგდანას. ახლა
ჩასვლის დრო არ არის... — ეს ანდუ-
ყაფარის ხმაა, ეს ხმა სიბნელიდან ეს-
მის ლუკას.

— თქვენ ლუკას მიხედეთ, მე ახლა-
ვე ამოვალ! — გოგი ჯორჯაძე სიბნე-
ლეში გავიდა. გასვლამდე ანთებული
პაპიროსი დააგდო იატაკზე და ჩექმით
მოსრისა.

ბოგდანა უკან გაჰყვა, ლუკაც.

ბოგდანამ ლუკა აივანზე გაიყვანა,
ორივენი მოაჯირს გადაეყუდნენ. ან-
დუყაფარი უკვე მოაჯირთან იყო თავის
სავარძლიანად.

ეზოში ბნელოდა, არაფერი არ ჩანდა.
არა მარტო ეზო, მთელი ქალაქი იყო
გახვეული ღამის წყვდიადში.

— გოგი უკვე პირველი სართულის
კიბეზეა. — თქვა ბოგდანამ.

— არ უნდა ჩასულიყო. — გაეპასუ-
ხა ანდუყაფარი.

— ჩვენი ბრაღია, არ უნდა გაგვეშ-
ვა! — ეს ისევ ბოგდანაა.

სამტრედესთან სამჯერ იფეთქა ცეცხ-
ლმა და გამაყრუებელმა ჭექამ შესძრა
იქაურობა. შეარყია ღამის მყუდროება.
ახლა კიბის მხრიდანაც გაისმა სროლის
ხმა. ეს შემაზრზენი ჭექა რამდენჯერ-
მე განმეორდა აქედანაც და იქედანაც.

— მე მგონი, გოგი დაჭრეს! — წა-
მოიძახა ბოგდანამ და მოაჯირს მოწყდა.

— მამა! — წამოიყვირა ლუკამ და
ისივე მოწყდა მოაჯირს.

ბოგდანა და ლუკა სირბილით დაეშ-
ვენ კიბეზე... ჩაათავეს მეორე სართუ-
ლი... ლუკა ბრმად მიდიოდა, ირგვლივ
ვერაფერს ხედავდა.

— ხომ არ დაიჭერით, გოგი?! — გა-
იგონა ლუკამ ბოგდანას შეძახილი.

— კი, მომარტყეს მაგ ოხრებმა.

ლუკამ სიბნელეში მამა მონახა. ფე-
ხებზე შემოეჭდო და ატირდა:

— მამა!.. მამა!..

— ნუ გეშინია, შვილო, ცოტათი გაშ-
კაწრეს... ეგ არაფერია.

— იცით, ვინ გესროლათ? — ჰკითხა
ბოგდანამ.

— ვინა?

— რუბენამ.

— შეხედე მაგ ჯუჯასა?! სროლა
სცოდნია...

თავი მესამე

ბოგდანამ მხარი შეუდგა ლუკას მა-
მას, დაჭრილის კიბეზე აყვანა სცადა.
წუთიც არ იქნებოდა გასული, ეზოში
ყვირილით შემოცვივდნენ პატრულები.
პატრულებმა ჯიბის ფანრები მოაშუქეს
და კიბესთან მოიჭრნენ. ორნი იყვნენ,
ორივეს მოკლე კარაბინები ეჭირათ
ხელში. ფანრების შუქზე კარგად შეათ-
ვალიერეს ლუკას მამაც და ბოგდანაც.

— რა მოხდა, ამხანაგო მაიორო? —
ჰკითხა ერთ-ერთმა პატრულმა გოგი
ჯორჯაძეს.

— მესროლეს. — მოკლედ მიუგო
მან.

— დაჭრილი ხართ?

— კი, მომარტყეს... მხარში.... მსუ-
ბუქად უნდა ვიყო დაჭრილი.

— ვინ იყვნენ?

— არ ვიცი.

— ბიჭები დაედევნენ... ალბათ დაი-
ჭერენ.

თითქოს ამის დასტურად შორიდან
ისევ მოისმა სროლის ხმა. ერთხელ...
ორჯერ... სამჯერ...

ჰოსპიტალში ხომ არ წაგიყვანოთ?
მანქანა გვყავს, ამხანაგო მაიორო.

— ეგრე აჯობებს.

— მამა! — წამოიყვირა ლუკამ.

— ჭრილობა მაინც ჭრილობაა, შვი-
ლო, უნდა შევიხვიო... ბოგდანა, ლუკას
მოუარე... მე ალბათ ხვალ ან ზევ დაე-
ბრუნდები.

პატრულები ორივე მხრიდან ამოუდ-
გნენ გოგი ჯორჯაძეს და ფრთხილად წა-
იყვანეს. ბოგდანამ მხარზე მოხვია ზე-
ლი ლუკას, მოაბრუნა. მერმე ნელი ნა-



შიჯით აპყენენ კიბეს. კიბისთავთან მათ ანდუყაფარი ელოდებოდათ.

ყველანი ანდუყაფართან შევიდნენ, დარაბები დახურეს და აანთეს ლამაზი ლუკა ტანტზე მიიკუჭა. მუშტები ერთ-მანეთს მიატყუბა და ცერათითებს ზედა კბილები ტკივილამდე დააჭირა. ლუკას გული ეუბნებოდა, მამა იმაზე უფრო მძიმედ იყო დაჭრილი, ვიდრე თვითონ იმჩნევდა, თანაც დიანახა, როცა პარტიულებმა ფანრები მიანათეს, სახეზე წურწურით როგორ ჩამოსდიოდა ოფლი.

— რუბენამ ესროლა. — თქვა ბოგდანამ მთრთოლვარე ხმით. ძალზე აღელვებული ჩანდა, გაფითრებული დადიოდა ოთახში და თითებს იმტვრევდა. — ჩემი თვალითა ვნახე.

— ყველაფერი დღესავით ნათელია. — დავიჯერო, ასეთი სულიელია დათიკო ბერიშვილი? ხვალ ხომ ყველაფერი გაირკვევა?

— არც ისეთი, შენ რომ გგონია... არც ხვალ და არც ზეგ... — ანდუყაფარს, ეტყობა უჭირდა ლაპარაკი, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა.

— რა დამართათ? რა უნდა ამ ხალხს?

— ჩვენ ყველას რალაცა გვჭირს... დავერ გაგვივია. — თქვა ანდუყაფარმა. ლუკა ცალი ყურით უსმენდა ანდუყაფარისა და ბოგდანას საუბარს. მას ისევ თვალწინ ედგა მამის დაძაბული სახე, რომელსაც სიმწრის ოფლი ასკდებოდა. არა სჯეროდა და არც უნდოდა დაეჯერებინა, რომ ჯუჯა რუბენამ ასეთი ტკივილი მიაყენა და ასეთი სიმწრის ოფლი მოჰგვარა მამამის. მართლაც, რისთვის?! ლუკას მამას ხომ არაფერი დაუშავებია რუბენასათვის?

ლუკამ ანდუყაფარს გადახედა და უნებურად წამოდგა ფეხზე. ანდუყაფარი უღონოდ ესვენა თავის სავარძელში. თითქოს თვალბეზვ ლიბრი გადაჰკვროდა ანდა დასძინებოდა და თვალეზი ღიად დარჩენოდა. ორივე ხელი სავარძლიდან გადმოვარდნოდა და უმწეოდ

ქანაობდა ჰაერში. თანაც სუნთქვას ვერ ხმირებოდა, გეგონებოდა, სულს ლაფვდა.

ლუკა ბოგდანასთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

— დაიძინა?

— დაიძინა. — ჩურჩულითვე უბასუხა ბოგდანამ. — ცოტა ხანს ასე ეძინოს, მერმე გადავიყვან საწოლში.

ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

— ვინ არის?

— სამხედრო პატრული... მაიორის ამბავი მოგიტანეთ.

ბოგდანამ დარაბა გახსნა და კარი გამოაღო. ოთახში პირტიტველა ჯარისკაცი შემოვიდა და დამხვდურთ ზრდილობიანად მისვალმა. მერმე მოახსენა, — ყველაფერი რიგზეა. მაიორი ამა და ამ ჰოსპიტალში მივიყვანეთ და თავს კარგად გრძნობსო.

— შენს ყოფილ სკოლაში მიუყვანიათ. — თქვა ანდუყაფარმა და თავის სავარძელში შეიშმუშნა.

თავაზიანი პარტული ყველას დაემშვიდობა. და, ვიდრე წავიდოდა, ბოგდანას უთხრა, — დარაბის ღრიჭოებში შუქი იპარება და როგორმე დავმანეთ, თორემ დაგაჯარიმებენო.

ბოგდანამ მადლობა გადაუხადა და პატრული წავიდა.

— სულაც ჩააქრეთ ლამაზი და კარი გააღეთ! — წამოიყვირა ანდუყაფარმა, — სული მეგუთება!

მეორე დილას ანდუყაფარი აივანზე დახვდა ლუკას. ბოგანა აღრიანად წასულიყო სამკერვალო ფაბრიკაში. ანდუყაფარი ახლა მძიმედ სუნთქავდა. სახეზე მეტად უსიამოვნო, სხვა რიგის ფერი დასდებოდა. ლუკას გული შეეკუმშა და თვალი ველარ გაუსწორა, ალბათ ამას ჰქვია, მიწისფერიო, —

— გაიფიქრა. ცხვირის ნესტოები, საუღვაზე და ნიკაპი დამუწუკებოდა.

არჩილ სულაპაური
ლუკა

ეს მუწუკები გუშინ არ ჰქონდა, ყოველ-
შემთხვევაში, ლუკას არ შეუშინევია.

— როგორ გეძინა ლუკა?

— რა ვიცი...

— ჰოსპიტალში წადი... — მამაშენი
ინახულე.

— შემიშვებენ?

— ალბათ.. თუ არ შეგიშვებენ, გე-
ტყვიან მაინც როგორ არის.

— უსათუოდ წავალ... გაკვეთილე-
ბის შემდეგ.

— წავალ... წავალ.. — გაიმეორა რა-
ტომღაც ანდუყაფარმა, მერმე თავი მა-
რცხნივ გადაადგო და ლუკას გაღიმე-
ბული მიაშტერდა. ასე უყურა ერთ-
ხანს, ღიმილი შეუშინევლად გაქრა და
სახეს ახლა ასევე ძლივს შესამჩნევი
ტყვილი დაეუფლა. — იზა გაქცეულა
სახლიდან.

— იზა?

— ბარათი დაუტოვებია... ძებნას ნუ
დამიწყებთო..

— ძია ლადო რას ამბობს?

— ჰკითხე... მანდა დგას ეზოში...

ლუკამ ეზოში გადაიხედა. ძია ლადო,
მართლაც, ეზოში იდგა ცაცხვის ქვეშ.
ლუკას უცებ თვალი პირველი სართუ-
ლის აივნისკენ გაექცა. ჯუჯა რუბენა
აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა და პა-
პიროსს აბოლებდა, თავზე თავის განუ-
ყრელი უზარმაზარი კეპი ეხურა. და-
ფიქრებული ჯუჯა ძალზე მშვიდად აბო-
ლებდა პაპიროსს. წუხანდელს აქეთ
ლუკა დარწმუნებული იყო, რომ რუბე-
ნა გაექცა მართლმსაჯულების მსახე-
რალ ხელს, გაექცა სამუდამოდ და სა-
დღაც ჯურღმულებში იმალებოდა. ახ-
ლა კი მისი დანახვა იმდენად მოულო-
დნელი იყო, რომ თვალებს არ დაუ-
ჯერა, შეკრთა და შემკრთალმა მოხე-
და ანდუყაფარს. იქნებ ბოგდანა შეცდა,
იქნებ ჯუჯუა რუბენას არ უსვრია რე-
ვოლველი ლუკას მამისთვის?

— რა იყო ლუკა, ჯუჯა დაინახე?

— ხო... ჯუჯა რუბენა აივანზე დგას.

— შენ რა გეგონა?..

— რა ვიცი...

— რალაცა გეჭირს, ლუკა, ^{გაქცეულია}
გამიგია, რა?!

— წავალ. — თქვა ლუკამ, — სკო-
ლაში წავალ.

მაგრამ მაშინვე მიხვდა, ძალიან გაუ-
ჭირდებოდა ეზოში გავლა. როცა
იქ ჯუჯა რუბენა იყო აივანზე გად-
მომდგარი. თან აქ ყოფნაც უკვე
ალარ შეეძლო, ანდუყაფარის მდგო-
მარეობა აწვალებდა, თრგუნავდა
და ცდილობდა, როგორმე გასცლოდა
იმ კაცს, ვისი სიახლოვეც გუშინ თუ
გუშინწინ ქვეყნად ყველაფერს ერ-
ჩია.

— წადი, ლუკა, არ დაიგვიანო. წადი...

ლუკა წელმოწყვეტილი წავიდა შუ-
შაბანდისაკენ. ჩანთა გამოიტანა და
კიბისთავთან შეეოვნდა.

— აღამიანი ბუნებით უმადურია...

— გაიგონა ანდუყაფარის ხმა, — უმა-
დური მოდის ამქვეყნად... უმადურივე
უბრუნდება წილის...

ლუკას მეხსიერების სიმი დაეჭიმა.
რატომღაც გაიფიქრა ეს სიტყვა მეტად-
ნაცნობი და მნიშვნელოვანი იყო მისთ-
ვის და სცადა, გაეხსენებინა, საიდან
იცოდა იგი ანდა სად გაეგონა პირვე-
ლად. სულ ამაოდ იწვალა, ვერაფრით-
ვერ გაიხსენა. ილღიაში ჩანთაამოჩრი-
ლი სირბილით დაეშვა კიბეზე, სირბი-
ლითვე გაიარა ეზო თავჩადუნულმა,
რათა ჯუჯა რუბენა კიდევ ერთხელ არ
დაენახა. მაგრამ ცაცხვთან მისული
ძია ლადომ შეაჩერა, მამაშენი როგორ
არისო, — ჰკითხა.

— არ ვიცი, ძია ლადო, დღეს მივალ-
და ყველაფერს გავიგებ.

— ეს რა ზდება, კაცო, ლამის ჰქუა-
დავკარგო! — ძია ლადო როგორღაც
მოტეხილი და დაჩაჩანაკებული ჩანდა.

მტკვარი ამ ორი დღის მანძილზე იმ-
დენად მოდიდებულიყო, თითქმის ეზოს
უწვდენდა ტალღებს. ეს მხოლოდ ახლა
შენიშნა ლუკამ. მტკვარი ამღვრეული
მოდიოდა, დიდი და ღონიერი პირთა-
მდე ავსებდა თავის კალაპოტს. ხიდი-
დან ხიდან შეტორტმანებული, თი-

ხისფერი წყლის ვეება სივრცე იყო გადაშლილი. ძია ლადოს თავისი ბრტყე-
ლძირიანი ნავი ჯაჭვით გამოება ცაცხე-
ზე. ნავში ერთი ნიჩაბი და რკინისკა-
პიანი ჭოკი ეგდო. ნავი ადი-ჩამოდო-
და ტალღებზე, ქანაობდა, ირწეოდა,
ეზოს კიდეს ფერდით ეხეთქებოდა.

ლუკამ ახლალა შენიშნა ისიც, ცა-
ცხვის ქვეშ რომ აღარ იდგა არც მე-
რხები და არც მაგიდა. ძია ლადომ
უთხრა, — ამ ზამთარს, ეტყობა, ვილა-
ცას შეშა შემოაკლდა და მოიპარაო.
ლუკას ერთი სული ჰქოდა, იზას ამბა-
ვიც გაეგო, მაგრამ ძია ლადოს შეკი-
თხვა ვერ გაუბედა.

— სალამოს შემოდი ჩემთან. მამა-
შენის ამბავი შემატყობინე.

— უსათუოდ შეგატყობინებ, ძია
ლადო.

— ეს ქვეყანა მართლა ჩალით დახუ-
რული ხომ არ ჰგონია!

— რა ვიცი...

— წადი, ლუკა, წადი... დაგაგვიანდე-
ვა...

ლუკამ თვითონაც კარგად იცოდა,
რომ აგვიანდებოდა, მაგრამ მიბრუნ-
ებისა ეშინოდა: მის ზურგს უკან ჯუჯა
რუბენა იყო, პირველი სართულის აი-
ვანზე გადმომდგარი. ყოყმანის შემდეგ
მანაც მობრუნდა, თავჩალუნულმა გაია-
რა რამდენიმე ნაბიჯი. პირველი სართუ-
ლის აივნისკენ არ გაუხედავს, რაღაც-
ნაირად იგრძნო, რუბენა რომ იქ აღარ
იდგა. მაგრამ აივანზე ჯუჯას არყოფნას
ლუკასათვის შეება არ მოუნიჭებია.
პირიქით, გაღიზიანდა და ერთვად ცა-
ხცახმა აიტანა. გულიც სხვანაირად
უფრიალებდა. თითქოს საგულედან
ამოვარდნას ლამობდა.

„რა უცნაური თვალეები აქვს ბოგდა-
ნას, — ფიქრობდა გზადაგზა. — ღამი-
თაც ისევე ხედავს, როგორც დღისით.
ბოგდანა რომ არა, ალბათ ვერავინ
გაიგებდა, ვინ ესროლა მამას... იქნებ
სჯობდა, რახან მამა ცოცხალი გადარ-
ჩა, სულაც არ ეთქვა, არ გაემეღავენ-
ბინა ბოგდანას ეს სადუმლო?“ ლუკას

ერთი წუთითაც არ უნდოდა წარმოე-
დგინა, მამამისის ჰოსპიტალიდან გამა-
წერის დღესევე, რა ამბავი დატრიალდე-
ბოდა მათ ეზოში... მაგრამ, ვაითუ, ბო-
გდანა ღამით ისე ვერ ხედავს, როგორც
დღისით?! ვაითუ, შეეშალა, სიბნელე-
ში ვერ გაარჩია?! მითუმეტეს, რომ
ეზოს იმ ღამის წყვილადში მეორე სა-
რთულიდან გადმოსცქეროდა.

ეკვავიონილმა ფიქრებმა ლუკას გუ-
ნება შეუცვალა. ახლა წელანდელივით
აღარ ცახცახებდა, აღარც ისე უფრია-
ლებდა გული. იგი სევდამ შეიპყრო,
ყველაფრისადმი განურჩეველმა მო-
წყენილობამ. თითქოს ბურანში იყო,
თითქოს ნისლში მიდიოდა, ირგვლივ
ვერასფერს ამჩნევდა და არც აინტერე-
სებდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

სკოლის შენობაში შესულს გეოგრა-
ფიის მასწავლებელი შეეფთა, იგივე
სასწავლო ნაწილის გამგე.

— ჯორჯაძე, — დაუძახა სასწავლო
ნაწილის გამგემ და მკაცრად უთხრა, —
წამოდი ჩემთან!

ლუკა მორჩილად გაჰყვა მასწავლე-
ბელს. სხვა დროს ალბათ გულს გადა-
უტრიალებდა ასეთი მკაცრი კილო,
მაგრამ ახლა შინაგანად გათიშული იყო
გარესამყაროსთან და შიში გულთან
ახლოსაც არ გაჰკარებია.

— ჯორჯაძე, რასა ჰგავს შენი საქ-
ციელი? როდემდე უნდა მოვითმინოთ
შენი აღვირახსნილობა?! — უთხრა სა-
სწავლო ნაწილის გამგემ კაბინეტში შე-
სვლისთანავე.

ლუკა მუნჯივით იდგა, უაზროდ მი-
მტერებოდა მასწავლებელს თვალებ-
ში.

— რატომ გააცდინე გაკვეთილი?!

ლუკას არც ახლა ამოუღია ხმა.

— ახლავე შინ წადი და მშობელი
მოიყვანე!

— მე ვერავის მოვიყვან, პატივცე-
მულო მასწავლებელო! — როგორც იქ-
ნა, დასძრა სიტყვა ლუკამ.

არჩილ სულაპური
ლუკა

— რას ჰგავს ეს, როგორ თუ ვერ მოიყვანს?!

— მამაჩემი ჰოსპიტალში წევს.

— დედა მოიყვანე, ბატონო!

— დედა.. დედა, არ ვიცი, სად არის.. ომში დაიკარგა.

— ვის ატყუებ, ჯორჯაძე?! ახლავე წადი შინ და მშობელი მოიყვანე. მთელ კლასში ყველაზე მეტი გაცდენა შენა გაქვს! იცოდე, თუ მშობელს არ მოიყვან, ჩაგტოვებ მეხუთე კლასში! ახლა წადი!.. უსირცხვილო!.. წადი!

ნაცნობი ზარიც დაირკვა.

ლუკამ დატოვა სასწავლო ნაწილის გამგის კაბინეტი და გრძელი დერეფანი გაიარა. დერეფანში უკვე გამოცენილიყვნენ ბავშვები, ერთი ჟრიამული ჰქონდათ ატეხილი, ლუკამ მაიკოს მოჰკრა თვალი და ისიც შენიშნა, მაიკომაც რომ დანახა ლუკა. შეჩერდა. ეგონა, მაიკო მოვიდოდა მასთან, მაგრამ მაიკო გატრიალდა, გაიქცა და სირბილით აჰყვა კიბეს.

ილიაში ჩანთამოჩრილი მარტო მიდიოდა ქუჩაში და ფიქრობდა, — რა კარგია დღეს სკოლიდან რომ გამომაგდეს, გაკვეთილებზე მაინც ვერ გავძლებდიო. ეგეც კარგი ვინმე ყოფილა, ერთის გაცდენისათვის ოთხი გაკვეთილი გამაცდენინაო.

ყოფილი სკოლის წინ, სადარბაზო შესასვლელთან შეჩერდა. ჯარისკაცს უთხრა. — აქ მამაჩემი წევს და ძალიან მინდა მისი ნახვაო. ჯარისკაცმა მამის სახელი და გვარი ჰკითხა ლუკას და შენობაში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისე გამოვიდა. — მორიგეს დაუვრეკე და ამ ჰოსპიტალში არავითარი გოგი ჯორჯაძე არ წევსო. როგორ არა, — არწმუნებდა ლუკა, — წუხელ ღამით მოიყვანესო. ჯარისკაცს არ დაზარებია, ისევ შებრუნდა ჰოსპიტალში და რამდენიმე წუთის შემდეგ გამობრუნებულმა იგივე მოახსენა ლუკას. ლუკა დაიბნა, უკვე აღარ იცოდა, რა ექნა ან როგორ მოქცეულიყო? განა შეეძლო სამხედრო პატრულს ტყუილი ეთქვა? რად

დასჭირდებოდა ასეთი ტყუილის თქმა? იქნებ შეცდა? მაგრამ ლუკას ახსოვდა, წუხელ რაც თქვა სამხედრო პატრულმა, ახსოვდა ანდუყაფარის ნათქვამიც. — შენს ყოფილ სკოლაში მიუყვანიათო. ლუკას ყოფილი სკოლა კი ეს არის.

შეფიქრიანებული გამოტრიალდა და წამოვიდა, რკინის მესერს გამოჰყვა. საღამოს ბოგდანასთან ერთად წამოვალ და ყველაფერს ის გაარკვევსო, — დამიშვიდა თავი.

ქუჩის კუთხესთან მისულს გაახსენდა, ამასწინათ რომ სთხოვა ბოგდანამ, — თუ ღმერთი გწამს, გამიგე, მთვარისა ნამდვილად არსებობს, თუ არ არსებობსო. ლუკას იმედი არ ჰქონდა, დაარწმუნებული იყო, საგიჟის კარი ღია არ დახვდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც გაუხვია, — ცდა ბედის მონახევაო.

სულაც არ მიუწევდა გული იქითკენ. მიდიოდა ისე — სასხვათაშორისოდ, ბოგდანასა და ანდუყაფარის წინაშე ვალის მოსახდელად. ორლო-ჩოღრო ქუჩით მიმავალი ახლა ისევ მამაზე ფიქრობდა. მოაგონდა წუხანდელი შიშიანი ღამე, შემზარავი სროლის ხმა, პატრულთა ფანრებით განათებული, გაოფლილი სახე, რომელსაც მწარე ტკივილი მანქავდა. იქნებ ცუდად არის მამა და მიმალავენო, — შიშმა გაუჟაწრა გული, შეჩერდა და უკან მოიხედა.

წელანდელი უგუნებობა მიეძალა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ აღარც შინ დაბრუნება უნდოდა, ბოგდანა საღამომდე არ მოვიდოდა, ანდუყაფართან ყოფნა კი დღეს ძალზე უჭირდა, ვეღარ უძლებდა მის გატანჯულ სახეს. ისევ დაჰყვა ნაცნობ, ოღრო-ჩოღრო ქუჩას და ალაყაფის კარს მიადგა. კარი, რა თქმა უნდა, დაკეტილი აღმოჩნდა. ახლაც უიმედოდ ჰკრა ხელი და გაოცდა: კარი ჭრილით გაიღო.

აღარ დაუყოვნებია, მაშინვე შევიდა საავადმყოფოს ეზოში და იმ ფანჯარას შეხედა, სადაც ოდესღაც მთვარისა ნა-

ხა. ბნელი, გისოსებიანი ფანჯარა ღია იყო. მერმე ეზოს მოავლო თვალი, ეზო ამჟამად დაცარიელებული დახვდა. არც მოხუცი მეეზოვე, არც თმაგადაჯრე-ჰილი, ნაცრისფერხალათიანი მამაკაცე-ბი არ გამოჩენილან. აუზი უკვე წყლით აევსოთ და შიგ უღრუბლო ცა და მწვანედ შეფოთლილი ხეები არეკლილიყო. ლუკამ ეზო მიიარ-მოიარა, ერთ მერხ-ზე ჩამოჯდა კიდევ, მერმე ისევ ამოიჩა-რა თავისი ჩანთა ილიაში და კარის-კენ გაეშურა იმედგადაწურული.

კართან მისულმა მოულოდნელად ნა-ცნობი ხმა გაიგონა და კინაღამ გული გაუსკდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ შეაქროთ იმ ხმამა, რომლის გაგონება-საც ასე ესწრაფოდა.

— ბიჭო, ერთი წუთით მომისმინე!
— ეს ნამდვილად მთვარისა იყო.

ლუკამ თავი მოაბრუნა. ღია ფანჯა-რას შიშველი მთვარისა მოსდგომოდა ისევ, როგორც მაშინ, პირველად რომ ნახა. თავზევით რკინის გისოსების-თვის ხელები ჩაეფლო და ლუკას მისჩე-რებოდა დიდი და ნაღვლიანი თვალე-ბით. მაგრამ ლუკას მაშინდელივით სირცხვილისაგან სახე არ ალევწვია, არც თვალი მოურიდებია, არც აღელვებულა მაშინდელივით. ოღონდ ეს კი იყო, წე-ღანდელი უეცარი შიშისა თუ ელდის გამო გული ისევ გამალბებით უცემდა.

— რატომ დაიგვიანე, ბიჭო? განა შეიძლება ამდენი ხანი ალოდინო ადა-მიანი?

ლუკამ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა ფანჯარისაკენ.

— იგი დასტრეს და მისი სხეული მოჰფინეს მთელ ქვეყანას... მისი სხეუ-ლის ყოველი ნაწილი ნაწილი იყო ჩემი სხეულისა და იგი იყო ძმა ჩემი და ქმა-რი ჩემი... თოთხმეტ ნაწილად დას-ტრეს და გაჰფანტეს მთელ ქვეყანაზე, ამიტომ მტკიოდა სხეული თოთხმეტი ტკივილით, როგორც მთვარეს. მაგრამ მე მოვაგროვე გაფანტული მისი სხე-ული და აღვადგინე მკვდრეთით ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი. აღვადგინე მკვ-

დრეთით და ტკივილები დამიყუჩდა თოთხმეტივე ტკივილი. ახლა მგონია ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი ყოველ გა-ზაფხულს მოეახლება ქვეყანას და ყო-ველ შემოდგომას კვლავ განშორდება. იგი სიკვდილიც არის და სიცოცხლეც. სიცოცხლეცა და სიკვდილიც!.. — ესა თქვა მთვარისამ, ნაღვლიანად გაიღმა. მერმე თავზევით გისოსებს ხელები გაუშვა და ასევე ხელებაწეული შებ-რუნდა, წასვლა დააპირა.

— მთვარისა! — უნებურად წამოს-ცდა ლუკას.

ლუკამ დაინახა, უცებ როგორ შეუ-ტოკდა მთვარისას მხრები და რძისფე-რი სხეული თანდათან როგორ გაუვარ-დისფრდა. მთვარისა სწრაფად მოტრი-აღდა. მას ისევ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ოღონდ უხერხულად იღიმებო-და, დამნაშავესავით. მერმე ხელები ჩამოჰყარა და რაფას დაეყარნო.

— მე მთვარისა არა ვარ, ბიჭო.
შიშველ სხეულს ძველი ფერი დაუ-ბრუნდა სახიდან უხერხული ღიმი-ლიც აიკრიფა და გაჰქრა. ოღონდ ეს კი იყო, შუბლზე, ოფლის წინწყლები უბრჭყვიალებდნენ ალმასის თვლები-ვით.

— გითხარი, მთვარისა არა ვარ-მეთქი!

ლუკას გაახსენდა ანდრუყაფარის ნათ-ქვამი. — შესაძლებელია, მთვარისა სულაც არა ჰქვია, ეს სახელი თვითო-ნვე დაირქვაო.

— მე აღვადგინე ძმა ჩემი და მეუ-ღლე ჩემი. მერმე დამიცხრა თოთხ-მეტივე ტკივილი და იგი — ძმა ჩემი და მეუღლე ჩემი მივუვლინე მეუფედ მკვდართა ქვეყანას. ტანჯვითა ჩემითა მე მოვპოვე სული ჩემი და იგი ანა-თებს მზესავით. მე ვარ შემწე ყოველთა ტანჯულთა, ღატაკთა და უპოვართა, ნუგეშისმცემი ყოველთა დაცემულთა...

ლუკამ ახლაც იგრძნო, ქალიშვილი,

არჩილ სულაპაური
ლუკა

რომელსაც მისთვის მიეპყრო ნაღვლიანი თვალები, მას არ უმზერდა. უფრო სწორედ, ქალიშვილის მზერა მას არ წვდებოდა. იქვე მის წინ ჰაერშივე წვდებოდა ან იფანტებოდა. ლუკას უკვე აღარ უნდოდა აქ დგომა და ამ გაუგებარი სიტყვების მოსმენა. აღარც ის აინტერესებდა, რა ახალ სახელს მოიგონებდა, რას დაირქმევდა. ლუკასთვის იგი მთვარისა იყო. ლუკამ სამიოდე ნაბიჯი გადადგა უკან, თითქოს გაპარვას აპირებდა.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

ლუკა შეჩერდა:

— წადი და ჩვენებს შეატყობინე, რომ მე აქა ვარ! მათ, რა თქმა უნდა, იციან, სადაც ვარ მე, მაგრამ მაინც შეატყობინე... იქნებ დაავიწყდათ, იქნებ შესხენებაა საჭირო... ჩვენ ხომ ყველანი უმადურები ვართ და ბევრი რამ, რაც სიკვდილამდე უნდა გვახსოვდეს, გვავიწყდება ხოლმე.

ლუკას გაახსენდა ანდრუყაფარის დილანდელი ნათქვამი სიტყვა, რომელმაც მაშინ მესხიერების სიმი დაუჭიმა. სწორედ ამ ეზოში საუბრობდნენ ნაცრისფერხალათიანი მამაკაცები უმადურებზე. ლუკამ ეზოს გახედა, — იქნებ ის ნაცრისფერხალათიანებიც ისევ აქ არიანო. ეზოში არავინ ჩანდა.

— ნულარ იგვიანებ, ბიჭო!.. წადი... წადი, ბიჭო!.. — მთვარისამ, თითქოს ცეკვას აპირებდნო, ხელები მაღლა შეისროლა და ლილინით გატრიალდა.

მთვარისას გაუჩინარობისთანავე ლუკამ შინისკენ მოჰკურცხლა. მას სულაც არ ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ანდრუყაფარისათვის მთვარისას არსებობა-არარსებობას. რატომ აწვალებდა მისი ყოფნა-არყოფნა... გახარებული გარბოდა შინ, დარწმუნებული იყო, რომ ცოტათი მაინც შეუშვებულექნებდა ტკივილს, როცა ეტყობა: მთვარისა ნამდვილად არსებობსო.. მთვარისა არსებობს.. მთვარისა არსებობს... მთვარისა არსებობს... მთელი გზა თითქმის სირბილით მოიტოვა უკან. დაღლილი მია-

დგა ქიშკარს. ქიშკართან შეჩერდა და სული მოითქვა. იმდენად დაქანებულიყო, რომ თავბრუ ეხვეოდა და გულიც ერეოდა. „რას მოვბოდი, სულერთი არ იყო, ათი წუთით აღრე თუ გვიან მოვიდოდი?“ შესასვლელი გვირაბი და ეზოს ნაწილი სვენებ-სვენებით გაიარა. ცაცხვთან მისულმა ისევ გაიფიქრა, — რა უცნაურია, დღეს ყველა მაჩქარებდა.. მე არსად არ მეჩქარებოდა და მაინც ვჩქარობდიო.. მერმე ეზოდან მეორე სართულს ახედა, ეგონა, ანდრუყაფარს დანახავდა.

პირველი სართულის კიბე აათავა...

თავზარდაცემული შეჩერდა.

უცებ დაინახა, მეორე სართულიდან კიბეზე როგორ დაეშვა ველოსიპედის-თვლებიანი სავარძელი, რომელშიც ანდრუყაფარი ესვენა. საშინელი სისწრაფით მოგორავდა სავარძელი, ხტუნვა-ხტუნვითა და გრილით, როგორც ღარში მიშვებული ვეება ტალღა. ანდრუყაფარს ორივე ხელი მკლავთა საყრდენებისათვის ჩაევლო, შიშამდგარი თვალები დაეჭყიტა და წინ იხედებოდა. ერთ ნაბიჯზე ელვასავით ჩაუქროლა ლუკას, ლუკა უნებურად უკან გადაქანდა და შემადარწმუნებელი ბლავილი გაიგონა:

— ლუუ-კაა!..

განწირული ბლავილი ჯახანმა და ლაწანმა დაახშო. დაქანებული სავარძელი ზევაივით შეასკდა პირველი სართულის მოაჯირს, გადალენა და გადაანგრია. ამავე ძალამ ჰაერში ცალცალკე აისროლა ანდრუყაფარიცა და სავარძელიც. ანდრუყაფარმა ხელები გაშალა, თითქოს გაფრენას აპირებდა, კიდევ ერთხელ იბლავლა „ლუუ-კაა!“.. და უზარმაზარ მძიმე ჯვარივით ჩაეშვა მდინარეში.

ლუკა იმწამსვე დაეშვა პირველი სართულის კიბეზე, მაგრამ ფეხი წამოჰკრა ჩანთას, რომელიც წელან გავარდნოდა ხელიდან, დაგორდა და თავპირდალენწილმა ჩაათავა კიბე. ეზოში სწრაფად წამოხტა და მიიბრინა ცაცხვთან, სადაც დაბმული ნავი ეგულებო-

და. ნავი ძველ ადგილზე აღარ აღმოჩნდა. გინდაც იქვე ყოფილიყო, მარტო ლუკა რას უშველიდა?!

ანდუყაფარი აღარ გამოჩენილა, იგი მტკვრის მღვრიე ტალღებმა სამუდამოდ შთანთქმა.

— ანდუყაფარი დაიხრჩო! — შესძახა ლუკამ დაცარიელებულ აივნებს, — ანდუყაფარი დაიღრჩო!..

ლუკას ძახილი არავის გაუგონია ანდა ვინ გაიგონებდა, როცა თვითონაც ძლივს ესმოდა საკუთარი ხმა.

— ანდუყაფარი, ანდუყაფარი დაიღრჩო!.. — ყვიროდა ლუკა.

მაგრამ ლუკა მიხვდა, მის ძახილს ახლა ვერავინ გაიგონებდა, რადგან ხმას მტკვრის ძლიერი ხმაური ნთქამდა... თითქოს დიდი ხნის წინად დაკარგული სმენა დაუბრუნდა და ახლავს გაიგონა, რა საზარლად ხმაურობდა მტკვარი.

უცებ იგრძნო, მუხლებში ძალა ელეოდა, მაინც გაემართა ძია ლადოს სახლისკენ, ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს. რამდენიმე საფეხური გაჭირვებით აიარა და კარს მიაღწა. დააკაკუნა...

— ძია ლადო მიშველე, ძია ლადო! კარი არავინ გაუღო.

— ძია ლადო, მიშველე!..

ეტყობა, ძია ლადო შინ არ იყო. ლუ-

კა ისევ დაეშვა კიბეზე, დაბარბაცდა კიბის მოაჯირს ხელი წაატანა, წავიქცეო. მერმე ათიოდე ნაბიჯით წალასლასდა და ახლა მეორე კიბეს მიადგა. შინ ესენი მაინც იქნებიანო, — გაფიქრა. იცოდა, აქ პატარა ბავშვი იყო ავად და ავადმყოფ ბავშვს არავინ მიატოვებდა. კიბეზე ფეხი შედგა. მუხლებმა უმტყუნა და იქვე ჩაიკეცა. ახლა ფორთხვით აჰყვა კიბეს.. ჯერ კარს, მერმე ფანჯარას შეავლო თვალი. ორივეს, კარსაც და ფანჯარასაც წითელი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ლუკა კიდევ ორ საფეხურზე აფოფხდა. მეტი ვეღარ შესძლო, მოწყდა, მოეშვა და თავი საკუთარ მკლავზე მიასვენა, ოთახის სიღრმიდან სიმღერა მოესმა, ალბათ დედა მღეროდა:

მოუოხეთ, ბატონებო,
ბატონებო, მოუოხეთ...
ლამაზი ბატონებია,
ია და ვარდი ჰფენია...

ლუკამ დიდი მწვანე მინდორი დაინახა, ყვავილებით მოფენილი. მინდორზე თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი გამოჩნდა. თხის ჯოგში ერთი ლამაზი თეთრი თიკანი შეკუნტრუშდა და შეხტა...

მოუოხეთ, ბატონებო,
ბატონებო, მოუოხეთ...



მარტო არ ხარ,
მარტოდმარტო არც ყოფილხარ არასდროს,
არ იქნება
მარტოობამ თავი არ მოგანატროს.
მარტო არ ხარ,
მარტოდმარტო არ მიჰყვები აღმართებს,
მარტო არ ხარ, —

ვიღაც გელის,
ვიღაც კიდევ გადმერთებს.
მარტო არ ხარ,
ნუ დაკარგავ რწმენას სათადარიგოს:
ყოველ წუთში
შეიძლება
ტელეფონმა დარეკოს.

მთვარე ჩავიდა
და ვარსკვლავთა არქიპელაგის
შუქზე
მეექვსე სართულიდან
ბავშვის პერანგი
ანათებს ახლა მთვარესავით,
კი არ ანათებს,
ანთია ახალ მთვარესავით,
კი არ ანთია,
იწვის და,

ვიდრე განთიადი არ უღალატებს,
ფერს არ შეიცვლის ერთადერთი
თეთრი მანტია.
მზე კი ჩააქრობს,
გზებს შეუცვლის ღამის ქარავნებს,
ყველაზე ნათელ წერტილებს და
ნათელ უჯრედებს —
გამრავლებს და
ერთმანეთზე გადაამრავლებს,
მაგრამ ვერაფერს მოგვცემს უკეთესს.

მიწაზე ნუ
დაიძინებ,
აღე,
სანამ გღვიძავს,
არ შეგცივდეს,
არ გაცივდე,
არ დაგცადოს მიწამ.

უშური არ აგყვეს,
თორემ —
ტანში დაიბუდებს,
აღე,
გაპყე ამ ცხოვრების დახრილსა და მრუდეს.
აღე,
თვალი შეაჩვიე აკივლებულ ფერებს,
მაგ მიწაზე დაძინებას მოესწრები მერეც.

ტყეში ამოდი, ბალახო,
მზეში ამოდი, ბალახო,
მთაზე ამოდი, ბალახო,
გზაზე ამოდი, ბალახო,
თუგინდ ასფალტზე ამოდი,
თუგინდ ეზოში ამოდი,
თუგინდ კიბესთან ამოდი, —
არ ამოხვიდე კიბეზე.

როგორც თანატოლი თანატოლთან,
ვაგზლიდან მთები ჩანან მელოტები, —
დილის მატარებელმა გამასწრო და
ღამის მატარებელს ველოდები.

რა ამოავსებს ამოდენა სიცარიელეს,
ფარულ კუნჭულებს
რენტგენივით მითვალისწინებს?!

ბევრი,
ბევრზე ბევრი,
არა ცოტა,
ისევ მენატრება მეგობრები, —
ღამის მატარებელმა გამასწრო და
დილის მატარებელს ველოდები.

რა ამოავსებს ამოდენა სიცარიელეს,
ფარულ კუნჭულებს
რენტგენივით მითვალისწინებს?!

მივდივარ მზესთან,
ღრესთან,
კლდესთან,
ხესთან და
ტყესთან,

და ვითვლი წამებს,
როგორც გამებს,
ან როგორც გრამებს,
რა დააღამებს ივლისის დღეს და
რა გაათენებს იანვრის ღამეს?

ამ
სტრი-
ქონებზე —
როგორც კიბის
საფეხურებზე —
ისევ ჩამორბის ახლა
შენი თვალი კეთილი, —
ფრთხილად! აქ მერვე
საფეხური ჩატეხილია, —
გადმოაბიჯე, ნუ გეშინია, —
ძირს გელოდები, ვით ამ ღეჟის ბოლოწერტილი.

სძინავთ მეფეებს,
სძინავთ მეფურ ზრახვებს და ვნებებს, —
მსახიობები თამაშობენ ჭეშმარიტ მეფეს,
მსახიობები თამაშობენ ნიჭიერ მგოსანს,
მსახიობები თამაშობენ ვაჟკაცის როლსაც...
მსახიობები თამაშობენ ჭეშმარიტ მეფეს, —
სძინავთ მეფეებს,
სძინავთ მეფურ ზრახვებს და ვნებებს.

ჩემი სსოპრანოს ხუთი ურსელი

გვირულ კომპაზიონს

I

ხალხის იმედი —

წარღვნაში ვიშვი

და დაფლეთილი ზეცა ტყვიებით
თავს მედგა, ვითარც კივილი შიშის
და სახვე ვიყავ შურისძიებით.

მქონდა მიწა და სამშობლო არა,
მქონდა გული და... გულზე ჭრილობა, —
მე მივხვდი მაშინ:

მშრომელ ხალხს მარად,

რომ გვერდით ვახლდე — ეს საჭიროა.

ვახლდე დაჩაგრულს, რომელიც ახლა

გვევთა მკერდით ეკლიან ზღუდეს, —

ცერზე შემდგარი ის მეცხრე ტალღა,

როდის დასცემდა მტარვალთა ბუდეს.

დედათა ცრემლი ჩქეფდა ღვარებად,
მოჭქონდათ ღრუბლებს სისხლის წვიმები;

მშობელი მიწის გავარვარებას

მეც ბუხარივით ვინაწილებდი.

ვყავდი მამათა საქმეს დარაჯად

და ვიწრთობოდი უდრეც ფოლადად,

არ მახსოვს კარგად, ჩემი ფარაჯა

რამდენჯერ ტყვიის კვამლში ბოლავდა.

მაგრამ მე ვიდექ ისე, ვით ძელქვა

ტოტდახუნძლული რწმენის ნაყოფით, —

მართალი გულის სიმღერა მერქვა

და კიდევ მერქვა ხვალის მნათობი.

ამხანაგებო! თქვენ გახსოვთ, ალბათ

სამოქალაქო ომების დროსაც

არ დამისხრია წუთითაც, დაბლა,

ბოლშევიკების მართალი დროშა.

II

...და მქონდა უკვე სამშობლოც, მიწაც,

მე მეკუთვნოდა ჩარხიც, გუთანიც

და ჩემს თვალეში სინათლე იწვა —

დამჩახჩახებდა მზე საკუთარი.

აღმშენებელი შემარქვეს ახლის

და ყოველ ახალს მოგვსენებათ,
რამდენი მტერი, ან იჭვი ახლავს
და მათაც ჩემი მარცხიც ენებათ.

მე გავანგრე ყველა ჯებირი,
გავფანტე, მოვსპე იჭვი მცონარი,
ავაგუგუნე დღე ღვთაებრივი,

ხიდად ვაქციე ყველა ბორანი.

ვუბოძე ყანებს სიმწვანის სუნთქვა

და ქარხნებს მივეც სული, რომელიც

დარჩება მარად საჭირო, სუფთა, —

დარჩება, როგორც ფიცი მშრომელის.

წინ მიმიძღოდა ბრძენი პარტია,

მაღალ შენობას ასე ვაგებდი

და დღეს, რომ ვფიქრობ:

ჩვენი ხატია

სახე დაღუპულ ამხანაგების;

რომლებიც ჩემთან კაფავდნენ მაშინ

მტერთა უღრანს და იღწვოდნენ ჩემთან,

სამშობლოც,

წუთით არ დავრჩეთ ვალში,

მათი სისხლი სომ შესს გულში ფეთქავს.

ჩირაღდანივით ასწიე მათი

სული მღელვარე, დაუოკები, —

შემოასხიე ფერები, ნათლის,

უთხარი:

— არა! აღარ მოკვდებით.

ამხანაგებო! თქვენ გახსოვთ, ალბათ

აღმშენების ჟამს, უმძიმეს დროსაც,

არ დამისხრია წუთითაც, დაბლა,

კომუნისტების მართალი დროშა!

III

რა იყო მაინც, როგორ მოვარდა,

რა დღე გათენდა, რა წარღვნა უნდო,

როცა დაგვაწვა თავზე მსტოვართა

და კაცისმკვლელთა ურიცხვი ურდო.

როდესაც ზეცა გაშავდა ერთობ

და მიწას წვავდა ავისმზრახელი, —

თქვენ გახსოვთ, მაშინ გვირულად ენთო

სამშობლოს ცაზე ჩემი სახელი.

გეგავთუ მომხდურს, როგორც წესია
და ხალხს ვაშორე ტანჯვა და ჯვარცმა.
ხომ ყველაფერზე უკეთესია
თავისუფლება დაიცვას კაცმა.
სტალინგრადიდან თვით ბერლინამდე
თოფით, ხიშტიით და ბრძოლით ვიარე.
ის თავგანწირვა რწმენას მინათებს,
თუმც მკერდზე ვითვლი უთვლელ იარაღს.
სახსრბოლებით, ტყვიათა ცელით,
ჯალათს სიკვდილი ჩემი ეწადა,
მაგრამ მართალი, ძლიერი ხელი
თავად მტარვალთა სხეულს ლეწავდა.
ამხანაგებო! თქვენ გახსოვთ, ალბათ,
ყოფნა-არყოფნის უმძიმეს დროსაც,
არ დამიხრია წუთითაც, დაბლა,
დიდი პარტიის გმირული დროშა.

IV

მტერმა ბევრი რამ გათელა ჩემით,
მუხლუხებით თუ ბომბების თქემით;
მაგრამ მეძახდა სიმწვანის ფესვი,
რომელსაც წყალი ვაბკურე პეშვით.
ამოიყარა მუხამ კვირტები,
მზე დაუბრუნდა დახანძრულ მერქანს,
კვლავ აჟიფივდნენ ტყეში ჩიტები, —
ათ მაისს უკვე მშვიდობა ერქვა.
რაც სიძულვილმა გააქრო, მოსპო
ტრფობას მზედ უნდა ამოეყვანა,
მე ყურს ეუბნებდი ჭირნანას მოსკოვს
და ზეიმობდა ჩემი ქვეყანა.
იქ, ნათელ კრემლში ცხოვრობდა კაცი,
ჩვენი პარტიის მებაირახტრე,
კაცი, რომელმაც გვაშორა ჯვარცმას
და გვწამდა სავალს კვლავ გაგვინათებს.
და მე მესმოდა მართლის ძახილი,
კვლავ ავაშენე, დაინგრა რაც კი
და მკაცრი გახდა ჩემი მასხილი,
რომ არ მქონოდა დღეები მკაცრი.
დღითა თუ ღამით ვიყავი ყველგან,
კვლავ აგუგუნდა ტრაქტორი, ჩარხი,
რაც დაამსხვრია ბოროტმა დელგამამ
კვლავ აღდგა, ვითარც მშობელი ხალხი.
ამხანაგებო! თქვენ გახსოვთ, ალბათ,
თქვენ კარგად გახსოვთ შენების დროსაც,
როგორ მეკავა მზესავით, მაღლა,
ჩვენი პარტიის დიადი დროშა!

V

ჩემო მამულო, შენთან ვარ ისევ,
შენი იმედი, შენი ფესვები,
შენ ჩემს სიმღერას ყანებში ისმენ,
შენ ჩემს სიმღერას ქარხნებში ისმენ
და ყოველ ზეიმს ერთად ვესწრებით.
თუკი მენდობი, არ გაგიმტყუნებ;
უფრო მკვირივდება შენი ფოლადი, —
მე ვიცი მალე, ამ საუკუნეს,
მარსსაც ვეწვევი რკინის ზომადლით.
ჩემი სიმაღლის გაიგვს უკვე,
ჩემი სიმტკიცის, რწმენის და აზრის, —
კვლავ ვახშიანებ ზარებს და ბუკებს
და იფოთლება უკვდავი ვაზი.
გქმნი და ვაშენებ, სიმაღლეს ველტვი —
ყოველ ცისმარე მწვერვალს ვებმები,
ამ ქვეყნად, ვიცი ვერავინ მეტყვის,
რომ დაბერდაო შენი ვნებები.
ამ ხუთ ათეულ წელთა მრავლობა
ჭაბუკად მტოვებს და... ვარ უდაოდ!
და ბედნიერი შთამომავლობაც
ჩემს გზას გაივლის აწ სამუდამოდ.
მე მიხარია ასე ვიქნები
და ვასკეცებ აზრსა და უნარს,
დასადაფნავი, მწვანე ფიქრებით —
სანამდის ჩვენი პლანეტა ბრუნავს.
ამხანაგებო! თქვენ ხედავთ, ახლა,
დიდი აზრის და სიმშვიდის დროსაც,
თუ როგორ ამაქვს მწვერვალზე, მაღლა,
ჩვენი პარტიის უკვდავი დროშა!

მეპილობი

იმ განახლების შენ ხარ ღირსება,
ნაყოფი, აზრი, მოზავლის სწრაფვა, —
მღელვარე გემი შუქით ივსება,
წინ მიგაქროლებს გაშლილი აფრა.
გმართებს წამიერ ფიქრი წარსულზეც,
მადლობა უთხარ დაფნით შემეცობელს, —
შენი მიზანი უნდა აღსრულდეს,
ძრწოდეშ შენს ფერხთქვეშ ყველა მეკობრე.
მარად იყავი ძალა შენების,
სინდისის, შექმნის, უძლეველობის, —
ორმოცდაათი წლისა, შენ ერთი,
დარჩი ჭაბუკი, როგორც გელოდით.
რა ძნელი იყო ჭირხლის ატანა,
გაუკვალავი გზების გაკვლევა.

ურიცხვ ეშმამ და ურიცხვ სატანამ
ერთი ღალატი როდი გაკმარა.
მაგრამ შენი მზე არ დაგიტოვია,
შენი სიმათლით, სინათლის ჩქერით.
მართლაც ლეგენდა, მართლაც მითია,
რაც გიმღერია და რასაც მღერი.
შვიდფერი ღელვის,
ელვის მანტიით
ბრწყინავს საგმირო შენი სახეება,
ხარ საღი კვირტი ჩვენი პარტიის,
იმედის, რწმენის გადაძახება.
შენ ხარ ნაბრძოლი ციხე-ტაძარი,
შენ, საქართველოს დღეო სვალისავე,
მუდამ გამტანი, ფუძე მაგარი...

ბალი ხარ, ნაყოფს უფრო დაისხამ,
შენ ხარ სიმშვიდე,
შენ ხარ სიფიცხე,
შენ ხარ სიმაღლე მომავლის ჩვენის. —
წინაპართ საქმეს კვლავ რომ იფიცებ,
შენ ხარ დამცველი ერის და ენის.
და გვჯერა შენი უძლეველობის:
გააქრობ სევდას, ცრემლს, მისტერიას, —
რჩები ჭაბუკად, ასეც ველოდით.
შენ ხომ სიბერე არ გიწერია.
იმ გრიგალების შენ ხარ ღირსება,
ნაყოფი, აზრი, რწმენა და სწრაფვა, —
შენი მიზანი შუქით ივსება
და გელოდება მწვერვალზე დაფნა!



ს ი რ ო ს ი მ ა

რატომ გგონიათ, რომ მელანდება, სასოწარკვეთით ვინაც მეძახის, თუ გულზე მხედება ხმა განწირულის, როგორც პრიალა დანა მეწადის? მაშ, ეს კაცებიც მელანდებიან, რომლებიც ცისკენ ხელებს იშვებენ: „ღმერთო, უშველე, ღმერთო, უშველე ბავშვებს და ქალებს და ჩვენც გვიშველე?!“ მაშ, ჩემს სინდისზე, ამბობთ, არ არის არც ხიროსიმა, არც ნაგასაკი — იმ მსხვერპლის გამო პასუხს არ აგებს არცერთი კაცი ჩემი ასაკის?! თუ ეს ასეა — კაცობრიობის ავიც და კარგიც ღმერთს აბარია — მე რად მგონია, დედამიწაზე რაც სიავეა, ჩემი ბრალია. ან ის ვინ არის, შუალამისას სასოწარკვეთით მე რომ მეძახის? გულზე რად მხედება ხმა განწირულის, როგორც პრიალა დანა მეწადის? თუ მართლა ასე ვარ უცოდველი — მე მეჯავრება ჩემივე თავი...

...ხიროსიმაზე გადადის კვამლი და ტყემლის თეთრი ტოტივით ჰყვავის.



მე მახსოვს შენი სტუმრობა ღამით, როდესაც შემკრთალ ფოთოლთა ჩქამის ბურანში ისე ეძინა ქალაქს, — ძღვევამოსილი მზის შესახვედრად თითქოს იკრებდა იდუმალ ძალას.

ოდნავ მოხრილი იჯექი სკამზე და გაჰყურებდი მთვარიან გამზირს, სადაც გვიანი ღამის მგზავრები, რომლებსაც მინა ამახინჯებდა, მოჩანდნენ, როგორც დინოზავრები...

მე დავიჩოქე შენს წინ ჩურჩულით და ვეამბორე თვალდახუჭული მუხლზე უმწეოდ დაწყობილ ხელებს, რომლებიც სურვილს ისე მალავდნენ, როგორც მალავენ სხვისგან ბარათებს.

მუსიკასავით ართობდა სმენას ცხრა თვის ორსული დუმილის ენა — ენა თანხმობის და მორჩილების. კედელთან, როგორც ძეგლის ესკიზი, იდგა შერწყმული ჩვენი ჩრდილები.

მ ო ლ ა ნ დ ე ბ ა

შუახნის ქალი, ფიქრიანი და იდუმალი, ღია ფანჯრიდან დაჰყურებდა გამზირს დუმილით, თითქოს ერთბაშად უკუიქცა ჟამი და დღემდე რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო დიდი ხნის შემდეგ.

ეს იყო დილა მოლანდების,

მაისის დილა.

იმგვარად გაკრთა დედაკაცის სახეზე ღიმი, თითქოს ანაზღად ავარდნოდეს კაბაზე ღილი — ორივე ხელი აიფარა გულმკერდზე ფრთხილად:

მხრებგანიერი მამაკაცი, — საიდან, ღმერთო?! —
დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი,

მოსდევდა გამზირს...

მაგრამ ხელებქვეშ რაწამს იგრძნო

ჩამქრალი მკერდი,
ამოიოხრა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

მ რ ი უ რ ა გ ე ნ ც ი

ციკლიდან „სიბერე“

1.

ვაიმე, როგორ მალე ბერდებით,
ასე კარგები, ასე ნაზები.

მე ფიქრიც მიმძიმს — თეთრი მტრედები
ნაღვლიან ყორნებს დაემსგავსებით.

ვაიმე, როგორ ყინავს დილიდან.
რა იქნა ძველი პეწი და ეშხი —
ასე ადვილად ვინ გაივლიდა
ენებით დანაღმულ თვალების ტყეში...

ვაიმე, როგორ ჩამორჩით მოდას.
დამუქრებული მოდის მდინარე —
ომისშემდგომი თაობა მოდის —
და ძველ კუნძულებს აუჩინარებს...

ირაკლი, ლელა, კახა, თამარი
ზეციდან პირველ ვარსკვლავებს წყვეტენ,
და ჩემი ჩრდილი მათი თამაში
თვალების შუქზე აწყდება კედელს.

2.

დაპყრობილია ყველა მწვერვალი,
დათოვლილია ყველა მაღლობი!
მოდი, ძვირფასო, მომიასლოვდი,
გულგრილი ზამთრის მეც ვარ მძევალი.

გადაწყდა. ამ დღეს ჩვენც მოვესწარით:
ანაზღეული ცრემლის წვეთივით
ცოდვებისაგან ვართ გაწმენდილი —
ყველაზე დიდი ცოდვა ეს არის...

თუმცა იმავე ძალით მომშივა
ის, რაც მხიბლავდა, ის, რაც მომწონდა,
ის, რაც თებოდა სულის კოცონთან
და უმოწყალოდ რაც გათოშილა, —

მშობლიურ მიწას ჩავეხუტები
და არ ვინანებ, ვფიცავ, არასდროს:
წასვლა ორიოდ კვირით დაგასწრო —
გაგიადგილ ბოლო წუთები...

როცა სამყარო შეიცვლის იერს,
როცა დარეკავს განკითხვის ჟამი —
ეს სულ ერთია, დღისით თუ ღამით —
მე მაღლობელი ვიქნები ძლიერ:

თუ გიკარნახებს სული ამაყი
თან წამოიღო ჩემი კრებული,
განურჩევლობას შერიგებული, —
არ დაგამძიმებს ორი თაბახი.

ჯერ კი... ძვირფასო, მომიასლოვდი,
გულგრილი ზამთრის მეც ვარ მძევალი.
დაპყრობილია ყველა მწვერვალი,
დამსობილია ყველა მაღლობი.

ა ღ ს ა რ ე ბ ა

— გესმის?! ისედაც მომრავლდა ლექსი —
ერთფეროვანი და სტანდარტული
შენობა, რომლის ზედა სართული
წყალს ეზიდება ეზოდან,
— მესმის.

— მზად ხარ, როდესაც ცხარედ ტირიან,
უწამლო ყველა მოკვდავის სურვილს
და უყოყმანოდ დალიო სული
შენი ქვეყნისთვის?

— ეს ადვილია.

— იქნება ჯობდა, ცხრა მთის გადაღმა
დაგედგა მწყემსის თეთრი კარავი;
არ გაჩხეროდი თვალში არავის.
რამ გაიძულა?

— ბედის კარნახმა.

— მზად ხარ, იკმარო მთელი ზამთარი
მცირე ნაყოფი მტანჯველი შრომის
და პოეზიის ჯუნგლებში ლომის
ბუსუნს გაუძლო?

— ლომი სად არის?

— იქნება ჯობდა, ასე ადვილად
ბრიყვსა და უგნურს არ აჰყოლოდი?
ამ ჭრელი სოფლის ყველა ბოროტი
მტრად გაიხადე.

— ჯობდა ნამდვილად.

— საბრალოვ, მზად ხარ ყველა გვარტომის
დავრდომილს — არა ხარბსა და უკმარს —
უკანასკნელი დაუთმო ლუკმა?

— მზადა ვარ, ოღონდ — ჩემზე დავრდომილს...

— იქნება ჯობდა, რომ სამუდამოდ
აგეღო ხელი? — დრო აღარ იცდის —
ჩუმად გადადო უკეთეს დღისთვის
დღეის სათქმელი.

— ჯობდა უდავოდ.

— მაშ, მზად ხარ, როცა ხსნა არსადაა,
სიზიფის ლოდი ჯიუტად ზიდო
და მიიჩნით უდიდეს ჯილდოდ
შენი ხელობა?

— დიას, მზადა ვარ.



მთაზე ანთია გამთენიის პირველი წუთი,
ნეტარი შუქი დედა მზისა
ათასწლეულთა თრთოლვას აღვიძებს;

ამ გაზაფხულზე მერამდენეჯერ ამოზიზინდა
მხედარი,

ცხენი,

ფარი და

ხმალი,

წყველა და ლოცვა,

აი, მინდორი

წინაპართა ბრძოლის ველი გაუქმებული,

აი, მინდორი —

პორიზონტების ულურჯეს წრეში

შეგუბებულია მწვანე სინათლე.

ყორღანი. მხელარი

გულგანგმირული დევის დროშები —

ყვავების გუნდი ნება-ნება დაბლა დაეშვა

და ახლა ქარი დროგამოშვებით

არწევს ქაჯეთის ციხის კაემანს.

და როგორც ნედლი შეშის შიშინი,

რალაც ჩაგესმის ბუნდოვანი და ირინდები

და გრძნობ თვალეში წვება შიშივით,

სიზმრადხილული ლაბირინთები.

რისთვის მოხვედი ნეტა ყორღანზე...

შენ მიატოვე სასახლე და ცივი გრანიტი,

რომ შენს სხეულში აგუგუნდეს, როგორც ორღანი,

შემოდგომური წყნარი ამინდი.

რომ ზეციური ხმების მოსმენის

დიდი სურვილი მიძინებულ თვალებს გიხელდეს,

სანამ ველებზე დაეშვება საღამოსფერი —

ბინდში ჩაგძირავს და მოგიხელთებს.

რომ ახმიანდეს, როგორც უღრანი,

ძველი სისხლი და ძველი ამბავი,

სული — მგლებსგან გამოუსრავი,
ხორცი — მტრებისგან აუკაფავი.

გულგანგმირული დევის დროშები —
ყორნების გუნდი ნება-ნება დაბლა დაეშვა
და ახლა ქარი დროგამოშვებით
არწევს ქაჯეთის ციხის კაემანს.

ი ს ე ვ ს ი გ მ ა რ ი

მე მახსოვს, მშვიდად იდექი კართან
და აბრეშუმის ფრთხილი შრიალი
თითქოს ამხელდა ფსკერის სიჩუმეს,
უძირო ჩქამი ნელა, თანდათან
მოდიდებული ჟრუანტელივით
გადმოდიოდა დაუსრულებლივ
და აღვიძებდა მთელემარე მარცვალს.

მე მახსოვს, მშვიდად იდექი კართან
და უმშვიდესი ხმების მორევი
თითქოს არწევდა სიჩუმის კალთას
და მეც სიჩუმეს ვიმეორებდი.

გაოგნებული ვუცქერდი, ღმერთო,
რისთვის მოფრინდა მკვიდრი ედემის?! —
ფრთებზე მბჟუტავი ხომლივით ენთო
გამოჟონილი სისხლის წვეთები.

ეფინებოდა შუქი იელის
თმებზე და ირგვლივ თვლემდა ყოველი,
შორით ისმოდა ცაცხვის შრიალი,
ვით უძველესი საგალობელი.





ჩვენს შორის იყო გვიანი ზარი
და იშლებოდა ღამე ლანდებად.
მე თქვენ გითხარით: დადგება დარი
და გაზაფხული გაგიხარდებათ.

მე თქვენ გითხარით: ცის კამარედით
დაიწმინდება ნაზამთრი მზერა.
თქვენ კი თვალები რად ამარიდეთ,
რად თქვით ჩურჩულით: მშვიდობით. მჯერა...

და აი ზეცა დაიხა მარტით,
თებერვლიანი გული იჯერეთ...
მე თქვენ მიყვარდით... მე თქვენ მიყვარდით!
თქვენ კი რატომღაც არ დამიჯერეთ.

მთის აგზა

ეუბნებოდნენ — გადასთქვიო გულის წადილი.
ეუბნებოდნენ — ნუ იზამო გაუკეთებელს.
ეუბნებოდნენ — არ გინდაო ბედის წვალება.
არა და არა — არ მოუშლია.
ფრილოს თავზე გაუვლია შუა ზამთარში —
წერის ჩახმახი გამოუშლია.

ესლა არყის რქას იყუდებდა ერთი ფშაველი,
ზევად გადაჰყვავ — ამბობდა ზანტად.
არყის რქა იყო ერთი მტკაველი,
ირგვლივ შიშველი კლდეები ჩანდა.



და ისევ ისე, როგორც მაშინ, საღამოსი ჟამს,
შორი მგზავრობის ეშვებოდა ბინდი ლექსური.
და ახლაც ისევ, როგორც მაშინ, ნაბადს მოვისხავ,
ქვეყნის კიდემდე გამოგყვებით თქვენი მეგზური.

ოღონდაც ისევ დაივიწყეთ ძველები ფრთხილობა;
ჩემი ფიქრიაც დაბერდება და ჟამს მოიჭამს...
მე გვედრებით — დამავიწყეთ მოწყენილობა
ო, ისევ ისე... როგორც მაშინ... საღამოსი ჟამს...

ყვითელი ტრამვალი

ღიმიდა შერჩათ მსხლის ხეებს ფითრად,
როგორც ბავშვური ოცნების წილი.
და მიტორტმანებს ტრამალი ყვითლად,
აქეთ ქატოა, იქით კი ჭირი.

ფიჩხივით ჩამწვარ დღეთა ნავლია,
ბაგე სულისთქმით გადაიქანცა.
იქითკენ — სადაც სხივთა ჭავლია
ყვითელ ტრამალზე მიდის ვიღაცა.

ნადველი ისევ ერთად ერთია,
გული აღარც წუხს უკვე მრავალზე,
არც არის გული — მხოლოდ მკერდია...
ვიღაცა მიდის ყვითელ ტრამალზე.

მიდის შორით და იქადის შორეთს,
ერევა ნესტი უნდილი ბინდის —
და ბინდში ჟამიც მიიწევს მდორედ...
ყვითელ ტრამალზე ვიღაცა მიდის.



მ გ გ ა ვ რ უ ლ ი

ულექსოდ გვერდს ვერ ავუვლი,
ბრწყინავს მამულის ცა,
მხარმარჯვნივ ბერძენაული,
მარცხნივ — პატარა ფცა.

საღოლაშენთან ხიდია
ფრონეს მიჰყვება გზა,
ჩემს გულს სიმღერა ჰკიდია
ველებს — ვარდი და ბზა.

ღირბში განთქმული ბაღითა
სად ხევი მოჩანს ღრმა,
მომენატრება ყაყიტავ
შენი სიტყვა და ხმა.

ნიადაგ კვლავ დასაფიცი
ციხის ნანგრევი ზე,
იქვე, სულ ახლოს აბისი
ქართლის ბრიალა მზე.

ჩემი სალამი ბრეძელებს
და სიყვარულის ზღვა,
თუმც განძი ბევრგან ვეძებე,
ვერსად ვიხილე სხვა.

ჩემი სიმდიდრე თქვენა ხართ
სალამი მთას და ხევს,
ის, რაც მე უნდა მენახა
მაგ თქვენს გულებში ძვეს.

●
ოლონდ შენ არ დამემდურო მოვალ ჰარი-ჰარალეთი,
მზე შენა და მზევ გარეთა — წამოდგება კარალეთი.

შე, ლამაზო ნანდაურო, საღალბოდ რად მინდოდი,
ღიმღიღივით რომ ჰყვოდეს მომაგებე ატმის ტოტი.

თუკი გვერდით მეყოლები, რა სიმდიდრე მოვინატრო,
ჩემი მარიხ-ვარსკვლავი ხარ, მაგ თვალეზმა მომინათოს.

●
რუხი ტრამალი,
თივის ზვინი,
ქოხი ფიცრულის,
ამ სანახებთან ბავშვობიდან ვარ შეფიცული.

ალხამდგარ სივრცეს კვლავ გაარღვევს ძერა მხარულით,
და უცებ გულზე გადამივლის ზღვა სიხარული.

ჰეი, ბავშვობის გარდასულო დღეო ჩავლილო,
ჭიაკოკონავ,
ტკბილო ჭონავ,
ტკბილო ალილო.

კვლავ მომიბრუნდი, თორემ თვალზე ცრემლი მიჩნდება,
ლამის მოვიხსნა ნაბადივით ეს დადინჯება.

კვლავ მომენატრა ყრმობის წლები მზით შენაფერი,
ცრემლიან თვალთ ხელებს ვუქნევ დღეებს გაფრენილს.

ბავშვობის კალოვ,
ლამის თევავ,
პურო მახლობლის,
ცხელო თონეო — მაგრძნობინე სუნთქვა მახლობლის.

... რუხი ტრამალი,
თივის ზვინი,
ქოხი ფიცრულის,
ამ სანახებთან ბავშვობიდან ვარ შეფიცული.



ქ ე გ ლ ი

ამ მზის მზეობას,
ამ გაზაფხულს იცავდა მკერდით.
მისებრ მამაცნი ისვენებენ და წვანან გვერდით.
აქ მისი „ვაშაც“ მჭუსარებდა რიხით,
ქართულად.

არ დაცემულა,
ამ გრანიტში წამომართულა.
ამ ბორცვებს ასსოვთ ვეფხის სისხლი,
შებმა, შეტევა,
ამხელა გული ამ საფლავში ვედარ ეტევა...
თავისი ვალი მოუხდია პატიოსნურად,
ახლა სიცოცხლე მის საფლავთან თვითონ მოსულა.
თავს დასდგომია განთიადი მზისფერ თაველად,
მარადისობის უქრობ შუქად და უკვდავებად.

●
თუ ხარ პოეტი,
შემოქმედი ცისა და მიწის,
მიხვდი, ბალახი, ეს ყვავილი რა გრძნობით იწვის.
რატომ დაჰქრიან ეს ქარები თავგამეტებით.
ან კიდევ რაზე დუღუნებენ თეთრი მტრედები,
ლორთქო ფოთლებით რას ჩურჩულებს
ასი წლის მუხა...

რად არ დაოკდნენ ჩანჩქერები,
რა ძალით ქუსან...
ან ეს აპრილი ამ სინაზეს რად აბანაკებს,
თუ ხარ პოეტი,
გაზაფხული ალაპარაკე!..

●
ოცნებას სურს,
სულში დაილექოს,
მელანდება შენი შუქი,
მეყურება იმ სიცილის ექო.

ღრუბელივით თეთრი ტაძრის ბოლოს
არვინ მხედება მწუსარებით მოსილს,
მხოლოდ ქარი, ქარი, ქარი მხოლოდ,
მარტო კვიპაროსი...

ნოღარ წულუისკირი

აბრაგიას სიკვდილი

დომეს ხუთი ბატი ჰყავდა. ერთ მათ-
განს აბრაგია ერქვა. მართალია, ბატს
სახელს იშვიათად არქმევდნ, მაგრამ
დომეს ბატი ჩვეულებრივი ღერღეტი
არ გახლდათ.

ღილით აღრე, ჭიშკარში ბატებს გა-
დადენიდნენ თუ არა, აბრაგია სარდა-
ლივით გამოვიდოდა თეთრად მოხრე-
შილ შარა-გზაზე, ყიჟ-ყო — ერთს და-
სჰყვილვებდა თანამომმეთ და ყელმოღე-
რებული წინ გაუძღვებოდა. მანქანების
შიშით ბატებს შარა-გზიდან სწრაფად
გადაიყვანდა და ტრიფოლიატის ღობის
ძირას თავისი კაჟა ფეხების ტყაპა-ტყუ-
პით მიღერღეტობდა. იქ გამხმარი ეკლე-
ბის, ასჯერ გადაძოვილი ბალახისძირების
და ათასი ხარახურის. მეტი არაფერი ეყა-
რა, მაგრამ აბრაგია ხომ გაუჩენელს გა-
აჩენდა, შეუძლებელს შეძლებდა ამი-
ტომაც ეძახდნენ აბრაგიას.

სულ მთლად ამოქოლილი რომ ყო-
ფილიყო ღობის ძირები, გასაძრომები
განგებ გამოღობილ — მესერჩასობილი,
აბრაგია გასაძრომს მაინც იზოვიდა. ხო-
ლო ვის ყანაშიც შეიპარებოდა, ვის ბო-
სტანსაც ესტუმრებოდა, ვაი, მისი ბრა-
ლი! ყანას ნაყანევად აქცევდა, ბოსტანს
ნაბოსტნევად.

კარდაკარ ბატივით კი არ დაჩენჩერ-
ობდა, მწვერავის თვალითა და გუშავის
ყურით მიუძღოდა წინ თავის რაზმს და

წუთისოფლის გზაზე მარჯვედ დაატა-
რებდა. ამიტომ უყვარდათ ბატებს აბ-
რაგია, მას ენდობოდნენ, მისი სიტყვა
კანონად იყო ქცეული. მეგობრებს ჩუ-
მად რომ ჩაუსისინებდა: ამ ყანაში ნუ
შეხვალთ, საშიშიაო, ბატები იმ ყანისა-
კენ არც გაიხედავდნენ.

მეზობლებს კარგად შემოღობილი სი-
მინდის ყანები და ბოსტნები ჰქონდათ.
იქ გასაძრომების პოვნა ჭირდა, აბრა-
გიას თავისი რაზმი შორს, მეურნეობის
ყანებისკენ მიჰყავდა. მეურნეობის სი-
მინდის ყანები ათობით ჰექტარზე იყო
გადაჭიმული. ვიდრე იმ ყანებამდე მი-
ვიდოდნენ, საბოსტნე ნაკვეთებისთვის
უნდა ჩაეელოთ.

კიტრის, ნესვის და საზამთროს თვალ-
უწვდენელი ბაღები გამვლელს თვალს
სტაცებდა, გოგრის ღერწები ღო-
ბესთან სულ ახლოს მწვანე ხვლიკე-
ზივით გაწოლილიყვნენ და ბატებს ჰა-
ნტა ვაშლისოდენა ახალგაშონასკვეულ
კვახუნებს მადისაღმძვრელად უჩვენებ-
დნენ. მოშორებით თითისხელა კიტრები
და ნესვები ბზინავდნენ მზეზე. ჩვენს
ბატებს ბოსტნეული ანდამატივით იზი-
დავდა, მაგრამ ბოსტანთან ახლოს თო-
ფიანი მეველე ცხოვრობდა. მეველეს
შორს წასვლა ეზარებოდა და სულ ამ
ბოსტანს დასტრიალებდა თავს. თანაც
ისეთი დაუნდობელი და საშიში კაცი

იყო ეს მეველე, აბრაგიას მის გახსენებაზე ტანში აზრიალებდა.

ერთხელ, როცა მთელი დღე ღობე-ღობე, შარა-შარა წანწალით დაიღალნენ ბატები და საკბილო ვერაფერი იშოვეს, იფიქრეს: რაც იქნება იქნება, ბოსტანში შევიპართო. აბრაგიამ როგორც იცოდა ხოლმე, წინასწარ კარგად დაზვერა, მეველე ხომ არსად არისო და... გასაძრომი ხელათ იპოვა, თითონ პირველი გაძვრა და ბატებიც გაიყოლა.

ბატები ნეკისხელა კვახუნებსა და კიტრებს კისერწაგრძელებულები ნეტარებით აყლაპუნებდნენ და თავიანთ ენაზე ერთმანეთს ტკბილად ეყიყინებოდნენ. უცებ აბრაგიამ თავი აიღო, შეშფოთებით შეჰკივლა ყიიპ, ყიიპო და თავქუდმოგლეჯით გაიქცა, მოუსვა და მოუსვა, ფეხებს ფრთებიც მიაშველა და ღობეს მიასკდა. გოცებული ბატები, რა თქმა უნდა, აბრაგიას მიჰყვნენ, მაგრამ უკვირდით რამ დააფრთხო წინამძღოლი, მეველე არსად ჩანდა, არც ძაღლის ყეფა ისმოდა, რა მოხდა, რა იყო, თავიანთ ენაზე აყიყინდნენ და ისინიც მიასკდნენ გასაძრომს.

აბრაგია სწორედ იმით განსხვავდებოდა სხვა ღერღეტებისაგან, წინათგრძნობის უნარი ჰქონდა, მან წინასწარ იგრძნო მეველის მოახლოება: ყანების მცველი თოფშემართული გამოაბოდა. აბრაგია პირველი გაძვრა ღობეში და შარა-გზაზე გამოვარდა. მოხდა სასწაული, მეველე ღობესთან მიიჭრა, თოფი ზედ დადო და აბრაგიას დაუმიზნა. აბრაგიამ იფიქრა მაშინებსო, გუნებაში გაეღიმა კიდეც, შინაურ ფრინველს თოფს ვინ ესვრისო, მაგრამ... ისეთი დაიქუხა, აბრაგიას ეგონა მიწა გასკდა, ფრთები გაშალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოცოცხა. სხვა ბატებიც ყიყინით, სისინითა და ფრთების ფათქა-ფუთქით გამოცვივდნენ შარა-გზაზე. ბატებმა პირველად ნახეს საკუთარი თვალით მათკენ გამოშვერილი საზარელი შავი ლულა, იქიდან საშინელი სისწრაფით გამოვარდნილი ცეცხლის ჭავლი, თით-

ქოს აბრაგიას თოფი კი არა, მთაწმინდის ღმერთმა მეხი სტყორცნა.

დაწოკებული ბატები დიდხანს გარბოდნენ შარა-გზაზე და თან უკან იყურობოდნენ, მეველე ხომ არ მოგვდევსო. თავი სამშვიდობოს რომ დაიგულეს, მაშინ-ღა გაახსენდათ ერთმანეთი, შარა-გზაზე თავადერილები დადგნენ — მეწინავენი ჩამორჩენილებს დაელოდნენ. როცა დარწმუნდნენ, რომ ყველანი ცოცხალნი და უვნებელნი იყვნენ — წესისამებრ აბრაგია წინ, დანარჩენები უკან — შინისაკენ გზას გაუდგნენ, თან თავიანთ ენაზე შარა-შარა დიდხანს მოყაყანებდნენ, უღლიანი ღორების, თხების და ხბოების გასაგონად, თუ რა საზარელი მეველე ჰყავდა მეურნეობას.

სალამო ხანს ბატები საქათმეში შერეკეს. ღომეს საბატე არ ჰქონდა, ბატებს საქათმე ეკავათ, ქათმები კი ლელვის ხეზე ბუდობდნენ.

ჯერ ძროხა არ მოეწველათ, მზე ახალი ჩასული იყო, ქათმები ნელ-ნელა იყრიდნენ თავს ლელვის ტოტებზე. სად იყო და სად არა, ჰიშკარს მეველე მოადგა.

— ვო, ღომე! — გაისმა ეზოში მისი ხმა. ღომემ ხელი მოიჩრდილა და ჰიშკარს გახედა. წინასწარ იცოდა, რისთვისაც მოვიდოდა მეველე.

— ღომე, ბატებს მოუარე, თორემ მოგაკლავ, იცოდე, ამოგადეს ბოსტანი!

— რა ვუყო? დავაბა?... ისე, ყოველ დილით ვეუბნები სხვის ყანაში არ შეხვიდეთ-მეთქი, მაგრამ არ სჯერათ...

— ასე ხომ? — გაბრაზდა მეველე. — დამცინი ხომ?...

მეველე სწრაფად გამოირდა ჰიშკარს, თითქოს ვინმე უკან მისდევდა.

— გაბრაზდი თორემ არ წამართვა დადიანობა! — მიაძახა.

ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უთქვამთ. ღომე კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული სამზადის წინ, შემდეგ წამოდგა, ეტყობოდა რაღაც გადაწყვიტა, თაროდან წალდი ჩამოიღო, საქათმესთან აკაციის გამზმარი ჩხვერკი ეყარა, მოგრძო,

სწორი ტოტი გამოათრია, შტოები და ეკლები წალდით ჩამოასხიბა, თვალთ გადაზომა, გადაჭრა, საქათმის კარი გამოადო და აბრაგიას დაუწყო ძებნა — აბრაგია შიშმა აიტანა, მან ჯერ არ იცოდა, რისთვის ეძებდა პატრონი.

შეშინებული საქათმის კედელს აეკრა და შეშფოთებით შესძახა ყიპი!..

დომემ თავი შეჰყო საქათმეში, აბრაგია ჯოხით თავისკენ გამოდენა, სტაცა კუდში ხელი და დაიჭირა.

— ყიპ! ყიპ! ყიპ! — სასოწარკვეთით აკივლდა აბრაგია, ეგონა კლავდნენ და განწირულივით აფართხალდა.

სამზადის გვერდით ბეოლის კუნძი ეგდო, დომე იმ კუნძზე ჩამოჯდა, ბატი კალთაში ჩაისვა. აფართხალებული ბატის ტანი ლაჯებში მოიქცია, ორივე ხელით ფრთები აუწია, ფრთებს ქვეშ ის გამხმარი ჯოხი გაუყარა და ზედ შეაბა. „აღარ მკლავენ“ მიხვდა აბრაგია და დამშვიდდა — სიკვდილს ყველაფერი ერჩია.

— კიდევ არ მოიშლი სხვის ეზოში წანწალს?... თქვა დომემ და აბრაგიას ხელი კრა, — თავისუფალი ხარო. აბრაგია საქათმისაკენ გაიქცა. ბატს ფრთებში ჯოხი ჰქონდა გაჩრილი და საქათმის კარში ვერ შეეტია. დომემ კვლავ დაიჭირა ბატი, „უღელი“ დაუშოკლა და საქათმეში შეაგდო.

აბრაგიამ ბატებში თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი მომხდარაო, შუა საქათმეში დადგა, თავისი თეთრი ქათიბი გაჭირვებით შეიბერტყა, თავი მალა აიღო და ამაყად აყიყინდა:

— ყი, ყი, უღელი დამადგეს, მაგრამ არაფერია... ყიპ!..

შეშინებული ბატები კედელს ეკვროდნენ, კისერწაგრძელებულები შორიდან აკვირდებოდნენ წინამძღოლს.

— სი, სი, ეს რანაირი უღელია, სიპ! — ჩუმად სისინებდნენ ბატები და თავიანთი ნისკარტებით მეთაურს უღელს უსინჯავდნენ. აბრაგია გაშეშებული იდგა ერთ ადგილას, თვითონაც აკვირდებოდა თავის უღელს: ჯოხზე წვრილი

თოკით ორივე ფრთა ისე მაგრად დეკრა დომეს, განძრევა უჭირდა.

მართალია, აბრაგია ჭირს არ იმჩნევდა, დარდს არ ამხელდა, ძველებურად მედიდურად „დაწვა“ დასაძინებლად, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჯავს. უღელმა სევდა მოჰგვარა, რაღაც შეცვალა მის ცხოვრებაში, რაც უნდა რიხიანად ეყიყინა, უღლიანი მეთაური მაინც უღლიანი იყო, რიხი უღელს ვერაფერს დააკლებდა. მთელი ღამე უღელზე ფიქრობდა, როგორმე უნდა მოეშორებინა, მაგრამ როგორ? საქათმეში ბატებმა რომ დაიძინეს, აბრაგიამ იღლიის ქვეშ შეიყო თავისი ბრტყელი ყვირელი ნისკარტი და შემოჭერილ თოკებს შეხსნა დაუწყო, დიდხანს იქეჭა, ვერას გახდა, ცალ ფეხზე შედგა და ცალით ჯოხს დაებლაუჭა. ფრთები იტყინა, ჯოხს კი ვერაფერი დააკლო. მთელი ღამე იწვალა, იფხოკიალა, ერთი ორჯერ ბატებიც კი გამოაღვიძა, ბოლოს იმედი დაკარგა და კვლავ სევდამ შეიპყრო. გამთენიის ხანს წამით ჩასთვლიმა, ჩასთვლიმა თუ არა, ყიყიოყო, ზედ მის თავს ზემოთ დასქეჭა მამალმა და გამოაღვიძა. მამალი ლელვის ხიდან ჩამოფრენილიყო და საქათმის სახურავზე დეზების წკარუნით დაბრძანდებოდა. თან ყო! ყო! ყოოოო! — გაოცებული თავისიანებს უხმობდა.

აბრაგიამ მალა აიხედა. შიფერის ფილა ჩატეხილიყო, შიგ კომში გამოეტეოდა. რიყრაყზე აქედან ცის პატარა ნაჭერი ჩანდა, ხანდახან წვიმაც ჩამოდიოდა, ახლა იქ წითელბიბილოიანი მამალი იდგა და საქათმეში გაკვირვებული იჭვრიტებოდა, გაოცებას ხმამალა გამოთქვამდა:

— ყო, ყო, ყო! ქათმებო მოდით, რა განახოთ, აბრაგიასთვის უღელი დაუდგამთ! ყო!

ქათმები ლელვის ხიდან პირდაპირ საქათმისკენ მოფრინავდნენ. შიფერის სახურავზე ფეხს დადგამდნენ თუ არა,

ნოდარ ფულიისკირი
მომთხრობავი



ლი მოიმოქმედა ჩვენმა მეთაურმაო. შემდეგ საითთაოდ უკან მიყვნენ წინამძღოლს, სიმინდის ყანას მოედევნენ და თვალის დახამხამებაში გადაძოვეს.

სად იყო და სად არა, საიდანაც მეველე გამოჩნდა, ისეთი ყვირილითა და ერთის ამბით მოვარდა, ბატებს შიშის ზარი დაეცათ, დაფეთებულები ერთმანეთს მიაწყდნენ და თავის საშველად ზოგი საით გაიქცა და ზოგი საით. მეველე, აბრაგიას გამოუდგა, თოფი გადმოიღო და დაუმიზნა, აბრაგიამ ღობისკენ მოკურცხლა. ერთგან შეყო თავი, მეორეგან, ვერსად ვერ გაეცია, ღობეს გასდია, ყანის ბოლოს მაყვლის ბუჩქებისკენ მოკურცხლა, იქ უკეთ ვიპოვი გასაძრომსო. მაყვალი და ღიჭი ღობეს კარგა მანძილზე ჩასდევდა, ეკლის ბარდებში უღელი გაიხლართა და აბრაგია წამით გაყუჩდა. მიაყურა მეველე მომსდევს თუ არაო. მეველის ფეხის ხმა ახლოს ისმოდა. აბრაგიას გული ბაგაბუ-გით უცემდა, ცდის დრო აღარ იყო, მესერსა და მესერს შორის გაყო თავი და უღლის გაძვრენაც სცადა, მაგრამ ამაოდ, ვერ გააძვრინა, ეკლიანმა ბარდმა სულ დაკაწრა. აბრაგიას მოეჩვენა, რომ მეველემ თოფი დაუმიზნა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწია და ცალი ფრთა დაეღეწა, სისხლმა შედრევანივით იფეთქა. „დავიღუპე“ — გაიფიქრა, და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. რაც უფრო მეტს ფართხალებდა, მით უფრო ეკაწრებოდა ფრთები, ჩიჩახვი, ზურგი, კისერი. ეკალბარდებსა და მესრებს შორის ისე იყო გახილული, სუნთქვა უჭირდა, ფეხებს უსასოოდ ასხმარტალებდა და თავს აჭიკინებდა, მესრებისა და ეკალბარდების ტყვეობაში სულს დაფავდა.

თანდათან ფეხისხმა მიწყდა. აბრაგია სრულიად მარტო დარჩა ღობეში გაჩხირული, ბატებს ეგონათ, რომ აბრაგია პირველი გაიჭრა შარაგზაზე. როცა მეთაური შარაგზაზეც ვერ იპოვეს, ძალიან გაუკვირდათ. შინისაკენ წავიდოდნენ იფიქრეს და სოფლის შარას დაადგნენ.

აბრაგია შინაც რომ არ დახვდათ. ბატები საგონებელში ჩავარდნენ, დომეძების და მოიყვანსო ფიქრობდნენ, მაგრამ აბრაგია არ გამოჩნდა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. არავის უფიქრია აბრაგიას სიკვდილი, ვილაცამ თქვა, როდესაც აბრაგიას მეველე გამოუდგა, მან ფრთები გაშალა და გაფრინდაო, ისარივით აიჭრა ცის ლაქვარდში, გადაუფრინა სოფელს და ზეცაში გაუჩინარდაო. აბრაგიას გაფრენის ამბავი სოფელში სწრაფად გავრცელდა, ბატები, ინდაურები, იხვები და ქათმები, თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს გაოცებულები უყვებოდნენ, თუ როგორ იმარდა აბრაგიამ, როგორ მოსწყვიტა თავისი მძიმე ტანი დედამიწას, როგორ გაექცა მეველის ტყვიას, აფრინდა მალა ცაში, გადაუფრინა სოფელს, მთებს და უღრან ტყეში წავიდა.

...სინამდვილეში კი აბრაგია ღობისძირას ეკალბარდებსა და მესრებში გახილული მოკვდა. დომეძიდან დაეძებდა თავის ყაჩაღანა ბატს, მაგრამ ვერსად იპოვა, რას იფიქრებდა თუ ამ სიშორეს წავიდოდა! სიკვდილი კი, აბრაგიას სიკვდილი დომესაც არ სჯეროდა, ან იმ შარახვეტია მეველემ მომიკლა, ან ვინმემ მომპარაო ამბობდა.

აბრაგია ორი დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს, ორი დღე-ღამე ფართხალებდა, მშველელს ამაოდ უხმობდა, არავის ესმოდა მისი ხმა, აქედან სოფელი შორს იყო, ვინმე შემთხვევით თუ გამოივილიდა, თორემ აქ ხომ არც ყანა იყო და არც ბოსტანი, ეკალბარდებით გადაბურულ, მიტოვებულ ზურგს ადამიანი რისთვის მიაკითხავდა?!

ორი დღე-ღამე ებრძოდა მშვიერი, სისხლისაგან დაცლილი ბატი სიკვდილს, ბოლოს ძალა სულმთლად გამოეღია, გაყუჩდა და სიკვდილი ძილივით მოეპარა.

ნოზარ წულეისკირი
მოთხრობები

ცხენი რომ გაქენდება იმხელა კაბინეტში, საგულდაგულოდ გაპრიალებულ გრძელ მაგიდასთან მოსული ვაჟკაცი შალვა შავიძე იჯდა, პაპიროსს მშვიდად აბოლებდა და მალა იყურებოდა, ვერ გაიგებდით ფიქრობდა, თუ თამბაქოს ბოლთან თამაშობდა. მარჯვნივ, ხელის გაწვდენაზე სხვადასხვა ფერის ტელეფონებით სავსე მოზრდილი მაგიდა ედგა, მარცხნივ კი, აგრეთვე ხელის გაწვდენაზე, პატარა პრიალა მაგიდა ერთი ბოთლი ბორჯომითა და ტანწერწეტა მალა-ლი ჭიქით.

კაბინეტი უბრალო, თანამედროვე კაბინეტით, მეორე ოთახში გადიოდა. ეს ოთახი სათათბირო გახლდათ, აქ ერთი გრძელი მაგიდა იდგა, ირგვლივ მაღალსაზურგებიანი სკამებით გარს შემოწყობილი. სულ ეს იყო პატივცემული შალვა შავიძის სამუშაო კაბინეტი. მას არ ჰქონდა მესამე ოთახი სასადილოდ ან სასტუმროდ, არც მაცივარი ჰქონდა, არც მეორე და მესამე კარი. იმ კარიდან გამოდიოდა, რომლიდანაც შედიოდა. სხვებივით ზედმეტს არ მოითხოვდა, კმაყოფილი იყო თავისი ბედით და მთელ დღეს მშვიდად ატარებდა „პატარა კაცის კაბინეტში“ — თავის კაბინეტს ასე ეძახდა.

ერთხელ, კარგად ნასადილევი შალვა შავიძე, როცა თავის კაბინეტში იჯდა, პაპიროსს აბოლებდა და ბოლთან არხინად თამაშობდა, — მრგვალ-მრგვალად გამობოლებული რგოლების რონინს ჰერისკენ უდიდესი ნეტარებით როცა შესცქეროდა, კაბინეტში ერთი გაძვალტყავებულ კაცი შემოვარდა. შალვამ იმ წამს დააჭირა ღილაკს თითი და კარებში შემფოთებული მდივანი ქალი გამოჩნდა.

— რა ვქნა, ბატონო, არ დამიჯერა, ჩემი მეგობარიაო და... თავი იმართლა მდივანმა.

შალვა არ დაიბნა, მაშინვე წამოდგა,

საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა და უდიდესი მოწიწებით შეეგება დაუპატიჟებელ სტუმარს, სკამიც კი მიართვა — დაბრძანდითო. თვითონ თავისი ადგილი დაიკავა, მოსასმენად მოემზადა. ხმას რომ ამოიღებს, ვიცნობო, გაიფიქრა. სტუმარი რატომღაც არ დაჯდა, თანაც მაგიდას შემოუარა და შალვას თავზე საექვოდ დაადგა.

— დაბრძანდით, მეგობარო! — დათაფლულად უთხრა შალვამ „ნეტა ვინ არის, რა უნდა“, შიშის ზარმა დარეკა გონებაში! და... უცნობმა არც აცივა არც აცხელა, ვითომც აქ არაფერიო, ყბაში ისეთი გაუშალა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა. შალვას ბრიყვულად გაეღიმა და წამოდგომა სცადა, მაგრამ იმ კაცმა მეორე ლოყაზე გაართყა. შალვა მაინც არ დაიბნა, ასეთი შეხვედრების დიდი გამოცდილება ჰქონდა და თავი ჩაღუნა, იქნებ მესამეჯერაც გამართყასო. მესამეჯერ უცნობმა არ გაართყა. შალვას იმედი მოეცა.

— დაბრძანდით, მეგობარო, რატომ ცხარობთ, რა მოხდა ასეთი, — უთხრა შალვამ უცნობს და იმ სკამისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც წელან სტუმრისთვის გამოსწია.

— არაფერი არ მოხდა? სულ არაფერი? — შესძახა სტუმარმა და ახლა პირდაპირ შუბლში თხლიშა მუშტი. „ხელი რომ მოვკიდო, გავგლეჯ“ — გაუელვა წამით შალვას, მაგრამ მზაკვარი ფიქრი ხელად მოიშორა და თანამედროვე „განათლებული, ზრდილობიანი“, ხელმძღვანელი აშხანაგების მსგავსად მოქალაქეს სიმშვიდისაკენ მოუწოდა.

— როგორ შეიძლება ასე გაბრაზება, მეგობარო, არა გრცხვენიათ? ხომ იცით, ღილაკს თითი რომ დავაჭირო, დაილუპებით.

— მე დავილუპები? — გაღიხარხარა უცნობმა, — დააჭირეთ ღილაკს თითი,

რატომ არ აჭერთ? დააჭირეთ-მეთქი, თუ შნო გაქვთ, დააჭირეთ! ლაჩარო, მხდალო! — უცნობმა შალვას თმაში სტაცა ხელი და ერთი ბლუჯა თმა ააგლიჯა.

— გასაგებია, გასაგებია, — თქვა შალვამ, ვითომდა მშვიდად, სინამდვილეში კი მწარე ოფლმა დაასხა. — თქვენ გინდათ მე ხელი გაგარტყათ, არა? ეს არ მოხდება.

— აჰ, ასე? მაშინ მე თქვენ საჯაროდ დაგაუთოვებთ! — შესძახა უცნობმა და კარებისაკენ გაემართა. შალვა წამოხტა, ზედ კართან მიუწვრო სტუმარს, ხელები პატარა ბავშვივით დაუჭირა და კარი არ გააღებინა.

— არა, კარს ნუ გააღებთ, გეხვეწებით, გემუდარებით, ეს ზედმეტია. — ვედრებით უთხრა შალვამ. სტუმარმა ისტერიული ყვირილი ატეხა.

— მიშველეთ! მკლავენ!

შალვა დაფრთხა, მაგრამ სტუმარს ხელი არ გაუშვა, ძალით წამოიყვანა და სკამზე დასვა.

— რა მოხდა, შე კაცო, მეც ხომ ადამიანი ვარ, რა დაგიშავებ ასეთი, ნუთუ დანაშაულის გამოსყიდვა არ შემიძლია.

— დაიჩოქეთ და იხოხეთ! — შეჰყვირა კვლავ ისტერიულად სტუმარმა.

— ასე, შე კაცო! — გაუღიმა შალვამ, — თუ გინდა დილაზე ვიხოხებ, ყვირილი და აურზაური რა შეუაშია.

შალვა ოთხზე დაეშვა თუ არა, სტუმარი წამოხტა და ისეთი ჭიტლაყი უთავაზა, შალვამ მწარედ გაუღიმა და უთხრა:

— რატომ მირტყამთ, მეგობარო, თქვენ ხომ მითხარით იხოხეთო, ვხოხავ, მეტი რა ვქნა!

— ბევრს ნუ ლაყბობთ, იხოხეთ! — უბრძანა სტუმარმა და შალვამაც მორჩილად შეასრულა ბრძანება.

— მაგიდის ქვეშ შეძევრით და ძალღივით ჩაცუცქდით! — შალვა თავისი ვრძელი მაგიდის ქვეშ ძალღივით ჩა-

ცუცქდა. სტუმარმა მაგიდასთან შალვას ადგილი დაიკავა.

— სიგარეტები იქვეა, მარცხენა უჯრაში. — მლიქვნელურად გამოსძახა მაგიდის ქვევიდან შალვამ.

— ჩუმად, უზრდელო! — დაუყვირა სტუმარმა, უჯრა გამოაღო, ამერიკული სიგარეტი ამოიღო, შალვასებურად გააბოლა, ჭერისკენ მრგვალ-მრგვალად გაუშვა ბოლი და ყურება დაუწყო, თანაც ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მდივანმა შემოიხედა თუ არა, ელდა ეცა და შეშფოთებულმა კარი სწრაფად მიიხურა.

სტუმარი წამოდგა, მაგიდის ქვეშ შეაფურთხა და კაბინეტიდან გავიდა. შალვა იატაკზე დამხობილიყო, სახე მკლავებში ჩაემაღა და თავის აწევას სიკვდილი ერჩია. როცა სტუმარი კაბინეტიდან გავიდა, სწრაფად წამოდგა, თავის სკამზე დაჯდა და ზარის ღილაკს ახლა მან დააჭირა თითი.

მდივანს სანდო თანამშრომლებისათვის ეთქვა საშინელი ამბავი და მისაღებში მოეყარათ თავი. ზარის ხმაზე მდივანმა კარი შეაღო. მდივანს მოადგილეები შეჰყვენენ, შემდეგ დანარჩენებიც. კაბინეტში უფროსის გასამხნეველად და მხარის დასაპყრად შელაგდნენ.

შალვას მაგიდაზე ჩაერგო თავი და რალაცას წერდა. როცა კაბინეტი თანამშრომლებით გაივსო, გაკვირვებულმა ასწია თავი და იკითხა:

— რა მოხდა, ამხანაგებო? რა იყო?

თანამშრომლები დაიბნენ და მდივან ქალს გაოცებულებმა შეხედეს.

— იცით, ბატონო, შალვა, — გაბედა შეკითხვა პირველმა მოადგილემ — თქვენი კაბინეტიდან ხმაური შემოგვესმა და ხომ არაფერი უჭირსო ვიფიქრეთ.

— მე ხმაური არ გამიგია. — მხრები აიჩეჩა შალვამ, წამოდგა, მიატოვა თავი-

ნოდარ ფულეისკირი
მოთხრობები

სი მაგიდა, კაბინეტში შუა ადგილას დადგა და გარშემოკრებილ თანამშრომლებს ტკბილად უთხრა:

— ჩემს კაბინეტში არაფერი მომზდარა, მეგობრებო, სხვაგანაც არსად

არაფერი ხდება, ყოველშემთხვევაში, მე არაფერი გამიგია... დაწყნარდით, რა? შვიდდით, თქვენს მაგიდებს მიუჭექით და როგორც აქამდე მუშაობდით, ისე იმუშავეთ.

ფ ვ ე უ ლ ე ბ ა

ქალბატონი მიმოზა სტუმრებს გაღიმებული შეხვდა. ქალბატონმა ბუღელბულომ მიმოზას კარებშივე აკოცა, არც პალტო გაუხსნია, არც ქუდი მოუხსნია, არც მოკითხვა უთქვამს, არც არაფერი, საპირფარეშოსკენ ისარივით გაიქრა. ლენტო ტალანში მარტო დარჩა, მაგრამ ეს არ გაკვირვებია, დღეს ბუღელბულოს არც ქმარი ახსოვდა და არც შვილი, მიმოზას საპირფარეშოში თავგზა აუზნია.

— სოგრა არ მოსულა? — მიიძახა მიმოზას ლენტომ.

სოგრა მიმოზას მეუღლეს ერქვა. ნამდვილი სახელი სოკრატე მიმოზამ შეუცვალა, თანამდებობის კაცს, სერიოზულ კაცს სოკრატეს ხომ არ დაგიძახებო? — შეუთოკლა და გაუთანამედროვა ქმარს სახელი.

— დარეკა, მალე მოვალო, — მიუგო ლენტოს სხაპა-სხუპით მიმოზამ. საპირფარეშოში შესვლა მასაც ეჩქარებოდა, აინტერესებდა, როგორ მოუწონებდა ბუღელბულო ამდენი ხნის ნაშრომ-ნაჯაფარს.

ლენტომ პალტოს გულისჯიბიდან საჩუქარი — ასანთის კოლოფისხელა ყუთი ამოიღო, მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას დადო, პალტო გაიხადა, სარკეში ჩაიხედა, გამელოტებული თმა ღერღერად გვერდით გადაილაგა, კოსტუმი გაისწორა, ზურგზე ხელები დაიწყო და საპირფარეშოსაკენ გაემართა. მართალია, საპირფარეშოს ნახვა ბუღელბულოზე ნაკლებად ლენტოს არ აინტერესებდა, მაგრამ ქალივით ხომ არ ამჩაბდებოდა? ზურგზე ხელებდაწყობილი, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდი ნაბიჯე-

ბით უახლოვდებოდა საპირფარეშოს.

ამ სახლში, ბუნებრივია, ყველაფერი ძვირფასი და იშვიათი იყო, მაგრამ საპირფარეშო, რომლის გამოც ჩუმ-ჩუმად ამდენს ლაპარაკობდნენ, გასაკვირი უნდა ყოფილიყო. ასე ვარაუდობდა ლენტო, ასე ვარაუდობდა ბუღელბულო.

— პრელესტ! როგორ დადვადებს! შემოესმა ლენტოს ბუღელბულოს ხმა. ლენტო საპირფარეშოს კართან შეჩერდა. კარი ფრთხილად შეაღო და... გაოგნებული შედგა. ამას კი აღარ მოელოდა; თვალები დახუჭა, შიგ შესვლა ვეღარ გაბედა. საპირფარეშო ზღაპრულ საგანძურს ჰგავდა. როცა ლენტომ საპირფარეშოს კარი შეაღო, იქიდან ოქროსფერი ალი გამოვარდა, მიმოზა და ბუღელბულო კი ამ თვალისმომკრელ, ოქროსფერ ალში ალივლივდნენ. „ნუთუ მართლა ოქროსია“ — გაუელვა თავში ლენტოს და თვალები ნელ-ნელა გაახილა.

— შემოდი, კარი მივხუროთ, დღის სინათლე სილამაზეს უკარგავს, — უთხრა ბუღელბულომ ქმარს, ხელი მოკიდა და შიგ შეიყვანა.

— ყველას ოქროსი ჰგონია, — თავის მართლებას მოჰყვა მიმოზა — სინამდვილეში კი ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლითაა მოპირკეთებული.

ლენტოს გულზე მოეშვა. რატომღაც უცებ დაიჭერა და გაუხარდა, სულ მთლად ოქროსი რომ არ იყო საპირფარეშო.

— ოქროსი არ არის? — გაიკვირვა ბუღელბულომ.

— ჩემს ერთადერთ ბავშვს გეფიცები, ოქროსი არ არის, შენ როგორ და-

გიმალავ. — უთხრა მიმოზამ ბულბულს.

— კი, ასე უნდა ვთქვათ, ასე უნდა ვთქვათ, არ არის ოქროსი, — ბულბულმ კედელს, თითქოს სუნავსო, ისე ჩამოუარა.

ტალანში ზარის წკრიალი გაისმა. მიმოზა სტუმრების შესახვედრად გაემართა. საპირფარეშოში ბულბულს და ლენტო მარტო დარჩნენ.

— წადი, პალტო გაიხადე, სირცხვილია, — უთხრა ლენტომ ცოლს. ბულბულს საპირფარეშოდან გავიდა. „ამდენ ოქროს ვერ იშოვიდა“ — ჩაიბუტბუტა ლენტომ, როცა საპირფარეშოში მარტოკა დარჩა. მიმოზა ახალმოსულ სტუმრებს საპირფარეშოში შემოუძღვა, ბულბულს მათ შემოჰყვა. დები ვეზირიშვილები თავიანთი ქმრებით შემოლაგდნენ საპირფარეშოში. მართალია, დღეს მიმოზა და სოგრა ახალმოსახლეობას ზეიმობდნენ, მაგრამ მთავარი საპირფარეშო იყო. სოგრას ახალი, დიდი დარბაზებიანი ბინა არავის აინტერესებდა. ვეზირიშვილებს დიდი ბინით ვერ გააკვირვებდით; უფროს დას — აქას ორი სართული ჰქონდა გაერთიანებული, რამდენიმე ბინიდან გასასხლა მეზობლები, ზედა და ქვედა სართულები შიდა დახვეული კიბეებით ერთმანეთს გადააბა, გადატიხრა, გადმოტიხრა, მიაშენა, მოაშენა და რამდენოთახიანი ბინა გამოუვიდა კაცმა არ იცის. უმცროს დას — იქას ორსართულიანი საკუთარი სახლი ჰქონდა დიდი ეზოთი და გარაჟით. ვეზირიშვილებს კეთილმოწყობილი ბინებით, აგარაკებით, ავტომანქანებით და სხვა ჩვეულებრივი ქონებით ვერ მოხიბლავდით, ოქროს საპირფარეშომ კი ყველა შეაფიქრინა და სულმოუთქმელად გამოეშურნენ მიმოზასაკენ.

— სკაზა, რაი! — შესძახა აკამ, როგორც კი საპირფარეშოში ფეხი შემოღდა.

— ბაჯალღოა? — აღტაცება ვერ დაშალა იკამ და ხმადაბლა ჰკითხა მიმოზას.

— აჰ, ოქროც არ არის, თქვენს თავი ვეცდვარ, — აწრიალდა მიმოზა ხელოსანი შეგვხვდა კარგი და ოქროს ილუზია შექმნა.

— მშვიდობაში, ბედნიერებაში, — დაიწყო ბულბულმ — სოგრას ჯანმრთელობაში... ქმარი ვარო სოგრამ უნდა დაიტრაბახოს.

აკამ თავის ქმარს ალექსის ნიშნის მოგებით აჰხედა. ბულბულსაც გააპარა თვალი თავისი ქმრისკენ, რომელიც ოქროს კედელს ცოცხალ-მკვდარი აკვროდა და გაცემებისაგან რა ეთქვა, არ იცოდა.

ტალანში კვლავ აწკრიალდა ზარი. მიმოზა კვლავ გავიდა საპირფარეშოდან. მიმოზა გავიდა თუ არა, ბულბულმ მტკიცედ თქვა:

— ეს ოქროა, ხალხო!

— ეჭვი არ მეპარება. — დაუდასტურა იკამ. ლენტომ ბულბულს თვალში გადაუტრიალა — შენ ვინ გკითხავსო.

— ნუ თუ მართლა ოქროა? — აკამ კედელს ლოყა მიადო, — რა სხვანაირი ცივია?! ალბათ ეს ოქროს სიცივეა! მიმოზამ სტუმრები საპირფარეშოში შემოიყვანა. მობრძანდა სოგრას ბავშვების მეგობარი კუჭუ თავისი მეუღლით, ხათუნათი და ქალიშვილით, ინგათი. საპირფარეშოში ათამდე ადამიანმა მოიყარა თავი და კუდის მობრუნება გაჭირდა. კუჭუმ აღტაცება ვერ დაშალა, ზალხი მისწი-მოსწია და მიმოზას კოცნა მოუხდომა.

— ყოჩაღ, მიმოზა, უნდა გაკოცო! ვიცი რომ ეს საპირფარეშო შენი გაკეთებულია, სოგრა ამას ვერ შეძლებდა.

კუჭუ ტანსრული, ღიმილიანი კაცი იყო, მიმოზა ტანმორჩილი ჩაკუპატებული ქალი კორსეტში ჩამწყვდეული ჩუმპით, დიდი ღიმი კოცნისას ორივეს ხელს უშლიდა, ამიტომ მათი ერთმანეთთან მიახლოება გაჭირდა. კუჭუ ქალს ზევიდან გადაეხმო, მიმოზამ კი ქვევიდან

ნოდარ ფულეისკირი
მოთხრობები

შეაგება ტუჩები. რა თქმა უნდა, რაიმე ქენა გრძნობა არც ერთს არ ამოძრავებდა, მაგრამ თავიანთი დიდი მუცლებით როცა ერთმანეთს მიაწვნიენ, კუჭუს მეუღლე აიძრისა.

— მაინც რამდენი დაგიჯდათ? — მოულოდნელად იკითხა იკამ. შეკითხვა იმდენად უხერხული იყო, იკას მეუღლეს ხველება აუვარდა, შერცხვა ამ ხველების და საპირფარეშოდან გაიძურჩა.

— ძვირი დაჯდებოდა, რასაკვირველია, — გამოასწორა ღის შეცდომა აკამ. ჩვენ პორტუგალიური კაფელი დაგვიჯდა ძვირი.

— მაინც, კაცო, რა არის რომ ასე ანათებს? — გაიკვირვა კუჭუმ და კედელს მიაშტერდა.

— თქვენ გგონიათ ოქროს? — მიმოზახს სახეზე ბრიყვული ღიმილი აუკიფდა. — კედელში ნათურებია დატანებული, ხოლო ზედ გადაკრულია ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლის სიფრიფანა ფურცლები.

— არა, რა ვუყოთ მერე, — დაიწყობულბულმომ, — დიდი ამბავი ერთი ოქროს საპირფარეშო! საწყალი სოგრაღლე და ღამე მუშაობს. რა გასაკვირია ერთი ოქროს საპირფარეშო გაეკეთებინა.

— კი მაგრამ რომ არ არის ოქროსი? — გაიოცა მიმოზამ.

— არ არის, მართალია, — უკან დაიხია ბულბულმომ — მაგრამ სოგრას ეკუთვნის ოქროს საპირფარეშო. — მოიქნეულურად გაუღიმა მიმოზას ბულბულმომ.

— ეჰ, ვის რა ეკუთვნის იმაზე თუ ვილაპარაკებთ, შორს წავიყვანს, — ნალვლიანად თქვა მიმოზამ, — მთელს ჩვენს სიცოცხლეში ერთი ეს საპირფარეშო გავიკეთეთ და იმაზეც ამდენი მითქმა-მოთქმა შეიქმნა, ბედი უნდა, ჩემო ბულბულო, ყველაფერს.

— ეს რა არის? — იკითხა აკას მეუღლემ, ალექსიმ — და უნიტაზს დააშტერდა.

— რა იქნება ახლა ეს! რანაირი შეკითხვა იცი — დატუქსა ქმარი აკამ.

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგიძნელდება? — ჰკითხა მიმოზას სეველიანი მეჩვენებით.

— არაფერი, მაგრამ, რა ვიცი, ეს დაწყობილი ქვეყანა აირია და მეშინია...

— საშიში არაფერია, — ჩაერია საუბარში აქამდე გაჩუმებული ლენტო, — სიფრთხილეს კი მაინც თავი არ სტკივა.

— იმიტომაც არ გავაგებინეთ ხალხს, თქვენ, შინაურებს შეგატყობინეთ. სოგრას უნდა ახლობლებმა და მეგობრებმა თავიანთი თვალით ნახონ საპირფარეშო, დარწმუნდნენ, რომ ის ოქროსი არ არის.

— ოქროსი რომ არ არის ეს ცხადია, — დაუდასტურა ალექსიმ, — მაგრამ თუ არ ვცდები მთლად უბრალო თუნუქიც არ უნდა იყოს, — ალექსიმ კედელზე დააკაუნა.

— რა ხუმარა ხარ, ალექსი! — გაიცინა აკამ. სხვას არავის გაუცინია.

— ვილაცა მოვიდა, — თქვა ლენტომ და საპირფარეშოდან თავი გამოჰყო.

— ალბათ სოგრაა, — მიუგო მიმოზამ და იმანაც გამოჰყო თავი საპირფარეშოდან.

სოგრა მართლაც მოსულიყო, გასაღებს ჯიბით დაატარებდა, ზარი არ დაურეკია, ისე შემოვიდა და საპირფარეშოში მყოფთ თავზე დაადგა. ასე იცოდა, როგორც თვითონ ამბობდა „უცებ მოეარდნა უყვარდა“.

— აი, ეს არის, მოგწონთ? — შემოვიდა თუ არა, ჰკითხა სტუმრებს სოგრამ. პასუხს, რაღა თქმა უნდა, აღარ დაელოდა და განაგრძო:

— სად არის, თუ ძმა ხარ აქ ოქროს საპირფარეშო! მტრებმა დამიყარეს ჰმა, ოქროს საპირფარეშო აქვსო, თურმე რამდენი მტერი მყოლია!.. ნახეთ, ძმაო, დაათვალიერეთ, დააკვირდით, რა ოქრო-ვერცხლის პატრონი მე მნახეს, რამ გადარია ეს ხალხი, გასაკვირია, პირდაპირ! ყველაფერს თავი დავანებოთ, სირცხვილი არ არის საპირფარეშოსთვის სადმე „დამიბარონ?“

— აჰ, ღმერთმა დაგიფაროს! — შე-
იცხადა კუჭუმე.

— თუ ასე იყავანა მთელმა ქალაქმა,
დამიბარებენ აბა რას იზამენ! წარმოგი-
დგენიათ ჩვენს დროში ოქროს საპირ-
ფარეშო, კაცო?... როგორ, მე, ახლა, ამ-
დენი არ მესმის!..

— არა, ეს საპირფარეშო ოქროსი
რომ არ არის, ეს ცხადია... რატომ უნ-
და დაგიბარონ? — გაიკვირვა ალექსიმი.

— საპირფარეშო თქვენს მეტს არა-
ვის უნახავს, თქვენ ხომ ხედავთ, რომ
ოქროსი არ არის, საკუთარი თვალების
ხომ გჯერათ?

— მე მჯერა ჩემი თვალების, მაგალი-
თად! — თქვა ბულბულომ.

— მეც მჯერა — თქვა აკამ.

— მეც — ჩაიდუღუნა იკამ.

— ეს საპირფარეშო ოქროსი რომ არ
არის, ეს ცხადია... მაგრამ...

— რა მაგრამ! — ცხვირპირში ეცა
სოგრა ალექსის.

— არა, არაფერი... — დაიბნა ალე-
ქსი — არ არის ოქროსი, რატომ უნდა
იყოს ოქროსი?... — ალექსიმ განრისხე-
ბულ სოგრას თვალი მოარიდა და ლენ-
ტოს შეხედა.

— არ არის, ოქროსი, არა! — დაუ-
დასტურა ლენტომ.

— გავიდეთ ამ დასაწყავიდან! — ჩა-
იდუღუნა უკმაყოფილოდ მიმოზამ, ხე-
დავდა, რომ სტუმრებს მათი არ სჯე-
როდა და წუხდა. — სუფრა გელოდე-
ბათ, არ დასხდებით? — საყვედურის
კილოთი მიმართა ქმარს.

— წავიდეთ, წავიდეთ!

— ბატონებო, ერთი წუთით, თუ შე-
იძლება! — შეაჩერა სტუმრები შაქ-
რომ, იკას მეუღლემ — ეს საპირფარე-
შო ოქროსი არ არის, არა!.. მაგრამ მე
მინტერესებს როგორ უნდა გამოვიყე-
ნოთ იგი?

ქალებმა გაიცინეს.

— რა სასწაული ხარ, შაქრო! —
თქვა ბულბულომ.

— ახლავე.

სოგრამ უნიტაზთან ახლოს, ოქროს-
ფერ იატაკზე ღილს დააჭირა ფეხის

წვერი და წყალი ჩხრიალით წამო-
ვიდა. უნიტაზში ოქროსფერი წვერი
ისე აჩუხჩუხდა, ყველას მოუნდა შიგ
ჩახედვა, როცა ხორუმის მოცეკვავე-
ბევით წელში მოხრილები ჩააჩერდნენ
უნიტაზს, მიმოზამ მათ დასამშვიდებ-
ლად თქვა:

— გარშემო ყველაფერი ოქროსფე-
რია და. ამიტომ, წყალიც ოქროსფერი
ჩანს, ეს ოხერი!..

— რა სილამაზეა, ღმერთო ჩემო, ასე-
თი არაფერი მინახავს ქვეყანაზე. —
შესძახა იკამ.

— შეხედეთ, ფირუზისფერი გადაყ-
რავს! — თქვა კუჭუმე ქალიშვილმა ინ-
გამ.

— განა მარტო ფირუზისფერი, წყა-
ლი ზურმუხტისფერადაც ბრწყინავს. —
შეუსწორა ქალიშვილს დედამისმა, ქა-
ლბატონმა ხათუნამ.

— ჰო, მართალი ხარ, ხათუნი, აქ
ფერების გამმა! — მრავალმნიშვნელო-
ვნად თქვა ბულბულომ.

— გვეყოფა, წავიდეთ! — თქვა სო-
გრამ და საპირფარეშოდან გამოვიდა.
სოგრას შაქრო მიჰყვა, შაქროს ალექსი
და ლენტო, ლენტოს კუჭუ. ქალებს უჭ-
ირდათ საპირფარეშოს გამოთხოვებო-
დნენ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მათაც
დატოვეს და ხმადაბალი რუსულ-ქარ-
თული ბაასით გაემართნენ დიდი დარ-
ბაზისაკენ, რომელიც უზარმაზარი ჭა-
ლით ისე იყო განათებული, საკონცერ-
ტო დარბაზი გეგონებოდათ. გაოგნე-
ბულები ჩანდნენ, შეფიქრიანებულები.

— ახლა იწყება დიდი მუსიკაობა! —
არტისტულად შესძახა შაქრომ და კუ-
ჭუმე ღილ ფაშვს თავისი შედარებით
მომცრო ღიბი მოაბჯინა. კუჭუმე შაქროს
მუცელი მოუსინჯა, თითქმის წონისო
და უთხრა:

— ყოჩაღ, რამდენი ჩადის?

— გააჩნია, შაქარზე დაყენებული
ხუთამდე, ჭაჭაზე მეტი. — შაქრომ გა-
დაიხარხარა, იფიქრა ფსონს ხუმრობ-

ნოდარ ფულეისაირი
მოთხრობები

ით გამოვაცოცხლებო, მაგრამ დიმილიც კი არ გაჰყარებია არავის სახეზე, დანა პირს არ უხსნიდათ. გრძელ მაგიდას უხალისოდ შემოუსხდნენ.

— თამადა, რა თქმა უნდა, მე ვარ, —
— გამოაცხადა სოგრამ, — მოადგილე კუჭუ, მერიქიფეები ლენტო, ალექსი და შაქრო.

— ყოჩაღ, კარგად გაინაწილეთ თანამდებობები! — იხუმრა კვლავ შაქრომ.

— არ არის ჩემი საშველი, აქაც უნდა ვემსახურო. — თქვა ვითომდა სევდიანად ალექსიმ.

— სხვათაშორის სუფრაზეც ის არის უფროსი, ვინც ცხოვრებაში უფროსია, ეს ბუნების კანონია. — უთხრა ქმარს აკამ.

— ხედავთ, ამ საპირფარეშომ ცოლი გამიორგულა, — თავის ხუმრობაზე თვითონ გაიცინა ალექსიმ.

— ჯერ სადა ხარ, ეგ საპირფარეშო ნახე რას იზამს. — უთხრა კუჭუმ ალექსის.

კუჭუ გასაოცარი სისწრაფით ჰამდა, თითქმის უკან მოსდევდა ვინმე, ღორივით ნაქაშურები გადმოსდიოდა ტუჩებიდან.

ლენტო გაჩუმებული იჯდა. მისი გონება დაძაბულად მუშაობდა და სალაზღანდაროდ არ ეცალა, შაქროს და ალექსის გუნებაში „ლაზღანდარებს“ ეძახდა და მათ ხუმრობაზე სულ არ ეციინებოდა. მისი გონება საპირფარეშოს დასტრიალებდა თავს და იმ ერთ სიტყვას, რომელიც სოგრას წამოცდა. ეს სიტყვა „დაბარება“ იყო, ტყვიასავით ეშინოდა მისი. როგორც კი სუფრაზე სიჩუმე ჩამოწვა, ლენტო სოგრასკენ გადაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა:

— მართლა დავიბარეს სადმე?

— არა, ძმაო, არსად დაეუბარებოვართ, ღმერთმა დავგიფაროს! — თქვა სოგრამ, წამოდგა, ხელში ყანწი აიღო და დაიწყო.

— ეს გაუმარჯოს ამ ჰერს, — სოგრამ ყანწი ჰერს მიუშვირა, — ყოფი-

ლიყოს იგი ერთი საწყალი ოჯახის თილი მფარველი.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

სოგრამ ყანწი სულმოუთქმელად დალია და კუჭუს ესროლა.

— მე მინანქარს ვარჩევდი, ოქროს წყალში ამოვლებულ ფურცლებს, — გადაულაპარაკა აკამ ბუღბუღოს.

— მე მოზაიკით უნდა გავაწყო აბაზანა, მოზაიკა გადასარევია, — უპასუხა ბუღბუღომ.

— ნუთუ მართლა ოქროსია? — უჩურჩულა ლენტომ თავის ცოლს.

— მე ეჭვი არ მეპარება, საპირფარეშო ოქროსია. — მტკიცედ უთხრა ბუღბუღომ.

— ამდენ ოქროს სოგრა ვერ იშოვიდა, — კიდევ უფრო ხმადაბლა უთხრა ლენტომ ცოლს.

— „ვერ იშოვიდა“, საკუთარი თვალით ხომ ნახე, რომ ოქროსია და მაინც „ვერ იშოვიდას“ გაიძახი.

— რაც ვნახე, ის ოქრო არ არის. — ახლა ლენტომ უთხრა მტკიცედ, თუმცა თავისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი ეპარებოდა.

— საქართველო ძველთაგანვე ოქროს ქვეყანა ყოფილა თურმე, ძველი კოლხები მთვარიან ღამით რიონში ცხვრის ტყავს ჩაუშვებდნენ და დილით ოქროთი დაწინწკლული ამოჰქონდათ, — სადღეგრძელოს დიდი მონდომებით წარმოთქვამდა კუჭუ. — თურმე რაღაცა ოქროს საწმისიც გვექონია, რომელიც სადღაც გაუტაცნიათ.

ლენტო კუჭუს შესცქეროდა, მაგრამ არ უსმენდა, დაძაბული ფიქრობდა იმაზე, საპირფარეშო ოქროსი იყო თუ არა, თან მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როცა ბახუსი თავისას იზამდა და სუფრა აირეოდა, საპირფარეშოში გაპარვას აპირებდა, მან იცოდა, რომ აქ ახლა, ყველას საპირფარეშოსაკენ ეჭირა თვალი, ამიტომ, პირველი ვერ შევიდოდა, ამას ყველა შეამჩნევდა, მეორედ ან მესამედ უნდა შესულიყო.

— როგორ არის თქვენი საქმე? —

ჰკითხა ალექსიმ მოულოდნელად და ფიქრი შეაწყვეტინა.

— გმადლობთ, არა უშავს... — მიუგო ლენტომ.

— ეჰ, ახლა ფული პურშია, — თანაგრძნობით უთხრა ალექსიმ. ლენტო დაიბნა, ალექსის გაკვირვებულმა მოხელა და ვაუღიმა. ლენტოს არ ესაიამოვნა ალექსის პაროლივით ნათქვამი სიტყვები, „იქნება მართლა პაროლი მითხრა, იქნება ახალია რამე და მე ჩამოვრჩი“, აწრიალდა უცებ ლენტო.

— თქვენ საქმეს მახათაძე გაძლევთ? — ისე მოულოდნელად და პაროლივით ჰკითხა ლენტომ ალექსის, როგორც წელან ალექსიმ ჰკითხა.

— ვინ არის მახათაძე? — იკითხა ალექსიმ და ლენტომ ამოისუნთქა. „არაფერი შეცვლილა, მომეჩვენა“.

ცარიელი ყანწი ალექსის ესროლეს და საუბარი შეაწყვეტინეს.

ლენტო თავის მეგობრებში ყოველთვის გრძნობდა უპირატესობას, ახალგაზრდები ლენტოს ჯერ ვერ გაუტოლდებოდნენ, მაგრამ ამ საპირფარეშომ დააბნია, ამ საპირფარეშომ აურია გონება. ლენტომ მაგიდაზე ქაღალდის ხელსახოცი მოძებნა, გულისჯიბიდან ფანქარი ამოიღო და ჩუმად, თავისთვის ანგარიშს მოჰყვა.

ალექსიმ ყანწი დალია თუ არა, შაქროსთან გადავიდა ალავერდს, მაგრამ შაქრო მაგიდასთან არ იჯდა, მისი სკამი ცარიელი იყო.

— სად წავიდა? — ჰკითხა იკას ალექსიმ.

— ახლავე მოვა. — გაიღიმა იკამ.

ლენტომ მათ საუბარს ყური მოკრა, მაშინვე მიანება წერას თავი და საპირფარეშოსკენ გაიხედა. წამით მაგიდასთან დუმილი ჩამოვარდა. მოხდა ის, რაც ლენტომ წინასწარ ივარაუდა. სად უნდა ყოფილიყო შაქრო? ყველამ საპირფარეშოსკენ გაიხედა. შაქრო მართლაც იქ იყო. ქალებს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— რა მოხდა, კაცი საპირფარეშოში შევიდა! — გაიკვირვა კუჭუმ და წამო-

დგა. თამადას ანიშნა, ახალი სადღეგრიძელო ვთქვათო.

— ვინ თქვა რამე მოხდაო, რანაირი ხარ, კუჭუ, — გაიცინა ბუღბუღლო.

— ეს გაუმარჯოს სიმართლეს და პატიოსნებას, — დაიწყო სოგრამ, — პატიოსანი კაცი სანთლით საქმეობია. ძმა ძმას არ ინდობს, მეგობარი მეგობარს. ეს ოჯახი კი, — სოგრამ თითი ჰქერს დაუმივნა, — ტრადიციულად პატიოსნების მქადაგებელია, მამაჩემი პატიოსანი მშრომელი კაცი იყო, ბაბუაჩემი სულ მთლად საწყალი, პატიოსანი. მე ვინა ვარ და რა ვარ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ამიტომ მინდა, ამ ჰერქვეშ, ისე როგორც მამაჩემი იტყოდა, სიმართლისა და პატიოსნების სადღეგრძელო ავიღო.

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს! — თქვა კუჭუმ და ცარიელი ყანწის მისაღებად მოემზადა. სოგრამ ყანწი მოიყუდა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ იკა ჰამდა ნაზად ხაჰაჰურს. დანარჩენები ყანწის ჩამოვლას ელოდებოდნენ. სიჩუმემ უნებლიედ ყურადღება საპირფარეშოსკენ გადაიტანა. შაქროს გამოჩენას ელოდებოდნენ. სოგრამ ცარიელი ყანწი წესისამებრ კუჭუს გადაულოცა და ამ დროს დარბაზში ჩუმად შემოვიდა შაქრო. უცებ ტაშმა იგრიალა, — ქალებმა დაუკრეს ტაში. ქალებს მამაკაცებიც აჰყენენ, გვიან მიხვდნენ ტაშის აზრს. შაქრო დაიბნა. იგი საპირფარეშოში იმიტომ არ შესულა, რისთვისაც საერთოდ შედიან. მას, როგორც ყველა აქ დამსწრე სტუმარს ერთი სული ჰქონდა მარტოკა შესულიყო საპირფარეშოში, კარგად დაკვირვებოდა, გაესინჯა მართლა ოქროსი იყო თუ არა. მასპინძელიცა და სტუმარიც ყველა მიხვდა, შაქრო საპირფარეშოში რისთვისაც შევიდა, მაგრამ ეს არ შეიმჩნიეს, შაქროს ტაში სულ სხვა აზრით დაუკრეს, — ვითომ საპირფარეშოს პირველი სტუმარი ხარო. შაქრომაც არ

ნოდარ ფშელისკირი
მოთხრობები

დააყოვნა, იმ წამს „გაიგო“ ეს უხერხულ-
ლი ზუმრობა, მეგობრებს მხარი აუბა,
თვითონაც შემოჰკრა ტაში, შემდეგ ტა-
ში ტუშში გადაიყვანა, ხელები გაშალა
და „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდას“ მე-
ლოდიაზე „განდაგანა“ ჩამოუარა. ისე
მოულოდნელად, მოხდენილად და ლა-
მაზად გადაზარდა ყალბი ზუმრობა ნამ-
დვილ ცეკვა-თამაშში, სუფრასთან
მსხდომნი სიცილით დაწყენენ. შაქრომ
საცეკვაოდ ბუღბუღო გაიწვია. მოქე-
იფეები წამოიშალნენ და შაქროსა და
ბუღბუღლოს გარშემო წრე შეკრეს. არე-
ულობით აკამ ისარგებლა, საპირფა-
რეშოში ახლა ის შევარდა. აქას გაპარ-
ვა არავის გაუგია. მხოლოდ ლენტომ გა-
აყოლა თვალს. მოცეკვავეები უცეკა და-
ილაღნენ, სხვამ არავინ ისურვა ცეკვა.
სოგრამ სტუმრები მაგიდასთან მიიწვია.

— ერთიც დავლიოთ და ყველა აცე-
კდება, — უთხრა კუჭუმ სოგრას და
ყანწი შეუესო.

— ამ ყანწით მე ვსვამ მშობლების
სადღეგრძელოს, — გაუმარჯოს ჩვენს
გამჩენებს, ჩვენს შემქმნელებს, ცოცხ-
ლებს დღეგრძელობა, გარდაცვლილებს
სამარადისო ხსოვნა! — სოგრამ მშობ-
ლების სადღეგრძელო მოკლედ მოჭრა.

— ამ მაგიდასთან ჩემზე მდიდარი
არავინ ზის, — ამაყად თქვა ლენტომ
და ცოლს ქალაღდის ხელსახოცი წინ
დაუდო. ხელსახოცი რამდენიმე სვეტად
იყო გაყოფილი, სვეტის თავში ეწერა
ოჯახის თავკაცის სახელი, ქვევით კი
გამოანგარიშებული იყო მისი უძრავ-
მოძრავი ქონება.

— „სოგრა“, „კუჭუ“, „ალექსი“, „შა-
ქრო“, „ლენტო“ ჩუმიდ გადაავლო თვა-
ლი ბუღბუღლომ ქალაღდის ნაგლეჯს.
შემდეგ თითოეულ სვეტს ქვევით ჩაჰ-
ყვა.

— ოქროს საპირფარეშოს ქონებად
არ თვლი, არა? — ბუღბუღლომ ქმარს
დამციანვად შეხედა.

— არ თვლი.

— რატომ?

— არ არის ოქროსი და იმიტომ.

— უჰ, შენ გაგისკდეს მიწა, რა ლო-

ყოყინა შენა ხარ! — აფეთქდა
ბუღბუღლო.

— ჩუმიდ, რა გაყვირებს, ქალო!

— შენი სიკვდილი მაყვირებს და შე-
ნი თვალების დავსება! ვერა ხელავ რომ
ოქროსია!

— ჰო, კარგი, კარგი! — ჩაიღუღუნა
ლენტომ და გაჩუმდა. კუჭუ ქალებს
ღვინოს აძალებდა, შაქრო სადღეგრძე-
ლოს ამბობდა, მაგრამ არავინ უსმენდა,
ღვინო უკვე ქალებსაც მოკიდებოდათ
და ხმამაღლა ტკარცალებდნენ. „თუ ეს
საპირფარეშო მართლა ოქროსია, მა-
შინ...“ განაგრძობდა ანგარიშს ლენტო.
მაშინ... ლენტოს სათვალავი აერია... მა-
შინ... ლენტოს თავბრუ დაესხა. თავი
მიანება ანგარიშს, ხელსახოცი ნაკუწებ-
ად აქცია და საპირფარეშოსაკენ გაიხე-
და. ახლა კი ჩემი ჯერია, გავიპარებო.
გაიფიქრა, მაგრამ ალექსი ვერ იბოვა —
„დამასწრო“ ლენტომ ნაღვლიანად გა-
დახედა სუფრის წვერებს, ჩემი ჯერი
ბოლოსდაბოლოს დადგება თუ არაო.

— ლენტო, ალავერდს შენთან არიან,
დაუძახა ფიქრებში წასულ ლენტოს სო-
გრამ. შაქროს ცარიელი ყანწი ცალი
ხელით ლენტოსკენ გაეშვირა, მეორე
ხელით კი პირში წიწაკიან ხორცს იტე-
ნიდა. ლენტომ შაქროს ყანწი ჩამოართ-
ვა, ფეხზე წამოიდგა. აღარც კი ახსოვდა
ვის სადღეგრძელოს სვამდნენ, „გაუშა-
რჯოს სადღეგრძელოსო“ ჩაიღუღუნა.
და უგემურად გამოცალა ყანწი. არ უნ-
დოდა დალევა. ცოლმა ხასიათი გაუფუ-
ჭა.

სოგრამ ორი ყანწი ერთად მოითხო-
ვა.

— ეს უკვე ნამეტანია, — ლენტომ
ამღვრელი თვალებით შეხედა თამა-
დას.

— ახლა იწყება ნამდვილი ქეიფი! —
თქვა კუჭუმ და წამოიდგა.

სოგრამ დედამისისშვილების სადღე-
გრძელო თქვა.

— თუ არ გინდა, არ დალიო. — უჩუ-
რჩულა ბუღბუღლომ ლენტოს.

— როდის გითხარი არ მინდა-შეთქი.
— ლენტომ ცოლს შეუბღვირა.



— ვიმღეროთ ახლა, სულ ღვინო ხომ არ უნდა ვსვათ. — თქვა იკამ და სიმღერა წამოიწყო. იკას აკა აპყუა, აკას სოგრა, ყანწი ახალი დაღეული ჰქონდა და სიმღერა პირდაპირ მისწრება იყო. თამადას სიმღერალე შეეცყო. სუფრა ახმაურდა, ზოგი მღეროდა, ზოგს სადღეგრძელო არ დაემთავრებინა და მაცალეთო გაიძახოდა.

— რა მაგარი ღვინოა, როგორ დაგეცოფა, — გადაულაპარაკა ბულბულომ აკას. ბულბულომ სიმღერა არ იცოდა და მომღერლებს თავისი გაუთავებელი საუბრით ხელს უშლიდა.

— ვის უნდა ერქვას ბულბულო და ვის ჰქვია, — თქვა აკამ და ბულბულოს გაუღიმა, — არ გეწყინოსო.

— აბა ბანი, ჯგირი ბანი! — შესძახა უცებ კუჭუმ და დარბაისლური „ზამთაროდან“ „ოტლარჩობაზე“ გადახტა.

„ახლა კი წავედი“, — ჩაიდუღუნა ლენტომ და წამოდგა, საპირფარეშოსაკენ გაემართა, სად იყო და სად არა, თითქოს იატაკიდან ამოძვრავო, ხათუნამ კუჭუს ცოლმა შეასწრო. ლენტო ისევ დაუბრუნდა მაგიდას.

სოგრამ ამ ტემპით სმას ვერ გავუძლებო, იფიქრა და პატარა ჭინჭილით აიღო ქალების სადღეგრძელო. ჭინჭილი ისეთი ლამაზი იყო, ისეთი რაყარაკით ისმებოდა ღვინო, ქალებმაც დიდი სიამოვნებით დალიეს სამადლობელი.

— ინგა! — უცებ აყვირდა კუჭუ. იგი რატომღაც ფეხზე იდგა, თვალები დაეხუჭა და ხმადაბლა, თავისთვის ღიღინებდა.

— ინგა! — კვლავ იყვირა კუჭუმ. ინგა გვერდით ედგა, მაგრამ ვერ ხედავდა, თვალებდახუჭული რას დაინახავდა?

— აგერ ვარ, მამა, რა იყო? — კუჭუმ თვალები გაახილა, ქალიშვილს შეხედა, — შეამოწმა მართლა აქ იყო თუ არა. შემდეგ ენის ბორძიკით უთხრა:

— აღანდალი დამიკარი.

ინგა როიალს მიუჯდა. ქალაქურმა პანგებმა მთლად გადარია მთვრალეები. კუჭუ საცეკვაოდ დათვით გაბაჯბაჯ-

და. შაქრო რატომღაც მაგიდის ქვეშ შემოვარდა და იქ ჩაცუცქელმა მოხსნა ბუქნაობა.

ლენტო საპირფარეშოსთან ტრიალებდა, კიდევ ვინმემ არ შემასწროსო.

სოგრამ ხანჯლურის ცეკვა დანებითა და ჩანგლებით ისურვა. ინგას დავკრას წარა-მარა აწყვეტინებდა, კუჭუს კინტურის ცეკვა უნდოდა, სოგრას ხანჯლურის, შაქრო რუსულ ცეკვას მოითხოვდა. მარტო ალექსი და ქალები ისხდნენ სუფრასთან. ალექსი მიმოზას და მოსამსახურე ქალებს ღვინოს აძალებდა, თქვენც უნდა დათვრეთო.

როგორც იქნა გამოვიდა ხათუნა, ლენტო საპირფარეშოსაკენ გაიძურწა; თან ერიდებოდა, ნამეტანი აჩქარება არ შემამჩნიონო, ცალი თვალი მოცეკვავებისაკენ ექირა, ცალი თვალი სუფრასთან მსხდომებისაკენ, თანაც მთვრალი იყო და თავს კონტროლს ვერ უწყევდა. უკან-უკან იხედებოდა და სასაცილოდ მიხუხუხებდა.

საპირფარეშოში შევიდა თუ არა, კარები შიგნიდან მაგრად ჩაეკეტა. ამოი-სუნთქა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გულმოდგინედ შეუდგა საპირფარეშოს დათვალიერებას. აფათურა ხელე-ბი კედელზე, იატაკზე, ხელისაბანიც დიდხანს ათვალიერა, ფეხი იმ დილსაც დააქირა, სოგრამ რომ დააქირა. ყოველი კუთხე, ყოველი კუნძული გოჯ-გოჯობით გადაჩხრიკა, ეწვალა, დიდხანს ეწვალა, იქნება როგორმე სადმე ფრჩხილისოდენა „ოქრო“ ავატყავო, მაგრამ ვერ შეძლო. „ოქროს ფურცლები კედ-ლებზე, იატაკზე, უნიტაზზე, ბიდეზე, ხელსაბანზე, ონკანზეც კი ისე მიეკრათ, მიდუღებული გეგონებოდათ.

ბოლოს ლენტო თავდახურულ უნიტაზს დააჯდა და ღრმად ჩაფიქრდა. სა-ნუგეშო მაინცდამაინც ვერაფერი მოი-ფიქრა, წამოდგა, ხელები გადაიბანა, გა-აღო საპირფარეშო და ის იყო, უნდა გა-

ნოდარ წულუშისძე
მოთხრობები



სულიყო, რომ ერთგან, იქ სადაც კარის წირთხლი, ზღურბლს ესახუნება, ოქროს ფურცელი გამოწეული ეჩვენა. ჯერ ფრჩხილით მოსინჯა, შემდეგ ჯიბეში ინგლისური გასაღები ეგულებოდა და იმ გასაღებით კარგა ხანს უჩხივინა, მართლაც ფრჩხილისოდენა ოქრო აატყავა. აატყავა თუ არა, მაშინვე პიროში იტაცა და კბილი დააჭირა.

ლენტო ოქროს გამოცნობის ოსტატი გახლდათ, ოღონდ კბილი დაედგა და იმ წამს გეტყოდით ოქრო იყო თუ ბაჯალლო, ოქროცუთრეილი თუ ოქრონარევი...

მოულოდნელად მოხდა ის. რასაც იმ საღამოს არავინ მოელოდა, როცა ლენტომ კარის წირთხლს ფრჩხილისოდენა „ოქრო“ ააგლიჯა, ერთი კი გაიფიქრა კარი უნდა ჩაკეტვო, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიმათლის გაგების სურვილი, იმდენად სწრაფად მუშაობდა ლენტოს გონება, დაავიწყდა ის, რაც მთავარი იყო — კარის ჩაკეტვა. ამ დროს კი საპირფარეშოსაკენ მობორობად მთვრალი კუჭუ. კაცმა არ იცის კუჭუს რა უნდოდა, მართლა საპირფარეშო უნდოდა, თუ ისიც ოქროს ეშხით მოზანდალბდა. ასე იყო, თუ ისე, კუჭუმ საპირფარეშოს კარი მაშინ შეაღო, როცა ლენტომ ფრჩხილისოდენა ოქროს კბილი დაადგა. თითქოს ოქროს ქურდობაში დაიჭირესო, ლენტოს ელდა ეცა.

ელდა ეცა და... საბედისწერო გამოდგა ეს ელდა. ფრჩხილისოდენა ოქრო სასულეში გადაცდა.

— ოჰ, ლენტოსთანა ვარ ალავერდს ოქროს საპირფარეშოში! — შესძახა მთვრალმა კუჭუმ, მაგრამ ამ დროს ლენტომ საზარლად დაიხრიალა, გადმოკარკლული თვალებით და ხელების აქნევ-დაქნევით კუჭუს შველა თხოვა. კუჭუმ თვალები მოიფშვინტა, მაგრამ გვიანდა იყო, ლენტო სულ მთლად გალურჯდა, ერთი ორჯერ კიდეც დაიხრიალა, რატომღაც ხელსაბანის ავზში თავი ჩაჰყო და ჩაიკეცა, ჩაიკეცა და ოქროს-

ფერ იტაცზე გაიშლართა. კუჭუმ მთლა კვდავან მივარდა და წამოყენება მოუწდომა.

— არ გრცხენია, ბიჭო! რა დავლიეთ ამდენი, დადექი ფეხზე!

კუჭუს ლენტო მთვრალი ეგონა და გაუწყრა.

— ბულბულო, მიშველე, შენი ქმარი მიიღო უფალმა! — გამოსძახა კუჭუმ ბულბულოს, რადგან ვერაფრით ვერ დააყენა ფეხზე ლენტო.

საპირფარეშოში პირველი მიმოზა შემოვარდა.

— არიქა წყალი! — შეჰკივლა ქალმა და მთვრალ კუჭუს მომაკვდავი ხელიდან გამოგლიჯა.

მიმოზას შეკივლებამ ყველა ფეხზე დააყენა.

— რა ამბავია, რა მოხდა! — შემოცვივდნენ საპირფარეშოში მთვრალები.

— დაურეკეთ სასწრაფოს, ლენტო ცუდადაა! — შეჰყვირა მიმოზამ და გალურჯებულ ლენტოს წყალი შეასხურა.

— ლენტო? — ბულბულომ ხალხისწი-მოსწია და იტაცზე გაშლართულ ქმარს გადაემხო. ხელად საკინძე შეუხსნა, თავი აუწია, შეანჯღრია, „ლენტო, ლენტო“ — სასოწარკვეთილმა ჩასძახა, ნერვიულობამ აიტანა და კივილი მორთო. ქალებმა ბულბულოს პირზე მიადარეს ხელი და საპირფარეშოდან გაიყვანეს.

— ნუ გეშინიათ, ღვინის ბრალია, საშიში არაფერია! — შაქრომ პანიკით შეპყრობილი თანამესუფრეების დაწყნარება სცადა.

ინგამ სასწრაფოს, როგორც იქნა, დაურეკა.

— გამოვიყვანოთ საპირფარეშოდან! — აწრიალდა სოგრა, თავქაჯშეყრილი აქეთ ეცა, იქით ეცა. ისევ მთვრალმა შაქრომ იყოჩაღა, მომაკვდავს პირველი დახმარება აღმოუჩინა, ხელები და ფეხები აუმოძრავა, შემდეგ ზეწრები ცივი წყლით დაასველა და შიგ გაახვიო.



ცივი საფენები ქალებს მოეწონათ, ლენტოს გალურჯებას სიმთვრალეს აბრალეზდნენ.

— გამოიყვანოთ საპირფარეშოდან, საპირფარეშოში არ მოგვიკვდეს კაცი, თავი არ მოგვეჭრას! — უჩურჩულა შაქროს სოგრამ. შაქროს ჭკუაში დაუჯდა მასპინძლის რჩევა.

ლენტო საპირფარეშოდან გამოიყვანეს და ტახტზე დააწვინეს, დააწვინეს თუ არა, სასწრაფოც მოვიდა. ექიმს ერთი ექთანის მოჰყვებოდა ჩანთა-აფთიაქით ხელში. ექთანმა ხელად გახსნა ის ჩანთა, საექიმო ხელსაწყოები ამოალაგა და თვალისდახამხამებაში გაუკეთა

გულის ნემსი. ექიმმა ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა, შემდეგ გულზე დაადო ყური, ექთანს რაღაც უჩურჩულა ყურში, ბოლოს უსიტყვოდ გადახედა მთვრალეებს.

ერთ ოთახში ლენტო ესვენა, მეორეში კი ბუღბუღო კიოდა. დარბაზის შუაგულში მიტოვებულ სუფრას უზარმაზარი ქალი დაჰკაშკაშებდა.

ლენტოს თავზე ადგნენ მთვრალეები. როგორც ნახირი დასცქერის ყელგამოჭრილ პირუტყვს, იმდაგვარი შიშითა და გაკვირვებით უყურებდნენ ლენტოს, ექიმს, ექთანს, ერთმანეთს და ხმის ამოდებას ვერავინ ბედავდა.



დოქუმენტური პრეზენტი

სულიყო გოგია

დაქანებული ზვავი

შენაშრი მოხევა

ავტობუსიდან ჩამოვხტი. ზურგჩანთა შევის-
წორე და თვალი გარემოს მოვაველე.

მზიანი ღარი იდგა.

შავ-თეთრი ფერით აჰრელებულ ხეობას თოვ-
ლიანი მთები შემოჭარვოდა.

პირდაპირ მოჩანდა სოფელი არშა.

ფეხით გავუყავი.

პირველად ვიყავი ამ ადგილებში. ყველაფე-
რი მაოცებდა, ფიქალი ქვით ნაშენი სახლებიც
და ასე ახლოს ასვეტილი თოვლიანი მწვერვა-
ლებიც.

ისე გავცდი სოფელს, ვერც კი გავიგე.

მანქანის გუგუნი შემომესმა. უკან არ მომი-
ხედავს, სიმაართლე გითხრათ არც მაინტერესებ-
და — ფეხით მქონდა გადაწყვეტილი სოფელ
ართხომლდე ასვლა.

მანქანა ჩემს გვერდით გაჩერდა.

— საით მიდიხარ, ბიჭვ!

კაბინიდან გაუპარსავი სახის, ჯმუხი მამაკაცი
შემომცქეროდა.

— არც საით! — მოვუქციე მისებურად და
გამეცინა. მძღოლმა ჩაიცინა.

— ართხმოს მივდივარ! — ვუთხარი ბოლოს
და დავეშატე — ზომ ვერ მეტყვიით, რომელ
მხარესაა ეს სოფელი?

— შამაყექ! მე კარკუჩას მივდივარ, ართხმოს
წყალ გავივლი და გზას გასწავლი.

მანქანას წინიდან შემოგუჟარე და კაბინაში
ავხტი.

— გამარჯობა შენი! — ახლა მომაგონდა მი-
სალმება.

— ლმერთმა გავიმარჯოს! — მიპასუხა მძღოლ-
მა და მანქანა ხტუნვა-ხტუნვით დაძრა ადგილი-
დან.

მცირე ხანს ხმა არ ამოგვილია.

სიჩუმე ისევ მძღოლმა დაარღვია.

— საით მოსულხარ!

— თბილისიდან!

— ართხმოს რაისთვის მიდიხარ? იქ არც ვინ
არ ცხოვრობს, მხოლოდ ერთი ქალია, მზექალა
წიკლაური. ნათესავ ზომ არა ხარ იმისი!

უარის ნიშნავდ თავი გავაქნიე.

— საქმე მაქვს!.. სოფელი მინდა დავათვა-
ლიერო.

მძღოლმა ცერად გადმოხედა.

— ქალაქ მაგწყინდა და გასართობად ჩამა-
ვედი?!

— არა, სოფელზე უნდა დავწერო, მაინტე-
რესებს რატომ მიატოვეს.

მძღოლმა ჩაახველა.

იყუჩა.

— რაი გიჭირსთ. ჩამახვალთ, დაწერათ, მერე
წაიკითხათ და... მაგრამ ამ წერით სოფელს
არც რაი არ ეშველება!

გზის დარჩენილი მანძილი ხმის ამოუღებ-
ლივ გავიარეთ.

ცულ გუნებაზე დამაყენა მძღოლის სიტყვებ-
მა. კაბინიდან თავი გამოეყავი და ისევ მთებს
შევაველე მზერა.

მანქანა ხილთან გაჩერდა.

მოხვევმ კარი გააღო და ძირს გადმოვიდა.

მეც ჩამოვხტი.

— ამ ბილიკს გაჰყევი და იმ მთის ძირას დაგ-
ხედება სოფელი ართხმოს. ჭალისაკენ იარე, მთას
არ შაჰყევი, თოვლიანია და გამაჰქანდები!

მძღოლმა გადაეუხადე და ხელი ჯიბისაკენ
წავიღე.

მოხვევ გაოცებული მომაჩერდა.

„ფულს არ აიღებს, შევრცხვები!“ — გავი-
ფიქრე და უხერხულობის დასაფარად სიგარე-
ტის კოლოფი ამოვიღე.

— მიირთვით! — გავუწოდე და თან თვალებ-
ში შევხედე, ზომ არას მიხვდა-მეთქი.

ჩაიცინა.

— არა ვწევ, რაისთვის წუხდები!
სიგარეტი გავაბოლე.

— კიდეც მაღლობა, მეგობარო! კარგად იყავით!

— მშვიდობით გველოს!

ლამემშვიდობა. კაბინაში შეხტა და ძრავა აათუხტუხა.

შემოგზრუნდი და დაღმართზე დავეშვი.

— ბიჭავ! — მომესმა ზურგიდან.

შევიჩერდი.

მძლოს თავი გამოეყო გარეთ და ეშმაკური ღიმღილით შემომიკეცროდა.

სტუმარი ღმრთისა!

მოხვევს არ დავუჯერე და მთის ფერდობზე დათოვლილ ბილიც შევუღდექი. ასე უფრო მაკლ მეჩვენა გზა.

სანამ გავიყავი, რამდენჯერმე მაინც მომიხდა ტანსაცმლიდან თოვლის ჩამოებრტყვა.

პატარა გორის თავზე, რომელიც ართხმის წყალს გადმოჰყურებდა, ქვის ჯვარი დავინახე. იქვე გათლილი ლოდები ეყარა, ერთ ღრთს კედლის მივალეობას რომ ასრულებდნენ.

ეტყობა, ეს სალოცავი ადგილი იყო.

ჯვრის პირდაპირ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხუთიოდე სახლი იდგა. როგორც შემდეგ გავიგე, იგი მოხვევების მიერ ადრე მიტოვებული სოფელი მიგუდა ყოფილა.

რაც უფრო ზევით მივიწვედი, თოვლის საფარი უფრო მატულობდა და სიარულს აძნელებდა. შევიხვენი.

ოთხასიოდე მეტრის დაშორებით დაქანებულ ფერდობზე, მეწამულ სიბივებში გახვეული, ერთმანეთზე მიყოლებული რამდენიმე ქვის სახლი გამოჩნდა.

ეს იყო სოფელი ართხმო.

გზა განავარძი.

ბილიკი მარჯვნივ, ჩახრამულ ფერდობისაკენ უხვევდა. როგორც კი ხრამიდან გამოვედი, სოფლის ბოლოს აღმოვჩნდი.

ჩამონგრეული ქვის ყორე, სახლის ბანზე თოვლიდან ამოჩრილი ხმელი ბალახის ღეროები და ზოგი სახურავაცილი სახლი სევდიან იერს აძლევდნენ სოფელს.

აღარ ისმოდა უცხო მგზავრის დანახავზე აყვებული ძაღლების დავაღვი და არც ხევსურთ ბაღლების ცნობისმოყვარე თვალები გიმზერდნენ ღია ქიშკრიდან.

მელმარედ შემომიკეცროდნენ სახლების შიშ-ჩამდვარი, ჩამუქებული ფანჯრები, აქა-იქ შემორჩენილი მინის ნამსხვრევები ბრჭყიალებდა.

მზე სოფლის თავზე წამომხოზილ მთას მიეფარა. სოფელს მუქი და ლურჯი ფერი მიეცა და უფრო იღუმალებით მოცული გახდა.

უცნაური შიში მეც გადმოემეღო.

— კიდეც კარგ, ფულ რომ არ მაქვს!
თავი ველარ შევიკავე, სიცილი ამიტომ მოხვევმ ხელი დამიქნია და ისევ ცეკვა-ცეკვით დაძრა მანქანა.

დიდხანს შევეცქეროდი, სანამ თვალს არ მიეფარა.

„რა უცნაური კაცი იყო! სახელი მაინც მეკითხა, გამეგო რომელი სოფელიდანაა. ნეტავ რამ დამახანია ასე, ა? ბრავი მომივიდა ჩემს თავზე. ზურგჩანთის სახელურებს ცერა თითები გამოვდე, შემოგზრუნდი და გეზი მოხვევის მიერ ნაჩვენებ მთისაკენ ავიღე.“

მეგონა ყველა სახლი მე შემომიკეცროდა ვედრებით და შევლასა მთხოვდა.

აღარ ვიცოდი წინ წავსულიყავი თუ...

ირგველი სიჩუმე.

გულის გამაწვრილებელი სიჩუმე.

„— ნეტავი ახლა სულიერი არსება დამახანვა და არას ვინატრებ სხვას! — გავივლე გულში — თუნდაც ძალი იყოს!..“

ყრანტალი შემომესმა.

სწრაფად შემოგზრუნდი.

ნასახლარის დიდ ლოდზე ყორანი წამოსკუპულიყო და მინის თვალებით მიმზერდა.

მონუსხული მივაჩერდი.

საღდაც გამეგო, რომ კაცი დაიკუხება, ყორანი იმ წუთში აფრინდებო.

დავიხარე და ხელი ავუქნიე.

აინუნშიაც არ ჩამავდო. ფეხებზე დაუწყო ნისკარტს წმენდა.

გაებრაზდი. თოვლი ფეხით გადავქექე, ნახშირის ნატეხი დავინახე, ავიღე და გამეტებით ვესროლე.

ყორანმა ზანტად გაშალა ფრთები და ჩხავილით გადაუფრინა ნასოფლარს.

უნებურად ძირს დავიხედე.

ნაცარი შერეულიყო თეთრ თოვლში...

ერთ ადგილს თოვლი ამოუბრტყელიყო. ხელით გადავწმინდე.

თლილი ქვა იდო, ოთხკუთხედი.

ჩამოვქექი და მზერა ისევ ნაცარზე გადავიტანე...

...ცეცხლი გიზგიზებს. ნაკვერჩხალი ტყრციალით ისვრის ნაბერწყლებს. ბუხართან მოხუცი ხევსური ზის, ჩიბუხს აბოლებს და მოწყურული თვალეზით შესცქერის ერთმანეთს მიხუტებულ ბაღლებს, რომლებიც სულწასული ელოდებიან ზღაპრის გაგრძელებას, რა უყო ბერ ლუხუმს ვეება გველმა, დავესლა თუ უმკურნალოა?..

ხაშარი თოვლი მოვისვია შუბლზე.

სულიკო გოგია

დაბადებული ზნაპი



გვარიანად შეზინდებულიყო.

— საით წავიდე!.. მზექალა, მზექალა წიკლაური... როგორ მითხრა მოხვედრე? — იქ ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობსო!..

ფეხზე წამოვხტი.

— აქ სადღაც ცხოვრობს სულიერი არსება, ადამიანი, ნეტავ ხომ არ დამინახა! არა მგონია, რომ დავენახე გამომგზავულებოდა. მე თითონ უნდა მოვძებნო!

თოვლი ჩამოვიბერტყე და შუა სოფლისაკენ გავემართე.

ღია ქიშკრებთან ვჩერდებოდი და ყველა სახლს ეკვირდებოდი.

არსად სიცოცხლის ნიშანწყალი.

უმწოდ მიმოვიხედე.

— იქნებ ისიც წავიდა აქედან?..

უეცრად თვალი დაბალი სახლის ვიწრო

სარკმელს გაეშტერე, საიდანაც ციციანთა-სავით გამოკრთოდა სინათლის სხივი. გულამოვარდნილმა ავირბინე პატარა აღმართი და ყორესთან შეეჩერდი.

სუნთქვა შემეკრა.

— მზექალა დეიდაა!..

მგონი ძალზე ხმამაღლა მომივიდა.

დუმბილი.

მერე კარის ჭრილი...

შუახანს გადაცილებული ქალი გადმოვიდა ერდოზე ჭრაქით ხელში.

— ღმრთის მადლმა, ვინ ხარ ბეჩავო!

— თქვენი სტუმარი!..

ერთ წამს შეყოვნდა, მერე განზე გადგა და ხელთ მანიშნა.

— მობობადნი!.. სტუმარ ღმრთისაა!..

ალიონი მთაში

დილადრიან ავდექი.

თოფი და ფოტოაპარატი გადავიკიდე მხარზე და გარეთ გამოვედი.

ღამე უკვე გაცრეცილიყო.

სახლიდან მასპინძლის ხმა შემომესმა.

— სად მიხოდ ასე მალეღ?!

— წავალ, მთებში ვიხეტიალებ!

— საგძალ წაიღე, მაგშივდების!

ცოტა ხნის შემდეგ, ქალაღში გახვეულ საკმელს მაწვდის.

— ფრთხილად იარე, ღმრთის მადლმა!

ნელი ნაბიჯით შევეუყევი აღმართს ართხმოს წყლის სათავისაკენ.

თეთრად გადაბნეილი მწვერვალები, მდინარის მხიარული ჩხრიალი და ბროლივით გამჭვირვალე ჰაერი, კარგ გუნებაზე დააყენებდა კაცს.

ბირდაპირ სათავესთან ასვეტილ მთას, ალისფერი გვირგვინი დაადგა ზეცამ.

მოჭადრებული მივაჩერდი ბუნების ამ იშვიათ სილამაზეს.

მალე სხვა მწვერვალებსაც დაეყარა წითელი ლალის კრისტალები.

ნაბიჯს ავუნჩარე. მინდოდა უახლოვეს გორაზე მინც ამესწრო მზისთვის.

სულმოუთქმელად ავიარე ღამრეცი ფერდობი და ახალი სურათი გადაიშალა თვალწინ.

სხივები ლიცლიცებდნენ აბჟყვიალებულ თოვლზე.

ლურჯი ცის ფონზე მკვეთრად მოჩანდა მთათა კონტურები.

თოვლში ჩაეჭკვი და თოფი მუხლებზე დავიღე.

ორმა მიმინომ გადამიფრინა. ლალად მისრიალებდნენ. გამჭვირვალე ჰაერში და წვილით ესალმებოდნენ მნათობის ამოსვლას.

თვალის აცრემლებამდე შეეყუვრებდი ორივეს. წყალი მომწყურდა.

ნათიფქ თოვლს დაეწვდი.

როგორ არ გავდა ქალაქის ჭეარტლიან თოვლს!

ხელმარჯვნივ ხმაური შემომესმა. ფეხზე წამოვხტი — ნადირი არ იყოს-მეთქი.

მოწყვეტილი ლოდი თავბირის მტკრევით მიეჭანებოდა ზეობისაკენ. უკან კუდივით მისდევდა ქვა-ღორღი.

ნამძინარეგმა მთამ გაახილა თვალი...

გაბრუებული დავეუყევი ფერდობს.

რა სიდიადეა!

ამ სიმშვენიერეში კაცს სიკვდილიც კი გაუადვილებდა, ღმრთის მადლმა!

ნასახლარის ღარაჯი

სალამო ხანს სოფელში გავიარე. ვერსად ადამიანის ნაფეხურს ვერ წავაწყდი, ნადირის კვალი კი რამდენიც გინდა.

მხოლოდ ფეხქვეშ აპრიალებული თოვლი და ართხმოს წყლის ჩხრიალი არღვევდა მყუდროებას.

გატრუნული სახლები ვიდაცის თუ რალაცის მოლოდინში...

არა მგონია კაცს შიში არ მოგვაროს მიტოვებული სოფლის ხილვამ.

განაპირა სახლის ღია ქიშკართან შეეჩერდი. დიდხანს ვიდექი ასე.

ის-ის იყო შიგ შესვლა გადაეწყვიტე, რომ უცბად ღრენა შემომესმა და გროვად დაყრილი წვილიდან ბომბორა ნაგაზი გამოვარდა.

სწრაფად დავიხიე.



ქვის ყორზე მიყუდებულ გრძელ ჯოხს შევალე ხელი და დასახვედრად მოვემზადე.

ძალი იმეგან სამიოდ ნაბიჯზე შეჩერდა. ყეფა შეწყვიტა. ჩუმად იღრინებოდა და თვალს არ მაცილებდა.

შემდეგ შებრუნდა და წივისაკენ გაემართა. შემეცოდა.

ჯოხი მოვისროლე და ნაგაზი მოვიხმე.

ყურადღება არ მომაქცია. მოშორებით დაწვა და ეჭვის თვალით დამიწყა ყურება.

მიეუახლოვდი.

ისე გავთამამდი, თავზე ხელის გადასმაც კი გავუბდე.

ღრენა შეწყვიტა.

თვალეში ჩაზედე.

გამოუთქმელ სევდას წავაწყდი.

საწყალი პირუტყვი. ნეატვ რას დარაჯობდა. საქურღლად აქ ვინ ამოვი. თუნდაც რომ ამოვიდეს რა უნდა მოიპაროს.

წავიდნენ პატრონები, იფიქრეს ქალაქში ძალი რად დაგვეკირდებოდა და მიატოვეს ასე ღვთის ანბარა.

წვეს ეზოში და დარაჯობს მითოვებულ სახლ-კარს. იქნებ ჰგონია, პატრონები ისევ დაბრუნდებიან და ისევ ახმაურდება კარ-მიდამო! ვინ იცის?!

„— ნეტავ რას ქამს, საცოდავი!“ ფიქრე და ეზო მოვათვალიერე.

სახლის წინ ძველი ურემი იდგა. ურემის ქვეშ მშრალ ადგილზე, თუნუქის ჯამი იდო. ჯამის გარშემო გამოხრული ძვლები და პურის ნატეხები ეყარა.

მზექალა წიკლაურს თუ მოჰქონდა საქმელი ხანდახან.

წელში გავიმართე და დანგრეულ ქვის ყორზე ჩამოვჯექი.

ძალი მომიახლოვდა, თავი მუხლებზე დამადო და გაისუსა.

ჩემდა უნებურად თვალეზი ამიწყლიანდა.

მზერა ხის ბოძზე ჩამოვიდებულ ცხენის დაქანგულ ნაღს შევავლე.

ფიქრებში გართული სიცოცხლე გამომფხიზლა. წამოდექი და უკან მოუხედავად გამოვედი ეზოდან.

ძალიც გამომედევნა.

შემოგებრუნდი.

გაღებულ ჭიშკრიდან მიმზერდა სევდიანად. თვალი ავარიდე, ფეხს ავუნჩქარე.

ვგრძნობდი ზურგს უკან უპატრონო ძაღლის თვალეზს.

სახლში შესულს, სოფლის ბოლოდან ყმუილ-ნარევი ყეფა შემომესმა.

ძალაქი მეზინის

მეორე დღეა მზექალა წიკლაურის სტუმარი ვარ. უკვე კარგად გავიცანი ერთმანეთი.

დღეს ბევრი ვიხეტიალე მთებში, იქნებ ნადირს ვადავეყარო-მეთქი.

ჩემს მასპინძელს ამას წინათ ხუთი თოხლი დაუკარგავს მთაში. „მგლების ყმულ მამდინ და ალბათ იმათ შაჰმანსო!“...

რაგორ მინდოდა ერთი მგელი მაინც მომეკლა.

მაგრამ ნადირს ვერ შევხვდი.

ისე კვალი კი ბლომად იყო ფიფქ თოვლზე. ახლა საღამოა.

ლუმელში წვია ღუღუნებს.

მე დაბალ მაგიდასთან ვზივარ და დღევანდელ შთაბეჭდილებას ვიწერ ბლოკნოტში.

მზექალა დეიდა ვახშმის სამზადისშია, „ხაბიზგინას“ აცხობს.

— მარტო არ გეშინიათ ამ მთებში? — ვეკითხები ბოლოს.

გაზურბული კეცი გამოაქვს ღუმელიდან, ზედ კონს აკრავს და მოგვიანებით მასსუხობს:

„მეშინის, ღმრთის მძლავრა, მაგრამ რაი ექნა! ვერ დავაგდე საქონელ და ოჯახ მარტო. ხიზანიც მეჩხუბების — ჩამოდ ჩვენთან ქალაქ-ჩიავ, მაგრამ მთის კაც ვერ გაძლებს იქ. ქალაქი მამაველისად კარგია, ხიზანი სკოლაჩი ივლის, არც რაი მაქალებს! ღრთულს არ გაეძლებს. — ხელები წაიკაპიწა და დაქუცმაცებული კარ-

ტოფილი ყველში აურია. მერე ამას პურის ცომში გაახვევს და ხაჭაპურივით გამოაცხობს.

— კარტოფილს ალბათ ყაზბეგში ყიდულობთ?

— რად ვიყიდო! ისეთი კარგი „კარტოხა“ მადის აქ რომ... ჩვენ საყოფ ყველაფერ გვექონდის საქმელად. თევზ ბევრი იყვო წყალჩი და ნადირ მთაჩი.

— აბა, მე რომ ვერაფერი მოვკალი?! მასპინძელი იცინის.

— კაც მთაჩი გაუჭირდ ნადირობაი, თუ შეჩვეულ არაი!

თუნგი გადმოხარა და ხელები გადაიხანა.

— მაინც რატომ აიყარა ხალხი აქედან?

— რად და არც სინათლეა არ გვექონდის, არც მალაზია და არც აფთიაქი. შორიდან ვეზიდებოლით მარილ და ფქვილ. უგზოობამაც შაგვაწუხა. — „ხაბიზგინა“ კეციდან წამოაგდო და წინ დამიღო — ქაშე. მაგშივდებოდა!

მერე კარადიდან არაყი გამოაქვს და მისხამს. ჭიქას ვიღებ და ვაღდეგრძელებ.

— გავიმარჯოთ მზექალა დეიდა! კარგად იყავით და ჯანრთულად თქვენი შვილებით!

— იცოცხლ! — მეტყვის და ისევ კეცს დასტრიალებს თავს.

მადიანად ვილუმები ცხელ „ხაბიზგინას“.

სულიკო გოგია

დაქანებული ზვავი

გარეთ თოვს, ცივა.

ხანდახან გავშებული ქარი მოაწყდება კარებს. ამ დროს მოხუცი წელში გაიმართება, ყურს დაუგდებს ქარის ზუზუნს და ჩაილაპარაკებს:

— წელ ცუდ ზამთარ იქნების, ხევყურებებზე ზევებ ჩამაწების!

— სკოლაში თუ დადიოდით?

— მე არხოტელ ქალ ვარ აქ გამათხოილ, არხოტს არ იყვო სკოლაჲ. ქართულ კი ვიცო წერა-კითხვაჲ ცოტა.

ყველაფერი მინდა გავიგო, თან მეშინია თავი არ მოვაბეზრო.

— დიდიხანია, რაც სოფელი მიატოვეს?

— ორ წელ იქნების!

— ახლა აღარავინ მოდის წასულებიდან სოფელში?

— რაად მოვლენ! მარტო ზაფხულში ათენგენობაზე ხატჩი საკლავს დახკვლენ და სამი დღე რჩებიან სტუმრად!

— გმადლობთ, მზექალა დეიდა! ძალიან გემრიელი იყო „ხაბიზგინა“.

— ქამ კიდეც!

— არა, მეტი არ მინდა. დავიღალე დღეს მთაში.

იგი ლოგინს შლის.

— დაწექ, მაისვენი!

ვევები.

მოხუცი ცოტა ხანს კიდე დაფაცურობს. მერე ტახტზე ჩამოჯდება, „ლამფას“ ახლო მიიწევს და ხიზნებისათვის წინდებაჲ ქსოვს.

მალე ალბათ, შვილები ამასაც წაიყვანენ ქალაქში და მაშინ კი ართხმო აღარ მოიხსენება, როგორც სოფელი.

გაქრება კიდეც ერთი ქართული სოფელი, დავიწყებას მიეცემა მისი სახელი.

— ბოლოს თქვენც მიატოვებთ სოფელს და ქალაქში წახვალთ შვილებთან! — ვეკითხები წყნარად.

იგი შეჩერდება. ჩაფიქრდება. ერთ წერტილს გაუშტერებს თვალებს.

მერე ისევ გააგრძელებს ქსოვას და დაბალი ხმით მეტყვის.

— რა გითხრ, ღმრთის მადლმა! ოთხ კედელ დაკეტილში ვარ დამდგარი. ერთ მეკვემურ რომ იყოს მაინც, არსად არ წავიდოდი! მარტოს ძალიან გამიჭირდა!..

მერე იყუჩებს და აკანკალებული ხმით დაუმატებს:

— მე თუ ჩემებურ ართხმოს წყალ არ დავლიე, არც რა წყალ არ შემერგების! ქალაქში მეშინის, ძალიან მეშინის!..



ნადირობა ჩონ-ტაშში¹

16 ივლისი. შაბათი.

გალახული ძაღლის ხასიათზე ვიყავი, ნაშალები რომ ჩამოვათავე და თამბაქოს გასაბოლებლად ჩამოვეჭე.

ჩემს ქვემოთ, ხრიოკი, ციცაბო ფერდის ძირში, ჩალურჯებულ ჩრდილიან სიღრმეში იკარგებოდა მაი-ბულაკის ვიწრო ხევი. გაღმა უზარმაზარ ბნელ მასად იყო დაყუდებული წყალგამყოფი შიშველი ქედო. მის უნაგირში, სიშორითა და შუადღის ვარვარა ბუდით დაბინდული მოჩანდა ინილჩეკის ნაპირის ყვითელი მინდორი. იქ, ცოტახნის წინ, ტრახტრახით დაჯდა ვერესოვის ვერტმფრენი. მისი ხმა დილითვე გავიგონე, ჭერ კიდეც როცა ტყეებს ვეპარებოდი. ხმის მიხედვით გონებაში ავტომატურად აღნიშნა, რომ იგი ჩვენს ბანაკში არ დაშვებულა, პირდაპირ „დიკიზე“ წავიდა. თანაც ხეობას კი არ შეჰყუდა, ზემოთ აიწია, ნანსენის პიკის გვერდის კეხს გადაევლო და გზა შეიმოკლა. ასე აკეთებდა ხოლმე მოწმენდილ ამინდებში, როცა ნაკლები ტვირთი მიჰქონდა.

ეხლა კი, უკან გამობრუნებისას, დაჯდა. შეიძლება ვინმეც მოიყვანა. კოსტასაგან გაიგებდა, რომ სანადიროდა ვარ გასული და ვარაუდით მალე უნდა დავბრუნდე. ეხლა ალბათ ზის და შინაური მგელივით მელოდება. მგელივით თავშეუკავებლად უყვარს ნანადირევის ხორცი, კურდღელი იქნება, კაჟები თუ ვაცი. უკვე მიჩვეულია თავისი წილის დაუყოვნებელ

წაღებას და, გინდაც დაუმალო, მოპარვასა და მოტაცებასაც არ მოერიდება. ნადირობა კი მისთვის ჩინურია. მაგრამ თავისი საქმის იშვიათი ოსტატი გახლავთ. ვირტუოზულად ხმარობს მანქანას (გარეგნული, უხეში გამბედაობის მიღმა იმალება ძირფესვიანი ცოდნა და ზუსტი ანგარიში).

წარმოვიდგინე, როგორ დაეუძქულა ქვაზე გოლიათი ლიონია ვეროსოვი და მზეზე გარუჯულ, შეშუპებულ ყვრიმალებში ჩაქარგული, გაქვავებული მხერით მოთმინებით გაჰყურებს მაი-ბულაკის ქედის კალთებს. ეს სურათი შეუგნებლად მაღიზიანებდა და თითქმის მაბრახებდა, თითქოს ეს ყოფილიყოს მიზეზი შიშის იმ დამამცირებელი, მწარე განცდისა, რომელიც ჭერაც ვერ მომენელებინა კლდეებიდან ნაშალების ძირში ჩამოსვლის შემდეგ.

ავდექი და განვაგრძე დაშვება. ჩამოვედი ბალახიან ფერდაზე და ხრამთან შევჩერდი. წელამდე გავშიშვლდი და ყინულოვით ცივი წყლით დაეზილე ტანი. მერე „შტორმოვცის“ ჯიბიდან ამოვაღავე ლეიძლის პაშტეტის პატარა კონსერვი, პურის ნატეხი და სამი კბილი ნიორი. კონსერვი დანით გავხსენი, დაფუჭკვენი ნივრის კბილები. ნელა ვიღეჭებოდი და თან ბეშვით წყაროს წყალს ვაყოლებდი. შემდეგ მზის გულზე წამოვეჭე და სიგარეტი გავაბოლე. ყველაფერ ამას ვაკეთებდი რაღაც სამარცხენო, დეზერტირული კმაყოფილებით — „ჯანდაბას, ხომ გადავრჩი...“ და მქონდა საზოგადოებრივი, დამარცხებული კაცის განწყობილება.

გარშემო გულისგამაწვრილებელი ჭყვილით დაფარფატებდნენ წითელნისკარტა ალბიური ჭკები, უეცრად გადაიქროლებდნენ ხოლმე კლდის მტრედების სწრაფი გუნდები. გვერდი-

¹ ჩონ-ტაშ — ყირგიზულად ნიშნავს „დიდ ქვას“ და ჰქვია ერთ ადგილს ინილჩეკის ყინვარის ბოლოში (ცენტრალური ტიან-შანი).

² ტყე — შუაზიური სახეობა მაღალი მთის გარეული ვაცისა. კავკასიური ჯიხვისაგან განსხვავდება რქების მოყვანილობით.

დან ისმონდა მკვეთრი გადასტვენები. ეს აქა-ური, მსხვილი, ღიბიანი ზაზუნები დაუდებულ-ლაყვნენ თავიანთ სირობებთან, უტიფრად მომ-ჩერებოდნენ და მილიციელებივით უსტეინდ-ნენ, ერთმანეთს აფრთხილებდნენ: „ფხიზლა! ფხიზლა! აქ არის, კარგად ვხედავ, მხოლოდ ჯერ მგონი არაფერს მიჰქაჩავს...“

ჩემს თავზე ღიბხანს იტრიალა უზარმაზარმა წვეროსანმა მეტაკტიმე. ალბათ მამოწმებდა, ლეში ვარ, თუ არა.

უკვე კვირაზე მეტი გავიდა, რაც აქა ვარ და ეს მეხუთე ნადირობა იყო ტექებზე. პირვე-ლი ოთხი გავსვიდან სამჯერ ვნახე ტექეს ჯო-გი, მაგრამ სასიროლად ვერც ერთხელ ვერ მივუ-დექი. სამაგიეროდ, ადგილმდებარეობაში გა-ვერკვიე. გავეცანი მია-ბულაის ხეხსა და წყალგამყოფი ქედის ტოტებს, ტექების საბა-ლაზობებსა და თავშესაფარ სიმაგრეებს. აზარ-ტისაგან ციებ-ცხელება მქონდა ატეხილი და ისე ვიყავი ნერვებდაკიშული, რომ არც გავე-თება შემძვლო და არც ფიქრი რაიმეზე, გარდა ნადირობისა; ვერაფერი მომასვენებდა, სანამ პირველ ტექეს არ მოვიწადებდი.

ნერვიულობას კიდევ ის ამძაფრებდა, რომ გაჩნდა რალაც, შეჯიბრის მავარი: ჩვენი ჯგუფი ჩრეულო სენამ მთასეულელებისაგან შესდგებო-და. უმეტესობა ბავშვობიდან გამოწვრთნილი ჯიხზე მონადირეები იყვნენ და ქალაქელების უნარს ამ ძნელ საქმეში საკმაოდ სკეპტიკუ-რად უყურებდნენ. ნადირობაზე გრძელ საუბ-რებში ერთმანეთს კარგად გავაცანით ჩვენ-ჩვენი გამოცდილება. მე დაწვრილებით აღწე-რე ხეში, თრუსოში, მთა-თუშეთსა და არხოტ-ში არჩვზე, ჯიხესა და ნიამორზე ნადირობები, მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩება, სანამ საქმით არ დაამტკიცებ.

ორი დღის წინ სპორტული ჯგუფი მთლიანად გადაბარგდა „დიკის“ მყინვარზე, მწვერვალ „მო-ბედის“ ძირში და შეუდგა თავის რთულ საქმეს. აქ დაჯრიით მხოლოდ მე და „კოსტა“ (თამაზ ქავთარია, ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგი-ლე). ახლა ჩემს მარიფათზე იყო ჯგუფის ახა-ლი ხორციელ მომარაგება და აზარტსა და შე-ჯიბრს ზედ მოვალეობაც დაემატა.

დღეს უთენია ისე გამოვედი, რომ კოსტა არ გამიღვიძებია. ალიონზე უკვე მია-ბულაის უნაგირზე ვიყავი და ხეგს ზემოთენ შევეყ-ვი — ადრევე შერჩეულ სამხერ კლდეამდე. აქ, ქვებში, მოვეწყვე, მყარად დავეყრდენი წინა ლოდს და გულდასმით შევუდექი ბინოკ-ლით ზვერვას.

ბინოკლი დაზვერვას თავისი ტექნიკა აქვს და ეს არის მთაში ნადირობის აუცილებელი დასაწყისი. კილომეტრების მანძილზე სინჯავ საჯიხეებს, აქ საჭიროა მიჩვეული თვალი. დაწვრილებით ისინჯება ყველა მონაკვეთი. რო-ცა ღარწმუნდები, რომ ცარიელია, მხოლოდ

მაშინ გადადიხარ შემდეგზე. ერთ დღეზე-
ხანგრძლივი, გაუნძრეველი დაკვირვება შემე-
დეგ, თვალი ამჩნევს ნადირის სხეულს, მისი
ციფიურ სიმრგვალებს, რომელსაც გამოც-
დილებით გაწაფული გუშმანი ხელად გამოარ-
ჩევს ლოდებისა და კლდისაგან. შემდეგ მოთ-
მინებით განაგრძობ დაკვირვებას და ბოლოს
ამჩნევ მოძრაობასაც. ამ წამიდან დარწმუნებუ-
ლი ხარ, რომ ჯოგს უთვალთვალებ, ანგარიშობ: რამდენი არიან, რას აკეთებენ, საითა აქვთ მი-
მართულება და მისაქცევი, ქარი რა მხარეს
უბერავს, იწყებ მისაპარი გზების დაზვერ-
ვასა და აწონ-დაწონას.

ჩემი საძებარი არც იყო ხეცგალმა, აწოწი-
ლი სარი-ჯაზის ქედის კალთები. ეს კალ-
თები ხრიკით, ქვიანი ფლატეებით იყო ჩაი-
ლებული მია-ბულაის ღელეში. ფლატეებს თავ-
ზე დაჰყვებოდა ღარებითა და ნაკეცებით დანა-
წილებული, ქუჩით დაფარული მინდვრები —
ტექების საძოვრები; საძოვრებს ზემოთ — და-
ქანებული გრძელი ნაშალები, მოწითალო და
მოლურჯო ფერისა. ნაშალებს ზემოთ კი გო-
ლიათური ციხე-სიმაგრეებით იდგნენ მაღა-
ლი, სალი, მარჯნისფერი კლდეები. ისინი უს-
წორმასწოროდ აზიდულობდნენ სუფთა, იის-
ფერ კაშში და ზოგან ყინულის ქუდები ეხუ-
რათ წვერებზე.

ნაშალები მთლად დაექსელა ტექების ბილი-
კებს. ამ ბილიკებით დადიან ისინი კლდეები-
დან საძოვრებზე, და უკან. შემდეგში ეს ბი-
ლიკები ჩემთვის ისეთი ნაცნობი გახდა, რომ
ბინოკლივით ვარჩევდი, რომელი იყო ახალი
ნავალი. არც ერთხელ ახალი ბილიკი არ გაკ-
ვალულა; ხან ერთს ხმარობდნენ, ხან მეორეს.
ზოგი კი სულაც არ გამოუყენებიათ ჩემი იქ
ყოფნის განმავლობაში.

ერთი საათის თვალღერების შემდეგ ტიუზის
უღელტეხილის მხარეს, ნაშალების ძირში, პა-
ტარა მწვანე ნავლებზე შევაშინე ჯოგი. რო-
გორც აქედან შევატყვე, ვაცეცის ჯოგი იყო.
სულ ოცდასამი დავითვალე.

ტექებიანი მინდვრის ქვემოთ და მარცხნივ
იწყებოდა ერთი მშრალი, ნიაღვრისაგან ჩამოხ-
რამული ღარი და დღემდე ჩამოდიოდა. მისი
ზედა ბოლოდან უკვე შევქმდებოდი სროლას,
იქამდე კი სრულიად შეუთმნეველი ავიდოდი,
თუ მანამ ქარი არ ამოვარდებოდა.

საჭირო იყო სწრაფად ასვლა. უნდა ამესწ-
რო, სანამ კლდეებისაგან დაიძვრებოდნენ.

ხევი სწრაფად ჩავხრიალდი. წყალში გავედი
და ღარში შევიკვერი. ღარი დაკიდებული იყო
და ხშირად ხელებსაც ვიშველიებდი. მეოთ-
ხელი მექნებოდა ავილო, როცა გვერდით
გადასაძრომი შევნიშნე და სულმა წამძლია.
მინდობდა ჯოგისათვის შემეხედა: „იქნებ უკვე
დაიძრნენ და ზემოთამდე ტყუილად ვებლოტო-
მეთქი? ღია, ბალახიან ფერდაზე გადავტყვი.
არც აქედან ჩანდა მათი მინდორი. ოციოდე

მეტრი ზრამის ნაპირ-ნაპირ ავტოციდი, დაწე-
ქი და ბინოკლი ვაგზედ — ჯოგი ისევ იქ
იყო. მხოლოდ ნაწილია ჩანდა. დანარჩენი
წინაშეშვერილ ბორცვს ეფარებოდა.

ლიაზე მოძრაობა სახიფათო იყო და ისევ
ლარში გადასვლა დაუპირე, მაგრამ აქ გადა-
საძრომი ველარ ენახე, ქვევით ჩაბრუნება კი
მეზარებოდა. ამ დროს შეენიშნე: ტექები
ბორცვს უკან ნახევრად ჩაეფარნენ და ზურგე-
ბილა მოუჩანდათ. ამან გამაბედვინა გზის პირ-
დაპირ განვტობა. ხალისიანად მიეფორთხადე
ზემოთგან. ამასობაში ტექების ზურგებიც ჩაი-
მალა. წელში გავიმართე და თავისუფლად გან-
ვაგრძე ასვლა.

უცერად თავზარდამცემი სტვენა გაისმა და
მაშინვე ძირს გაეიშლართე. არ ვიცოდი, ეს
ონერი ზახუნები ამ სიმაღლეზედაც თუ ცხოვ-
რობდნენ. ბორცვზე დაიჭეხული ყარაული ვა-
ცი გადმოდგა. საათი დავინიშნე, მთელი თხუთ-
მეტი წუთი იდგა და ათვლიერებდა გარემოს.
ვიწეო გუნძრევლად და ზახუნების ჭიშს ვა-
გინებდი. ტექე შებრუნდა და ჩაეფარა. სამი ნა-
ბიჯიც ვერ გადავდგი, რომ ისევ დამისტეინეს
და ისევ გაეიშლართე. ამჯერად ტექებმა აღარ
გაღმოჩენდეს. განვაგრძე ასვლა. ფერდობის ნა-
ხევარი ავითავე, როცა მარტოხელა ულარი მოფ-
რინდა*, ზედ იმ ბორცვზე დაეშვა და ღორღ-
ში გაიბრუნ-გამოირბინა. მერე დადგა და კისე-
რი ჩემსკენ დაიგრძელა. ისევ მიწაზე გაყრუ-
ლი ვუყურებდი ცალი თვალით. ულარები ტე-
კებზე ორჯერ უფრო გამჭირაბები და ფრთხი-
ლები არიან და ექვი არ მეპარებოდა, რომ
შემამჩნევდა. მისგან ატეხილი განვაში კი წამ-
ში აშლიდა ტექებს და ამით დამთავრდებოდა
ნალიობა. ამას რამდენ ხანს ვუტადე, აღარ
დამინიშნავს, მაგრამ როცა ბოლოსდაბოლოს
გაფრინდა, ნერვები დაწყევტაზე მქონდა.

ზახუნების ყოინით გაყრუებულმა ავითავე
მწეანინი და ზრიოც ფერდზე გავედი. ამ ფერ-
დის თავში წამოშვერილ ბორცვს უკან იყვნენ
ტექები. აქ უკიდ დადგა სიწყნარე. ეტყობა ზა-
ხუნების საზღვარს გამოცვლი. ერთხანს ვიდექი
და ეტკებოდი ირგვლივ დამყარებული ღუ-
მილით.

მზე კარგა მაღლა აწეულიყო.
ეახსენე ნალიობის ღმერთი და ბოლო აღ-
მართი ავიარი. ფრთხილად, ცურვით გადავე-
დი ბორცვის თხემზე და დავინახე ისინი ჩემ-
გან ასოც-ასორმოცდათ მეტრზე. რატომღაც
მეგონა, რომ თხემიდან პირდაპირ თავზე გადა-
ვადგებოდი და ეს ცოტა მოულოდნელი იყო.
არჩევიანს დრო აღარ მქონდა და ვესროლე

* ულარი — შუაზიური სახეობა მთის ინ-
დაურისა. ჩვენებური შურთხისაგან განსხვავ-
დება, უფრო დიდია და ფერადი ბუმბული
აქვს.

ჩემგან ყველაზე ახლოს მდგომს. ელეის სისწ-
რათი მიაწედა გვერდზე მთელი ჯუგუჭი და
გაქანდა ნაშლზე. მეც წამოვვარდი. სიმაღლეში
მომხვდა მსხვილი, ღიბრქიანი ვაცი. სამიზნე
გავაყოლე, გადავესწარი, ეხეთქე და დავაყი-
რავე. მაშინათვე გაქცეულზედ გადავიტანე
ცეცხლი. ტყეებმა ფეხებთან აუბუქეს ქეიშა-
და ჯოგი აქეთ-იქით მიაწედა. ვგრძნობდი, ცუ-
დად ვისროდი, მაგრამ თავს ველარ ვიმორჩი-
ლებდი. სავაზნე დაიცალა. სწრაფად შევავსე
და ამ დროს დავინახე, რომ ვაცი ამდგარა და
მირბის. ვესროლე. აცდა. კიდევ ვესროლე და
დაწვა. სამიზნე შკალა შეიდასზე ავწეე და ისევ
გაქცეულებს დავცხე... ქვაზე ასხლეტილმა
ტყვიამ სამი ვაცი შემოაბრუნა. აღვიღე დატ-
რიალდნენ. კიდევ ერთი ვესროლე, მაგრამ შე-
მასწრეს კლდეებში. სავაზნე ისევ დამეცალა
და გაშტერებული მიგჩერებოდი, როგორ წა-
მოდგა წაქცეული ვაცი და ყანყალით წავიდა.
დაეწეე სავაზნის შევსება. სიჩქარისაგან გა-
მეჩხირა. როგორც იქნა, დავეკეტე თოფი. ვა-
ცი უკვე სირბილით მიდიოდა და კლდეებს
უახლოვდებოდა. როცა ვესროლე, ის კლდე-
ბის ძირში იყო და შემდეგ გასროლაზე კი
ლოდებს შეეფარა.

უცებ დაწყნარდა და დაცარიელდა ყველაფე-
რი. ანგარიშითემაღლად ავევარი ტექების ბი-
ლიამდე და აქ თვალთ დამიბნელდა. სამიათას-
ზე მეტ სიმაღლეზე ვიყავი და აღმართში სირ-
ბილი სახუშარი საქმე არ იყო. ერთხანს გავი-
ნებული ვიდექი და სულს ვიბრუნებდი. როცა
ისევ დამეწმინდა გონება, მაშინვე ჯოგის ბი-
ლიკს დავადექი. ვნახე სისხლი. სისხლი მსხვი-
ლი მძივით მიჰყვებოდა ბილიკს ორივე მხრი-
დან, ზოგან იკვეთებოდა, ზოგან ერთდებოდა.
ნელა ავდიოდი და კლდეებამდე მისვლას დიდ-
ხანს მოვუწდი.

კლდეებში რალაც დერეფნის მაგვარში მოვხ-
ედი. ჩრდილი იყო და პირველად მომეჩვენა,
რომ ბნეოდა. დერეფანი ზემოთ შევიწროვდა
და ლავგარდანით გადაიკეტა. აქ პირველად ვნა-
ხე კლდეზე ფართო ზოლად გასშეული სისხლი.
ეს დაჭრილი ტექეს ფერდის ნახახუნევი იყო.
ავძვერი პირველ ლავგარდანზე და ვიწრო ღარს
შევყვეი. სუნთქვა პირად. მაგრამ გამწარებული
წაბულელები თავს, მეფორთხა რაც შეიძლება
სარაფად. უკვე წამალუწუშ გზებობოდი ღარის
ორივე მხარეს სისხლით გადათხიანილ ნახახუ-
ნებს და ეს კიდევ უფრო მაჩქარებდა. ყოველ
წუთს ველოდი, რომ დაჭრილ ვაცს წავაწყდე-
ბოდი. დიდი სიმაღლისა და საშინელი დამა-
ბულობისაგან თავი მიხურდა და საფეთქლებ-
ში მირაკუნებდა. კლდე თანდათან დაეკიდა.
დიდხანს ვუნდებოდი შევეული მონაკვეთების ავ-

პაპა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში

ლას. დიდხანს და ზედმეტი ფაფუფითი ვე-
ძებდი საყრდენებს, გაჰირვებით ვინაცვლებდი
ხელ-ფეხს და ავდიოდი სულ ზევით და ზევით.
ზემოდან ქვეშა დაჩხრიალა, მაგრამ ვერაფე-
რი დავინახე. როგორც იქნა, ღარის თავში გა-
დავალწე და აქედან გამოჩნდა ვატი. პირველად
ვნახე ასე ახლოს და კინაღამ დავიყვარე, იმო-
ღენა იყო. დავიწყე ყარაბინის გამართვა. ტყე-
ვის ძალამ კლდეს შეანარცხა თავისი ასკილო-
იანი სხეულით, ზედ სისხლის ფართო ზოლი
დასტოვა, ღონეგამოცლილი ფეხებით ისევ შეა-
ოცდა გვერდზე ჩამოშლილ კლდეს და სანამ
თვალს დაუჭერებდი, უკვე მოფარა.

ბრაზისა და უმწეობის ნარევი გრძნობა გა-
მიჩნდა, თითქმის ტყეებმა ძალა დაკარგეს.

„რაშია საქმე?.. რაშია საქმე?..“ — გბუტ-
ბუტებდი.

კავკასიონზედაც ხშირად ვყოფილვარ მოწმე
დაჭრილი ჯიხვისა და არჩვის საკვირველი გამ-
ძლიობისა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

ისევ შევებობლდი ზემოთ მიმავალ განიერ
ნახეთქს. მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მი-
მეღწია ვაკამდე, რაც შეიძლება მალე დამე-
ნახა. ეს ერთადერთი, ყოვლის მომცველი სურ-
ველი არაბუნებრივი სისწრაფით მომპოვებდა.
ეს ნახეთქიც ავითავე. განიერ თაროზე გავე-
დი, ფეხები მოვიმაგრე და კლდეს ავეყუდე.
აფრთხილებულმა გულმა თვალები დამიბნელა
და ყურები დამიგუბა... მოვეცადე, სანამ ბნე-
ვი ტალა გადავივლია და თითქმის ამოეყვინ-
თო, ისე მივიხედ-მოვიხედე. ზემოთ, ჩემგან
ორმოცდაათ-სამოც მეტრზე, პიტალო კლდის
ერთი ციდა თაროზე, ცალი ბეჭით კედელზე
მძიმედ მიყრდნობილი იდგა ვატი. აქეთა გვერ-
დი მთლად სველი ჰქონდა სისხლისაგან და მზე-
ზე უპრიალბდა. ბოლო ტყვია კისრის ძირში
მოხვდა. უცებ ჩაიშალა ადგილზე და დახე-
კიდა, უზარმაზარმა რქებმა ყრუდ დაირაყუნეს
ქებაზე.

ერთხანს ვუყურებდი და ვერაფერზე ვერ
ვფიქრობდი. მერე ბინოკლი შემოვიტრიალე და
შვიდ დავუწყე თვალიერება. რქებზე ოცდასამი
კორძი დავითვალე. მხარში და ნეკნებში სამი
დიდი ნახვრეტი ჰქონდა — ეს ნატყვიარები
იყო. აქამდე სულ იქითა მხრიდან მიწვდოდა
სროლა. ამ კლდეზე კი ჩემსკენ მეორე გვერ-
დით შემობრუნებულა. სიგარეტი ამოვიღე,
ძლივს მოვუქიდე. რამდენჯერმე მოვქაჩე და
დავაგდე.

„კარგი, კარგი, ახლა ავიდეთ!..“ — უაზრო
სიტყვებით გამოველაპარაკე თავს. წინ შეეუ-
ლი, გამობურცული კლდე იყო, რამდენიმე ბზა-
რი და ნახეთქი მიჰყვებოდა თარომდე. რთული
ასახველი იყო და სხვა დროს, დასვენებუ-
ლი კი, უარს ვიტყოდი უთოვოდ, მარტოდ
ასვლაზე, მაგრამ ახლა ამაზე არც კი დავფიქ-

რებულვარ. სამი-ოთხი მეტრით ავიწიე. სიმაღ-
ლისაგან თავი დამძიმებული მქონდა.  გაწყვეტილი. წამადუწუმ ვჩერდებოდი, ვცდი-
ლობდი დამესვენებინა დაძაბული მკლავები.
მაგრამ ეს აღარ ხერხდებოდა. ძალა მელოდა.
მარცხენა ხელით კარგახანს ვსინჯე ნახეთქი,
სამიგლო საკიდის მოსანახად. ბოლოს ჩავკიდე
თითები, მოვიმაგრე, დავაწიქე ტანის ასაწევად
და ქვა დაიძრა. უცებ გამეყინა აზროვნება.
ვიგრძენი, რომ დაძრული ქვა ადგილზევე გა-
ჩერდა, მაგრამ მარცხენა პაერში დამჩხა. ქვეს
ველარ ვკიდებდი, მეშინოდა მისი გადმოვარდ-
ნის. მქიდროდ ვაწვებდები თითებს გლუვი
კლდის ბეწვის ხელა ნაბზარებში, მაგრამ ხე-
ლი ვერ მოვიკიდე. ცალი ფეხით ვეძებდი მყარ
საყრდენს, ვგრძნობდი როგორ დამიმძიმდა
მარჯვენა და ეს სიმძიმე თანდათან ტყვილად
და მერე ტანჯვად გადამექცა. რამდენიმე წამი
ვუძლებლად ამას, მერე გამეხსნა თითები და წა-
მოვედი... ჩამოვხვებოქი იმავე თაროზე. ძლიერ
შევიჩერდი მის კიდეზე და პირველად ახლა
გადავიხედე უკან. საზარელმა შიშმა თანდათან
გამავსო თითის წვერებამდე. უცებ გამოითიშა
ცაცთან ასვლაზე ფიქრი. „როგორ ჩავიდე?“ ამ
კითხვამ დაიკავა მთელი გონება. ვარდნისას ყა-
რაბინი მომსხლტა მხრიდან და ქვემოდან მო-
მესმა მისი ხათქუნი, მაგრამ ახლა თოფზედაც
ველარ ვფიქრობდი. ის აზარტი და გახელება,
რამაც აქ ამომიყვანა, უკვალოდ გამქარაიყო.
ქანცაწყვეტილი, გამოფიტული, დაღლისაგან
აქანკალებული ვიჯექი შემზარავი სიღრმის პი-
რას და თანდათან მეუფლებოდა დამაღამლავე-
ბელი შიში.

„აბა, დაწყნარდი! აბა, დაწყნარდი!..“ — შე-
ლოცვასავეთ ვუმეორებდი საყუთარ თავს. ვი-
ცოდე, რომ ერთადერთი ხსნა შიშის დროებით
მოჩლუნებლად იყო. პირველივე შეცდომა სა-
სიკედილო იქნებოდა.

„როგორც ამოხვედი, ისევე ჩახვალ!..“ — რო-
გორც ამოხვედი, ისევე ჩახვალ! — დაფინე-
ბით, ისევ შელოცვასავეთ ვარწმუნებდი თავს.
მზე მაღლა იდგა. ცხელოდა, შორს, ქვემოთ,
წითელ ნაშალებს მოციმციმე ღიბრი გადაკე-
როდა. მუქ იისფერ გარინდებულ პაერში თვა-
ლის მომპრელად ბრჭყვიალებდა ნანსენის პიკი.

პირით კლდისკენ შემობრუნებულმა დავიწყე
ჩასვლა. განუწყვეტლივ მაწუხებდა ქვემოთ ჩა-
ხედვის სურვილი, რადგან არ ვიცოდი, სად ჩავ-
დიოდი. ამოსვლისას ისე მქონდა ვაცზე გა-
დართული ყურადღება, რომ სულ არ დამიხ-
სომებია კლდის ზედაპირი. ახლა ველარ ვცნობ-
დი და არ ვიცოდი, იმავე გზით ჩავდივარ თუ
არა. დიდხანს, ბრმად ვეძებდი საყრდენებს.
ამან საშინლად დამალა. ახლა მეშინოდა, რომ
უპრალოდ ღონე აღარ მეყოფოდა კლდეზე შე-
სამაგრებლად. ველარ გავუძელი ბრმად მოძრა-
ობის დაძაბულობას და ერთ-ერთ ღარში წვა-

ლებით შემოვებრუნდი, გაშლილი ხელ-ფეხის
ბეჭენით ჩაეზოხილი, ხელისუფლები ჩაეიტყა-
ვე და ძლივს შევეგარდი ღარის ძირას, ლავ-
გარდანზე. აქ ვნახე ჩემი ყარაბინი. მთელი იყო,
მხოლოდ კონდახს ჩამოხეთქოდა ნატეხი და
ისიც იქვე ეგდო. ყარაბინი ჭვარედინად გადავი-
კიდე, ნატეხი ჭიბუში ჩავიდე და ისევ ჩავე-
კიდე შემდეგ ღარში. შიში როგორღაც მომიჩ-
ლუნგდა, ღონის გამოლევაზე ფიქრიც გაქრა.
ჩამოვდიოდი ავტომატურად, ველარაფერზე ვერ
ვფიქრობდი, ველარც იმაზე, როდის ვთავადება
ეს ბლოტიალი, ანდა მინდა თუ არა, რომ გა-
თავდეს, თუ სულერთია.

ნაშალზე არც შემისვენია, ისე ჩაეხრაილი
მის ძირებამდე და იქ დავექეი. აქ გავიგონე
სწორედ, როგორ დაჯდა ვერსოვის ვერტმფრე-
ნი.

როცა ბოლო დაღმართს გადავადექი, ბანაკს-
ზედა ქვიანი ტერასიდან „გეიკი“ ტყაცანი მო-
ისმა. „ვილად ჩამოსულა...“ — გაეფიქრე, რად-
გან ეიცოდი, კოსტასათვის თოფი რომ გესრო-
ლა, სანადიროდ ვერ გააგდებდი. ვერტმფრენი
კი, სანამ მე წყაროსთან ვიქეი, გაფრინდა. ვე-
ლარ დამელოდა ვერსევი.

უსიამო გრძნობა მქონდა ბანაკში მისვლისას,
თითქმის მათ უკვე ეცოდინებოდათ ჩემი მარც-
ხის ამბავი.

ფეხს ვითრევდი და ვფიქრობდი:
„რაფერს არ მოყვები. მთელი ამბავი ტყუ-
ილსა ჰგავს და სასაცილო გამოვა...“

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, საძილე ტომა-
რაზე გულადმა გამოტილმა, როცა ჯოკიაც მო-
ვიდა ნანადირევი კურდღლით, მაინც დაწვრი-
ლებით ეუამზე, რაც მოხდა და კოსტას დელი-
კატურ, თანაგრძნობიან მზერაში და ჯოკიას
ეჭვიან, სკეპტიკურ გამოხედვაში დავინახე, რომ
არც ერთმა ბლომდე მაინც არ დამიჯერა.

ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანსა და ლაერ-
ტი ჩართოლანთან ერთად, პრეფერსიკიდან
პირდაპირ „დიკის“ მყინვარზე გადასხა ვერტ-
მფრენმა ძირს დაუშვევლა. ამ სამეულს ჯგუ-
ფის ასეღამდე ბანაკი და ვერტმფრენის დასაჯ-
დომი მოედანი უნდა მოემზადებინათ. ამჟამად
ჯოკია ცოტა შეუძლოდ გამხდარა და სიმაღლის
დროებით გამოცემა დასჭირდა (ეს ხშირად
ემართებათ ალპინისტებს დიდ სიმაღლეებზე),
ამიტომ ჩამოებრუნდა ჩონტაშში რამდენიმე
დღით.

ჯოკია, შუახნის, ქარმაგი მამაკაცი, გამოც-
დილი მონადირეა ჭიხვზე. ახლა ისიც ნადირო-
ბის უნით ატანილი, მთელი საღამო უჩუმრად
ზის ბანაკში და ბინოკლში ზევრავს გარშემო
მთებს.

კოსტამ ჩინებულად მოხრაკა კურდღელი და
ის იყო დავამთვრეთ სადილობა, ჯოკია ისევ

ბინოკლს ჩაუჭდა და ცოტა ხანში დაშიშა.
„ჭიხვები“ დავინახე.

მაშინვე ამოვუდექი გვერდში, ბინოკლში
ვიმარჯვე და დავუწყე თვალთვლება მაი-ბულა-
კის ქედის კალთებს.

„იმ ვიწრო ზეგს ჩამოჰყევი და კლდეების
ძირში, „მწვანოლებში“ დააკვირდი“ — ამიხს-
ნა ჯოკიმ. მაშინვე დავინახე ორი ვაცი. ძოვა-
ძოვით ცერად ჩადიოდნენ ღრანტეში.

უკებ დამაფიქვდა დღევანდელი დაღლა. ყა-
რაბინის ხელი დავტაცე და ავალ-მეთქი, გამო-
ვაცხადე.

„ელა გვიანა. დილაუთენია წავიდეთ ორი-
ვე. ეგენი მანდ ვათევენ“, — თქვა ჯოკიმ.

უსიტყვოდ დავეთანხმე. დაღამებამდე ვუთ-
ვალთვალდებით ხევში ჩაქრეფილ ტყეებს.

17 ივლისი. კვირა.

დილით, გალურჯებულ ბნელში ავიარეთ ბა-
ნაკის ზედა, ქვიანი ტერასები და ვიწრო ხევის
ნაპირს შევეყვით. აქ ზედ წავადექით თხუთმე-
ტამდე კაკბის გუნდს. კაკბები გაიქცნენ, კიდეს
მიატანეს, ტყაცანით წამოიშალნენ და კრიახ-
კრიახით გადმოგვიარეს თავზე.

თენდებოდა. ქედის თხემი ღრუბლებს ჩაე-
შავებინა. ხრიკ, ქვიშისფერ კლდეებში მოეფ-
ყვეთ და დავუწყეთ ძებნა გუშინდელ ტყეებს.
მალე სველ ბალახში გავლებული ახალი კვა-
ლით გავარკვიეთ — ისინი უთენია დაძრულიყ-
ვნენ ღამისათვე აღგილიდან, ცერად გადაქვრათ
ქედის კალთა და უნაგირის მხარეს, თხემისაკენ
წასულიყვნენ. იქ დავინახეთ კიდევ ისინი. ღია
მინდორზე იდგნენ და ძოვდნენ ჩვენგან კილო-
მეტრნახევარზე. ბინოკლშიაც ძლივს ირჩეოდ-
ნენ ჩამოქუფრული ცის ფონზე. მათს ზემოთ
რამდენიმე ნაბიჯზე დიდ, სქელ ბოლქვებად
ჩამოწოლილიყო მრუმე ჯანდი. მისაბარი ერთი
გზა გვექონდა: უნდა ავყოლოდით ამ კლდეებს
თხემამდე და მერე ნისლში, ზემოდან წამოვდ-
გომოდით.

განვაგრძეთ ასვლა. თვალდათვალ ჩამოხეღ-
და. კლდეები დაიბინდა და გამოუცნობი გახ-
და მათი მოყვანილობა. ზემოთ ნაშალს მოუ-
ლოდნელად შავი ფერი დაედო — თქორს დაე-
სველებინა.

აქედან პირდაპირ ფერდ-ფერდ გავყევით
ტყეების მიმართულებით.

ამ დროს ჩვენს წინ, ნაშალიან ფერდზე, ბუ-
რუსში მოჩვენებასავით გამოირჩნენ თხების
ლანდები. ქვემოთ ჩაწოლილები ვუთვალთვა-
ლებდით, როგორ გვიახლოვდებოდნენ ხელ-
ნელა. სამი თხა იყო და ორი თიკანი ახლდათ.
ნახი, გრაციოზული არსებები იყვნენ, უფრო
ჯივრნებს წაავადნენ და თითქოს არაფერი
ჰქონდათ საერთო მტკიცე აგებულების, ქვასა-

პაპა გიგაშვილი

ნადირობა ჩონ-ტაშში

ვით ჩაიკრულ, ჩასკენილ ვაცებთან. წყნარად, მსუბუქად მოძრაობდნენ. ხანდახან შედგებოდნენ და თავდახრილები უცნაურად გაიჩინდებოდნენ ხოლმე, თითქმის ნისლი და სისველე ნაღვლის მომგვრელად მოქმედებდა მათზე. პატარა თიქნები შეჩერებისთანავე გვერდზე აეკვრებოდნენ ხოლმე დედებს და თვალების ნაბვას იწყებდნენ, ზეზეურად იძინებდნენ.

ძალიან გვეჭირდებოდა ახალი ხორცი და ნადირობის აზარტიათაც ყელამდე ვიყავით დატენილები, მაგრამ არც ერთს არ გვიფიქრია სროლა. შეიძლება ერთ-ერთს რომ გამოეჩინა სულმოკლეობა, მეორეც დაუფიქრებლად აპყოლოდა.

უცებ ქვემოდან შემოსტინა ნიაგმა და ნისლი ამოძრავა. ერთი წამით ჩამობურა თხემი. ისინი ამ დროს ჩვენგან ოც მეტრზე იყვნენ და ეტყობა სუნიც მიუვიდათ, რადგან შემდეგ წაშში თვალი მოგვართო თხემის კლდეებში ქენებით გადაშავალ მათს სილუეტებს.

ჩანლები მიდრ-მოდიოდნენ, ზოგ ადვილს მალოდნენ, ზოგს აჩენდნენ. ცოტახნით ის ველიც გაიხსნა, სადაც ვაკები გვეგულეობდა და დავინახეთ, რომ იქაურობა უკვე ცარიელი იყო.

გავედით თხემზე და მაიბულაის ხეცს გადავხედეთ. ერთხანს ვათვალიერებდით ბინოკლებში შორეულ, ჩამობინდულ ორწოხებს. მე-რე ხეობაში ჩავეშვიეთ და მდინარემდე ჩავედით.

ღრუბელი ისევ მოძრაობდა. ერთ-ერთი გახსნისას, ზევით წითელ კლდეებში, მოჩვენებასავით მოგვეჩანა დიდრქიანი ვაკეების ჩაწოლილი ჭოგი და ისევ გაუჩინარდა. მათთან მიპარავაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. წვიმდა. გადღეწვივით დამბრუნება.

მდინარისპირა პატარა მინდვრიდან ქოთქოთითა და აურზაურით წამოფრინდა დედა ულარი. უკან მიჰყვა წამოზრდილი ვარია. ხევი გადასურეს და კლდეებს შეეხიზნენ.

ბალახში ორ წიწილას წავასწარი თვალი. საკმაოდ სწრაფად გარბოდნენ და ქუჩის მაღალ ღეროებში წამდაუწყმედი ყირადო გადადიოდნენ. გამოვუდექი და ერთ-ერთს ხელი დავეტაცე. მსხვილი, მძიმე წიწილა იყო, დიდთავა და დიდფეხება, შავი ღინღლით დაფარული. მხოლოდ აქა-იქ გამოსჩნდა რამდენიმე ზრდადღწეუბელი ნამდვილი ბუმბული. ფეტვისფერი, მრგვალი თვალებით საკმაოდ უდიერად მომჩერებოდა სახეში. როგორც კი თითები მოვასუსტე, მაშინვე გასხლტომა სცადა. ჭოკიას ეაჩვენე. მითხრა, ბანაკში წაიყვანათ, იქნებ გაეზარდოთ. „შტორმოვეს“ ჭიბეში ჩაიკიეს და გზა განვაგრძეთ.

ჭოკიამ ხევის ჩაყალი არჩია. მე კი ზემოთ მიმავალ ტყეების ბილიკს დავადექი. ვიცოდი, რომ ეს ბილიკი თხემზე გადადიოდა ჩვენი ბანაკისაკენ.

ცოტა გავიარე და ვხედავ, ბილიკს შეუერთდა ახალთახალი კვალი. ორი ან სამი წელიწადი უფრო ახალი იყო, საკმაოდ მსხვილები. ხელად გავმსუბუქდი და ავჩქარდი. გამახსენდა, ჭიბეში თბილად ჩაყუთული ულარის წიწილა. უცებ წარმოვიდგინე, როგორ გაიტანეებოდა ტყეებში. თან წესიერად არ ვიცით, რითი უნდა ვკვებოთ. „არა ღირს წვალეზად“, გავიფიქრე და ამოვიყვანე ჭიბიდან. ეტყობა სიბნელეში ძინა და უეტარმა სინათლემ თვალი მოსჭრა: ძირს რომ დავსვი, ერთხანს გაშტერებული იქდა. ფოტო გადავუღე. ამასობაში გამოფხიზლდა, ადვილიდან მოწყდა და კისრისტეხით გაქანდა მინდვრისაკენ.

ახალი კვალით გართული, ისე გადმოვედი თხემზე, რომ დრო არ მიგრძენია. ნატარი იმ მინდორში გამოვიდა, სადაც დილით ორ ვაცს ვხედავდით. ბალახი გაჩევილი და ნაძოვი იყო. ერთ ჩამორღვეულ ფლატეზე რუხი მატყის ფთილები შევამჩნიე. ვაკებს ზურგი უფხანიათ ნახამორი, მოთელილი ბეწვის მოსაშორებლად. ახლა მივხვდი, რომ იმ ორი ვაცის გუშინდელ კვალს მივდედი. ნავალი ახლად იმიტომ მომეჩვენა, რომ გუშინ საღამოდან ღრუბლიანი, სველი ამინდი იდგა და კვალი არ გამშრალა.

ნადირობა დამთავრებული იყო. ნელა გავყევი ფერდობს და ცერად დავიწყე ჩასვლა ბანაკისაკენ, რომელიც კილომეტრის სიღრმეზე იყო ჩემს ქვემოთ, ინილჩეის ნაპირზე.

უეტრად წინ, ქვევში, უზარმაზარ ვირთხასავით გაიქცა რალაც, მკვეთრი სტვენითა და ზრიალით წამოვარდა და გაფრინდა.

იმავე წახს, თითქმის ფერდობიდან ქვევში წამოშალნენ, ჰაერი გაივსო გამაყრუებელი სტვენით, განასითა და ფრთების ფართხუნით. ოცი, თუ ოცდახუთი მაშალ ულარი წამოვადრთხე სულ თხუთმეტ-ოც ნაბიჯში და აფრენამდე ვერ შევინიშნე, ისე ლოდებივით ელაგნენ ქვიან ფერდობზე.

საფანტის თოფით სულ ადვილი იქნებოდა ორი ცალის ჩამოგდება, მაგრამ მე შაშხანა მეკავა და ვუყურებდი, როგორ ჩაინთქნენ ბურუსში.

ულარმაც, ჩვენებური შურთხევით, თავისებური, ცოტა უცნაური სირბილი იცის: ისეა ხოლმე მიწაზე გართხმული, რომ ფეხების მოძრაობა არა ჩანს. თავიც სულ ძირსა აქვს დახრილი და მხრებში ჩარტული. თან ისე სწრაფად მისრიალებს ლოდებს შორის, რომ პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის ერთნაირია: თითქმის გარბის უზარმაზარი ვირთხა.

ერთი საათის შემდეგ ქვიან ტერასებზე ჩამოვედი და დიდი აფორიაქება გამოვიწვიე. დღეს, ალბათ გრილი ამინდის მიზეზით, მთელი აქაური „მოსახლეობა“ ვარეთ იყო გამოფენილი. ყოველ-მხარეს ფხაჭა-გლეჯით გარ-



ბოდნენ კურდღლები. მოჩიტული ბაჭები გაიქცოდნენ რამდენიმე ნაბიჯზე, სულელურად წვებოდნენ ბალახში და იქიდან მადვენებდნენ თვალს, დარწმუნებულები, რომ მშვენიერად მომატყუეს. მთელი ზეგანი გაივსო ზაზუნების საგანგაშო სტვენით. მათ სასწრაფოდ მოაწყვეს შუა მინდორში სათამაშოდ გამოყვანილი შთამომავლობის ევკაუაცია. თითონ სიროების ნაპირებთან იკავებდნენ თავდაცვით პოზიციებს, რათა ჩემი მიახლოებისთანავე ტყუპანი გაედინათ სიროს სიღრმეში. ამას ისინი ისე სწრაფად აკეთებენ, რომ შემოდგომაზე მათზე ნადირობისას (კარგი ბეწვის გამო ნადირობენ ყირაგებში. მშვენიერი ქუდები გამოდის), ტყვიამორტყმული, უკვე მკვდარი ზაზუნა მაინც ასწრებს თავის სიროში ჩაყარნას და მონადირეს სიროს გათხრა უწევს მის ამოსაღებად.

კრიახით გარბოდნენ კრუხი კაცები. ერთმა დედა კაცებმა, ფრთებჩამოყრილმა, კარგახანს ირბინა ჩემს წინ. ეტყობა, წიწილები სადღაც აქვე, ქვევში დამალა და ახლა ცდილობდა ჩემს მოშორებით გატყუებას. ისე შევიდა როლში, რომ შიგადაშიგ კოჭლობასაც იწყებდა, ხან მკერდით ეცემოდა მიწაზე და ასე მიფართხალობდა. თითქმის ას მეტრზე გამოძვდა, მერე წამოვარდა და კრიახით გადაშირა თავზე.

ნელა მივბიჯებდი ამ სანახაობით ნასიამოვნებოდა და ვინმეს რომ შეეხდა ამ დროს ჩემთვის, ალბათ დაინახავდა საკმაოდ ბრიყუელი, კმაყოფილი ღიმილით გაბადრულ სიფათს.

18 ივლისი. ორშაბათი.

ღამით სამჯერ გამეღვიძა და ისევ წვიმდა. დილით უკვე კაი გათენებულზე ავდგები. ღრუბლები აიწივნენ და გაკვირვებულებმა დაეინახეთ ნახევრამდე ჩამოთეთრებული მაიბულაქის ქედი. თოვლი ცუდად წაშლილი ცარცივით აჩნდა ფერდობებს და თვალდათვალ დნებოდა, მზემ იჭიატა. დაიწყო გამოდარება.

„გუშინ ნისლი იყო და იქნებ დღეს ჩამოგვეტანა ვაცი“... — ვთქვი მე.

კოსტამ და ჯოკიამ ჯერ წამიყრტეს. მერე პირდაპირ უარი მითხრეს. ჯერ გამიკვირდა, მერე უტყვევამასხენდა მათი რეაქცია ნაამბობზე და გავიფიქრე: „ამათ მგონი მართლა ექვი ეპარებათ!..“ ამან გამაბრაზა და გაღიზიანებულმა ხმაში დავიწყე, მოკლული ნადირის დატოვება ცუდი საქმეა და ამას რაღა ფიქრი უნდა-მეთქი.

„იმის ჩამოტანას ერთი დღე უნდა. ხორცი კი უფრო გაფუშებული იქნება...“ — თქვა ჯოკიამ.

მართლაც, ეს სახუმარო საქმე არ იყო. ახლა ფხიზლად ვწონიდი იმ ბოლო კლდეს და ვიცოდი, რომ თოკი და პალოები დაგვპირდებოდა. ნაშალებამდე ვაციის ჩამოშვებაც არ იყო

ადგილი საქმე. თანაც თუ ხორცი უკვე გაფუშებულია, ეს მხოლოდ ჩემი ნადავლი სათვის წვალება გამოვა. რა პირით უნდა მოთხოვო კაცს მთელი დღე შენი ნადავლის თრევა, როცა მას თითონ ენატრება ნადირობა და ამისათვის მხოლოდ ორი დღე-ღა აქვს განკარგულებაში. აღარაფერი მეთქმოდა და გავჩუმდი.

საუზმის მზადებას შევუდევით. ჯოკია ისევ თავის „პოსტზე“ იჯდა ბინოკლით და ჩვენს მოპატივებაზე: „ყავა მზად არისო“, „ჯიხვებო!“ — გვიპასუხა. მეც მაშინვე მიუჯექი ბინოკლით.

ამჯერად ტყეები დიდი მყინვარის მხარეზე იყვნენ, ზუთიათსიანი უსახელო მწვერვალის კალთებში. ერთ დიდ მწვანე ტერასზე. რა ჯოგი იყო, გარჩევა არ შეიძლებოდა. მანძილი ზუთ კილომეტრზე მეტი იქნებოდა.

სანამ ვისაუზმეთ, სულ გადაიდარა და რამდენიმე წუთში ისე გაშრა ყველაფერი, თითქოს ერთი თვეა წვიმა არ გაქაქანებულყო.

„გზისთვის კონსერვები და პური „დავიკავოთ“!... მითხრა ჯოკიამ. ავიკიდეთ თოფები და გაუუდგვით.

გავიარეთ ძველი ნაბანაკარი. აქ, უზარმაზარი კლდე-ლოდის თავზე (ამ კლდე-ლოდის გამო ჰქვია ამ ადგილს ჩონ-ტაში), საქართველოს ამაღური კლუბის ემბლემა მიტუშა დანგაძის მიერ 1961 წელს დახატული. შემდეგ ფერდერად გავყევით ზემოთკენ.

მყინვარის პირში რომ გავედით, ერთი გვერდის ღარი მოვნახეთ და დავიწყეთ ასვლა. გამოვედით მოტიტვლელად, გლუვად გამობურცულ ციკაბო ფერდერზე. ადგილი ვიცანი: ჩვენი ბანაკიდან ეს ფერდობი გოლიათი ნადირის მრგვალი, ყვირთელი გვერდით მოჩანს და სწორედ სიმრგვალით გამოირჩევა გარშემო ჩამოჩენილი კლდეებისაგან.

ფრთხილად გადავინაცვლეთ მარჯვნივ. ქვემოთ მოწყვეტილი, უსაზღვრო სივრცე იყო. მე ეჩქარობდი და ჯოკია ძალიან ნერვიულობდა ჩემს ყოველ გაუფრთხილებელ ნაბიჯზე. ჯოკიას ნერვიულობამ მაგრძნობინა, რომ ზედმეტად აღვზნებული ვარ. შემრცხვა და მაშინვე დავწყნარდი. მოძრაობა ისევ მშვიდი და მოზომილი გახდა და თითქოს უფრო სწრაფად გავიარეთ ეს ფერდი. გამოჩნდა კიდე იმ მაგადასავით ტერასისა, რომელზედაც დილით ჯოგი დავინახეთ.

ჯოკია ყვირთ კლდეებში გავიდა ტერასის დასაზვერად. მე უკან დავრჩი და ვუთვალთვალე. გაუჩრდილ მოძრაობაზე ვატყობ, რომ ნადირი ზედას. მაგრამ მაინც არ გადავდივარ მასთან. ამ დროს ყოველი მოძრაობა საფრთხილოა და გარდა ამისა, იქ ორის ადგილი არ არის.

მანა გიგაშვილი

ნადირობა ჩონ-ტაში



მხოლოდ ხელს შეეუშლით ერთმანეთს სროლაში. დაბაბული, ჩუმი წამი გადის და ვახდევ, ჯოკია სწრაფად ეხუტება თოფს და ისმის ჰუხანში. იმავე წამს ჩვენს ზემოთ კლდეებში გაივლიდა ორმა სილუეტმა. თვალის დახამხამებაში ვახლი თოფს უფრო მოზრდილს. იქვე წვება. ჯოკია უქანას ესვრის. ნადირი კლდეებში იმალება. ჯოკია მისდევს. ამ დროს წაქცეული ტეკი დგება და ყანყალით ჩამორბის კლდეზე. ვესერი მეორედ. მოგორავს და კლდის ძირში ჩერდება. ავლივარ მისკენ. თან დაძაბული ვუსმენ ჯოკიას გასროლას. ამ დროს ტეკი ისევ დგება და იწყებს ასვლას. ახლა კი ისეთ მანძილზე ვარ, რომ თავში მოვახვედრებ. ამოტრიალებული ყირამალა გადადის და გაუნძრევლად რჩება. ცოტა განერვიულებული ვარ, ამდენი სროლა რომ დამჭირდა.

აველი ტეკთან. სამი წლის ვაცია. ორგანა აქვს ბეჭები გახერტილი. ორივე ტყვია მეორე მხარესაა გასული.

გვერდზე ჩამოვყევი. ზამთრის ბეჭე უკვე გამოეცალა და ახალს კი ის-ის იყო დაეწყო ზრდა. გლუვი და რბილი ტყავი ჰქონდა. საამური, სუფთა, თბილი სუნი სდიოდა, მთის ქონდარისა და კატაბალახას სურნელის მაგვარი. სიგარეტი ამოვიღე, გავაბოლე და თანდათან უჩვეულო სიმსუბუქედ და სიმშვიდედ დამეფლვა. არსებინად გადავყურები ქვევით, უსაშველო სიღრმეზე გაშლილი მყინვარის უთავბოლო ქაოსს. მორენის შავ და წითელ გროვებში თვითონ ყინული არსად ჩანდა. აქა-იქ, სპარსული ფირუზებით იყო ჩასმული შავიანისფერი გუმბები. შავი მორენა მხოლოდ ძალიან შორს, ოციოდე კილომეტრის იქით გადადიოდა სუფთა ყინულის სითეთრეში და კიდეც უფრო იქით მოჩანდა უკვე სხვა, შორეული ქვეყანა: მუქ ლავეარდ ცაში გაყინული, უზარმაზარი თეთრი კრისტალები.

პირველი, რაც გავიფიქრე ამ წუთიერი ბედნიერი გამოშტერების შემდეგ: ნეტავი ჯოკიამაც მოკლას-მეთქი. გამახსენდა კლდეზე დარჩენილი დიდი ვაცი და ისევ მომეშაბა ხასიათი. ამ ჭრილობების ამბავი უკვე მამფოთებდა: ასე შეიძლება ბევრი ნადირი დასახიჩროს და ნადირის უაზროდ დალუბვაზე უფრო საზიზღარი კი არაფერია მონადირისათვის.

როგორც ჩანდა, ვაზნების ბრალი იყო. ჩვენ გვქონდა „დოსაფის“ ტირიდან გამოტანილი სპეციალური „სამიწნე“ ვაზნები, ძალიან გაზრდილი, მკვეთრი ჭრი. ისინი მხოლოდ ნემსივით ხერცენ სხეულს და გადიან, ისე, რომ არ ანგრევენ შიდა ორგანოებს, ამის გამო ნადირი კიდეც დიდი მანძილის გავლას ახერხებს, სანამ ჭრილობა საბოლოოდ მოერეოდეს და ბოლოს ისეთ ადგილას მოკვდება, რომ მონადირე ვერარასწროს მიაგნებს.

ამოვიდა ჯოკია და მითხრა, რომ დაეწია თავის ვაცს. მიეულოცე და გადავკოცნეთ ერთ-

მანეთი. შემდეგ ტეკეს რქებში თოქო ჩავეხვე და ჩავეშვით მოკლე კლდიან მარწყვებში, ქვემო ტერასამდე. ჩვენც ჩავედით. მე გადავიღე ჯოკიას ნანადირევის წამოსაღებად. შარშანდღო, პატარა ვაცი იყო, ერთი წლისა. მასაც სამი ნატყვიარი ჰქონდა: ორი ბეჭებში და ერთი წელში. ტეკები ერთად დაეწყვეთ. ჩვენ კი ჩასასვლელის მოსანახლე წავედით. კარგახანს დავდიოდით მყინვარის გვერდის კულუარში* ჩაკედილ ფრიადო კლდეების თავზე, სანამ არ მოვინახეთ ერთი ვიწრო ღარი, კლდეებში ნიაღვრებისაგან ჩათხრილი.

დაიწყო ტეკების ძნელი და სახიფათო ჩამოზიდვა. რიგრიგობით ჩავდიოდით კლდეზე და ვივლებდით ზემოთ დარჩენილის მიერ ჩამოშვებულ ტეკებს. ასე ჩავალწით ვიწრო თარიოდ, რომელზედაც ჩასვლისთანავე მოხვევდა იყო საჭირო. დიდი გაჭირვებითა და სიფრთხილით გავიარეთ ეს თარი, რადგან ტვირთის მოწყვეტის შემთხვევაში, ჩვენც თან გადავყვებოდით. გამოვედით ფართო, მოხერხებულ კლდის კალთაზე და მყინვარის გვერდის კულუარში ჩავეშვით. აქ, ბოთლის შუშასავით მყვანე ყინულის თალიდან გამოქუხნდა განიერი, მღერევი ნაკადი.

კიდეც ერთხელ მიეულოცეთ ერთმანეთს ნადირების მშვიდობით დამთავრება და საქმეს შევუდგექით.

სწრაფად გავატყავეთ ორივე ტეკი, გადავიტანეთ ნაკადში ამოშვერილ ბრტყელ ქვაზე და ზედ გამოვფეხვით. მერე ფეხსაცმელი და შარვალი გავიხადე, ხორცი ნაკადს იქით გადავხვიდე და ყინულის თალის ღრმა თაროებში შევაღაგე. ზემოთ გავაზენამდე ამ მაღივარში შეინახება.

სამჯერ მომიხდა ყინულის წყალში გასვლა-გამოსვლა და როცა ამოვედი, ფეხები მთლად მოშავო-მოლურჯო ფერისა მქონდა და საშინლად მტკიოდა. მაშინვე მზეზე გავიშხლართე და გამწარებით დავუწყე ზელვა კუნთებს. ამაში ჯოკიაც მომეხმარა და მხოლოდ ხუთი წუთის ენერგიული მასაჟის შემდეგ გაიარა ტკივილმა.

შოგანი და ორი ბარკალი ტყავებში შევახვიეთ, გამოვკარით, ავიკიდეთ და წაოვედით.

მერე, საღამოს, მე და ჯოკია, გარეთ გამოტანილ პარალონებზე წამოწოლილები, ვაბოლებდით თამბაქოს და განცხრობით ვიდვენებდით თვალს კოსტის მზარეულობას.

კოსტამ მკუთლან შესაშლად მოხრაქა ხახვსა და პამიდორის წვენში ტეკების შოგანი და რალაც უამრავი სანელებლები უყო. ეგ იყო, რომ პური არ გვქონდა. რამდენიმე გამხმარი და დაობებული ლუქმალა მოვინახეთ. ვივახშმეთ,

* კულუარი — ვიწრო, დაკიდებული, დერეფანისებო ღრმული (ალპინისტური ტერმინია) კლდეში ან მყინვარის ნაპრაღში.

ყავა დაეყოლებოდა და მერე კარგახანს ვილაქლავდა. დღეს, ვარაუდით, ჩვენი ექსპედიციის უფროსი გივი ყადაგევიშვილი უნდა ჩამოსულყოფოდა. ცხენების ქარავანი უნდა გადმოეყვანა სარიკაზიდან: ტიუშის უღელტეხილზე ღლის განმავლობაში არავინ გამოჩენილა, მაგრამ გვიან დამატებამდე მაინც იმედი გვქონდა და არ ვიძინებდით.

23 ივლისი. პარასკევი.

19 რიცხვში, საღამოს მე და ჯოკამ კიდევ ერთი მოზრდილი, შეიღწლიანი ვაცი მოვინადირეთ. ერთი დაქრილი ბებერი ვაცი ხეობის სათავეში გამეჩქა და ტყვია ველარ დავაწიე.

შემდეგ დილას ადრიანად, სანამ მზე ამოვიდოდა (ხორცის ჩახურებამდე უნდა მოგვესწრო), მე და ჯოკია ზურგჩანთებით წავედით. მზე რომ ამოვიდა, ხორცი უკვე ჩამოტანილი გვექონდა. რაღაც სუსტად ვგრძნობდა თავს, მოთვითლი ვიყავი. თავი მებრუნდა და ძლიერძლივით მივებნარე ჯოკიას ხორცის დაბინძვებაში. ძლიერ მივალასადი კარვამდე და დავეგდე. მე ფუსფუსში საღაც დავკარგე ირმის რქის მიწვეული მუნღშტეკი და ამან საბოლოოდ მომწალა.

შემდეგი დღეც მღორედ გავიდა. ვაცის თავი საფიტულედ გავატყავე, ტყავი გავჭიმე, გავასუფთავე, დავამაჩილე. თავის ქალაც გავასუფთავე, ვამოეხარშე და მზეზე გასასმობად დავდე. ხორცი მოეხარშეთ. ბულიონი დაფნის ფოთლით, სხვადასხვა სუნელითა და ნიორით შევანელები. ბულიონს პურის მაგივრად მშრალი ხორცი შევატანეთ.

უკვე გეგმიტრებს ვივის დავიანება. ამ სა-
ლამოს გადაწყდა, რომ კოსტა და ჯოკია წავლენ
ზევით, „ლივის“ მყინვარზე. იქ რაცია აქვთ და
ბრეველსკთან კავშირი, ეცოდინებოდა მდგომარე-
ობაში. კოსტა მეორე დღესვე აპირებს ჩამო-
ბრუნებას. ჯოკია კი იქ დარჩება. მეექვსეა, რომ
კოსტამ მეორე დღესვე შესძლოს დაბრუნება.
„ლივის“ ბანაკამდე სამოცი კილომეტრია გა-
სავლელი დახეობილ მყინვარზე. ერთ დღეში
ასვლაც მშობი დატვირთული და დაუსვენებელი
უკან წამოსვლა ძალიან ძნელი იქნება.

ლაშის ოთხ საათზე ავღეჭი. ცეცხლი დავან-
თე, ჩაი ავადულე და გავაღვიძე ჭოკია და კოს-
ტა. მათ თითო ფინჯანი ჩაი გავაყლაპეს და
სწრაფად წავიდნენ. მე აღარ დამეძინა. გათე-
ნებისას ყარაბილი ავიყიდე და მაიბულაიკის ქე-
ლისაკენ წავიდო.

შუა აღმართზე ასეღისას ჰაერი გაღურჯდა. თენდებოდა. ინილჩეკის მყინვარის შორეული ყინულიანი მწვერვალები უკვე მკაფიოდ გამოჩნდა — ცივი, მკრთალი, მოყვითალო ფერი დაეღოთ. უცნაურ შუქით აირიან განათებულნი. ჩემს გარშემო კი სიბნელეში, შავად დაგროვებულან უსარმაზარი ნაშლევრებიან გაურყევო სისუფლები. უცებ თავზარდაცემი

პირველი ვნება ტექებზე ნადირობისა დამა-
ყოფილებულია და ზორციც მომარაგებული.
სწორედ დღეს იყო შესაფერისი დრო ულა-
რებზე სანადიროდ. მაგრამ უანგარიშოდ მა-
ინც ყარაბინი ავიცილენ. რადეც ქვეშევრდული
ინტერესი მეწვეა ისევ ტექებისაკენ, ისევ მა-
თი მიკვლევისა და თვალყურის დევნებისაკენ.
ამჯერად მაი-ბულაყის ქედის უმაღლეს მო-
ნაკეთზე გავიდენ. აქედან ზემო ყელში მოვხვ-
ნენ. ეს ყელი მაი-ბულაყის ზევის სათავეში გა-
დადის, უსახელო 5000 მ-იანი მწვერვალის
ჩრდილო კედლიდან ჩამოსული მყინვარის ნას-
თან. ამ მყინვარში იწყება სწორედ მაი-ბულაყის
ნაკალი. ერთი ეკვი მაწულებს და მინდა მისი
გარკვევა, თუმცა იმელი პატარაა.

ყელი მოფენილა ფოლადისფერი, ლურჯი და ყავისფერი ღორღით. ნამსჭრევი სიპეზი ხავსის ვერცხლისფერი ლაქებითაა აპრელებული. ორ-სამჯან კი წერბილი, ხავსის მავჯარი ბალახის ბლუჯები, წვეთისხალა ყვითელი ყვავილებით. ესენი არიან უქანასკნელი და უშაღლესი ყვავილები მთაში და არა ედელვეისები, როგორც ლეგენდებშია ცნობილი. ედელვეისი ქვემოთ, ჩვენი ბანაის გარშემო უამრავი იზრდება. ყოველდღე ფეხით ვთელავ, თუ გინდა ვერა აბალახე.

ყელი გაიარე. მარცხნივ გაუხვიე და მი-
ბულაყის კეხის გუმბათზე გამოვედი. პირდა-
პირ, სარი-ჯაზის ქედს გადაღმა უზარმაზარ
სივრცეზე გაიხსნა უცხო, საყვირელო, წითელი
მთიანეთი, ლურჯი ყინულებით თავჩამოჩეხი-
ლი მწვერვალებით.

მზე ამოვიდა და მაშინვე დაცხა. გუმბათის შავი და ყავისფერი ნაშალით მოფენილი მოედანი უდაბნოსავით მშრალი და შიშველი იყო და უცნაურად ჩანდა ამ უდაბნოს გადაღმა ჩრდილო ჩაკიდებული უფსკრულები და ცაში აზიდულნი, ყინულებით დაჭორბილი, დაკბილული ქედები.

გარინდებულ ლურჯ ჰაერში დაკარგული, შორეული წიფწივით გადაიფრთხილა ალბიური წითელი მეფეტვეების გუნდმა და საღვაც ჩაიძირა. უღანნოს მორკალულ ჰორიზონტზე ხანდახან ლანდების თეატრის ფიგურებივით ამოიწოვოდნენ ხოლმე გუშაგი ულარების სილუეტები და შემდეგ ისმოდა შემოთოთებული გაღატაკეები.

ვაჟა გიგაუვილი
ნადირობა ჩონ-ტაუში



ერთხანს სარი-ჯანის ქედის ნაშალებზე გავ-
ლულ ტუჩების ბილიკებს დავეყვებოდი თვა-
ლით, ვცდილობდი რაიმე კანონზომიერება შე-
მიგონა მათს დაბურღულ ქსელში. ერთ-ერთ
ბილიკზე ვაცვების დიდი ჯოგი შევნიშნე. ეტყო-
ბოდა, ბალახობა დაამთავრეს და ახლა აუჩ-
ქარებლად, სვენებ-სვენებით აღიოდნენ კლდის
სიმაგრეებისავე.

დიდხანს ვუთვალთვალებდი ტუჩებს — მოყ-
ვითალო წერტილები ლილისფერ ნაყარზე. მათ
კლდეებამდე აღწეის, კარგახანს გაშეშებულე-
ბი იდგნენ. მერე ნელ-ნელა შეიკრიბნენ ქიუ-
სებში. ალბათ დასაწოლი ადგილები შეარჩიეს.
სამი ბებერი ვაცი კი ღია კლდეზე დარჩა წა-
მოწოლილი. მათი გრძელი რქები მოღუწული
ხმლებივით მკაფიოდ მოჩანდა იისფერ ცაზე.

ხეობაში ჩავეშვი, მყინვარის ენასთან გავი-
არე და გაღმა ფერდობზე გავედი. აქ ვიწროვ-
ლება და ილევა ტუჩების საბალახო მწვანე
ნაგლეჯები, ზემოთ მხოლოდ ღორღია და ყი-
ნულის დიდი გუმბათი.

წინა ნაღირობის შემდეგ არ მასვენებდა
ფიქრი გაქცეულ ბებერ ტუჩზე, რომელიც დაჭ-
რილი მომეჩვენა. რა თქმა უნდა, დარწმუნებით
არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, მაგრამ სულ
გულს მეთანადრებოდა და მქონდა უსიამოვნო
გრძნობა: თითქოს რაღაც გავაფუჭე.

ახლა სწორედ ამ ეჭვის შემოწმებას ვაპი-
რებდი, თუმცა თითქმის არავითარი იმედი არ
მქონდა, რომ რამეს გავარკვევდი, ანდა ცვალს
მაინც ვნახავდი.

უპირველეს ყოვლისა, დავეჭი და დაწვრი-
ლებით გავსინჯე ყინვარის გვერდის კულუარი
და მის ზემოთ კლდეები. ვერაფერი საგულისხ-
მო ვერ შევამჩნიე და ნელა გავყვეი ფერდს
ქვემოთენ, იმ მიმდევრისაკენ, საიდანაც გამო-
იქცნენ ტუჩები. ფერდობი ციცაბო იყო და
ძნელი სასიარულო. მოძრაობას ისევ თვითონ
ტუჩების ნარბეხი ბილიკი აადვილებდა. გავე-
დი დაახლოებით იმ ადგილზე, სადაც ვაცი
იმყოფებოდა ბოლო სროლის წაშში. არსად
სისხლის კვალი არ შემინიშნავს. არც მქონდა
მაინცადამიანი იმედი, რომ საერთოდ გვაი-
ჩევდი სამი დღის გამხმარ წვეთებს ნაშალში.

გამოვბრუნდი და ისევ სათავისაკენ შევეყევი.
ბილიკმა მყინვარის გვერდის კულუარის ზედა
კიდეზე გამოიყვანა და ციცაბოს შეეკიდა. ბევრ
ადგილას გაწყვეტილი იყო გვერდიდან ჩამო-
სული ღრმა ხრამები. ამ ხრამებზე ტუჩები
ალბათ შეუჩერებლად ტბებოდნენ, მე კი რა
თქმა უნდა, ვერ ვტბებოდი და თითოეული
მათვანის გადასალახავად თხუთმეტრი-ოცი წუ-
თი დამატული ფორთხვა მიხდებოდა.

ჩუბტად დავთქვი, გავყოლოდი ამ ბილიკს,
სანამ შევძლებდი. ბილიკმა უცებ ზემოთენ
აუხვია და კლდეებს შეეპოტინა. მოძრაობა გა-
ჭირდა. სწორედ აქ წავაწყდი სიმაზე გასმულ
შავ ზოლს. ფრჩხილით მოვფხიკე ქეიდან. გამხ-

მარი სისხლი იყო. ისევ ზემოთ წავედი, ნატუ-
რი არა ჩანდა. თავს ვირწმუნებდი, რომ
ტალღზე კვალი არ დაემჩნა. ორმოცდაათი
მეტრით ავიწიე კლდეებში, მაგრამ არც კლდე-
ზე, არც ღორღში, არსად ეტყობოდა ნავალი
და სისხლი.

აქ თვალში მომხვდა ერთი საყურადღებო
ამბავი: ჩემს ზემოთ დაკიდებულ აგურისფერ
ნაშალებზე კეხის კლდეებამდე არსად ჩანდა
ტუჩების ბილიკის არც ერთი ძაფი. ქვემოთ ჩაე-
საფრდი და ეს ნაშალები დაწვრილებით შე-
ვამოწმე ბინოკლში. ზემოთ კეხი უხვევდა და
მორკალული მკლავივით უერთდებოდა უსახე-
ლო ხუთიათასიან მწვერვალს. ამ რკალში იყო
მომწყვედელი მაი-ბულაკის სათავის გუმბა-
თივით ამობურღული ყინვარი. ყინვარის თავ-
ზე კეხი უცებ იცვლიდა ფერს: აქ მთელი ქე-
დი მოღურჯო-შავი ნაშალისა და მთლად შავი
კლდეებისაგან შესდგებოდა. რუქის მიხედვით
ვიცოდი, რომ ამ ქედს გაღაღმა მდებარეობს
მაღალი მყინვარების რთული სისტემა, რომ-
ლის ერთ-ერთი ენა ტიუზის ვიწრო ხეობის სა-
თავეებში ჩადის და მდინარე ტიუზს ჰკვებავს.
აქ არა ჩანდა არც ერთი ძაფი ტუჩების ნავა-
ლისა და ეს მაშინვე თვალში მოსახვედრი იყო,
რადგან ნაშალებში მკაფიოდ ჩაქსელილი ბილი-
კების ნახაზი თვალისათვის უკვე მიჩვეულ,
ლანდშაფტის ორგანულ ნაწილად იყო ქცე-
ული.

ცხადია, ტუჩები აქეთ არ დადიან. აქეთ მხო-
ლოდ უკიდურესი შევიწროებისას შეიძლება წა-
მოვიდეს ჯოგი თავის შესაფარებლად. ამ მი-
მდებრში ტუჩების წლები განმავლობაში არა-
ვინ აწუხებს და როგორც ჩანს, დავიწყებული
აქეთ, ან საერთოდ არც იციან ეს მხარე და
ერთი დაძვლებული ბილიკიც კი არა სჭრის
ამ მკვდარ ფერდობებს.

ზემოთ ასვლას არა ალარა ჰქონდა და და-
ვიწყე უკანვე ჩაშვება. სისხლიან კლდესთან
დავეჭი და ისევ ბინოკლში დავიწყე გულდას-
მით შესწავლა გამოვლილი ბილიკისა, გვერ-
დითი კულუარის ქაოტურად დახორავებული
ლოდებისა და თვითონ ყინვარის ყვითელი და
მურა ზოლებით აჭრელებული ზედაპირისაც.

უცებ, იმ ადგილას, სადაც ჩემს გვერდით ჩა-
მავალი ხრამი ყინვარის კულუარს უერთდებო-
და, დავინახე ლოდებში ჩაჩხერილი დიდი რქე-
ბი.

საჩქაროდ დავეშვი ქვემოთენ. რქები შე-
იძლება ზამთარში, ზეავეში დაღუპული ვაცი-
საც ყოფილიყო. ზეავეთ ჩამოტანილი ტუჩების
ნარჩენები ზოგჯერ მხედება ხოლმე გვერდითი
ხეების ძირებში შლამში და ქვა-ღორღში
არეული.

შუა გზიდანვე გარკვევით შევამჩნიე, რომ
რქები ახალი და მთელი იყო, მაგრამ საბო-
ლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა ზედ წაე-
დქი ლოდებში გაჩხერილ გაშეშებულ სხეულს.

ეს ჩვენგან გაქცეული დაპირილი დიდი ვაცი იყო. ყორნებსა თუ მებატენებს უკვე ემუშავნათ: მუტეილი და ხერხემალი მთლად გადაიჭივნოდა. მაინც მოვნახე პრაილოები: ერთი ფერდში, ბეჭიდან ერთ მტკაველზე და მეორე ბარკალში, მენჯთან შესული და ირიბად გასული მარცხენა ნეკნებში.

საკვირველია, რატომ მიატოვეს ფრინველებმა. მათ, რომ აქ ეტრიალებ, ამ ხეობაში გადმოსვლისთანავე აღმოვაჩენდი მის ადგილსამყოფელს.

ვაის ტყისათვის ცოტა უჩვეულო, ოღონდ გვერდებზე გადაშლილი და გადაგრეხილი რქები ჰქონდა. რქებზე — ჩვილმეტი კორძი. წლოვანების ქდეები კი თურთმეტი. თურთმეტ-წლიანი ვაცისათვის არც თუ ისე მსხვილი იყო. ოღონდ აღემატებოდა იმდღევანდელ შვილ-წლიანს.

დღებთან აღარ დავყოვნებულვარ. თავი მოვაჭერი, ავიცილე იმეითი ნადავლი და ყელის აღმართს შევეუდექი.

ბანაკში რომ დავბრუნდი, ჭერ დღის პირველი საათი იყო. მოწმენდილი მზიანი დარი იდგა და გადაეწყვიტე კარვის მოწესრიგება. ყველაფერი გარეთ გამოვყარე გასამუშაურებლად. კარავი გამოვავე და გამოვფერთხე. ამ ფაცა-ფუცში კარვის შესასვლელთან დაგებული სიბების ქვეშ დაკარგული მუნღშტუკი აღმოვაჩინე. „როგორც ჩანს, დღეს სიურპრიზების დღეა, ალბათ გასამდებია“, — გავიფიქრე გახარებულმა.

მერე ცეცხლი დავანთე და ხორცი შევკიდე მოსაზარშად. მდინარეში ვიბანავე და საღილის მოლოდინში მიშველი ვიჭექე მცხუნვარე მზეზე.

ვუყურებდი, როგორ ჩაშავდა და დაითალხა ხეობა ქვემოთკენ — დასავლეთისაკენ, მაი-დადირის თავზე იქ, სადაც მესაზღვრეების საგუშაგოა. იქამდე ორმოცი კილომეტრია და უკვე ვიცოდი, რომ ერთ საათში ეს ღრუბელი აქ ამოაღწევს. წამოწვიმს და ზეითიკენ წავა. იწილჩეკის მყინვარის სათავეებში ჩაიტენება, ჩააბნელებს იქაურობას, მათთვის და მერე სადღაც გადაიკარგება. ეს ციკლი ყოველდღე, ერთნაირად, რამდენჯერმე მეორდება და განათების ცვლასთან ერთად უცნაურად იცვლება ახლობელი და შორეული მთიანეთების შეფერილობაც.

მაიდადირის მხარის ლოშისფერი და მარჯნისფერი მთები მუქ ყავისფერ და მრუმე ლურჯ ფერს იკარვენ, ზოგჯერ სულ ჩაშავდებიან. როცა ღრუბელი აქ მოატანს, აბნელებს და აციფებს გარშემო ქედებს. ნანსენის ბიკი იმალება, მისი მყინვარები ჭექყიან, რუხ ფერს იმალებენ. აქა-იქ შემორჩენილი ტიანშანური ნაძვის ჩუღუფები ჩაშავდებიან. გამოძმა, მი-ბუღუკის ქედის ქვიშისფერი და აგურისფერი ტონები მგლისფერსა და ფოლადისფერში გა-

დადიან. ქანგისფერი კლდე-ლოდებით მოფენილი ტერასა, რომელიც მზეზე მწითურ ლაქებშიან ხალიჩასავით ანთია, ტალახისფერ-მწვანე და ამ ღროს აღმოსავლეთით, იწილჩეკის სათავეს ყინულოვანი მთიანეთი, მოკრიალებული, ლილისფერი ცის ფონზე იწყებს უცნაური ფერებით ციგს. ღრუბლების მოძრაობასთან ერთად ერთმანეთს ცვლიან ლიმონისფერი, მკრთალი ღვინისფერი, მეწყამული წითელი და ვარვარა სპილენძისფერი. მერე ეს თვალისმომკრე-ლი ფერია ჭრება და მტუტისფერი, ვერცხლის-ფერი და ბინდიანი იისფერი ისადგურებს. ამ ღროს აქ, ჩონ-ტაშში კი ისევ ჭიატობს მზე და გარემო ისევ ფერადდება.

ღრუბლის მოახლოებამდე ყველაფერი უკანვე შევალავ კარავში. უკვე მოხარშული, შენე-ლებული წვენი, მშრალი ხორცი და სამი კბი-ლი ნიორიც კარავში შევაწყვე და სასადილოდ მოვიწყვე. სოფელი უკვე წვიმის ბრაგაბრუვის ქვეშ მიმდინარეობდა. მერე თამბაქო გავაბო-ლი და ეტკებოდრი კარვის კართან წამოდგმუ-ლი დღევანდელი ნადავლის თვალისთვის.

წვიმა შენედა და გაჩერდა. ღრუბელი გა-ნაგრძობდა მყინვარის თავზე მგზავრობას. უცებ, ლოდებიანი ტერასიდან მჭახე სტვენა მოისმა. ამ ტერასებზე ზაზუნების რამდენიმე დასახ-ლება იყო და ისინი უსტვენდნენ. სტვენა არ წყდებოდა და საგუშაგოდან საგუშაგოს გადა-ეცემოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ტერასზე ვი-ლაც მოძრაობდა. ზაზუნები ვილაც ხედვდ-ნენ და ერთმანეთს სავანავაშო სიგნალებს გა-დასცემდნენ. კარვიდან გამოვძვერი და ტერა-სები ბინოკლში დავზვერი. ვერაფერი შევნიშ-ნე და ისევ კარავში წამოვწყვი. სტვენა არ წყდებოდა და თანდათან ჩემკენ ინაცვლებდა. ასე გავიდა ათი წუთი. ისევ გამოვედი კარ-ვიდან და ზემოთ ლოდებში ცხენოსანი დავი-ნახე.

პირველად ვიფიქრე, რომ გივი მოდის და ეს მოწინავე მეჭარბენა-მეთქი, მაგრამ ის უკვე ველზე ჩამოვიდა და ტერასაზე კი ჭერ ისევ არავინ ჩანდა. ზაზუნებიც დაწყნარდნენ. ესე იგი, უკან არავინ მოჰყვებოდა.

ცხენოსანს მხარზე „გაკო“ ეკიდა. მომიახ-ლოვდა, ცხენიდან ჩამოხტა და მომესალმა. ვკითხე, გივის ქარავანს ხომ არ მოჰყვები-მეთქი. მან შეკითხვა ვერ გაიგო და დაბნეული ღიმილით შემომაჩერდა. მაღალი, ხემლი, სასი-ამოვნო სახის ახალგაზრდა ყირგოზი იყო. მე ჭერ ვერ მომეცილებინა ოღონდ დაღარაჯებუ-ლი განწყობილება: „გივ უნდა იყოს?..“ (სა-ზაზღვრო ტერიტორიაა და მესაზღვრეებმა გაგ-ვაფრთხილეს და გვიამბეს ჩინელების წვრილ-მან პროფესიაციებზე ამ რაიონში), ფხიშლად გა-

ვახა გიგაშვილი

ნადირობა ჩონ-ტაშში

დევნებდი თვალს მისი ხელის ყოველ მოძრაობას. თვითონ კი ვცდილობდი კარვის ნაპირში დაღებულ ყარაბინს გაშლილი ხელის მანძილზე მეტად არ დავშორებოდი. იმედია, სტუმარს არ შეუმჩნევია ეს ჩემი მზად ყოფნა, მაგრამ მაინც მერე კარგახანს ვერ მოვიშორე ამისაგან დარჩენილი უსიამოვნო სირცხვილის გრძნობა.

დამტრეული რუსულით ამიხსნა, რომ ის აქაური მწყემსია, რისკელი მუჟანოვი. ინილჩეის ღინებაზე, ოცი კილომეტრით ქვევით, ერთი კლდინი კონცხი მოჩანს, მდინარის კალაპოტში ღრმად შეჭრილი, სწორედ იმ კონცხის უკან ყოფილა მისი ფერმა.

ისევ დაიწყო ცრა. კარავში მოვთავსდით და თამბაქო ვაგებოლეთ. რისკელი პირველ რიგში ამ რაიონის ქედების სქემატური რუქით დაინტერესდა, რომელიც ძირს მქონდა გაშლილი (სწორედ მისი მოსვლის წინ ვათავლიერებდი), თითი კანდის* ხეობაზე შეაჩერა და მთხზრა, რომ ეს არის ცნობილი მდიდარი სირტი და იქ იყო ბასმაჩების უკანასკნელი თავშესაფარი. სირტებს აქ უძახიან გეოგრაფიულად ცოტა თავისებურ ხეობებს. წარმოიდგინეთ ყველა მხრიდან მიუვალი, 5000 მ-იანი და მეტი სიმაღლის ქედებით შემოზღუდული ხეობა, რომელშიც მოხვედრა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ძნელად მისაგნები და სახიფათო უღელტეხილიდან. გადახვალ ამ უღელტეხილს და ქვემოთ, სიღრმეში აღმოჩნდება ფართოდ გაშლილი, მდიდარი საძოვრები და სათესი მიწები.

ეს რან-ტაშშიც თურმე სირტად ითვლება, თუმცა ნათესებისათვის მაღლა მდებარეობს (3400 მ ზღვის დონიდან), მაგრამ ზამთრის საძოვრებად იდეალური ყოფილა. ზამთარში აქ თურმე +11 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის ტემპერატურა. თოვლსაც მხოლოდ ქედებზე დევს. მყინვარიდან გამოივლია ნაკადები კი იწრიტება (წყდება დნობა) და შესაძლებელი ხდება გაღმა ნაპირზე სიარული ნაძვის კორომებში შეშის მოსაჭერლად.

ბასმაჩების მთელ შუა აზიაში საბოლოოდ განადგურების შემდეგაც მათი ერთი ჯგუფი კანდის სირტში მრავალი წლის განმავლობაში აფარებდა თავს. თანა ჰყავდათ თავიანთი ყმები და ჯოგები. ჰქონდათ ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციები. ოპიუმი ჩინეთში გაჰქონდათ გასაყიდად. ბოლოს, როცა მიაგნეს, ზოგი შეტყუებაში დაიხილა, ზოგმა ჩინეთში გაასწრო. კანდიში დარჩენე ყმობისაგან განთავისუფლებული მწყემსები და გლეხები.

რქები მოათვლიერა, გაიღმა და თქვა: ვიცი, რისთვისაც გინდათ ეს რქები. ჯარში სამ-

* კანდი — მდ. სარი-ჯაზის ერთ-ერთი შენაკადი. მიედინება ინილჩეის ხეობის თითქმის პარალელურად და სარი-ჯაზს ერთვის ინილჩეის შესართავის ცოტა ქვემოთ.

სახურისას ორგანიკიქში მოვხვდი, იქა გარდა, როგორც სეაშენ ამ რქებიდან ღვინოს მარაგები და ოსებიო.

თვითონ ყირგიზ მონადირეებს კი წესადა აქვთ, რომ მოკლულ ვაცს თავსა სურთან და აგდებენ, როგორც ზედმეტ ბარგს. რქებისადმი ინტერესი მათთვის გაუგებარია.

ზორციტ, საირას კონსერვითა და ჟოლოს სიარფიანი ჩაით გავუმასპინძლდი. უპურობა არ გაჰკვირვებია. ესენი მიჩვეული არიან ცარიელი ზორცის ჰამას, პურს ძალიან ცოტას ხმარობენ — მეჯოგე ხალხის ტიპური თვისებაა.

შემდეგ რისკელი მიამბობდა თავის ცხოვრებაზე. პრეველსკში სახლი ჰქონია, მაგრამ თითქმის მუდამ გაქირავებული აქვს, რადგან ნაკლებად უხდება ქალაქში ყოფნა. ცოლი და ოთხი წლის ბიჭიც აქა ჰყოლია. „კოშის“* გვერდზე საბოსტნე მიწაც არის, ქათმებსაც აშენებენ და კვერცხიც ბლომადა აქვთ. ზორცად, ცხვრის სულადობის ეკონომისათვის კურდღლებზე ნადირობენ თურმე. ისინი უამრავია და პირდაპირ ჩვენს ბოსტანში ენადირობთ — თქვა რისკელიმ. (კურდღლის მართლაც საკვირველ სიმრავლეში მეც კარგახანია დავრწმუნდი: ტერასებზე სიარულისას ყოველ ნაბიჯზე მხვდებიან. დილაობით კი პირდაპირ კარავიდან ვუყურებ ხოლმე, როგორ დახტან და თამბაქოვნე ზემო ლოდებში).

ძირითადი საქონელი ცხვარია. ჰყოლიათ რამდენიმე სული იაკი* (აზავერი). „წინათ ბევრი იაკები გვყავდა, მაგრამ ამ ათი წლის წინათ იყო „ბრძანება“ მათი მთელი სულადობის ხორცად ჩაბარებისა. რამდენიმე ცალი დარჩა და ახლა გვინდა ისევ მოვაშენოთ“.

ზოგჯერ ვაცებზედაც ნადირობენ, მაგრამ ეს

* კოში — ცხვრის ბინა.

* იაკი — ცენტრალური აზიის მაღალი მთიანეთების დამახასიათებელი გარეული ხარის ჯიში. გრძელრქებიანი და გრძელმეწვიანი. ამჟამად მხოლოდ მოშინაურებული სახით არსებობს. წინათ კი ველურ ჯოგებად დაეხეტებოდნენ ძნელადმისადგომ ალპურ ზეგნებსა და მყინვარებზე. მათვე ნადირობა აღწერილი აქვს პრეველსკის და მის მიერ მოპოვებული გიგანტური ეგზემპლარის ფიტული მოსკოვის უნივერსიტეტის ზოოლოგიურ მუზეუმში ინახება. (გერცენის ქ. № 4); ძალიან სარგებლოანი ცხოველია. მთელი წლის განმავლობაში თვითონ პოულობს საკვებს. დიდი რაოდენობით იძლევა მაღალხარისხიან ცხიმთან რძეს და იაფმატყლს. ამის გარდა იყენებენ, როგორც მზიდავ ცხოველს. ძალიან ძლიერი, ძალიან გამძლე და საოცრად მცირეს მომთხოვნია, თავისუფლად მოძრაობს ტერიტორიან დიდ სიმაღლეებზე (6000 მ-მდე) და რთულ გეოგრაფიულ, სადაც ცხენისათვის მოძრაობა შეუძლებელია. იხმარება მისი ხორციც.



ნადირობა მხოლოდ შემთხვევითია. ამათ მცირეალობიანი შაშხანები აქვთ, 5, 6 მმ-იანი („გვეკობები“). ასეთი სუსტი იარაღით კი იშვიათად მიუღდება ტექეს მოსაკლავად.

დიდხანს ვისაუბრეთ. უმთავრესად ის ლაპარაკობდა, მე ვეკითხებოდი, რისკვლი კი დაწერილებით და საინტერესოდ მპასუხობდა. ბევრი რამე მიაბმო თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, მათ ეროვნულ გმირ მანასზე, ყირგიზეთის გასაბჭოებაზე, ბასმაჩებთან ბრძოლებზე.

„ყოველი ყირგიზი, — ამბობდა რისკვლი, — ფეხის აღდგომიდან სამ რამეს ეჩვევა: ცხენზე ჯდომას, დანის ხმარებასა და კეცებით ჩხუბს. თუ ყირგიზი დანას არ ატარებდა, კაცად არ ჩათვლებოდა. ჩვენთან ბავშვებიც უკვე დანებით ჩხუბობენ. ბავშვობაში სამჯერა ვარ დაჭრილი დანით. ახლა დიდი დანის ტარება აკრძალულია, მაგრამ დასაკეცი დანა მაინც ყველასა აქვს“. (გამახსენდა კაცკასიური წესი: უსატევრო კაცი ქალაქიდან ითვლებოდა, რადგან. უიარაღობა ნიშნავდა კაპიტულიცის, თავდაცვაზე ლაპარაკს უარის თქმას და მტრისადმი მორჩილებას).

კარგახანს მიაბმობდა ყირგიზულ ცხენებზე, ცხენოსნობაზე. მერე ძაღლებზე და ძაღლებით ნადირობაზე, ძაღლების ორთაბრძოლებზე. ეს ძაღლების ბრძოლები მთელ შუა აზიაში და აზერბაიჯანშიაც გავრცელებული გართობაა. გროვდება ბევრი ხალხი და დიდი სანადიროებიც იდება.

ბოლოს გადავიდა ყველაზე „მახლობელ თემაზე“: დაუწყვე გამოკითხვა აქაური ნადირფრინველის შესახებ.

როგორც რისკვლიმ თქვა, მტაცებლებიდან ამ მთებში მხოლოდ დათვი და ირბისი ყოფილა. მგელი ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება. დათვს ხანდახან ზედბოდნენ ხოლმე გაღმა ნაპირის ნაძვის ტყეებში, მაგრამ ბოლო სამი წელია აღარავის უნახავს. ირბისი კი ახლაც ბევრიაო. ამ ცნობამ გამაყვირდა, რადგან აქ ყოფნის მანძილზე არც თვალი მომიკრავს, არც კვალი მინახავს და არც მისი ნანადირევის ნარჩენი.

ქედს გადაღმა, სარი-ჯაზის ხეობაში არის არხარები*. ტყეებში ტახებია. ამ ხეობაში კი მხოლოდ ტეკა. არხარს არ უყვარს ასეთი მიუვალი კლდეები. ის უფრო გაშლილ, უდაბნო მთებში ცხოვრობს.

ზოოცენტრის პუნქტები ყიდულობენ თითქმის ყველაწარი დაჭერილ ნადირ-ფრინველს. „კეკელიდან** დაწყებული და ირბისით გათავებული. მაგრამ ყველაზე ძნელი დასაჭერი

თვითონ ირბისზედაც კი, ბერკუტია* მხოლოდ უბნება.

მერე მიაბმო ბერკუტის დაჭერის, მისი გაფრთხისა და მელეხსა და მგლებზე ნადირობის წესებზე.

„...მაგრამ ყველაზე ძვირად ირბისი ფასობს და მეტი მოთხოვნაც მასზეაო...“ — თქვა რისკვლიმ:

ეს მე უკვე ვიცოდი. ირბისი ჯიქის ულაშხისი სახეობაა და მხოლოდ შუააზიის მთებში, ტიან-შანსა და პამირში ცხოვრობს. მსოფლიოს ყველა ზოობარკი სიხარულით იხდის ოქროს სოლიდურ რაოდენობას მის ჯანმრთელ, საღ ვეზეშლარში. აქეთ მგზავრობისას, ინილჩეკის პატარა დასახლებაში, გაეცანით ხნიერი პროფესიონალი მონადირე ივან ბრატკო. ის ყოველ სეზონში ექვს-შვიდ ჯიქს იჭერს. ზოგსაც ყირგიზი მწყემსი მონადირეებისაგან იბარებს და ჩაჰყავს ფრუნჯეს ზოოცენტრში. იმჟამადც ჰყავდა ერთი მშვენიერი ირბისი ხის ძარაში გასამგზავრებლად გამზადებული. არაყზე დაეპატე. სიამოვნებით წამომყვა. კარგახანს ვისაუბრეთ. მიაბმო, როგორ პოულობს ირბისის ბილიებს, როგორ არჩევს ხაფანგის დასაგებ ადგილს და შემდეგ როგორ ბოჭავს ზაფანგში გაბმულს. საშინელი ტრაბახა გამოდგა. ეს თავის ქება მით უფრო უსიამოვნო და უადგილო იყო, რომ მისი საქმიანობის ისედაც საინტერესო და უჩვეულო ამბებს შეუფარდება აღარ სჭირდებოდა.

მე ვკითხე, იქნებ ირბისის ტყავის ყიდვით მოხერხდეს-მეთქი. მიპასუხა, რომ თითქმის არ მოხერხდება, რადგან ცოცხალი, დაუზიანებელი ირბისი სამასი მანეთი ღირს, მკვდარი კი არაფერი — მოკვლისათვის სასჯელია, ამიტომ ყველა დამჭერი განსაკუთრებით უფრთხილდება მათ. ერთი მოტეხილი ბრჭყალი, ან დაზიანებული ბეწვიც კი ფასს აკლებს. რამდენიმე წელია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ირბისი დაგვლუპებოდეს, ან მოგვეკლასო.

დამშვიდობებისას ერთმანეთს მისამართებდა გავუცვალეთ თობისსა და ფრუნჯეში. მან ეშმაკურად შემომხედა და მითხრა:

„სახლის მისამართს არ მოგცემ. აი, ფრუნჯეს ზოოცენტრის მისამართი. იქ მივითხე. სახლში ახლაგზარდა ცოლი მყავს. ლამაზი გოგაო. მე მთელი წელი თითქმის მთებში ვარ. იქნებ ისეთ ღროს მიხვიდე, მე შინ არ ვიქნე. შეუჩნდება და მეტი კი არ უნდა, მოწყენილია...“

გამეცინა: „ჩემს მეტი აღარავინ შეუჩნდება, თუ მასეა?...“

* ბერკუტი — მთის არწივის შუაზიური სახელწოდება.

მასა ზიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშვი

* არხარი — მთის გარეული ცხვარი, ძალიან დიდი ტანის. 200 კგ-მდე აღწევს.

** კეკელი — კაცის აზიური სახელწოდება.

„ჰოდა, ისინიც ეყოფა, რაღა ჩემი ხელით გაუფუგავნოს!“

კარგად ყოფილა საქმე-მეთქი, წავიბურტყუნე და დავემშვიდობე.

რისკელდის ვკითხე: „არ გიშლიან ტყეების შოკელას? მათზე ნადირობა ხომ მხოლოდ ლიეცენიითაა ნებადართული?“

„აქა არავინაა არც დამშლელი და არც შემომწმებელი. აქ ძალიან ბევრი ტყეა და ძალიან უდაბური ადგილებიც. აქ ნადირობა ბუნებრივია და საკირო“. მერე გამიზიარა ნადირობის საკუთარი, თავისებური „თეორია“.

„ტყეები იზადებიან, ცხოვრობენ, მრავლდებიან. მერე?.. მერე ჩვენ ლოვინში ვკვდებით, იმით კი ან ირბისი ჰკლავს, ანდა მონადირე. როცა ირბისი და მონადირე ცოტა და ტყეები ბევრი, ხდება ისე, რომ ზოგი ტყე სიბერისა, სისუსტისა და ავადმყოფობისაგან იხოცება და ტყუილად იკარგება ზევასა და შლამში. განა არა სჯობია, ის ტყე ირბისს ან მონადირეს დარჩეს?.. ირბისისა და მონადირის არსებობაც ხომ კარგია და ბუნებრივი, ისევე, როგორც ტყეებისა?.. გარდა ამისა, ტყეებს რომ არც მონადირე დასდევდეს და არც ირბისი, ტყობასაც დაკარგავდნენ. ასეთ შემთხვევაში ისინი თანდათან დუნდებიან, უჭიშვოდებიან. მრავლდებიან ავადმყოფებიც და მაჩინებიც. აი, ხალხი ნახე: მათ არც არავინ დასდევს და არც არავინ აიძულებს ირბინოს. კაცმა უნდა იმუშაოს, რომ საქმელი იშოვნოს. ზოგი კი ისე ადვილად შოულობს ბევრ საქმელს, რომ ადგილიდანაც არ იძვრის. მერე რა ვამოდის?.. ტანზე ხორცის მაგივრად ქონი უდებათ, თავის ლეშს თვითონ ვეღარ ათრევენ, გულეში უსკდებენ, სისხლიც უფუჭდებთ... ასე მოუვთ ტყეებსაც...“

გულიანად გადავიხარხარე ამ მარტივ, მაგრამ ჭეშმარიტ ფილოსოფიაზე. რისკელდომ დაეკევიბით შემომხედა: „რა, ტყუილს ვამბობ?! — მკითხა.

„სწორს ამბობ. მაგრამ სულ უფრო ცოტა და ცოტა რჩება ისეთი ადგილები, რომელსაც შენი ნათქვამი უდგება!“ — ეუთხარი მე.

„მე სხვა საქმეა. ეგ სულ სხვა საქმეა, როცა ნადირი ცოტაა, მონადირე კი ბევრი და ხარბი...“ — თქვა რისკელდომ და მოღუშული დაეფიქრა.

„აქაც ხდებოდა ხოლმე ეგეთი ამბავი — ვანაგრო მან, — აქ, მაი-ბულაქის ქვემო დინებაზე, ერთი ადგილია „ტყეების ტომარა“ ჰქვია. იქნებ ვინახავს კიდეც?..“ — შემომხედა მან.

მე უარის ნიშნად თავი გავაქნიე და ვანაგრო: „მაი-ბულაქის კალაპოტს ერთ ადგილას ჯებირებით ჰკეტავს მაღალი კლდე. წყალი მის ქვეშ გვირაბში გადის. ხეობა აქ დიდ ორმოსავითაა. ზამთრობით, როცა ტყეები დაბ-

ლა ჩამოდინან, ამ ორმოსი შერეკავდნენ ხოლმე დიდი ალყით ჯოგებს და შიგ ჩახოცდნენ მათი ბასმაჩების დროიდან ცნობილი სანადირო ორმოსი — „ტყეების ტომარა“ — „ტყეების სასაფლაო“. აქ იმარავებდნენ ხოლმე ხორცს გასაჭირში ჩავარდნილი მათი ბანდები. შემდეგაც ხდებოდა ნადირობა. მეზობელი სეობებიდან შეიკრიბებოდნენ ჯგუფები დიდი ალყის შესაკერვლად. უამრავს ხოცავდნენ, რასაც ვერ წაიღებდნენ, აქვე სტოვებდნენ. ბოლო წლებში თანდათან აღიკვეთა ეს ამბავი მესახვარეების წყალობით. გაიარე იმ ხვეში და მივაგნებ იმ „ტომარას“. ნახავ იქ არამდენი ტყე ჰყარია.“

დაღამებამდე კიდევ სამი საათი რჩებოდა, როცა რისკელდი წაეიდა. საშუალო ჩორთით სინათლითვე ჩაასწრებდა თავის „კომშამდე“.

25 ივლისი. კვირა.

წინა საღამოს ამინდი აირია. ძლიერი ქარი ამოვარდა. ქვემოდაც შემორეკა ყომრალი ღრუბლები, ამოტენა და მთლად ჩამოაბნელა ხეობა. სწრაფად დღამდა. დაღა უკუნეთი სიბნელე. დასცოა წვიმა და მერე ეს წვიმა ხორხორხულად გადაიქცა. ვიჯექი ბნელ კარავში ბაიყუშოვით და ვუსმენდი ქარიშხლის ღრიალს. არც სანთელი მქონდა და არც ფანარი, დაძინება კი ძნელი საქმე იყო. კარავს დასავლეთიდან აწყდებოდა ქარიშხლის ტალღა. ერთი კალთა ისე ჩამობურთა, რომ თავზე დამხურა. მეორე პირიქით, გარეთ გაიბერა. კარავი ყველა ფოლაქსა და თასმაზე მქონდა შეკრული და კარგადაც დაჭიმული, მაგრამ ძონძივით ცახცახებდა და ფარფატებდა. ყოველ წუთს ველოდი, რომ მომგლეჯდა. ისეთი ღრიალი და ხრიალი იდგა, თითქმის კლდები ირღევდა და შვაგის ნიაღვარი თავზე გეხორავებოდა. როგორც კი შენელებოდა ქარიშხლის შემოტევა, გასარჩევი ხდებოდა უფრო შორეული ხმები: ხეობიდან მოდიოდა სახარელი კივილი, ჩხავილი და ღმუილი. უცებ ატყდებოდა უცნაური ხორხორი და ჰახაქუხი, მერე მას გულის გამყინავი მოთქმა და სასოწარკვეთილი წივილი სცვლიდა. ხორხორხოლა ისე ურტყამდა კარავში, თითქმის ზედ ცოცხებს უბრაძუნებნო. ქარიშხლის ამოსუნთქვის წამებში უცნაურად ჩაერთვებოდა ხოლმე მდინარის გახელებული ბურტყუნი და ხმაძალდი ოხვრა. კარვის გარშემო აწყვეტილი ზღაპრული ნადირებით დაგლიჯინებდა გრეივლი. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქმის უზარმაზარი ცოცხალი არსება მოძრაობსო. მკაფიოდ ისმოდა, როგორ გაიშლივინებდა ხან კარვის წინ, ხან უკან. ხან კივილი დატრიალდებოდა ზემო ტერასებში. ხან ისევ კარავს დაბედლებოდა შესული ღრიალით და მაშინ ამ გამაყრუებელ ღრიალში ინთქმებოდა ყველა სხვა ხმა.

ვიჯექი დამაბული და ვფიქრობდი კოსტაზე. ვაითუ გზაშია და ვეღარ მოაღწია აქამდე?



ამისთანა ჯოჯოხეთურ ღამეში სრულიად წარმოუდგენელია და უაზრო ყოველგვარი მოძრაობა. ალბათ სადმე ქვეშში შეაფარებს თავს. როგორ გაძლებს დილაამდე მშვიდი და გზით დასუსტებული?..

განსაკუთრებით მაშინებდა ხეობიდან მომავალი გამაყრუებელი ხრიალი და ქაბა-ჰუხი. ვინ იცის, მერცხაზერის ტბამ გამოხეთქა და მისი ნიაღვრები წალეკავენ მთელ რიყს. ვინ იცის, კოსტა სწორედ სადმე მის ნაყადებს შორისაა. ვარაუდით სწორედ ამ დროსათვის გამოაღწევა და მყინვარის ბოლო მორენებში და სადმე რიყში უნდა გადმოდიოდეს.

მერცხაზერის ტბა ინლიჩეის მყინვარზე, ზედ შუა ქედის კიდესთან მდებარეობს. სიგრძით სამ კილომეტრს აღწევს და ძალზე წყალუხვია. ზაფხულობით, ცხელი დღეების შემდეგ, მყინვარის სხეულში დნება ტბის წყალქვეშა საცობები და ნიაღვრები საშინელი სისწრაფით იძვრებიან მყინვარის ქვეშოდან. ასეთ დროს ინლიჩეის მთელი კილომეტრის სიგანე კალაპოტი ივსება და იქაურობა იქცევა ერთ მთლიან კოშმარულ წისქვილად: ნიაღვრებისაგან წამოღებული გოლიათური ლოდების ერთმანეთზე ხეთქება და ტრიალი თვითონ კლდეებსაც ფქვავს და უშმინდეს სილად აქცევს.

საშინლად დაძაბული ვბორბავდი კარავში. რა მექნა, არ ვიცოდი. ასეთ უმწეო მდგომარეობაში არასოდეს მიგრძენია თავი.

ამ ორომტრიალში გავიდა სამი საათი. განუწყვეტელმა დაძაბულობამ მომთენჯა და, არ ვიცი, რამდენი ხნის ჩათვლემილი ვიყავი, როცა აღამაინის კივილმა გამომარკვია.

„კოსტა!“ — დავიყვირე და როგორ გავხსენი კარავი და გამოვვარდი გარეთ, აღარ მახსოვს.

„მევეყე!..“ — შეშლილივით ავღრიალდი ქაროშხალში. მერე გამოვართიე თოფები და ავტეხე ბათქი.

არავითარი პასუხი. გარშემო ისევ გადარეჟილი დოღია გამართული. გრივალი ფეხზე არ მაყენებს და ჩაკუნტული ვტენი თოფს და ვისვრი, ისევ ვტენი და ისევ ვისვრი.

წვიმამ უკვე მოასწრო ჩემი თავიდან ფეხებამდე გალუშვა. უკუნი სიბნელის გარდა ქაროშხალი საშუალებას არ მაძლევდა თვლები ღია მქონოდა გადაბმულად ერთი წუთის განმავლობაში.

ისევ კარავში შევქვერი. დაძაბული და აცხცახებული ვზივარ კარებთან. ეუსმენ. კივილი აღარ გამოვრთავ.

მომჩვენა?.. მაგრამ ღრიალ-ყმულის ამ ნაირგვარობაში ეს კივილი იმდენად განსხვავებული და აშკარად აღამაინისა იყო, რომ შეუძლებელია მომჩვენებოდა. არადა, კივილი გარკვევით ზემო ტრასიდან მოვიდა. იქ რა უნდოდა კოსტას? რაც გინდა გზა აზნეოდა, იქ მაინც ვერ მოხედებოდა.

სიცივისაგან ეძაგაგებდი. გავიხადე ტანსაცმელი და გერმის საძილე ჩაქვერები, ტომრინად წამოვჩექი და ასეთ სულელურ პოზაში გავატარე ღამე. არაფრით არ შემეძლო დაწოლა და დაძინება. თითქოს ამითი აშკარად ვღალატობდი და ვწირავდი კოსტას.

გათენებისას მაინც ჩამთვლიმა და ამკერად უეცრად დამყარებულმა დუმილმა გამომადღო. გარეთ ცრაიტი შეტეი იდგა და ღრუბლები ჩუმად, გამალბებით გადადიოდნენ ქედებზე. წყნარი, მზიანი დილა თენდებოდა. საჩქაროდ ჩავიციე და გამოვედი. ორულულა თოფი და ბინოკლი ავიცილე და დავადექი გზას მყინვარის ენისაკენ.

ძველ ნაბანაკართან, წყაროსპირა ჯაგებიდან, კაკები წამოვადრთე და დუბლეტით ჩამოვყარე ორი ცალი. იქვე მაღალ ბუჩქზე ჩამოვკიდე ისინი და გზა განვაგრძე.

მყინვარის ბოლო მორენებში გავედი. ბევრი ვიყვირე და რამდენჯერმე გავისროლე. მერე გვერდის კულუარში გადავედი და იმ ღარში, მე და ჯოკიამ რომ ნანადირევი ჩამოვუშვით, თითქმის ნახევრამდე ავძვერი. აქედან კარგახანს ვათვალე მორენა. იქიდანაც ვიკივლე და ვისროლე, მაგრამ არავის უბასუხნია.

სუფთა, კრიალა დილა დადგა. მდინარეც წყნარად მორაკრავებდა. ნიაღვარი კი არა, თითქოს კიდეც დაეკლო წყალს. სიმშრალე იყო. არსად ნაწეიმარი არ ეტყობოდა. ღამის იყო, ვიფიქრე, გუშინ ღამით ყველაფერი მომჩვენებოდა.

ბანაკში დავბრუნდი. ცეცხლი გავაჩაღე. კაკები გავბრტყენი და შევწვი. ყავა მოვხარშე. ის იყო საუბრის შევუდექი, რომ ზემოდან ყვირილი მოისმა. ორი კაცი იდგა ლოდებთან კეხზე და ხელებს მიქნევდნენ. გამოვიტანე ბინოკლი, გავაჩრეე ერთის შინდისფერი გერმის ქურთუკი და მივხედე, რომ გივი იყო.

სირბილით წავედი ზევით.

გივი მექარავნე ყირგიზებთან ერთად ტერასებზე მიგდებულ, ძველ კოშში მოთავსებულიყო. თავი გადაპარსული ჰქონდა. მზეზე გარუჯულიყო. შეფერთხილი და გაახალგაზრდაებული ჩანდა. ამერიკული „ვესტერნების“ კინოვარსკვლავს ჰგავდა.

სეტყვასავით დავაყარეთ ერთმანეთს კითხვები და პასუხები. ნახევარი ვერაფერი გავარკვიეთ და დამშვიდების შემდეგ ისევ თავიდან ჩავატარეთ ერთმანეთის საფუძვლიანი გამოკითხვა. გუშინ საღამოს ჩამოსულან. „საშინელ ქარიშხალში მოვხვდით და ბანაკს ვეღარ მოვაგენით. რამდენჯერმე დავიკივლეთ და არავინ გვიპასუხა. მერე კოშს წავაწყდით და დავბინადითო...“

მაშა ზიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში

„სროლა არ გაგიგონიათ?...“ — ვეკითხები.

„არავითარი!...“

საკვირველი ამბავია.

სიამოვნებით მივირთმევ არაყს, მერე პურსა და წითელ ზიზილას. ყველაფერ ამას უცხო, დავიწყებული გემო აქვს და განსაკუთრებით გემრიელია. ვკითხულობ წერტილებს.

გივი ყალბეგიშვილი ძველი მთასვლელი (50 წლის სპორტის ოსტატი)* და გამოცდილი ორგანიზატორია. იგი ყველა შუაზიურ ექსპედიციაში მონაწილეობდა და რამდენიმე მათგანს გელმდევანელობდა კიდეც: კარგად იცნობს პამირსა და ტიან-შანის მთიანეთებს და საერთოდ შუა აზიას.

ამჟერად გივის წინა ექსპედიციებში ნამუშევარი მეჭარავნე მამბეტი წამოეყვანა სარიჯაზიდან. მამბეტს თან ახლდა დამხმარე ბებიჩიახში. მესამე იყო კარატი მერკულევი — მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი. მაგრამ გაჩეჩილი, მოთელილი, ქუქყიანი თმებით, ჩაწვირული სახითა და მონგრეული ჩეჭმებით მეყოფე მამბეტზე გაცილებით ველური შესახედავი იყო და ძალიან გამაყირავა, როცა სუფთა, გამართული რუსული გამომელაპარაკა. კარატი აქ თავის საქმეზე ჩამოვიდა: დისერტაციისათვის მასალის შესაგროვებლად, მამბეტს უბრალოდ დამგზავრებია.

შუადღებზე ცხენებით წავედით მყინვარზე და შენახული ტექები გადმოვხიდე. ყირგიზები შეუდგნენ ხორცის სამგზავროდ, თავის წესზე ხარშავს.

მოსახარშ ხორცს თავიდან უცებ აღუდებენ ძლიერ ცეცხლზე. მერე ალს უკლებენ და ნალვერდელზე დიდხანს, საათობით არუხუხებენ. მოხარშულ ნაჭრებს ცალ-ცალკე აწყობენ ფიცარზე და ნიაგზე აციებენ. ასეთნაირად მოხარშული ხორცი კარგად ინახება და ერთი კვირა შევადლია ატარო საგზაოდ.

ასევე ინახავენ ცნობილი ყირგიზული კერძი — „ბეშბარმაკი“. ხორცს დიდ ნაჭრებად ხარშავენ. მოხარშვის შემდეგ კი ჩვენებური ბეჰის წესზე ბასრი დანით თხლად დათლიან. ზედ ნახარშ წვეს დაასხამენ, შიგ ხელით მოსრისავენ და აურევენ. ცოტახანს კიდეც მოშუშავენ ნელ ცეცხლზე. მერე დიდი ჯამიდან პირდაპირ ხელით სჭამენ. აქედანაა მისი სახელიც: „ბეშბარმაკი“ — ხუთ თითს ნიშნავს. ხორცი საოცრად ნაზი და წვნიანი ხდება და გემრიელი საქმელია.

ბარემ აქვე აღვწერ, როგორ უვლიან ყირგიზები ნანადირევს. ამ საქმეში მათ მეყოფე ხალხის საუკუნეებში ჩამოყალიბებული ოსტატობა აქვთ. მოკლულ ტეკს, ან არხარს მავი-

ნათვე აშორებენ „ზედმეტ ბარგს“: აჭრიან თავს და ფეხებს მუხლის სახსარში. მუცელზე მტკაველზე გაუჭრიან და სუფთად გამოშიგნავენ. განაჭრის მის გვერდზევე შეთლილი ტყავის თასმით ამოჰკერავენ და გაჰკანაძვენ. ასე ჩაიტანენ ცხენებამდე (ცხენებით კი ისინი ზედ კლდეებამდე აღიან). ჩვენი მთიელებისაგან განსხვავებით, გამაყირავა მათმა დაუზოგავმა დამოკიდებულებამ ცხენებისადმი: არც აღმართში, არც დაღმართში. რაც გინდა „უცხენო“ გზა იყოს, ყირგიზი ცხენიდან არ ჩამოვა, სანამ რტყმევისა, ყივინისა და წრტუნის შემდეგ არ დარწმუნდება, რომ ცხენი ვერაფრით ვეღარ გადაადგამს ნაბიჯს, მაშინ თვითონაც უკან გამობრუნდება, რადგან ფეხით საირტული არც უყვართ და არც ეხერხებათ. ისინი მთელ სიცოცხლეს, თითო ბავშვობიდან, უნაგირზე ატარებენ და ფეხები უფრო ცხენის ფერდებზე მოსაჭერადა აქვთ მოწყობილი, ვიდრე სასაირტული).

გატავებამდე მკერდის კუხს აათლიან ხოლმე ტყავიან-ხორციანად და ცეცხლში ჩაავდებენ. ბეწვი მოიწვება, ხორცი და მკერდის ქონი ტყავიანად შეიხანხლება მუგუზლებზე. ამას ჰქვია „კურჩა“ და საბატეცემლო საკმელად ითვლება. „კურჩა“ გამარჯვებული მონადირის წილია და შეუძლია ვისაც უნდა, მას მიათრავას.

მერე გამოხსნიან მუცელზე თასმას და ისეთი სისწრაფით ხდიან ტყავს, თითქმის ნადირს ის უბრალოდ ხელთათმანივით ჰქონოდეს ჩამოცმული. შემდეგ ნეკების ქვემო ძირებში შემოჭრიან მკერდს, მოაყოლებენ მუცლის გვერდის ფარებს და ამოიღებენ მთლიანად. გახსნილი ყაფაზიდან ამოაცლიან გულ-ფილტვს, ღვიძლ-ფლენას, თირკმლებს. მერე კი ქირურგის სიზუსტითა და კორექტულობით, სწრაფად და ყოველგვარი ჯაჯურის გარეშე, დანის წვერით დახსნიან მუცელ ტანს სახსრებში და დაანაწილებენ.

ხორცის ნაჭრებს დღის განმავლობაში ინახავენ მჭიდროდ შეხვეულს, ან დახურულს, ისე რომ ბუზმა არ შეადწიოს. დაბინდების შემდეგ კი კეტზე დაჰკიდებენ ცალ-ცალკე, ნიაგა რომ ყველა მხრიდან გაუაროს. გათენებისას ისე ახვევენ. ორი ღამის შემდეგ ხორცს ზედაპირზე უჩნდება მაგარი ქერქი, რომელშიაც ბუზი ვეღარ ატანს, ერთ კვირაზე მეტ ხანს ინახება სიცხეშია კი და, როცა დანით გადასერავ, მშრალი ქერქის ქვეშ მთლად ახალი ხორცი აღმოჩნდება. მხოლოდ მარილის დაყრა არაფრით არ შეიძლება. მარილისაგან ხორცი წვეს გამოჰყოფს, იფიტება; გარედან კი არა შრება და ფუშდება.

ყველაფერი ეს მამბეტმა მაჩვენა და ამხისნა აქ ერთად ყოფნის დღეებში და შემდეგში კარგადაც გამომადლა.

* თვითონ თავისთავს ეძახის: «Мастер спорта и всех спиртных напитков».



გვიანობამდე ვიჯექით და ვლაპარაკობდით, თან ჩაის ვსვამდით. მერე წვიმა დაიწყო და გვიე დიდხანს მარწმუნებდა „კოშში“ დავარჩენილიყავი. მაგრამ არაფრით არ დავთანხმდი. იმედი მქონდა, რომ კოსტა დაბრუნდებოდა და არ მინდოდა მარტო დატოვება.

კარავთან რომ ჩამოვედი, სანამ შიგ შევძვრებოდი, თოფში ჩარჩენილი ვაზნა პაერში დავცალე და კარვიდან პასუხად მოისმა:

„ჰო, ჰო, რა ამბავია!..“

კოსტა დაბრუნებულიყო. ისე იყო გასაავთებული, რომ არც ლაპარაკის და არც ქამის თავი არა მქონდა.

ძალით დავალევიანე ჟოლოსსიროფიანი ჩაი და დამინებამდე მოკლედ მაინც ვაფქვევინე, რომ ჩვენს ჯგუფს გვერდის ქედის ტრასა მოუშადადებია, ტვირთის შეზიდვაც დაუშთავრებია და ოცდაცხრა რიცხვში აპირებენ გასვლას ილიკო გახლიანის ნეშტის ჩამოსატანად.

26 ივლისი. ორშაბათი.

კარატაის თავისი გამოკვლევებისათვის აქაური ფაუნის ყველა სახეობის ეგზემპლარები სჭირდება. მიხმარება მთხოვა და ერთად მივდივართ სანადიროდ. ვნადირობთ კურდღლებზე, კაკებზე, ზაზუნებზე. გზადაგზა წვრილ-წვრილ ჩიტებსაც ვესვრი მისი თხონით. თვითონ „ბელკას“ სისტემის თოფი აქვს. ერთი ლუღა ოცდათორმეტი ყალიბისაა, საფანტის. მერე — მცირეყალიბიანი შაშხანის (5,6 მმ-იანი, „გეკო“). საფანტისანი ვაზნები არა აქვს, „გეკოს“ ვაზნას კი ვერაფრით მიზანში ვერ არტყამს.

აქ მოკლედ აღვწერ აქაურ ფრთოსან მოსახლეობას.

წვრილი ჩიტებიდან განსაკუთრებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ მელორღები. მათი ოთხი სახეობა მხედებოდა: ჩეულბრიგი მელორღია, უფრო მოყავისფრო უდაბნოს მელორღია, თეთრკუდა მელორღია და მელოტა მელორღია.

ქვიან ტერასებზე სიარულისას, თითქმის ყოველ ლოდზე რომელიმე მათგანი იყო ხოლმე წამოჭიმული, უცნაურად კუთავდა ჩემი მიახლოებისას და მკვეთრი, მუქარიანი ძახლით: „ჩეი!.. ჩეი!..“ მაიცლებდა.

ხმელ ბუჩქნარში ასევე ხშირი სანახავი იყვნენ ბოლოცეხლები (ორი სახეობა: შავი ბოლოცეხლა და წითელგულა ბოლოცეხლა).

განსაკუთრებული სიმრავლე და ნაირგვარობა წვრილი ჩიტებისა იყო ჩონტაშის ნაკადის მოკლე ხევში, ჩანჩქერის ქვედა ქვაბულში. აქ დიდი რაოდენობით ირეოდნენ იგივე ბოლოცეხლები, ალბიური და ჰიმალაური კვინტაკები, კლდეზე დაცოცადნენ ლამაზი კრელფრთიანი მეცოციები გრძელი, წვრილი ნისკარტითა და ძოწისფერი, თეთრკობლებიანი ფრთებით. ყვილით დაჰქროდნენ მსხვილი, ქვიშის-

ფერი თეთრგულა ნამგალები. აქა-იქ დამკრებოდნენ ჰინტრაქები. ჯავიდან ჯავზე ნახტომავალი წიგით დაფრინავდნენ წითელქუდა ნარჩიტები. მხედებოდნენ კლდის ქეროზები და მთის გრატები.

აქვე, ამ ხევშივე ენახე დღისით, მზისით, ერთ კლდე-ლოდზე, ზედ მზის გულზე წამოსკუბებული პატარა, ნაცარა ბუთიოტი. შუქისაგან ისე იყო გამომტერებული, რომ სულ ახლოს მიმიშვა, მაგრამ როცა ხელის წატანება დავაპირე, გადაფრთხილდა და ქვევში შეიმაღა.

აქაც და უფრო ზემოთაც, ქვევში მხედებოდა ხოლმე ერთი პაწია, მორუხო-წყლისფერი, გრძელკუდა ჩიტი. ის ყოველთვის უხმოდ, თავ-გვით დაძვრებოდა ღორღში. როგორც შემდეგში დავადგინე, მისი სახელი ყოფილა მარგალიტის მთიულა.

ერთხელ, მი-ბულაყის შესართავის რიყეზე წააწყდი ძალიან იშვიათ, მსხვილ კულიკს ნისკარტნამგალას. ეს ფრინველი მხოლოდ შუა-აზიაში და მხოლოდ მაღალი მთის მდინარეებზე ცხოვრობს. იგი მშვიდად დაბაიჯებდა თხელ წყალში და გრძელი, წითელი, მორკალული ნისკარტით კენჭებს ატრიალებდა, რაღაცებს იჭერდა და ყლავებდა. ჩემი მიახლოებისას რბილად მოსწყდა მიწიდან და მელოდიური, ნაღვლიანი „ტი-ლი-ლი... ტი-ლი-ლი!“-ს ძახლით გადაიხვეწა.

ამავე რიყეზე ენახე ასეთივე იშვიათი მონღოლური წინტლების წყვილი. ჩქარი, ხშირი ნაბიჯებით დარბოდნენ სილაზე. გაფუფული მამალი, მხრებში ჩარგული დაღუნული თავით, გვერდ-გვერდოდ მოუვლიდა ხოლმე დედალს წინადა. დედალი თითქმის ყურადღებას არ აქცევდა, გამალებული ფუსფუსით გარბოდა წინ და შიგადაშიგ ჩაუნისკარტებდა ხოლმე უჩინარ ნამცეცხს. მაგრამ მამლის მიახლოებისას მოულოდნელად უგვერდებდა და სხვა მხარეს გაქანდებოდა. კარგახანს ვუთვალთვალე, სანამ ასე ერთმანეთის მიდევნებით არ დაიკარგნენ ქვებსა და მეჩხერ ბალახში.

მდინარისპირა რიყეებზე რამდენჯერმე ენახე ყვითელი მთის ბოლოქანქალები.

ქვიან ტერასებზე და მა-ბულაყის ქედის ძირებზე ყველად მრავალდ იყო კაკაბი, ვხედებოდი კრუხ კაკებებს, ზოგს სულ პატარა, ღინ-ღლიანი, ზოგს — მწყერის ხელად მოჩიტული ბუმბლიანი წიწილებით. ვხედებოდი ცალკე, უკრუხოდ, ქედნის ტოლა ნაცრისფერი ვარიების გუნდებს და ბოლოს ზრდასრული, ძველი კაკების გუნდებსაც (ჩვეულებრივ 5-6 ცალი, არა უმეტეს 10-15 ცალისა ერთად). ისინი უმთავრესად მამლებისაგან შესდგებოდნენ, მაგრამ თითო-ორი დედალიც ერიათ ხოლმე

30 მარტი. პიგაშვილი

ნადირობა ჩონ-ტაშში

(ალბათ უბუდრად დარჩენილი ცალკეული ეგზემპლარები).

კაცები მხედებოდნენ ყველგან, მაი-ბულაის ქედის ერთ მეთხედამდე. ამის შემოთ არცერთხელ არც ერთი კაცაბი არ მინახავს. არცერთხელ არ მინახავს ამ საზღვარს ქვემოთაც არც ერთი ულარიც. უმთავრესად კი ისინი ალბური მინდვრების ზედა საზღვრებთან და უფრო ზევით, თხემის ნაშაღებსა და კლდეებში ტრიალებდნენ. ზამთარში, თოვლთან ერთად, ქვევით იწვევენ და მაშინ კაცებსა და ულარებს ხშირად ნახავ ერთად.

ტიან-შანში გავრცელებულია მთის ინდაურიების ყველაზე მსხვილი სახეობა **ჰიმალაური ულარი**. ისინი მართლაც უზარმაზარი რაოდენობით ცხოვრობდნენ ამ ქედებზე. ხშირად გვხვდავდი ოცდაათიან-ორმოციან ფარებს. ხშირად გვხვდავდი კრუხესაყ ორი სხედასხვა თაობით: ბუნდელაინი წიწილებით და დაფრთიანებული ვარიებით.

მთაში ნადირობისას არ ყოფილა დღე, რომ ულარების ორი-სამი ფარა არ შემეგნინოს, ორი-სამი ბუდობა კრუხე-წიწილა არ დამენახოს, ყოველივეს მოჩანდა რომელიმე კლდის კეხზე მათი გუშაგების სილუეტები და ისმოდა მკვეთრი სტეენა.

ქვემოთაც და კაცების საზღვარს ზემოთაც ბევრი იყო კლდის მტრელების გუნდები.

თითქმის ქედის თხემამდე მხედებოდნენ მთის გარტები და კლდის ქეროზები, წითელქუდა ნარჩიტების პატარა ჯგუფები, მაგრამ კიდევ იყო რამდენიმე ჩიტო, რომლებიც ულარებთან ერთად, მხოლოდ შიშველ თხემებზე და მყინვარების ნაპირებში სახლობდნენ.

ესენი იყვნენ წითელი მთიულები (თითქმის შიშაის ხელა). მათ თავი და მკერდი დიდ ყოლისფერი კქონდათ, თეთრი წერტილი ნათესაქნებით. ნისკარტი — სქელი და ბოლოში წყნახული. შემდეგ, დიდი კოკობა (ესეც შიშაის სიმსო) მთლიანად მოღვეინსფრო-მეწამული ფერისა, აგრეთვე თეთრი დეაქები მკერდზე და წითელი ალბური მეფეტვეები (ბელურაზე ოდნავ დიდი). მთლიანად ნათელი ალისფერისა.

ამ ჩიტების გუნდები დაბნეული ძვირფასი თვლებით ელავდნენ ხოლმე თეთრი მყინვარებისა და შავლურჯი და ყავისფერი ნაშაღების ფონზე. გაყრულ პაერში უცნაური მელოდიურობით ისმოდა წითელი მთიულების ბოხი „ჩიუ!.. ჩიუ!..“, დიდი კოკობების გაბმული „ფიიუუიინ!.. ფიუუიინ!..“ და წითელი მეფეტვეების გრძელი, ნაზი, მკვრინავი გადასტევენები.

მათთან შეხვედრა ყოველთვის რალაც გაუგებარ, ზღაბრულ, იღუმალ ასოციაციებს იწვევდა. ჩნდებოდა ბოლომდე გაუშიფრავი, აუხსნელი ნაღველი ამ ადგილებთან მთლიან შერწყ-

ყმასა და შენივთებაზე. ჩნდებოდა უცნაური, ამფორიქებული გრძობა, თითქოს უცნაური, დოებულ ქვეყანას გამჭვირვალე შუშის გაღალა ხედავ და ვერსაით მოგიხერხებია ამ შუშის გაღალახვა და შივ მოხვედრა.

დღი კოკობებისა და წითელი მეფეტვეების გუნდებს შემდეგში „ლიკის“ მყინვარზედაც ვხვდებოდ ხოლმე ჩვენი ბანაის მიდამოებში, მაგრამ სიმაღლის რეკორდი იმ ნიბლიას ეკუთვნის, რომელიც მე და რომა გიუტაშვილმა ენახეთ „ლიკის“ სათავეში. ეს შემდეგში, ექსპედიციის დამთავრებისას მოხდა. მე და რომა ასულები ვიყავით ყინულის ქვედა გამოქვაბულში დარჩენილი საჭურველის წამოსაღებად. სიმაღლე 5200 მ. აღრანი დილა იყო და საშინელი ყინვა იდგა. გამოქვაბულიდან გამოვხილეთ რკინასავით გაფშოკინებული თოკები, ავსტრიული პრიმუსები და სხვა წეროლმანი. მერე ქვებში მოვთავსდით, პრიმუსი გავაჩაღეთ და ქვედ ქცეული კონსერვების გაღოლმას შევუდგექით. იქვე სიბზე გავშალეთ სუფრა. პურის დავჭერით, დავსენით კონსერვები, პრიმუსზე ყავა დავადგიეთ და გამგელებული ვებდღვენით სუქმელს. „შპროტი“ შემწვარიყო და პირველად მოგვიწია შემწვარი „შპროტის“ გასიყვნა (მე გონი ასეთი კერძი იშვიათად ვინმეს გაუსინჯავს).

ამ დროს გვერდზე ქვებში რალაც მოძრაობას წავასწარი თვალთ. ამ სამუდამოდ გარინდულ ყინულისა და ქვის სამყაროში მსუბუქი, ეფემერული, ლანდით მოძრაობაც კი წამსვე თვალში მოსახვედრი იყო. დავინახეთ პაქია, ნაერისფერი ბუტრი, რომელიც ჯერ თავი მეგონა, ხტუნვა-ხტუნვით გვიახლოვდებოდა. პირდაპირ ჩვენს სუფრას მოადგა და ზედ დასკუბდა. აქ, თითქოს დაიმორცხვით, უცებ მოაბუზა და ფეტვის მარცვლის ტოლა თვალთ ამოგვხვდა ჯერ რომას, მერე მე. გაშტერებული ეფუფრებდით ამ თითისხელა არსებას და თვალბის არ ვუჭერებდით. ხელი გავწიე და პურის ნატეხი დავუშვენი. ის ოდნავ უკან გადახტა და, როცა ნამცეცები სიბზე დავყარე, თავის ადგილზე მობრუნდა და კენკვა დაიწყო. ეს ყველაფერი ისე უხმოლ ხნდებოდა, რომ უმსუბუქესი შრილიც კი არ გამოუწვევია მის მოძრაობას, თითქოს მართლაც მოჩვენება ყოფილიყოს. რომ წამოვედით, ის ისევ იმ სიბზე დავტოვეთ, მის მოცულობაზე ოცდაათჯერ დიდი პურის ნატეხის გვერდზე.

გარდა ამისა მყინვარ დიკიზე, ბანაის ახლომახლო ხეტიალისას, ერთ-ერთი გუბურიდან რალაც იხვი წამოვავრთხეთ. რა სახეობა იყო, ვერ მოვასწარი გარჩევა. სილუეტით ფართო ცნვირა მდინარის იხვს წაგავდა, მაგრამ გადაჭრით თქმა არ შეიძლება. რა მიზეზით მოხვდა აქ ეს მარტოხელა იხვი, გაურკვეველია. ერთი კი

ცხადია, რომ თავის ნებით ის აქ არ მოფრინ-
დებოდა*.

მტაცებლებიდან ამ რაიონში ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ ალბიური ჯგუფი. მათი უწყსრივად გუნდები ყველგან და ყოველთვის დაბორილობდნენ ქარით ატანილი ქაღალდის ნამწებებით. ისმოდა გულის გამაწვრივებელი გადაძახილები: „ჰყაა!.. ჰყაა!..“

ხშირი იყო ყაჯირები. არც ისე იშვიათი სახეები იყო მარტოხელა წვიროსანი მებატენი. ხანდახან გამოჩნდებოდა მთის არწივიც, აქაუროდ ბერკუტი. იშვიათი იყვნენ ყორნები. ისინი, როგორც წესი, მხოლოდ წყვილად დაფრინავდნენ. ერთმა წყვილმა „დივიზადაც“ იტრიალა ორი ღლის განმავლობაში და მერე გაქრა. ერთი-ორჯერ ენახე კირკიტა მიმინოც.

ერთხელაც ერთი მიგდებული კოშის სახურავიდან დიდი ზარანაშო გამოფრინდა და დიდხანს დაბნეულად იტრიალა მზეზე.**

კარატი ამ ნადირობა-სერიოზობისას ბევრ საინტერესოს მიამბობდა ყირგიზეთის ფაუნაზე, ტურგენ-აქსუსა და სონ-კულის დიდ ნაკრძალებზე. ბანაკში დაბრუნებისას კი მასწავლა კაცების შეწვის მშვენიერი ხერხი (გამოდგება ყველა სხვა ფრინველის შესაწავიდაც): ფრინველს გაუბრტყენოდათ გასჭირი მუცელზე, გამოასუფთავეთ, ჩააყრიდნენ მარილს და თუ გამხდარია, ცხიმს ჩასდებ. ისევე ამოჰკერავ განაჰქრს. მთლიანად ამოგლისავ თიხაში და ნაღვერდალში ჩაფლავ. როცა თიხა გამაგრდება ცეცხლში, გამოიღებ და გასტეხავ. თიხასთან ერთად ფრინველს შემოეცლება ბუმბულიც. ძალიან რბილი და ნაწი გამოიღებ ასე შემწვარი კაკაბი.

გარდა ამისა, კარატიმ ტყეების თავების საფიტულად გასასუფთავებლად მიარჩია მათი ჭიანჭველების ბუდეზე დაწოლა. ათი-თორმეტ ღლის განმავლობაში ჭიანჭველები ისე ასუფთავებენ თავის ქალას, რომ ზედ ცხიმის ნატამალიც აღარ რჩება.

* ამ ჩიტუნას ნიბლიას მხოლოდ მიმსგავსებით ეუწოდებ. სინამდვილეში დღემდე ვერ გავიგე ზუსტად მისი სახეობა. ერთი ცხადია: რომ ადგილობრივი ჯიშისა არ გახლდათ. ისიც, როგორც იხვი, რაღაც სტიქიური მოვლენის შედეგად აღმოჩნდა ამ მისთვის უცხო ადგილებში.

** ამ ფრინველთაგან კავკასიაში გვხვდებიან: ჩეულებერიც, თეთრკუდა და მელტა მელორილები. ორივე ბოლოეცება, ალბიური ჭვინტაკა, ჭრელფრთიანი მეცოცია, თეთრგულა ნამგალა, ჭინჭრაქა, წითელქუდა ნარჩიტა, მთის გრატა, კლდის მტრედი, კაკაბი, დიდი კოჭობა, კკა, მებატენი, მთის არწივი, ყაჯირი, ყორანი, კირკიტა, დასახელებული ბუები. დანარჩენნი მხოლოდ ცენტრალური აზიის დამახასიათებელი სახეობებია.

სალამოს კარატი ტყეებზე სანადიროდ მოსული ვიყავი. გვიმ მას თავისი შაშხანა ათხოვა. უნაგირზე გადასვლისას ძლიერი ქარ-წვიმა წამოგვესწრო. თანაც კარატი გაუჭირდა აღმართებში, მაგრამ მაინც არ დაებრუნდი მისი თხოვნის მიუხედავად. ქარი ღრუბელს ეყრდებოდა და ეიცოდი, რომ ნახევარ საათში გადაიღებდა. მართლაც, სანამ სამხირ კლდეებამდე მივდიო, გადაიდარა.

ერთი უზარმაზარი მწოლიარე ვაცი დაეინახე სულ მაღლა, კეხის კლდეებში. კარგახანს ვუთვალთვალე. ძვრასაც არ აპირებდა თავისი სიმაგრედან. მერე ქვემოთ, საძოვრების თავზე შეენიშნე შეიღობ-რეცა ვაცი, მწყრივად ჩამოდიოდნენ ნაშალზე. ქარი ზემოდან უბერავდა. ბებერი ვაცი ძალიან შორს იყო და ჩვენი მოძრაობის არე მისგან არა ჩანდა. ხელს არაფერი გვიშლიდა. მოვუცადეთ, სანამ ვაცი არ ჩაიკრიფნენ საძოვარზე და დავიწყეთ ხეობაში ჩაშვება. ნაშალებზე ისევ გამოჩნდა ვაციების ჯგუფი. აღვილზევე ჩავეყვით. თერთმეტი ცალი დავითვალე. ისინიც ისევ მწყრივად, მოკლე გადარბენებით, ჩავედნენ საძოვარზე.

ხეობაში ჩავეყვით. უკვე დამუშავებული „ოლეთი“ შევეყვით გაღმა ნაპირის ძირებს. კლდე-კლდე, ლოდ-ლოდ ფარებით მივეუახლოვდით საბალახო მინდვრის ფლატეს და ზედ დავიწყეთ აცოცება. ამასობაში ჯოგი ძოვა-ძოვით გაღმოდოდა ჩვენსკენ და თანდათან გვერდის ზევში ჩამოიკრია.

ამ დროს ნაშალების თავზე, კლდეებში, გამოჩნდა ერთი დიდი ვაცი, ადგილზე გაქეცდა და ხეობის თვალწინა დაიწყო. გვერდითა კლდეებიდან კიდევ ორი ვაცი გამოვიდა. მერე კიდევ ერთი.

ვიწყით გაუძმრევლად და ეწუხდით: ეს ვაცი თუ ასე ღარჩა სადარაჯოზე, ნადირობა ჩაშლილია. არა და, რას აპირებს, რატომ არ ჩამოდის საძოვარზე?

კლდეებიდან კი სულ ახალი და ახალი ვაციები გამოდიოდნენ და უცებ დაიწყეს საკვირველი სანახაობა:

პირველმა ვაცმა მედგრად მოიღერა კისერი და ამაყი, გაბრექილი მოძრაობით გაღმომეცა ქარაფზე. თანდათან უმატა სისწრაფეს და უზარმაზარი ნახტომებით გამოქანდა ნაშალზე. ასე მოდიოდა დახვეწილ რიტმში, არტისტულად, გამოთვლილი მოძრაობით. და თანაბარ შუალედებში რტებს ხმლებით მოსხეპილად უქნევდა უჩინარ მეტოქეს. უცებ ზედ შუა ნაშალზე დაარტყა მთლიანი ბრუნი თავის გარშემო, აქედან სულ ასე ბზრიალ-ბზრიალით ჩამოვიდა ბოლომდე და თავმოწმუნედ გადარიბი-

ვაჟა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში



ნა მინდორი. ახლა კლდეებიდან მეორე ვაცი გადმოეშვა და იმავე ილეთებით, კიდე უფრო თავბრუსმომგვრად წამოვიდა ქვემოთკენ.

გახსურდა შეჯიბრება: ვაცი ვაცს მოსდევდა, ტემპი თანდათან იზრდებოდა, ახლა უკვე მომდევნო ვაცი დაშვებას მაშინ იწყებდა, როცა წინა ჯერ კიდე ნაშლის შუაზე იყო. თითოეული მათგანი ცდილობდა წინაზე უფრო სწრაფად დაშვებულიყო, კიდე უფრო მედგარი და საშიში მოძრაობებით.

გაციებულები ვუყურებდით. ტურნირი თანდათან თავბრუსმომგვრად ტემპს იღებდა. ახლა უკვე ორ-ორი ვაცი ეშვებოდა ერთად. ბზრიალსა და ბზრიალს შორის ყალყზე დგებოდნენ, ჰასანით ურტყამდნენ რტებს ერთმანეთს და ამ დროს ზედ ჩვენს თავზე, ფლატის ზედა კლდეებში გამოჩნდა თხების არე. ვაციების მედგარი ტურნირით აღგზნებულნი, ისინი მსუბუქი, გრაციოზული, მფრთხალი, ქარაფშუტული მოძრაობებით უაზროდ დაბტოდნენ ქარაფიდან ქარაფზე. კლდის ნაპრალებში მოჩანდნენ დაბნეულად ჩაუქუთი პატარა თიგნები.

სულ გამოეშტერა მცდე და კარატაიც.

„ეს რა ხდება?! რა ამბავია?!“ — ვიმეორებდი სულელივით და უცებ ჩემს გონებადღე მოვიდა შექმნილი საშიშროება: თხები უკვე ჩამოვიდნენ კლდეების ძირას, მინდორზე და მალე თავზე წამოგვადგებოდნენ. ვაციებს ჯერ არ დამთავრებინათ ასპარეზობა. მანამ, სანამ ჩვენ ვაციებთან მიპარვას მოვახერხებდით, თხები აღმოგვაჩენდნენ და ყველაფერი დამთავრდებოდა.

კარატაის ავუსხენი ეს ამბავი, მაგრამ ამან მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა.

„ხორცი ხორცია. რტები ადგას თუ არა, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?..“ — მითხრა მან.

იმ წუთში ისე ვიყავი აზარტისაგან აყვანილი, რომ კინაღამ ჩავაფარე ფაფასში. გაშმაგებით დავუწყე გინება თხებს და მათი აქ მოხეტევის საათს.

„ნუ ივინები, ნადირობის ღმერთი გიწყენს!“ — მეუბნება კარატაი და მერღივება.

ბოლოს დამთავრდა დაშვება-შეჯიბრი. სულ ცოტა ოცდაათი ვაცი ჩამოვიდა ამ შეჯიბრის განმავლობაში. ამავე დროს თხებიც გამოვიდნენ იმ ტაფობზე, რომლის ძგიდის ქვეშაც ვიმალებოდით. წუთიდან წუთზე თავზე წამოგვადგებოდნენ. უცნაური მდგომარეობა იყო: ერთ ჯოგს ცხვირწინ უნდა გავპარვოდით, რათა მეორეს მიგპარვოდით სასროლ მანძილზე.

კარატაის ვერ გაეგო, რატომ უნდა გავგეშვა ზედ ლულაზე მომდგარი ნადირი და სასროლად იქაჩებოდა. არ დავანებე. ისე გავოცებულნი ვლპარაკობდით, რომ დავითანხმე. ერთი თავხედური გეგმა მქონდა და მოკლედ ავუსხენი კარატაის, მაგრამ ველარ დავაჩნდნენ. მან

უკანვე ჩამეგება და შემოვლით მიპარა, კამათი ისედაც გავვიგრძელა, დროს მენდა და პირდაპირ დაეძაბით.

ჩემი გეგმა ასეთი იყო: ამ ადგილიდან იმ ბექის კეხამდე, რომელსაც ვაციები ამოუფარნენ, უნდა გამეგვლო დამრეცი ფერი, რომელიც მცირე მანძილზე თხების მხედველობისათვის ღია იყო, მაგრამ სამაგიეროდ მისი გავლით ბეერს ვიგებდი: ვაციულებით სწრაფად მივიღოდი ვაციებთან, ქვემოთ ჩაბრუნებითა და ხეობიდან მიპარვით კი ერთი სამად გრძელდებოდა გზა. ხეობის ძირი, მართალია, შორს იყო თხემისაგან, მაგრამ მთელ სიგრძეზე ჩანდა. ამიტომ მის შენიღბვით გავლას, ფაქტურად ექვსჯერ მეტი დრო დასჭირდებოდა. ამასობაში კი არავინ იცის, ჯოგები როგორ გადანიცვლებოდნენ ადგილებს. იყო კიდეც ერთი საგულისხმო დეტალი: თხები ცერად იდგნენ ფერდაზე, თავით აღმართისაკენ. ძოგნისას წინიდან მინდორი, მარჯვნივ კლდეები, მარცხნივ კი მინდორის ნაპირი და, მის გადღმა, სიღრმეში ჩაყარული ხეობის ფსკერი ედოთ. ხეობის ფსკერი მათი ხედვის მხოლოდ კიდეში შეიძლებოდა მოხვედრილიყო. მაგრამ რაღაც ინტუიცია მქარნახობდა, რომ იმ ხედვის კიდეში მოხვედრა უფრო სახეფათოა, ვიდრე მათს ზურგსუკან და ქვემოთ, ას-ასოც მერტში გავლა, თუმცა ისინი დროდადრო სწყვეტდნენ ძოვას, სწყვედნენ თავებს და სწრაფად მოავლებდნენ ხოლმე მზერას გარშემო. ერთი სიტყვით, რისკი ღირდა.

გადავიხურე „შტორმოვკის“ თავსაბურავი და მოკუნტული, გვერდელად გადავჩოჩდი ღია ფერდაზე. ცალი თვალით თხებს ვუჭკერტდი. სანამ ისინი ძოვდნენ, ნელა მივჩოჩავდი; როგორც კი თავს აიღებდნენ, წამსვე ადგილზე ვქვავდებოდი. მე ჩემი „შტორმოვკის“ იმედი მქონდა. მისი შემნიღბავი ქვის ფერი უკვე კარგად მქონდა დაცდილი. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს კამიუშონსაც: ის უკარავს ადამიანის თავისერს დამახასიათებელ მოხაზულობას. ყველა ნადირი (ამაში მერავალი დავრწმუნდი სხვადასხვა ნადირობისას) უპირველესად სწორედ თავისერის მოყვანილობით გამოიყნობს ხოლმე ადამიანს. მთის ვაციები კი ამას კილომეტრებზე ამჩნევენ. ამიტომ ნადირთან მიპარვისას, რა მანძილიც არ უნდა ყოფილიყო, თუკი იძულებული ვიყავი მათი ხედველობის არეში შემოძრავნა, ყოველთვის კამიუშონს ვხმარობდი და ვცდილობდი, თავი, რაც შეიძლება, ღრმად ჩამერგო მხრებში.

ერთი ათჯერ მომიწია გაქვავება ფერდის ბოლოში გაღწევამდე და ამ წამებში თხების მზერა ერთხელაც არ შეჩერებულა ჩემზე.

რისკმა გაამართლა. მოფარებულში გავედი, წელში გავიმართე და თავისუფლად ამოვი-სუნთქე. კარატაის გადახედე, მაგრამ ვერსად



მოგვარი თვალი. ალბათ ჯერ კიდევ არ ჩასულიყო ფსკერამდე.

ახლა ერთი აღმართილა მრჩებოდა ბექის კეხამდე. გამართულად, თავისუფლად ადგილი და ამ დროს უეცრად ციებ-ციხელბასავით მომერია ნერვიულობა. მართლა ციებიანივით ვიბვივებდი. ვერაფრით ვერ დავიოკე ეს ძიგძიგი და ასე ავათავე აღმართი. კეხზე გადავწეტი, ფრთხილად წამოვწეი თავი და გადავიხედე.

ჩემს პირდაპირ და ძირს, დაახლოებით ას მეტრზე, მთელი ხევი ამოტენილი იყო ტყეებით. ზოგი წყალს სვამდა, ზოგი შუბლებს უხახუნებდა ქვებზე, ზოგი — გვერდებს; ზოგი მოკლედ შეინავარდებდა ხოლმე კლდის ქარაფზე და აქა-იქ გამოჩრილ ქუჩის ბლუჯას ან ხავსს წაჰკორტნიდა. თითქმის ყველანი დიდრქიანები იყვნენ, მსხვილი, მშვენიერი ვაცები. სამოცამდე დავითვალე.

მზე ზურგიდან მედგა. ისინი განათებულები იყვნენ. მე თვითონ „კონტრაქტურში“ ვიყავი. ზევიდან ნიაღვი მიბერავდა. საუცხოო მდგომარეობა იყო დამშვიდებით სასროლად. უცებ სრულიად დაეწყნარდი და დიდხანს, დაწერილებით ვათვალიერე თითოეული ვაცი, ვარჩევდი და ვაღარებდი ერთმანეთს. ბოლოს ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე დიდი ჩანდა და ჩემსკენ გვერდით იდგა, დავადე ნიშანი. სროლას არ ეჩქარებდი. თავი ფრთხილად მოვაბრუნე, კარატის დავუწეე ძეხნა: იგი ხევში, ლოდებს შორის მოჩალიჩობდა. როდის ამოაღწევს აქამდე? მაგრამ საჩქარო აღარაფერი მქონდა: თუ ამოაღწია კარატამ, ხომ კარგი, იმასაც მიეცემა სროლის საშუალება. თუ ჯოგი მანამდე დაიძრა, აქ არა ვარ? ერთ დიდ ვაცს ხომ უეჭველად გავავორებ, ამას ლაპარაკი აღარ უნდა. ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქმის უკვე მონადირებულ ვაცი გვერდზე მდებოდეს. განვაგრძე ჯოგის თვალიერება. ბოლომდე ეტეებოდი ამ იშვიათი წუთებით. შიგადაშიგ კარატის გადახედავდი ხოლმე.

... და ერთ-ერთი ასეთი გადახედვისას, უეცარმა ზრიალმა წამომავლო ფეხზე. მთელი ჯოგი ერთმანეთზე ხეთქებითა და ბრაგუნით

უკვე ზედა მინდორზე გადადიოდა. ვეცხოდნენ ერთი, მეორე, მესამე. არც ერთი არსად აღმოჩენილა შემდეგ წაშში ყველაფერი დაცარიელდა და დაღდა მკვლარი სიჩუმე.

სიმწრისაგან კინაღამ ტენიში სისხლი ჩამექცა. მივევარდი იმ ადგილზე, სადაც წელან ჯოგი გარბოდა. არ მინდოდა დაჯერება, რომ ყველაფერი დაკარგული იყო. ჩლიქებით გადაჩიქნილ ფერდობზე, მათი რქებით ნაფხეკ კლდეებზე, არსად არც ერთი წვეთი სისხლი არა ჩანდა.

ლანძღვა-გინებით ჩამოვედი ხეობაში, კარატისთან.

„უჰ, რა კარგად მიეპარე! — მეუბნება იგი, — მე მეგონა ერთი ორს მაინც წააქეცედი. რატომ არ ესროდი, რას უცდიდი?...“

გაკვირებული მივაჩერდი. რომელიც გინდა ჩემი თბილისელი ამხანაგი მონადირე თავს გამოიტყავდა და აღარასოდეს მავატიებდა, ასეთ მდგომარეობაში რომ არ დავლოდებოდი და მოლუმენელი სროლით წამერთმია მისთვის წმინდათაწმინდა შესაძლებლობა ერთი იშვიათი გასროლისა.

მოდი და ელაპარაკე ახლა ამას?!

მომხდარიყო ის, რისიც მეშინოდა: კარატაი თხებმა აღმოაჩინეს ხევში და გაიქცენ. დამფრთხალი თხები ზემოთა ვაცებმა დაინახეს და გაქანდნენ, მათ მიჰყვა მთელი ჯოგიც.


მაგრამ მე რაღა დამემართა?... პირველი სროლა ხომ უტყუარი მქონდა, გინდაც გაქცეულეზე. ას მეტრზე ვიყავი, ას მეტრზე, ამის რჯული არ იყო!

ბოლმისაგან კიკიაშეკრული მოვიდი. კარატაი ნახულით აღგზნებული განუწყვეტლივ მელაპარაკებოდა რაღაცას, მაგრამ არ ვუსმენდი.

ქოხში რომ დაებრუნდი, კარატაი მაშინვე მოჰყვა ამ ამბავს. რა თქმა უნდა, დაიწყეს ქილიკი და ენაშწარობა. ასეა: მონადირე ნანადირევს თუ არ მოიტანს, ყოველთვის მტყუანია. რაც გინდა მოჰყევი, მაინც სასაცილოდ ავიგდებენ და ჭკუასაც დაგარიგებენ, გინდაც ინჩიბინჩი არ ესმოდეთ ნადირობისა.

დასასრული იქნება





ედიშერ ყიფიანი

გარდაიცვალა ედიშერ ყიფიანი.

ღირსეულთა დაკარგვით უზომოდ ვღარიბდებით, მაგრამ წარუვალია მათი სიკეთე, რადგან სიკვდილითაც კი საიმისოდ იღვწიან, რომ ტკივილით გაწვრთნან ჩვენი სულები, აგვაშაღლონ, გვასწავლონ მოყვასის მოფრთხილება.

ედიშერ ყიფიანი თავისი შემოქმედებით უფრო მომავლის ზნეობრივ საყრდენს ეძიებდა, ვიდრე ყოველდღიურობას აღნუსხავდა. მისთვის მწერლობა პროფესიული კეთილსინდისიერების, პატიოსნების, ადამიანთა ზვედრის გამო დაფიქრების სფერო იყო და იგი უფრთხილდებოდა ამ თავის ქვეყანას, ჯიუტად იცავდა მის სიწმინდეს, და მთელი ცხოვრება ემზადებოდა იმ დიდი წიგნის დასაწერად, გაუმხელელი ოცნებების თემად რომ გაიხადა.

იგი ადამიანებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან თავისებურ რომანტიკულ ურთიერთობას ამყარებდა, არასოდეს დაურღვევია კეთილმოსურნე თავაზიანობის საზღვრები, ყველას უწილადა პოეტური ბუნების მშვიდი სითბო და სხვათაგანაც ამასვე მოითხოვდა.

ედიშერ ყიფიანი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ყოველ ჩვენგანზე, რადგან მისი ცხოვრების წესი, აზროვნების სტილი და საქმე ნათლად გამოხატავდა ქართველი მწერლის ზნეობრივ მრწამსს. ეს იყო ძლიერი პიროვნების თავდაბლობა და დარბაისლური სიამაყე, მეოცნებე კაცის ხალისი და ჭეშმარიტი ინტელიგენტის სიმშვიდე. ყოველთვის მხნეს სიჭაბუკის იერი ახლდა და ამის გამო კიდევ მეტად ჭაბუკი ჩანდა. იყო კდემამოსილიცა და დაუთმობელიც, თავისი პრინციპების ერთგული და სხვების შეცოდებათა ღრმად განმცდილი. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, არ შეიძლებოდა უხეშად შეხებოდი ამ უაღრესად ფაქიზი და ამაყი კაცის გულის სიმებს, არ შეიძლებოდა იმ ილუზიული მელოდიის დარღვევა, რომელსაც მხოლოდ იგი ისმენდა და რითაც ცოცხლობდა.

და აი, „ციცკრელები“ ერთხელ კიდევ ეთხოვებიან მეგობარს. მოვლენ თაობები, ქართულ ლიტერატურას შეემატება ახალი სახელები და მათ გზად აუცილებლად შემოეყრება შთაგონებული სულისა და წმინდა ზნეობის მაგალითი — ედიშერ ყიფიანის სახელი.

შალვა ამისულაშვილი

პოეტი მულახის მთხებიან

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა სვანეთში, მყინვარების, პიტალო კლდეების, შფოთიანი მდინარეებისა და შავფიქალა კოშკების ამ დიდებულ სამფლობელოში, ალბათ მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმშიც შეივლიდა, სადაც სხვა ძვირფას ექსპონატებთან ერთად იხილავდა წმინდა ხისაგან გამოთლილ მტრედებიან სასანთელსაც.

მტრედებს პაწია ნისკარტებზე თითო-თითო სანთელი ადგათ, და ახლა, როცა რევაზ მარგაინის ერთტომეულს ვათვალიერებ, მგონია, იმ სანთლებს ძეკაცის უხილავი ხელი ასანის უკიდებს და მათი საკმევლიანი შუქი ერთგვარ სიღბოს, სიმშვიდესა და სინაზეს ჰფენს მუზეუმის დაღუმებულსა და პირქუშ კედლებს.

უფრო მეტიც: მე მგონია, სინათლე იგი მუზეუმის გაცრიატებულ სარკმლებიდან ახლა მარგაინის მშობლიურ სოფლამდეც აღწევს. სოფლამდე, რომელსაც სახელად მულახი ეწოდება და რომელიც თავისი მკაცრი სიღამაზით და ზეიადი ციხე-კოშკების სიუხვით ტოლს არ უდებს არც ერთ სოფელს მთელ სვანეთში.

„მულახი — ჩემი სოფელი“, ავი ასეცა ჰქვია რევაზ მარგაინის ერთ საყვარელ ნაწარმოებთან. მასში მართლაც რომ მტრედებიანი სასანთლის საამო შუქი ტრიალებს.

მისდევთ ამ შუქს და საოცარი სიეხადით ხედავთ ჭიხვის რკით დაფლეთილ თეთრ ღრუბლებს, ქერისა და ჭვავის ნისლოვან ყანებს, სავახშმო სუფრის დამამშვენებელ ფორეჯიან კალმანებს, ლეკვერთხიან პაჭიკებში გამოწყობილ ქაბუკ მონადირეებს.

ისმენ შურთხის სტვენასა და ჭახუხას, ტბილსა და დარბაისლურ სვანურ საუბარს, ფერხულის გრგვინებს, ცერებზე შემდგარ ხანჭლებჩაბლუჯულ მოცეკვავეთა უცაბედურ შეკივლებას და „ლილეოს“ ენგურისებურ ქუხილს...

ხმისა და ფერების ამ პარმონიულ, ჰაეროვან

ფონზე, შავყაბალახიან უშბასთან ერთად, ცაში გაქვავებული ხავსიანი კოშკებიც თითქმის მსუბუქდებიან და სისხლიანი წარსულის ტრაგიკული აღქმა ერთგვარ რომანტიკულ ელფერში ეხვევა, რითაც მკითხველს სულისმოთქმა უადვილდება.

ცნობილმა ბალყარელმა პოეტმა — ყაისინ ყულიევმა, რომელსაც რუსული პოეზიის დიდოსტატი — ბორის პასტერნაკი უაღრესი გულსხმიერებით ასახელებს თავის პირად წერილებში, ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი და თბილი წერილი რევაზ მარგაინის პოეტურ შემოქმედებაზე. იგი წერს:

„იქცე ქართული პოეზიის მნიშვნელოვან მოვლენად, ცხადია, ძნელია: მას ჰყავდა ისეთი ჯადოსანი ოსტატები — რუსთაველიდან ლეონტიძემდე, რომელთაც მშობლიური სიტყვიერება მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს... და მაინც პოეტმა, რომელიც მულახის მთებიდან დაეშვა, შეძლო თავისი სახით დიდ პოეზიაში საპატიო ადგილი დაეკავებინა... იგი იპყის თავისი მინდვრის მოსავალს, აჩალებს საკუთარ ცეცხლს და აცნობს საკუთარ პურს“...

რა საჭიროა აქ ავტორიტეტების მოშველიება, ჩვენ ისედაც კარგად ვიცით ჩვენი პოეტების ფასი თუ მზანდა, მაგრამ გულწრფელად გვიხარია, როცა ქართული პოეზიის მოყვარული სხვა ერის შვილები გულახდით მოსაზრებებს გამოთქვამენ ამა თუ იმ თანამედროვე ქართველ პოეტზე, მით უმეტეს, თუ ამავე დროს ჩვენს კეთილშორობელ მეზობლებად თვლიან თავიანთ თავს.

ყაისინ ყულიევი ერთი მათგანია და მთელი გულითა გვეჯერა მისი აღსარებასი:

— მე რევაზის მეზობლად დავიბადე და ვიზრდებოდი. ჩემი ზემო ჩეგმებიდან მის მულახამდე სულ რამდენიმე საათის სავალია. მთის

ერთი კალთა მის სოფელს დაჰყურებს, მეორე — ჩემსას. სხვათა შორის, სწორედ ეს გარემოება მაძლევს უფლებას ვწერო მარგიანუო...

ხალხთა მეგობრობაზე, ძმობაზე ბევრსა წერენ ჩვენში. ამ თემაზე წერენ პოეტები, მათ შორის — რევაზ მარგიანიც. ეს თემა თითქმის ლეიტმოტივად გასდევს მის ერთტომეულს. ჩანს, ეს თემა ლეიტმოტივად გაჰყვება მისი ლექსების მომავალ კრებულსაც — „ძმობის წიგნს“, საიდანაც ჩვენ უკვე ვიცნობთ რასულ გამაზატოვის, მიხეილ ლუკონინის, ყაისინ ყულუიჯისა და მიხეილ ღუდინისადმი მიძღვნილ ლექსებს, რომლებიც ავტორმა ამას წინათ გაუზიჟა „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა. ერთ მათგანში ასახულია მიწისძვრა დღეს-ტანში.

ამ უღმობელი სტიქიის გამძვინვარება ბევრს მოესხენება, ბევრს უფემნია მისი გამოუთქმელი საშინელება. რასულ გამაზატოვიც ხომ დაღესტინიდანაა და, ცხადია, რა განსაცდელშიც იქნებოდა იგი. ამ განსაცდელის თანამოზიარედ ხდება ქართველი პოეტიც, მით უმეტეს, რომ ყვარლის მახლობლადაც შეიძლება მიწა, ყვარლის მახლობლადაც დასცივდა ხეებს ფოთლები. ამიტომა გვჯერა პოეტის ნათქვამი: მე აქ მესმოდა, შენი გული როგორ კენესოდო. მაგრამ სჯობს მოვუსმინოთ ლექსის დასასრულს:

დიღხანს გაგრძელდა

დელგმა, გმინვა, ელვა-ქუხილი,

მთებზე ეყარნენ

დაფუთილი ცისარტყელები.

შენთან ვიყავი

ჩემი ფიქრით, დარდით, წუხილით,

და დაღესტნისკენ

გამოწვილი მქონდა ხელები...

ლიტერატურის მკვლევარი, ისტორიკოსი, თუკი ოდესმე შეეხება მარგიანის პოეტურ მემკვიდრეობას, მისი ერთტომეული ისეა შედგენილი ავტორის მიერ, რომ არავითარ სიძნელეებს არ წააწყდება, ყველაფერი ხელის გულზე ექნება გადაშლილი: როდის რა დაიწერა, როდის რა წიგნი გამოვიდა, როდის და სად ყოფილა მათი დამწერი შემოქმედებითი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე.

ამას ემატება ისიც, თუ სად დაიბადა, სად გაიზარდა, სად ისწავლა, სად იშრომა და სად იბრძოლა. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან ძლიერ კარგად იცის საკუთარი მეურნეობის მოვლა, რაც ესოდენ არაა დამახასიათებელი ბევრი პოეტისათვის.

მამ მივყავთ პოეტისადე მიერ ნაწევრდ გზას. მულახი დიდი სოფელია. მას თავზე დასცქერის თეთრი თეთნულდი და ორთავა უშმა. ცაღაწვილი კოშკებს შორის ახლაც დგას მარგიანების პატარა სახლი. მამამისი სემენარიაში სწავლობდა თურქულ, ვასილ ბარნოვის მოწაფე ყოფილა. ახალგაზრდობაში ლექსები უწერია და უქ-

ვეყნებია. გასაკვირი არაა, ასეთ გარემოებაში ბავშვობიდანვე რევაზსაც ხელი მოეყრდა მწიფე სათვის.

1934 წლის 30 დეკემბერს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა პირველი ლექსი „მირან-გულა“. ფოლკლორულ მოტივებზე აგებულმა ამ ნაწარმოებმა ისეთი აღიარება პოვა საზოგადოებაში, რომ იგი პოეტს შემოქმედებით წინსვლაში კინაღამ აუღებელ ბარიერად ექცა ერთხანობას.

ღამეა და ველოდები
ცრემლიანი ისევ რიყრას;
აზნუნულან თეთრი მთები,
თეთნულდისკენ თოვლი ქინელღავს...
გარეთ ცივა... დარჩენილი
ძალი საღლაც მიწქმუტუნებს,—
და ცა, საკინდაღვლეილი
ჰყრის ვერცხლიფერ უზალთუნებს.

ასე ძალდაუტანებლად, ლალად, მსუბუქად მიჰყვება სტრიქონი სტრიქონს, სტროფი სტროფს და შეიღალღუპული სვანი ქალის მოთქმაც ძალდაუტანებლად აღებს გულისკარს მოვლემარე სულის ასანთებად:

შვილო ჩემო, იმერეთით
მოიტანდი ჰურს და მარილს,
ჰურს ბარაქა ექნებოდა,
მარილს — სიტკბო ღამაჲ ქალის.
გარეთ ცივა... ნისლი გაქრა,
თოვლს ვკვეთავ და შენთან მოვალ;
ხევში შვავი ვადიხაფრა
და დაიწყო ისევ თოვა...

საერთოდ, ძალდაუტანებლობა მარგიანის პოეზიის ძირითადი თვისებაა. ზოგჯერ ეს ძალდაუტანებლობა ისე იზრდება და ვითარდება, რომ უბრალოების საშინორობასაც ჰქმნის ხოლმე, რაც ნაწილობრივ განხილულ ნაწარმოებშიაც შეიძლება მოიძებნოს...

ნათქვამია, ყანა ამინდის შვილიაო, მარგიანიც თაღის ავტორიოგრაფიაში აცხადებს: ამინდა შენ თვითონ უნდა შექმნაო. მართალია თუ არა, ამის კვლევა-ძიებას არ შეეუდგებით. იმას კი დაბეჯითებით ვიტყვით, მარგიანს ხშირად ჰქონია შემოქმედებითი ამინდი და ალბათ მომავალშიც ექნება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ლექსი „მოგონება“:

ქიანური აღულუნდა —
გასანთლული ცხენის ძუა, —
და ლულუნმა საოცნებომ
სიხმარეთში შემიტყუა...

ქიანურის ლულუნს ასე შეტყუებით შევყავართ ჩვენც მისი პოეზიის კარიბჭეში. ასეთია შემოქმედებითი ამინდის ძალა.

შალვა ამისულაშვილი

კომედი მულახის მიუმიბღან

ცხოვრების გზაზე პოეტს დიდი სამამულო ომიც წამოეწია. ვისაც ის მრისხანე წლები ახსოვს და ომის ჰერ-ვარაში გადაუტანია, მიათვის არ შეიძლება ახლობელი არ გახდეს მარგიანის ამ პერიოდში დაწერილი ლექსები, რომელთა კულმინაციას წარმოადგენს „მუშლი მუხასა“.

გესმის! გულის ძეგრა,
მტერს რომ ეომება,
ძველი ბედისწერა
ისევ მეორდება:

გარს ეხვეოდაო...
გესმის! ზეცას სწვდება
ჰანგი წინაპრების,
ბრძოლა არა ცხრება,
ძველ ბედს ვინატრებდი:
მუშლი ქრებოდაო...

სწორედ ამ ურყევი რწმენის შედეგია ლექსი „მთის კალთაზე სახლი მედგას“, რაც მარგიანის პოეტური სტილისათვის უაღრესად დამახასიათებელია:

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდეს;
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს...
გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლისთვალი,
შავგვრემანი მამას ჰგავდეს,
დედას — მისი თეთრი ქალი.
დამეზარდნონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეთ დედის გული,
მამასავით იოცნებონ
საქართველოს სიყვარული...

ერთტომეულის ამ განყოფილებაში სხვაც ბევრი კარგი ლექსია მოთავსებული, მათ შორის: „თოვს“, „მე უბთი ეატარებ პატარა ბარათს“, „ქერჩის კიბე“, „სანგარში“, „ღარის მოლოდინში“, „ჩემი კერა“, „აქა მშვიდობა“, „წყაროსთან“, „მშობლიურ მთებს“, „თენდებ“, „მამა“, „შენ გინახავს სენენთი?“, „კალოზე“ და „კვირიკეს ტაძარი“.

თვითეულ მთავანში ვხვდებით არა ერთ ელვარე სტრიქონს, არა ერთ ელვარე სტრიქონს. მაგალითად:

1. თქვენთან ერთად მეც ვთეთრდები, კვავასიის ლურჯო მთებო. 2. ვით დღის დაღალი ფრიალებს ღრუბელი, ლილეოს გუგუნებს ქარი. 3. თოვს და ეს ველი ბიბინებს თეთრად, უხშირ მოცივია სანგარში თოვლი, ცაზე კი ელავს იისფერ სევტად პროექტორების მსუბუქი ბოლი. 4. ხმას და გულის თქმას იგრძნობს ჰაერი და თვალს გაახელს ზარბაზნის ლულა. 5. ჩიტუნები ღარის ჰირისფლები — ჰიკიკებენ კარგი ღარის შაირს. 6. ჩემი კერა ძველებური. პაპაჩემის საყარცხული. შუაღამე, შუაღამე, შუაღამე, შუაღამე, შუაღამე. 7. მზი-

ან, ბუდიან ჰაერში კვლავ დღურინავდნ მარცლები, ხორბლის ალმური ტრიალებს მზის სხივზე უფრო დამწველი. 8. ზეცაში გადმოვარდნა აღმოდებული ყინული. 9. ნანატრი ჯიხეთა ჯოგებით განათდეს აღმოსავლეთი.

ამგვარი მეტაფორული თქმები მართლაც სულს და გულს ანათებენ, მაგრამ მათ გვერდით ვხვდებით ურითობ, უენერგო, ფრთადაშვებულ სტრიქონებსაც. მოვიყვანთ მხოლოდ სუსტი რითმების რამდენიმე მაგალითს: „ხელით — ჩემი“, „მასოვს — მარტო“, „ვინახავდი“ — „გაგფერმკრთალი“ და ასე შემდეგ...

გალაკტიონის მეშვიდე ტომში ვიპოვეთ ერთ-სტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც სხვა დროის მისავე პირველხარისხოვან ლექსებს ოდნავადაც ვერ გაუტოლდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მისაბამ მაგალითად გამოდგება.

რომელმა უხვმა გრძნობამ დაბადა
სოფელი სოფლად, დაბა — დაბადა;
ეს თრიალეთი, ეს კარაღეთი,
ეს დარიალი, ეს შავნაბადა...

სწორედ აი ეს პოეტური არტისტიზმი აკლავს ხშირად ბევრი ჩვენთავანის პოეტურ შემოქმედებას.

ერთტომეულის მესამე განყოფილებაში გაერთიანებულია 1947-1952 წლებში გამოცემულ წიგნებიდან ამოკრეფილი ლექსები. „აქა მშვიდობა“, „სიმღერა კომუნიზმისა“ და „მისალმებათა ნაქალი“, ასე ეწოდება დასახელებული პერიოდის წიგნებს.

ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი საერთოდ დიდხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში და განსაკუთრებით შემოქმედელისათვის წარუშლელია ყოველთვის. შემოქმედებითი უნარის მაღლიან დგირტას სწორედ იმ პირვანდელ შთაბეჭდილებებში აქვს ფესვი გადგმული...

რევაზ მარგიანმა კარგად იცის ამის ყადრი და აკი ხშირად უბრუნდება ხოლმე თავის ლექსებში შორეული დღეების ამ ძვირფას საგანძურს. უმთავრესად სწორედ ასეთი ხასიათის პოეტური ნაწარმოებებია მოთავსებული ერთტომეულის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში და თარიღდებიან 1947-1962 წლებით. როგორც ვხედავთ, პერიოდი ძალიან დიდია, რაც თავისთავად სარეცენზიო მასალას სიუხვევდაც მიგვითითებს.

ამ შემთხვევაში კარგი საილუსტრაციო მასალაა ლექსი „წელს უსათუოდ“:

მე შევასრულებ, რაც მინატრია,
ჩემს მეგობრებთან ერთად გავივლი.
ჩემი მუღახი ისე მაკლია,
როგორც ოდესღაც სენენთს მარილი.

შალვა აფიშულაშვილი

პოეტი მუშაობს მთმბრდან

ბოლო სტრუქტურის ისეთ კოლორიტს ანიჭებს პოეტის მიერ დახატულ სურათს, რომ დაეწყება მისი ყოვლად შეუძლებელია.

ის არის ჩემთვის იმედიათი,
სხვისი კი არა, ჩემი ჩარგალი,
იქ სიტყვა დამჩნა
ნაპერწყლიანი, —
და ფილთა-თოფი დაუქანგავი...

მაგრამ დაუქანგავი ფილთა-თოფით როდი განისაზღვრება პოეტის შთაგონება. მისი შთაგონების არე უფრო ფართოა, უფრო მიმზიდველი და უფრო ჩამაფიქრებელი.

იქ გული დამჩნა — ჩანგი წკრიალა,
პატარა თხილის გულის ოდენი.
მარტო ერთგული ცხრა ძმის კი არა,
მთელი ქვეყნისთვის გასაყოფელი.

რითმებში გამოდევნა ყოველთვის როდია სახარბიელო საქმე. არის მომენტი, როდესაც სრულიად უმნიშვნელო ამბავს წარმოადგენს რითმისადმი გადაჭარბებული მზრუნველობა. ამ შემთხვევაში ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს. რითმების — „ოდენის“ და „გასაყოფელის“ არასრულფასოვნება მაშინ გახდა ჩვენთვის შესაჩმნევი, როდესაც ნაწარმოებს ტექნიკური სრულყოფის თვალსაზრისით მივუღებთ.

ვისაც მარტო ტექნიკური მხარე აინტერესებს ლექსისა, იგი ნამდვილი პოეზიის საიდუმლოებას ვერ ჩასწვდება ვერასოდეს. ადამიანის გულსადმი მიმართული ორად ორი სტრუქტურა: „მარტო ერთგული ცხრა ძმის კი არა, მთელი ქვეყნისთვის გასაყოფელი“ თავისთავად ისე ძლიერად არის ნათქვამი, რომ ყველა დაკრის-ტალეხული რითმაც კი ჩოქს მოუხრის მის ლაზათიანობას.

ბავშვობის, ყრმობის, სიჭაბუქის და პირველი სიყვარულის მოტივებზეა აგებული აგრეთვე ისეთი ძლიერი ლექსები, როგორიცაა: „ჩემი აკვანი“, „გახსოვს, წყნანე გვალდას მთაო?“, „ნეტავი იმზირებოდე“, „მესტიიდან ოდიშამდე“ და ისევ გვალდა, გვალდა“. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ნეტავი იმზირებოდე“, რისთვისაც მთლიანად მოგვყავს:

კვლავ შენსკენ ჩამოვიჭროლე,
უშენოდ ველარ გავძელი,
ისევ ისე დგას ის ყოველ,
ისევ ისე დგას საბძელი.
ისევ ისეა სარკმელი
ჯიხვის დიდ რქებში ჩასმული,
მხოლოდ ხატება აკლია
ერთი ლამაზი ასულის.
ისევ ისეა სარკმელი,
განათებული მთვარითა,
ნეტავი იმზირებოდე,
სხვა არაფერი არ მინდა!..

ნაკლებ შთაბეჭდილებას არ ტოვებს ჩვენი ავტორისათვის თითქოსდა უჩვეულო სიტყვები დაწერილი ლექსი „შენ და ყინვარის გვარად“.

გზად მითხრეს: ყინვარზე არსებობს
არსება ყვავილის მაგვარი,
ის თურმე ენძელის მსგავსია
და მე კი მეგონა ზღაპარი...

აქ ცხოვრებისეულ სინამდვილეს ემატება პოეტის ფანტაზია, რომელიც ზედმიწევნით პოეტურია:

ბუნებას ბევრი რამ უცდია,
ძვირფასო, სიმართლეს გიყვები;
ალბათ ამ ყვავილებს უწედიან
ერთმანეთს მიჯნური ჯიხვები.

ამ შესანიშნავ მხატვრულ სახეს მოსდევს პოეტური ჩანაფიქრის მშვენიერი განვითავება:

მე წარბიც არ მინდა შეეხარო,
ბევრ აღმართს უშენოდ ავივლი;
ერთს ვნაღვლობ:
შენს გულში ვერ ვხარობ,
ყინულზე კი ხარობს ყვავილი...

ცალმხრივ სიყვარულზე დაწერილ ამ ლექსში უდავოდ დიდი ლირიკული სიბო, დიდი ადამიანური გრძნობებია ჩაქსოვილი. იგი შორსა დგას ჩვენს პოეზიაში მოჭარბებულ იმ ლექსებისაგან, რომლებშიც შიშველი მკლავებისა და აფრიალებული კაბების მეტი არაფერია.

ერთბოლოების დასახელებულ ოთხ განყოფილებაში შესულია სხვადასხვა თემაზე დაწერილი ლექსებიც, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „მარილი“, „მოღის ლეონიძე“, „უტური“ და „მირზა გელოვანი“.

მოღის ლეონიძე
პოეტების თვალთ,
მცხეთელების სიძე,
ლექსის ფალავანი...
შეგაგებებს ღიმოლს
ოდნავ დახრილ მხარით,
ბეჭზე არწივით
უზის ვაჟს ბჭკარი.

კომენტარები არაა საჭირო. ამ სტრუქტურაში მართლაც ჩანს გიორგი ლეონიძე თავისი ფალავნური ბეჭებითა და პოეტური სიტყვის უდიდესი მადლით...

სულ სხვა სტილშია დაწერილი მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი ლექსი. მასში ბევრია ცრემლი, წვიმა და ნისლი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ შემთხვევაში რევაზ მარგიანი დასტურის დიდ სამამულო ომში უდროოდ დაღუპულ მეგობარ პოეტს. რა კარგად არის ნათქვამი:

მე რომ შემძლებოდა,
უბეში ჩავისვამდი,

ისე რომ, რევან პარგიანის აკვიატებული გე-
ვი — იქნებ აქლია ჩემ ლექსს მარილიო, არ მა-
რთლდება ჩვენა საბედნიეროდ.

ურიგო არ იქნება შევეხოთ აღნიშნული პე-
რიოდის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებსაც.

პოეტს არა ერთი და ორი ლექსი აქვს შექ-
მნილი მშობლიურ კუთხეზე, მშობლიურ კერა-
სა და კარ-მიდამოზე. მას გაგიყვებით უყვარს
მყინვარების თეთრი სამფლავლო, რომელიც
პოეტისავე სიტყვით, ცისა და ქვეყნის უსაზ-
ღვრო საზღვარს აერთიანებს.

ალბათ აქედან დაიბადა სხვა პოეტური სა-
ხეები ლექსში — „კავკასიონი“. პოეტი მთას-
იქითელ მეგობარს მიმართავს:

ჩვენ წყალგამყოფი ქედი გვამშვენებს
და მწვერვალები, ცას რომ ფატრავენ.
ჩვენს მდინარეებს და ჩვენს ჩანჩქერებს
ერთი ძუძუ აქვთ, ერთი სათავე.
ერთი გვაქვს ზეცა და ამსკიდური,
ერთ მზის ამოსვლის მახაროლები, —
და ხურჩინივით გადაკიდულან
კავკასიონზე ჩვენი სოფლები...

ბოლოს ავტორი კანონიერი სიამაყით აცხა-
დებს რომ ქვეყნიერებას კავკასიონის სიმალი-
დან ვესაუბრებითო.

საკუთარ კარმიდამოზე დაწერილ ერთ-ერთ
ლექსში პარგიანს ნათქვამი აქვს: „ეზოში, რო-
გორც მოკლული ძეგა, ფრთამოტეხილი ეგდო
ყვარი“. კაცმა რომ თქვას, ამაში არაჩვეულებ-
რივი თითქოს არაფერია, მაგრამ მესხიერებას
არ შორდება ეს პატარა დეტალი და მასთან
ერთად სულ ცოცხლად გვიდგას თვალწინ პო-
ეტის ყრმობისდროინდელი ეზო-ყურე თუ კარ-
მიდამო.

პოეტი მშობლიურ ქარზედაც კი თავდავი-
წყებით არის შეყვარებული. აქი ამბობს კიდეც:

— არ შემეცივდეს! —
დასავლის ქარი
როგორც ჭიხვის ტყავს
მომახვევს ღრუბელს...

აქედან იბადება პატრიოტიზმის კიდეც უფრო
დიდებული გრძნობა. ამიტომაც გვყვარა პოე-
ტისა, მე საქართველო რომ არ მიყვარდეს, სხვა
ნხარეს როგორ შევიყვარებდიო...

ოდესღაც უთქვამთ, სიტყვიერ ხელოვნებაში
მხოლოდ მეტაფორა რჩება მარადისობას. ეს
არ ვიცი, რამდენად მართალია და, რევან პარ-
გიანის ზემოხსენებული პერიოდის პოეტური
შემოქმედება კი სავსეა მეტაფორული თქმე-
ბით. აი ზოგიერთი მათგანიც:

1. სიბერეს როდესაც აღწევენ, სიმღერით
კვდება ჩიტები. 2. შემოგახვევი ელვის მკლა-
ვებით და ყურთან მხად ავგარუხუნდები.

3. შენს ელვით დამწვარ ლეჩაქს წაიღებ
ჭიხვის რქაზე ავაფრიალებ. 4. ლილეოს მუცელში
გახვეულა ჩემი სამარე. 5. მე ელვის სხეულში
დაიკვირა ხელში. 6. მხეს სხვაში! მზე იწვის
სავსე ჭიჭიში და ასე შემდეგ...

ერთტომეულის ბოლო, ანუ მეშვიდე განყო-
ფილების პროზაულ შესავალში ავტორი გვა-
მცნობს: ეს ლექსები ჩემი ბოლოდროინდელი
წიგნიდანაა ამოკრებილი. ამ წიგნს ერქვა „გა-
მოღვიძება“, რომელიც გამოვიდა პოეტის და-
ბადების 50 წლის თავზე, სახელდობრ, 1966
წელს.

— ლექსი პირველ ქართულ ლექსზე! — პო-
ეტურია ნამდვილად... ენახოთ, რას იტყვიან
თვითონ სტროფები:

შენ იყავ ჩვენი დედაც და მამაც,
ურჩხულის პირში ჩაჩრილი შუბი.
შენ იყავ ლოცვა და იავნანა,
და ერსაც მისთვის დაჰქონდი უბი.

ქართულ სიტყვაზე, ქართულ ენაზე, ქართულ
ლექსზე ბევრი რამ კარგი დაწერილა. მიუხედა-
ვად ამისა, პარგიანის ეს ლექსი არ გამოიყუ-
რება ფერდაკარგულად. არ გამოიყურება იმი-
ტომ, რომ ავტორისეული, ან უფრო სწორად —
პატრონის უტყუარი დამა აღვეს იალაღებზე
გასულ ცხენივით. ამაზე მეტყველებს მომდევ-
ნო სტროფიც:

შენ იყავ ფიცი საპირიწამლე,
გაუბზარავი ფარი და ზური.
შენით ლოცავდა მზესა და მთვარეს
პირველი კონით დამტკბარი ტური.

კვითხლობთ პოეტის ერთტომეულს, კვით-
ხლობთ და კეშანს სიხარული სცვლის, სი-
ხარულს — კეშანი, ხან ორივე ერთად გვე-
ვლინება, და ნამდვილი პოეზიაც ხომ სიხარუ-
ლისა და სიმწუხარის ორ უხილავ ფრთაზეა
დანდობილი. მიდის დრო, მიდის ცხოვრება, ხან
ერთი ფრთაა დაშვებული, ხან მეორე:

თოვს სიჩუმეში, თოვლი თოვდება,
და მღუმარება სულ არ მაოცებს.
მე, ცრემლის გარდა რა გელოდება
განწირულ ძმათა სასაფლაოზე...
ხავსაან ქვაში ჩამჯდარა ტყვია,
და სისხლი წვეთავს საკუთარ გულში...
მას შემდეგ ბევრჯერ აყავდა ია
და ბევრჯერ ციებხლად აენთო ნუში...

ერთტომეულში ერთგან ავტორი ამბობს:
„თავს ცისარტყელა მელგა გვირგვინად, ვით
დოთი ჭილდო დედა-ბუნების“. ვეიჭირბო, ამ
სტრიქონებში ფიგურულად არაფერია ნათქვა-
მი. მით უკეთესი! რა შეედრება დედა-ბუნე-
ბის დიდი, შეუდფეროვან ჭილდოს?! სწორად
გამოჩენილიყოს იგი მშობლიურ ცაზე, პოეტ-
თან ერთად ჩვენც არა ერთხელ გავიხარებ-
დით...

ოღოს ჰაქსლის მხაზვარ ნაწარმოებთა სწავლულის გაგებისათვის

მხატვრულ ნაწარმოებში ხდება ობიექტური სამყაროს მოვლენათა და მათ შორის არსებულ ურთიერთობათა მეორადი მოდელირება. ახალი მოდელის კონტრატური შინაარსი კი მთლიანად დამოკიდებულია ავტორზე, იმ ინდივიდზე, რომელმაც იგი შექმნა.

რადგანაც სტილისტურ სტრუქტურაში ობიექტური რეალობა წარმოგვიდგება არაუშუალოდ, ინდივიდის მიერ შექმნილი მოდელის პრიზმაში გარდატეხილი, თუ ეს ინდივიდი მწერალია, მის მიერ შექმნილი მოდელი წარმოადგენს მის მხატვრულ ნაწარმოებს.

ამგვარად, ასეთ სტრუქტურაში რეალიზდება დენოტატური და კონოტატური პლანების ურთიერთქმედება, რის შედეგადაც იქმნება ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება.

საფიქრებელია, რომ მწერლის მიერ შექმნილი მოდელი, უმეტეს შემთხვევაში წინასწარ „დაპროგრამებულია“ (გარკვეული შინაარსი დალაგებულია ალგორითმული პრინციპის საშუალებით ე. ი. მისი კომპონენტები გარკვეული კონფიგურაციითაა განაწილებული და შემდგომ გარკვეული პროცედურების სახით მოქმედებს მექანიზმი, რის შედეგადაც ვიღებთ ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას) და ამ პროცესს საბოლოო მიზანია მხატვრული ეფექტის შექმნა. სწორედ ასეთი მექანიზმის ქმედებას მხატვრულ ნაწარმოებში ეძღვნება ეს სტატია.

ამ მიზნით, ოღოს ჰაქსლის, როგორც „ინტელექტუალური რომანის“ ავტორის შემოქმედების განხილვა, რომელიც უგულვებელყოფს ტრადიციული რომანის არსებით ელემენტს — სიუჟეტსა და მოქმედი პირების აღწერას და ემყარება იდეის დიალექტიკას, საინტერესო მასალას წარმოგვიდგენდა მწერლის „დაპროგრამებული“ მოდელის შესწავლისათვის.

საინტერესოა ო. ჰაქსლის შემოქმედების გან-

ხილვა მთლიანობაში. რადგანაც ყოველ მის ნაწარმოებს აერთიანებს ერთი პრობლემა — მწერლის თანამედროვე საზოგადოების მანკიერებათა გამოაშკარავება.

თავისთავად ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, მწერალთა არა ერთი თაობისათვის იყო საჭირობო, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალია ის ფაქტორები, რომლებმაც ჰაქსლისათვის ამ თემის დომინირება განაპირობეს და ის ხერხები, ანუ მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ახორციელებს მწერალი თავის მიზანს.

თავის თანამედროვეთა წინაშე ჰაქსლი შემდეგ პრობლემებს სახავს: რა სულიერი და გონებრივი წყარო ასაზრდოებს საზოგადოების უმაღლეს ფენას — „ინტელექტუალებს“? რა გზით წარიმართება ამ ფენის განვითარება შემდგომ საუკუნეებში? მომავალში ტექნიკური პროგრესი აღამიანისავე საზიანო ხომ არ იქნება? მექანიკური საუკუნე მექანიკურ ადამიანს ხომ არ წარმოშობს, ხომ არ დაუქარგავს ადამიანს ადამიანურობას?

ამ ეკვების საფუძველზე ჰაქსლი მთელ რიგ ადრინდელ ნაწარმოებებში იმ თვალსაზრისს ადგას, რომ დარვინი, პავლოვი, ფროიდი. აინშტაინი წარმართავენ მეცნიერებას იმ მიმართულებით, რომელიც აკარგვინებს ადამიანს დაბადებით მინიჭებული თავისუფალი ქმედებისა და აზროვნების უფლებას.

მაგრამ თუ ადრინდელ ნაწარმოებებში ჰაქსლის „ინტელექტუალები“ უმიზნო ცხოვრებას მორალურ კრიტერიუმთა დაკარგვამდე მიჰყავდა, მოგვიანებით ისინი იძულებულნი ხდებიან გზა ეძიონ უკეთესი ცხოვრებისაკენ. ჰაქსლის უყანასკნელი უტოპიური რომანი „კუნძული“ („Island“) აღწერს საზოგადოებას, რომელშიც მეცნიერება ჩაყენებულია კაცობრიობის სამსახურში.

აი, ამ პრობლემებით ცდილობდა ჰაქსლი თავის თანამედროვე მკითხველის დაინტერესე-

ბას. არ იშვრებდა მხატვრულ ალღოს და უდი-
დეს ერუდიციას (ცნობილია ჰაქსლის „ენცი-
კლოპედური“ განათლება) და, რაც მთავარია,
თავის იშვით სატირულ¹ ნიქს, რომელმაც ის
სუიფტს ამოუყენა გვერდით.

მექანიზმის აგების ძირითადი პრინციპი ჰაქ-
სლის მხტვრულ მოდელში სიტუაციებისა და
მოქმედი პირების მრავალპლანოვანი დაპირის-
პირებისა და მონაცვლეობის პრინციპია. ან ჰაქ-
სლისეულივე მეტაფორა რომ ვიხმართ — კო-
ნტრაპუნქტული პრინციპი, რომელიც მან მთე-
ლი სისავსით, ოსტატურად გამოიყენა ამავე სა-
ხელწოდების რომანში («Point Counter Point»
„კონტრაპუნქტი“), მაგრამ ამ პრინციპს ჰაქს-
ლი მეტ-ნაკლებად იყენებდა ზემოხსენებული
ნაწარმოების შექმნამდეც და შემდგომ რომა-
ნებშიც.

ო. ჰაქსლის მიერ მუსიკალური ტერმინის
(ლათინ. *Punctum contre punctum*). გამოყენე-
ბა შემთხვევითი როდია. მუსიკაში ეს ტერმი-
ნები ნიშნავს პოლიფონიურ წყობას. თანადრო-
ულ და ურთიერთმორის შეთანხმებულ რამდე-
ნიმე დამოუკიდებელი ხმის მოძრაობას, რომ-
ლებიც წარმოქმნიან ერთ ჰარმონიულ მთელს².

კონტრაპუნქტული პრინციპი ავტორის მოქმე-
დების ადგილის სწრაფი მონაცვლეობისა და
კონტრასტული სიტუაციებისა და განწყობი-
ლებების დაპირისპირების საშუალებას აძლევს.
ამგვარად აგებულ მრავალპლანიან და მრავალ-
წახანგოვან სტრუქტურაში ო. ჰაქსლიმ თანა-
მედროვე საზოგადოების ფენობრივი სტრუქ-
ტურა და ამ ფენების ურთიერთქმედება წარ-
მოადგინა და მათი აღწერის იარაღად აირჩია
სატირული ჟანრი.

ო. ჰაქსლის შემოქმედების გაცნობის შედე-
გად მწერლის კონტრაპუნქტული პრინციპით
აგებული მოდელი შეიძლება შემდეგნაირად
წარმოვიდგინოთ:

1. თემათა დეზინტეგრაცია (დაშლა)

1) თემათა სიმრავლე (თვითეული თემის
განვითარების სპეციფიკა)

2) თემათა განვითარების სახეები:

¹ ჩვენ ყველგან გამოვიყენებთ ამ ტერმინს
მისი ფართო მნიშვნელობით, რომელიც და-
ცინვის ყოველგვარ ფორმას გულისხმობს. კერ-
ძოდ, ო. ჰაქსლისთან გამოყენებული ფორმებია:
სარკაზმი, ირონია, გროტესკი, კარიკატურა.

² საერთოდ, მუსიკამ დიდი გავლენა იქონია
ჰაქსლის შემოქმედებაზე. ამაზე შემდგომ შევ-
ჩერდებით. მუსიკისადმი მიძღვნილ ესეებში,
ავტორევე რომანებში, სადაც გამოთქვამს აზრს
ხელოვნების ამ დარგის შესახებ, ჰაქსლი მუ-
დამ მუსიკალური ნაწარმოების ფორმის სრულ-
ყოფის მომხრეა, თუკი ეს ფორმა ნაწარმოების
შინაარსის გახსნას ემსახურება.

ა) პარალელიზმები (პარალელური სიტუა-
ციები)

ბ) სიმრავლის პრინციპი (პერსონაჟების
სიმრავლე, სიტუაციების სიმრავლე)

გ) თემათა „მუსიკალურობა“ (მათი განვი-
თარება, მოდულაცია, მკვეთრი გადასვლები,
კონტრასტები)

II. თემათა ინტეგრაცია (ერთიანობა)

1) ნაწარმოების შინაარსის პრეზენტაციის
ფორმა

ა) ობიექტური (ავტორისეული მეტყველე-
ბა, დიალოგები, პირდაპირი, ირიბი მეტყველე-
ბა)

ბ) სუბიექტური (დღიურების ან ჩანაწერ-
ების წარმოება რომელიმე მოქმედი პირის მიერ)

გ) დროის ცალკეული პერიოდების ფაზე-
ბად გამოცხადება

2) სატირა, როგორც ნაწარმოების შინაარ-
სის შემდუღებელი საშუალება.

კონტრაპუნქტის პრინციპი არსებობს იმპ-
ლიციტურად ჰაქსლის „კონტრაპუნქტადე“
შექმნილ ნაწარმოებებშიც. კერძოდ, „ყვითელ
ქროში“. («Crome Yellow») „ლაზლანდარების
ფერხულში“ («Antic Hay») და რომანში
„ის უნაყოფო ფოთლები“ (Those Barren
Leaves) ამ სამ რომანს იმდენი საერთო აქვს,
რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქმის ერთი
რომანის სამი ვარიანტი გვექონდეს ხელთ. რა
თქმა უნდა, მათი მსგავსების საფუძველია მოქ-
მედი პირების კონტრეგენტი — ეგოსტი და ექს-
ცენტრული „ინტელექტუალები“ — მხატვრები
(გომბალდები „ყვითელ ქროში“, რემპიონი —
„ლაზლანდარების ფერხულში“), მწერლები
(პოეტი დენის სთოუნი „ყვითელ ქროში“, მისს
თრიფლოუ რომანიდან „ის უნაყოფო ფოთლე-
ბი“ ყველა გმირისათვის საერთოა დამახასიათე-
ბელი უმიზნობა, უსაქმურობა და უპასუხის-
მგებლობა.

„ინტელექტუალების“ ცინიზმი და გულგრი-
ლობა თავიებურ დაღს ასვამს მათი ცხოვრების
მორალურ მხარესაც. მათთვის სიყვარული მხო-
ლოდ წამიერი გატაცებაა, გრძნობა, რომელ-
საც მარად თან ახლავს იმედგაცრუება. ამ ალა-
მიანების უმეტესობა ემოციებისაგან დაცლილი
და გამოუფიტელია.

აღნიშნული სამი რომანიდან პირველსა და
უკანასკნელს საერთო მოქმედების ადგილი აქვთ
— წვეულება (მრავალი მოქმედი პირის უკე-
თესად წარმოსაჩენად ჰაქსლი ხშირად თავის ნა-
წარმოებებში აღწერს სხვადასხვა საზოგადოე-
ბრივ თავყრილობას — წვეულებას ოქაზში თუ
რეტორანში, რომელიმე კაფეში მის შრიდზე
სტუმართა შორის გამართულ კამათსა თუ რამე-

გულნარა გერმძე

ოლღოს ჰაქსლის მხატვრულ ნაწარმოებთა
სტრუქტურის განხილვისათვის

ლიმე მუსიკალური ნაწარმოების მოსასმენად საგანგებოდ თავშეყრილ აუდიტორიას), რომელზედაც თავს იყრიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, საერთოა მათი უმიზნო საუბარი, თავის შექცევა წამიერი სიყვარულით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ რომანში („ყვითელი ქრომი“) მოქმედება ვითარდება ინგლისში, ხოლო უკანასკნელში („ის უნაყოფო ფოთლები“) — იტალიაში.

მსგავსი პრობლემების წამოჭრა სხვადასხვა ნაწარმოებში მსგავსი თემების განვითარებას წარმოშობს, რაც მწერლისაგან მოითხოვს დიდ უტარტობას, რათა თავიდან აცილებულ იქნას ნაწარმოებთა ერთფეროვნება, ყოველ მათგანს მიენიჭოს სიახლე და ორიგინალობა. სწორედ აქ მდებარეობს ო. ჰაქსლის მიერ კონტრაპუნქტული პრინციპის მომარჯვების საოცარი ნიჭი, არჩეული თემის განვითარებისათვის ახალ-ახალი, განსხვავებული ხერხების გამოყენების უნარი.

პარალელიზმი ჰაქსლისათვის კონტრაპუნქტული პრინციპით თემის განვითარების ერთ-ერთი ხერხია.

პარალელური სიუჟეტური ხაზებისა და სიტუაციების გამოყენებასთან ერთად იგი გულისხმობს, რომ საზოგადოება წარმოადგენს იმ პარალელური ხაზების ერთობლიობას, რომლებიც არასოდეს კვეთენ ერთმანეთს, ე. ი. ყოველი ადამიანი ჩაკეტილია თავის თავში, ახორციელებს სხვის ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს, ერთხელ კიდე წარმოაჩენს ამ საზოგადოების წევრთა ეგოიზმს და გულგრილობას.

ერთ-ერთი გმირი — იმედგაცრუებული ზმანებების სიმბოლო, მოირა ფიციში (ლაზარდარათა ფერხული“) გუთავაზობს ცხოვრება „პარალელური ლიანდაგის“ პრინციპით აივოს — თეთიფული ადამიანი საკუთარი „ლიანდაგი“ მიემართება; თუ ვინმეს შეზღუდით, რამდენიმე მილს თანაბარი სიჩქარით გაივლით, მატარებლის ფანჯრებიდან ერთმანეთს მხიარულად გაესაუბრებით და როცა სათქმელი ამოიწურება, გზებზე გაიყრება.

ეს პრინციპი ხშირად გამოიყენება დიალოგებში, სადაც ყოველი მოსაუბრე საუბრის სხვადასხვა თემას ავითარებს, ისე რომ არც კი აინტერესებს, რაზე საუბრობს მეორე, იგი არ ელილობს მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარებას და აქაც ავტორი ავითარებს აზრს — „განა ჯდის ვისმეს დაუწყებარება ვისმესთან კონტაქტი?! ჩვენ ყველანი პარალელური ხაზები ვართ, ზოგი ოდნავ მეტად პარალელურია სხვა დანარჩენზე“. („ყვითელი ქრომი“, IV თავი). ყოველი ინდივიდუალისტი მთელი სიცოცხლე საკუთარ ტყავში იწვის, საზოგადოების არც ერთ წევრს არ მოსდის აზრად მეგობრუ-

ლი ხელი გაუწოდოს მეორეს, ნუგეში ნუცხადებს.

ასევე ხშირად იყენებს ჰაქსლი პარალელური სიტუაციებს, ხოლო კიდეც უფრო ხშირად — მსგავსი წყვილების გამიჯნულების ამბავს მოგვითხრობს. მაგალითად, რომანში „ის უნაყოფო ფოთლები“, ჰაქსლი გვთავაზობს ე. წ. „პარალელულების სიყვარულს“ (ჩელიფერი და მის უოლდ-უნიქლი, ქელემი და მისის თრიფლოუ, აირინი და ლორდ ჰენვენდენი, მოხუცი გარდენი და მის ეელფერი) ამ მრავალ წყვილთაგან თვითუღის ურთიერთობის თავისი განსაკუთრებული ფორმა გაჩნდა.

ძალიან ხშირად პარალელიზმს ჰაქსლისთან დაპირისპირება მოჰყვება. ასეთ პარალელიზმებს და დაპირისპირების მონაცვლეობას მრავალად ვხვდებით ქრონოლოგიურად მეოთხე, ხოლო მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ყველაზე კულმინაციურ რომანში „კონტრაპუნქტი“, სადაც ჰაქსლიმ მწერლის შესანიშნავი ალლოთი და ნიჭით, უბადლო სატირით, კონტრაპუნქტული პრინციპით აგებულ მოდელში ყოველ კომპონენტს მათემატიკური სიზუსტით მიუჩნია თავისი ადგილი.

ლონდონის ცხოვრების მიზანს მოკლებული არისტოკრატიის ფონზე ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ (თენთემამუნთებისა და ბილდეიკების) ოჯახზე.

უღარდელი, უპასუხისმგებლო და დროსტარებას გადაეებული ჯონ ბილდეიკი ასლი დაკვლია მეორე ოჯახის მანდილოსანთა მოდგმის უფროსი წარმომადგენლის ლედი ელჰარდ თენთემუნთისა. მეორე მხრივ, ხასიათის მსგავსი შტრიხები შეინიშნება მეცნიერებას თავმცემულ დორდ ელჰარდ თენთემუნთისა და ქან ბილდეიკის მეოცნებე და მკვრეტელურ ბუნებაში (აქ ორი ოჯახის ფონზე დაპირისპირებულია სინონიმური და კონტრასტული პერსონაჟები).

მამას წააგავს საქციელით უმცროსი ბილდეიკი, უოლტერი, თუმცა პირველისაგან განსხვავებით, იგი მეტყვეობს და უნებისყოფაა. მას ალიზიანებს მარჯორი ქეარლინგის მაღალი ზნეობა და „ცივისსილიანობა“. თუმცა იცის, რომ ამ ადამიანმა მასთან ყოფნის ბედნიერებას ანაცვალა ოჯახი და საზოგადოებრივი მდგომარეობა, ალიზიანებს მამად გახდომის მომავალი პერსპექტივა. თუმცა გონება სხვას კარნახობს, უნებისყოფობას მიჰყავს ის მტკიცებლური ბუნების მქონე ავზორი ლუსი თენთემუნთთან (თენთემუნთების მანდილოსანთა მოდგმის უმცროსი წარმომადგენელთან).

ეს ამბავი, თავის მხრივ, უოლტერის დის, ელიზორ ბილდეიკის ოჯახური დრამის პრელუდიაა. ეს უკანასკნელი საკუთარი მეუღლის, მწერალ ქუორზის დაუსრულებელი ანალიტიკური მსჯელობით და გულგრილობით გაბეზრებული გაცივდა მას ასევე მტკიცებლური ბუნების

მქონე ელუარდ უებლიზე (აქაც იგივე ჯვარედინ მსგავსებასა და დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე).

ბილდების ამ ორი წარმომადგენლის ცხოვრების კრიზისია რომანის ლერძი, რომელიც იშლება სიუჟეტური ქვე-თემების ვარიაციების ფონზე. ყოველივე ამას კი საფუძვლად უდევს მძაფრი სოციალური კონფლიქტი.

რომანში ერთმანეთს უპირისპირდებიან ბურჟუაზიის ძველი თაობის წარმომადგენლები, თავიანთი რაბლენიანი ბუნებითა და დიკენსისეული იდეალებით და აგრეთვე ნიადაგამოცლილი უმწიხრო გართობით მოყვრებული ახალგაზრდობა. დაპირისპირებისას ავტორის სიმშაბათია მაინც ძველი თაობისაკენ იხრება.

აღნიშნულ პარალელიზმის პრინციპთან მჭიდროდაა დაკავშირებული სიმრავლის პრინციპი, რაც უპირველესად ყოვლისა, გამოიხატება თემათა სიმრავლეში და აქედან გამომდინარე სიტუაციათა სიმრავლეში.

სიმრავლე, კონტრაპუნქტული პრინციპის არსის გამხსნელი მთავარი კომპონენტია, რამეთუ უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული თემათა განლაგება პოლიფონიური პრინციპით.

„კონტრაპუნქტის“ ერთ-ერთი მოქმედი პირობი, მწერალ ქუორდზის მეშვეობით ჰაქსლი ასე ხსნის სიმრავლის არსს:

ახლებურად ხედვის არსი სიმრავლეშია... ბიოლოგი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი თუ ისტორიკოსი, ცხოვრებისეული მოვლენის სხვადასხვა ასპექტს, სინამდვილის სხვადასხვა შერს პროფესიულად ხედავს. მინდა, ყოველი მათგანის თვალთი დავინახო ერთდროულად“. („კონტრაპუნქტი“ XIV თავი, გვ. 196).

ამრიგად, სუბიექტი და მისი თვალთახედვა სხვა სუბიექტებთან კავშირში იძლევა თვალთახედვათა სიმრავლეს, რაც ავტორის აზრით, რაიმე მოვლენის ობიექტური ანალიზის აუცილებელი პირობაა.

ეს დებულება ხსნის ჰაქსლის ნაწარმოებებში პერსონაჟთა სიმრავლეს, კონტრაპუნქტულ პრინციპს, რომლის თანახმადაც თვითეული პერსონაჟი, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს თავის თავში იმ იდეას, რომლის „ტრუზადურც“ თვითონაა. როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, „ჰაქსლის პერსონაჟები კანით დაფარულ იდეებს წარმოადგენენ“.

რამდენადაც იდეები ჰაქსლისთან „დაპროგრამებულია“! პერსონაჟებიც ასევე წინასწარ დაგეგმილ ფუნქციებს ასრულებენ, რაც განაპირობებს მათ ტიპურობას, მსგავს სულისკვეთებას ჰაქსლის მთელი შემოქმედების მანძილზე. პ. უოტსის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ,¹

„ჰაქსლი წერს თანამედროვე კომედიას. თავისი კოლომბინებითა და არლეკინებით, რომლებიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში სახელს იცვლიან, მაგრამ გაერთიანებული არიან მსგავსი ძალებით, მსგავსი გამონათქვამებით და მსგავსი ტრაგედიებით“.

როგორც აღრე ავღნიშნეთ, ო. ჰაქსლის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდებიან მხატვრები, მწერლები, მეცნიერები. ჰაქსლის მეცნიერები (ხშირად ბიოლოგები ან ექიმები), როგორც არიან შიერუთები („ლაზანდარათა ფერხულიდან“) ლორდ ილუარდი („კონტრაპუნქტიდან“), ობისფო („მრავალი ზაფხული შემდეგ...“) პენრი მარტენზი (გენიოსი და ღმერთქალი) და სხვები. აბსტრაქტული ტიპებია ძირითადად ექსპერიმენტატორები და არა მეტრნალები. ისინი მთლიანად თავიანთ ექსპერიმენტებს არიან თავმიცმულნი, „თითქმის დედამიწას ფეხს არ აკარებენ და ცაში დაფრენენ“, უმწიხრონი, ბავშვებით უსუსური პრაქტიკულ ცხოვრებაში, ანსახიერებენ იდეას „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, რომელიც განუგებულად აწარმოებს თავის ექსპერიმენტებს, რომელთა მეოხებითაც საბოლოოდ უნდა მოიხსნოს ან უკეთეს შემთხვევაში გადაგვარდეს ადამიანი.

XX საუკუნის femme fatale-ს ტიპის მანდილოსნები, როგორიცაა მორია ვიეში („ლაზანდარათა ფერხული“) ლიუსი თენთე-მალთი კონტრაპუნქტი, ელენ ლედვიჯი („ბრმა გაზაში“) და სხვ. „სიყვარულის იდეის“ გამოჩენილ უნდა იყვნენ მაგრამ ენაიდან იმედგატრეულები და ეგოისტები ინტელექტუალები-სათვის სიყვარული აღარ არსებობს, ამ გრძნობას ისინი მხოლოდ მორალურ დეგრადაციამდე დაჰყავს.

ჰაქსლის თითქმის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა, რა დიდ როლს ანიჭებს ის მუსიკას და მიისწრაფვის მუსიკისა და ლიტერატურის სინთეზსაკენ. ის ცდილობს მუსიკალური ნაწარმოების ფორმის გადმოწერვას ნაწარმოებში, რათა აიყვანოს უკანასკნელი უმაღლეს ესთეტიკურ ხარისხში და მკითხველის ინტელექტისათვის უფრო აღქმადი გახადოს.

ჰაქსლის მიერ მხატვრული ნაწარმოების „გამუსიკალურება“ ვლინდება როგორც იმპლიციტურად, ისე ექსპლიციტურად. ე. ო. როგორც თავისთავად კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის დაპირისპირებით მხატვრულ ნაწარმოებების სიუჟეტურ ხაზთან ისე კონტრაპუნქტის პრინციპის ისეთი ხერხების მისადაგებით მხატვრული ნაწარმოებისადმი,

გულნარა გერმძე

ოლდოს ჰაქსლის მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურული გაგებისათვის

¹ Watts H. H. — Aldous Huxley, New York, 1969, p. 69.

როგორცაა, პოლიფონია, ტრანსპოზიცია, მოდულაცია, კონტრასტები და სხვა).

ბახის სუიტის (B მინორის) მთავარი მუსიკალური თემის დაპირისპირებიდან შემავალ თემებთან იღებს სათავეს „კონტრაპუნქტი“. მკითხველი თანდათანობით ეცნობა თენთემათნოეზის ოჯახში მოსულ „ინტელექტუალებს“, ბოშელთაც პატარ-პატარა ჯგუფებად მოუყვრით თავი დარბაზის სხვადასხვა კუთხეში. პოლიფონიის, მრავალხმიანობის პრინციპს მუსიკაში უფარდებს ჰაქსლი მრავალთემიანობას მხატვრულ ნაწარმოებში, რომელთაგან ერთი მთავარი თემა — ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის ელინორ ბილდეიკ-ქუორლზის სულიერი კრიზისი მთელი ნაწარმოების მანძილზე დანარჩენი ქვეთემების განვითარების ფონზე ვითარდება.

ჰაქსლისათვის მხატვრული ნაწარმოების „გამუსიკალურება“ გულისხმობს განწყობილებების ცვლას, მკვეთრ გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში. თუ მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი გასაღებიდან მეორეშია ტრანსპოზიცია, მხატვრულ ნაწარმოებში განწყობილებების მოდულაციაა. სანამ ჯონი კლავს ცოლს, სმიტი ასეირნებს ზალზე ბავშვს; თემები სწრაფად მოიცვლინობენ, რაც უფრო მეტი კონტრასტებია, მგალობად, ზოგი შეყვარებულია, ზოგი ლოცულობს, ზოგიც კვდება — მეტი სირთულე ექმნება. შეიძლება განსხვავებული ადამიანები წყვეტდნენ ერთიდაიგივე პრობლემას, ან პირობით, მსგავსი ადამიანები — სხვადასხვა პრობლემას (კონტრაპუნქტი, თავი XX).

კონტრასტები და მოდულაციები დიალოგებში გულისხმობს სასაუბრო ერთი საგნიდან უცრად მეორეზე გადასვლას; საერთო მხატვრულ ქსოვილში — სიუჟეტური ხაზების მსგავსებას ან დაპირისპირებას ერთმანეთთან, აწმყოს მოცემული მომენტიდან — გარკვეული ასოციაციის საფუძველზე ნახტომს წარსულში.

ჰაქსლის მიერ დასმული ყველა პრობლემა, რომელთა გადაწყვეტასაც ის კონტრაპუნქტული პრინციპის მექანიზმით ახორციელებდა, ისიც ცდა მოეძებნა საკმაოდ სრული სინთეზი; ისეთი, რომელიც მოიცავდა მის უდიდეს ერთ-ლიცადაც გამოცდილებას, რადგანაც მიანიჭდა, ყოველივე, რაც მოკლებულია, მთლიანობაში განხილვას, სუბიექტივიზმისკენ და დაუმთავრებლობისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ო. ჰაქსლის შეხედულებას ამ საკითხზე მწერალი-ქუორლზი („კონტრაპუნქტი“) ასე გამოვყევამ: „სამყაროს მთელი ისტორია მის ნებისმიერ ნაწილში იმპლიციტურადაა წარმოდგენილი“ (XIX თ. გვ. 251). ამგვარად, ობიექტური რეალობის მცირე მონაკვეთის აღება და შესწავლა სხვადასხვა კუთხიდან ნიშნავს სამყაროში გასახედი „სარკმლის“ გაკრას მისი შინაგანი ბუნების ამოსაცნობად. ამიტომ, იმის-

თვის, რომ შეიქმნას მოვლენის ასახვის სურათი და მთლიანობა, ჰაქსლი ცდილობს შექმნიდეს გააშუქოს ყველა ასპექტში. კონკრეტულ შემთხვევაში სამყაროს ერთ-ერთი ასეთი ობიექტი ჰაქსლისათვის კონტრასტულია, რომელსაც ავტორი მრავალნაირი თვალთახედვით წარმოგვიდგენს.

ჰაქსლის მიერ მრავალხმიანი სტრუქტურის შექმნისათვის გამოყენებული ყველა ხერხის ერთობლიობა ემსახურება მის მიერ დასახული პრობლემის ზედმიწევნით, ამომწურავად გაშუქებას, ხოლო მოწოდებული მასალის ანალიზი უკვე მკითხველის წილი სამუშაოა, მის ერთ-ლიცადაც თუ მხატვრულ ინტუიციასეუდამოკიდებული.

ჰაქსლის ნაწარმოებთა შინაარსის პრევენაციის ფორმა ძირითადად ორგვარია:

ობიექტური, რომელიც მოიცავს გმირების პირდაპირ (ავტორისეულ) და არაპირდაპირ (სხვა გმირების შემწეობით) დახასიათებას. და სუბიექტური — რომელიც გულისხმობს რომელიმე მოქმედი პირის მიერ დღიურების ან ჩანაწერების წარმოებას.

ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ სუბიექტურ ფორმაზე, რადგან ჰაქსლი მას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა — იყენებდა მთელ რიგ ნაწარმოებებში და თანდათანობით ხეწავდა ამ ფორმას მისი მოღვაწეობის მანძილზე.

დღიურის ფორმას გვხვდით უკვე ჰაქსლის აღრიხედელ ნაწარმოებებში „ის უნაყოფო ფოთლები“, „ბრმა გაზაში“, „დრო უნდა შეჩერდეს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფორმის გამოყენება „კონტრაპუნქტში“. სადაც ამ მისიას ასრულებს ვინმე ფილიპ ქუორლზი — „რომანისტი რომანში“. შეიძლება ვთქვათ, რომ დღიურის ფორმა „კონტრაპუნქტში“ არის ის შიფრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივეყვანოთ ჩვენი გასაღები არა მარტო ამ ნაწარმოებს, არამედ ჰაქსლის მთელ შემოქმედებას.

ეს მეთოდი ჰაქსლის საშუალებას აძლევს გარედან ჩაეღიოს მკითხველის შეხედულებაში და დაეხმაროს მას ნაწარმოების არსის ჩაწედომაში.

იმ შემთხვევაში, როცა დღიურის ან ჩანაწერის ნაწარმოებელი მოქმედი პირი მწერალია, მისი აზრები ჰაქსლის მსოფლმხედველობის იდენტურაა, მისი მხატვრული პრინციპის „ასილია“. ამის თვალსაჩინო მაგალითია ზემოთ მოხსენებული ფილიპ-ქუორლზის დღიური და ასევე ნიშანდობლივია მწერალ მისს თრიფლუს დღიურებში გატარებული აზრი („ის უნაყოფო ფოთლები“, გვ. 53, 42). „მათ ჩემი წიგნები მოსწონს. რადგანაც ისინი მძაფრია და უჩვეულო, საკმაოდ პარადოქსული, ცინიური და მეტისმეტად სასტიკი; ისინი ვერ ამჩნევენ ამ წიგნების სერიოზულობას, ვერ ამჩნევენ მათში ტრაგედიასა და სიფაქიზს.

... მე ვცდილობ შევქმნა რაღაც ახალი — ყველა სახეობის ქიმიური ნაერთი; ქარაფშუტობა და ტრაგედია, სილამაზე და საზრიანობა, ფანტაზია და რეალობა, ირონია და სენტიმენტალობა — ყველაფერი ერთად“.

ამრიგად, დღიურის ან ჩანაწერის ფორმა აძლევს მკითხველს ავტორის მეთოდის დაუფლებისათვის დამატებით ინსტრუქციას, მაგრამ სხვაგვარია ამ ფორმის დანიშნულება „ლაზარან-დარათა ფერხულში“. აქ მთავარი მოქმედი პირის ბავისის ჩანაწერებში, რომლებიც მისი სულიერი ზრდის მაჩვენებელი არიან, მეტად არსებითია ნაწარმოების იდეური სტრუქტურის გახსენსათვის და ამ ჩანაწერების გარეშე შინაარსობრივი ხაზი საერთოდ გაუგებარი იქნებოდა.

„კონტრაპუნქტს“ მიკროკოსმში ასე უწოდებს ჰარმონი გაზაში“ ჯერომ მექე. ეს არის მეტად საინტერესო სტრუქტურის მქონე რომანი, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს უსისტემოდ განლაგებულ თავების თანმიმდევრობაა. ამ მოწვევებითა უსისტემობის ამოსავალია, ძველი ფოთოსურათების დასტა, რომელსაც ათვალიერებს მთავარი მოქმედი პირი ენტონი ბიგისი. შინაარსის სტრუქტურაც თითქოს ერთი შეხედვით, ამ სურათებთან დაკავშირებული ასოციაციების მიმდევრობაა. მაგრამ უფრო გულმოდგინე შესწავლისას, თუკი თვითველ დათარიღებულ თავს ქრონოლოგიურად დავალაგებთ, მოვლენათა თანმიმდევრულ ჯაჭვს მივიღებთ. რომანის საერთო მოძრაობაც მიგმატება დროის მსვლელობის ნიშნით 1902—დან 1934—მდე. საერთო შინაარსობრივ სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს ენტონი ბიგისის ბიოგრაფიის უქვსი ძირითადი პერიოდი, რომლებიც მელოდიათა მსგავსად, კონტრაპუნქტულ დამოკიდებულებებში არიან ერთმანეთთან. ყოველი პერიოდი არის ბიგისში მომხდარი ცვლილებების ახალი ფაზა (მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარება) და ამგვარად, ერთიანი პროცესის კომპონენტი.

ნაწარმოების შინაარსის პრეზენტაციისათვის ამგვარი ფორმის (დროის ფაზებად დაყოფის) არჩევა ო. ჰაქსლისთვის განსაკუთრებულ მნიშვნეს ემსახურება — გამაზიგეოს ყურადღება ენტონი ბიგისის შინაგანი ბუნების დიალექტიკაზე (ამას გულისხმობს ნაწარმოების სათაურიც — „ბრმა გაზაში“, რომელიც ამსგავსებს ბიგისის ბუნების ალორძინებას, ჯონ მილტონის საშალონის სიბრძნისაგან განკუთვნიებას, მის ხელახალ დაბადებას), აძლევს მწერალს საშუალებას, რათა წარმოაჩინოს ბიგისის გაორებული „მე“.

ო. ჰაქსლის სამი უტოპიური რომანი „მშვენიერი ახალი ქვეყანა“ — („Brave New World“ 1932) „მაიმუნი და არსი“ („Ape and Essence“, 1949) და „კუნძული“ — „Island“ (1962) უმ-

ჯობესი იქნებოდა წარმოგვედგინა როგორც ერთი თემის, აღმზიანთა მომავლის პროგნოზის, — სამი კონტრაპუნქტული გაზა, რომელთაგან პირველი უტოპია გეოგრაფიული აღვილმდებარეობა ინგლისია, მეორისა — ამერიკა, ხოლო მესამის — მწერლის მიერ გამოგონილი კუნძული პალა.

ჩვეულებრივ, უტოპიური რომანში ესთეტიკური წარმატების მიღწევის პრობლემა გაცილებით რთულდება, რადგანაც თუ მხატვრულ ნაწარმოებში მწერალი მკითხველს მისი (მწერლის) სუბიექტური აღქმის შეღამაზებულ თუ შეუღამაზებელ ანარეკლს სთავაზობს, უტოპიური რომანში ორმაგ არეკვლასთან გვაქვს საქმე. ამის გამო უტოპიური რომანში ხელთა გვაქვს არსებული რეალობის რთული სახეცვლილება.

უელსის და მურის უტოპიებისაგან განსხვავებით ო. ჰაქსლის უტოპიებს „ანტიუტოპიები“ ეწოდება, რადგან მათში მომავალი არც თუ მთლად ვარდისფერადაა წარმოდგენილი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ო. ჰაქსლი თავის უტოპიებს უყენებს მოთხოვნილებას რეალურად ასახოს აღმზიანები, თავიანთი მანკიერებით და ცოდვებით და არ გააიდვალოს ისინი, არ აქციოს ისეთებად, როგორც შეიძლება გახდნენ, თუკი ყველა ნაყლს ჩამოიცილებენ.

ობიექტური რეალობის სახეცვლილების ჩვენებისას სრულ ესთეტიკურ წარმატებას ჰაქსლიმ მხოლოდ ერთხელ მიაღწია „მშვენიერი ახალი ქვეყანაში“, სადაც აღწერა ფორდისმის საუკუნეში ხელოვნურად შექმნილი აღმზიანთა საზოგადოება. მისთვის ჩვეული უზაღლო ირონიული კონტრასტების საშუალებით ჰაქსლიმ დახატა მომავალი საზოგადოების შემაირწყნებელი უტოპია, რომლის ზოგიერთი დეტალი ჩანასახის სახით უკვე არსებობდა მის თანამედროვე საზოგადოებაში.

ინკუბატორში შექმნილი ალფების, ალფა-პლუტისტა და დელტებისთვის უტოპია ყველა აღმზიანური გრძნობა. ისინი ზედმიწევნით ასრულებენ იმ სამუშაოს, რომლისთვისაც ისინი ჩანასახიდან არიან განკუთვნილი (დელტები ასრულებენ სამუშაოს, რომელიც არ მოითხოვს გონებრივ დატვირთვას, ალფები — უფრო კვალიფიკატორს, ალფა-პლუტები შედარებით ყველაზე განვითარებულნი არიან გონებრივი თვალსაზრისით ამიტომაც აღმინისტრაციულ სამუშაოს შესრულებაც შეუძლიათ).

მათ არ იციან, რა არის სიყვარული, ავადმყოფობა, თუ სიკვდილის შიში, ამ საზოგადოებაში არ არსებობს ოჯახური ურთიერება, რამდენადაც არ არსებობს მეგვიდრეობითობა. „ამ აღმზიანებმა თავიანთი სული და აზროვნების

გულნარა გერმე

ოლდოს ჰაქსლის მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურის ბაზებისათვის



ნაწილი მანქანას „ვესწირეს.“ ამიტომაც მათ „ველურად“ აღიარეს მათთან შემთხვევით მოხვედრილი ერთადერთი ბუნებრივად დაბადებული ადამიანი და აიძულეს იგი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა.

ასეთივე საოცარი უტოპია „მრავალი წლის შემდეგ კვდება გედიც“, სადაც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემა დასმული. თუ კიბორჩხალს, ყვავს და ბუს შეუძლიათ ასობით წელი იცოცხოვნ, რაღა დაშავა საბრალო ადამიანმა?! თურმე ადამიანსაც შეუძლია მიაღწიოს ხანდაზმულ ასაკს თუკა თევზის კუქნაწალავით დაიწყებს კვებას. ადამიანმა მიაღწია იმას, რისკენაც ისწრაფვოდა, გაიხანგრძლივა სიცოცხლე, მაგრამ დაკარგა ადამიანობა და ისევ ცხოველის ღონემდე დავიდა.

ჰაქსლის დანარჩენი ორი უტოპია „მაიმუნი და არსი“ (1948) და „კუნძული“ — ნაკლებად თვალსაჩინოა მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, თუმცა, გამოყენებულია ორი დროული პლანის კონტრაპუნქტი — როგორ დაინგრა სამყარო მეცნიერების მიერ და როგორ აღმოაჩინეს ხელახლა მეცნიერებმა ზეულანდია. რასაკვირველია, სატირა აქაც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მხატვრული ქსოვილის შესაქმნელად.

ო. ჰაქსლის 111 უტოპია „კუნძული“ არის მის მიერ შექმნილი უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოები: ის ყველაზე ნაკლებ სატირულია მწერლის რომანებიდან და ამიტომაც მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებ ტიპიურია ჰაქსლისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის დასკვნითი თავი ჰაქსლის მორალისა და ფილოსოფიის განვითარებაში. აქ გაერთიანებულია მის ფილოსოფიურ ესეებში გატარებული აზრები. ეს არის ერთგვარი რეზიუმე ჰაქსლის მიერ ძირითადად „მშვენიერ ახალ ქვეყანაში“ და ასევე მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში საზოგადოების მომავალის თავსატეხი პრობლემის გადაწყვეტისა.

მხოლოდ იქ, კუნძულ პალაზე დამყარდა ურთიერთთანამშრომლობა მეცნიერებასა და რელიგიას შორის. თუ ადრე სიყვარულს ჰაქსლის ყველა გმირი მხოლოდ იმედგაცრუებამდე და უპასუხისმგებლობამდე მიჰყავდა, პალას საზოგადოებაში სექსსა და მორალს შორის წონასწორობა დამყარდა.

ჰაქსლის მთელი შემოქმედების მანძილზე მისი ვმირების უმოზნო ცხოვრებისა და მათი უსაქმურობის გვერდით, მის ნაწარმოებთა უკანა პლანზე ყოველთვის იგულისხმებოდა აზრი, რომ სასურველი ცხოვრების გზა არსებობს და საჭიროებს პოვნას. აღრეული რომანებიდან მოკიდებული მორალური აღორძინების თემა ლატენტური ფორმით წარმოდგენილია ჰაქსლის

ყველა რომანში. გამბრილი („ლოზნადად ფერხული“). ქელემი („ის უნაყოფო ფრთხილად“). ფილიპ ქუორლზი, რემპიონი („კონტრაპუნქტი“) გარკვეულ ნაბიჯს დგამენ ამ მიმართულებით, მაგრამ მათ მოქმედებას აკლია სიმტკიცე და გამბედაობა და დილეტანტური იერი დაჰკრავს. საკმაოდ ბევრი იღონეს ამ მხრივ უფრო მოგვიანებით მილერმა და მის მოწაფემ ენტონი ბივისიმ, რომლებიც პიონერები იყვნენ მორალური რეგენერაციის ცდაში. შუალედში კიდევ იყო რამდენიმე უშედეგო ცდა და მხოლოდ „კუნძულში“ გამოუჩნდა ბივისის საქმის გამგრძელებელი, ქურნალისტი უილ ფარნაბი და სულერი აღორძინების თემაზე საბოლოოდ გაიმარჯვა ჰაქსლის უკანასკნელ რომანში. ყველაფერი არასეუ ჰაქსლი მანამდე წერდა, იყო ნიადაგის მომზადება საბოლოო უტოპიის შესაქმნელად.

საინტერესოა ო. ჰაქსლის მიერ სხვადასხვა სალაპარაკო სტილის გამოყენება. ის, რაც ქმნის სტილისტურ კონტრაპუნქტს, არის სხვადასხვა, ერთმანეთის მომიჯნავე სფეროებიდან ლექსიკური ფონის გამოყენება. მოცემულ წინადადებაში თუ პარაგრაფში ო. ჰაქსლი სიტყვებს იმდენაირად სფეროდან ირჩევს, სანამ ეს წინადადება ცალკეულ დისკალინებს შორის ზიდად არ გადაიქცევა.¹

ო. ჰაქსლის ენციკლოპედიური განათლება ყველაზე მეტად ექსპლიციტურად სწორედ ამ ფორმაში ვლინდება — მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში სამეცნიერო ტერმინოლოგიის (უფრო ზნაირად მედიცინის თუ ბიოლოგიის სფეროდან ან ხელოვნების ისეთი დარგებიდან, როგორიცაა მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება) შეჭრა.

გზადაგზა ჩვენ მოვიხსენიებდით ო. ჰაქსლის იშვიათ სატირულ ნიჭს. ო. ჰაქსლისთან სატირა ის საშუალებაა, რომელიც აღუდლებს ადრე აღნიშნულ ყველა სტილისტურ საშუალებას და წითელ ზოლად გასდევს ჰაქსლის მთელ შემოქმედებას.

ძნელია ჰაქსლის სატირის გამოყოფა საერთო ქსოვილიდან და მისი ცალკე განხილვა, რადგანაც ისაა მის მხატვრულ ტილოზე ფუნჯის საბოლოო მონასში, რომელიც სხვა ფერებთან ერთად დასრულებულ მხატვრულ სახეს ქმნის.

ის, რაც შეადგენს ჰაქსლის ნაწარმოებთა მხატვრულ ქსოვილს, წარმოადგენს სხვადასხვა სტილისტური საშუალებების, რომელთაგან სატირა ერთ-ერთი მთავარია და აზრობრივი კონტრაპუნქტების სინთეზს.

¹ Jerome Meckier — Aldous Huxley, *Satire and Structure*, London, 1969, p. 197.

ჯამალ შარაშენიძე, კარლო თოფჩიკი

შუმერები და მათი კულტურა

კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან დგომა წილად ხვდათ ძველი სამყაროს ერთ-ერთ კულტურულ ხალხს შუმერებს. ამ ხუთი ათასი წლის წინათ მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის ქვემო დინებათა შორის მდებარე დაცემულ ვაკეზე მათ შექმნეს მდიდარი და მრავალფეროვანი თვითმყოფადი კულტურა, რომელმაც უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით დიდი გავლენა მოახდინა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხების — ასურულ-ბაბილონელების, ელამელების, ხეთების, ძველი ებრაელებისა და სპარსელების, ფინიკელებისა და ბერძნების სულიერი შემოქმედების განვითარებაზე. ამ ხალხებთან ოდითგანვე მჭიდრო კულტურული და ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთ ამიერკავკასიის ვრცელ მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველი ტომების უძველეს წინაპრებს, რომლებმაც მათი მეშვეობით შეითვისეს შუმერული კულტურის საფუძველზე აღმოცენებული წინა აზიის გარდასული ცივილიზაციის არა ერთი ელემენტი. დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ქართველური ენების — ქართულ-მეგრულ-სვანურისა და შუმერულის ლექსიკისა თუ გრამატიკული წყობის სიახლოვის ფაქტმა; შემჩნეულია აგრეთვე ქართულ-შუმერული მითოლოგიისა და რელიგიის სფეროშიაც საერთო ელემენტების არსებობა. ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენში ძალზე ადრე გაჩნდა მეცნიერული მოსაზრება ქართული სამყაროს ძველ-აღმოსავლურ და, კერძოდ, შუმერულ სამყაროსთან კავშირის შესახებ. ის, რაც ამ მიმართებით დღემდე გაკეთებული, აღნიშნული იქნება ქვემოთ. ამჯერად კი გვინდა შევეხოთ თვით შუმერების პრობლემას.

ას წელზე მეტია, რაც ეს პრობლემა მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. დიდი სირთულის გამო იგი დღესაც კი არაა დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი. თავის მხრივ ეს პრობლემა ორი მთავარი საკითხისაგან შედგება. პირველი, შუმერების წარმოშელობა და მეორე, შუმერული ენის ადგილი მსოფლიოს ენათა შორის.

დღეისათვის დადგენილია, რომ შუმერები არ ყოფილან ძველი შუამდინარეთის თავდაპირველი მკვიდრნი, რაზედაც ნათლად მეტყველებს ტოპონიმიკისა და ენის მონაცემები. მეცნიერების მიერ დიდი ხანია შემჩნეულია, რომ შუამდინარეთის ადგილისა და მდინარეების სახელწოდებანი არაა შუმერული, როგორცაა, მაგალითად, მდინარე ტიგროსის ძველი სახელწოდება ილიგანა, ეფრატისა კი — ბურანუნ. შუმერული ენის მონაცემებით ვერ პოულობს დამაკმაყოფილებელ ახსნას აგრეთვე აღნიშნული ოლქის უძველესი ქალაქების ურის, ურუქის, ქიშის, ნიფურის, ადაბისა და სხვათა სახელწოდებანიც. ყოველივე ეს უმკველს ზღის იმ გარემოებას, რომ შუმერების მოსვლამდე ამ ოლქში ცხოვრობდა რომელიღაც სხვა ხალხი, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი პირობითად უწოდებს პროტოეფრატელს (ბ. ლანდსბერგერი) ან უბაიდელს (ს. კრამერი). მათ შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, გარდა კულტურის ზოგი დამახასიათებელი ნიშნისა და ისიც იმ პირობით, თუ სამხრეთ შუამდინარეთის ერთ-ერთ პუნქტში — უბაიდში აღმოჩენილ არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც ძვ. წ. V-IV ათასწლეულების მიჯნას განეკუთვნება, მივიჩნევთ პროტოეფრატელების კულტურად.

შუმერული ენის შესწავლამ გამოავლინა ერთი

შეტად ნიშანდობლივი ფაქტიც, კერძოდ, ის, რომ შემერების მიერ ზმარებაში ფართოდ დანერგული მთელი რიგი სიტყვებისა, როგორცაა **ენგარ** „მიწათმოქმედი“, **უდულ** „ხარების მწყემსი“, **აფან** „გუთანი“, **აფსინ** „ხენა“, **ნიმარ** „პალმა“, **სულუმ** „ფინიკი“, **თიბრა** „მელითონე“, **სიმუგ** „მკედელი“, **ნანგარ** „ხერო“, **აღუბ** „მეკალათე“. **უმბარ** „მქსოველი“, **შვამა** „დაღბაი“, **ფახარ** „მეთუნე“, **შიდიმ** „კალატოზი“, **დამგარ** „ვაჭარი“ — სრულიადაც არაა შემერული, რამდენადაც შემერული ენის სიტყვების ძირები ყველა ერთმარცვლიანია, ზემოთ წარმოდგენილი სიტყვები კი პირიქით — ორმარცვლიანია. ისინი არც შემერების მეზობლებში — სემიტური მოდგმის ხალხების ენას განეკუთვნება. უეჭველია, ეს სიტყვები შესული უნდა იყოს შემერულ ენაში სწორედ უბაიდელეების ენიდან, რომელიც შემერულთან პიდილში იქნა დამატებული. ცნობილია, რომ „უბაიდური“ ენის სტრატეგია დიდი გავლენა მოახდინა შემერული ენის არა მარტო ლექსიკაზე, არამედ მის ფონეტიკასა და გრამატიკულ წყობაზეც. ამ საკითხის კვლევა-ძიება ამჟამად ინტენსიურად წარმოებს.

შუამდინარეთში შემერები მოვიდნენ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში. ისინი ადგილობრივ უბაიდელეებთან შედარებით, კულტურის განვითარების მხრივ საგრძნობლად მაღალ დონეზე იდგნენ. თუ უბაიდელეებს ეკუთვნით სამიწათმოქმედო ტექნიკისა და ხელოსნობის ცალკეული დარგების შექმნის პატივი, რაზედაც მეტყველებს ზემოთ წარმოდგენილი ტერმინები, შემერების დამსახურებაა მისი დიდად განვითარება და სრულყოფა. მათ გამოიგონეს და კერამიკულ წარმოებაში დანერგეს სამეთუნეო ჩარხი; პროგრესი შეიტანეს არქიტექტურაში, სოფლის მეურნეობაშიც კი ფართოდ დაიწყეს ლიონის (სპილენძის) იარაღების გამოყენება. რაც მთავარა, შემერებმა შუამდინარეთში მოსვლიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ შექმნეს ადამიანის გენიის უღიდესი მიღწევა — დამწერლობა.

საიდან მოვიდნენ შემერები? ეს მეცნიერებაში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხია. არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ლ. ვული მიიჩნევს, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში შუამდინარეთში დამოწმებული არქეოლოგიური კულტურა მომდინარეობს ჩრდილოეთიდან. იგულისხმება, ამ კულტურის მატარებელი ხალხიც, მოცემულ შემთხვევაში შემერები, შემოსულნი უნდა იყვნენ სწორედ ჩრდილო ოლქებიდან, შეიძლება ამიერკავკასიიდან ან კასპისპირეთიდან.

ს. ლენგდენი შემერებს აღმოსავლეთიდან მოსულ ხალხად თვლის. იგი მიუთითებს ირანის მთიანეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილ-

ში მცხოვრები ძველი ხალხის ელამელებისა და შემერების კულტურათა მსგავსებებზე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გ. ჩაილდიც.

გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც, რომ შემერების პირვანდელი სამშობლო მდებარეობდა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ოლქებში. ისინი შუამდინარეთში უნდა მოსულიყვნენ ხმელეთით — ირანის ტერიტორიის გამოვლით ან ზღვით — სპარსეთის ყურედან. ძველ შუამდინარეთში გავრცელებული ზემირი ტრადიცია თითქოს მხარს უჭერს ამ უკანასკნელ ვარაუდს. ბაბილონელი ისტორიკოსი ბეროსი (ძვ. წ. 280 წ. ახლს), როცა წერდა თავისი ხალხის ისტორიას, ყურადღება მიაქცია ამ გადმოცემას და შეიტანა იგი თავის ნაშრომში. გადმოცემის თანახმად სპარსეთის ყურეში „ერთი ბრძენი არსება, სახელად ოანესი, გამოჩნდა... რამდენიმე დღის შემდეგ იგი დაბრუნდა ადამიანებთან ერთად“, რომლებიც დაასახლა ზღვის სანაპიროზე და ასწავლა მათ თუ როგორ უნდა ეცხოვრათ. არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე მტკიცდება, რომ შემერთა პირველი სამოსახლოები გაჩნდა სწორედ სამხრეთ შუამდინარეთში. კერძოდ, სპარსეთის ყურის სანაპიროზე. აქ მდებარე შემერული ქალაქი ერილუ მთებში იხსენიება უძველეს ქალაქად, სადაც თითქოს „პირველად დაემკა ცილად სამეფო ხელოსნულებმა“. ამერიკელი მეცნიერი ს. კრამერი მიიჩნევს, რომ შემერები უნდა მოსულიყვნენ შუამდინარეთში ინდოეთიდან, ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს სამხრეთ შუამდინარეთის პუნქტებსა და მდინარე ინდის არხში მდებარე მოხენჯილდაროში აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურების დიდი მსგავსება. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ გაუშიფრავი პროტოინდური დამწერლობის ნიმუშები პარალელურ პოულობს შემერული დამწერლობის ადრეულ ძეგლებთან. ყოველივე ეს ხომ არ უნდა მიუთითებდეს აღნიშნული არქეოლოგიური კულტურებისა და დამწერლობის ნიმუშების შემქმნელი ხალხების ეთნიკურ ერთიანობაზე?

მსგავსი გარემოება გვაქვს შემერული ენის მიმართაც. გასულ საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა ირლანდიელმა ასირიოლოგმა ჰინკსმა ძველი შუამდინარეთის წერილობითი დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების ტექსტების შესწავლისას პირველად გამოავლინა შემერული ენის ლექსიკა, დაიწყო მისი ინტენსიური შესწავლა. დღეისათვის საქმოდ დიდი მიღწევებია მოპოვებული ამ უძველესი წერილობითი ძეგლებით დამოწმებული ურთულესი ენის კვლევაში. შეიძლება საბოლოოდ შეუსწავლელად ჩათვალოს შემერული ენის შინაგანი სტრუქტურა, სინტაქსური წყობის საკითხები, ლექსიკა, ფონეტიკა და

მრავალი სხვა. მაგრამ დღემდე არ მოხერხდა მისი დაკავშირება მეტად თუ ნაკლებად შესწავლილ ენათა რომელიმე ჯგუფთან. არ დარჩენილა მსოფლიოს თითქმის არც ერთი ენა, რომელთანაც მეცნიერებს გენეტიკური კავშირის დადგენის მიზნით არ შეუდარებინათ შემერული. წლების მანძილზე მას უდარებდნენ თურქულ-მონღოლურ, უნგრულ-ფინურ, ჩინურ-ტიბეტურ, სემურ-ჰამურ, ინდოევროპულ, დრავიდულ, სუდანურ, მალაურ-პოლინეზიურ, ეტრუსკულ და სხვა ენებს. თითქმის ყველა ამ ენასთან აღმოაჩნდა შემერულის რაღაც საერთო როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული წყობის მხრივ (ერგატიული კონსტრუქცია, აგლუტინაცია) მაგრამ რომელიმე მათგანთან მისი გენეტიკური კავშირის დადგენისათვის საკმაო მასალა მაინც ვერ იქნა გამოყენებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის შემთხვევა, რაც ჩატრდა იბერიულ-კავკასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენებთან შემერულის გენეტიკური ნათესაობის გამოსავლინებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩეხი მეცნიერის კ. კრამაჩის (1905 წ.) და გერმანელი მეცნიერის ე. ბორკის სტატიები (1924 და 1937 წწ.), სადაც წარმოდგენილია ცდა დასაბუთებულ იქნას შემერულის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან, კერძოდ, კი, ქართულთან. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ორივე მეცნიერის მიერ მოხმობილი შესადარებელი ქართული და შემერული ენების მასალა არც თუ ისე მდიდარია. ამან განაპირობა კიდევაც წამოყენებული მოსაზრების ნაკლებ დამაჯერებლობა.

ოციან წლებში შემერული ენით დაინტერესდა ნ. მარი. მან სცადა ზოგიერთი შემერული სიტყვა, რომელშიაც არსებობდა ნ. მარის თეორიის მიხედვით პირველი ელემენტი ხალ, როგორცაა, მაგალითად, შემერული გომ, გემე „მონა ქალი“, დაეკავშირებინა ქართულ „მზევალთან“. ნ. მარისეული ოთხი ელემენტის პრინციპებიდან მტკიცება შემერულის კავშირისა ქართულთან მითავითვე მცდარი იყო.

შემერულ-ქართულის გენეტიკური ნათესაობის კვლევის დარგში ყველაზე მეტი მ. წერეთელმა გააკეთა. მისი ნაშრომი „სუმერული და ქართული“ ჯერ კიდევ 1912 წელს გამოქვეყნდა კრებულ „გვირგვინში“. კითხვობა ამ ნაშრომს და განცვიფრებს მეცნიერის დიპლომის სიფართოვე და შემერული ენის მასალის შესანიშნავი ცოდნა. იგი იმეამდ მართლაც რომ მსოფლიო მეცნიერების დონეზე იდგას აღნიშნული ნაშრომი გადამუშავებული

შუმერული

აგარ „მინდორი. მდელო“

ამ „ერთი“ (რიცხვ. საბ)

და გაფართოებული სახით ხელმოკრულ გამოქვეყნდა 1914-1916 წლებში ინგლისურ ენაზე ხოლო 1959-60 წლებში გერმანულად „ზომილი ნილი დიბეკედა ქურნალში „ბედი ქართლისა“. ამ ნაშრომში წარმოდგენილია შემერული და ქართველური ენების ლექსიკის, მორფოლოგიური ფორმანტების და სინტაქსური წყობის შედარება.

როგორც ცნობილია, შედარებითი ენათმეცნიერება სხვადასხვა ენების გენეალოგიური შესაბამისებისას უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს შესადარებელი ენების მატერიალურ საფუძვლის, ე. ი. ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული მაჩვენებლების სისტემატური მსგავსების წარმოჩენას. ლექსიკური ფონდის მასალის შედარებისას მთავარი ყურადღება ექცევა, თუ რამდენად კანონზომიერია შესადარებელ სიტყვათა ფუძეების ფორმირების, ბევრითი მსგავსება, მათი ურთიერთ-შესაბამისობა. ეს მსგავსება ზოგჯერ ძალზე დიდი და თვალნათლივაც ჩანს; ხშირად მსგავსება-შესაბამისობის გამოსავლინებლად კი სპეციალური შემუშავის ჩატარებაა საჭირო. მაგალითად, თუ ერთი შეხედვითაც შეიძლება არ დავეძვედოთ ქართული „კაციისა“ და მეგრული „ყოჩის“ ფუძეების ბევრითი შესაბამისობის კანონზომიერებაში, სამაგიეროდ სათანადო ანალიზის გარეშე ძნელია ვაღიაროთ ქართული „ძაღლისა“ და მეგრული „ჯოღორის“ ფუძეთა ასეთივე კანონზომიერი ფორმირების მსგავსება-შესაბამისობა.

თუ ამ თვალსაზრისით გავსინჯავთ მ. წერეთლის მიერ დამუშავებულ მასალას, აღმოჩნდება, რომ მასში წარმოდგენილი შემერული და ქართული სიტყვების უმეტესი ნაწილის ფუძეთა ფორმირების შესაბამისობა სრულიდაც არ იწვევს ეჭვს, მაგრამ აქ გვხვდება გარკვეული რაოდენობა ისეთი სიტყვებისა და გრამატიკული მაჩვენებლებისა, რომელთა მსგავსება მთლად დამაჯერებლად ვერაა დასაბუთებული; ზოგჯერ ეს შეუძლებელიცაა.

საგანებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მ. წერეთელს მელი რიგი საინტერესო დაკვირვებები აქვს წარმოდგენილი ქართულისა და შემერულის მორფოლოგიური ფორმანტებისა და ამ ენების სინტაქსური წყობის შედარების საფუძველზე. მაგრამ ამგვარად ამის მიმოხილვაზე შეჩერების საშუალება არა გვაქვს. ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ ქართულ-შუმერულის ლექსიკის მ. წერეთლისეული შესაბამისობების რამდენიმე მაგალიტს.

ქართულ-ზანურ (მეგრულ-ქანურ)-ხვანურ

ქართ. ა-გარ-ა, ა-გარ-აკ-ი, მრ. ა-გარ-ან-ი.

ქართ. ე-რთ-ი < ე-შთ-ი;

ჰან-მეგრ. ა-რთ-ი < ა-შთ-ი,

ბალ-ბალ „საუბარი, დიალოგი“

ბარ „დაბლობი; უდაბნო“

ბირ „ცეცხლის გაჩაღება; გამოხატება (ცეცხლისა)“

დავ „სადგომი; საცხოვრებელი“

ენემ, ინიმ „სიტყვა, ბრძანება; ენა“

ერიმ/ნ ერენ „ჭარი; ხალხი“

გან „მინდობი; მიწა“

ხარ „ხარი“

ქუმ „ამოხენეშა; ქოშინი; კენესა“

ნუ „არ, არა“

ფეშ „ამოსთქვა“

კარ „ბოროტი, შესაკრავი“

რა, რი „სიარული“

ქართულ-შუმერულ ლექსიკურ შეხვედრებზე ლაპარაკია აგრეთვე სხვა ქართულ მკვლევართა ნაშრომებშიაც. ვ. ჩიტაია, მაგალითად, ქართულ „ბარს“ (მიწის დასამუშავებელი იარაღი) უკავშირებს თოხის აღმნიშვნელ შუმერულ ტერმინს „მარი“. აგრეთვე ქართულ „თორნეს“ იგი უდარებს ამავე მნიშვნელობის მქონე შუმერულ სიტყვას „დილიმ“ (ახალი წაითხები „დურუნ“). ვ. ბარდაველიძე პარალელს ავლენს შუმერულ მზის ღვთაება „ბაბარსა“ და ქართული წარმართული პანთეონის ქალღმერთ „ბაბარ (ბარბალს“) შორის. მ. გეგუშიძე ფიქრობს, რომ ქართული „მარხილი“ ეტიმოლოგიურად შეიძლება უკავშირდებოდეს სახიდი ეტიმონის აღმნიშვნელ შუმერულ ტერმინს „მარგიდ“ (სიტყ. „სათრევი (სახიდი, ეტილი“) შუმერული ებოსის ცნობილი გმირის გილგამეშის (ვარ. ბილგამეში) სახელის მეორე ნაწილში — გამეშ ლ. მელიქსეთ-ბეგი ხედავს ქართული „კამეჩის“ სახელწოდებას. იგი მთელ სახელს თარგმნის ასე: „შეილი კა-

პან. ბარ-ბალ — „ყბედობა, რომევა; სევან. ლი-გარ-გულ-ი „ლაპარაკი“ გარ-გულ-პან. ბარ-ბალ).

ქართ. ბარი;

მეგრ. ბარი;

სევან. ბარ.

ქართ. ბრი-ალ-ი.

ქართ. დგ— სა-დგ-ომ-ი, სა-დგ-ურ-ი.

ქართ. ენ-ა მნიშვნელობით „სიტყვა“.

მეგრ. ნი-ნ-ა;

პან. ნე-ნ-ა;

სევან. ნი-ნ.

ქართ.-მეგრ. ერ-ი.

ქართ. ცან-ა; ძვ. ქართ. „მიწა“;

პან. ცონ-ა;

მეგრ. ცონა-, ქართ. ყანა;

ქართ. ხარი;

პან.-მეგრ. ხოჯ-ი;

სევან. ხან

ქართ. ქომ-ინ-ი, ქლომ-ინ-ი; კუს-უნ-ი, კ-რ-უს-უნ-ი;

პან. კუს — „კენესა“;

მეგრ. კაშ.უ-ა „კენესა“;

სევან. კვეთს „კენესა“;

ქართ. ნუ (უარყოფა).

ქართ. ფშ-ვინ-ვა

სევან. ლი-ფშ-ტლი „სუნთქვა“.

ქართ. კარ—<კრ—, შე-კრ-ა;

პან. -მეგრ. კირ—, კორ—.

ქართ. რ-ე-ბ-ა.

მეჩისა“. ძნელია დაეთანხმოდ ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ შემოთავაზებულ თარგმანს, რამდენადაც აღნიშნული სახელის პირველი ნაწილი გილ/ბილ შუმერულში სრულიადაც არ ნიშნავს „შეილს“. ამასთან ერთად გამეშ-კამეჩის ფონეტიკური მსგავსებაც შეიძლება შემთხვევითი იყოს. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გილგამეშის სახელის ხსენა არ ხერხდება შუმერული ენის მონაცემებით.

ეს სია შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, მაგრამ ამჯერად ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. აქ გვინდა შეგვიხსენოთ შუმერული და ქართულის გენეტიკური ნათესაობის საკითხებზე მუშაობისას გასათვალისწინებელ ზოგიერთ გარემოებაზე.

შუმერული ენა ჩამოყალიბებული სახით არსებობდა ადრე თუ არ ძვ. წ. V-IV ათასწლეულების მიჯნაზე მაინც. როგორც ენათმეცნიერებს მიაჩნიათ, დაახლოებით ამავე ხანებში, უფრო ზუსტად, ძვ. წ. III ათასწლეულში ჩამოყალიბდა საერთო-ქართველური ენების ჯგუ-

ფიც. თუ წინასწარ დავუშვებთ, რომ შუშე-
რული და ქართული გენეტიკურ ნათესაობაში
არაიან ურთიერთთან, მაშინ უნდა ველიართ
ისიც, რომ განსხვავება, რაც არსებობს ამ
ორ ენას შორის. უნდა დაწყებულიყო სკა-
მაროდ აღრე. ამ დროიდან დღემდე კი ქარ-
თულმა ენამ ძალზე დიდი ცვლილება განი-
ცადა. როგორც ლინგვისტიკის მონაცემებითაა
დამტკიცებული, ენის ძირითად ლექსიკურ
ფონდს, რომელიც ჩვეულებრივ მთელი ლექსი-
კური ფონდის მხოლოდ, 1-2%-ს შეადგენს,
ყოველი ათასი წლის განმავლობაში აკლდება
საშუალოდ 15% სიტყვებისა. მათი უმეტესი
რაოდენობა ახლდება. ასე, რომ ამ ოთხი ათასი
წლის მანძილზე ცვლილებას განიცდიდა ქარ-
თული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის
თითქმის 60%. ამდენად, იგულისხმება, ქარ-
თულში ძალზე მცირე რაოდენობა იქნება დარ-
ჩენილი იმ სიტყვებისა, რომლებიც შესაძლე-
ბელია არსებობდა საერთო სიტყვების სახით
შუმერული და უქველესი ქართული ენის ძი-
რითად ლექსიკურ ფონდებში. ამიტომაც, რომ
დღეს ასე გვაქირს ქართულსა და შუმერულს
შორის საერთო სიტყვების გამოჩნება.

ქართულმა ენამ ცვლილება განიცადა სხვა
მხრივაც. იმ ადრეულ ეტაპზე თანამედროვე
ზანური და სვანური საერთო ქართველური
ფუძე ენის მხოლოდ დიალექტებს თუ წარ-
მოადგენდნენ. მოგვიანებით, კერძოდ, ძვ. წ.
II ათასწლეულის პირველ ნახევარში ფუძე
ენას გამოეყო სვანური; ათასი წლის შემდეგ
კი — ზანურიც. თუ გავითვალისწინებთ იმას,
რომ დღეს ასე ძნელია შედარებით არც თუ ისე
დიდი ხნის წინათ ერთი ფუძიდან გამოყოფი-
ლი ენების ნათესაობის ჩვენება, მაშინ
ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდად იზ-
რდება ეს სიმძნელ მრავალი ათასი წლის წინ
ერთმანეთისაგან დაშორებული ენების შუ-
მერულისა და ქართულის შესაძლებელი გე-
ნეტიკური ნათესაობის მტკიცებისას მით უფრო,
რაცა მათ შორის არ არსებობს საშუალოდ
გარდაშვალე ენა.

შუმერული ენის მსგავს მკვდარ ენასთან
ქართულის გენეტიკური ნათესაობის მტკიცე-
ბას რომ შევედგეთ, საქმეა ჯერ ხელთ გვქონ-
დეს თვითონ საერთო ქართველური ფუძე
ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის თუნდაც
მიახლოებითი სიზუსტით აღდგენილი სტრუქ-
ტურა იმ სახით, როგორითაც იგი არსებობდა,
ვთქვათ, ძვ. წ. III ათასწლეულში. მაინც თუ
ადრე არა. დღეისათვის ამ მიმართებით დიდი
მუშაობაა ჩატარებული თ. გამყრელიძისა და
გ. მაჭავარიანის მიერ. ეს მუშაობა კიდევ
დღიანს გაგრძელდება, სანამ მივიღებდეთ ფუ-
ძე ენის შემოწმებულ და სიმძლავრე მასალას.
ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა,
რომ სანამ არ იქნება ყველაფერი გაკეთებული

საერთო ქართველური ფუძე ენის აღდგენის
საქმეში, არ ვაწარმოთ მუშაობა ქართველურ
შუმერულთან ან სხვა ძველალმოსავლურ ენებთან
ენასთან შედარების დარგში. სრულიადაც
არა! პირიქით, ეს მუშაობა ინტენსიურად
უნდა წარმოებდეს ახლაც, ოღონდ საჭიროა
ქართველური ენების ლექსიკიდან შეირჩეს
ისეთი მასალა, რომელიც ასახავს ამ ენების
განვითარების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპს.
ამ მხრივ ძალზე საინტერესოა სვანური ენის
მასალა. რომელშიც, როგორც ცნობილია, უფ-
რო მეტად შეინარჩუნა არქაული ფორმები, ვი-
დრე ზანურმა ან ქართულმა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამჟამად ინ-
ტენსიურად წარმოებს თვით შუმერული ენის
ფონეტიკის შესწავლა (ო. ელდარდ, ი. კრეხე-
რი), რომელიც ძალზე დარღვეულია „უბაი-
ლურის“ ან სხვა რომელიმე ენის სუბსტრა-
ტის გავლენით. მომავალში ქართულისა და
შუმერულის გენეტიკური ნათესაობის დადგე-
ნის მიზნით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ სავსე-
ბით მოსალოდნელია მოგვცეს პოზიტიური
შედეგი, ე. ი. საბოლოოდ დაეადგინოთ ამ
ორი ენის ნათესაობა. შეიძლება ასევე საბო-
ლოოდ უარყვიოთ ეს თეორია. მეცნიერებისათ-
ვის, რა თქმა უნდა, ორივე შედეგი თანაბრად
მნიშვნელოვანი იქნება. დღეისათვის კი არა
გვაქვს არავითარი საფუძველი უკუუვადლოთ მო-
საზრება, თუნდაც დაუსაბუთებელი, რომლის
მიხედვით შუმერული ენა ენათესაება ქარ-
თულურ (ქართულ-ზანურ (მეგრულ-ჭანურ)
სვანურ) ენებს. ზემოთ წარმოდგენილი შუმე-
რულ-ქართული ენების შედარებული მასალის
საფუძველზედაც კი შეიძლება ეს თეორია
დარჩეს სამუშაო ჰიპოთეზის უფლებით.

დამწერლობის შექმნის შემდეგ შუმერები
ძალზე დაწერალებით ახდენდნენ თავიანთი
ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის ფიქ-
სირებას. მათ სჩვევიათ აგრეთვე ყოველივე
დაწერილის სათუთად შენახვაც. საუკუნეთა
მანძილზე ამ გზით იქმნებოდა თიხის ფირფე-
რების უმიღირესი არქივები, რომლებმაც
მოაღწიეს ჩვენამდე და მოიტანეს ძვირფასი
მასალა, თვალნათლივ რომ წარმოგვიდგენს
შუმერების ხანგრძლივი ისტორიის თითქმის
ყოველი დღის სურათს. ამ არქივებში თუ ძალ-
ზე ბევრია სამეურნეო საბუთი, სამაგეოროდ
ცოტაა წმინდა ისტორიული ხასიათის დოკუ-
მენტები. შუმერების მეფეთა არც თუ ისე მრავ-
ალრიცხოვან წარწერებში უფრო მეტად ლა-
პარაკია მათი საღმშენებლო საქმიანობის შე-
სახება და იშვიათადაა მითითებული სამხედრო
ლაშქრობებზე. შუმერები საერთოდ არ იყვნენ
აგრესიულები, არ ესწრაფვოდნენ ფართო დაბ-

ჯამალ შარაზინიძე, კარლო თოფური
შუმერები და მათი კულტურა

ნახელმა მოადგო ჩვენამდე. ირცევა, რომ ბეროზი ფართოდ იყენებდა ტაძრების არქივებში დაცულ შემერულ დოკუმენტებს — მეფეთა სიებსა თუ ადრეული ისტორიის შესახებ ნახევრად ლეგენდურ ჩანაწერებს.

ამ დროისათვის შემერული ენა მხოლოდ ქურუმებმა იცოდნენ. რომლებიც მას საკრალურ, საიდუმლო ენად აცხადებდნენ. ხალხი შემერულს ისმენდა მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე ღვთაებებისადმი აღვლენილ ლოცვებში. მალე შემერული ენა მისი მფარველი ქურუმებისგანაც იქნა დაფარული. შეიძლება ითქვას, რომ იგი სწორედ ამ დროს მოკვდა. მხოლოდ გასული წლის საუკუნის მეორე ნახევარში გააცოცხლეს შემერული ენა მეცნიერებმა და მანაც დიწგად მოუთხრო დღევანდელობას ათასწლეულების თვალშეუდგამ უკუნეთში ჩაკარგული ძველი შუამდინარეთის ბრწყინვალე კულტურის შემქმნელი ხალხის შესახებ.

ამ კულტურის გვირგვინს დამწერლობა წარმოადგენს. შუმერებმა შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ადრეული იდეოგრაფიული დამწერლობა, რომლითაც შესრულებული პირველი ჩანაწერები განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო საუკუნეებს. ეს არის დამწერლობის ისეთი სისტემა, რომლის ცალკეული ნიშანი, გარეგნულად ხატოვანი ფორმისაა, შეესაბამება ენის ამა თუ იმ კომპონენტს — სიტყვას ან სიტყვის მნიშვნელობით ნაწილს.

სხვადასხვა ნიშნების შექანიერული შეერთების გზით შუმერები აღწევენ აბსტრაქტული ცნებების გამოხატვასაც. მაგალითად, ასე: თვალი + მშვილდი = ხედვა; პური + პირი = ქაბა; ფრინველი + კერცხი = დაბადება და ა. შ.

ადრეული შუმერული იდეოგრაფიული დამწერლობის სისტემაში ნიშნებმა დროთა განმავლობაში სიუცუალეს როგორც გარეგნული ფორმა, ისე მნიშვნელობაც. ნიშნების გრაფიკული გარეგნული მხარის ჩამოყალიბებაზე, როგორც ცნობილია, დიდ გავლენას ახდენს საწერი მასალა. შუმერები კი წერდნენ თიხის სველ ფირფიტებზე თავწაყვეტილი ლერწმის ღეროთი. თიხაზე, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია მრგვალი და ოვალური ხაზების გამოყენება. ისინი თანდათანობით გარდაიქმნებოდნენ სწორ ხაზებად, რომლებიც ოდნავ ჩაღრმავებული და დასაწყისში შესქელებული სახითაა აღბეჭდილი თიხის ფირფიტებზე. ეს იმიტომ რომ მწვერილი ლერწმის ღეროს უფრო მაგრად აქერდა ხაზის გამოყენების დაწყებისას, შემდეგ კი ოდნავ მსუბუქად გაკრავდა ხელს და ხაზის დაბოლოება წვრილ ფხაზად რჩებოდა ფირფიტაზე. იგი გამსავსებოდა დაახლოებით ლურსმანს ან ეიწრო სოლს. ძვ. წ. III ათასწლეულის დროინდელი შუმერული დამწერლობის ნიშნები სწორედ ასეთი ლურსმნის მაგვარი მოყლე

ხაზებითაა შედგენილი. აქედან წარმოდგა ხელწოდება „ლურსმული დამწერლობა“ ან „სოლისებური დამწერლობა“. ქართულ ნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში იხმარება პირველი ხოლო ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში — მეორე ტერმინი. რას უწოდებდნენ აღნიშნულ დამწერლობას, თვითონ შუმერები, ჩვენთვის უცნობია.

ათასი წლის მანძილზე წარმოებული გრაფიკული ცვლილებების პარალელურად იცვლებოდა ნიშნების შესატყვისობანიც. სიტყვების აღმნიშვნელი ნიშნებიდან თანდათანობით ხდებოდა მათი გადაქცევა მარცვლების გამოხატველ ნიშნებად. მაგალითად, ფეხის აღმნიშვნელი ნიშანი შუმერულ ენაში შეესაბამება სიტყვას გინ „სიარული“. ამავე ნიშნით გადმოსცემდნენ სიარულთან ასოციაციით ახლო მდგომი მოქმედებების შესატყვის სიტყვებსაც — თუმ „მოტანა“ და გუმ „დგომა“. ეს სიტყვებიც, და საერთოდ შუმერული ენის ყველა სიტყვის ძირი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთმაცვლიანია. ამდენად ეს ნიშანი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლებოდა ეხმარათ უბრალოდ მარცვლის აღმნიშვნელადაც, რასაც ხშირად მიმართავდნენ კიდეც. ასეთი შინაარსობრივი ცვლილება განიცდია თითქმის ყველა ნიშანმა.

ამის შემდეგ დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა გრამატიკულ მაჩვენებლებად მარცვლების გამოყენება. რომ დაეწერათ, მაგალითად, ზმნა „სვლა, სიარული“ მიმღეობით ფორმაში, საკმარისი იყო ფუძისათვის გინ დამატება. ნათ მიმღეობითი ფორმის მაწარმოებელი ნიშანი შუმერულში ა. ზოგჯერ ჩაწერდნენ ასე: გინ-ნა ან პირდაპირ გინ-ა; წაიკითხავდნენ, როგორც გინა „მოსიარულე“; ან კიდევ: თუმ-მა ან თუმ-ა. იკითხება თუმა „მოსიარულე“; ან კიდევ: „გუმ-მა ან გუმ-ა „მდგომარე“ და ა. შ.

ამგვარად ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის ლურსმული დამწერლობა საბოლოოდ ჩამოყალიბებული მარცვლოვანი დამწერლობის სახეს იღებს. ამავე ხანებში ლურსმული დამწერლობა გადაიღეს სემიტებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ ძვ. წ. XXIV ს. ჩრდილო შუამდინარეთში შექმნეს ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომლის ცენტრი გახდა ქალაქი აქადი. აქედან წარმოდგა შუამდინარეთელი სემიტების ენისა და მათ მიერ შეთვისებული ლურსმული დამწერლობის სახელწოდება „ქველ-აქადური ენა და დამწერლობა“. აქადელებისაგან ლურსმული დამწერლობა გადაიღეს ელამელებმა, მოგვიანებით კი სხვა ხალხებმაც — ასურელ-ბაბილონელებმა, ხეთებმა, ხურიტებმა და ურარტელებმა. დამწერლობის აღნიშნული სისტემა გავრცელდა აგრე-

ჯამალ ზარაშენიძე, კარლო თოფური
შუმერები და მათი კულტურა



თვე ფინიკის ტერიტორიაზე მდებარე უგარი-
ტის სამეფოშიც. მას იცნობდნენ და იყენებდ-
ნენ ეგვიპტის ფარაონებიც წინა აზიის მონარ-
ქებთან დიპლომატიური მიმოწერის საწარ-
მოებლად. ლუჩისმული მარცვლოვანი დამწერ-
ლობის საფუძველზე ძვ. წ. VI ს. ბოლოს ანბან-
ური დამწერლობა შექმნეს სპარსელებმა.

ძველ შუამდინარეთში არ შექმნილა ფილო-
სოფიური ტრაქტატები, არც სისტემატიზირე-
ბული რაციონალური ცოდნა ჩამოყალიბებუ-
ლა გარემომცველი სამყაროს შესახებ, მაგრამ
ეს სრულიად არ უნდა ჩაითვალოს შემერე-
ლის აზროვნების მიუხედავად. ამ აღრეული ხანი-
სათვის ასეთი რამ არც იყო მოსალოდნელი.
ძველი შუამდინარეთის მკვიდრს ყოველივე არ-
სებულის შექმნა-განვითარება წარმოადგენილი
ჰქონდა რელიგიური ცოდნის სახით, მაგრამ,
უნდა ითქვას, რომ წინა ეპოქების ადამიანის
გონების მასაზრდოებელი ეს ერთადერთი იდეა
მის თავში საკმაოდ მწყობრად და თანმიმდევ-
რულად იყო გაზარებული. აქ აღარ შეიჭრებო-
ბით სამყაროს შექმნის შესახებ შემერელოთა
რწმენა-წარმოდგენების მიმოხილვაზე. ამას
ისინი ძალზე ლამაზად თვითონ მოგვიტანებენ
თავიანთ მითებში, რომლებზედაც საუბარი გვე-
ქნება შემერელო ლიტერატურის უმთავრესი
ნიშნულში განხილვის დროს. ამჯერად მხოლოდ
დავახასიათებთ მხოლოდ შემერელო პანთეო-
ნის უბირველესი ღვთაებების ფუნქციებს.

შემერელო ღვთაებების კრებული იყოფოდა
ორ მთავარ ჯგუფად — მიწისზედა ანუ ციურ
ღვთაებებად და მიწისქვეშა ანუ ქვესკნელის
ღმერთებად. მათი საერთო რიცხვი ძვ. წ. III
ათასწლეულში რამდენიმე ასეული უდრდა.
ისინი ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა წარ-
მოდგენაში განსახიერებდნენ კეთილ და ბო-
როტ სულებს, რომლებიც ერეოდნენ ადამიან-
თა ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავიანთი
შეხედულებისა მიხედვით განაპირობებდნენ
მოკვდავთა მოქმედებასა და მომავალს.

შემერელ პანთეონში პირველ ადგილზე
იდგა უმაღლესი ტრიადა ღმერთებისა, რომელ-
შიაც ერთიანდებოდნენ ცის ღმერთი ან (აქა-
დურად ანუ), მიწის ღმერთი ენლილ და წყლის
ღმერთი ენქი (აქადურად ეა).

უპირველესი ღვთაება ან („ცა“) წარმოად-
გენდა ცისა და სინათლის განსახიერებას. იგი
იწოდებოდა „ღმერთების ღმერთად“ და „მა-
მად“, რომლის უმაღლეს ფუნქციასაც შეადგენ-
და სამყაროში წესრიგის დაცვა. საინტერესოა
ის გარემოება რომ ღვთაება ან მიუხედავად
ასეთი სიძლიერისა, არ სარგებლობდა შესაფე-
რისი ავტორიტეტით. მორწმუნე შემერელს იგი
ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდა ყოველ-
დღიური მიწიერი ცხოვრებისაგან ძალიან
შორს, უმაღლეს მესამე ცაში მდომ მკაცრ
ღვთაებად, რომლის წინაშედაც მუხლს იდრე-

კდნენ თვით დიდი ღმერთებიც კი. მიწის სამეფო-
გაო მიუწოდებელი იყო უბრალო შემერელო
წარმოდგენისათვის.

ანის მეუღლედ ითვლებოდა ქალღმერთი
ქი („მიწა“), რომელიც ზოგჯერ იწოდებოდა
როგორც ნინთუ („სიცოცხლის მომცემი“) ან
ნინხურსაკი („მთების მეუფე“). მოგვიანებით
მისი ადგილი დაიკავა ანის საყვარელმა ქალ-
ღმერთმა და მისმა მეორე ცოლმა „ინანამ“.

საკმაოდ აღრეული ხანიდან მომდინარე წე-
რილობითი ცნობების მონაცემებით ირკვევა,
რომ უმაღლეს ტრიადაში ღვთაება ანის ადგილი
თანდათანობით დაიკავა ენლილმა, რომელიც
ხშირად იწოდება „ღმერთების მამად“, „ცისა
და დედამიწის მეუფედ“, „ყველა ქვეყნის
მბრძანებლად“, რომელიც ნინშავს ამქვეყნად
მეფეებს, „აძლევის მათ სამეფო სახელსა და
და კვერთხს, უშვებს მათ მოწყალე თვალით“. თავდაპირველად კი ენლილი („მეუფე პაერი-
სა“) პაერის ღვთაებად ითვლებოდა. მან მხო-
ლოდ მოგვიანებით შეიძინა მიწის ღვთაების
ფუნქციები. მითებში იგი იწოდება აგრეთვე
„ბრძენის“ გამრიგებლად. ანისაგან განსხვავ-
ებით ენლილი ითვლებოდა ღმერთ და კე-
თილ ღვთაებად, რომელსაც მიაწერდნენ ქალა-
ქების, მიწისკრთა სამყაროსა და რაც მთავა-
რია სამიწათმოქმედო იარაღების თოხისა და
გუთნის გამოგონებას. მითებსა და ჰიმნებში
იგი ყოველთვის კეთილად იხსენიება. მხოლოდ
ერთხელ უსაყვედურეს ენლილს შემერებმა,
როცა მან თითქმის არ მოინდომა შეეჩერებინა
მტრების მიერ ქალაქ ურის დანგრევა. ენლი-
ლის მეუღლედ მიიჩნევენ ქალღმერთ ნინ-
ლილს („ქალბატონი პაერისა“).

„მომდევნო ღვთაება ენქი“ („მეუფე მიწისა“) ითვლებოდა ძველი შუამდინარეთის უძველეს ღვთაებად. როგორც ფიქრობენ, მისი სახელი მომდინარეობს უბადლეუბის ენიდან. ზოგიერ-
თი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შემერის ადგი-
ლობრივი სახელწოდება „ქიენქი“ ან „ქიენგი“ („მიწა ენქისა“) წარმომდგარი უნდა იყოს სწო-
რედ ამ ღვთაების სახელისაგან.

ისტორიულ ხანაში ენქი ითვლებოდა წყლი-
სა და უფსკრულის (შემერულად აბზუ) მეუ-
ფედ. იგი მიჩნეული იყო აგრეთვე სიბრძნის
მფარველ ღვთაებადაც, რომელსაც მიაწერდნენ
ხელოსნობის, დამწერლობისა და ხელოვნების
„გამოგონებას“.

ღვთაებათა ეს სამეული შემერელოთა რწმე-
ნით, განსახიერებდა მთელს სამყაროს, რომე-
ლიც მათი წარმოდგენით იყო ცის, მიწისა და
წყლის ერთობლიობა. ეს უკანასკნელი ითვლე-
ბოდა ყოველივე არსებულის პირველსაწყისად.

შემერელ პანთეონში მეორე ადგილი ეკავა
ღმერთების მომდევნო ტრიადას, რომელიც
პირველთაან შედარებით არ იყო მაინცდამაინც
გამორჩეული. ამ რიგში ერთიანდებოდნენ ასტ-



რალური ღვთაებები, კერძოდ, მთვარის ღვთაება ნანა, იგივე **ენჴუ** (აქადურად **სინი, სუენი**), მზის ღვთაება **უთუ**, იგივე **ბაბარ** (აქადურად **შამაში**) და ქალღმერთი **ინანა** (აქადურად **იშთარი**). ამთავან პირველი — **ენჴუ** (მეფე ცოდნისა), იგივე **ნანა**, წარმოადგენდა მწყემსთა მფარველ უძველეს ღვთაებას. იგი იყო შვილი ელლილსა და მამა ღვთაება **უთუსი**. ეს უყანასენელი კი მაინდათ შემერულ თემიად — სამართლიანობისა და კანონმდებლობის გამორგეც.

ამ ტრიადის მესამე წარმომადგენელი **ინანა**, უფრო სწორად **ინანა** („ქალბატონი ცისა“) იყო აოსისა და დაისის განმასხიერებელი ღვთაება, ცხოველთა მეფე და ამავე დროს სიყვარულისა და სიტყვების ქალღმერთი. ავსთან ერთად იგი ითვლებოდა შემერების მთავარ ღვთაებადაც — ნაყოფიერებისა და გამრავლების მფარველად. ეს ფუნქცია ადრე ეკუთვნოდა ღვთაება **ანის** მეფულ **ნინთუს**, მაგრამ როცა მისი ადგილი ინტემურ უდთიერობაში დაიჭრა ინანამ, ღვთა ღვთების ფუნქციაც მასზე გადავიდა. საერთოდ, ღვთა ღვთების კულტი ყველაზე უძველესი კულტი იყო შემადინარეთში. იგი შემერებმა შეითვისეს ადგილობრივი დამხვედური მოსახლეობისაგან, რომლებმაც შემქმნეს ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი და სხვათაშორის ამ ქალღმერთის თიხის პირველი ქანდაკებაც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისში.

ძველი შემადინარეთის რელიგია იყო მასაზრდოვებული წყარო შემერული ლიტერატურისა, რომელიც თითქმის ისეთივე ძველია, როგორც შემერული დამწერლობა. არის საფუძველი ვივარდით, რომ პირველი ლიტერატურული ჩანაწერები გაჩნდა ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარში, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ ანდა ყოველ შემთხვევაში გერკერობით უცნობია ჩვენთვის.

შემერული ლიტერატურა წარმოდგენილია ყველა ძირითად ქანარში, როგორიცაა მითი, ეპოსი, ჰიმნი, ლირიკა, იგავარაკი, ზღაპარი, ელეგია. ამთავან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და მეტად ნაყოფიერი იყო ორი ქანარი: მითი და ეპოსი. მათი ძირითადი სიუჟეტებია სამყაროს, ღმერთებისა და ადამიანების შექმნა, ღვთაებათა ცალკეული გამოვლენები და მათი გავრცელება დედამიწაზე, წარღვნა და ბოლოს სხვადასხვა გმირთა საგმირო საქმეები.

არსებული მითებიდან ძალზე საინტერესოა ერთ-ერთი მითის „გილგამეში, ენქიდუ და ქვესენელს სამეფოს“ შესავალი, სადაც ნათქვამია, რომ თავდაპირველად ცა და დედამიწა ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რომლის ფუძე იდგა პირველქმნილ უსაზღვრო ოკეანის ფსკერზე. მოგვიანებით ცის ღმერთმა ანმა ას-

წია ცა ზემოთ, ხოლო ქი („დედამიწა“) ჩამოწია ქვევით. დედამიწისა და ცის შედედამიწის მათი ერთად ყოფნის დროს გაჩნდა ღვთაება ენლილი. ამ ციკლის მეორე მითში მოთხრობილია თუ როგორ წარმოიშვნენ სხვა ღმერთები ენლილისა და ნინლილის შეუღლების შემდეგ. საინტერესოა მითის „ენქი და სამყაროს შექმნის“ სიუჟეტი, რომელიც ძალზე ახლოს დგას მიწიერი ცხოვრების შექმნის შესახებ არებულ ბიბლიურ ლეგენდასთან. აღნიშნული მითი იწყება ღვთაება ენქის შექმნით, რომელიც ჩამოღის დედამიწაზე და გააცეთებს თიხისაგან ადამიანს. ქალღმერთ ნინთუს დახმარებით იგი გააცოცხლებს თავის შენამოქმედ ადამიანს და ასწავლის მას მიწიერი არსების ქცევებს. ამის შემდეგ ენქი გააჩენს მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს. ბოლოს იგი სხვადასხვა ღვთაებებს განუსაზღვრავს სახელოსა და საგამეფოს.

შემადინარეთში ძალზე გავრცელებული იყო წარღვნის სიუჟეტი. მან არა ერთ მცირე და დიდი ზომის ლიტერატურულ ქანარში ჰპოვა ასახვა, რომელსაც, ჩანს, სხვადასხვა ვარიანტით ქმნიდნენ შემერები. ერთ-ერთ მათგანში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შექმნეს ადამიანთა მოღვმა დიდმა ღმერთებმა ანმა, ენლილმა, ენქიმ და ნინსურსაგმა. მათე გააჩენს დედამიწაზე ქალბატონი და მეფობა. შემდეგ მითში საუბარია ღმერთების მიერ მოვლენილი წარღვნის დროს ღვთისმოშიში მეფის ზიუსუდრას მოქმედების შესახებ. მან აავო ხომალდი, რომელსაც შვიდი დღის განმავლობაში წარღვნის სტიქიონი ზეირთებში აქანავებდა. მეშვიდე დღეს ჩადა ქარიშხალი და ზიუსუდრას ხომალდი ხმელეთზე გაირიყა. დიდმა ღმერთებმა კაცთა თესლის გადარჩენისათვის ზიუსუდრას მიანიჭეს მარადიული სიცოცხლე. წარღვნის აღნიშნული სიუჟეტი რამდენაღმე გადამუშავებული სახით ვრცლად წარმოადგინეს სემიტებმა ცნობილ გილგამეშის ეპოსში, ძველმა ებრაელებმა კი იგი ბიბლიაში შეიტანეს, საიდანაც გავრცელდა კიდევ მსოფლიოს მთელ რიგ ხალხებში.

შემერულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს საგმირო პოემებს. ძველი შემადინარეთის მკვიდრთა საყვარელი ეპიკური გმირი იყო ქალაქ ურუქის ნახევრად ლეგენდარული მეფე გილგამეში, რომლის შესახებაც შეიქმნა მთელი ციკლი საგმირო მითებისა. დღეისათვის გამოვლენილია ხუთი ასეთი მითი, რომლებშიც მოთხრობილია გილგამეშის საგმირო საქმეებზე. გილგამეში დარწმუნდა, რომ მას სიცოცხლე უწყრია. ამიტომ იგი ცდილობს განადიდოს თავისი სახელი საგმირო საქმეებით. თავის მეგობარ ენქიდუსთან ერთად იგი ამარც-

ჯამალ შარაშენიძე, პარლო თოფურია
შუამიმიზი და მათი კულტურა

ზებს შორეულ „ცოცხალთა ქვეყანაში“ კედრის ტყის მცველ ურჩხულ ზუგავას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ციკლის მთელში, რომლებშიც საუბარია მოკვდავი გმირების გილგამეშისა და ენქიდუს შესახებ, ხშირად მთავარ მოქმედ გმირად ფიგურირებს სიყვარულის ქალღმერთი ინანა. ერთ-ერთი მითის მიხედვით გილგამეში სწორედ ინანას თხოვნით კლავს გველს, რომელიც დაბუდებული იყო ევერატის სანაპიროზე ლამაზი ტირიფის ხის ფესვებში. ინანას სურვილი, რომ მოჭრას ზე და მისგან გამოთალოს საწოლი, მხოლოდ ამის შემდეგ აღსრულდება. მეორე მითში ინანასა და გილგამეშის უკვე ინტიმურ ურთიერთობაზე მოთხრობილი. ქალღმერთი შესთავაზებს გილგამეშს სიყვარულს და თოვს მას თანაგრძნობას. მაგრამ გილგამეში უარყოფს ამ წინადადებას. გაბრაზებული ინანა ღვთაება ანისაგან გამოითხოვს მრისხანე ციურ ხარს და მიუსევს გილგამეშის ქალაქს ურუქს. მეფე-გმინქიდუს დახმარებით დაამარცხებს ხარს.

ამ მითის სიუჟეტი ძალზე ცხოვრება გვაგონებს ლამაზ სევანს მითებში მოთხრობილ ამბავს ქალღმერთ დალისა და მამაცი მონადირის საბედისწერო სიყვარულის შესახებ. დალიც და ინანაც ცხოველთა მფარველი ღვთაებებია, ორივენი თვითონვე მიიღებენ მოკვდავი გმირებისადმი სიყვარულისაკენ. სევანი მონადირე უფროხის დალის სიყვარულს, რადგანაც დალი დაუნდობელია. გილგამეშიც უარყოფს ინანას სიყვარულს. ამ მითის აქადური ვარიანტის მიხედვით იგი თავის მოქმედებას ამ შემთხვევაში იმით ამაართებს, რომ ვერ ენდობა ინანას, რადგანაც ქალღმერთის სიყვარული არ არის ზოლზე ხანგრძლივი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა შემერულა და სევანის სიუჟეტების ფინალები, ისე, როგორც მათი ზოგიერთი უმნიშვნელო დეტალებიც განსხვავდება ურთიერთისაგან, მაგრამ ეს გარემოება ვერ აოკებს სურვილს ეძებო იმ სიუჟეტების შესაძლებელი კავშირის ძაფები.

გილგამეშის სახელის ირგვლივ შექმნილი მითების სიუჟეტთა საფუძველზე ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ბაბილონელებმა შექმნეს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში „გილგამეშის ეპოსი“, რომელშიდაც აქ ახლა აღარ შევჩერდებით. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ დღეს ქართველ მკითხველს შეუძლია როგორც ამ ეპოსს, ისე შემერული და აქადური მითების ბევრ სხვა ნიმუშს გაეცნოს ზ. კიკნაძისეული ბრწყინვალე თარგმანებით.

დაბოლოს გვინდა შევეხოთ ლირიული პოეზიის რამდენიმე ნიმუშს. მხედველობაში გვაქვს ურის III დინასტიის ერთ-ერთი მეფის შესუენასადმი მიძღვნილი სატრფიალო ჰიმნები, რომლებსაც ყოველი წლის დასაწყისში ღვთაება

ინანას ერთ-ერთ ქურუმ ქალთან მეფის რიტუალური შეუღლების დროს უმღერავდნენ. მებრძნებელს მისი გულის რჩეული. პირველი ჰიმნი იწყება წმინდა სიძის — მეფისადმი ასეთი სატრფიალო მიმართვით:

სიმე, გულისა ჩემისა საყვარელო,
ტბილია ნაყოფი შენი, უფროსი თაფლისა!
ლომო, გულისა ჩემისა საყვარელო,
ტბილია ნაყოფი შენი, უფროსი თაფლისა!

მეორე მითშიც იგივე მეფე შექებულია უცნობი ქურუმ ქალის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ საგალობლის კარგად შესრულებისათვის მას ჯილდოდ კი დაუმსახურებია. აი, ეს სტროფები:

რამეთუ ვუგალობ, რამეთუ ვუგალობ
მეუფემ ჩემმა ძღვენი მიბოძა,
რამეთუ „ალალი“ ვუგალობე, მეუფემ
ჩემმა ძღვენი მიბოძა.

თემატურად ამავე ქანრში ერთიანდება ელევგია. დღესათვის გამოვლენილია შემერული ელევგის მხოლოდ ორი ნიმუში, რომელიც დაუწყებია ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ვინმე ლუდინგირას. ლირიკული პოეზიის ამ ბრწყინვალე შედეგებში გადმოცემულია ღრმა ადამიანური განცდა პოეტისა, რომელიც სულის სიღრმემდე შეუძრავს მამისა და საყვარელი მეუღლის გარდაცვალებას.

პირველ ელევგიაში ლუდინგირა დასტირის თავის მამას. იგი გარდაცვლილა რომელიც ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გართულების შედეგად შეიღის შინ არ ყოფნისას. დაბრუნებულ ლუდინგირას პირველივე შთაბეჭდილების ქვეშ დაუწყებია მამის დასატირებელი. ელევგიაში დიდი პოეტური ოსტატობითაა აღწერილი განსვენებულის მეუღლის, შეიღებისა და რძლების მწუხარება.

მეორე ელევგია წარმოადგენს ლუდინგირას საყვარელი მეუღლის ნავირთუმის დასატირებელს. დასაწყისში აღწერილია გარდაცვლილის სილამაზე, შემდეგ კი ის მწუხარება, რომელმაც მოიკცა მისი ახლობლები და ნათესავები. ლუდინგირა მწარედ მოთქვამს თავის სიმართლევზე, რაც მეუღლის გარდაცვალებამ არგუნა მას. ელევგიაში შექებულია ნავირთუმის კეთილი თვისებები, ხოლო დასასრულ ავტორი უსურვებს შეიღებს დიდხანს სიცოცხლეს დედის სულის პატივსაცემად და ხსოვნის არდავიწყებისათვის.

ორივე ეს ელევგია დაწერილია კლასიკურ შემერულ ენაზე მაღალ პოეტურ სტილში უხვი მეტაფორებისა და შედარებების გამოყენებით. ეს ნაწარმოებები ახლობელთა შორის ყველაზე ძვირფასი პირების გარდაცვალებით გამოწვეული გრძნობებისა და განცდების პოეტურ ფორმში გადმოცემის პირველი და საუკეთესო ცდაა. ამ ღირსებებმა განაპირობეს კიდევაც

ლუდინგერას ელევგიების დიდი პოპულარობა მათი დაწერის ეპოქაშივე. როგორც ჩანს, ისინი ისწავლებოდა სკოლებში, რაზედაც მეტყველებს ნიფურში აღმოჩენილი ერთი ფირფიტა, რომელიც შეიცავს მოსწავლის ხელით გადაწერილ და მასწავლებლის მიერ შესწორებულ პირველი ელევგის შესავლის 20 სტრიქონს.

ძველი შუამდინარეთის ეპოქაში მეცნიერების არა ერთი დარგის საწყისებია წარმოდგენილი. ფართოდ წარმოებულმა სამიწათმოქმედო საქმიანობამ უპირველეს ყოვლისა, მათემატიკური აზროვნების განვითარებას უბოძა. შემერება შექმნეს თვლის ათეული და სამოციეული სისტემები; შეიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს წილადური რიცხვების გამოხატველი ნიშნები. ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი მათემატიკური ტექსტების მონაცემებიდან ნათელი ხდება, რომ შემერებმა იცოდნენ კვადრატული ფესვის ამოღება და ორუცნობიანი განტოლების ამოხსნა.

სათანადოდ განვითარდა გეომეტრიაც, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ შემერებმა ბერძნებზე გაიკლებით ადრე იცოდნენ და ფართოდ იყენებდნენ პითაგორეს თეორემას.

მდიდარი ემპირიული ცოდნა ედო საფუძვლად შემერულ მედიცინასა და ფარმაცოლოგიას. ექიმის (შუმერულად აზუ „წყლის მცოდნე“) პროფესია შუამდინარეთში ძალზე პატივს იმსახურებდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. 2600 წლისათვის ურში მოღვაწეობდა ექიმი ლულუ, ხოლო ძვ. წ. 2100 წ. ახლანდელი ურის III დინასტიის სამეფო კარს ჰყავდა საკუთარი ექიმი — ურლუგალედინი, რომელსაც თავისი პროფესიული ბეჭედიც კი გააჩნდა. შემერები სამედიცინო ცოდნას ღვთაება ენქის ჯილდოდ თვლიდნენ, ხოლო მედიცინის უშუალო მფარველად მიაჩნდათ ქალღმერთი ნინურსაგი.

ნიფურიდან მომდინარეობს ერთი ფირფიტა, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. XXII ს. და წარმოადგენს საექიმო რეცეპტების კრებულს. საინტერესოა ის გარემოება, რომ ფარმაცოლოგიის ამ უძველეს დოკუმენტში ვერ ვხვდებით მაგიური შელოცვების რაიმე კვალს. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ამ რეცეპტებით დამზადებული წამლების შემადგენლობაში შედის ნატრიუმის, კალიუმისა და აზოტოვანი ნერთები. წამლების დამზადებისას ფართოდ მიმართავდნენ მცენარეებისა და ბალახების გამოყენებას. შეიძლება ამ შორეულ წარსულში მიავსო ადამიანმა გველის შხამის სამკურნალო თვისებებს; ერთ-ერთი წამლის რეცეპტით რეკომენდებულია გველის ტყავის გამოყენება. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს ის გარემოება, რომ გუდას ერთ-ერთ ვახაზე გამოსახულია ჯანმრთელობის მფარველი ქალღმერთის ნინ-

გიშვიდას გვერდით კვერთხი, რომელსაც ორჯერ გველი ეხვევა. შეიძლება ეს გამოხატულება ჩაითვალოს მედიცინის თანამედროვე ემბლემის — ესკულაპის გველის პროტოტიპად.

ორიოდე სიტყვა შუმერთა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების შესახებ.

განათლების ძირითად კერას ძველ შუამდინარეთში წარმოადგენდა სასახლეებსა და ტაძრებთან არსებული სკოლები. აქ ამზადდებდნენ სახელმწიფოს სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო სპეციალისტებს. სკოლა იყო თავისებური ლიტერატურული ცენტრიც. აქ არა მარტო ასწავლიდნენ წარსულის ძეგლებს, არამედ ქმნიდნენ კიდევაც ახალ წარმოებებს. მაგალითად, ქალაქ ნიფურში ენლილის ტაძარ ექვრთან არსებული ედუბა („ფირფიტების სახლი“) წარმოადგენდა შუმერის უმაღლეს სკოლასა და პირველხარისხიან ლიტერატურულ ცენტრს.

ჩვენამდე მოღწეული მოსწავლეთა ათასობით ნამუშევრის მონაცემების მიხედვით წარმოდგენა გვექმნება ძვ. წ. III ათასწლეულის დროინდელი შუმერული სკოლის სასწავლო პროგრამების შესახებ. ირკვევა, რომ ეს პროგრამები ითვალისწინებდა ისეთი დისციპლინების სწავლებას, როგორიცაა: ღვთისმეტყველება, მათემატიკა, ბოტანიკა, მინერალოგია, გეოგრაფია, გრამატიკა და ლინგვისტიკა. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის სასწავლო პროგრამებში შეიტანეს შუმერული ენის სწავლება, რომელიც იმ დროს უკვე დავიწყებას ეძლეოდა. სკოლა დამთავრებული მოსწავლე კარგად იყო დაუფლებული არა მარტო ამ მეცნიერებათა საფუძვლებს, არამედ შუმერული და აქადური ენებისა თუ ლურსმული დამწერლობის რთულ სისტემასაც. ძველი შუამდინარეთის სკოლების აღზრდილთა ხელით დაიწერა ის ათეული ათასობით თიხის ფირფიტა, რომლებმაც მოიტანეს ჩვენამდე არა ერთი ძვირფასი ცნობა შუამდინარეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ.

შუმერების გახსენებზე ჩვენ გვაგონდება სიტყვა პირველი, რადგანაც კაცობრიობის ისტორიაში მათ გამოიგონეს პირველი დამწერლობა; ისინი პირველები შეეპოვნენ სიტყვას და შექმნეს კიდევაც ლიტერატურის არა ერთი ბაწყინველი შედეგი; მათ მიწაზე ვხვდებით არქიტექტურის პირველ შესანიშნავ ნიმუშებს ტაძრების (ზიქურათების) და სასახლეების სახით. შუმერებმა ჩაუყარეს საფუძველი მეცნიერების მრავალ დარგს და დააარსეს ყველაზე უადრესი სკოლები თუ სამეცნიერო ცენტრები. ვიჭრობთ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვიტყვით, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორია იწყება შუმერში!

ჩინი ქვეყნები

ზვიად გამსახურდია

პერსი ბიში შელის ლირიკა

(დაბადების 180 და გარდაცვალების 150 წლისთავი)

1822 წელს იტალიაში, ლივორნის მაზლობლად, ადგილობრივი მკვიდრნი გახდნენ უცნაური სამგლოვიარო რიტუალის თანადამსწრენი. ქარიშხლის დროს ზღვაში დამხრჩვალ კაცის ცხედარი უცხოდ მოხატულ ქსოვილში გაახვიეს სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეთა, და იქვე, მთვლემარე ზღვისპირად კიპარისების ჩეროში კოცონი დაანთეს. უჩვეულო, ძველ ენაზე რაღაც წარმოსთქვა ინგლისელი პერსი ტანსაცმელში გამოწყობილმა, დემონიური გარეგნობის ჰაბუკმა (როგორც შემდგომში გაიგეს, ეს იყო ჰიმნი თუ ლოცვა ქარისადმი, ზეფიროსისადმი, რომელსაც უნდა დაეებრა და აეგზნო კოცონი). ჰაბუკს ცალ ზელში ოქროს ბარძიმი ეკავა ღვინით ავსილი, ჟამიდან ჟამზე ანთებულ კოცონზე აპკურებდა ღვინოს. შემდეგ თმაგაშლილმა, ფერგამკრთალმა ჯავოსანმა ქალმა ნელსაცხებელი მოაპკურა კოცონს ძველბერძნული ყაიდის უცხოდ მოხატული სურიდან, რომელზედაც კიპარისები და სამგლოვიარო პროცესისა იყო გამოსახული. სხვა ჰაბუკებმაც მოიტანეს ღვინო და ზეთისხილის ზეთი, აპკურეს კოცონს, მარილიც გადაყარეს და ბოლოს მისცეს მიცვალებულის გვამი ჰეფესტოს განწმენდილ ცეცხლს.

ყველანი მღუმარებდნენ ირგვლივ. ბორცოსმა და ზეფიროსმა დაჰქროლეს, მუჭი კვალი ასლიოდა კოცონს, იისფერ-ოქროვანად ელავდნენ ცეცხლის ენები. და როდესაც გვამი დანაცრდა და კოცონიც თითქმის ჩაქრა, უეცრად გაოცების გმინვა აღმოხდათ თანადამსწრეთა: მიცვალებულის გული უცნებლად გადაურჩა ცეცხლს. გარდაცვლილის ერთი უახლოესი მე-

გობარი, ამ გულის მესაიდუმლე, დასწვდა გულს და ღვეღვიდან გამოიტანა. აი, ასეთი უჩვეულო ამბით დაგვირგვინდა ეს უჩვეულო სამგლოვიარო პროცესისა.

„პერსი ბიში შელი — Cor Cordium (გულის გული)“. აი, რა აწერია რომში იმ საფლავს, სადაც მისი ურნაა დაკრძალული. ცეცხლს გადარჩენილი გული კი ინგლისს წამოიღეს. ჰემშარიტად, ინგლისს ეკუთვნოდა ეს გული, ინგლისის ხალხს, თუმცა ფილისტერულმა, ოფიციალურმა ინგლისმა სიცოცხლეში სამშობლოდან გააძევა შელი.

ნურგის გაუცვირდება, რომ მე შელიზე საუბარს ვიწყებ მისი აღსასრულით. პოეტის ცხოვრების ფინალი ზშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჰემშარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს. შელის სახელიც — Cor Cordium სწორედ ზემოთ მოთხრობილ სასწაულებრივ ფაქტს ემყარება, უფრო სწორად — ამ ფაქტიდან გამომდინარე გაგებას მისი პიროვნების და შემოქმედებისას. დიახ, ამ სასწაულის განმცდელებმა წააწერეს ეს სახელი მის საფლავს რომში, პროტესტანტულ სასაფლაოზე, ეს მათ აღმოაჩინეს მის შემოქმედებაში ანალოგიური პროცესი გულისმიერი წვისა. მათთვის ჩაუქრობელ კოცონად იქცა თავათ შელის პოეზია, რომელშიც ავტორის გულის გარდა იწვიან მრავალ ადამიანთა გულები.

1729 წ. 4 აგვისტოს, სასექსში, ბარონეტის და პარლამენტის წევრის ოჯახში დაიბადა მშვენიერი, ცისფერთვალა ბიჭუნა. სიყმაწვილიდანვე უცნაურობა სჩვეოდა, აკრთობდა გარშემო

მყოფთ თავისი თავისუფალი აზრებით და ქცევებით, თავისი სიჯიუტით და შეუპოვრობით. ავადმყოფური გარეგნობისა იყო, ტანწირილი, მხრებში აწურული, სიკაბუკის ემსაც ანდროგინული იერი ჰქონდა და საოცრად განმსჭვალავი, თაფლისფერ-მომწვანო თვალები. ამ მშვიდი, მეოცნებე იერის მქონე კაბუკზე ვერა-ვინ იცოდა, რომ იგი გადაიქცეოდა საზოგადოების თვალში „უჩინულოდ“, „რევოლუციონერად“, „ლიტერატურაში ეშმაკეული სკოლის მამამთავრად“ და „ყოველმხრივ საშინო პიროვნებად“.

ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ სვლა ჯერ კიდევ სიკაბუკეში გადაქცა ვნებად. ოქსფორდშივე, სტუდენტობის წლებში დასწერა საკმაოდ ქაოტიური ტრაქტატი „ათეიზმის აუცილებლობა“, რისთვისაც 1811 წელს გაირიცხა უნივერსიტეტიდან და მალე ოჯახიდანაც მოუხდა წასვლა. ქალთა სქესისადმი როდი სჩვეოდა ბაირონისებური მტაცებლური დამოკიდებულება, თუმც მისთვისაც არ იყო უცხო სამიჯნურო ისტორიები. პირველი ხელმოცარული ქორწინების შემდეგ იგი მეორედ ქორწინდება 1814 წელს ქალთა ემანსიპაციისათვის ცნობილ მებრძოლის ქალიშვილზე მერი გოდვინზე, რომელიც სიკვდილამდე მისი ერთგული თანამგზავი და უახლოესი მეგობარია, 1814 წელს შელი მიემგზავრება საზღვარგარეთ და შეეიცარი-ასა და იტალიაში ატარებს თითქმის მთელ ცხოვრებას.

პოლიტიკური ბუნტარობისა და ოფიციალური მორალისა და რელიგიის კრიტიკის გარდა, 1816 წლიდან მას უჩნდება ფილანტროპიული ვნება. სწავლობს მედიცინას, რათა დაეხმაროს ღარიბ ავადმყოფებს, დადის სოფლებში, ღამეებს უთევს ხანაგებში და პოსპიტლებში მძიმედ დაავადებულებს. ამის შედეგად მან ფრიალ დაიხიანა საკუთარი ჯანმრთელობა, დაემართა ქლექი და თვალების მწვავე ანთება, მაგრამ არანაშულის ენერგიით კვლავ განაგრძობდა ქველმოქმედებას.

შელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძირითადად შედგება მოზრდილი ლირიული პოემების და დრამების, ლირიული ლექსების, პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ტრაქტატებისა და თარგმანებისაგან.

შელის მოზრდილი პოემები და ლირიული დრამებია: „დედოფალი მეგი“ (1812), „ალასტორი ანუ მარტოობის სული“ (1815), „ისლამის ამბოხება“ (1817), „განთავისუფლებული პრომეთე“ (1819), „ანარქიის ნილაბი“ (1819), „უპიკსიხილიონი“ (1821), და სხვ. ამ უაღრესად რთული, ალეგორიულ-სიმბოლური პლანით დატვირთული, ბუნდოვანი ფილოსოფიური განზოგადოებებით მდიდარი ნაწარმოებების განხილვა არ წარმოადგენს ამჯერად ჩემს მიზანს. მე უმთავრესად შეჩერდები შელის ლირიულ ლექ-

სებზე, რომელნიც (განსაკუთრებით 1816-22 წლებში დაწერილნი) წარმოადგენენ ენაწარმოებს პულ, სანიმუშო ლექსებს მსოფლიო ლირიაში და რომელთაც სამართლიანად მოუპოვეს მას უდიდესი ლირიკოსის სახელი.

ის საყოველთაო გარდატეხა ევროპის ლიტერატურაში, რომელიც თავს იჩენს XIX საუკუნის დასაწყისში და რომელსაც რომანტიზმს უწოდებენ, სხვადასხვაგვარი სპეციფიკით ხასიათდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ინგლისურ რომანტიზმს ლიტერატურის ზოგი მკვლევარი რომანტიზმსაც კი არ უწოდებს. ეს იყო უფრო საერთო თვისობრივი განახლებითა თვისი მოძრაობა ინგლისურ ლიტერატურაში საუკუნის მიჯნაზე. ინგლისურმა პოეზიამ შექსპირისა და მილტონის შემდეგ გარკვეული კრიზისი განიცადა. ფსევდოკლასიციზმმა მოიტანა ფრიალ პირობითი, ხელოვნური და ცოცხალი პოეტური შემოქმედების დამაყენებელი ლიტერატურული ნორმები. ერითის მხრივ ფსევდოკლასიციზტური რაციონალიზმი პოეტიკაში, ხოლო, მეორე მხრივ, ფილოსოფიური რაციონალიზმი ბუნების კვლევაში საუკუნის საერთო სენად იქცა. ფრანგობა ცდილობდა დანარჩენი ევროპისათვის თავს მოეხეია საკუთარი ევოლუციისათვის კანონზომიერი, მაგრამ არტუტ უნივერსალურად მისაღები ინტელექტუალური პაზიტუსი, რომელიც განსაკუთრებით უცხო იყო გერმანულ და ანგლოსაქსური სულისათვის. ამიტომ გამოიწვია მან ესოდენ მძლავრი საწინააღმდეგო რეაქცია გერმანიაში გოეტეს, შელინისა და ნოვალისის სახით, ხოლო ინგლისში კოლრიჯის, უორდსვორთის, შელისა და ბაირონის სახით.

ფრანგი ე. წ. „განმანათლებლების“ მსოფლმხედველობრივმა გეზმა და აგრეთვე ფრანგული კლასიციზმის მიზამდით აღმოცენებულმა ესთეტიკამ XIX საუკუნისათვის უკვე კრახი განიცადა დანარჩენ ევროპაში. შედარებით მეტი ზეგავლენა ჰქონდათ წმინდა რესპუბლიკურ იდეებს საფრანგეთის რევოლუციისას, რომელთაც არა ერთი მწერალი და მოაზროვნე იზიარებდა XIX ს. ინგლისში და გერმანიაში.

XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისში უკვე მდარე გემოვნების ნიშნად ითვლებოდა კლასიციზმის პომპეზური, არაბუნებრივი ლიტერატურული კლიშეებით გატაცება. აღშფოთებას იწვევდა ის ხელოვნური, რეზონირიული რეგულატივიზმი, რომელიც ახასიათებდა კლასიციზმის პოეტიკას. ალექსანდერ პოუპი და მისი მიმდევრები უკვე მოდიდან იყვნენ გამოსულნი ამ დროისათვის, მათ აღარავინ სთვლიდა ეოდ პოეტებად. ანტიურ მითოლოგიასთან და ყოფასთან დაკავშირებული გაცვეთილი ლექსიკურ-მეტაფორული კლიშეები, ყოველგვარ სი-

ზვიად გამსახურდია

პირსი ბიზი შელის ლირიკა

ზალასე მოკლებული, არაგულწრფელი ლექსები და პოემები უკვე მოხერხდა საზოგადოებას. ასე რომ კლასიციზმის პარნასს თანდათან სტოვებდნენ უხვად შეპუდრულ, საზეიმო პარიკებში გამოწყობილი მუზეები. სამაგიეროდ ინგლისის ლიტერატურული ატმოსფერო გამოაცოცხლა რომანტიზმის გენიის მძლავრმა სუნთქვამ.

შელი ეკუთვნოდა ე. წ. რადიკალურ ფრთას რომანტიზმისას. ეს სახელწოდება მხოლოდ მისი პოლიტიკური რადიკალიზმით როდი იყო გამოწვეული. გაბედული, ძირეულად გარდამქმნელი ტენდენციები ჰქონდა მთელს მის აზროვნებას და შემოქმედებას. ტრადიციის თვალსაზრისით კი იგი ინგლისურ პოეზიაში დაკავშირებულია უპირატესად მილტონთან და სპენსერთან. იგი ნაკლებ კავშირშია მეტაფიზიკური პოეზიის ტრადიციასთან, რომლის გამგრძელებლად გვევლინებიან „ტბის სკოლის“ დიდი წარმომადგენლები: კოლრიჯი და უორდსვორთი. მილტონისა და სპენსერის ლექსის სტრუქტურული მონუმენტულობა, დინამიური მგზნებარე ინტონაცია კვლავ და კვლავ ცნაურდება მის პოეზიაში. სპენსერისეული სტანზა: ababbcbcc ხშირად ფიგურირებს მის ლექსებში.

მცირე ლირიულ ჩანახატებში გვხვდება არნახული სიწრფელე განცდისა, რომელსაც პოეტი აღწევს თითქმის და განგებისად გაუბრალებული მხატვრული ხერხებით.

Cor Cordium-ის იდუმალი, ღვთაებრივი უბრალოებით დამატყვევებელი მომხიბვლელობა ცნაურდება ლექსებში: „ინდიანური სერენადა“ (1819), „ღამე ნებისა“ (1822), „ცვალებადობა“ (1821), „დროისადმი“ (1821), „სალაღობო“ (An exhortation 1819) და სხვ.

მაგრამ შელის შემოქმედების ქეშმარიტი გვირგვინია მისი მონუმენტური ლირია, 1816-22 წლებში დაწერილი მოზრდილი ლექსები: „ოდა დასავლეთის ქარისადმი“ (1819), „ღრუბელი“ (1820), „ტროილასადმი“ (1820), „ზღვის ხილვა“ (1820), „ჰიმნი ინტელექტუალური მშვენიერებისადმი (1816), „მონღლანი“ (1816) და სხვა.

შელის პოეტური სტილი უმაღლეს სრულყოფილ აღწევს სხედულ პერიოდში. თუ მოზრდილ პოემებში და ლირიულ დრამებში მის სწევია ერთგვარი სიტყვაშეფუთვა, სქემატური ალფაბრიზაციონი მადრეკილება, თქმის ბუნდოვანება, მის კომპოზიციებს აკლია მთლიანობა, ამ ლექსებში საპირისპიროს ვხედავთ: პოეტური სახეები გვაოცებენ თავიანთი პლასტიური სრულყოფით და სიმკვეთრით, დინამიური უბრალოებით, თქმის ლაკონურობა და სიმძაფრე ყოველ სტრიქონში ცხადდება.

„ოდა დასავლეთის ქარისადმი“ ერთ-ერთი ყველაზე საკირველი ლექსია მსოფლიო პოეზიაში. ვისაც ეს ლექსი შინაგანად უგრძნია, დამეთანხმება, რომ ეს არის ერთგვარი მაგი-

ური გაცოცხლება ქარიშხლის სტიქიისა ადამიანურ მეტყველებაში. ამასთან იგი უმეტესად შეზრდილი ინგლისური ენისა და ლექსის გენიასთან, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი თარგმანა. ვისაც ეს ლექსი ქეშმარიტად უყვარს და ესმის, არასოდეს შეუტრაცყოფს მას თარგმნით. აი, რას გვეუბნება თავთა შელი ამ ლექსის შემწახვე: „ეს ლექსი ჩაისახა და ძირითადად დაიწერა კიდევ არნოს ტყეში, ფლორენციის მახლობლად, ერთ ქარიშხლიან დღეს. ცივმა და მაღვრებელმა ქარმა ჯერ შეაგროვა ნისლები და შემოდგომის უხვი წვიმით დანაშა მიდამო. მზის ჩასვლისას დაიწყო ქარი და დაგვიგვინდა მძლავრი ქექ-ქუხილით, როგორც მხოლოდ ალბების სამხრეთ მხარეებში იცის. მესამე სტროფის დასასრულში აღწერილ ფენომენს კარგად იცნობენ ნატურალისტები (შენის შიშით ოკეანეს ფერი ეცვლება, ნაცრისფერი ხდება, ეუბნება პოეტი ქარს). ზღვების, მდინარეების და ტბების ფსკერზე მცენარეები ფერს იცვლიან შემოდგომისას, რაც პარმონიულად ეთანხმება ხმელეთის მცენარეული საფარის ფერისცვალებას, რომელსაც გვაუწყებენ ქარები“.

ენიმე რომ წარმოიდგინოს ფანტასტიური პორტრეტი ქარისა, სწორედ შელის ამ ლექსში პოეზიად მას. ფერწერის ენაზე ყოვლად შეუძლებელია შექმნა მსგავსი პორტრეტისა. აბა წარმოიდგინეთ, თუნდაც გენიოსი მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული ტილო: ქარიანი ლანდშაფტი. რაც უნდა ეცადოს მხატვარი, მაინც სტატიურ წარმოსახვას ვერ გაეცემა. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ გარეგანი დინამიკის გამოსახვას თუ შესძლებს, ხილული დინამიკისა. რაც შეეხება შინაგან დინამიკას, სულს ქარიშხლისას, ამას პოეტი და მუსიკოსი უკეთ გადმოსცემენ უდრამ, ვიდრე მხატვარი. გავიხსენოთ ბეთჰოვენის პასტოსალური სიმფონია, ან თუნდაც ქარის იმიტაცია რიპარდ ვაგნერის ოპერებში და ნათელი გახდება, რისი თქმაც გვსურს. ქარისა და ცეცხლის სტიქიის გადმოცემა მხატვრობას არ ძალუძს ისეთი შინაგანი ექსპრესიით და დინამიკით როგორც პოეზიას და მუსიკას. სამაგიეროდ მხატვრობას უკეთ ძალუძს წყლის სტიქიის ნაირგვარ ასპექტებში მოცემა. მაგრამ ჩვენ ისევ პირველთქმულს მივუბრუნდეთ.

„ოდა დასავლეთის ქარისადმი“ შედგება ხუთი განაყოფისაგან. თითო განაყოფში ოთხ-ოთხი ტერცინური სტროფია და თითო ფინალური წყვილად გართიშული კუპლეტი. Terza rima-ს, ტერცინურ ლექსს მონუმენტური ძალა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა, ამიტომაც აირჩია იგი დანტემ თავისი გრანდიოზული პოემის საზომად. ტერცინი უპირატესად ეპიური მასშტაბის გასაშლელადაა ხელსაყრელი, იგი იძლევა საშუალებას ემოციის თანდათანობითი, კასკადური მოზღვაებისას, საფეხურებ-

როგორც კულმინაციების განვითარებისას დიდ პო-
ემში. როგორც უკვე აღინიშნა, შელის ხსენე-
ბული ლექსი მონუმენტურ ლირიკას მიეკუთ-
ვნება, სადაც ეპიური სტილის ცალკეული
„ტრიხებიც“ საცნაურია: პოეტური სახის კომპ-
ლექსური, შინაარსობრივად გაშლილი ხასიათი,
აღწერითი ელემენტის გაძლიერებული როლი
და სხვ. შელის ამ ლექსში დიდ როლს თამა-
შობს აგრეთვე ალიტერაცია და ბევრწერა,
როგორც საშუალება ქარიანი ამინდის განწყო-
ბილების ვაციტხლებისა, ქარის პოეტური იმი-
ტაციისა.

ამ ლექსში არნახულის სისრულით გამოვ-
ლინდა აგრეთვე შელის პოეტური გზის ძირი-
თადი ტენდენცია: ეს არის ბუნების სტიქიონ-
თა გაპიროვნება, ინდივიდუალიზება, თავად
პოეზიის ქცევა ბუნებისმიერ პროცესად, ბუ-
ნებაში გამოვლენილი სულის წვდომა და ამ სუ-
ლის ამტყვევლება პოეზიის ენაზე. ამ გავე-
ბით შელის ლირიკას შეიძლება ეწოდოს პანფ-
ნიქისტური ლირიკა. უფრო მოგვიანებით ჩვენ
გვატარებთ პარალელს ამ მიმართებით შელისა
და ჩვენს ვაჟა ფშაველას შორის, ამჯერად კი
მკლავ „ოდას“ დაუბრუნდეთ.

ლექსი იწყება დასავლეთის ქართველის პერ-
სონიფიკაციით, რომელიც მოერეება შემოდ-
ვომის სუნთქვით დამზრალი, გაყვითლებული,
გაშვებულნი და მუქ-მეწაული ფთოლების
გროვას, როგორც ჭადოსანი მკვდართა აჩრდი-
ლებს, შემდეგ ქარი მიწაში მარხავს ფთოლებს
და თესვებს მცენარეებისას, რომელნიც გვა-
შვებით განისვენებენ ნაწიში გაზაფხულამდე,
ვიღებ არ დაუბრავს „აფურელი და“ დასავ-
ლეთის ქართველისა და ოცნებით დაბანგული
მიწის პირიდან აღმოცენდებიან ურიცხვი ყლორ-
ტები და აღასვებენ მთასა და ბარს ამო სურ-
ველით. სტროფი თავდება, როგორც ითქვა,
კუპლეტით, რომელსაც ასეთი შინაარსი აქვს:
„მეღურო სულო, ყოველგან მყოფად, დამანგ-
რეველო და შემნახელო, მისმინე, ო, მის-
მინე!“ თვითებული 14 სტროფისაგან შემდგარი
ნაწილი სხვადასხვაგვარ ასპექტებში გვიხასია-
თებს დასავლეთის ქარს. პირველი სამი ნაწილი
თავდება რეფრენული მოწოდებით: „მისმინე,
ო, მისმინე“ (hear o, hear!).

ის აღმავალი, დინამიური კრესჩენდო, რომე-
ლიც უფრო და უფრო მატულობს თვითებულ
სტროფში თანდათანობით აძლიერებს და აღრ-
მავებს პოეტურ ხილვას: თუ პირველ ნაწილში
ქარი გვეკლენება ფთოლების მფანტველად,
თესლთა მიწაში დამმარხველად, დამანგრევე-
ლად შემნახველად, ყოველგან მყოფად, მეორე
ნაწილში პოეტი გვიხატავს გაცილებით უფრო
გრანდიოზულ სურათს ქართველისას: „შენი
ნაკადი ცას ეკვეთება, შეშფოთებულს, გაჟან-
ტავს ღრუბლებს, როგორც ფთოლები გაჟან-
ტა მიწაზე, ცისა და ოკეანის ტოტებს სცი-
ვინა თითქოს ისინი, წვიმისა და ელვა-ქუხილეს
ანგელოსებად. შენი ვეება ტალღები ფრთხილად
იქოჩებთან პორიზონტიდან ცისკიდურამდის,
როგორც გააფრთხილები მენადას თმები, თით-
ქოს და კულულებიაო მოახლოებულ გრიგალისა.
შენ გლოვა ხარ მომავლად წლისა, რომელიც
იმარხება ამ ღამეში და ღამე თითქოს გუშა-
ბითა ვეება აკლდამისა, ნისლებით ნაგები, რო-
მელიც სკდება შენი გლვით, შავი წვიმით,
სეტყვით, ქუხილით“.

ასე თანდათანობით მძლავრდება ეს უცნაუ-
რი ჰიმნი თუ ლოცვა ქარისადმი და ბოლოს,
გამქინვარებული სტიქიონით აღძრული ზეაღ-
მტაი შეება უფროდაუფრო მიიკავს პოეტს
და მისი სიმღერა გადაიზრდება ამგვარ და-
ღალში: „რომ ვყოფილიყავ მკვდარი ფთოლი,
ხომ წამიღებდი, რომ ვყოფილიყავ სწრაფი
ღრუბელი, გამაქროლებდი, ტალღა ვყოფილი-
ყავ, ამაღლებდი, მომეცემოდა შენი ძალა და
ნაწილობრივ თავისუფლებდი. ო, უტყველო!
აღმტაცე როგორც ტალღა, როგორც ღრუბე-
ლი, როგორც ფთოლი! ცხოვრების ეკლებს
გადავებო, სისხლით ვიცლები! ეამის სიმძიმემ
დამბოროტა მე, შენი მსგავსი, დაუღეგარი, და-
უთრგუნელი, შენებრ ამაყი! მეც ტყესავით მაქ-
ციე შენს ქნარად, მეც ტყესავით მცვივა ფთო-
ლები! შენს მძლავრთა ჰანგთა მქუხარება ხში-
ანებს ჩემში, შემოდგომის ხმა ნალვლიანი და
სააფური. მძვინვარე სულო, იქვე ჩემს სულად!
ჩემად იქვე, შეუბრალებო! ჩემი აზრები მიმოჰ-
ფინე მთელს სამყაროში, ვით მიმოჰფანტ-
მკვდარი ფთოლები, რათა ხელახლა იშვან მრავ-
ალნი! დე, ამ ლექსის ხმამ უქრობელ კერის
ნაპერწყლებად მოსდოს ქვეყანას, კაცობრიობას
ჩემი სიტყვები! და ჩემის პირით იქმენ საყვი-
რი სამყაროსთვის დიდ წინათქმისა! და თუ
ზამთარი ახლოვდება, გაზაფხულიც ხომ მას
მოჰყვება, ო, ქარიშხლო!“

ხშირად გაჰყავთ პარალელი შელისა და ბა-
ირონის შემოქმედებას შორის. ჩვენს მიერ გან-
ხილული ოდა განსაკუთრებით გვაფიქრებინებს
ამგვარ მსგავსებას. დიონისური ექსპრესიით
და გაქანებით შელი ჰეშმარიტად არ ჩამოუ-
ვარდება ბაირონს. განწყობილებით, ტემპერა-
მენტის ვულკანური დუღილით „დასავლეთის
ქარი“ მართლაც ენათესავება ბაირონულ პო-
ეზიას. მაგრამ ამავე დროს შელის დიონისურ
საწყისთან ჰარმონიულადაა შერწყმული აპო-
ლონური ქვერტითი ელემენტი, რასაც ბაირო-

1 მე გადავწყვიტე პროზად მეთარგმნა ეს პა-
საეები ამ უთარგმნელი ლექსიდან, ვინაიდან
გოეტეს თქმით, ლექსის ნამდვილი გამოცდა
მისი პროზად თარგმნაა. ჩვენი მკითხველიც
ალბათ თვალნათლივ დარწმუნდება ამასში.

ზვიად გამსახურდია

პირსი ბიში შელის ლირიკა

ნის პოეზიაში ნაყლებად გზავდებოთ. გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ ამ ასპექტიდან აღიქვა შელი:

„ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს
ერთი ქარიშხლის, მეორე მშვიდის,
მათ აღტაცებით გაიმეორეს,
რომ ახალი დრო იმედით მიდის.
ფერეიულ ნავს სცილდება კორდი,
ამაყი ღორღი დგას, დროა ძველი,
ბაირონს უსმენს მერი ჩვევართი
და ფერადებში მისცურავს შელი“.

შელის „ცურვა ფერადებში“ განსაკუთრებით მაშინ გვახსენდება, როდესაც ვუკვირდებით მის მეორე ცნობილ ლექსს „ღრუბელს“. იგი თითქმისდა პოლარულად უპირისპირდება „დასავლეთის ქარის“ განწყობილებას. „დასავლეთის ქარი“ ძნელია უწოდო შელის „მშვიდი“ როგორც გალაკტიონი უწოდებს მას. „ღრუბელი“ და სხვა მსგავსი ლექსები კი იძლევიან ამის საბაბს.

„არაამქვეყნიური ვიზიონერი“ უწოდა შელის ბაირონმა. მართლაც, განცვიფრებას იწვევს ის კოსმიური ობიექტურობა განცდისა, რომელიც ვლინდება „ღრუბელში“. ბუნების პოეტურ განცდაში, სტიქიების ენით საუბარში შელის პოეზია უფრო მაკროკოსმიურია, ვიდრე ბაირონისა. ბაირონი უფრო ინდივიდუალური, ადამიანური განცდიდან გამოდის ბუნების აღქმისას, მუდამ თავისი პიროვნების პრიზმაში ხედვას და განიცდის, თუმცა ესეც თავისებურად გრანდიოზული, ტიტანური მასშტაბის განცდაა.

შელისთან კი ხდება პოეტის პიროვნების სრული იდენტიფიკაცია მაკროკოსმოსთან („ღრუბელი“):

„მე ვაპყრებ ყვავილებს და მწყურვალე
თაველებს
ზღვების, ნაკადულების მორთმეულ ხარკს
ნამისას,
დასიცხული ფოთლები ნაშუადღევ ოცნებით
ჩემს კალთის ქვეშ ჰპოვებენ მოსვენებას
წამისას.“

დილის ცვართა ციალით, მზერა, მომეცი ალი
დავამშვენო მთვლემარე ალიონის კვირტები,
დედამიწის საშოდან ცას მეშვიდეს აეშორდე,
სანამ ისევ ცვარნამის ხეავით დავიტვირთებო.
სეტყვის ლახტით შევროზგო გორმაში თუ
შარაგზა,

ჰე, მინდვრები უსაზღვრო თეთრად
გადიბროლებს,
მერმე ისევ წვიმაში ეჭრები მე შენს წინაშე
როს ელქეპის გრგვინვაში ქარნი
გამაქროლებენ“.

როგორც „დასავლეთის ქარის“ კომპოზიციური წყობა დაკავშირებულია ქარის ზეგნით, ასევე „ღრუბელშიც“ — ლექსი თითქმის თანდათანობით იშლება და ზავდება ღრუბელთან ერთად, გაივლის მის გზას — აორთქლების, ცაზე გაშლის, ატმოსფეროში განვრცობის პროცესებს. საინტერესო ის არის, რომ ლექსის პირველი ნაწილი ღრუბლის ფორმირებას, მიწიდან ატმოსფეროში ასვლას ეხება. მეორე ნაწილიდან კი იწყება ღრუბლის თანდათანობითი გააქტივება და ჩვენს წინაშე გადმოვლება გრანდიოზული კოსმიური პანორამა ნალექების მოქმედებისა, პოეტური განსახიერება მეტეოროლოგიური პროცესებისა:

„მე ფარფატა ფანტელებს მთებზე
მიმოფანტავ და
ერთავ ქათათა ზეგვებით ცაღაზიდულ
წყეროებს;
თრთის თრთვილოვან ნალექში ჩემი თეთრი
ბალიში

ეფინება ნაძვებში ტოტებს და კენწეროებს,
ზეციური კოშკების ბინადარი კაშკაშა
ელვა — ჩემი დამქაში — მესაჟე ფრთას
ისევლებს
როს ნაფდრალ მილებში, შავ ღრუბელთა
ღილეგში
ბორავს ჰეჰა-ქუხილი და დაჰლუის

ციოთ ველებს.
ოკეანის და ხმელის ზეცით გადამლაზველი
მიმაქროლებს მესაჟე და ეთერში მავრცელებს
და როს ზღვათა გენია კვლავ მორევთა მჩენია
ისარს უშენს ზეციდან ღრმა ხეობებს, ტბას,
ველებს

გორმახს თუ კლდეს, მაღალ მთას,
წყაროსთვალს, ტყეს თეთრად რთავს,
ისერება წყალულებით თვალუწადნი ველები,
მთვლემარნი თუ ფხიზენი, თვალნი
მოგიზგიზენი
სულს მიწისას ეძებენ, როგორც ცეცხლის
გველები,

მეც ხელახლა მიმელის ცის ნათელი ღიმილი,
როს ტყდებიან ელვანი ყოვლის დამდაგველები“.

აღსანიშნავია, რომ ბუნებისმიერი პროცესის თავისებურებათა შესაბამისად ლექსის სტრუქტურაც იცვლება, ხდება უფრო მდორე, გაშლილი, გაზავებული:

„ალიონის თვალები მეტეორულ ალებით
დასერავენ კამარას ციურ ალთა ციალში.
მისნი ფრთენი ფარავენ ჩემს მოძმეთა ქარავენს,
როს ილევა მთები სიხეთა ორომტრიალში
და საფერზე არწივის, მთა — მიწისძვრით
ნარწვევი,

ეგებება ალიონს ნისლოვანი ზმორებით,
მერმე თვალანათები ბლუჯა ბრილიანტები
გუბდებიან ლალების მოოქროვილ მორევადა.

¹ ლექსების ყველა თარგმანი ავტორის ეკუთვნის.



როს დადგება დაისი, ცას სისხლი სდის
დაისრულს,
ხოლო ზღვა რუღუნებით ისევ ეალერება,
მზის მეწყამულ ფერებით წყალი დაიფერება,
ცას მწუხარედ დასუდრულს უბე ბინდით ეცემა,
მაშინ ფრთამოკეცილი ვთვლემ ციურ
სარეცელზე
აღარ მესმის ქუხილი და ელვათა კვესება“.

„არაქვეყნიური ვიზიონერის“ მხატვრული
ხილვა კულმინაციას აღწევს ლექსის მეოთხე
და მეხუთე ქვეგანყოფნებში. პოეტი აქ თით-
ქოს თავადაა შესაქმნის მონაწილე, იგი თავად
ჰქმნის ხელახლა კოსმიურ ყოფას, როგორც
ახალ სინამდვილეს:

„ის პირბადრი ქალწული ციმციმით მოქანცული,
გის მიწაზე მოკვდავნი უწოდებენ მთოვარეს,
რომლის სხივებს ცაც მისევს და ჩემს
ვერცხლის საწმისებს
ქარი გადაწისლავს იმის შუქთამთოვ არეს,
უხილავი ტერფებით, ნატიფ, ქარვისფერ
ფრთებით,
რომელთა ხმას ისმენენ მხოლოდ ანგელოსები
გადაუვლის ჩემს კარავს, ჩახევს ცისფერ
სახურავს
და ბრწყვიალა ვარცკლავნი, ვით ოქროს
მიმოზებნი
ჩასცქერიან სამზერებს და მეც თითქოს
ცამ ზევით
შემასია ფუთყარათა ოქროვანი გუნდები,
გადავადრობ სახურავს ჩემს კარავს
სხივ-ნაპკურებს,
ისევ ტბებს, მდინარეებს, წყნარ ზღვებს
მივუბრუნდები,
ცის ნახევთა მსგავსად რომ სცვლიან თავის
თავ-სადგომს,
ჰფარავთ მსუბუქი ვერცხლი და თხელი
ბინდუნდები“.

ყოველივე ამას მოსდევს ცისარტყელის მხატ-
ვრული განსახიერება, რომლის მსგავსიც სა-
ერთოდ, იშვიათია მსოფლიო პოეზიაში:

„მე მზის ნათელ კამარას ჰქიქურ ოქროს ამარა
ვრთავ, სადაფის რკალეზად მთვარეს
მოვეკისრებ
ეულკანები ჰქრებიან, ცას ვარცკლავთა კრებიანს
შუბლი გადაეხსნება, როს ქარისგან ვმცირდები,
ფერადმრავალ თაღებზე ლურჯ სივრცეებს
გავლებავ,
ზღვის ლივლივა ზედაპირს ხილად
დავეფოფრები,
მზის ვარვარა თითბერი დაშლება შეიდფერი
ბურჯებივით მიდგანან მწვერვალები შორ
მთების,
ტრიუმფალურ ჰიმნარში შევავლელებ მზის
რავებს

თოვლს, ქარწიმას, ხოშკაკალს შიგ შევალაღ-
როგანაწმუნს
ჰაერისგან ნაშენი ჩემი ტახტიც მაშინვე
ათასფერი მშვილდივით უცებ მოიდრეკება
და სფერული ნათელი ცას ქარგავს
ქვედაფენილს
ხოლო ნისლის კომკები იშლება და ივება“.

ლექსის ფინალში პოეტს ღრმა მხატვრულ-
ფილოსოფიურ განზოგადებამდე აჰყავს ღრუბ-
ლის ბედი, მისი ცვლისა და გამუდმებული მე-
ტაფორფიზის სურათი გადაიქცევა მაკროკოს-
მოსის სიმბოლურ ტახად, რომლის არსებობაც
ასევე ემყარება დაშლისა და ხელახალი აღორ-
ძინების, სიკვდილისა და აღდგომის პრინციპს:

„წყლის და მიწის ასული ვარ ეთერში ასული,
ჩემი მზრდელი ზეცაა და ლაქვარდის კამარა,
ოკეანის და ხმელის იოგების გამხმელი
ვარ, სიკვდილი არ ძალმიძს, მიწერია
ცვლა მარად.
და როდესაც იდარებს იძრცუნება ცა მდიდარი,
კაზადონებს გასარკულს არ ეტყობათ
ფრთილები,
ქარი შლის ვით ბულულებს მზის ბაჯალთ
კულულებს
და ცისფერი გუმბათის ქვეშ ჰყვებიან მტრელები,
ვიცი ცვარი აკლდა მას და ჩემს ვერცხლის
აკლამას
მე დავხარი ხელახლა წვიმით დანამძიმები,
ვით საშოდან ყრმა ჩვილი, ვით კუბოდან
აჩრდილი,
ვდგები და კვლავ ზეფირის კალთებს
შევემძიმები“.

ამრიგად, შელი უმუშალოდ, რეალურად ცხოვ-
რობს ბუნების სტიქიონთა ცხოვრებით, იგი
თანაზიარია როგორც ბუნებისმიერი კატა-
კლიზმებისა, ასევე მისი აუმღვრეველი, მოსალ-
ბუნე მშვენიერისა. ამასთან ეს ყოველივე მას
კოსმიურად ინტენსიური განცდის სახით ეძლე-
ვა, მაკროკოსმოსის მღელვარე და მარადის მოძ-
რავი ყოფის პულსაცია იგრძნობა მის სტრი-
ქონებში.

შელისათვის უცხოა ურდსეგორთისეული
ჰერეტაოთი, მედიტატიური განცდა ბუნებისა.
დიდი განსხვავებაა შელის ჰერეტასა და უორდ-
სეგორთის ჰერეტას შორის. მართალია, მან სა-
უცხოო სონეტი უძღვნა უორდსეგორთს, მაგრამ
მას საბოლოოდ მაინც არ მოსწონს უორდსეგორ-
თის დამოკიდებულება ბუნებასთან, იგი ამას უწო-
დებს „სულიერი საქურისის“ დამოკიდებულე-
ბას. თავათ კი, როგორც გვეუბნება ცხოვრობს
ბუნებასთან როგორც საყვარელთან — ბუნე-
ბა მისთვის განცხრომის, მღელვარების, შეძრ-

ზვიად გამსახურდია
პირსი გიჟი შმლის ლირიკა



წუნების და სხვა ნაირგვარი ემოციების წყა-
რითა. უორდსვორთი მარადილ, არქტიკულ
პლანში სჭერტს ბუნებას, იმისთვის ბუნებისმი-
ერი ყოფის საზრისი და საიდუმლოება არის
საძიებელი პოეტური სინამდვილე. გამოვლენი-
ლი, მატერიალური ბუნების ანუ *Natura*
Nuturata-ს განცდა კი მხოლოდ საბაზს იძ-
ლევს ამგვარი ზეადსვლისას: უორდსვორ-
თის პოეზიის საზეო უმანკოება აღიზიანებდათ
ბუნებისადმი ვნებით შეპყრობილ შელისა და
ბაირონს, ვინაიდან მათთვის მიუწვდომელი იყო
ის ზესწრაფვა მედიტატიური აზრისა, რომლის
სიმაღლიდანაც დასკვნებრივად ბუნებას „ტბის
სკოლის“ დიდი კორიფეები. დიახ, თავათ სი-
ჭაბუკე, მემამოხე, დაუოკებელი სიჭაბუკე ებ-
რძოდა სიბრძნითა და საზეო სიყვარულით გას-
ხივოსნებულ მსცოვანებას სულისმიერს.

თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ უორდსვორ-
თისა და კოლრიჯის პოეზია განცდილი ღარიბია,
მშრალია და რეზონირული. შელისა და
უორდსვორთის დაპირისპირებისას იგულისხმე-
ბა განცდათა ორგვარი სამყაროს დაპირისპირე-
ბა. აქ უორდსვორთის დამოკიდებულება ბუ-
ნებასთან უფრო რელიგიურია. მისთვის ბუნე-
ბა საკურთხეველია და ამ საკურთხეველის წი-
ნაშე მდგარი მოგვის გულში ბუნების სხვაგვარ-
ი განცდა იშვის მისი ზენა არქტიკისაყენ
თვალთა აღზივსისას, ვიდრე მგზნებარე და
თავაწყვეტილი მეოცნების, შელის გულში, რო-
მელსაც სურს იცხოვროს ბუნების ცოცხალ
პროცესებში, გაზადეს სტიქიებში, განიცადოს
თვითებული მათგანი და აამეტყველოს თავისი
სტრქონებიდან. თან, როგორც უკვე ითქვა,
განსაკიდებელია ამ დროს მისი კოსმიური
ობიექტურობა, რაც უმაღლეს საფეხურს აღ-
წევს „ღრუბელში“ (შემთხვევითი როდია რომ
ღრუბელა პირველი პირით გვესაუბრება).

„ღრუბელთან“ დაკავშირებით უნდა დავსძი-
ნოთ, რომ აქ სრულიად გამჭრალია ის ერო-
ტიული დამოკიდებულება ბუნებასთან, რო-
მელსაც შელი ძირეულად სთვლიდა თავისი პო-
ეზიისთვის. ჩვენის დაკვირვებით, ამგვარი და-
მოკიდებულება არც არის ტიპური შელის ბუ-
ნებისმიერ პოეზიაში. მართალია, არის შემთხ-
ვევები, როდესაც შესანიშნავად დაწერილ
ლექსებში ითქმის პორნოგრაფიული განცდა
ბუნებისა, რაც ჩრდილს უფრო აყენებს ამ
ლექსებს, ვიდრე ღირსებას ანიჭებს მათ. გან-
საკუთრებით შეიძლება ითქვას ეს ოსტატუ-
რად დაწერილ ლექსზე „სიყვარულის ფილო-
სოფია“ (1819). აქ უარესად ხელოვნურადაა
გადატანილი უმანკო ბუნებისმიერ მოვლენებზე
ადამიანური სექსუალობის ნიშნები. მაგალითად,
ნაკადულები უმიჯნურდებიან მთის მდინარეებს,
დაწყვილებულნი არიან ქარები, ყვავილები,
მთები ცას კოცნიან, მზის შუქი მწწას ეხვევა,
მთეარის სხივები ზღვას კოცნიან და სხვა. ეს
სწორედ ისეთი მიდგომაა ბუნებისმიერი პრო-

ცესებისადმი, რომელსაც განსაკუთრებით გვრძ-
და გოეტე. იგი მიუთითებდა იმ უმანკო
რომლითაც განმსჭვალულია მთელი ბუნება,
ადამიანის კიდევან. თუმც, როგორც აღინიშნა,
ეს არ არის ტიპური მოვლენა შელის ღირი-
კაში. მისი უდიდესი შედევრები „ოდა დასავ-
ლეთის ქაჩისადმი“, „ღრუბელი“, „ტოროლა“
და სხვანი, ამგვარი ამბების ნიშანწყალსაც კი
არ შეიცავენ.

„ღრუბელში“ განსაკუთრებით გამოიკვეთა
შელი, როგორც პოეტი-პანთეისტი, არა მარტო
მსოფლმხედველობით, არამედ მსოფლგანციდი-
თაც. აქ იგი თავად მიუახლოვდა ემოციის გან-
წმენდილობით უორდსვორთისეულ „ბუნების-
მიერ ღვთისმოსაობას“ (*Natural piety*), რო-
მელიც ზოგჯერ აღიზიანებდათ მას და ბაი-
რონს თავისი სიწმინდით. განსაკუთრებით ით-
ქმის ეს აგრეთვე შელის ლექსზე: „ჰიშინი ინ-
ტელექტუალური მშვენებისადმი“, რომელზე-
დაც ქვემოთ ვისაუბრებთ. უორდსვორთის
უნებელი გავლენას ბაირონიც განიცდიდა,
თუმც იგი გააფთრებით ებრძოდა და დსცი-
ნოდა „ტბის სკოლის“ დიდებულ მგოსანს,
„უქვადებებისადმი ოდის“ გენიალურ ავტორს.
უორდსვორთი კი სთვლიდა, რომ ბაირონი დი-
დად იყო დავალებული მისგან და კონკრეტუ-
ლად მიუთითებდა „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე
ქებაზე და ბრალს სდებდა ბაირონს მიმბაძვე-
ლობაში. მაგრამ ძირეული განსხვავება, ერთის
მხრივ, „ტბის სკოლასა“ და, მეორეს მხრივ,
შელისა და ბაირონს შორის სწორედ ის არის,
რომ ეს უკანასკნელი ბუნებაზე საუბრისას
არასოდეს გვევლინებიან ხელაყრობილი მის-
ტიურ ტრანსში, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ ორივე პოეტის დამოკიდებულება ბუნე-
ბასთან ირრაციონალისტურია, განსაკუთრებით
კი შელისა. რომანტიკოსისათვის ეს სრულიად
ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. აი,
რას ამბობდა, მაგალითად, ნოვალის ბუნებაზე
თავის „ფრაგმენტებში“: „არსებობენ სულთა
და სამშენიველთა გარკვეული სახეობანი, რო-
მელნიც მკვიდრობენ ხეებში, ლანდშაფტებში,
ქვებში, სურათებში. ლანდშაფტს უნდა უყუ-
რო, როგორც დრიადას ან ორეადას. ლანდშაფ-
ტი უნდა შეიგზმნო, როგორც რაიმე სხეული.
ყოველი ლანდშაფტი არის იდეალური სხეული
განსაკუთრებული სახეობის სულისათვის“. შე-
ლისათვის არ არის უცხო ამგვარი სპირიტუ-
ალისტური თვალთახედვა. სწორედ ამიტომ
უწოდა მას ბაირონმა „არაქვეყნიური ვიზიონე-
რი“. შელის სიყვარულმა გაპიროვნებებისადმი
ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინა, რომ მისი
ფერიები, ფურიები, ნიმფები, სილფები და
ბუნების სტიქიონთა სხვა აურაცხელი მფარ-
ველები და გენიები მხოლოდ აბსტრაქციებია,
პოეტური ფანტაზიის თამაშში აღმოცენებულ-
ნი. თუმც შელის სერიოზული მკვლევარი ყო-

ველივე ამჟამო მსოფლმხედველობრივ მომენტ-
საც ითვალისწინებენ.

შელისათვის პოეზია ღვთაებრივის გამოცხა-
დება იყო, მისთვის ეს იყო უზენაესი რეალო-
ბა, ისევე როგორც ნოვალისისათვის. მისთვის
პოეტური ცხადქმნა სინამდვილისა ზეცნობიერი
შერწყმა იყო ღვთაებასთან, ეს იყო სამყაროს
მშვენიერების უკვდავყოფის ერთადერთი და უზე-
ნაესი გზა. თავისი შეხედულებები პოეზიაზე
მან ჩამოაყალიბა თავის გენიალურ ესეში „პო-
ეზიის დასაცავად“, რომელიც თავადა პოემა,
პროზად დაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი არათანმიმ-
დევრულობა შეიმჩნეოდა ჰაბუკი პოეტის ფი-
ლოსოფიურ მსოფლმხედველობაში. შელის
სპირიტუალიზმი ყოველ ნაბიჯზე საცნაურია.
მისთვის ბუნება, როგორც ზემოთ ითქვა, გა-
მოცხადება უხილავ გონიერ არსთა განუწყვე-
ტელი მოქმედებისა. თუმცე სპირიტუალური
მრავლობითობის აღიარებისას იგი გაურბის
მონოსის შესახებ საუბარს, იმ მონოსის შესა-
ხებ, რომელიც საფუძველია ყოველგვარი ერ-
თიანობისა. იგი ვერ ხედავს თუ შეგნებულად
არ ხედავს მას სამყაროში, არ მიაპყრობს მის-
კენ მზერას. ალბათ ეს უფრო მისი ბუნტარუ-
ლი განწყობილების შედეგია, რომელიც მასში
დამპადა კათოლიკური ფარისევლობისადმი სი-
ძულვილმა, ოფიციალური სამღვდელთაების
შეზღუდულობამ. მისი „ათეიზმიც“ ამითაა გა-
მოწვეული. ეს ათეიზმი ანტიკლერიკალიზმია
უფრო და არა ათეიზმი. თუმცე შესაძლოა მას
არც კი ჰქონდა კარგად გაცნობიერებული ეს
ამბავი. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას კი იგი
იმიტოვებდა, რომ მისი ქვეყნის რელიგია
ფრიად მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლი-
ტიკასთან. ამ ბრძოლის გამო შელი კანონგარე-
შე გამოაცხადეს როგორც პოეტი და როგორც
მოქალაქე და აზროვნებაში თავისუფლების
მოტრეფილ პოეტი ფაქტიურად გააძევეს იხ-
ლისიდან, როგორც ამორალური ადამიანი და
„უშემაკის თანხიარი“. სინამდვილეში კი შელი
აურთიკებდა თავისი ქვეყნის რელიგიას უწინა-
რეს ყოვლისა როგორც „ქრისტეს გარეშე,
დარჩენილს“. რაც შეეხება მის ტრაქტატს
„ათეიზმის აუცილებლობა“, აი, რა უთხრა მის
შესახებ შელიმ ერთ-ერთ თავის თანამედრო-
ვეს: „მე ვიხმარე სიტყვა „ათეიზმი“, რათა
გამომეხატა ზოხლი ცრუმორწმუნეობისადმი: მე
შევიარადი ამ სიტყვით, როგორც ძველ დრო-
ში რანდი იარაღდებოდა თათმანით, უსამართ-
ლობის წინააღმდეგ ამხედრებული“. ასე რომ
ეს სიტყვა მან იხმარა, როგორც „ანტიკლერი-
კალის“ გამოხატულებული, აღმატებითი ფორმა.
„შელი რომ არ იყო ნამდვილი ათეისტი ეს ჩანს
მისი საუკეთესო ლექსიდან: „ყოვლისშემძლე
მამა“, სადაც დახატულია ღვთის სურათი, რომ-
ელიც არაფრით არ ეწინააღმდეგება ქრისტიან-
ულ წარმოდგენას.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ამ სიტყვით
ხმარება იყო უფრო საბრძოლო საშუალება
ვიდრე მსოფლმხედველობრივი კრედიტის გამო-
ხატველი საშუალება. შელის მსოფლმხედველო-
ბა კი წარმოადგენდა თავისებურ შერწყმას პან-
თეიზმისა და სპირიტუალიზმისა და არც იყო
საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დასრულე-
ბული. მას ახასიათებდა წინააღმდეგობებიც. მა-
გალითად, ერთის მხრივ, შელი თავიანთ სცემ-
და ლორდ ბეკონს, მატერიალიზმის მამამთა-
ვარს და ანტიპლატონისტს, მეორეს მხრივ კი,
აშკარად იხრებოდა პლატონისაკენ. მაგალითად,
მშვენიერებაზე მისი შეხედულება აშკარად
პლატონისტურია. ვარაა ამისა, „განთავისუფ-
ლებულ პრომეთეში“ მას დახატული აქვს სამ-
ყაროს პლატონისტური სურათი:

„რადგან სამყარო გაუმჩნავს სიკვდილ-
სიციცხლეს,
ერთი ნაწილი ზილულია, ზოლო მეორეს
სიკვდილის შემდგომ განიცდიან არსი ყოველნი,
არს-აჩრდილებით არის იგი დასახლებული
და გარდაცვლილი ერწყმის ყველა ორთულს
თვისას.
მუნვე ნათობენ კაცთა აზრნი და ოცნებანი,
სასონი, მრწამსნი, სიყვარულის შმაგი ცხელება
და ჩვენებანი ვით ბოროტნი, ისევე ქველნი“.

შელის არ დასცალდა მოწიფულ ასაკამდე
მიღწევა, იგი გარდაიცვალა 30 წლისა. ჰაბუ-
კური ექსტრემიზმი და მეამბოხეობა ხშირად
არასასურველი ფორმითაც ვლინდებოდა მასში.
მისი დიაბოლიზმი, ინცესტის ესთეტიზაცია,
მართალია, რეაქცია იყო პურიტანულ-დოგმა-
ტურ და პირობით ზნეობრიობაზე, რომლის
შემზთველმა ატმოსფერომ არაერთ დიდ ინგ-
ლისელ მწერალს შეაძულა ინგლისი, მაგრამ
უკიდურეს ფორმებში გადასვლა თავად შელის
პიროვნებას აყენებდა ჩრდილს. ხშირად მისი,
ბაირონის და უაჰლდის ზნედაცემულობა დადე-
ბითის ნაცვლად უარყოფითი შედეგს უფრო
იწვევდა. ნაწილობრივ ამითაც არის გამოწვე-
ული ის კრიტიკული დამოკიდებულება, რომ-
ელსაც იჩენენ მათ მიმართ თანამედროვე ინ-
გლისელი კრიტიკოსები სპენდერი და ტ. ს.
ელიოტი.

ინცესტის პოეტიზაციამ შელი მიიყვანა დრა-
მა „ჩენჩიმდე“, რომლის მანვე ზეგავლენას
ახალგაზრდობის ფსიქიკაზე მხოლოდ შელის
მტრები და პურიტანული „ზნეობის ქომავნი“
როდო აღნიშნავენ. მართალია, შელის ამ დრა-
მის წერისას მიზნად ჰქონდა დასახული პაპი-
ზმის მხილება, ყოველგვარი საზოგადოებრივი თუ
ოჯახური ტირანიის დაგმობა, დრამას თავისი
საბოლოო ტენდენციით თითქმის და აქვს მო-

ზვიად გამსახურდია

პირსი ბიში შელის ლირიკა



რალური გამართლება, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი ქალიშვილის გაძაბუატიურებელი აკამზადა გრაფი ჩენჩი სამარცხენო ბოძზეა გაკრული, მაგრამ დრამის ძირითად მოტივად ინცესტის საზარელი ფორმის აღება უპრეცედენტო და ქვეშაირად გაუმართლებელ ხერხად უნდა ჩაითვალოს.

არსებობს გარკვეული გარეგანი მსგავსება შელისა და ვაჟა ფშაველას შორის ბუნებასთან დამოკიდებულებაში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით უფრო დიდია განსხვავება მათ შორის. შელის ხიზლავს ბუნების სილიადე, იგი უმღერის ბუნებას, ვაჟას მსგავსად აპიროვნებს მას, ბუნებაში მისთვის, ისევე როგორც ვაჟა ფშაველასთვის, ყოველივე ცოცხალია, გონიერი და ამაღლებული. დიდებული პოეტური ხერხებით გვიჩატავს იგი ბუნების ცხოვრებას, ჩვენს სულში ნერვებს დიდ სიყვარულს ბუნებისადმი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბუნების წვდომასა და გაგებაში იგი ისე შორს ვერ არის წასული, როგორც ვაჟა-ფშაველა. შელისათვის ბუნება მხოლოდამხოლოდ ესთეტიური ფენომენია, ეს არის **Sens data** — გრძნობადი მოცემულობა, რომელიც აღძრავს იმპულსს პოეტური შემოქმედებისას, და რომელიც თავადად უმაღლესი პოეზია, მაგრამ იგი არასდ განიხილავს ბუნებას იდეალურ პერსპექტივაში. ბუნება არსად იძლევა მასთან ისეთ მძლავრ მორალურ იმპულსებს, როგორც ვაჟა ფშაველასთან. ვაჟა-ფშაველა იძლევა არა მარტო ესთეტიზაციას ბუნებისას, არამედ ასახავს, უწინარეს ყოვლისა, ბუნებაში მორალურ-სპირიტუალური განმართლების პროცესს, მისთვის სიკეთის განმართლების, ქვეშაირებად ცხადქმნის პროცესი ისტორიული ასპარეზის გარდა ბუნების ასპარეზზედაც მიმდინარეობს ფართულად. ამით არის განუმეორებელი ვაჟა-ფშაველას პოეზია. მსოფლიო ლიტერატურაში არცერთ დიდ მწერალს არ მოუთქია სიკეთის განმართლება ბუნების ასპექტში ისეთი გრანდიოზულობით, როგორც ვაჟამ მოგვცა თავის უკვდავ შემოქმედებაში. მართალია, ვაჟა ხედავს, რომ ბუნება, როგორც **Sens data** არსად ამჟღავნებს გარეგანად მორალურ ტენდენციას, „სადაც პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“ და რომ მხოლოდ ესთეტიური მომენტი ცნაურდება მასში: „მანინ კი ლამაზი არის, მანინ სიტუტრდით ჰყვავისა“. მაგრამ სოცეტის ნათელმზილველი სული მინდობაბურად სწვდება იდუმალ ზრახვებს ბუნებისას და ეს ზრახვები კოსმიური მორალუბიდან მომდინარეობენ უწინარეს ყოვლისა. ოღონდ მან იცის, რომ ყოველივე ეს თავის იდეალურ პერსპექტივაში უნდა განახორციელოს ბუნებამ, მომავალში, როდესაც სულთერად აღორძინებულა დამიანის თანამოქმედებით იგი გათავისუფლდება გრძნობადობის ბორკილთაგან, გახდება უფრო სრულყოფილი,

იდეალური. განა ამას არ ელიან ვაჟა-ფშაველას მთები, რომელთა მოლოდინიც „უსაზღვროა“? განა ეს არ სურს ურყევ კლდეს, განა მას არ აწამებს თავისი უნებლიე პასიურობა იმ საზარელ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის ისტორიის ასპარეზზე? განა აღამიანურ გულმზეცობას, გრძნობათა გაუხეშებას არ დასტირის შელის ნუკრი? ბუნების ფიზიკური არსებობა, ბუნების კანონთა ერთობლიობა და მათი მოქმედების სფერო არ წარმოადგენს ვაჟასათვის ქვეშაირტ ყოფას. ეს ყოველივე მისთვის საფარია ბუნების იდეალური პერსპექტივისა, რომელიც სულიდან მომდინარე კანონებითაა განპირობებული. ეს არის სულის სამყარო, რომლისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს მთელი ბუნებისმიერი და ადამიანური ყოფა:

„ბევრი სჭირს კაცის ბუნებას
ამაოება მტკნარია,
თუ რამ მაღლს იზამს ქვეყნადა
მითი იოცებლებს მკვდარია,
ჩვირფასი მხოლოდ სული გვაქვს
სხვა დანარჩენი მჩვარია,
ან ცეცხლი დასწვავს, თავისად
მოიხმარს მიწა, მყარია.
სხვა ყველა ფეხქვეშ ეგება
მიწის, ბუნების კანონსა,
სულს ვერ ერევა მის ძალი,
და ვერც გაუთხრის ხაროსა,
ვერ მოკლავს, ვერ დააბერებს,
ტანს ვერ შეუცვლის საროსა
მიწისას მიწა მიიღებს
ყველას, რაც მასზე ხარობსა.
მანინ რომ სულის ბუნება
მონა როდია მიწისა,
თავისი სამფლობელო აქვს,
თავის გზა კარგად იცისა.“

ვაჟასათვის უცხოა შელისებური პანთეისტური თვალსაზრისი ბუნებაზე, მისთვის ბუნებას წარმართავს არა ბუნებისავე იდენტური, არამედ გაცილებით მასზე აღზევებული ძალა. ვაჟას თიხში და კრეატიონიზმი ყოველ ნაბიჯზე თვალსაჩინოა: „ყვავილთ ხელშეუხებლობა ნაბრძანებაა ციდანა“, „ივიანი ღმერთო, სამყარო ეს შენი დანაბადები“ და ა. შ. ბუნებასა და საზოგადოებრივ ყოფაში სიკეთის განმართლების ქრისტიანული იდეა, რომელიც პავლე მოციქულთან იღებს სათავეს და დასრულებულ ფილოსოფიურ ფორმას ღებულობს ჰეგელთან, შელინთან და სოლოვიოვთან, ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში პოულობს არნახულ პოეტურ განხორციელებას. ამით ვაჟა ფშაველა ძირითადად განსხვავდება ბუნების სწვა დიდი მგოსნებისადმი. ვაჟა ფშაველას პოეზიას განუზომელი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მორალური ცნობიერების განვითარებისათვის, შელის

მოეზია კი უწინარეს ყოვლისა დიდი ფაქტორია კაცობრიობის ესთეტიური კულტურის აღზრდაში. მართალია, შელიც ხშირად ხედავდა სიმბოლურად ბუნებისმიერი პროცესების ეთიურ-გარდამქმნელ როლს (თუმცა არა ისეთის სიცხადით როგორც ვაჟა), მაგრამ ამაში იგი შემოიფარგლებოდა ზოგად-ევოლუციური წარმოდგენებით: მაგალითად, ქარი, როგორც ფაქტორი ძველის განადგურებისა, ახლის აღმოცენებისა, ღრუბელი, როგორც მინდვრების გამანაყოფიერებელი და ა. შ. მაგრამ მისთვის მაინც ძირეული იყო, როგორც აღინიშნა, ესთეტიური მხარე ბუნებისა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის ლექსში „ჰიმნი ინტელექტუალური მშვენებისადმი“. ეს ლექსი შედევრია ინგლისური პოეზიისა, შელიმ იგი შეჰქმნა ბაირონთან ერთად ქენევის ტბაზე გასიერების შემდეგ 1817 წელს. „ინტელექტუალური მშვენება“ არის ღვთის გონიერი ძალა, რომელიც ცხადქმნილია ბუნებაში, ეს არის მისთვის უპირატესად მშვენების სული და არა სიკეთის სული, პოეტისათვის იგი მოწიწებისა და ზოტების ობიექტია. ეს პანთეისტური იდეა სხვადასხვაგვარ ვარიაციებშია მოცემული მის ღიღებულ ლექსებში: „მონბლანი“, „მზის ჩასვლა“, „ოდა ნეაპოლისადმი“ და სხვა.

დასასრულ, ჩვენ გვსურს, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ იმ განსაცვიფრებელ, წარმართულ-ბერძნულ სამგლოვიარო რიტუალს, რომელიც ბაირონმა მოაწყო თავისი მეგობრის პატრისაყმაღ ლიგორნოში და რომელიც ღღემდე წარუშლელია კულტურული კაცობრიობის

ხსოვნაში. გარდა გულის სასწაულებრივი გადარჩენისა, მოხდა კიდევ ერთი სასწაულო ფაქტორი ჩიტი დასტრიალებდა კოცონს, ვიდრე მასში იწვოდა გვამი, რამდენჯერმე კინალამ იმსხვერპლა იგი ალმა, ევრაფრით ვერ დააფრთხეს იგი თანადამსწრეთა. და როდესაც გვამი დანაცრდა და კოცონიც ჩაიფერფლა, პატარა გულწითელა მკვდარი დაეცა იმ გულის გვერდით, რომელიც მასავით მოუსვენრად სცემდა უკვდავი ლირიკოსის მკერდში 30 წლის მანძილზე. მაღლიერმა დედაბუნებამ თუ მოუვლინა ეს მეორე სასწაული თავის საყვარელ ძეს, რომლის სტრიქონებშიც მან ახალი სიკოცხლე ჰპოვა.

ცეცხლით შეუმუსვრელი გული და მკვდარი ჩიტი, — რა იქნება უფრო ამაღლებული სიმბოლო დიდი ლირიკოსის ბედისა?! იქნებ ინგლისის მეორე დიდმა გენიამ, მშვენიერების სულის მესაიდუმლემ ოსკარ უაჰლდმა თავისი ბედნიერი პრინცის გამსყდარი გულით და მკვდარი ჩიტით ამ ამბავზე მიგვანიშნა? პრინცის გულიც ხომ ვერ გადაადნო ცეცხლმა? იქნებ ის ქალაქი ინგლისისა, სადაც ფილისტერი მერის ბრძანებით მკვდარი ჩიტი და ცეცხლით შეუმუსრავი გული სანაგვეში გადაისროლეს? და იქნებ „ბედნიერ პრინციში“ დიდი პოეტის ფინალური ხილვაც ჰეშმარიტია: „მომიტანე ორი უძვირფასესი რამ ამ ქალაქიდან“ — უთხრა უფალმა ერთ-ერთ თავის ანგელოსთაგანს და ანგელოსმა ცეცხლით შეუმუსვრელი გამსყდარი გული და მკვდარი ჩიტი მიართვა მას“.

ნოდარ გუგუშვილი

მუსიკის პედაგოგიკა

ის საყოველთაო აღტაცება, რომელიც ახლ-და ჯორჯ ბალანჩინის პირველ გასტროლებს 1962 წელს, ამ მეორე (1972 წ.) გასტროლების შემდეგ ისეთი ძალით აღარ განმეორებულა. „ბალანჩინის ეფექტი“ არ შედგა არა იმის გამო, რომ „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ სპექტაკლებს თანამედროვე ქორეოგრაფიული იდეები აღარ ასაზრდოებს, ანდა მისი საშემსრულებლო ტექნიკა ჩამორჩა საერთო განვითარებას, და ამ მხრივ მას წინ გაუსწრო ამერიკის და ევროპის სხვა რომელიმე დასმა. ბალანჩინის ხელოვნება უნიკალურია, როგორც ქორეოგრაფიული შინაარსით, ასევე წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, ხოლო მისი საბალეტო დასის რეპერტუარი — განსაზღვრული არა მხოლოდ სპეციალური საბალეტო მუსიკით, არამედ კლასიკური და თანამედროვე მუსიკის შედეგებით (აქ უპირატესობა ენიჭება სიმფონიური წყობის ნაწარმოებებს) — უფრესი.

ამ ათი წლის მანძილზე, რომელიც გვაშორებს სახელმწიფოებრივ საბალეტო დასის გასტროლებიდან, მრავალი რამ შეიცვალა ჩვენი ქორეოგრაფიის (აქ არ ვგულისხმობ ქართულ საბალეტო ხელოვნებას, რომელიც უიმედოდ ჩამორჩა საერთო განვითარებას, და რომლის გამო ეჭრნალი „ცისკარი“ უკვე წერდა 1967 წ. № 12) ესთეტიკურ პრინციპებში და გამომსახველობით საშუალებებში. ცვლილება შეეხო მაყურებელთა ესთეტიკურ აღქმასაც და ეს ბუნებრივია, რადგან ამ ორმხრივი, პარალელური პროცესის გარეშე, წარმოუდგენელია საერთოდ თეატრალური ხელოვნების განვითარება.

ბალანჩინის დასის პირველი გასტროლები დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ქორეოგრაფთა გუნდებაში ის იყო უკვე მომწიფდა აზრი საბალეტო ხელოვნების გარდუვალი რეფორმის გამო. ქორეოდრამამ, ანუ ე. წ.

„დრამბალეტმა“, რომლის ესთეტიკა სრულყოფილად გამოიხატა ბალეტმაისტერ ლ. ლაეროვსკის „რომეო და ჯულიეტაში“, — ერთადერთი მხატვრული მიმდინარეობის ამ დამავირგვინებელ სპექტაკლში, უკვე მიაღწია იმ საზღვარს, როცა თვით საუკეთესო საბალეტო ქმნილებაც კი მის კრიზისს გამოხატავდა.

„დრამბალეტში“ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიუჟეტის, ამბის, **გამოხატვას**. სიუჟეტი გათანაბრებული იყო შინაარსთან. ამის შესაბამისად ცეკვას, რომელსაც შეუძლია **გამოსახოს** ღრმა და ამაღლებელი შინაარსი, მხოლოდ სიუჟეტის ან სინამდვილის ახლის **გამოხატვა** დაეკისრა.

აქ ერთმანეთში არ უნდა ავუროთ ცნებები **გამოსახვა** და **გამოხატვა**. პირველი შეესაბამება სინამდვილის ახალი მოდელის შექმნას ქორეოგრაფიული ხერხებით, მეორე — სინამდვილის ილუზიური სურათის წარმოდგენას უპირატესად თეატრალური, ლიტერატურული ხერხებით.

ცნობილი საბჭოთა ბალეტმაისტერი ფ. ლოპუხოვი თავის წიგნში «Хореографические откровенности» წერს: «Сила хореографии именно в том, что она дает отражение действительности, понятное без слов. К сожалению, многие постановщики не отличают отражения от изображения. Ведь хореография — родная сестра музыки, музыка тоже чаще всего отражает и менее всего изображает... Так, Фокин в «Умирающем лебедь» не изображает лебедя, а отражает в движениях суть лебединого, как это делает и Сен-Санс в музыке».

ეს შეგვიძლია ჩვენ გავიმეოროთ ბ. ჩაიკოვსკის „გედის ტბის“ მიმართ, სადაც „ოთხი გედის ცეკვას“ — ოთხი მოცეკვავე ნატურა-

ლისტურად კი არ გამოხატავს, არამედ წარ-
მოსახავს მოძრაობის ქორეოგრაფიულ ხატს —
წყალში სრიალს, ფრენას, კისრის გრაციო-
ზულ მოძრაობას. ერთის წუთით დავუშვათ,
რომ პეტიპასა და ივანოვს — ამ ქორეოგრა-
ფიული მინიატურული შედეგის ავტორებს
— ვედების მოძრაობის მექანიკა კი არ აე-
ლოთ, არამედ ზუსტად გაემეორებინათ თვით
მოძრაობა, უეჭველია რომ ცეკვა, ნატურა-
ლისტური სიზუსტის თვალსაზრისით, ახლოს
იქნებოდა ფაუნსთან, მაგრამ შორს ხელო-
ვნებისაგან.

სიუჟეტის „თბრობა“ ბალეტში შესაძლებე-
ლი იყო წმინდა ცეკვის „გამდიდრებით“ და აქ
საშველად მოუხმეს პანტომიმის, ექსტეზის ენას,
ერთი სიტუციით, დრამატული თეატრისათვის
დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ დრამატული თეატრის
ექსტი არსებითად განსხვავდება საბალეტო
თეატრის ექსტისაგან. თეატრში ექსტი უფ-
რო კონკრეტულია, მოქმედების გამოხატვე-
ლი, ზოგად აზრს მოკლებული. ამიტომ თეატ-
რალური ექსტი საბალეტო სპექტაკლში ამო-
ვარდნილია, უცხოა, სტატიურია. მაყურებე-
ლი ადვილად გრძნობს იმ უხერხულობას,
რომელიც ახლავს ამგვარი ექსტით გამოწ-
ვეულ პაუზას, სიცარიელეს. საბალეტო ექს-
ტი კი დინამიკურია, ზოგადი აზრის შემცვე-
ლი, ცეკვაში უშუალოდ ჩაწნული, როგორც
მისი ორგანული ნაწილი. გავიხსენოთ კორა-
ლი-პერო-პეტიპას მიერ შექმნილი ბრწყინვა-
ლე ექსტი „ფიზელი“ — პირველ და მეორე
მოქმედებაში ფიზელის ცეკვაში ჩართუ-
ლი კრუაზე და ეფასი. მომავლადი ფიზელი
ხელბებს კრუაზეს (მტევნები გადაჭდობილია
მკერდს ქვევით, ისე რომ მაყურებელი ვერ
ხედავს ხელისგულებს. ეს არის წარმართუ-
ლი ხანის რიტუალური ექსტი და ასე უწყობ-
დნენ ხელბებს მიცვალებულ დაცრძაღვისას.
ეს ტრადიციული ექსტი დღემდე ცოცხლობს)
გამოსახულებას აძლევს და ამით მიგვანიშ-
ნებს, რომ იგი იმპერეკნიურ საშუალოში უნდა
გადასახლდეს. მეორე მოქმედებაში, იმ ქვეყ-
ნიდან დამე მოსული ფიზელი, ექსტისთან
ერთად, კვლავ მიმართავს ამ ექსტს და ხე-
ლებს ხსნის მხოლოდ ალბერტთან ცეკვის
დროს და დროდადრო კვლავ უბრუნდება
კრუაზეს, თუმცა ალბერტი ყოველნაირად
ცდილობს ამ პოზის მოშლას. კარიერაზე ფი-
ზელი საბოლოოდ აკეთებს კრუაზეს, რითაც
ანიშნებს ალბერტს — სამუდამოდ ეტოვე-
ბო ამ ქვეყანას. ამ ექსტში გამოხატულია
სიყვარულის მარადიულობა, მისი რომანტი-
კული ბუნება.

ჯორჯ ბალანჩინის (რომელიც თვით რუსული
კლასიკურ ბალეტზეა გაზრდილი) ჩამოსვლის
შემდეგ ნათელი გახდა, თუ რამდენი რამ და-
კარგა საბჭოთა ქორეოგრაფიამ, რომელმაც

უარპყო კ. გოლიეზოვსკისა და ფ. ლოპუხოვის
ქორეოგრაფიული იდეები, საერთოდ დაკვირვებულ
„წმინდა“ ქორეოგრაფია და სიუჟეტური
ლეტის ცალმხრივად განვითარების გზას დად-
გა. თუმცა ნათელია, რომ ორივე ეს მიმდინა-
რეობა თავისთავადი და ორივე უფლებამოსი-
ლი. მით უმეტეს, რომ „წმინდა“ არაპროგრა-
მულმა ქორეოგრაფიამ განსაზღვრა თავის
დროზე სიუჟეტური ბალეტის განვითარება.
როგორც არაპროგრამულმა მუსიკამ განაპირო-
ბა სიუჟეტური მუსიკის შექმნა.

თუ ცეკვისა და მუსიკის ამ ორი ურთიერთ-
გადაჭდობილ მუშის კავშირს წარმოვიდგენთ
როგორც სივრცისა და დროის კავშირს პლას-
ტიკასა და რიტმში გამოხატულს, მაშინ შეგვიძ-
ლია ვილაპარაკოთ ქორეოგრაფიაზე, როგორც
იმგვარ დამოუკიდებელ ხელოვნებაზე, რომე-
ლიც სინამდვილის იმ მხარეებს ასახავს, იმ
ნიუანსებს, იმ მღელვარე იდეებს გადმოგვ-
ცემს, რომელიც ხელოვნების სხვა რომელიმე
დარგს არ ძალუძს. ამის გარეშე ქორეოგრაფი-
ული ხელოვნება კარგავს დამოუკიდებლობას
და კვდება.

ცეკვა, რომელიც თავისთავად შეიცავს რი-
ტუალს, თავის საწყისს პოეზებს მუსიკაში, ეყ-
რდნობოდა მთელ მის კომპლექსს, იძლევა მე-
სიკალური ფრაზის პლასტიკურ ანალოგს. ამ-
დენად, მისი საფუძველია არა ლიტერატურუ-
რი ნაწარმოები (სხვათა შორის ლ. ლავროვსკის
იმასაც უსაყვედურებდნენ, რომ „რომეო და
ჯულიეტას“ დადგმისას იგი ნაქლებად ეყრდ-
ნობოდა ს. პროკოფიევის მუსიკას), არამედ
მუსიკა, თავისი დრამატურგიით, მთელი პარ-
ტიტურის თავისებურებით. „დრამბალეტში“ კი
(როგორც ამას ტერმინიც მიგვანიშნებს) სიუ-
ჟეტს და მის გამოხატვას ანიჭებს უპირატესო-
ბას. ცხადია, როცა ამგვარი ბალეტი აღიარე-
ბული იყო ერთადერთი შესაძლებელ მიმდინა-
რეობად ქორეოგრაფიაში, როგორც რეალის-
ტური ხელოვნების ეტალონი, ძიებანი სპეცი-
ფიკური ქორეოგრაფიული გამომსახველი ხერ-
ხებისა ფაქტიურად დაშორდა თავის არსს და
პერიფერიებში წარიმართა. საბჭოთა ბალეტი,
მემკვიდრე ბრწყინვალე კლასიკური რუსული
ბალეტისა, კვლავ რჩებოდა ტექნიკური ვირ-
ტუოზობის ეტალონად, ზოლო არტისტული ტა-
ლანტების სიუხვით სრულიად განსაკუთრებულ
ფენომენად, მაგრამ ხელოვნების ამ დარგის გან-
ვითარებას იგი ჩამორჩა არა ამ მხრივ, არამედ
ქორეოგრაფიული იდეების, ახალი ფორმების
შექმნის თვალსაზრისით. კლასიკური ბალეტის
ენა სავსებით შეესაბამებოდა როგორც მუსი-
კალურ ფორმებს, ასევე ლიტერატურულ შინა-
არსს. მაგრამ დროთა ვითარებაში დიდი ცვლი-
ლება განიცადა მუსიკის გამომსახველმა საშუ-

ნოდარ გურაბანიძე

მუსიკის პლასტიკა

აღებებმა და იმ შინაარსშიც, რომელიც საფუძვლად ედებოდა ქორეოგრაფიულ ნაწარმოებს. ამისდაკლებად უნდა მომხდარიყო მთელი საბალეტო არსენალის საფუძვლიანი განახლება. სწორედ ეს პროცესი შეაჩერა „დრამბალეტმა“ — ამ „ერთადერთმა რეალისტურმა“ მიმდინარეობამ ჩვენს ქორეოგრაფიაში. ცეკვა თანდათან კარგავდა კავშირს თავის წარმომქმნელ მუსიკასთან (აქ მხედველობაში მაქვს მუსიკის მთელი სტრუქტურა, აქტიუტეტონიკა და არა მისი რომელიმე კომპონენტი) და ეს კავშირი უნდა აღდგენილიყო. საბჭოთა ქორეოგრაფიის „ახალი ტალღის“ ლიდერებმა იკისრეს ეს მისია და სწორედ მათი შინაგანი დუღილის ამ პროცესში შედგა ბალანჩინის დასის პირველი გასტროლები საბჭოთა კავშირში. თანამედროვე რუსი ბალეტისმკვლევანი აღნიშნავენ, რომ ბალანჩინის ქორეოგრაფიულმა შემოქმედებამ ერთგვარი აკუმულაცია მოახდინა ამ ვითარებაში, ხოლო მაყურებლის აღტაცებაში წახალისა ქორეოგრაფები იმისათვის, რათა თამამად დაეწყათ თავიანთი იდეების ცეკვების გადატანა. ამ ისტორიული და თეატრალური საშუალოს ვითარებამ განაპირობა „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ უჩვეულო წარმატება ჩვენში. შემდგომი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა ქორეოგრაფიამ ისეთი რთული ფორმის ქმნილებანი წარმოქმნა (როგორც დიდი, მღიმიანი სპექტაკლი — ბალეტები, ასევე ქორეოსიმფონიები, კამერული ჟანრის მინიატურები, სონატური ფორმის ფორმები), ისეთი სინთეზი მოახდინა მუსიკის, კლასიკური ქორეოგრაფიული ფორმების და თანამედროვე გამომსახველი ზღრბების, რომ დღევანდელი ჩვენი მაყურებელი აღარ არის მოულოდნელობისაგან განცვიფრებული, როცა ხედავს ბალანჩინის მიერ საკვირველი სინატიფით მიღწეულ მთლიანობას მუსიკისა და პლასტიკის ყოველ სფეროში. დღეს იგი შეიძლება განცვიფრებულია ამ თავისებური ნიჭის ელვარებით, მაგრამ ახალი საშუალო უკვე აღმოჩენილია და ამ განცვიფრებას პირველხილვის მოუგერიებლობა აღარ ახლავს.

* * *

„მე თბრობითი ბალეტის წინააღმდეგი არა ვარ — ამბობს ჯ. ბალანჩინი — თუ ასეთი ბალეტი სინატიფისად არის დადგმული, იგი მომწონს კიდევ. მეც ხშირად მივმართავ სიუჟეტს. მაგრამ, ჩემის აზრით, იგი გასაგებია უნდა იყოს დამატებითი ტექსტის გარეშე, რათა თეატრში მოსულმა მაყურებელმა პროგრამაში მაშინვე არ დაუწყოს ლიბრეტოს ძებნა.

ბალეტი საკმაოდ განვითარებული ხელოვნებაა იმისათვის, რომ იყოს თავისთავადი, სხვებისგან დამოუკიდებელი და ილაბრაქოს თავის ენაზე — ბალეტის ენაზე.

ჩვენ გვინდა ყველას ეუჩვენეთ, რომ გაცივარს ცეკვა. ადამიანებს, საერთოდ, უყვართ ცეკვა, ეს მათი ბუნების თვისებაა, ესაა მათი ბუნება. იდეა უნდა იყოს თვით ცეკვაში, საერთოდ განწყობილება, ემოცია ბალეტში ეს ამავე დროს იდეაცაა“.

თანამედროვეთა შეგნებაში იმდენად დამკვიდრდა აზრი, რომ ბალანჩინი შემქმნელია უსიუჟეტო ბალეტისა, რომ მივიწყებდნენ მისი ბრწყინვალე, დიდი, სიუჟეტური ბალეტი-სექტაკლები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს ამერიკის ქორეოგრაფიაში. იმ დროს, როცა ამერიკის მთელ კონტინენტზე დაბრუნდებოდნენ სისხრავით ვითარდებოდა ცეკვები (აგნეს ღე მილის მახვილი შენიშვნით, მაშინ, როცა ინგლისელებსა და ფრანგებს ორას ორმოცდაათი წელი დასჭირდათ, რათა ელისაბედისდროინდელი ვოლტა ვალსად გადაეყვანათ, ამერიკელმა ზანგებმა თავიანთი განსაკუთრებული პლასტიკურობით, სხეულის მოძრაობით და დაუფარავი სექსუალობით ცერემონიალური ევროპული ვალსი რაღაც ათწლეულში გადაიყვანეს ტუსეტების, უან-სეტების, კეკ-უოის, ფოქსტროტის, „ბოლინგ-დე-ჟეის“ ჩარსტონის, ბლეკ-ბოტომის, ვერსიტო-დრაგის, ლინდჰოპის, კიტერბაგის, შეგის, „სუზი კიუს“, ბიგ-ბელის, როკ-ენდ-როლის, ტვისტის, ფრუგის, ვატუსის ზევენა ალერსში, გადაქცობილი სხეულების როცაში), ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, დეტროიტის, სან-ფრანცისკოს და სხვა დიდი ქალაქების თეატრების სცენაზე დადგმული კლასიკური ბალეტები, რომელთა ავტორები მეორეხარისხოვანი ქორეოგრაფები — უპირატესად რეპერტორები იყვნენ — პარადოქსალური პროვინციალობით გამოირჩეოდნენ. რამდენადაც განვითარდა და აყვავდა ხალხის სტიქიური დაბადებული იმპროვიზაციული ცეკვები, იმდენად ემბროიონის მდგომარეობაში დარჩა კლასიკური, პროფესიული ქორეოგრაფია. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე გაბატონებული რუტინა და შტამპი, როგორც იქნა (1935-1936 წ.), გაარღვია ამ დიდ სცენაზე ასულმა პირველმა დიდმა ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა თავისი შედეგით, რომლის საფუძველი იყო გლიუჟის „ორფეოსი“, მაგრამ სიუჟეტური, დიდი ბალეტი-სექტაკლების ავტორი ჯ. ბალანჩინი, მიჰყვება არა სიუჟეტურ დრამატურგიას, არამედ სწორედ მუსიკალურ დრამატურგიას (მის მიერ დადგმული ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკს“ ამერიკელმა კრიტიკამ უწოდა უმაღლესი მუსიკალური მიღწევა საბალეტო ენაში). ასეთია მისი ბალეტები — „დონ კიხოტი“, „სიზმარი ზაფხულის ღამეს“, ჩვენთვის ცნობილი „ძე შეცდომილი“ და სხვ. მარის ლიება ამ სპექტაკლების გამო წერს: „სიუჟეტური ნაწარმოებებში ცეკვა მთელი ბრწყინვალეობითაა წარმოდგენილი. ეს ცეკვა ხატოვანია, ქმედითი დახასიათე-

ბის, სიტუაციებისა და გმირების ურთიერთობის გამოვლენის ერთადერთი საშუალება. ბალეტმაისტერის ქორეოგრაფიული ნიჭი ერთის წუთითაც არ ყოფილა შებოჭილი სიუჟეტურობით, დრამატურგიული კარკასით. ჩვენს წინ იყო უნიკერები ისტატი, რომელიც თანამედროვე კლასიკური ქორეოგრაფიის მწვერვალებს ფლობს.

მრავალი დიდი ბალეტი მან ხელახლა დადგა, ეინაიდან ფიქრობდა, რომ დიაგნოზის დასმის დადგმული რაუტსები იყო არა წმინდა ცეკვა, არამედ პანტომიმური სიკეცვაო ბალეტები.

სხვათაშორის, სიუჟეტური და უსიუჟეტო ბალეტების შესანიშნავ განმარტებას იძლევა ი. გრიგორევიჩი — საბჭოთა ქორეოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა: „მე გგონია, რომ დიდი დრამატული სიუჟეტური და უსიუჟეტო ბალეტების განმარტებაში, როგორც არ უნდა იყოს ეს ბალეტი, ავტორმა აუცილებლად უნდა გამოსახოს თავისი აზრები და გრძნობები. მე გგონია, რომ აღდამიანის სულის ფაქიზი გამოვლენა სრულიად არ ეწინააღმდეგება სიუჟეტურ სპექტაკლს. ანდა, ვთქვათ, პირუკუ: რომელიმე ქორეოგრაფიას არ გააჩნია განსაზღვრული შინაარსი, მაგრამ იგი ბაღებს საესეებით გამოკვეთილ ემოციას — სიხარულის, ცხოვრების წყურვილის, შემოქმედების, და მასხადამე, აზრის ემოციას, ე. ი. ემოცია იწვევს აზრს. ქორეოგრაფის შთაგონების სათავე საესებით სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. თქვენ იდეა გეწვიათ და გასურთ მისი გამოხატვა — მაშინ ან მუსიკას შეუყვებით კომპოზიტორს ან შესაფერის მუსიკას დაუწყებთ ძებნას. ანდა, პირიქით, თვით მუსიკაში მოისმენთ იდეას. მთავარია, რომ თქვენ ისურვეთ იდეის გამოხატვა ბალეტში, ხოლო ცეკვით სიუჟეტის გამოსახვის უნარი (არა პრიმიტიული პანტომიმური აზრით), არა სიუჟეტის ცეკვებზე მიწვებით, არამედ მხოლოდ ცეკვით — ჩემის აზრით ღირსეული და უაღრესად საინტერესო ამოცანაა“.

კლასიკური ბალეტის მყარ ტრადიციაზე გაზრდილ ბალანჩინს, თავიდან კლასიკური ბალეტის მოცუქევეს უაღრესად მუსიკალურს (იგი ვირტუოზულად უკრავს როიალზე არამდენჯერმე ულირიფორა კიდეც დიდ ორკესტრს), რომელსაც ახასიათებს ფორმის, პარმონიის, რიტმის განსაცვიფრებელი გრძნობა, არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ ამერიკული ქორეოგრაფიის განვითარება შეუძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური ბალეტის ენით, განცალკევებულად იმისაგან, რაც იქმნებოდა ამერიკის კონტინენტზე.

ამერიკაში ჩასვლისას იგი თავისი სტილით და იდეებით ევროპიელი იყო. ეს ევროპეიზმი გამოიხატა არა მარტო იმით, რომ მისი შემოქმედების საყრდენი კლასიკური ცეკვა იყო,

არამედ თუნდაც იმით, რომ ეს ცეკვა მან გამდიდრა ოცინი წლების ფრანგული საცეკვეზო ხელოვნების სიახლეებით, რასაც იგი მანამდე სახელგანთქმულ მუზიკ-პოლგში მუშაობისას ეზიარა. მუზიკ-პოლგის სცენაზე დამკვიდრებულმა „აკრობატულმა ქანაზმა“, — რომელიც შეიცავდა თავბრუდამხვევ პირუტეტებს, ნახტომებს, რისკიან ფრენას სცენის ერთი კიდიდან მეორემდე — ვერ გადალახა საცერკო ტრიუკების ღრე. თუმცა ეს ტრიუკები მუსიკის თანხლებით სრულდებოდა, იგი ვერ გადაიქცა ხელოვნებად, ვიდრე არ შეეხო ბალანჩინის ჯადოსნური ხელი. თანამედროვე ამერიკელი ქორეოგრაფებისა და თეორეტიკოსების აღიარებით, ბალანჩინის გენიამ ყველა ეს ნახტომი, კრუნჩხვა, გრძნება და ღვარჯნა გადააქცია მხატვრულად გამართლებულ ნახტადს და ჩართო კლასიკური ბალეტის გამომსახველ საშუალებათა არსენალში.

ცხადია, ახალი გამომსახველი ფორმების ძიებისას, მას არ შეეძლო ასეთივე დიდი ყურადღება არ მიექცია თვით ამერიკული ფოლკლორის თავისებურებისათვის, მით უმეტეს, რომ მან სხვა დიდ ქორეოგრაფთა შორის ერთ-ერთმა პირველმა იკისრა ამერიკის ნაციონალური ქორეოგრაფიული სკოლის შექმნა. ამერიკული ყოფის თავისებურებებს, საერთო ატმოსფეროს, ცხოვრების სტილს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მასზე და იგი ორგანოვლად „იღებს“ ახალ ელემენტებს, რათა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადოს კლასიკური ქორეოგრაფია. მრავალი საესტრადო პა და სინკოპი შეიტანა მან კლასიკის საზღვრებში.

საინტერესოა ამ ელემენტების ჩასახვისა და განვითარების გზები და კიდევ უფრო საინტერესოა ის გზა, რითაც ისინი მოხვდნენ ბალანჩინის ქორეოგრაფიულ სამყაროში.

მაგრამ, სანამ ამას ვიტყოდეთ, ნათელი უნდა იყოს, რომ თუმცა ბალანჩინი მრავალი სიუჟეტური ბალეტის დამდგმელია, იგი მაინც უსიუჟეტო, ე. წ. „აბსტრაქტული ბალეტის“ შემქმნელია, ისევე როგორც ნათელია მეორეც: თუმც მან მრავალი ახალი პა, სინკოპირებული რიტმი, აკრობატული ელემენტი შეიტანა ცეკვაში — იგი მაინც კლასიკური ბალეტის საზღვრებში რჩება.

აგნეს ღე მილმა — თავის მშვენიერ ნარკვევში „ცეკვა ამერიკაში“ წარმოადგინა საინტერესო პანორამა მრავალსახოვანი საცეკვაო ხელოვნების განვითარებისა. აი, მოკლედ ამ პანორამის კონტურები. მე-17, მე-18 სს. აფრიკიდან ამერიკაში შემოიყვანეს რვა მილიონი ზანგი. ეს ზანგები აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან მოჰყავდათ და ამდენად განსხვავებული კულტურის და განსხვავებული დონის წარმომადგენლები იყვნენ. ამ ხალხმა ამერიკის კონტინენტზე შემოიტანა რიტმის საშუალოდ განსხვავებული გრძნობა და აღდამიანის სხეუ-

ლის მოძრაობის ტექნიკა. ზანგი ფეხშიშველად ცეკვავდა, მისი ტანის მოძრაობის რიტმი, მისი ამტანაინაობა და გახელებული სიმშავე უახლოვდებოდა ამერიკელი ინდიელების ცეკვის ხასიათს, მაგრამ თუ ფორმით, შესრულების ტექნიკით ეს ცეკვები ერთმანეთს გვანდნენ, არსით განსხვავებულნი იყვნენ. ინდიელების ცეკვა იყო ძლევამოსილების სიმბოლო და შეიცავდა მაგიური შელოცვის ძალას, მონა-ზანგი ცეკვავდა, რათა განრიდებოდა მძიმე სინამდვილეს. იგი ცეკვავდა თავდავიწყებისათვის. ინდიელი თავის ცეკვაში სულიერი მთლიანობის მიღწევას ცდილობდა, ზანგი — გართობას, მხიარულებას ეძებდა მასში. მუსიკისა და ცეკვის გამომსახველი არსის გაგებაზე ამერიკელზე გავლენა მოახდინეს არა აბორიგენებმა, არამედ სხვა კონტინენტიდან ჩამოსახლებულმა ტომებმა. ინდიელი განრიდებული იყო, იზოლირებული, ზანგი — შერწყმული, „მოთავიერებული“.

მეტრო-რიტმების საეხებით ახალმა სახეობამ იმპლავრა ნაციონალურ ცეკვებსა და სიმღერებში. აქცენტი გადაადგილდა ტაქტის ძლიერი ნაკვეთიდან (ერთი — ორი) სუსტ მონაკვეთზე (ერთი — ორი). აფრიკული მუსიკის ეს თავისებურება იქცა ამერიკული მუსიკის თავისებურებად. მეტრული თანფარდობა დაირღვა და მახვილი მოულოდნელად გადაადგილდა სუსტ მონაკვეთზე (ამას ეწოდება სინკობი). თუმცა სინკობირებული რიტმი ადრეც იყო ცნობილი და ევროპაში მას იყენებდნენ მუსიკოსები, მაგრამ ამერიკელებმა ძირითად მომენტად აქციეს და მას განსაკუთრებით აღნიშნავენ ტაშის შემოკვრით და ფეხის ბაქუნით.

ზანგების ამოუწურავი ფანტაზიის, მათი არტისტული აღლოს წყალობით ეს ცეკვები ერთბაშად პოპულარული გახდა ამერიკელ თეთრკანიანთა შორის და სრულიად ბუნებრივად, მათ ცეკვებად იქცა. ამ ცეკვებში გამოვლინდა ახალგაზრდა ამერიკის მოქარბებული ძალა, მისი მხიარულება, ტემპერამენტი. ისინი ჩაისახნენ არა სალონებში და რესპექტაბელურ დარბაზებში, — არამედ მოედნებზე, პლანტაციებში, ბარებში, კაბარეებში და თავიანთი დემოკრატიული სასიათის გამო სულ ადვილად დაიპყრეს მუზიკ-პოლების, რეჟისორების და თეატრების სცენები. მოხდა ის, რაც შეუძლებლად იყო მიჩნეული — „ცეკვა მოდერნის“ (ეს არის სინთეზი სხვადასხვა თავისუფალი „პა“-ს და მისი ვარიაციების), აკრობატული გამომსახველობითი ელემენტები შეიჭრნენ კლასიკურ ბალეტში და ამერიკული ქორეოგრაფიის პიონერებმა ბალეტის ენაზე გადაიყვანეს მოდერნის დონამიური ხერხები და ტექნიკა. ახლა საბალეტო სცენაზე მოცეკვავენ ეცემა იატაკზე, კონველსიურად ფეიქს, ბრუნავს არავერტიკალურ ღერძზე, ცეკვავს მუსიკალური რიტმის პირისპირად. ამერიკულ ბალეტში შეეცვალა რიტმები და ენები. რაც ორგანულად ამერიკელებისათვის. ეს იქცა მთელი ქორეოგრაფიული სტრუქტურის ძირითად ბირთვად. კლასიკური ბალეტში გავრცელდა ყოველდღიური სალაპარაკო ენა. რაც შინაარსის შეცვლამ გამოიწვია: გედების, პრინცების, ვილისების, ფერიების ნაცვლად გამოვიდნენ კოვბოები, მეზღვაურები, ფერმერები, მეძაგები, „შულერები“. (მაგ. თბილისელებისათვის კარგად ცნობილ დე მილის „როდოში“ ჩვენ ვიხილეთ სრულიად განსხვავებული ტექნიკა კოვბოებისა და რქიანი პირტუყვის დამკრეპების მოძრაობათა გამოსახატვად. ამ მოძრაობის მექანიკა ტიპურ ამერიკულ სპორტული თამაშების — ბეისბოლის, ჩოგბურთის — ნახატს ეყრდნობოდა). ასე ჩამოყალიბდა ე. წ. „ბროდვეული ბალეტი“ (რომელსაც აგრეთვე „ჯაზ ბალეტს“ უწოდებენ) — სახასიათო ყნარი — გამაერთიანებელი კლასიკური ცეკვის ელემენტების და აკრობატული ტრეუების.

ახლა მოვიხლოთ უკან და გავიხსენოთ ჯ. ბალანჩინის „გოგნი“ (კომპ. ი. სტრავინსკი) ურთულესი კომპოზიციის, ატონალურ სისტემაზე აგებული მუსიკის პლასტიკური ექვივალენტი, სადაც სტატიური (თითქმის ფიქსირება ხდებოდა ადამიანის პოზის რთული კომბინაციის ერთი მომენტისა) ეტიუდები ცოცხლდებოდა კლასიკური ცეკვის მძაფრი ტეხილებით, როცა ადამიანის სხეულს ფიზიკური საყრდენი თითქმის ეცლებოდა და ამ საყრდენს იგი პოულობდა ისევ და ისევ ტრადიციით ჩამოყალიბებულ და მიღებულ პოზებში. მაგრამ აი, ცოცხალი, მხიარული ამერიკა, ამერიკა პიონერების, უბრალო, მშრომელი ხალხის, სიცოცხლემოჭარბებული ჭაბუკების, კეკლუცი ქალიშვილების, რომლებსაც ჯერ არ უგრძნობიათ სოციალური კრიზისების სიმწვავე (ჯ. გერშვინის „განა ყველაფერი სულერთი არაა?“). აქ ყველაფერი სუნთქავს ახლად გაღვივებული ძალით, როცა ეს ძალა არ ეტევა ბუნებრივ საზღვრებში, დულს, ჩქევს ეს „მხიარული სტიქია“ და აცეკვებს არა მარტო ადამიანებს, არამედ გარემოსაც.

ცარიელ, უდეკორაციო სცენაზე გაშლილი ეს ცეკვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქმის ადამიანის ძალის განახლება ხდება ბუნების წიაღში, ხასხასა მდელზე, სადაც მიწისძვრის ყვავილებს გოგონები პუანტეებით უვლიან გარს მკვრივი, ძლიერი, აშოლტილი ფეხებით, ხოლო ყმაწვილები მათ განმარტოებას ცდილობენ, რადგან არ ასვენებთ თავიანთი ძლიერი სხეულის უპირატესობის შეგრძნება, რომელიც აიძულებთ მათ ირონიით შეხედონ ქალების ბუკოლიკურ აღტყინებას. საოცარია, რომ ამ

ცეკვეში არა მარტო მუსიკალობა, არამედ გრძნობა უცილებელი პრერეგების და მზერა-ლე, მწველი ჰაერისა, რომელიც კი არ თენთავს სხეულს, არამედ ფოლადის ზამბარის სიმტკიცეს ანიჭებს. მიუხედავად ძლიერი სხეულის კულტისა, იგი არ არის აპოლოგია ტლანჭი ძალის, ფიზიკური იმპულსების. აქ, ჯ. ბალანჩინმა გააკეთილშობილა ფერმერთა ცეკვის ელემენტები, ჩამოაცილა მოუხეშავი, მკვეთრი მოძრაობები და ორგანული გახადა ამ ცეკვა-სუიტისათვის. თუ ჯოჯ გერშვინის ამ მუსიკაზე დადგმულ ცეკვეში ჰარბოზის მხიარული რიტუალის განწყობილება და ამდენად სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდების სიცოცხლის ტრფილი — უპირატესად უზრუნველი და გაურყენელი ახალგაზრდებისა, ი. ს. ბახის „კონჩერტო ბაროკო“-ში დაიმონი სუნთქავს, იმ ქვეყნიდან გამოსმობილი მოჩვენებებით მოძრაობები შევ ტუნეებში გამოწყობილი მსახიობები. აქ მოუხეშავი, ტანჯული და უიმედო სულის ტყვილია გადმოცემული და ეს ქორეოგრაფია ფართო ასოციაციებისათვის საკმაო საფუძველს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ვარიაციები პა დე დეა ჩართული, მსახიობები მაინც განცალკევებულნი არიან. ისინი ერთმანეთს ვერ „გრძნობენ“ კონტაქტი ურთიერთთან დაკარგული აქვთ, მოდური ტერმინის მიხედვით. „არა კომუნიკაბელურნი“ არიან. ცხადია, ფორმის თვალსაზრისით აქ იგრძნობა გავლენა „თანამედროვე ცეკვისა“, რომელიც არსებითად არის პა (სტეპს) ვიდრე დასრულებული ცეკვა. ეს ტვისტი, ფრუგი, ვატუსი, მიუხედავად იმისა, რომ სრულდება წყვილების მიერ, ფაქტურად უპირატესად ცეკვაა, იმდენად განცალკევებულნი, საკუთარი მოძრაობით თავდავიწყებამდე მისულნი არიან მოცეკვავეები. ეს მომენტი გამოყენებული აქვს ჯ. ბალანჩინს, რათა „ძველი მუსიკის“ სტრუქტურაზე აავის თანამედროვე ადამიანების სამყაროსაგან „გაუცხოვების“ აზრი.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად კონკრეტული თემის თუ სიუჟეტის არარსებობისა, ჯ. ბალანჩინმა შეძლო თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმძაფრესი კონფლიქტის, მწვავე ფილოსოფიური და სოციალური პრობლემის პლასტიკურად ხორცშესხმა, ამ აზრითაც იგი უაღრესად თანამედროვე ქორეოგრაფია.

მის საგასტროლო რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეკავთ ახალ დადგმებს, რომლებშიც სრულყოფილად იყო წარმოდგენილი ე. წ. „აბსოლუტური ბალეტი“, რაც გულისხმობს მუსიკისა და ცეკვის აბსოლუტურ დამთ-

ხვევას. თავისი ფორმულის — ცეკვა უნდა იყოს პლასტიკური გამოხატულება მუსიკის ერთგული ჯ. ბალანჩინი ქმნის დაუსრულებელ ვარიაციებს, იგი იძლევა კლასიკური „პას“ — იმდენ კომბინაციას, რომ ხშირად ძნელი ხდება თვითეული მათგანის „დაჭერა“, შემჩნევა, ვინაიდან ეს სწრაფი გრადაცია საშუალებას არ გვაძლევს რაიმე მომენტზე შეჩერდეს თვალი. მთავარია საბოლოო პლასტიკური ნახატი, სადაც ყოველი „პა“ დიდი მოზაიკური პანოს ფერადი კენჭია.

„მე მწამს ცეკვა, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, როგორც რაღაც ქეშმარიტად არსებული. შესაძლოა, ეს არარეალური კატეგორიაა, რაღაც არამატერიალური — ამბობდა ჯ. ბალანჩინი ერთ-ერთ ინტერვიუში. ამ ირრეალიზმში, არამატერიალობაში უნდა ვიგულისხმეთ ცეკვის წარმავლობა, რომელიც დამოუკიდებლობისაგან ქრება, როგორც არამატერიალური რამ, და ცხადია იდეა, საფუძველი, რომელსაც ბალანჩინში ხან „მუსიკაში ისმენს“ და, ხან რაიმე მოვლენისაგან მიღებული შთაბეჭდილება (მაგ. ასე შექმნა მან თავისი სამნაწილიანი „ქვირფასი ქვები“ — ზურმუხტი, ლალი, მარგალიტი. ამ ქვების კეთილშობილებითა და ბრწყინვალეობით მოხიბლულმა ბალანჩინმა შესაფერი მუსიკა დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეარჩია) იქცევა ამ იდეის იმპულსად.

„ჩემი ბალეტები — ცეკვადაა, ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე, უსიუჟეტოაო, უფრო ადრე კი მათ აბსტრაქტულს უწოდებდნენ. ასეთ დროს მე ვამბობდი — არა, ჩემი ბალეტები კონკრეტულია, აბსტრაქციის ხილვა ან შეხება შეუძლებელია. აბსტრაქცია ეს მხოლოდ იდეაა. მე კი მყავს მოცეკვავეები, მათ აქვთ ხელი, აქვთ ფეხი, ასე რომ ყველაფერი ეს ნამდვილია. ეს — ცეკვაა. შემდეგ მე ერთი ტერმინიც კი მოვიგონე — სტორი ლესს — ბალეტი რომელსაც არა აქვს ისტორია“.

ჯ. ბალანჩინის — ქორეოგრაფიის ამ ახალი კლასიკოსის — შემოქმედებაში ტრადიციულ თეატრალურ კომპონენტებს მინიმალური როლი აქვთ მინიჭებული და ამით მაქსიმალურად არის გაზრდილი ცეკვის მნიშვნელობა. სცენა სავსებით თავისუფალია, ფონი — ნეიტრალური, კოსტუმი — დიდი გემოვნებით შექმნილი მხატვრის მიერ, უპირატესად მკაცრი და სადაა, ეს ცარიელი სცენა თითქმის ყოველთვის თანაბრად არის განათებული, და ამ სპარტა-

ნოდარ გუგუშვილი
მუსიკის პლასტიკა

ნულ გარემოში მოძრაობისა და პლასტიკის ფეირვერკია გამართული. მხოლოდ მსახიობის სხეულს აქვს უპირატესობა, მხოლოდ მან უნდა აქციოს უხილავი მუსიკა „სახილველად“. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ტექნიკურ ვირტუოზობას, მუსიკალობას. ბალანჩინის ბალეტში ადამიანის ხასიათი არ იკვეთება, მასში არ არის ინდივიდუალური განცდები, საერთოდ იგი არა მარტო კონკრეტულ შინაარსსაა მოკლებული, არამედ კონკრეტულ ადამიანურ ენებებსაც. ამის გამო მის ბალეტებს ერთგვარი სიცივე დაჰკრავს, ხოლო მუსიკალური ფრაზის უცილობელი პლასტიკური ანალოგიის ძიებისას, ბალეტის საერთო ნახაზი ფორმალურად იმეორებს მუსიკალურ სტრუქტურას. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია. თვით მასში, როგორც ქორეოგრაფიაში და შემოქმედში უკვე „დანახულია მუსიკა“ და იგი

არ საჭიროებს მსახიობის ინდივიდუალობას. ყველაფერი ბალანჩინია, მოცეკვავე მსახიობი. დება ისევე, როგორც ფერები მხატვარს და მარმარილო მოქანდაკეს. და რაც უფრო მაღალია მსახიობის ტექნიკა (და არა ინდივიდუალობა, რომელმაც შეიძლება ხელიც კი შეუშალოს საერთო, ბალანჩინისეული სურათის შექმნას) მით უფრო ადვილად მიიღწევა ამ ქორეოგრაფიის იდეალი. სანაცვლოდ, ამ ბალეტში არის ზოგადი აზრი, მარადიული ენება, სიყვარულის, ტანჯვის, სიხარულის, სულიერი აღფრთოვანების თუ დებრესიის საერთო გამოსახვა, ყველაფერი ის, რაც მუსიკაშია — მის შინაარსში, მის ფორმალურ თავისებურებაში, გადატანილია ცეკვის ენაზე და ამით ქორეოგრაფიული ხელოვნება აყვანილია დიდ სიმაღლეზე. ამ აზრით „ბალანჩინის ეფექტი“ მარადიულია.



ქართული კლასიკური ლიგარაზურა და ქინოხელოვნება

საქართველოს კინემატოგრაფისტთა გასულ-მა ყრილობამ მრავალი საჭირობოროტო საკითხი განიხილა.

არსებობდა აზრი, რომ ყრილობის მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი საგანი იქნებოდა ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ეკრანზე გადატანის პრობლემები, ტრადიციები და გზები. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ამ საკითხს მხოლოდ გაკერით შეეხო და ისიც არასასურველად. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ლ. რონდელმა განაცხადა, არ არის საჭირო კლასიკოსთა ნაწარმოებების ეკრანიზებო, რისთვისაც გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის ა. დოვჟენკოს სიტყვები მოიშველია, რომლის აზრითაც ეს მოვლენა კეთილი ცხოვრებით არ არისო გამოწვეული. ა. დოვჟენკოს შეხედულება არ გამოდგება ეტალონად არც საკუთრივ ქართულ, არც მთლიანად საბჭოთა კინოს განვითარებისათვის, რადგან ამ გზით შექმნილმა ფილმებმა საბჭოთა კინოხელოვნება მსოფლიოს კინოხელოვნების მოწინავე რიგებში დააყენა. და ერთიც, მხატვრული კინო მაღალი რანგის მხატვრულ ლიტერატურას მოითხოვს. ა. დოვჟენკოს აზრით, მისი პირადი შემოქმედება მისივე სცენარებით გაიზოგება ამის მიუხედავად მის დიდ ტალანტში უნდა ვეძიოთ. დოვჟენკოს არც ერთი სურათი არ გადაუღია სხვისი სცენარით. თავისი სურათებისათვის იგი თავად წერდა სცენარებს ისე კარგად და სრულყოფილად, რომ სანამუშოდ დარჩა როგორც კინოხელოვნებაში ნაწარმოებები და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშიც. მართალია, იყო გამოწვევები შემთხვევით: ერთი სურათი გადაიღო სხვისი სცენარით, მაგრამ ეს ნაწარმოები ისე მოიყვანა „თავის ჭკუაზე“, რომ ტიტრშიც კი ჩაწერა სცენარი გადაქმნილია ა. დოვჟენკოს მიერ.

ჩ. ჩაპლინიც თვითონ წერს სცენარებს თავის ფილმებისათვის. კიდევ შეიძლება მოიძებნოს მსოფლიოში რამდენიმე ასეთი უნიკალური შემოქმედელი, მაგრამ კინოს გრანდიოზული

განვითარების ფერხულში ისინი უმცირესობას შეადგენენ თავიანთი უნიკალური და უნივერსალური ნიჭით, გაქანებით. ამიტომ იმათი სახელების განზოგადება და აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, როგორც ეს ლ. რონდელმა გააკეთა უმართებულოდ მიგვაჩნია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ ახალგაზრდა ხელოვნებამ მოკლე დროში პირდაპირ შთანქვა მსოფლიოს კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა. მის მოთხოვნისაგან ვერ აკმაყოფილებს კინოლამატიზმაც.

ჩვენ დროში, ვიწრო, ტრადიციის ჯაჭვებით შემოზღუდული და შეზღუდული კინოს სპეციფიკა მკვეთრად შეიცვალა. ამჟამად ეკრანზე შეიძლება გადაიტანოთ ლიტერატურული ქანის ყველა ნაწარმოები, ყველა თავისებურებით, ავტორისეული სტილის შენარჩუნებით, ავტორისეულივე ხელწერის შეუბღალავად. ეს ქართულ კინოსტატებს უდიდეს შესაძლებლობას აძლევს შექმნან სურათები ჩვენი კლასიკოსების ინდივიდუალური თვისებების დაუცავად და გათავისუფლდნენ კინოხელოვნების მთელი რიგი ტრადიციული ხერხებისაგან, რომლებმაც თავისი როლი უკვე შეასრულეს წარსულში.

ამ წერილში მინდა ზოგიერთი სურათი მოვიხსენიო. ისინი გადაღებულია ჩვენს სტუდიაში დიდი სამაშულო ომისშემდგომ პერიოდში. ეს წელთაღრიცხვა იწყება „მაგდანას ლურჯათი“. იგი ერთ-ერთი საბჭოთა ფილმია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი აღიარების შემდეგ ორი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი გახდა კანსა და ედინბურგში. ზოგი გამოჩენილი უცხოელი სპეციალისტისა და ავტორიტეტული საზოგადოებრიობის აზრითაც კი „მაგდანას ლურჯა“ საბჭოთა კინოხელოვნების შემობრუნების ეტაპად იქნა მიჩნეული.

„მაგდანას ლურჯას“ შესახებ ბევრი რამ ითქვა. ალბათ ბევრიც დაიწერება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართულ კლასიკურ პროზის ეკრანზე გადატანის საუკეთესო ნიმუშია.



„მაგდანას ლურჯას“ შემდეგ მაყურებელმა ეკრანზე იხილა აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკი“. ამ ფილმით მისი დამდგმელი, ქართული კინოს მოღვაწე ლ. ესაკია 15 წლის იძულებული სიწუმის შემდეგ დაუბრუნდა თავის პროფესიას. ძნელია ასეთი დიდი ინტერვალის შემდეგ წარსდგე საზოგადოების წინაშე ახალი სიტყვით, აღიღრმავო ძველი ავტორიტეტი და განიმტკიცო „შემოქმედებითი“ მე“. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ კრიტიკული თვლით ზედახედა შეაფასო უკვე ჩამოყალიბებული ესთეტიკური შეხედულებანი, გაემიჯნო ძველ შეცდომებს. ესაკიამ ეს სიტყვა თქვა თავის შემოქმედებაში ახალი ძილწევით.

„ბაში აჩუკი“ ჩვენს კლასიკურ ლიტერატურაში პატრიოტულ-სათავგადასავლო ჟანრის ნიმუშია. იგი ყოველმა ქართველმა თითქმის ზეპირად იცის. შევხებით მხოლოდ სცენარის რაობას.

ფილმის ავტორებმა საკიროდ ცნეს შეერთაბილი სცენარში მთელი რიგი ახალი ეპიზოდები და მოვლენები. სწორედ ამის შესახებ მსურს ვთქვა რამდენიმე სიტყვა და სახელდობრ აი, რა:

ფილმი იწყება ცხენოსანი ბაში აჩუკის გამოჩენით. იგი აღტაცებით უმღერის სამშობლოს. ამის შემდეგ მას მოესმის ქალის სასოწარკვეთილი კივილი; ბაში აჩუკი დაინახავს შეშინებულ ასულს — მისთვის ცხენს სადავე წაუტომავეია და გაუტაცნია. მხედარი გამოედევნება და დაეწევა ცხენს, გულწასულ ქალს თავის უნაგირზე გადმოიყვანს. ამ რაინდული საქციელის შემდეგ ბაში აჩუკი წისქვილში მიდის, გაიგებს თუ რა საფრთხე ემუქრება მის დებს და მხოლოდ მერე გამოჩნდება წერეთლის სასახლესთან. მაყურებელი ხედება, რომ აკაკისეული მოთხრობაც ახლა იწყება.

ამ სამი ეპიზოდით სურათის ავტორებს სურდათ დასაწყისიდანვე შეექმნათ სამი ძლიერი დრამატული კვანძი: პირველი — წერეთლის ასულის სიკვდილს გადარჩენა, მეორე — ბაში-აჩუკის მასთან გამოჩენრება და მესამე — გმირის დების ავებდობა. სურათის ეს სამი ამხსნელი ეპიზოდი, რითაც მაყურებელი გაცნო მოვლენათა განვითარების პირველ საფეხურს, აკაკისეულ მოთხრობას ვერ შეუხისხსობრივად, ვერ გახდა მოთხრობის ორგანული ნაწილი და ხელოვნურად შექმნილი პროლოგის ელფერი მიიღო. ამის მიზეზი პირველ რაგში უნდა ეეძიოთ ავტორების მიერ დასახული ამოცანის ზერელე და კინოში ცნობილი ეფექტური, მაგრამ უკვე მოძველებული ხერხების განმეორებაში. სურათის დიდად გამოცდილი ავტორი ნებისით თუ უნებელით მოექცა უცხოების ფილმების გავლენის ქვეშ, რაც ოდნავ შეცვლილი სახით გადმოიტანა პირველ ორ ეპიზოდში. გარეგნულად აქ ყველაფერი თითქმის რიგზეა. მაგრამ გამოუცდელი თვლიც კი შეამჩნევს,

რომ ბაში-აჩუკის პირველი გამოჩენა იწყება ასოციაციის ცნობილი ამერიკელი მხატვრის როდის „სამი მუშეტეტრის“ გმირის დარტანიანის გამოჩენასთან. დაფეთებული ცხენიდან ქალის თავის უნაგირზე გადმოიყვანა კი იმდენჯერ მეორდება ამერიკულ ვესტერნებსა და კოვბოურ ფილმებში, რამდენი სურათიც გადაუღიათ პრერეების ამ ლალ მცხოვრებთა შესახებ.

სესხების თუ ტრადიციის მიყოლა კინოხელოვნებაში არც თუ საძრახისია, მაგრამ გააჩნია, თუ როგორ ოსტატურად და შემოქმედებითად იზმართ. ამ შემთხვევაში ამ მიყოლამ ცუდი სამსახური გაუწია აკაკი წერეთლის მოთხრობის ისტორიულ სინამდვილეს, ეპოქასა და სიყვარულის იმდროინდელ გაგებას. მაგალითისათვის: ქალის გადარჩენის ეპიზოდი ასე იხილა მაყურებელმა: ბაში-აჩუკი წამოიწევა ცხენოსან ასულს, ღონიერი, მკლავით ცხენს გააჩერებს და შეშინებულ ქალს, თითქმის უგონოს, თავის უნაგირზე გადმოიყვანს. აქ, ამ დრიალ მცირე „ტერიტორიაზე“ ლოყა ლოყას ეხება, ვაჟის მტკიცე ხელი ქალის აშოლტილ წელს მოსალტავს, შიშითა და ვნებით განაბული თავიდან ქალი მიიბნელება. ამ ხერხით ფილმის ავტორებმა ვითომდა შექმნეს დღევანდელი მაყურებლისათვის სიყვარულის ჩასახვის ლოგიკურად დასაჩერებელი ატმოსფერო და მომენტი. მაგრამ სწორედ ამ „ორიგინალიზმით“ სრულიად წარისშალა ბაში-აჩუკის ეპოქის სიყვარულის გაგება, ა. წერეთლის იდეალიც ხორციელი სიყვარულით დამახინჯდა, დაკნინდა, გაუფერულდა ამაღლებული, დიდი სულიერი სიყვარული, რომელიც აკაკის სიტყვით მაშინ ეპოქალური მოვლენა და ერისათვის წმიდათაწმიდა რამ იყო. ამის უარყოფა, გადაკეთება და უგულვებელყოფა მიუთქეველ შეცდომად იქცა ფილმში.

ა. წერეთელს ასე აქვს აღწერილი გამოჩენრების ეპიზოდი: თავადის ასული აივნიდან უყურებს ბაში-აჩუკის ოსტატურ სროლას: იგი ზის ტრეტებში გახლართულ მიმინოს თოფით აუშვებს. აქ... თვლით თვალს მოხვდა, გულმა გული იცნა და მათ შორის ებმება სიყვარულის ფარული სიმები, იწყება რუსთაველისეზური ნამდვილი ქართული „შორით დავა, შორით ალვა“.

შემდეგ ა. წერეთელი სხარტად, როგორც შევევრება მის თხრობის სტილს. წერს, რომ ბაში-აჩუკი კახეთს გაემგზავრა, რათა სატრფოსათვის ეჩვენებინა საქმენი სამირონია, გამხდარიყო მისი ღირსი. სურათის ავტორები მოთხრობის ამ ლოგიკურ გავრცელებას, როგორც ამას მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოები, ზედმეტი ტრიუჟით ამძიმებენ და ხლართავენ — უმატებენ რა გამოთხოვების სცენას. სცენა თავისთავად კარგია, მაგრამ თუ გავიხსენებთ წარსულში პატრონისა და ყმის ურთი-

ერთდამოკიდებულებას, შოთასებურ სიყვარულის ნორმატივებს, ეთიკას, ზრდილობას, მორიდებული ჩინების თვისებებს, დავრწმუნდებით, რომ აკაკი და მისი მოთხრობა არც ამის უფლებას იძლევა.

არაფერი აქვს საერთო მოთხრობასთან სცენარში შეტანილ ლიტერატურულ ხაზს წერეთლის ასულის შესახებ. აკაკიმ ნინო გაათხოვა. ბაში-აჩუკი შინ მიბრუნდა და არავინ შეირთო. მხოლოდ დაქვრივების შემდეგ მოიყვანა წერეთლის ქალი ცოლად. სცენარის ავტორებმა ნინოს გათხოვება ამოიღეს ფილმიდან და წავიდნენ სიუჟეტის გართულებაზე: მამას იგი ირანის შაჰის საცოლედ გაამზადებინეს, ეს ეპიზოდი როგორც მორალურად, ისე ლოგიკურად გაუგებრობას იწვევს. მეტად იოლად გაამეტებინეს შვილი წერეთელს. ნათელია, რომ დიდ ფეოდალ წერეთელს, თუ სხვებს ირანის გულის მონადირება და მისთვის ერთგულების დამტკიცება მშრომელი ხალხისა და წვრილფეხა აზნაურთა ხარკზე უნდოდა და არა საკუთარ შვილთა გაწირვით.

სიუჟეტის ასეთი განვითარების გზა არ იყო მისაღები. ეს შედეგია იმისა, რომ ჩვენს ქართულ კინემატოგრაფიაში ჭერ კიდევ მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული ზედაპირულ დრამატურგიას.

რა არის ზედაპირული დრამატურგიის არსი? — პირველ რიგში მას არ ახასიათებს დრამატულ მდგომარეობათა ლოგიკური, დამაჯერებელი განვითარება და ლიტერატურული მოტივაცია, გმირთა სახეების ჩვენება განვითარებაში, მზარდი ფსიქოლოგიაში. მისი ნიშნებია: ზერეულე დამუშავებულობა, დახვეწილი დრამატული მოვლენები, ეფექტები, რაც მაყურებელს იმ წუთში აღელვებს, თვალს უხვევს და არ გამომდინარეობს მხატვრული ნაწარმოების ძირითადი არსიდან.

აი კიდევ ერთი ნიმუში ზედაპირული დრამატურგიისა: წერეთლის ქალი აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოიყვანეს და აქ შაჰის სარდალმა მისი ცოლად შერთვა მოინდომა. შაჰის ბრძანებასა და შიშს, რომლის ძალითაც მის სატრაპებს ღამითაც არ ეძინათ შორეულ საქართველოშიც კი, აქ სრულიად ძალა ეკარგება. გამოდის მეტად შეუსაბამო მდგომარეობა. შაჰის სარდალს ვერ გავამტყუნებთ იმაში, რომ ეს მოიხიბლა წერეთლის ქალის სიტურფით, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მისი საქციელი — შაჰის ბრძანების გადახვევა. სურათის ეს კვანძი მხოლოდ იმიტომ შექმნეს, რომ უფრო დაეძაბათ, დაემძიმებინათ თავადის ქალის და მისი სატრფოს ბაში-აჩუკის გამოუვალი მდგომარეობა და მან ზედაპირული დრამატურგიული ხასიათი მიიღო.

კიდევ ერთი ნიმუში ზედაპირული დრამატურგიისა და ძველის განმეორებისა: ბაში-აჩუკი ნატყორცნ ისარში შენახული წერილით ატყო-

ბინებს სასახლეში დატოვებულ სატრფოს თავის ამბავს. ეს ხერხი „ვეფხისტყაოსნის“ ნასესხები. ეპიზოდი კი მაყურებელს უკუდავი პოემის საცდელად გადღებულ ფილმში „ქაჭეთი“.

ამის შემდეგ სადავო ხდება ზოგი დეტალიც. მელანოს სიკვდილი, აბულშაჰის, ამ სამშობლონაპოენი ქართველის ირანული ჩაცმულობა სურათის ფინალში და სხვ.

ერთი მხრივ გამოდის, რომ სურათი მეტად სუსტია და მას წარმატება არ ჰქონია. მეორე მხრივ კი სურათს ჰქონდა დიდი წარმატება. წარმატების მიზეზია ბაში-აჩუკის როლის შემსრულებელი ო. კობერიძე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მეტად ოსტატურად გადაღებული მასობრივი სცენები, რომლის კომპოზიციული გააზრებაში და დიდი შინაგანი დინამიკის შექმნაში ლ. ესაკია დიდ სიმძლევს აღწევს. განსაკუთრებით დაუეწიყარია ტრაველით აღსავსე, ტყვექმნილი ქართველების გადასახლება, რომელიც დიდ ფერწერულ ტილოს წარმოადგენს. ეს კადრი დამაშვენებს ქართული კინოხელოვნების მიღწევათა სავანძის. ასევე მონასტრის აწიოკება, ყველა ბატალური სცენა და სხვა. რეჟისორი ლ. ესაკია ამ სურათში მოგვევლინა მასობრივი სცენების დიდ ოსტატად. ამას ვერ ვიტყვით დიალოგზე, როცა ეგრანზე ორი ან სამი გმირი და რეჟისორი რეგებიან. გვეხსენიოთ მონასტრის აწიოკების მეტად ამაღლევბელი კადრი და შიგ ჩართული პირმთვარისას და ყიზილბაშის დიალოგი. ლია ელიავა (პირმთვარისა) ინარჩუნებს შინაგან დამაბულობას, მთელი არსებით გრძნობს შექმნილ საერთო და პირად ტრავდიას. პარტნიორი კი სრულიად გამოთიშულია ამ ემოციიდან. ეს მძარცველი განცდის გარეშე, უფერულად მონაწილეობს და საუბრობს ამ სცენაში. ახლაც, იმ მომენტში, როცა მის წინ მზეთუნახავია, მაინც თანამძარცველთა რიტმში უნდა ცხოვრობდეს, მთელი მისი ყურადღება იქით უნდა იყოს მიმართული, სადაც მისი სტრეია მძვინვარებს — ძარცვა, ზოცვა-ჟღერა, აწიოკება. ეს ეპიზოდი თითქმის და მიიჩქმალა აწიოკების გრანდიოზულ სცენაში. ეს კადრი კი შემდეგ, როგორც ვიცით, რთულდება, სურათის ერთ-ერთ ძირითად კვანძად იქცევა და აბულშაჰილისა და პირიშისას ისტორიაში გადაიზრდება. ამიტომ იგი მეტ ყურადღებას და სიფხიზეს მოითხოვდა რეჟისორისაგან.

ასეთი სიფრთხილის ნიმუშები მრავალია საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში. მაგალითისათვის ავიღოთ ა. ჩეხოვის მოთხრობები. ამ ავტორის თაყვანისმცემელიც კი აღვიღად შეამჩნევს, თუ რა მოწიწებით ექცევიან მოსკო-

აბული და დინი

ჰარმუშლი კლასიკური ლიტერატურა და კინოხელოვნება



ველი თუ ლენინგრაძელი კინოსტატები ჩეხოვის მოთხოვნის ყოველ მცირე ნაკვეთს, მდგომარეობას, ყოველ სიტყვას, გმირს, მათ ტიპებსა და მეტყველებას. გავისვენოთ ჩვენი თანამედროვე მ. შოლოხოვის დიდი ან მცირე ფორმის ნაწარმოებები. მათი ეკრანზე გადატანა ყოველ ცნობილ თუ ახალგაზრდა კინომუშაის დიდ პასუხსაგებ და საპატიო ამოცანად ნაჩნია.

საბჭოთა კინემატოგრაფიაში მოვლენად ითვლება დოსტოევსკის, ტოლსტოის, პუშკინის, ლერმონტოვის, გორკისა და სხვა კლასიკოსების თხზულებათა ეკრანზე გადატანა. ამ მოვლენას ეძღვნება ცნობილი ლიტერატორების, კინორეჟისორების, კინომოვლენებისა და თვით მაყურებელთა რეცენზიები. ეს არ არის გასაკვირი, რადგან კლასიკოსთა თხზულებებზე აღზრდილი რუსი, ქართველი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლები, უბრალო მაყურებლები დაინტერესებული არიან ნახონ ეკრანზე საყვარელი გმირები, შეუჩვენებელი ცნობისმოყვარეობით ანალიზებენ მოვლენებს ეკრანზე, გრძნობენ გადახვევას, ნაწილებს თუნდაც რომელიმე პატარა გმირის გაუფერულებას ან ფიქრობდნენ მის ამოღება-შეცვლას, აღარებენ წყაიბუღს და თუ მხატვრული პროზის ადექტურის სურათი ნახეს, მეტად ნასიამოვნები რჩებიან. და ეს გასაგებია — მათ უნაირათ რომ გნირები, რომელთაც შეეზარდნენ, ისეთივენი აღმოჩნდნენ, როგორიც პყავდა წარმოდგენილი. საკმარისია რეჟისორის მცირე გადახვევა ნაწარმოებიდან, ან უგერგილოდ ახლის ჩამატება, მაყურებელი განაწყენებული ამბობს — რა საჭირო იყო ეს, მწერალს ხომ უკეთ ჰქონდაო დაწერილი. როგორც ხეხდავთ, კლასიკური პროზის ეკრანზე გადატანა არ არის ადვილი, მხოლოდ გააჩნია როგორი ოსტატობით, პასუხისმგებლობითა და პატივისცემით ხდება ეს პროცესი. ასე ვიტყვოდით: საჭიროა კინოხელოვნებისა და რეჟისორის პრინციპების დამორჩილება კლასიკური ნიმუშისადმი და არა პირუტყუ, რასაც ხშირად ადგილი აქვს ჩვენში.

მკაცრს, მაგრამ სხვა ხასიათის პრეტენზიებს იმსახურებს ფილმი ი. ქავკაძის „გლახის ნამბობის“ მიხედვით. ესეც ბაში-აშუკის ავტორებმა გადაიტანეს ეკრანზე. ამ შემთხვევაში პაო თითქმის არ მიუმართავთ გარეგნული დრამატურგიისათვის, არ მოუხვედიათ ილიასათვის უკვე შტამპებად ქცეული ტრადიციული ხერხები კინოხელოვნებისა. მაგრამ აქ თავი იჩინა, სხვა უარყოფითმა მხარემ. სახელდობრ, ილიასადმი ზედმეტმა სიფრთხილემ და სურათი ხელოსნური, ფოტოგრაფიული ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფაქტოგრაფიული გამოვიდა. ვერც რეჟისორმა, ვერც სურათის მონაწილეებმა ვერ შეძლეს ეკრანზე გადაეტანათ გმირების იერსახე, მათი შინაგანი დიდი ტრავმაში.

ატმოსფერო. საილუსტრაციოდ გავაჩვენოთ ორი დიალოგი. — დათიკოსა და გაბროსი, თამროსა და გაბროს შორის. პირველ დიალოგში რეჟისორმა იხმარა ერთადერთი მოძველებული ხერხი გადაღების უკუგადაღება (обратная съемка) — ეკრანზე დიალოგის დროს აპარატი გვიჩვენებს, იმას, ვინც ლაპარაკობს. დანარჩენ დროს კი გადაღებული აპარატი სრულიად უძრავია. ეს ქმნის სქემატურ კადრებს და დაძაბულობას ვერ აღწევს. ამ შემთხვევაში გადაღებული აპარატის ამოძრავება, მისი უშუალო მონაწილეობა დიალოგში, როგორც მესამე აქტიური პირისა, შექმნიდა ტრავმის კენჭის დიდ ჟღერადობას.

იგივე ითქმის ორლობებში თამროსა და გაბროს დიალოგის შესახებ. რეჟისორის მეტად მარტივი მიდგომით, რომანტიკულმა ეპიზოდმა დაკარგა შინაგანი სითბო, ის ცხოველყოფილი ძალა, რაც დიდმა ილიამ ამ ბრწყინვალე დიალოგში ჩააქსოვა და ორი ალალი ქართველი ახალგაზრდის ფაქიზი გრძნობა და უდიდესი პატიოსნება დაგვანახა.

აკაცისა და ილიას წერის მანერა მეტად თავისებურია. მეტად ადვილია აგრეთვე მათი სტილის გარჩევა. საკმარისია რომელიმე კლასიკოსის რამდენიმე სტრიქონის წაკითხვა, რომ ავტორის ვინაობას მიხედო, და სწორედ ეს სტილისტური თავისებურება დაკარგა ორივე სურათმა. ვერ გამოიჩინა ვერც კინომეტყველების ხერხი, ვერც მიდგომა, რომ ავტორისეული სტილი ენახა მაყურებელს. მაყურებელმა კი მწერლის ხელწერა ისევე უნდა იცნოს ეკრანზე, როგორც პროზაში, პოეზიაში, ფერწერაში. მან უნდა იცნოს ბავშვობიდანვე შესისხლობრებული გმირი მისი საუბარი, გარეგნობაც კი.

ყველა ამ მოთხოვნას კინოსურათ „გლახის ნამბობში“ სრულფასოვნად ერთადერთი გმირი აკმაყოფილებს. ეს არის ა. ომიძის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული პეპიას როლი. მსახიობი გრძნობს ილიასეულ სახეს და მის ბუნებას. იგი ვერ შემოქა ვერავითარმა წინააღმდეგობამ და ყოველთვის ცოცხლობს ავტორისეული გენიით, საკუთარი ხალხის ტალანტით. „გლახის ნამბობში“ ა. ომიძის — პეპიას სურათი გამოვიდა. სხვა მოქმედი პირები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი გარკვეულ წარმატებას აღწევს ა. ომიძის პეპიას გვერდით დაიჩრდილა. ამაში, ჩვენის აზრით, უფრო დამნაშავეა რეჟისორი, ვიდრე მსახიობები.

დაახლოებით ასეთვე ბედი ეწვია ოთარაანთ ქვრივსაც. ვერც ერთმა მსახიობმა, მხარა ვერ აუბა ვ. ანჯაფარიძის ნიჭიერად გააზრებულ ოთარაანთ ქვრივს. უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ოთარაანთ ქვრივი კერძო ანჯაფარიძის სურათით. თავისი ნიჭითა და ოსტატობით იგი ავიდა ილიას ჩანაფიქრის სიმაღლემდე, ფილმის ავტორმა, გამოჩინილმა საბჭოთა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა შექმნა მონუმენტუ-

რა სურათი. ზოგი მისი ჩანაფიქრი და სურათ-
ში შეტანილი დეტალები ზუსტად დაეხმება
ილიასეულ ნაწარმოებს, მაგრამ ზოგი ეპიზოდი
მოთხრობას არ ეთანხმება. ასეთი არის გიორ-
გისა და კესოს პირველი შეხვედრა. იგი გვაგო-
ნებს ოცდაათან წლებში შექმნილ უცხოურ
სათავგადასავლო ფილმების დასაწყისს. ეს ეპი-
ზოდი არ მოუხდა არც ილიას დარბაისულ ეპი-
ზურ თხრობას, არც გიორგის დინჯ პიროვნებას.
„ოთარაანთ ქერივში“ ნათლად არ ჩანს, თუ სად
შეხვდა გიორგი პირველად კესოს. მხოლოდ
დღეა ხვდება, ორი წლის წინათ მამის თოფ-
იარაღასხმული, სანადიროდ წასული გიორგი
სამი დღის შემდეგ შინ ხელკაბილი რატომ
დაბრუნდა. ხელმოცარული გიორგი და ისიც
ყვირილობის დროს? „მას აქეთ დაივლო ნა-
ლევლმა. მე კი ეს დამახსოვდა და.. მას აქეთ
დააწყო რაღაც ლოდი გულზე და ევლარ აუ-
ხსნია...“ ალბათ ამ ნადირობის დროს დალან-
და გიორგიმ კესო, თუნდაც იმავე ჩატეხილი
ხდის გაღმა ან ცხენით მოსეირნე. ილიასეულ
ბილიც გაყოლა ჩვენს სახელოვან რეჟისორს
უშეველად უფრო სწორ გზაზე დააყენებდა.
ვიდრე ეს ზემოთთქმული ეპიზოდი.

როგორც ზემოთ ვთქვით, კლასიკოსების ნა-
წარმოებთა ეკრანიზაციამ გამდიდრა კინოხე-
ლოვნების სპეციფიკური შესაძლებლობანი,
სტილით, ჟანრობრივად, კომპოზიციისა და ობ-
განულად შეითვისა თეატრალური სპეციფიკაც,
მისი ტრადიციები. როგორც ვხედავთ, დღევან-
დელი კინოხელოვნება ფრიალ დამტყვია და ძი-
სი სპეციფიკაც ამ უსაზღვრო შესაძლებლობე-
ბითაც გამოიხატება. იგი ვითარდება ყოველი
ახალი საინტერესო რეჟისორის შემწვობით,
კინოდრამატურგიული, კლასიკური და თანა-
მდროველი ლიტერატურული ნიმუშებით.

ქართველ კლასიკოსთა მრავალ ნაწარმოებში
ისე არის კომპოზიციურად შეკრული, დახვეწი-
ლი, მხატვრულად გააზრებული (არას ვამბობთ
გმირებზე), რომ მასზე დაყრდნობით შეიძლე-
ბა კინოს ტრადიციების გამდიდრება. საკვირ-
ველია, მაგრამ ზღბა პირიქით: ჩვენი რეჟისო-
რები მათ თავს ახვევენ უკვე გაცემთილ კინო-
ხერხებს და მათ შტამპების კალაპოტში აქე-
ვენ, თითქოსდა იმის მიზეზით, რომ ამას მოი-
თხოვს კინოსპეციფიკა. ამ სპეციფიკაზე დაყი-
ნებით დაყრდნობით ჩვენს კლასიკოსებს ხში-
რად უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ, თავს
ახვევენ მოძველებულ ხერხებს და ვითომ ორი-
გინალურ გააზრებას გვთავაზობენ. მწერლის
მიერ შექმნილი გმირები, რომლებიც განვითა-
რებაში არიან მოცემული და მკითხველის თვა-
ლში თანდათან ვითარდებიან, კინოში გამოჩე-
ნისთანავე უკვე დასრულებულნი არიან. ამის
საილუსტრაციოდ საინტერესოა ნ. სანიშვილის
მიდგომა ა. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩასადმი“.

ა. ყაზბეგი — ჩვენი სასიქადალო კლასიკო-
სი, ბუნების სიდიადისა და ადამიანის სულიერი

სამყაროს აღწერის დიდოსტატი, პირდაპირ,
ყოველგვარი პროლოგის გარეშე იწყებს მოქმედ-
უნათა ზატეას, მათ თითქმის კინოს ოსტატის
თვალთ ზომავს და ავითარებს. ხევის ბერს,
როგორც პიროვნებას, მაყურებელს რაიმე წი-
ნასწარი ლიტერატურული ექსპოზიციითაც კი
არ აცნობს. ძალდაუტანებლად შეჰყავს მოვლე-
ნათა სამყაროში (ეს დასაწყისი სანიშნულად შე-
იძლება ჩაითვალოს დღევანდელი კინოხელო-
ვნებისათვის). ა. ყაზბეგი ნაბიჯ-ნაბიჯ, ძუნწად
ორიოდ სიტყვით გვიხატავს გმირებს. შემდეგ
ეს ძუნწანაცნობობა მწერლის მაღლიანი კალ-
მით თანდათან ვითარდება და მკითხველის ყუ-
რადლებას მთლიანად იპყრობს, ხოლო რომა-
ნის სიუჟეტის დაძაბულობა უდიდეს სიმაღ-
ლეს აღწევს.

რომანი მხიარული მაყრიონის გამოჩენით იწ-
ყება. მკითხველს ესმის, რომ გუგუა ნეფეა.
ონისე — ხელისმომკიდე, ძიძია — პატარძალი.
ამის შემდეგ მკითხველი ეცნობა ხევისბერს,
იგებს, რომ ონისე გოჩას შვილია, მამისერთა,
მამის სათაყვანო და ჭრჭერობით ყველაზე და
ყველაფერზე ძვირფასი. მეტად ოსტატურად
აეცნოს ყაზბეგი მკითხველს გოჩას უზალო პი-
როვნებას. აქ ავტორი არ ჩქარობს, პირიქით,
მხოლოდ მას შემდეგ, როცა ონისესა და ძიძიას
შორის სიყვარულის ნაპერწკალი ჩააგდო და
მექორწილენი დააბრუნა, მანამდე გოჩა თით-
ქმის უცნობი და უხილავია. მობრუნებულ მა-
ყრიონს იგი ეკლესიასთან ხვდება. დღას ეკლე-
სიის კართან, ამ ეკლესიასავით წმიდა, მოზიემ
და ბედნიერი თავაკია, მბრძანებელი, მამა და
მართველი თავისი ხალხისა. ამ მომენტს, ეპი-
ზოდს, ყაზბეგი ისე მონუმენტურად და შთაბე-
გონებლად აგვიწერს, რომ მანამდე გაცნობი-
ლი სამი ახალგაზრდა, რომელიც თითქმის მთა-
ვარ მოქმედ პირად მოგვეცნო, უკანა პლან-
ზე დგება, უფერულდება და გოჩას პიროვნე-
ბის მონუმენტურობით იჩრდილება. ამის შემ-
დეგ ავტორი სამთა ამბავს აგრძელებს. თუ
უმატებს ახალ თემებს, ყოველთვის, ყოველ
ეპიზოდში იგრძნობა ხევისბერი, მთელი მოთ-
ხრობის ღერძი, რომლის გარშემო ეს ტრაგე-
დია ვითარდება.

მხატვრული ნაწარმოების უკეთესად გააზრე-
ბა შეუძლებელია. მისი მთლიანად აღება და
ეკრანზე უცვლელად გადატანა უფრო იქნე-
ბოდა კინოხელოვნების ენა და ავტორისული
სტილის შენარჩუნება, ვიდრე რეჟისორის მიერ
ჩამატებული რამდენიმე ეპიზოდი.

ნ. სანიშვილი სურათს იწყებს ბრწყინვალედ:
რ. ლაღიშის მუსიკის ფონზე დათოვლილი მთე-
ბის ულამაზესი პანორამა უკვე ქმნის მაყურე-
ბელში სათანადო განცნობა და ესთეტიკურ

აგული დამინი

მართული კლასიკური ლიტერატურა
და კინოხელოვნება



სამოვლენებს. ეს მართებულიც არის. აქ მოჩანს ოსტატის ხელი ყაზბეგის გაგებაში. სუბათისათვის სწორი გზის მონახვაში. მონუმენტური მუსიკისა და ბუნების ფონზე მაყურებლის წინაშე გამოჩნდება ხევისბერის უაღრესად კოლორიტული და კეთილშობილური სახე. აქ მუსიკა და გამოსახვითი ხელოვნება აღწევს უმაღლეს წერტილს.

იწყება მუსიკის, ბუნებისა და დიდი პიროვნების გრანდიოზული დაპირისპირება, ჭიდილი, ეს ჭიდილი მთლიანობას აღწევს. კადრი, რომელიც ასე ბრწყინვალედ შექმნა რეჟისორმა. კომპოზიტორის, ოპერატორისა და მსახიობთა ნიჭით უნიკალურია და შესანიშნავი ნიმუშია მწერლის მსოფლმხედველობის გაგებისა. ეს თავისთავად შესანიშნავია, მაგრამ რა ხდება შემდეგ?

შემდეგ კადრში ხევისბერი მარტო რჩება, მუსიკა მიუჩნდება, მედიდური ბუნების ფონს ეკარნის ჩარჩო ზღუდავს — იწყება დიალოგი შეილთან, ეს დიალოგი არ არის ყაზბეგისეული, უსუსურია, უაღვილო. იგი არღვევს რეჟისორის მიერ ბრწყინვალედ დაწყებულ მონუმენტურობას და ყოფით ელფერს იღებს — სიუჟეტისა და მოვლენათა განვითარების გარეშეა დარჩენილი. შემდეგ ონისე მიდის ცხენით — აქ რეჟისორი კვლავ უბრუნდება წუთით მიშვებულ მონუმენტურ თხრობას. შთამბეჭდავია მხედრების შეხვედრის ფონი, თვითონ მხედრებიც. ონისე და გუგუა შეხვედრისას იწყებენ დიალოგს და ესეც ყოფით ელფერს იღებს.

როდესაც რეჟისორი სარეჟისორო სცენარს ქმნიდა, ალბათ ფიქრობდა ამ ორი დიალოგის აუცილებლობაზე და შეცდა. შეცდა იმდენად, რამდენადაც ა. ყაზბეგმა ხელისმომკიდებობის თემის განვითარება ზედმეტად ჩათვალა და თხრობა პირდაპირ მოვლენით დაიწყო. რეჟისორმა კი, ვითომ ამ დიალოგით გამოავლინა მათი მეგობრული დამოკიდებულება. რაც სრულებით არ იყო საჭირო. თუ რეჟისორი ფილმს გადაიღებდა ავტორის მოთხრობის მიხედვით, მაყურებელი თავისთავად მიხვდებოდა მათ დამოკიდებულებას. რეჟისორმა ამ ხერხით წარმოადგინა გმირები და ასეთი ექსპოზიცია აუცილებლად ჩათვალა, რითაც უნდობლობა გამოუცხადა მაყურებელს. რეჟისორს ავიწყდება, რომ კლასიკური ლიტერატურა არასოდეს ყოფილა უაღრესად ზუსტი და პედანტური, იგი ყოველთვის უტოვებს ადამიანს საშუალებას თავად გაერკვეს, მიხედვს ავტორის ჩანაფიქრს, თავისებურად გაიაზროს, იმსჯელოს. სკობს ნუ წაეართმევთ ამ უფლებას მაყურებელს, ნუ წარმოვიდგენთ მას უსუსურად, ვისაც ფილმის ნახვის დროს მეგზური ესაჭიროება.

საერთოდ, რეჟისორმა ვერ გამოიჩინა თანაბარი ოსტატობა სურათის გადაღების დროს. ეს უთანაბრობა ზოგი გამონაკლისის გარეშე

იქ იჩენს თავს, სადაც რეჟისორი თავისი გამჭრიახი გონილი ეპიზოდებით ავსებს ყაზბეგისეულ ნაწარმოებს და მოძველებული კინოსპეციფიკით ხელმძღვანელობს.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ რამდენიმე კარგი გამონაკლისი. პირველი თორღვას გამოჩენა ნუგზარ ერისთავის ბანაკში. რეჟისორმა იგი კარგი ექსპოზიციით შეამზადა და შექმნა დაუფიქსარი ეპიზოდი. თვითონ თორღვა (ი. ტაიბოლსკი) ონად წელში მოხრილი, თავვერდზე გადავადებული, ნებიერი ლაფშურით მომავალ ბედაურზე ამხედრებული, ისე შემოდის საბრძოლო ბანაკში, როგორც მბრძანებელი და მასპინძელი საკუთარ სახლში. შინაგანი ექსპრესიით აღსავსეა ნუგზართან დიალოგიც. მეორე რეჟისორული გამაჩრვებაა ძიძისა და ონისეს შეხვედრა წყალვარდნილთან. იგი გამთბარია დიდი სიყვარულით. მჩქეფარე წყალვარდნილი, თვალწარმტაცი მიდამო და ამ ფონზე შეყვარებული წყვილი, დიდის გემოვნებით გადაწყვეტილი კადრია. აქ სიტყვებს ნამდვილად ეკარგება დანიშნულება, რადგან მეტყველებს ამ ორთა, წყალვარდნილივით დაუშრტელი სიყვარული და ვნება. აი ეს არის კლასიკურად მიგნებული ყაზბეგისეული გზა და მარცვალი, რაც ხელუხვად სჭირდება ამ სურათს.

სუსტია ნუგზარის ბანაკი არა მსახიობთა შემადგენლობით. არამედ რეჟისორულად. მისაბეზრებელია ყოველთვის უყურო ქართულ ისტორიულ სურათებში უარყოფით ტიპებს, რომლებიც თავიანთ ავ ზრახვებს და ხასიათებს გაუთავებელი ჭამა-სმითა და ღვქვით წარმოსახვენ.

არ ვიცი, რა აზრისა არიან სპეციალისტები, მე კი კატეგორიულად ვერ მივიღებ ონისესა და გუგუას ცეკვა-ფარეკაობას.

ეს ცეკვა ორმოციან წლებში დადაჯ. ბაგრატიონმა. პირველად მას ასრულებდა ახლა ცნობილი ქორეოგრაფი მ. შუბაშიელი და ფილოლოგი გ. ხერხეულიძე. ამათ შემდეგ ცეკვამ ფერი იცვალა. ორთა ცეკვა ოთხთად იქცა, ოთხთა — ორმოცისად და მასობრივი გახდა. იგი ახლა მრავალ ანსამბლს ამშვენებს. მაგრამ მაინც ხელოვნურია და არახალხური. ეს ცეკვა ფილმში გამოვიდა ჩადგმული ნომერი და... სურათის დასაწყისშივე გასცა სათა საიდუმლოება. ამ წინდაუხედაობით რეჟისორმა უნებურად უკვე ცხადყო ის, რაც თანდათან უნდა გაზრდილიყო, ამით კი მოვლენები დააჩქარა. და, მე გგონი, არც არის ლამაზი მოახვიო ყაზბეგს და მის დროს ცეკვა, რომელიც მაშინ არ არსებობდა. ამან გააყალბა სურათი. კიდევ მეტი: რეჟისორმა გუგუას და ონისეს და მთელ მექორწინებს ისეთი ამოცანა მისცა, რომ პატარაძალა და ხელისმომკიდეს შორის ჩასახული სიყვარული სააშკაროდ გამოიტანა და ამხილა. შეცდომა კიდევ ის არის, რომ მე-

გობრები ისე ცეკვავენ, როგორც უკვე მოქმე-
პე ტრფიალები. ყაზბეგს კი ასეთი რამ არ გა-
ნუტრიახავს. კარგად თამაშობენ თავიანთ რო-
ლებს თენგიზ არჩვაძე, ლეილა აბაშიძე და
სხვები. მაგრამ სურათს თამაშად შეიძლება ვუ-
წოდოთ სპარტაკ ბალაშვილის ფილმი (იგი ხე-
ვისბერს ასახეირებს).

უფრო მეტი საკვირველება მოხდა მიხეილ
ჯავახიშვილის სოციალური რომანის „ქალის
ტივრის“ ეკრანიზაციის დროს. ნ. სანიშვილ-
მა მომღიწიდა შეცვალა რომანის ავტორისეული
კონცეფცია. დარღვეა არა მარტო რომანის კო-
მპოზიცია, არამედ თვით მთავარი მომქმედო
პირობის ხასიათები და მსოფლმხედველობა.
გაუგებარია, რატომ გარდაიქმნა ანდრო
ახატნელი, მისი ქალიშვილი, რატომ დაიჩრდი-
ლა რევოლუციონერი ქალი — მართა, რატომ
ვახდა კლიმაშვილი. ყოვლისშემძლე და ყვე-
ლაფრის გადამწყვეტი — ოფიცერიც, ინტელი-
გენტიც, ტრიბუნიც და ჟანდარმიც.

როდესაც ჯავახიშვილის ნაწარმოებთა ეკრა-
ნიზაციაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება აღტა-
ცებით არ მოვიხსენიოთ რეჟისორ მ. კოკიაშვი-
ლის „მიზა“. ახალგაზრდა რეჟისორმა ოსტატუ-
რად და დამაჯერებლად გადაიღო სურათი. მა-
ყურებელი ამ მშვენიერ ფილმს კიდევ უყუ-
რებს და კიდევ კითხულობს. ამ ეკრანიზაციას
შეიძლება თამაშად უწოდოთ შედეგრი. სხვათა
შორის, უნდა ითქვას, მ. კოკიაშვილი მიხვდა,
რომ მ. ჯავახიშვილი თავისი შინაგანი დინამი-
კით, სიძლიერით, თხრობის შესანიშნავი სტი-
ლით კინემატოგრაფიულია. კარგი იქნება, თუ
მომავალში ამას გაითვალისწინებენ, როცა მის
ნაწარმოებს მოჰკიდებენ ხელს.

მეტ-ნაკლებად, თუ შეიძლება ასე ითქვას,
ტიპური ბედი ეწვია „პალასტრომის ტბასაც“. აქაც, თუ რეჟისორი ს. დოლიძე მიჰყვება ე. ნი-
ნოშვილს, ბრწყინვალე შედეგს აღწევს. მაგრამ
როდესაც კლასიკოს კინოდრამატურგ ს. დო-
ლიძე ენაცვლება, ვღებულობთ სტილისტურ
შეუსაბამობას. სერგო ზაქარიაძის თამაში ამ
სურათში მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას
ჰგვრის. თავისი დიდი ნიჭით მსახიობმა ეს
სურათი დაისაკუთრა.

კლასიკური თუ თანამედროვე მხატვარი ლი-
ტერატურის ეკრანზე გადატანის რეცეპტები
და ფორმულები არ არსებობს, და არც იქნება,
რადგან რამდენიც მაღალმხატვრული ლიტერა-
ტურა არსებობს, იმდენი თავისებურებაა ყო-
ველ მათგანში. არც კინოს ზოგად ცნებათა კა-
ტეგორიებით განისაზღვრება მისი ვარგისობა
ეკრანიზაციის. ყველა დიდი ან პატარა პროზა-
ული თუ პოეტური შედეგრი მოითხოვს დამო-
უკიდებელ მიდგომას, დიდ სიფრთხილესა და
სიფაქიზეს, რათა შენარჩუნებულ იქნეს ავტო-
რისეული ხელწერა.

თუ ლიტერატურული ნაწარმოები მხოლოდ
შთავიწებებს რეჟისორს, რათა შექმნას რამე

ახალი მის ნიადაგზე ან მის მოტივებზე, ეს სხვა
საქმეა, მაგრამ, როდესაც ეკრანზე გადაიქცე-
ვენ კლასიკური ნაწარმოები, მაშინ უნდა გა-
ვიხსენოთ განსვენებული რეჟისორის ნ. შენგე-
ლიას სიტყვები: „რას ნიშნავს ლიტერატურუ-
ლი ნაწარმოების ეკრანიზაცია?“

ჩვენს კინემატოგრაფიაში ეს საკითხი სხვა-
დასხვანაირად ისმის და ხშირად არასწორად.
ბევრნი ფიქრობენ, რომ რომანის ეკრანიზაცი-
ისათვის საჭიროა აიღო მისი თემა. რამდენიმე
პერსონაჟი და გააკეთო სრულიად ახალი ნაწარ-
მოები.

მე სრულიად არ მინდა ამ მცდარი გზით წა-
ვიდე. ვფიქრობ, რომ ლიტერატურული ნაწარ-
მოების ეკრანიზაცია ნიშნავს სრულად გამოვი-
ყენოთ მისი იდეურ-მხატვრული თვისებები...

ესე იგი როდესაც რეჟისორი ხელს კიდებს
კლასიკოსის პროზის ეკრანზე გადატანას, საინ-
ტერესოა ის, თუ როგორ გადაიტანს ამ ნა-
წარმოებს, როგორ დაუმორჩილებს ხელოვანი
თავის ოსტატობას და კინოს სპეციფიკას ამ
მხატვრულ ნიმუშს.

ამრიგად, რეჟისორის ოსტატობა, ცოდნა და
კინოს სპეციფიკა უნდა მოხმარდეს კლასიკოსის
ეკრანზე გადატანას. კლასიკოსი არ უნდა ემს-
ხვერპლოს რეჟისორის თვალთხედვას. ამ დროს
უნდა გამოირიცხოს რეჟისორის „მე ასე მეს-
მის“ და „მე ასე ვაკეთებ“. ეს არ არის მართე-
ბული. რეჟისორმაღც ისე უნდა გაიგოს ნაწარ-
მოები, როგორც ეს აღიარებული აქვს ფართო
მკითხველთა მასებს, საზოგადოებას, სპეცია-
ლისტებს, კრიტიკას, ისტორიას.

ორიოდე სიტყვა „ვედრების“ შესახებ; იგი
ორჯერ ვნახე და ორივეჯერ უკმაყოფილო დავ-
რჩი. ფული დამწყდა, რომ ფილმში „გველის
მკამელს“ ორიოდე რეპლიკა დაეთმო — „სტუ-
მარმასპინძლის“ ფინალი ამოვარდა და ვაჟას დი-
დი შინაგანი ცეცხლოვანი დინამიკა, პირობით
„დინამიკურ სტატეგიაში“ გადაიტანეს. ამის შე-
სახებ თენგიზ აბულაძეს რამდენიმე შეკითხვა
მივიცი — ვანიმარტა, მაგრამ მაინც უკმაყო-
ფილო დავრჩი. შეიძლება წავიკითხო და ახლა
არ მახსოვს ათიოდე მოთხრობა და ლექსი,
რომლისგანაც წარმოიშვა — ერთი ხელოვნური
ნოველა — (ასე დავარქვათ სიმოკლიანთის),
რომელიც სცენარის ავტორებისა და რეჟისო-
რის ხელშეწყობით ვაჟას ძირითად ნაწარმოე-
ბებს გაუტოლდა თავისი მნიშვნელობით (მე ასე
გამაგებინეს).

მასხოვს თენგიზ აბულაძის განცხადება — ვა-
ჟა ფშაველამ ესენი 20 წლის განმავლობაში
წერა, „ამავე დროის მანძილზე ვაჟა, რასა-
კვირველია, ქმნიდა სხვა ნაწარმოებებს —
ს აც, მაგრამ „საახალწლო სიზმარი“ დასმულ

აბული ღაფარი

მარტოული კლასიკური ლიტერატურა
და კინოხელოვნება

კითხვებს და პრობლემებს არასოდეს ივიწყებდა. ეს კუპშირები, მაგრამ ერთი რამ კმნის უხერხულობას: ეს როგორ? ვეცადე ამ პერიოდში შექმნა ყველა თავისი ნაწარმოები, რომლებმაც იგი გახადა გენიალური პოეტი და მოაზროვნე (ჯერჯერობით ასე ფიქრობს ალბათ ვაჟას ყველა სპეციალისტი) და ეს ნაწარმოებები „და სხვა“-ით მოვისხენით? რაღაც სწორი ანგარიში ვერ გამოდის. ბოლოს და ბოლოს გავკარკვიეთ, ვაჟას სპეციალისტები: რომელია მთავარი — „გველის მკამელი“, თუ „საახალწლო სიზმარი“, „მოჩენება“, თუ „ისტუმარ-მასპინძელი“? დროთა ვითარებაში, მცირედი წარმოდგინა და დიდნი დარჩებიან შესიერებაში, დრო მეტად მკაცრი მსაჯულია, შემფასებელია ნაწარმოების სიდიდისა. და მაშასადამე, მომავალშიც ეს დიდი ნაწარმოებები დარჩება ცოდნის წყაროდ, თუნდაც საშუალოზე მაღალი კულტურის მქონე ქართველისათვის, ხოლო ვაჟას ყველაზე დიდ ნაწარმოებად (დაუმტკიცებლად) ხალხი მიანიჭებს „გველის მკამელს“ ჩათვლის. აქედან გამომდინარე ვებდებ თქმას, რომ ვაჟა 20 წლის მანძილზე კმნიდა თავის გენიალურ ნაწარმოებებს, არასოდეს ივიწყებდა „საახალწლო სიზმარს“ დასმულ პრობლემებს და, რასაკვირველია, კმნიდა ამ სახის ნაწარმოებებსაც. ვაჟას მოქმედების დახასიათება მგონი ასე უკეთესია. ვაჟას პორტრეტის დახატვის დროს ყველა ასე მოიქცევა — ხელოვანიც, მეცნიერიც, ფილოსოფოსიც, სცენარისტიც.

კიდევ ერთი, საგულისხმო ამბავი — რა არის ამ ათიოდ ნაწარმოებში ისეთი საფარსაგო და ახალი აღმოჩენა? ანდა განსაკუთრებული? რითი გამოირჩევა იგი ვაჟას ასეთივე ზომის, ან სხვა დიდ ნაწარმოებებიდან? არაფრით, გარდა იმისა, რომ ათეული ნაწარმოების თემას მეტნაკლებად ყველა მის დიდ ნაწარმოებში შეხვდებით. ათეულში კი უფრო დაკონკრეტებულია. ეს ნაწარმოებები, ვაჟას მრავალ ტომეულშია გაბნეული, ხელოვნურად გაერთიანების შემდეგაც კი მცირეა, ამიტომ სჯობდა მისთვის სურათის ერთი ნაწილი, მაქსიმუმ ერთნახევარი ნაწილი დაეთმო, გადაეღოთ ყოველგვარი „იზმის“ გარეშე, ვაჟას სტილში და დინამიკით. ნოველის გაკომვის ნაცვლად „ისტუმარ-მასპინძელი“ მთლიანად გადაეღოთ, „გველის მკამელი“ და სურათი ერთ ათად მოიგება.

მაშინ, როდესაც რეჟისორმა ვაჟასეული მოქმედით (მაგრამ შენელებული დინამიკით), წაგვიტოხა ეკრანზე ვაჟას ორი პოემა, მას ძალაუფლებურად გამოეთიშა ხელოვნური ნოველა, რადგან იგი, როგორც ვთქვით, თანამედროვე კინოს სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენითაა შექმნილი. ამიტომ მოდუნდა სურათის რიტმი, გაძნელდა მისი მთლიანად აღქმა, მოეწყინა მაყურებელს და დაიწუნა სურათი. და ეს ჩემ-

თვის არანაყლებ საწყენია, ვიდრე სხვა გენიუსის, რადგან სურათი ვაჟასია, დამდგომელია — ჩემი საყვარელი რეჟისორი. ამაში დამნაშავე მხოლოდ ხელოვნური ნოველაა. მისი ყოველი რეჟისორული კადრი, მიზანსცენა; მსხვილი თუ საერთო პლანი, ატმოსფერო, გააზრება, დიალოგი თუ სხვა რამ მიმდინარეობს მეტად მიმედ, ტაქტით, გაკომული პაუზით. ასეთი ნელი განვითარება კი ვაჟას არც ერთი იმ ნაწარმოებს არ ახასიათებს, რომლისგანაც ეს ნოველა შეიქმნა, მაშასადამე, დინამიკის სტატეკაში გადატანაც სრულიად ზედმეტი გამოდგა.

რაც შეეხება „ისტუმარ-მასპინძლის“ ფინალის ამოღებას — მეტად საოცარია. თენგიზ აბულაძე გამოჩინდნა რეჟისორმა გ. რომმა, საბჭოთა კინოხელოვნების უნიჭიერეს გრაფიკოსად აღიარა, მან კი უარი თქვა გენიალურ ფინალზე, რომელსაც მისი ნიჭი პირდაპირ დაეძმებოდა. შეიძლება მკითხველს დაევიწყდეს ამ პოემის შინაარსი, განვითარება, კვანძები, მაგრამ ფინალი წარუშლელი რჩება — ეს ვაჟას გენიალური ხერხია — პიროვნების ღირსების დაცვისა და გმირობის უჩინარ ძეგლად აღმართული. რა დაშავა მან? ალბათ ის, რომ ვაჟას მოტივად იყმარა მხოლოდ ზედადურის შეწირვის სცენა, მაგრამ ხომ დაეკარგა ვაჟას მთლიანობა? ან „გველისმკამელს“ ერთ ფრაზაში მოქცევა მოტივად მივიღოთ?

პატივცემული გ. კიკნაძე ამტკიცებს, რომ „ვედრება“ არ წარმოადგენს ვაჟა ფშაველას ნაწარმოებათა ეკრანიზაციას. იგი არის ვაჟა ფშაველას შემოქმედებით მოტივებზე შექმნილი ფელმო, მოსაზრებას კარგადაც ასაბუთებს: პირველ შემთხვევაში სცენარისტიც და რეჟისორიც შეზღუდულნი არიან ერთი რომელიმე ნაწარმოებით, ან ერთი მოტივით გაერთიანებული ნაწარმოებათა ჯგუფით და რეჟისორს და სცენარისტს აქვთ მინიმალური შემოქმედებითი თავისუფლება. სხვა ადგილას კი ამბობს, რომ ხელოვნური ნოველის გადამღებისა და ამ ებიზოდის დამუშავების დროს ვერც კი გადაუხვევიათ ვაჟასაგანო. თუ კი ვაჟასაგან ვადახვევა არ არის „ვედრებას“ მინი მოტივებით შექმნილი სურათი ეუფლოთ?

მიეკვირს, თუ რატომ აძლევს პატივცემული გ. კიკნაძე „ვედრების“ ავტორებს იმის უფლებას, რომ ვაჟა „სხვისი“ სტილის თუ ენარის (ესეს) გავლენის ქვეშ მოაქციონ, მაშინ, როცა ვაჟას გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს თვით კინოხელოვნება, რომელიც გენგავით მისი მიმდინარეობა, ენარი. ვაჟა არ ეგუება არც ერთ მიმდინარეობას, მით უმეტეს, კინოხელოვნებაში, რადგან ყოველი ნაწარმოები ვაჟასეულ ენარს მოითხოვს. და ბოლოს, რატომ დათანხმდა მეცნიერი და ხმა არ აიმაღლა „გველისმკამელისა“ და „ისტუმარ-მასპინძლის“ დანაკუწების გამო? თუმცა, პო! ესენი ხომ მოტივებად იქცნენ! დიას! ვაჟა ხელოვნების სხვა სვე-

როსათვის ბორკილია — და თუ ვინმე ამ ბორკილის დამსხვრევას მოინდომებს, მას ვაჟას მსგავსი თქმა მართებს. თენგიზი ამას უეჭველად იტყოდა ალუდას, ჯოჯოლასა და მინდიას რომ თავიდან ბოლომდე გაჰყოლოდა.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი მოტივებია სურათის დადგმა და ისიც სრულფასოვანის შეუძლებელია, რადგან ერთი, ორი, გინდ სამსერიანი სურათი ვერ დაიტევს ყველაზე მაკაცრად შერჩეულ თემებსაც კი.

რომელია სტუმარ-მასპინძლის მთავარი მოტივი? „პიროვნული ღირსების დაცვის — ჯოჯოლასი თუ შეუდრეკელობის გამძლეობის“ — ზვიადაურის მოტივი? მგონი ორივენი ტოლფასოვანია. ვაჟამ ორ დიდ მოტივს უცვლადების შესანიშნავი ძეგლი აუგო. რომელიმე ამ მოტივის მეტ-ნაკლებად შელახვა, შემცირება — გადაკეთება ვაჟასაც ავნებს, მაყურებელსაც და ნაწარმოებსაც ისე, როგორც ეს დაემართა „გველის მჭამელს“. გარდა ამისა, შეუძლებელია სურათის შექმნის პროცესში მწერლის რომელიმე დიდი მთავარი თემა მოტივად აქციო. ამ შემთხვევაში დაზიანდება ამ დიდი სიმფონიის ყველა მოტივი. და რად უნდა მტკიცება იმას, რომ ვაჟას ყოველი ნაწარმოები ცალკე თემაა, უამრავი დიდი და პატარა მოტივით.

ვაჟას მოტივებით ან რომელიმე ნაწარმოებით სურათის შექმნა მეტად დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რა სიფრთხილითაც უნდა მოიქცეს რეჟისორი, იგი იძულებულია კომპრომისზე წავიდეს, რათა იგი ერთ ან რამდენიმე სერიაში ჩატიოს. და ძირითად ლერძზე დაატიოს ყოველივე ის, რაც მთავარია, რაც მაყურებელს მისცემს საშუალებას ეკრანზე ნახოს მისი საყვარელი ნაწარმოები, ისევე გასაგები, სრულქმნილი, როგორც მას წაუკითხავს. და როდესაც ისეთ სურათს მაყურებელი ნახავს, მას არ დასჭირდება არც სპეციალური გზის მაჩვენებელი არც ამხსნელი. მით უმეტეს, ეს არ ესაჭიროება არც ერთ ქართველ კლასიკოსს. სურათი პირველ

რიგში გამოხსნული უნდა იყოს ფართო მასშტაბისათვის და არა ვიწრო სპეციალისტებისათვის, ფილოლოგიური ხასიათისა.

„ვედრება“ ორჯერ ვნახე-მეთქი. ორჯერვე სურათის ხმის ოპერატორი მიქშერთან იჯდა და ხმის მკაფიოებს უსმენდა, აწესრიგებდა. კინოსტუდიის სადემონსტრაციო დარბაზში კარგი აკუსტიკაა, კარგი აპარატურაც. ასეთი ოპერაცია მითმომ დასჭირდა ოპერატორს, რომ სურათში სიტყვას უდიდესი დატვირთვა აქვს და იგი მკაფიოდ უნდა მიეტანა მაყურებლისადმი. მიდიოდა კიდეც, ხშირად კი მაყურებელი უსწრებდა მსახიობს და მას პოემის ტექსტს ჩუჩულთ ჰკარანახობდა — მაყურებელს უხაროდა, რომ ნაცნობ, მშობლიურ სტრიქონებს „კითხულობდა“ ეკრანზე. მაგრამ როდესაც ხეთისია, მაიკილი, ახალგაზრდა ქალი და სხვა მოქმედი პირები ჩაერთვნენ დიალოგში მრავალი სიტყვა დაიკარგა, აზრი და მისი დანიშნულებაც. ეს ტექსტი უცნობი გამოდგა მაყურებლისათვის და მან ყურადღება დაძაბა, რომ სიტყვა არ გამოპარვოდა. ყურადღების დაძაბვა ძნელია დიდი დროის მანძილზე. ამას დაემატა დიდი პაუზები. ორმა ფაქტორმა ერთი მეორე შეავსო და მაყურებელს ყურადღება ისე გადაელაღა, რომ მას დიალოგების უმრავლესობა გამოორჩა.

„ააღუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ეპიზოდები მიუხედავად სტატიურობისა — განუმეორებელია, უბადლო. მას არა ჰყავს წინამორბედი, იგი თავისთავადი და ორიგინალურია, — ვაჟას სტილისათვის აბსოლუტურად შესატყვისი. მე არც ერთ სურათში არ მინახავს ასეთი ბრწყინვალე რეჟისორი, ოპერატორი, მსახიობი. აი ეს მიმანჩნა რეჟისორისა და ოპერატორის ნიჭის საზომად ვაჟას გაგებაში. აი ეს გზა უნდა აერჩიათ და ამ გზით ევლოთ და თუ დ. ზუმბაძე ავტორებს საყვედურებს ქალამნების ფრაზე გაცვლას, ეს მხოლოდ ვაჟას სტილიდან გადახვევის საყვედური და სწორი შენიშვნაა.



აზრ

„დღევანდელი ხანძარი“

1963 წელს გამოცემულ ესეში — „ხანძარი შემდეგ იქნება“ — ამერიკაში მცხოვრებმა ცნობილმა ზანგმა მწერალმა ჯიმს ბოლდუინმა ზანგთა მღელვარება იწინასწარმეტყველა. ამას წინათ კი გამოვიდა მისი ახალი პუბლიცისტური ნაშრომი — „უსახელო ქუჩაზე“. ნაწარმოებში მწერალი სამოქალაქო უფლებებისათვის ამერიკელ ზანგთა ბრძოლას აგვიწერს. ბოლო წლების მოვლენებმა ბოლდუინი აიძულა, მთელი თავისი დრო თუ საქმიანობა პუბლიცისტისთვის შეეწირა.

ბოლდუინის აზრით ზანგთა მოძრაობამ ორი ფაზა განვლო: „მშვიდობიანი“, რომელსაც მარტინ ლუთერ კინგი ხელმძღვანელობდა და „ძალისმიერი“, როცა მშვიდობიან პერიოდს პოლიტიკური იდეალიზმის საბურველი ჩამოსცილდა და ძალა პოლიტიკურ იარაღად იქცა.

ყოველკვირეულ „ნიუ-იორკ ტაიმს ზუკ რევიუს“ აზრით ბოლდუინის წიგნი უანრის მხრივ ერთდროულად მემუარებიცაა, ისტორიული ქრონიკაცა და კომენტარებიც. ყოველკვირეული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლდუინის პოზიცია და შეხედულებანი ფართო მასშტაბისაა, იგი მგზნებარე დამცველია საერთო ამერიკული კულტურული მემკვიდრეობისა, მაშინ როცა სხვა ზანგ

პუბლიცისტთა უმეტესობა მხოლოდ და მხოლოდ აფრიკული კულტურის თავგამოდებულ დამცველებად ითვლებიან.

წიგნის პირველი ნაწილი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ამბებსა და მოვლენებს მწერალი ამერიკული და ევროპული კულტურის პრიზმაში სვყრტის. იგი წერს ალუიზის ომსა და პარიზელთა პოზიციაზე ამომის მიმართ, ფრანკოზე და ამერიკულ მაკარტიზმზე. წიგნის საუკეთესო გვერდები მ. ლ. კინგის მკვლელობას აგვიწერს.

წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც ევროპული იდეალიზმის კრიტიკით იწყება, ბოლდუინი გვაცნობს ზანგთა მოძრაობის ლიდერებს — მარტინ ლუთერ კინგს, ელრიჯ კლივერს, ბობი ზილსა და სხვებს.

„ბოლდუინმა მთლიანი წრე შეკრა, — წერს ჟურნალი, — იწინასწარმეტყველა ხანძარი და ასახა კიდევ“.

გდრ

„ზაბუჟ ვ-ს ახალი წამებანი“

სცენაზე ედგარ ვიბოს სიკვდილის მაუწყებელი ორი სატარურო ფარია, დედარდიანებული მამაკაცი და ქალი — ედგარის მშობლები, მიცვალებულზე საუბრობენ, მათ სურთ ჩასწვდნენ ყველაფერ იმას, რაც კი მოხდა. მერე კი მშობლები, მაყურებელთან ერთად, თავად ედგარს ნახულობენ, რომელიც სცენაზე ცოცხალთა შორის გამოჩნდება, რათა ისინი დარწმუნდნენ, რომ მის სტყვადილში კაცისთვის არ მიუძღვის ბრალი — ღამნაშავე თავადვეა.

ასე იწყება ულრიხ პლეცდორფის პიესა — „ჭაბუკ ვ-ს ახალი წამებანი“, რომელიც მწერლის კინომოთხრობის მიხედვით რეჟისორმა შიონმანმა დადგა „ლანდესტეტერის“ სცენაზე. პიესა ძირითადად კინემატოგრაფიული ხასიათისაა. რეცენზენტთა აზრით ეს ხერხი, რომლითაც უაილდიც, შოუცა და ბრეტეიკი სარგებლობდნენ, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად და სრულყოფილად უჩვენონ აღმამათა ხასიათები და რთული სიტუაციები.

ედგარ ვიბოს ამბავი მისი სიკვდილიდან იწყება. შემდეგ კი მაყურებელი თანდათან ხვდება, რომ ედგარი შინიდან გაიქცა, მიატოვა სწავლა, წარამარა იცვლიდა საცხოვრებელ ადგილებს, გახდა მღვდელთა ბრიგადის წევრი, შეუწყარა და ქალიშვილი, რომელიც შემდეგ სხვას გაჰყვა ცოლად, გამოიგონა ელექტრული ხელსაწყო და დაიღუპა ამ ხელსაწყოთა გამოცდისას. ედგარის ცხოვრება გადახლართულია და ერთვის გოეთეს ვერტერის ამბებს. „ახალგაზრდა ვერტერის ვენბანი“ ჭაბუკმა ერთხელ შემთხვევით იგდო ხელთ და წაიკითხა. თავდაპირველად ედგარს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა მეთვარამეტე საუკუნის ახალგაზრდის — ვერ-

ტერის აზრები თუ გრძნობანი, შემდეგ კი ბევრი რამ აღმოაჩინა საერთო საკუთარ თავსა და ვერტერის შორის, რამაც აიძულა, სულ სხვაგვარად განეჭვრიტა წარსული.

ვერტერის თემა პიესაში თანამედროვე ახალგაზრდობის გრძნობათა თემაა — წერს ყოველკვირეულ „წონტაგის“ რეცენზენტი — აქ გარეგნულ, მოჩვენებით უხეშობაში სინაზისაკენ და ნამდვილი სიყვარულისაკენ ლტოლვა იფარებაო.

ედგარ ვიბოს როლის შემსრულებლის რაიმარდ შტრაუბეს შესახებ რაინერ კერნდლი გაუთ „ნოიეს დოიჩლანდში“ წერს: „ეს უმაწვლილი კაცის პორტრეტი, მისი ცხოვრება, აზრები და განცდები მაყურებელს აიძულებს ჩაფიქრდეს იმ პრობლემებზე, რაც ჩვენს ახალგაზრდობას აღეკვებს“.

„პლენცდორფის პიესა უღაგოდ თანამედროვეა, — აცხადებს გაუთი „ბერლინერ ცაიტუნი“, — მისი დადგმა თეატრის დიდი მიღწევაა“.

გვრ

„ჰეპლას კატიჟოგენ“

ასე დაასათურა თავისი ახალი დოკუმენტური რომანი ცნობილმა დასავლეთ-გერმანელმა მწერალმა დიეტერ ველსხოფმა.

წიგნს საფუძვლად ნამდვილი ამბავი დაედო, სამოციან წლებში დიდად გახმაურებული რომ გახლდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, მაშინ დასაქერად დევნიდნენ ვინმე ბრუნო ფაიბერს, პიროვნებას, რომელიც ქურდობასა და კაცის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულებს. ამ კაცის დასაქერად

მთელ მოსახლეობას მოუწოდეს.

ყოველკვირეული „ცაიტი“ აღნიშნავს, ეს თემა მწერალს შემთხვევით არ შეურჩევიაო. ჭერ კიდევ თავის წინა რომანში — „ჩრდილის საზღვარი“ — მწერალმა ასახა ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ უპოვია, მერე და მერე კი ფსიქოლოგიური და სოციალური კრაზი განიცადა, რის გამოც ასოციალურ პიროვნებად იქცა, ავტორმა მიზნად დაისახა შეესწავლა და გადმოეცა ის ფაქტი, თუ როგორ ექცევა საზოგადოება თავისსავე მიერ განდევნილ პიროვნებას და რას ნიშნავს ამ ადამიანისათვის აუტსაიდერად ქცევა.

წინა ნაწარმოებთან განსხვავებით ველსხოფმა ამჯერად დოკუმენტური რომანის უნარს მიმართა და შერჩეული თემა ძირფესვიანად შეისწავლა. იგი ფაიბერს საპატიმროში ნახულობდა ხოლმე, ესაუბრებოდა ადვოკატებსა და პოლიციელებს, გაეცნო სასამართლო პროცესის ოქმებს, გადაიღო იმ ადგილების ფოტოსურათები, სადაც დევნილი რამდენიმე თვის მანძილზე იმალებოდა. ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნა შთამბეჭდავი სურათი საზოგადოების დევნიხა ერთი პიროვნების წინააღმდეგ. დევნის ყოველი მონაწილისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ არც ერთი მათგანი არ თანაუგრძნობს დევნილს, პირიქით, იგი ხელისშემშლელ, საშიშ, მტრულად განწყობილ ელემენტად მიაჩნიათ, რომელიც აუცილებლად უნდა მოიკვეთოს.

ავტორი მოვლენებს არ აანალიზებს, იგი ოსტატურად გადმოგვცემს დოკუმენტურ მასალას და ფაქტები თავადვე მეტყველებენ.

ეპიკატი

„როცა ქალს უყვარს“

პოპულარული სერიით, რომლის სახელწოდებაა — „წაიკითხეთ“, ეგვიპტის გამომცემლობამ „დარ-ალ მარაფმა“ გამოუშვა ჰილმი მურადის მოთხრობათა კრებული „როცა ქალს უყვარს“.

ჰილმი მურადი ეგვიპტური ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ერთ-ერთ ვეტერანთაგანია. იგი მრავალი წლის მანძილზე გამოსცემდა ჟურნალ „კიტას“ („ჩემს წიგნს“), აქ იბეჭდებოდა მსოფლიო კლასიკოსთა შედევრები.

ჰილმი მურადმა პოპულარობა, როგორც ლირიკულ მოთხრობათა ავტორმა, ახალგაზრდობაშივე მოიხვეჭა, აღნიშნულ კრებულიში სწორედ მის ლირიკულ მოთხრობებს ვეცნობით.

ეპიკარეშეა, რომ ეს კრებული, ამადლებული ლირიკული ნოველისტიკის დიდებული განძიაო, — წერს ჟურნალ „ალ-ადიბში“ ეგვიპტელი კრიტიკოსი იბრაჰიმ ალ-მისრი.

ინგლისი

ბალეჰარნემა

„ტოლსტოის საგა“

სამი წლის მანძილზე მუშაობდა ჯეკ პულმანი მრავალსერიან ტელეფილმზე „ომი და მშვიდობა“. ამას წინათ კი „ბი-ბი-სი-ჰის“ პროგრამით ტელემაყურებელმა იხილა „ტოლსტოის საგა“ (ასე უწოდეს ამ ტელეფილმს ადგილობრივმა მიმომხილველებმა).

ფილმში, რომელიც იუგოსლავიაში გადაიღეს, 200 მსახიობი მონაწილეობს. მთავარ როლებს ასრულებენ — ანტონი გოპკინსი (პიერი), ალან ლობი (თავა-

დი ანდრეი), მორაგ ჰუდი (ნატაშა როსტოვა) და დევიდ სვიფტი (ნაპოლეონი). იმისათვის, რომ ტელეფო-ნურებელს არ გასჭირვებოდა ამ ოცსერიანი ფილმის დაბრუნებაში გარკვევა, ტელევიზიამ მოაწყო სპეციალური გადაცემა, ხოლო გამომცემლობა „რადიოსტამა“ გამოცდა „გზამკვლევი“, რომლითაც მკითხველი მოქმედ პირებსა და ძირითად მოვლენებს გაეცნობა.

დამდგმელებს ფილმის წარმატება ეეჭვებათ — აღნიშნავს პრესა, — რადგან ძნელია ტოლსტოის ნაწარმოებთა მისეღვით ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიერ გადაღებული ფილმების კონკურენცია.

იტალია

მარანჯა „საბნაღლი მართმსაჯულების სასახლეში“

სცენაზე მრავალი წლის მანძილზე იდგებოდა აწ გარდაცვლილი დრამატურგის — უგო ბეტის პიესა „სკანდალი მართმსაჯულების სასახლეში“. ამ ნაწარმოებმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ომისშემდგომი

იტალიური დრამატურგიის კლასიკაში. ამჟამად პიესა კვლავ ყურადღების ცენტრშია. ნაწარმოების მოტივები ხელსაყრელი აღმოჩნდა „პოლიტიკური კინოს“ პროგრესული მიმდინარეობისათვის და ახალგაზრდა კინორეჟისორმა მარჩელო ალიპრანდიმ ამ პიესის მიხედვით ფილმის გადაღება გადასწყვიტა. ინტერვიუში რომელიმე ჟურნალისტებთან ალიპრანდიმ ხაზი გაუსვა ნაწარმოების ნათესაობას თანამედროვე იტალიურ კინემატოგრაფიასთან.

— მე ვფიქრობ, — თქვა მან, — პიესა „სკანდალი მართმსაჯულების სასახლეში“ ძალზე აქტუალურია, იგი ჩვენი საზოგადოების სულიერ ფასეულობათა კრიზისს ასახავს. ნაწარმოები ძირითადად სასამართლო ორგანოებისა და პოლიტიკურ ხელისუფალთა ურთიერთობებს გვიჩვენებს. უგო ბეტი, — განაგრძობს რეჟისორი, — მომავდინებელ ისრებს უმისწვნებს საზოგადოებას, სადაც მოღვაწეობენ მართმსაჯულების მსახურნი.

ფილმში მოქმედება ოდნავ შეიცვლება, იგი გადასხვაფერდება თანამედროვეობისა და კინემატოგრაფიის მოთხოვნათა შესაბა-

მისად, ხოლო იდეა პიესისა — მართმსაჯულება და ადამიანური პასუხისმგებლობის პრობლემა, უცვლელი დარჩება.

გადაღება რომში იწარმოებს. ფილმის მხატვარს — ფერნანდო იმბერტს, რომელიც აგრეთვე სცენარის თანაავტორიცაა, განზრახული აქვს, სრულიად ახალი კუთხით გვიჩვენოს იტალიის დედაქალაქი.

კვიპროსი

კომეროსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი

კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში ჩატარდა ძველი დროის უდიდესი პოეტის — ჰომეროსისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, რომელიც ჰომეროსის საერთაშორისო კომიტეტისა და კვიპროსის ფილოლოგთა ასოციაციის თაოსნობით მოეწყო.

ნიქოზიის მუნიციპალურ თეატრში სიმპოზიუმის გახსნისას წაიკითხეს კვიპროსის პრეზიდენტის — მაკარიოსის მისასალმებელი სიტყვა. სიმპოზიუმის მუშაობაში მსოფლიოს 65 ქვეყნის მეცნიერი მონაწილეობდა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაცემა ასაწყობად 15/XII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-73 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა 4081. უე 01716. ტირაჟი 29500.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფან 60 კკკ.

გაბია

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236